ალექსანდრე ახატნელი

პოლიტოლოგიის საფუძვლები

თბილისი
2009

წინამდებარე ნაშრომი ავტორმა დაწერა XX ს. 70-იან წლებში შვილისათვის. შემდეგ გადაამუშავა 90-ან წლებში შვილიშვილისათვის.

ახლა კი მისი დასტამბვაც შესაძლებელი გახდა. იმედია, იგი სასარგებლო აღმოჩნდება სხვა ახალგაზრდებისთვისაც და არა მხოლოდ მათთვის.

რედაქტორი

გამომცემელი და რედაქტორი
იულონ ტოლიაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
მაია გიქოშვილი

კორექტორი
ნინო ორკოდაშვილი

© ეთნოპოლიტიკა

შესავალი

1. არსებულის მსოფლმხედველობითი საფუძველი 8
2. არსებულის არსებობის არსებითობა. 14
3. არსებულის შეცნობითობა. 19
4. არსებულის შეცნობითობის ძირითადი ცნებები 24
5. არსებულის არსებობის კანონზომიერება 30
6. საზოგადოება. 38
6.1. სიცოცხლის არსი 39
6.2. სიცოცხლე და ცხოვრება 44
6.3. ძველი ცხოვრება. 49
6.4. ცხოვრების არსი. 54

7. საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი 59
7.1. ადამიანთა ერთობის ფორმები 59
7.2. სახელმწიფოს წარმოშობა და განვითარება 65
7.3. ისტორიული აუცილებლობა და ადამიანთა შეგნებული მოღვაწეობა 67
7.4. შეგნებული მოღვაწეობა 71
7.5. მოღვაწეობის არსი 80

8. თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოება 89
8.1. საწყისი 89
8.2. ურთიერთობათა ხასიათი 93
8.3. წინააღმდეგობანი. 95
8.4. თავისუფალი კონკურენციიდან მონოპოლიათა ბატონობისაკენ 99
8.5. განვითარების ისტორიული ტენდენცია 106

9. საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოება 110
9.1. თეორიული საწყისი. 110
9.2. მაქსიზმი თუ ლენინიზმი? 122
9.3. ოქტომბრის რევოლუცია 130
9.4. სამხედრო კომუნიზმი და ახალი ეკონომიკური პოლიტიკა. 136

9.5. სსრკ შექმნა 143
9.6. რეალური სოციალიზმის პოლიტიკური სისტემა 154
9.7. პოლიტიკური სისტემის დემოკრატიულობა 162
9.8. რეალური სოციალიზმის ეკონომიკური სისტემა 170
9.9. ეკონომიკური სისტემის საფუძველი 174
9.10. რეალური სოციალიზმის წინააღმდეგობათა ხასიათი 182
9.11. რეალური სოციალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა 200

10. ერის უფლება . 203
10.1. ეროვნული უფლებები საქართველოში . 211
10.2. ერის ვალდებულება 219
10.3. ეროვნული ვალდებულებანი საქართველოში 238

11. მოქმედების დიალექტიკა . 246

ჩემო პატარავ!

შენმა ნააზრევმა გამახარა და დამამწუხრა. კარგია, რომ ცდილობ ფილოსოფიურ-სოციოლოგიურ საკითხებში გარკვევას. ცუდია, რომ დღევანდელი სკოლა შესაბამის ცოდნას არ გაძლევს. წინა თაობათა ზედმეტი პოლიტიზირება ზედმეტმა რელიგიურობამ შეცვალა. არ არის დაცული ზომა. ჩვენ შეეცადოთ ზოგიერთი ნაკლის გამოსწორებას.

სკოლაში მრავალ საგანს სწავლობ. მათი ჩათვლით და მათ გარეშე მეცნიერების მრავალი დარგი არსებობს. ზოგი მათგანი სამყაროს შესწავლას ლამობს, ზოგი მხოლოდ ჩვენი პლანეტის თავისებურებას, ბუნების ნაწილს, საგანთა გარდაქმნის შესაძლებლობას და ა.შ. არსებობს მეცნიერების დარგები, რომლებიც ადამიანთა ისტორიას, განვითარების ხასიათს, ურთიერთობათა დარეგულირების, მომავლის განჭვრეტის საკითხებს იკვლევენ.

მეცნიერებათა დედას და განსაკუთრებულ დარგს ფილოსოფია წარმოადგენს. ფილოსოფია ძველ ბერძნულად სიბრძნის სიყვარულს ნიშნავს. იგი ყველა მეცნიერების საერთო საკითხს სამყაროში და საზოგადოებაში არსებობისა და განვითარების ზოგად კანონზომიერებას არკვევს. ამიტომ, მისი დასკვნების გათვალისწინება აუცილებელია ყველა მეცნიერებისათვის. ყოველი დარგი არა მხოლოდ განაყოფია ფილოსოფიისა, არამედ სპეციალურად ადგენს საკუთარ ფილოსოფიურ საწყისებს. ფილოსოფიის გარეშე საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათი, წყობილებათა ცვლა, წინსვლის ბუნება, მომავლის პროგნოზი არ გაირკვევა.

ფილოსოფიის დასკვნებმა განაპირობეს წარმოდგენები ცხოვრების პოლიტიკურ-ეკონომიკურ სფეროებზე, სახელმწიფოზე ზოგადად, მისი განვითარების კანინზომიერებაზე, ადამიანთა ეკონომიკურ-სოციალურ ურთიერთობებზე, მათ ზემოქმედებაზე და ა.შ.

ბუნებრივია, რომ ბუნებათმცოდნეობის, ასევე საზოგადოებათმცოდნეობის ყოველ დარგს თავისი სპეციფიკური კვლევის საგანი გააჩნია. ისინი ორგანულ ურთიერთკავშირში არიან, თუმცა თავისი, განსაკუთრებული სფერო ყველას აქვს.

ჩვენი მიზნისათვის საჭირო საკითხთა წრე ადრე საზოგადოებათმცოდნეობის სახელწოდებით იყო გაერთიანებული და

ისე ისწავლებოდა. დღეს სპეციალური საგანი არ არსებობს, მაგრამ საკითხები და მათი ცოდნის აუცილებლობა რჩება. ჩვენ მივყვეთ მათში გარკვევის მცდელობას.

მიზანი არაა მთლიანად ფილოსოფიის, გნებავთ სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ზედმიწევნით შესწავლა. მთავარია გავერკვეთ იმ ცნებებში, კანონებში, კატეგორიებში, რომლებიც შემდეგ საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური და სულიერი მხარეების გაგებას გაგვიადვილებს. ამიტომ, გვერდი ავუაროთ ათასგვარი იზმებით (მატერიალიზმი, იდეალიზმი, აგნოსტიციზმი, პლატონიზმი, მახიზმი, და ა.შ.) აჭრელებულ მიმდინარეობათა განხილვას, და გასაგების დონეზე წარმოვაჩინოთ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო საკითხები. ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების განხილვისას გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის პრაქტიკა, მაგრამ უპირატესობა კაცობრიობის განვითარების ზოგადი სურათის წარმოჩენას დავუთმოთ. მხოლოდ ამ გზით შეეძლებთ წარსულის გამოცდილების დადგენას, თანამედროვე ცხოვრების ხასიათის განსაზღვრას, მომავალი განვითარების ტენდენციების მოხაზვას. ამ გზით არა მხოლოდ ინტერესებს დაიკმაყოფილებ, არამედ შეძლებ საზოგადოებრივ პროცესებში გარკვევას, სწორი მსოფლმხედველობის გამომუშავებას, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის შერჩევას.

ადამიანისათვის დამახასიათებელია თავისუფლების, თანასწორობის, ერთობის გრძნობა. უძველესი დროიდან მოყოლებული, ეს იდეები ასახვას პოულობდნენ ხალხურ თქმულებებში, ლეგენდებში, რელიგიურ წარმოდგენებში, ფილოსოფოსთა, მწერალთა ნაწერებში, ჩაგრულთა აჯანყებებში. ყოველი ერის ისტორია მდიდარია ასეთი ამბებით. გამონაკლისი არც ახლანდელი თაობაა. დღესაც რთული და დაძაბულია საზოგადოებრივი ურთიერთობები. ხელისუფლებისა და ხალხის, პარტიათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შორის ურთიერთობის ხასიათი მიუთითებს ამაზე. ყოველ ახალგაზრდას მაშინ შეეძლება სწორი არჩევანის გაკეთება, როცა წარმატებით დაეუფლება ცოდნის გარკვეულ მინიმუმს.

კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში არაერთნაირი შეფასება ეძლეოდა ცხოვრების მამოძრავებელი ძალისა და ხასიათის საკითხს. არაერთნაირად ესმოდათ განვითარების კანონზომიერებაც. იყო თვალსაზრისი, რომ განვითარება თავისუფლებიდან მონობისაკენ მიემართება და შესაბამისად ოქროს

საუკუნეს, ბრინჯაოსი და რკინის საუკუნეები ცვლის. იყო ისეთი აზრიც, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება არ ვითარდება, იგი ღმერთის ბიერ სამარადჟამოდ დადგენილ წესს ექვემდებარება. ბევრისათვის დღემდე მიუღებელია საერთო საზოგადოებრივი განვითარების იდეა. მათი აზრით ცივილიზაციას მუდამ ლოკალური ხასიათი ჰქონდა. რომელიმე ქვეყანა ან რეგიონი აღწევდა მკვეთრ პროგრესს, დანარჩენები კი სხვათა გავლენით ან მიბაძვით ვითარდებოდნენ.

საუკუნეები დაჭირდა, რათა მოაზროვნეებს ღაედასტურებინათ არსებული წყობილების უკეთესით შეცვლის შესაძლებლობა, გარდუვალობა და მიზანშეწონილება. ამ ნიადაგზე სცადა გ.ვ ჰეგელმა (და შემდეგ მისმა მიმდევრებმა) ისტორიის პროგრესული განვითარების წარმოჩენა. დღეს საკამათო აღარაა საზოგადოებრივი პროგრესის შესაძლებლობა. მაგრამ მექანიკურადაა უკუგდებული გასული საუკუნის მანძილზე დამკვიდრებული განვითარების მიზნისა და მიღწევის გზების შესახებ არსებული თვალსაზრისი. ახალი არ ჩანს. იდეურად განძარცული საზოგადოება ხსნას რელიგიურობაში ეძებს. ჩვენ ვცადოთ ჭეშმარიტებასთან მიახლოება.

პირველი რაც აუცილებლად უნდა გაირკვეს არის რეალურის, არსებულის მსოფლმხედველობითი საფუძველი. კითხვა ასეთია: აქვს სამყაროს ერთიანი აგებულება თუ ის გაურკვეველი ფენომენია. თუ არსებობს სამყაროს ერთიანობა, მაშინ რა არის მისი საფუძველი. თუ არაა რაღაცა გამაერთიანებელი, მაშინ რატომაა სამყარო ასეთი მუდმივი, განუსაზღვრელი, მყარი. რა უდევს საფუძვლად სამყაროს? ესაა სამყაროს ერთიანობის ძირითადი საკითხი. ამაზე უნდა აიგოს ცოდნა.

1.არსებულის მსოფლმხედველობითი საფუძველი

სამყაროს ერთიანობის ძირითადი საკითხის განხილვით იწყება მიახლოება კითხვათა უთვალავ წყებასთან, რომელთაგან მოკლედ უნდა წარმოვაჩინოთ ზოგიერთი.

პირველ რიგში: რას წარმოადგენს სამყარო, რისგან შედგება გარემო, აქვს ყოველივეს დასაწყისი და დასასრული თუ არა, მუდმივია იგი თუ ცვალებდი, რისგან დაიწყო და საით მიემართება, რა არის სარწმუნო და რა უკუსაგდები. ამას მოსდევს ლოგიკური კითხვა: რა ადგილი უკავია ადამიანს სამყაროში, რაშია მისი დანიშნულება, არის ერთადერთი გონიერი თუ არა, რა არის სიცოცხლე, სიცოცხლის მიზანი, აქვს ადამიანს სული თუ არა, რა განზომილებაა სულსა და ტანს, ცნობიერებასა და ყოფიერებას შორის.

ასეთი კითხვები ბუნებრივია.

ადამიანი მიჩვეულია გააზრებულ მოქმედებას. პატარა ბავშვის თითქოს გაუცნობიერებელ მოქმედებაშიც იგი ლოგიკურ კანონზომიერებას ხედავს. ადამიანი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე შეგუებულია, რომ ირგვლივ ყველაფერი ცვალებადია, ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. მისთვის ძნელია მუდმივობის, უსაზღვრობის, უცვლელობის დაშვება. ასევე მიუღებელია მისი, როგორც მოაზროვნის, სულიერის, გონიერის დაღუპვის წარმოდგენა. ადამიანი ხედავს, რომ სამყარო გონივრულადაა მოწყობილი. აქვს თავისი კანონზომიერება. იქ არაფერი შემთხვევით არ ხდება. მისთვის, როგორც ამ სამყაროს ავ-კარგით დაინტერესებული და განუყრელი ნაწილისათვის ბუნებრივია აზრი: თუ სამყარო ქაოსური საგნების ერთობა კი არა, არამედ გონივრულად მოწყობილი განზომილებაა, მაშინ ეს რაღაცა გონიერის, სულიერის შემოქმედება უნდა იყოს.

ისმის საკითხი: თუ ადამიანი ჭვრეტს სამყაროს, ხედავს რომ მასზე გონიერი, ცოდნის მოყვარე და მცოდნე, მოხერხებული და ძლიერი სხვა არსება არაა, მაშინ იგი იმ აბსოლუტური გონების პირდაპირი განსახიერება უნდა იყოს.

რა არის ის საყოველთაო, აბსოლუტური გონება, რომელიც გონივრულს ხდის არსებულს და რამდენადაა იგი ჩვენი ნაწილი, ან პირიქით, რამდენად ვართ ჩვენ ამ გონიერების გამოხატულება? ყოველივედან გამომდინარეობს ბუნებრივი კითხვა: სამყარო შექმნა გონებამ თუ გონიერება სამყარო?

რომელია პირველადი გონიერება, სული, ცნობიერება თუ მატერია, რეალურად არსებული გარემო?

ყოველივე სახვადასხვანაირად იყო ახსნილი ადამიანთა მიერ. საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრდა მონისტური თვალსაზრისი (მონოსბერძნულად ერთი). მონისტური შეხედულების თანახმად. სამყაროს ერთი საწყისი აქვს. იმის მიხედვით თუ რა იყო საწყისად მიჩნეული, სიბრძნის მოყვარენი ორ ძირითად ჯგუფად გაიყვნენ. ვინც აღიარებდა, რომ სამყარო ერთიანია რადგან იგი ერთიანი მატერიისაგან შედგება, განეკუთვნება მატერიალისტური მონიზმის ჯგუფს. ვინც აღიარებდა, რომ ერთიანობის საფუძველი მის სულიერ საწყისშია, — იდეალისტური მონიზმის მიმდევრად მიიჩნიეს. ამასთან, ორივე ხაზს უსვამდა როგორც მატერიალური, ასევე სულიერი მხარის არსებობას. მხოლოდ ერთნი ფიქრობდნენ, რომ მატერია პირველადია, განმსაზღვრელია, ის წარმოშობს სულიერს, ცნობიერს ხოლო მეორენი ამტკიცებდნენ, რომ პირიქით, სულიერი, ცნობიერი პირველადია, იგი საფუძვლად უდევს მატერიალურს. ვერც ერთი მიმდევრობის წარმომადგენელი ვერ უარყოფდა, რომ სამყარო რეალურად არსებობს და იგი გონივრულადაა მოწყობილი. მითითება, რომ სამყარო ერთიანია, რადგან იგი რეალურად არსებული ნივთიერებისაგან შედგება ან ერთიანია რადგან ზებუნებრივი გონების ნახელავია, საკითხის ახსნას ვერ იძლეოდა. ასევე არაა ბოლომდე ნათელი რელიგიური წარმოდგენები ღმერთის მიერ არაფრისგან სამყაროს შექმნის შესახებ. კიდევ უფრო სუსტია თვალსაზრისი, როცა ღმერთს ადამიანის სახით წარმოიდგენენ.

მრავლადაა თეორიები, რომლებიც თავისებურად ხსნიან სამყაროსა და მისი განუყოფელი შემადგენელის, საზოგადოების არსებობისა და განვითარების კანონზომიერებას. სიმრავლე ახასიათებს როგორც მატერიალისტური მონიზმის, ასევე იდეალისტური მონიზმის მიმდინარეობას.

ახლო წარსულში ფართე გავრცელება ჰპოვა პოზიტივიზმმა, რომლის თანახმად უარყოფილია ფილოსოფიის განმაზოგადებელი, მსოფლმხედველობითი ხასიათი. ეგზისტენციალისტები, პერსონალისტები კი პირიქით, ფილოსოფიას წყვეენ კონკრეტულ მეცნიერებებს. მათი თვალსაზრისით, კონკრეტული მეცნიერებები მატერიალისტური მოთხოვნილებებითაა გაჯერებული, ფილოსოფია კი სულიერი. ყველასაგან განსხვავებული თავისებურებებით ხასიათდება მარქსისტული ფილოსოფია. უახლოეს წარსულში, იგი ითვლებოდა ერთადერთ ჭეშმარიტ შეხედულებად სამყაროსა და საზოგადოების შესახებ. გამოდის რა მატერიის პირველადობიდან და ცნობიერების მეორადობიდან, იგი უარყოფს არაფრიდან რაიმეს

შექმნის შესაძლებლობას. ამ ძირითად დებულებას ადასტურებს ისეთი მეცნიერული მონაცემებით, როგორიცაა ენერგიის შენახვისა და გარდაქმნის კანონი, ცოცხალ ორგანიზმთა უჯრედოვანი აგებულება და ა.შ.

მატერიალისტური მონიზმის თანახმად ყველაფერი რაც ადამიანის გარშემოა, არსებობს არა მხოლოდ მის წარმოდგენაში, არამედ მის გარეშე. თვით ადამიანი რეალობაა და არა წარმოდგენა. შესაბამისად, ყოველივე რეალური მატერიალურია. მატერიის ცნებაში მოიაზრება რეალობა, ობიექტურად არსებობა. ის, რაც არსებობს და ადამიანს ეძლევა შეგრძნებათა სახით ან არსებობს თუნდაც მის შესახებ არაფერი ვიცოდეთ. სამყაროს მატერიალურობა მისი ერთიანობის საფუძველია. თვით მატერია კი რთული აგებულებისაა. მეცნიერება ადასტურებს ცნობილი უმცირესი ელემენტების აგებულების სირთულეს. მათი შემადგენლობის დადგენა მეცნიერებას დღეს არ ძალუძს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ არის საგნები და მოვლენები, რომელთა შეცნობა ადვილია, მაგრამ მრავლადაა საგნები, რომელთა ბუნების გაგება მეცნიერებას ჯერ არ შეუძლია. სამყარო უსაზღვროა, ადამიანის ცოდნა შეზღუდული. მატერიალისტური თვალსაზრისის თანახმად, სამყაროს მატერიალურობა, იქ არსებული საგნებისა და მოვლენების საყოველთაო კავშირისა და ურთიერთზემოქმედების საფუძველია. შესაბამისად, ყოველი საგანი თუ მოვლენა, მის კავშირებსა და განვითარებაში უნდა იქნეს შესწავლილი.

მატერიალისტური მონიზმი ყოფიერებისა და ცნობიერების, მატერიალურობისა და სულიერების საკითხს პირველის სასარგებლოდ წყვეტს. მიიჩნევს, რომ ყოფიერება, მატერიალურობა პირველადია და განმსაზღვრელი. ცნობიერება, სულიერება განსაზღვრული და მეორადი.

იდეალისტური მონიზმი მიიჩნევს, რომ ყოველივე პირიქითაა. ცნობიერება განსაზღვრავს ყოფიერებას. სულიერება პირველადია, მატერიალურობა მეორადი.

ფაქტობრივად იგივეს იმეორებს ყოველი რელიგია, როცა სამყაროს შექმნას ღმერთის ან ღმერთების სურვილს მიაწერს. არაფრისაგან არსებულის წარმოშობა რელიგიური რწმენის საფუძველია. ამიტომაა, რომ ყოფიერთან წინააღმდეგობის დაძლევას რელიგია ბრმა რწმენის მეშვეობით ცდილობს. ღმერთი, მისი ქმედება რწმენის სფეროა და არა განსჯის.

რათა დავეთანხმოთ ან უარვყოთ ამ მიმდინარეობათა მტკიცებები, უნდა გავერკვეთ ზოგიერთ ცნებაში.

პირველ ყოვლისა, რა იგულისხმება მატერიის ცნებაში? ვთქვათ, ძველი ბერძენი ფილოსოფოსი თალესი, მატერიის სახით წყალს წარმოიდგენდა და მას მიიჩნევდა ყველაფრის სათავედ. მეორე ფილოსოფოსი,

ანაქსიმენი, უსაზღვრო მატერიად ჰაერს მიიჩნევდა, ჰერაკლიტე კი ცეცხლს. იყო აზრთა სხვადასხვაობა. დღეს მატერიის ცნებაში ერთიანდება ყველაფერი რაც კი შეიძლება არსებობდეს. ყოველივე არსებული მატერიალურია. არამატერიალურის წარმოდგენა შეუძლებელია. ყოფიერება მატერიალურობაა.

როგორ უნდა გავიგოთ ცნობიერება? ცნობიერების ცნებაში იგულისხმება ობიექტურად არსებულის ასახვის უნარი. მიჩნეულია, რომ არსებულის ასახვის, აზროვნების უნარი ადამიანის თვისებაა. იგი სულიერია, გრძნობს, აღიქვამს, აზროვნებს, აცნობიერებს. ცნობიერება ადამიანის განმსაზღვრელია, მისი თვისებაა.

ამრიგად, ადამიანის აზროვნების ეს ორი მიმართულება ურთიერთგამომრიცხავ დასკვნებს აკეთებს. მატერიალისტები ირწმუნებიან, რომ უმატერიოდ არაფერი არ არსებობს და არაფრიდან რაიმე არ წარმოიშვება. იდეალისტები პირიქით, მიიჩნევენ, რომ ცნობიერება მატერიალურის განმსაზღვრელია.

რელიგია მათთან შედარებით მომგებიან მდგომარეობაშია, როცა აღნიშნავს, რომ ღმერთი, აბსოლუტური გონება, ძალა, სული, წარმოშობს და აწესრიგებს სამყაროს. დებულება რწმენას ემყარება და შემოწმებას, მტკიცებას არ საჭიროებს.

ვნახოთ მატერიალისტების შინაგანი წინააღმდეგობა. მართებულია, რომ ყოველივე არსებული მატერიალურია და არაფრიდან არაფერი არ წარმოიშობა. მაშინ ისმის კითხვა: მატერია დროთა განმავლობაში არაფრიდან ცნობიერებას როგორ წარმოშობს?

იგივე ითქმის იდეალისტებზე. ცნობიერება მატერიალურს როგორ წარმოშობს და განსაზღვრავს?

პასუხის ძიებაში დუალიზმის (ორმაგობის-ლათინურად) მომდევრები ყოფიერების ორი სუბსტანციის (არსის-ლათინურად) აღიარებამდე მივიდნენ. ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი რენე დეკარტი (1596-1650) ამტკიცებდა, რომ ყოფიერებას საფუძვლად უდევს ორი ურთიერთგამომრიცხავი სუბსტანცია მატერია და სული (ცნობიერება). სხეულისა და სულის არსებობას განსაზღვრავს ღმერთი (მესამე სუბსტანცია).

ადმიანი უსაზღვრო სამყაროს გარკვეულ გარემოში (განზომილებაში) არსებობს. შესაბამისად იგი ამ განზომილებას შეიმეცნებს და აკეთებს დასკვნებს. რამდენადაც სამყაროს სხვა განზომილებანი მისთვის უცნობია, არსებული განზომილების შესახებ ობიექტური ცოდნა მწირია, იგი ვერ წვდება მთლიანი სამყაროს არსებობისა და განვითარების რეალურ მდგომარეობას. სამყაროს შეცნობის მისწრაფება აბსოლუტურია, ცოდნა

ფარდობითი. აგნოსტიციზმის ფილოსოფიური მიმდინარეობა ობიექტური რეალობის არსებობასა და მისი შეცნობის შესაძლებლობასაც საეჭვოდ მიიჩნევდა. დავიდ იუმი (1711-1776წწ) ირწმუნებოდა, რომ ჩვენ არა მხოლოდ არ ვიცით როგორებია საგნები თავისთვის, არამედ ისიც არ ვიცით, რამდენად რეალურად არსებობენ ისინი.

ფარდობითობა ადამიანის არსებობის განზომილებასა და სამყაროს სხვა განზომილებათა შორის (რომელიც შეიძლება მრავალი იყოს), ერთი მხრივ, და ადამიანის არსებობის განზომილებასა და ადამიანის ცოდნას შორის, მეორე მხრივ, მიუთითებს თვით ამ ცოდნის ფარდობითობაზე. რამდენიც არ უნდა ვეცადოთ სამყაროზე სრულყოფილი ობიექტური წარმოდგენის შექმნას, იგი მაინც შეზღუდული იქნება, სუბიექტურის შემცველი და იმდენად მეტად, რამდენადაც ადამიანური შინაგანი შემეცნებითი განზომილებიდან გამოვალთ.

რამდენად მართებულია ერთიანი სამყაროს დაყოფა მატერიად და სულად, ყოფიერებად და ცნობიერებად და შემდეგ იმისი ძიება თუ რომელია პირველადი და რომელი მეორადი, განმსაზღვრელი და განსაზღვრული? იქნებ ერთი არ არსებობს მეორის გარეშე და პირიქით? რამდენად სწორეა არსებულის წარმოდგენა უსულოდ? ყოველი არსებული თუ ცვალებადია, რეაგირებს გარემოზე, იქმნება და ისპობა განა არ ნიშნავს, რომ მისთვის აუცილებელ განზომილებაში ცოცხალი არსებისათვის დამახასიათებელი აღქმის, შემეცნების უნარი გააჩნია? განა თვით მატერიალისტები არ მიუთითებენ, რომ უმოძრაო, უცვლელი რეაგირების უნარს მოკლებული მატერია არ არსებობს? ან იქნებ აღქმის, შემეცნების უნარი, ფორმა, წესი მატერიის ყველა საგნისათვის ერთნაირი უნდა იყოს? იქნებ ცნობიერების სხვა წესისა და ფორმის მატარებლებსაც ჩვენ ისევ ცნობიერებას მოკლებულად მივაჩნივართ, როგორც ჩვენ ისინი? რატომ ვფიქრობთ, რომ გამონაკლისები ვართ? კითხვა მრავალია, პასუხი ერთი: ადამიანმა ან უნდა დაუშვას, რომ არ არსებობს მატერია სულის გარეშე და სული მატერიის გარეშე ან დაეთანხმოს ერთ-ერთი მიმდინარეობის მტკიცებას და ვერ შეამჩნიოს თავისი სუბიექტივიზმი და ცალმხრიობა. თუ ვაღიარებთ რომ სამყარო გონიერადაა მოწყობილი, გონიერება ან მატერიის თვისებად ვაღიაროთ ან გონიერი ვეძიოთ მატერიალური სამყაროს იქით და მივიდეთ ღმერთის, როგორც არა მატერიალური გონისა და ძალის რწმენამდე. ასეთ შემთხვევაში კი აბსურდულია ღმერთის წარმოდგენა ადამიანის სახით და მისთვის სალოცავი სახლების შენება, მისი ნების მცოდნე ადამიანების არსებობის დაშვება და ა.შ.

ადამიანური აზროვნება ობიექტური სუბიექტურია. იგი ყოველთვის ცდილობს ჩაწვდეს ობიექტურ სინამდვილეს, გაერკვეს არსებულში, შეიმეცნოს რეალობა, მაგრამ შეზღუდულია ქმედებაში, გამოდის არა სამყაროს პოზიციიდან, არამედ ადამიანური გონების არსებული შესაძლებლობიდან. ამიტომ მიდის მატერიისა და სულის, არსებობისა და სიცოცხლის უნარის, ყოფიერებისა და ცნობიერების დაპირისპირებამდე. სინამდვილეში რატომ უნდა ვეძიოთ დაპირისპირება იქ, სადაც ერთობაა და ჰარმონია? განა მატერიის რომელიმე სახეს, ფორმას ჯერ ეძლევა არსებობა და შემდეგ იძენს გარემოს აღქმისა და მასზე რეაგირების უნარს? განა არ ვიცით, რომ არსებობენ ახალგაზრდა და მოკვდავი ვარსკვლავები, პლანეტები, ზღვები, მდინარეები, მთები და ა.შ.? თვით ადამიანს ჩასახვისთანავე ეძლევა სიცოცხლის ყველა ადამიანური ნიშანი? მაშ რატომ უნდა გავთიშოთ და დავუპირისპიროთ მატერიალური და ცნობიერი, რატომ არ განვიხილოთ როგორც გაორებული ერთი, სადაც ჰარმონიაა და არა ბრძოლა, ურთიერთგამორიცხვა.

სამყარო თავის თავს არ ყოფს მატერიალურად და სულიერად. ის არსებობს მათ ჰარმონიულ ერთობაში. ადამიანი, თავისი ცნობიერების განზომილებიდან გამომდინარე, აღიარებს რა თავისი სხეულის მოკვდავ ხასიათს, ხაზს უსვამს სულის უკვდავებას და აორებს და აპირისპირებს რა შინაგან მ-ეს, იგივე მიდგომით განიხილავს სამყაროს. სამყარო ერთია თავისთვის, ისე, როგორც იგი არსებობს და მეორეა როგორ შეიმეცნებს მას ადამიანი, რას ფიქრობს მასზე. ამიტომაა რთული სამყაროზე ობიექტური წარმოდგენების შემუშავება. ობიექტური სუბიექტურის უკუპროპორციულია.

2.არსებულის არსებობის არსებითობა

ადამიანის არსებობის განზომილების ფარგლებში, რამდენადაც ამის საფუძველს ლოგიკა და მეცნიერება გვკარნახობს, არსებული უნდა განვიხილოთ როგორც გაორებული ერთი. ის რაც არსებობს არის მატერიალური და სულიერი. ერთი მეორის გარეშე არ არსებობს. მათი ერთობა აბსოლუტურია, გამოვლენა გაორებისა ფარდობითი. ამის მიხედვით არსებობს სამყაროს მოვლენები და საგნები, რომელთა შორის საყოველთაო კავშირები და ურთიერთზემოქმედებაა. საყოველთაო კავშირები და ურთიერთზემოქმედება განაპირობებს არა მხოლოდ ერთობას, არამედ მუდმივ ცვლილებასა და განვითარებასაც. მათ გარეშე რაიმე მოვლენის ან საგნის განხილვას ცალმხრივი ხასიათი ექნება.

არსებულის არსებობა, ყოველი პერიოდის მოაზროვნეთა მიერ სხვადასხვანაირად იყო და არის გაგებული. ადამიანთა ცნობიერების დონე ხელს უწყობდა განსხვავებულ თვალსაზრისთა დაპირისპირებას.

ცნობიერების დაბალ დონეზე მყოფი ადამიანი ვერ ხვდებოდა ბუნების ბევრ მოვლენათა არსს და მათ ხშირად ღვთიურ ხასიათს ანიჭებდა. სტიქიური მოვლენები მას ბოროტი ან კეთილი ღმერთების, სულების ნების გამოვლენა ეგონა, ადამიანების დასჯის ან წახალისების მიზნით. მეორე მხრივ, ცხოვრებისეული მოთხოვნები და ინტერესი აიძულებდა ადამიანებს შეემუშავებიათ პრაქტიკული შეხედულება ბუნების მოვლენებზე, მათი არსებობის განზომილებაზე. ამ გზით იქმნებოდა წარმოდგენები ასტრონომიული, გეოგრაფიული, გეომეტრიული, აგრონომიული და ა.შ. სხვანაირად, ადამიანი ვერ შეძლებდა არსებობისა და განვითარების თანამედროვე პირობების შექმნას. მატერიალური და სულიერი მოთ-ხოვნილებები იყო მეცნიერული შეხედულებების შემუშავების საფუძველი.

ძველი მოაზროვნენი ცენტრში ადამიანს აყენებდნენ და მისი შესაძლებლობიდან გამომდინარე წარმოიდგენდნენ სამყაროს სურათს. პითაგორელები, სოფისტები და სხვ. მიიჩნევდნენ, რომ რამდენადაც ადამიანი აღიქვამს გრძნობების მეშვეობით ყველა საგანს თუ მოვლენას, ამდენად იგია მთავარი, განმსაზღვრელი. გარემო ისეთია, როგორც მას ადამიანი შეიმეცნებს. სამყარო სხვანაირი ვერ იქნება თუ არა ისეთი როგორაც მას ადამიანი წარმოიდგენს. იყვნენ ცალკეული მოაზროვნეები, რომელიც თავისი დროისათვის უცნაურ იდეებს აყენებდნენ: ყოველი საგნის ატომებისაგან შედგენილობის, წინააღმდეგობის, სამყაროს ჰელიოცენტ-რიული აგებულების შესახებ და ა.შ., მაგრამ ეს იყო გამონაკლისი. საზოგადოებაში სულ სხვა შეხედულებები ბატონობდა. მოაზროვნეთა

ნაწილი არსებულს ყოველთვის მატერიის რაღაცა ფორმით წარმოადგენდა და მიაჩნდა, რომ მთელი სამყარო ასეთი პატარა ნაწილაკებისგანაა შედგენილი. ამტკიცებდნენ, რომ ყოველივე არსებული ატომებისგან, მოლეკულებისგან, ელექტრონებისგან შედგება. ბოლოს აღმოჩნდება, რომ ყოველი უმცირესი ელემენტი რთული შედგენილობისაა. ამ ნიადაგზე არაერთხელ ყოფილა წამოყენებული აზრი მატერიის გაქრობის შესახებ. სინამდვილეში მატერია კი არ ქრებოდა, არამედ იცვლებოდა ადამიანის წარმოდგენა უსაზღვრო მატერიის განზომილების შესახებ. მატერია, როგორც არსებული და სულიერი არ ქრება, იგი ყველგანაა და ყველაფერში. უმატერიო საგნის წარმოდგენა, არსებულის არარსებობის წარმოდგენა შეუძლებელია.

ასევე, ჩვენ წელთაღრიცხვამდე იყო წამოყენებული იდეა ჩვენი პლანეტის ჰელიოცენტრულ სისტემაში არსებობის შესახებ. ეს აზრი დიდხანს დაკარგული იყო მეცნიერებისათვის. სამ ვეშაპზე მდგარი დისკ-პლანეტის რელიგიური თვალსაზრისის ჯიუტი ბატონობის პირობებში ვინ იცის რამდენი ჯორდანო ბრუნო შეეწირა ახლის (დავიწყებული ძველის) ძიებას, სანამ კოპერნიკის მტკიცება აღიარებული იქნებოდა. და დღესაც არაა სრული ჩვენი ცოდნა, რადგან მზის იქითა სივრცეს ნაკლებად ვიცნობთ.

არსებულის არსებითი ნიშანი მისი განუსაზღვრელობაა. ეს თავის მხრივ არ ნიშნავს მის უცვლელობას. ადამიანის არსებობის განზომილების ფარგლებში ჩვენ ვხედავთ არსებულ ცალკეულ ფორმებს და აღვიქვამთ მათ როგორც მზეს, მთვარეს, დედამიწას, ვარსკვლავებს, კომეტებს და ა.შ. ამავე დროს ვხედავთ, რომ მათ შორის რაღაცა მანძილია, სივრცეა. ეს სივრცეც არსებულის ნაწილია, მისითაა გაჯერებული, მაგრამ ჩვენთვის იგი საგნებს შორის დაშორების მიმნიშნებელია. ასევეა უშუალოდ ჩვენს გარემოში. ერთი საგანი (საგანი იმიტომაა, რომ სხვებისაგან გამოყოფილია) მეორეს რაღაცა მანძილითაა დაცილებული. ეს არ ნიშნავს, რომ მათ შორის უმატერიო და უსულო სივრცეა. მხოლოდ სხვა ფორმის ნივთიერებასთან გვაქვს საქმე.

ადამიანი ირგვლივ არა მხოლოდ ამჩნევს საგანთა მრავალფეროვნებას, არამედ ქმნის ან სპობს მრავალ მათგანს. გარკვეული ფორმისა და სულის საგანი იქმნება, იბადება, დროთა განმავლობაში არსებობს და ისპობა. ზოგიერთი საგნის არსებობა ხანმოკლეა, ზოგის ცვლილებებს ადამიანი თითქმის ვერ ამჩნევს. ვთქვათ, ადვილია დავინახოთ როგორ დაიღუპება მიწაში ჩაგდებული მარცვალი და აღმოცენდება ღერო, რომელიც ახალ მარცვალს წარმოშობს. რიყეზე შეიძლება ვნახოთ დაბადების ან მოსპობის პროცესში მყოფი ქვა, მაგრამ მისი არსებობის

ყველა ციკლის თვალის გადეენება ჩვენი არსებობის ხანგრძლივობას ბევრად აღემატება.

ის რეალობა არსებულის არსებობისა, რომ ჩვენ აღვიქვამთ ცალკეულ საგნებს, მოვლენებს, რომლებიც სხვა საგნებსა და მოვლენებს მანძილითა და დროით არიან დაშორებულნი, ნიშნავს თუ არა, რომ მას დროსა და სივრცის გარეშე არ შეუძლია არსებობა? თვით სივრცე მატერიალური არაა? ან დრო მატერიის არსებობის გამომხატველი არაა? მატერიისა და სულისათვის, როგორც არსებულისათვის, შეიძლება არსებობდეს დრო და სივრცე? ხომ არ აღნიშნავს არსებულის სახეებისა და ფორმების არსებობის სივრცე და დრო საერთოდ არსებულის არსებობის წესსა და ფორმას? კითხვა მრავალია. იმის მიხედვით თუ როგორ გაიაზრებს მოაზროვნე, შეიძლება პასუხი განსხვავებული მიიღოს.

სამყარო უსასრულოა. ეს ნიშნავს რომ მისთვის არ არსებობს ზღვარი როგორც სივრცეში, ისე დროში. ის ყველგანაა და მუდმივია. მისი ან დასაწყისის ან დასასრულის ან ნაპირის ან შუაგულის მოაზრება შეუძ-ლებელია. ჩვენთვის ცნობილია ადამიანის არსებობის განზომილება. თვით ამ განზომილებაზე ჩვენ თითქმის არაფერი არ ვიცით. მოაზროვნეთა კამათი იმის შესახებ მზის სისტემა ან გალაქტიკა, სადაც მზის სისტემა ერთ მცირე ნაწილს წარმოადგენს შეიქმნა 5 ან 15 მილიარდი წლის წინ მხოლოდ ერთეულ ადამიანთა ვარაუდია. დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ის რეალურად არსებობს და არსებულის ნაწილია. არსებულის არსებობის არსებითი ნიშანი მისი მუდმივი ცვლილებაა, მოძრაობაა. მოძრაობა, ჩვენთვის ცნობილი და უცნობი ფორმებით არსებულის არსებობის წესია. მოძრაობა აბსოლუტურია, უძრაობა ფარდობითი.

აზროვნების ლოგიკა ადასტურებს იმ სინამდვილეს, რომ სამყაროში ყველაფერი ცვალებადია. ცვლილებას განიცდის ყოველივე არსებული, თუმცა ზოგჯერ გვეჩვენება, რომ არის მუდმივი, უცვლელი საგნები და მოვლენები. რეალობა ცხადყოფს, რომ ამ გაგებით ცვალებადობა, ისევე, როგორც უცვლელობა ფარდობითია.

არსებულის ცვლილების მრავალი სახე არსებობს. არის ცვლილება მექანიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ა.შ. ცვლილების ზოგ სახეს ადამიანი შეიძლება ვერც მოიაზრებს. ზოგი სახის ცვლილების შემჩნევა ადვილია, ზოგს რთული ხელსაწყოების გამოყენებით ადგენენ, ზოგის არსებობა მომავალი მეცნიერული კვლევის შედეგად შეისწავლება. თუ მეცნიერული ცოდნის დღევანდელი დონე ვერ წვდება რაიმე საგნის, მოვლენის ცვლილებათა არსს, ეს არ უნდა იქცეს მცდარი დასკვნების საფუძვლად.

მოძრაობის ფორმებიდან ცალკე გამოყოფენ ორგანულ სიცოცხლეს. ცოცხალ ორგანიზმს გარემოსთან დაუსრულებელი გაცვლითი პროცესები აქვს. ამ პროცესებიდან უმაღლესია ჯგუფური, კოლექტიური ორგანიზმის მოქმედება. კოლექტიური ურთიერთობა არსებულის მოძრაობის მაღალ ფორმას განეკუთვნება. ჯგუფურ, კოლექტიურ ცხოვრებასთანაა დაკავშირებულ აზროვნებითი მოქმედება, როგორც ტვინში მიმდინარე ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური პროცესების ერთობა. მოძრაობის სხვადასხვა ფორმები საყოველთაო კავშირებში იმყოფებიან ერთიმეორეში გადადიან და მათი შესწავლაც ასე უნდა წარმოებდეს. მოძრაობის ასეთ ფორმებს განეკუთვნება საზოგადოებრივი ცხოვრება. ადამიანთა საზოგადოება, კოლექტიური აზროვნება, რთული და მრავალმხრივი პროცესია, რომლის შესწავლა, სხვა არსებათა კოლექტიურ აზროვნებასთან შედარება, სრულყოფა, მომავლის საქმეა.

ადამიანის არსებობის განზომილებაში ცნობილი მოძრაობის ფორმები, არ გამორიცხავს სხვა ფორმათა არსებობის შესაძლებლობას. ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ადამიანი უეჭველად ჩაწვდება ზოგი მათგანის არსს. ცნობილი ფორმებით შემოსაზღვრა კი იმის აღიარება იქნებოდა, რომ არ არსებობს არსებულის სხვა განზომილება.

არსებულის მოძრაობის აბსოლუტურობას ზოგი მოაზროვნე პროგრესულად განვითარებად პროცესად მიიჩნევს. თუ დავეთანხმებით მოძრაობის ასეთ შეფასებას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ მატერიის მოძრაობას ოდესღაც ჰქონდა საწყისი. საწყისის დაშვება ნიშნავს დავეთანხმოთ განმარტებას 15 მლრ. წლის წინ აფეთქების შედეგად მზის სისტემის ანუ სულაც ჩვენი გალაქტიკის წარმოშობის შესახებ. ეს თავის მხრივ ბადებს კითხვას: აფეთქებულმა უსულო მატერიამ სული როგორ შეიძინა, როგორ გაჩნდა არ არსებულიდან არსებული. მეორე მხრივ ეს დასკვნა მიგვიყვანს მომავალი კატასტროფის გარდაუვალობის და სულის როგორც არსებულის გაქრობის აღიარებამდე. რამდენად დასაბუთებადია ყოველივე? ეგებ სულიერება არსებულის არსებითი არსია და პროგრესულობის ის ფორმები, რომელსაც ადამიანი ამჩნევს, ნიშნავს არა არსებულის (მატერიის) პროგრესულ განვითარებას, არამედ მისი ცალკეული ფორმების განვითარებას დაბალი ფორმებიდან მაღალ ფორმებისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ. ამ შემთხვევაშიც კი შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ თუ მატერიის, მოვლენის, პროცესის საწყისს და მონაწილე ობიექტურად არსებულში არ დევს სულიერის, აღქმის, ცვლილებების, გარდაქმნის უნარის მქონე არსებული, მისგან რაღაცა არ არსებულის, წარმოუდგენელის, არა პოტენციურის გაჩენა, წარმოქმნა, განვითარება შეუძლებელია.

მოძრაობის აბსოლუტურობა და უძრაობის ფარდობითობა კარგად ჩანს დროსა და სივრცის გაგებასთან დაკავშირებით. მტკიცება რომლის თანახმად, მატერია არ არსებობს დროსა და სივრცის გარეშე, პირველ რიგში ზღვარს უდებს მათსავე დებულებას სამყაროს უსასრულობის შესახებ. ასევე იზღუდება მოძრაობის აბსოლუტურობის ცნება. თუ არსებობს სივრცე, სადაც მატერია მოძრაობს, მაშინ უნდა დავუშვათ სივრცის იქით რაღაცის არსებობა სადაც მატერია არ მოძრაობს. რა შეიძლება იყოს ეს? უძრავი მატერია, უმატერიო სივრცე თუ რა?

ბევრად ლოგიკურია თუ დავეთანხმებით აზრს, რომ არსებული (მატერიისა და სულის ერთობა) უსაზღვროა. მის განფენილობას, ისევე, როგორც არსებობას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. მისთვის დრო და სივრცე არ არსებობს. სხვა სურათს მივიღებთ თუ განსახილველად ავიღებთ ადამიანის არსებობის განზომილებას ანუ იმ ხილულ სამყაროს, რომელსაც ადამიანი აღიქვამს და რომლის შესახებ აქვს წარმოდგენა. ამ განზომილებაში ადამიანი მისი არსებობის გარემოს გარკვეულ ნაწილს წვდება და ადგენს, რომ არსებობს სივრცე საგნებს შორის და დრო, როდესაც ისინი არსებობენ ან იცვლებიან. ამ შემთხვევაში მართებულია აზრი, რომ არსებული არ არსებობს დროსა და სივრცის გარეშე. დროსა და სივრცის შიგნით კი მოძრაობა (მატერიის უნარი გადაადგილდეს, მოახდინოს რეაგირება გარემოზე, აღიქვას ზემოქმედების ხასიათი, შეიცვალოს, გარდაიქმნას) აბსოლუტურია. მატერიის სულიერება აბსოლუტურია, უძრაობა, უცვლელობა, მკვდრად ყოფნა კი ფარდობითი.

საჭიროა საკითხს მივუდგეთ ზოგადისა და კონკრეტულის ფარდობითობის ჭრილში. ზოგადად აღებული არსებული ყველგანაა და ყველაფერში. მას არ შეიძლება ჰქონდეს ზღვარი სივრცესა და დროში. კონკრეტულად აღებული არსებული, ადამიანის არსებობის განზომილება, ხილული ან ხილვას შესაძლებელი არსებული, გალაქტიკები, ცალკეულ ვარსკვლავთა სისტემები (მსგავსად მზის სისტემისა) არსებობს დროსა და სივრცეში. სივრცე და დრო ამ განზომილების ფარგლებში ობიექტური რეალობაა იმის და მიუხედავად ცნობს მათ არსებობას ადამიანი თუ არა. ასევე არ აქვს ამ ჭრილში მნიშვნელობა რა ხერხებით აღიქვამს ადამიანი მათ არსებობას, რა საზომებით და რა ფორმებით.

არსებულის მოძრაობა, — მისი სიცოცხლე (ცვლილება მოძრაობის პროცესში), მოძრაობის დრო და სივრცე ორგანულ კავშირში იმყოფება. ამას ნათლად ადასტურებს მეცნიერების ის დასკვნები, რომლებიც დადგენილია მიკროსამყაროს შესწავლის დროს. მასის ცვლილება მოძრაობის ცვლილების პროპორციულია. მოძრაობის ცვლილების უკუპროპორციულია დრო.

ამრიგად, თუ დავეთანხმებით იმ აზრს, რომ სამყარო მრავალგანზომილებიანია, მაგრამ ერთიანი, რომ ერთობის საფუძველი ცოცხალი მატერიაა (სულიერი მატერიაა), რომ არ არის გახლეჩილი ცნობიერი და ყოფიერი, რომ ამ არსებულის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს ადამიანის არსებობის (ადამიანისათვის ხილული) განზომილება, რომ ამ განზომილების ადამიანური აღქმა ცხადყოფს ჩამოთვლილი ნიშნების ობიექტურობას, რომ ეს განზომილება თავად ცოცხალი (მოქმედი) ორგანიზმია, რომ მისი ნაწილები არსებობენ სივრცესა და დროში, მაშინ შეეცადოთ გავარკვიოთ არსებულის შეცნობადობის შესაძლებლობა.

3. არსებულის შეცნობადობა

არსებულის შეცნობის პროცესი მოითხოვს იმ ძირითადი დებულებების, ცნებების, დასკვნების ცოდნას, რომელთაც ფილოსოფიური კატეგორიები ეწოდებათ. მოკლედ გავაცნობიეროთ მათი ძირითადი ნაწილი.

ფილოსოფიური კატეგორიების საერთო მახასიათებელია მათი საყოველთაობა. ეს ნიშნავს, რომ ყოველი კატეგორია მოქმედებს ხილული არსებულის ყველა სფეროში. ადამიანური განზომილების არსებულის დამახასიათებელია კატეგორიის მოქმედების განუსაზღვრელობა. ამდენად კატეგორიები გაგებული უნდა იქნან, როგორც ობიექტურად არსებული და მოქმედი, რომელთაც თეორიულ-ლოგიკურ აზრად, დებულებად გამოსახავს ობიექტურად მოაზროვნე. მისი მიზანია არსებულის არსებობის არსებითი მხარეების დადგენა და არა მხოლოდ ადამიანური აზროვნების ლოგიკური მოწესრიგება. ყოველი კატეგორია ადამიანური აზროვნების (სხვა არსებათა აზროვნებას ადამიანი ვერ წვდება) მიღწევაა, რომელიც რეალური სინამდვილის უზოგადეს კავშირებსა და მოვლენებს ასახავს. შესაბამისად, მის პრაქტიკულ მოღვაწეობასაც მაშინ ექნება შედეგი, როდესაც იგი ამ კატეგორიების მოთხოვნათა თანახმად იმოქმედებს.

არც ერთი ფილოსოფოსისათვის საეჭვო არ იყო, რომ არსებული (საგნები, დედამიწა,მზის სისტემა, გალაქტიკა სამყარო) მისი გაჩენამდეც იყო და მის შემდეგაც იარსებებდა. კამათობდნენ სხვა რამეზე: როგორ შეიცნობს ადამიანი სამყაროს; რამდენად ზუსტია მისი ასახვის უნარი; შეხედულებანი; რას წარმოადგენს ცნობიერება; რა უფრო არსებითია-არსებული, რაც უნდა შეიცნოს თუ ადამიანი, რომელიც შეიმეცნებს; მისი შემეცნების შედეგი რამდენად შეესაბამება რეალურს და ა.შ.

ადამიანები ყოველდღიური მოღვაწეობის დროს ზემოქმედებენ გარემოზე და განიცდიან უკუზემოქმედებას, გარდაქმნიან მას, უკვირდებიან, აღმოაჩენენ რაიმე ახალს და ამ პროცესში თვითონაც სწავლობენ, გარდაიქმნებიან. თუ ადამიანებს არ ეცოდინებათ საგანთა და მოვლენათა ბუნება, თუ მათი გაგება შეუძლებელი იქნა, მაშინ ველარც ზემოქმედებას მოახდენენ.

ადამიანთა მოღვაწეობას საფუძვლად უდევს არსებულის შეცნობის შესაძლებლობა. შეგრძნების ორგანოების მეშვეობით ადამიანი იღებს რაიმე ინფორმაციას, ხდება საგნის ან მოვლენის ასახვა ტვინში, რომლის სიზუსტეს პრაქტიკით ამოწმებს. თუ დავუშვებთ, რომ მიღებული ინფორმაცია არაა ზუსტი, გრძნობის ორგანოები ყოველთვის ატყუებენ ადამიანს, მაშინ აზრი აღარ აქვს ასეთი ორგანოების ქონას. სინამდვილეში პირიქითაა. ეს ორგანოები კი არ თიშავენ გარემოსაგან, არამედ მასთან ურთიერთობის ბუნებრივ საშუალებას წარმოადგენენ, აძლევენ სწორ ინფორმაციას და აახლოებენ სამყაროსთან. მათი მეშვეობით ხდება საგანთა და მოვლენათა აღქმა. საგანი სხვადასხვანაირად მოქმედებს გრძნობის ორგანოებზე, მაგრამ ადამიანი მას მთლიანობაში აღიქვამს. ამასთან აღქმის სისრულეზე ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ინტერესიც, აღქმის უნარი, საშუალება.

ადამიანი არა მხოლოდ აღიქვამს საგანს, ან მოვლენას, არამედ იმახსოვრებს კიდეც მას და საჭირო შემთხვევაში შეუძლია წარმოიდგინოს გონების ძალით. წარმოდგენის უნარი შესაძლებელს ხდის შედარდეს ძველი ინფორმაცია ახალს და გაკეთდეს შესაბამისი დასკვნა. საერთო გამოცდილების არსებობა იმის საფუძველია, რომ ადამიანმა არნახული საგანიც კი წარმოიდგინოს. ამ ანალიზის დროს ადამიანი წყდება რეალურ სინამდვილეს და აზროვნებს აბსტრაქტულად.

აბსტრაქტული აზროვნების ძალით საგანთა ან მოვლენათა ჯგუფიდან შეიძლება საერთო ნიშნების გამოყოფა და მათზე ზოგადი წარმოდგენის, ცნების შემუშავება. ზოგადი ცნება, თავისუფლდება რა კონკრეტული ნიშნებისაგან, იდეალურის სახეს იძენს. თავის მხრივ, იდეალიზირებული, საგნებისა და მოვლენების შესწავლას აადვილებს, რადგან ისინი საბოლოო ანგარიშით რეალურ გარემოს ასახავენ. სხვაობა იმაშია, რომ გრძნობითი აღქმა ცალკეულ საგანს შეეხება, იდეალიზირებული წარმოდგენები, ცნებები კი საგანთა ტიპს მოიცავს.

აღქმის საფუძველზე ზოგადი ცნებების შემუშავების უნარი ადამიანს საშუალებას აძლევს გაუზიაროს სხვას თავისი შეხედულებანი ისეთ საგნებზეც კი, რომელიც მას არ უნახავს. აბსტრაქტული აზროვნების, იდეალიზირებული წარმოდგენებისა და ცნებების გარეშე შეუძლებელი

იქნებოდა საგანთა და მოვლენათა ზოგადი კანონზომიერების დადგენა.

მთლიანად შემეცნების პროცესი პრაქტიკული საქმიანობის დროს გრძნობით აღქმას ეფუძნება. აღქმის პროცესს ერთვის შეხედულებათა შემუშავება, რომლის დროს გამოიყოფა არსებითი, აუცილებელი, უარიყოფა შემთხვევითი და კეთდება დასკვნა. დასკვნა შეიძლება მიღწეული იქნეს ინდუქციური მეთოდით, როცა კონკრეტული ცოდნის საფუძველზე გამოდის ზოგადი დასკვნა და დედუქციური მეთოდით, როცა ზოგადი ცნების ცოდნის საფუძველზე დასკვნა კეთდება კონკრეტულის შესახებ. ამგვარი მსჯელობის გზით შემუშავდება რაიმე აზრი, რომელიც ჰიპოთეზაა, ვარაუდია, სანამ იგი პრაქტიკულად არ დადასტურდება. მეცნიერულად დასაბუთებული,პრაქტიკით შემოწმებული ჰიპოთეზა თეორიად გადაიქცევა.

თუმცა შემეცნების პროცესი გრძნობად აღქმას ეფუძნება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თეორიული ცოდნა უკუზემოქმედებას არ ახდენს აღქმაზე. როდესაც ადამიანმა იცის საგნის ან მოვლენის არსი თეორიულად, იგი შინაგანად უკვე მზად არის შესაბამისი აღქმისათვის. ასეთ შემთხვევაში თვით აღქმა ატარებს ერთდროულად გრძნობად და აზრობრივ ხასიათს.

ცოდნა, რომელიც პრაქტიკით დასტურდება ჭეშმარიტი ხდება. ობიექტური სინამდვილის რთული, მრავალმხრივი შესწავლის სიძნელე წარმოშობს აზრთა სხვადასხვაობას რომელთაგან ჭეშმარიტი პრაქტიკით დასტურდება. ადამიანთა ჭეშმარიტი ცოდნა ფარდობითია, ცვალებადია და მზარდია, მიისწრაფვის აბსოლუტური, ყველაფერზე ყველაფრის ცოდნისაკენ. რამდენადაც არსებული უსასრულოა, ამდენად მისი შემეცნების პროცესიც უსასრულოა, ხოლო ცოდნა ფარდობითი იქნება ყოველთვის.

შემეცნების პროცესის ასეთ გაგებას ეწინააღმდეგება ნეოპოზიტივისტთა მტკიცება შემეცნების თეორიისა და მეთოდის არამატერიალისტური ხასიათის შესახებ. მაგრამ, იმის გამო, რომ მეცნიერება სულ უფრო აბსტრაქტული ხდება, თეორიულ მსჯელობას უფრო აქვს ადგილი ვიდრე პრაქტიკის აღწერას, არ ნიშნავს, რომ მეცნიერების საფუძვლად მატერიალისტური მოვლენები და საგნები არ იყოს.

ფილოსოფიური მეთოდის ასეთი გაგებისაგან შორს არ დგანან სტრუქტურალისტები, რომელთა აზრით შემეცნების მეთოდი უნივერსალური ხასიათისა უნდა იყოს და არ ითვალიწინებდეს საგანთა და მოვლენათა სპეციფიკას. გამომდინარე საგანთა რეალური მდგომარეობიდან ლოგიკურია, რომ ზოგადი მეთოდის გარდა შეიძლება არსებობდეს ცალკეულ მეცნიერებათა სპეციფიკური მეთოდები და ფორმები.

ასევე არასწორია ნეპოზიტივისტთა (რ. კარნაპი, გ. რეიხენბახი)

მტკიცება, რომლის მიხედვით ბუნების შემეცნების, შესწავლის, დაკვირვების ორი მეთოდიდან სანდოა მხოლოდ გრძნობითი აღქმა, რაც შეეხება მეცნიერულ ექსპერიმენტს, აქ ადამიანი აქტიურად ერევა ბუნების მოვლენებში, სუბიექტურია და შეიძლება მცდარი დასკვნა გააკეთოს. დაუსაბუთებულია ნეოპოზიტივისტ კ. პოპერის დებულებაც, რომ არც ერთი დასკვნა არაა ჭეშმარიტი, ბოლომდე სანდო, რადგან მეცნიერებამ შეიძლება ის მომავალში უარყოს. ამდენად ყოველი მეცნიერული დასკვნა უნდა მივიღოთ სანდოდ ან არა სანდოდ, როგორც დროებითი ან არა როგორც ჭეშმარიტება.

გასაგებია, რომ არსებულის (საგანთა და მოვლენათა) შესწავლის დროს საკუთარ შესაძლებლობათა, კვლევის ხერხებისადმი, მეთოდებისა და ფორმებისადმი საერთო უნდობლობის პირობებში ძნელია მეცნიერულ შედეგებზე მსჯელობა. მეცნიერული ცოდნის შესაძლებლობა პრაქტიკულად გამოირიცხება. ასეთი დასკვნა არსებითად ეწინააღმდეგება ადამიანის მოღვაწეობის პრაქტიკას, ისტორიულ სინამდვილეს.

საზოგადოებრივი პრაქტიკისა და აზროვნების ისტორია, დღევანდელი დონე, განვითარების პერსპექტივა ცხადყოფს, რომ ადამიანი არსებულის აღქმის, შემეცნების, შეხედულებათა შემუშავების პროცესში უნარმოსილია სუბიექტური ჩამოიცილოს და გამოიყვანოს ობიქტური დასკვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ წარმოიშობდნენ მეცნიერების დარგები, არ იქნებოდა საზოგადოებრივი პროგრესი.

რეალობა ადასტურებს, რომ ცალკეული დარგები მეცნიერებისა ღრმად იჭრებიან არსებულის საიდუმლოებაში და წარმატებით იყენებენ ამ მონაცემებს. შესაბამისად უნდა დავასკვნათ, რომ ადამიანი სწვდება არსებულის ჭეშმარიტებას. ამ რეალობის არსებობის წესისა და ფორმების ზოგადი კანონზომიერების ფილოსოფიური გაგება მეცნიერებს საშუალებას აძლევს თავიდან აიცილონ მცდარი დასკვნები. ფილოსოფიური კანონებისა და კატეგორიების ცოდნა აუცილებელია, რათა კონკრეტული მეცნიერების წარმომადგენელმა თავის დარგში შეძლოს პრაქტიკის მონაპოვართა განზოგადება, მათი ახალი დებულების ან თეორიის სახით ჩამოყალიბება. რამდენადაც ფილოსოფია საგნებს და მოვლენებს განიხილავს მათ საყოველთაო კავშირებში, განვითარებაში, წარსულის გათვალისწინებით და ასეთი გზით გამოჰყავს თვალსაზრისი არსებული ცვლილებების, წინსვლის ტენდენციების შესახებ, ამდენად იგი კონკრეტული მეცნიერებისათვის კვლევის პროცესში სწორი ორიენტაციის მეთოდს წარმოადგენს. მეცნიერული ძიების დროს სწორი ორიენტაცია, ლოგიკური კატეგორიების მართებული გამოყენება, აუცილებელია პროცესში ღრმა

წვდომის, განზოგადების, თეორიული დასაბუთების მიზნით. ფილოსოფიური ცოდნა ადამიანს უკითარებს ლოგიკური აზროვნების, მსჯელობის უნარს. სხვანაირად წარმოუდგენელიც კია, რადგან ფილოსოფია სწავლობს არა მხოლოდ ყოფიერებას, არამედ ცნობიერებასაც, აზროვნების კანონებს.

მეცნიერული კვლევის დროს გვერდს ვერ აუვლით კატეგორიების სისტემას, საჭირო ხდება აუცილებელი გამოვყოთ შემთხვევითობისაგან, შინაარსი ფორმისაგან და ა.შ. კანონზომიერების უგულვებელყოფა ან არცოდნა იწვევს სუბიექტივიზმს, უკავშირდება ფატალიზმს და აფერხებს საზოგადოებრივი შემეცნების პროცესს.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამოცდილება ნათელყოფს, შეიძლება ადამიანს მიაჩნდეს, რომ მას ფილოსოფია არ სჭირდება, შეიძლება იგი მცდარ პოზიციებზე იდგეს, მაგრამ კვლევის, აზროვნების, მოქმედების დროს იგი მაინც ემორჩილება ამ კანონებისა და კატეგორიების მოთხოვნებს. მართლაც, თუ ადამიანი ვერ შეძლებს არსებითი განასხვაოს არაარსებითისგან, შესაძლებელი სინამდვილისაგან, აუცილებელი შემთხვევითისაგან, იგი ვერ გააკეთებს სწორ დასკვნას, მისი მოქმედება არ იქნება მიზანდასახული. ამიტომ დიდი მეცნიერები კი არ ემიჯნებოდნენ ფილოსოფიას, არამედ თავს უპირველესად ფილოსოფოსებად მიიჩნევდნენ, მიუხედავად იმისა თუ რომელ სფეროში უწევდათ მოღვაწეობა.

მეცნიერული მუშაობის დროს პრაქტიკა არის თვალსაზრისის სისწორის შემოწმების საშუალება. პრაქტიკა უკარნახებს ადამიანს სწორ გადაწყვეტილებას ცალკეულ შემთხვევებში. ამდენად ნებისმიერ მეცნიერს შეუძლია კონკრეტული მართებული დასკვნების გაკეთება, მაგრამ განზოგადება და თეორიის ჩამოყალიბება, მთლიანობაში გააზრება, ფილოსოფიურ-ლოგიკური აზროვნების საფუძველზე შეიძლება მხოლოდ. ამიტომაა, რომ ბევრი თეორეტიკოსი ზოგადი თეორიის შემუშავების დროს საბოლოო ანგარიშით ღმერთის იდეამდე მიდის, ამტკიცებს მატერიის გაქრობის, არაფრიდან რაიმეს წარმოშობის შესაძლებლობას. მეცნიერების იგივე მიღწევები კი სწორი ანალიზის დროს, უფრო გასაგები და მისაღები ხდება.

ფილოსოფიური კანონებისა და კატეგორიების მნიშვნელობა ასევე ნათლად ჩანს ჰუმანიტარული, პოლიტიკური, ეკონომიკური მეცნიერებების განვითარების მაგალითზე. იდეალისტური და მეტაფიზიკური თეორიები დღემდე ვერ იძლევიან საზოგადოებრივი პროგრესის სწორ ასახვას. შეუძლებელია მოვლენების მართებული გაგება თუ არ იქნა ისინი განხილული მათ საყოველთაო კავშირებში, მუდმივ ცვლილებებში, მოძრაობაში დაბალი ფორმის ურთიერთობიდან მაღლისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ, კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

4. არსებულის შეცნობადობის ძირითადი ცნებები

მეცნიერების ყოველ დარგს გააჩნია ის ძირითადი ცნებები, დასკვნები, კატეგორიები, რომელთა ცოდნის გარეშე კვლევა-ანალიზის წარმოება შეუძლებელია. ამავე დროს არსებობს ცნებები, რომლებიც საერთოა მეცნიერების მრავალი დარგისათვის. არის ცნებები რომელიც საერთოა მეცნიერების ყველა დარგისათვის, ადამიანური მოღვაწეობის ნებისმიერი სფეროსათვის. ყოველი ცნება მის განზომილებაში ობიექტური რეალობის ამსახველია. უზოგადესი ცნებები ასახავენ საყოველთაო კავშირებს და მოვლენებს და ცნობილი არიან, როგორც ფილოსოფიური კატეგორიები.

უზოგადეს ცნებათა სიმრავლე, მნიშვნელობა, მათდამი დამოკიდებულების მრავალსახეობა, თავის მხრივ განაპირობებს მათი გაგების არაერთგვაროვნობას. აზრთა და დამოკიდებულების სხვადასხვაობიდან გამოიყოფა შემდეგი:

1. აზროვნების შედეგად შემუშავებულ ცნებებს არ შეიძლება ჰქონდეთ საყოველთაო ხასიათი. ერთია აზროვნებითი ცნებები, მეორეა არსებული სამყარო;

2. თავად ძირითადი ცნებები თეორიულ-ლოგიკური კატეგორიებია და არა არსებულის ობიექტური ასახვა. მათი მიზანია ადამიანური წარმოდგენების მოწესრიგება და არა არსებულში გარკვევა;

3. ადამიანს შეუძლია ცალკეულის აღქმა, მოაზრება და არა ცალკეულში ჩადებული რაღაც ზოგადისა. ზოგადი არ არსებობს;

4. ზოგადი, ტიპიურის გამომხატველი, არსებობს, როგორც ღვთის მიერ მინიჭებული, ზებუნებრივი მონაცემი; არსებული ცალკეული, კონკრეტული ღვთიური ზოგადის გამოვლენის ფორმაა;

5. არსებული (ბუნება, საზოგადოება) არ უნდა განიხილებოდეს როგორც მიზეზი და შედეგი. მიზეზ-შედეგის ცნება ადამიანს სჭირდება რათა საკუთარი წარმოდგენები მოაწესრიგოს. ეს ადამიანური აზროვნების უნარია და შედეგი. მიზეზ-შედეგი რომ რეალურად არსებობდეს და მოქმედებდეს, მაშინ რა აზრი აქვს ადამიანის ჩარევას ბუნებაში, მის მოღვაწეობას. მოსახდენი მაინც მოხდება. ზოგადი ცნების აღიარებას ადამიანი ცრურწმენამდე და ფატალიზმამდე მიჰყავს;

6. არსებული, სინამდვილეში, შემთხვევითობის განუწყვეტელი პროცესია. თუ დავუშვებთ, რომ ბუნებაში და საზოგადოებაში მოქმედებს აუცილებლობა, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ადამიანიც ამ აუცილებლობითაა განსაზღვრული;

7. ბუნებაში და საზოგადოებაში ყოველგვარ ცვლილებას, არსებულის

არსებობას, აქვს თავისი მიზეზი. რამდენადაც არსებობა-ცვლილება თავისი მიზეზით არის განპირობებული, იგი შემთხვევითობად ვერ ჩაითვლება. შემთხვევითობა გამორიცხულია. თუ ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი, ეს მიზეზი შეიძლება ღმერთი იყოს;

8. საგნის, მოვლენის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი გამორიცხავს რა შემთხვევითობას, იძლევა შესაძლებლობას, რომელიც სინამდვილედ გადაიქცევა. ყოველ მოვლენას, საგანს აქვს ერთი შესაძლებლობა. მრავალი შესაძლებლობა აღარაა შესაძლებლობა;

9. ყოველ საგანს, მოვლენას აქვს რაღაცა ფორმა. ერთ საგანს ერთი ფორმა უნდა ჰქონდეს. იგი უცვლელია. თუ ფორმა ცვალებადია, თუ იგი ვითარდება მაშინ სხვა ფორმად გადაიქცევა და ის, იმ საგნის, ის ფორმა აღარაა;

10. ისეთი ცნებები, როგორიცაა არსება, აბსტრაქტული, ანალიზი, სინთეზი ყოველგვარ ობიექტურად არსებულ შინაარსს მოკლებული ლოგიკური ცნებებია და ა.შ.

მართალია არსებულის შეცნობა ადამიანის მიერ დაკვირვებით, აღქმით იწყება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის ობიექტის სიღრმისეული შესწავლისათვის. საგნის, მოვლენის არსის გარკვევა, ზოგადი თვისებების, კავშირების დადგენა, არსებითისა და არაარსებითის გამიჯვნა საჭიროებს ანალიზს, სინთეზს. ნებისმიერი მეცნიერება ამ მიზნით ეყრდნობა ფილოსოფიურ კატეგორიებს, ძირითად ცნებებს, რომლებიც საყოველთაოა როგორც ბუნებასთან, ასევე საზოგადოებასთან მიმართებაში. ამ ცნებებში გადმოცემული თვისებები, კავშირები ახასიათებს საერთოდ საგნებსა და მოვლენებს. მეცნიერებას არ შეუძლია გვერდი აუაროს ზოგადი კანონზომიერების ცნებებს, განზოგადების, აბსტრაქტული აზროვნების პროცესებს.

ძირითადი ფილოსოფიური ცნებებიდან (კატეგორიებიდან) გამოჰყოფენ შემდეგს:

— *<u>არსება და მოვლენა.</u>* არსება არის ის ძირითადი, შინაგანი ნიშანი რითაც ხასიათდება საგანი ან მოვლენა. მისი მხედველობითი აღქმა არ ხდება. გარეგნული, ზედაპირული არის მოვლენა, რომელიც წარმოადგენს იმ ფორმას, რომელშიც გამომჟღავნდება საგნის ბუნება. ამასთან, გამოვლენის ფორმები ყოველთვის ზუსტად არ გადმოსცემენ არსების ხასიათს. ამიტომ არსებასა და მოვლენას შორის შეიძლება იყოს დისჰარმონია, შეუსაბამობა და წინააღმდეგობა. მეცნიერული შეცნობის ამოცანაა გარეგნული გამოვლინებების იქით დაინახოს არსება.

შეცნობის პროცესი არის მოძრაობა, საგნის გარეგნული აღქმიდან სიღრმისეული მოვლენის გაგებისაკენ. არსის გაგება კი ადამიანებს

საშუალებას აძლევს ღრმად გაერკვნენ სამყაროს მოვლენებში და ისინი თავის სასარგებლოდ გამოიყენონ.

— *ცალკეული და ზოგადი.* ადამიანის გარშემო მრავალი საგანი არსებობს. შედარებისას აღმოჩნდება, რომ ყველა სხვადასხვანაირია, აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ელემენტები. მიუხედავად ამისა, არის მათში რაღაც საერთო, რომლის გამოყოფით, განზოგადებით ყალიბდება საერთო ცნება. ამდენად ყოველი საგანი არა მხოლოდ ინდივიდუალურია, ცალკეულია, არამედ ზოგადის შემცველიც.

ცალკეული და ზოგადი განუყრელ კავშირში იმყოფებიან. მათ ერთიმეორის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ. ზოგადი არ არსებობს დამოუკიდებლად, შეუძლებელია მისი წარმოდგენაც კი. ის ყოველთვის კონკრეტულშია მოცემული და მისი მეშვეობით გამოვლინდება. ამდენად ისინი ერთად, ობიექტურად არსებობენ და საგნებისა და მოვლენების იმ აუცილებელ მხარეებს წარმოადგენენ, რომელთა გარკვევის გარეშე შეუძლებელია მეცნიერული ანალიზი.

— *კონკრეტული და აბსტრაქტული.* საგნის ან მოვლენის შესწავლის დროს ადამიანი აღმოაჩენს მის მრავალ ნიშან-თვისებას. მათგან რომელიმეს სპეციალური შესწავლის დროს საჭირო ხდება მისი ცალკე გამოყოფა, სხვა ნიშან-თვისებას შორის მისი ადგილის, როლის, კავშირების დროებით დავიწყება, ანუ აბსტრაგირება. ამ გზით შეიძლება დადგენილი იქნას რომელიმე ზოგადი დებულება, გაღრმავებული იქნას ცოდნა საგნის რაიმე თვისების შესახებ. ამ გზით მიიღება აბსტრაქტული ცოდნა საგნის რომელიმე ნაწილის შესახებ.

აბსტრაქტული ცოდნა მართალია საგნის, როგორც მთლიანისაგან ნაწილის გონების ძალით მოწყვეტის გზით მიიღება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აბსტრაქტული რეალურად არ არსებობს. მას უეჭველად შეესაბამება რეალური საგანი, მოვლენა ან მათი ნაწილი. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ უაზრო გახდებოდა მეცნიერული აბსტრაგირება. რამდენადაც საგნის მთლიანობაში ერთბაშად შესწავლა შეუძლებელია, ამდენად აბსტრაგირების გზით მისი ნაწილებად დაყოფა და ანალიზი ობიექტურად აუცილებელი ხდება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ღრმა ცოდნის მიღწევა. ამის გარეშე ვერც ერთი მეცნიერება ვერ განვითარდება.

ამრიგად, სამყაროს შესწავლის პროცესში ადამიანი კონკრეტული საგნების, ნიშნების გაგების გზით მიდის აბსტრაქტულ იდეამდე, მაგრამ აბსტრაქტული იდეის ქვეშ ყოველთვის ესმის კონკრეტული. სამყაროს შეცნობის პროცესი არის განუწყვეტელი გადასვლა კონკრეტულიდან აბსტრაქტულზე და პირუკუ.

— *შესაძლებლობა და სინამდვილე.* როცა საწავლობ საზოგადოების, ბუნების, მეცნიერების ისტორიას ძნელი არ არის დაინახო განვითარება. განვითარება გულისხმობს არა მხოლოდ წინსვლას, არამედ უკან დახევასაც, შეფერხებას, რეგრესულ მომენტებს. განვითარება იწყება შესაძლებლობის შექმნიდან. შეიქმნება საგნის აღმოცენების, მოვლენის წარმოშობის რაღაცა წანამძღვრები, ანუ შესაძლებლობა.

ეს პროცესი ბუნებაში სტიქიურად ხდება, საზოგადოებაში ადამიანის აქტიური მოღვაწეობით. შესაძლებელია ბუნებაში შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევა ადამიანის აქტიური მოღვაწეობის გზით. ადამიანს შეუძლია დაადგინოს, რა კონკრეტულ პირობებში გადაიქცევა შესაძ-ლებლობა სინამდვილედ და შეგნებულად დააჩქაროს ან შეანელოს ეს პროცესი.

— *აუცილებლობა და შემთხვევითობა.* ბუნებასა და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები იმდენია, იმდენად რთულია, რომ ცოდნის გარეშე — რა არის განმეორებადი, აუცილებელი და რა შემთხვევითი, შეუძლებელია სწორი ორიენტირება. საგნებისა და მოვლენების ცვლილებებში გარკვევა, კანონზომიერების დადგენა, მეცნიერული კვლევის წარმოება ნიშნავს ცოდნას — რა არის შინაგანი და გარეგანი, აუცილებელი და შემთხვევითი. კვლევის დანიშნულებაა გაიგოს რა არის შემთხვევითი, რა აუცილებელი, რა კავშირია მათ შორის.

საგნის ცვლილების დროს ბევრ შემთხვევით მოვლენას აქვს ადგილი, რომელიც ათასგვარ შესაძლებლობას ქმნის, რომელთაგან ერთი იქცევა აუცილებლობად. აუცილებლობა შემთხვევიოობათა უარყოფის გზით მიდის პრაქტიკულ რეალობამდე.

შემთხვევითობას აქვს თავისი მიზეზები, კანონზომიერება. ის, რაც არსებობს ობიექტურად შემთხვევითობად მხოლოდ გარკვეულ მომენტში, მოცემულ საკვლევ საგანთა მიმართებაში გადაიქცევა. ამიტომ სხვა მომენტში მოსალოდნელია შემთხვევითობის გადაქცევა აუცილებლობად ისევე, როგორც პირუკუ. შემთხვევითობის ცოდნა საშუალებას იძლევა თავიდან აცილებული იქნას არასასურველი მოვლენები და ხელი შეეწყოს აუცილებლობის გამოვლენას.

— *მიზეზი და შედეგი.* ადამიანის გარშემო არსებული საგნები და მოვლენები მიზეზ-შედეგობრივად არიან დაკავშირებულნი. უმიზეზოდ არ ხდება არც წარმოშობა და არც დაღუპვა. ამასთან ერთი საგნის, მოვლენის მიზეზი შეიძლება თვითონ იყოს სხვა მოვლენის შედეგი. მიზეზ-შედეგობრიობა ასახავს რეალურ სინამდვილეს და ამდენად ობიექ-ტურად არსებობს.

ადამიანს შეუძლია მიზეზის სწორად ასახვის შემთხვევაში განსაზღვროს მოსალოდნელი შედეგი და ზემოქმედება მოახდინოს მასზე. განსაკუთრებით რთულია მიზეზების სწორი დადგენა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ მიზეზები შეიძლება ბევრი იყოს, ძირითადი მიზეზის მოძებნა კი აუცილებელია, მაშინ სირთულე კიდევ უფრო იზრდება.

საგნის მიზეზი და შედეგი ორგანულ კავშირშია, ურთიერთზემოქმედებენ, ადგილს იცვლიან. ამასთან ერთად მიზეზმა სხვადასხვა პირობებში შეიძლება განსხვავებული შედეგი მოგვცეს. ამიტომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესწავლა საჭიროა მთლიანობაში.

— *ფორმა და შინაარსი.* ყოველ საგანს, მოვლენას აქვს თავისი ფორმა და შინაარსი. ის არსებითი, შინაგანი ნიშან-თვისება რომელიც ამ საგნის არსს ასახავს, მის შინაარსს წარმოადგენს. ფორმა არის შინაარსის ორგანიზაციულ-სტრუქტურული გამოვლენა. ფორმა-შინაარსი, ერთი მეორის გარეშე არ არსებობს. ისინი ისეთ მთელს შეადგენენ, სადაც შინაარსი განმსაზღვრავ მხარეს წარმოადგენს. ეს არ ნიშნავს, რომ ფორმა პასიურია. პირიქით. ფორმა აქტიურად ზემოქმედებს შინაარსზე, ხელს უწყობს ან ანელებს მის გამოვლენას. ამდენად მათ შორის არის არა მხოლოდ ერთობა, არამედ წინააღმდეგობაც. ფორმა ქმნის რა მთელს შინაარსთან, ვითარდება მასთან ერთად, მაგრამ შეიძლება დაირღვეს შესაბამისობა მათ შორის. შინაარსის ხასიათისაგან ჩამორჩენილი ფორმა ამუხრუჭებს წინსვლას და იგი უნდა შეიცვალოს. მოძველებული ფორმა იცვლება ახლით, რომელიც არის რა შესაბამისობაში შინაარსთან ხელს უწყობს მის განვითარებას.

— *ანალიზი და სინთეზი.* დაკვირვების დროს ადამიანი საგანს გონების ძალით ყოფს ნაწილებად, ადარებს ერთი მეორეს, წარმოადგენს ცალკე ერთეულად და ა.შ. საგნისადმი ასეთი მიდგომა აუცილებელია, რადგან შეუძლებელია მთლიანობაში ერთბაშად შესწავლა. ანალიზის, ერთიანი მთელის დაყოფისა და ნაწილებად შესწავლის დროს ადვილდება საგნის მთავარი და მეორეხარისხოვანი, სხვა საგნებთან საერთო და განმასხვავებელი ნიშნების გამოვლენა. ანალიზის გარეშე შეუძლებელია მეცნიერული შეხედულებების შეძუშავება.

ანალიზის გზით შეიძლება საგნის ელემენტის შესწავლა. ელემენტების ცოდნის თავმოყრა, სინთეზი კი საშუალებას იძლევა გაგებული იქნას ზოგადი, დადგენილი იქნას მთლიანად საგნის არსი, ნიშან-თვისებანი და ცალკეული ელემენტების ადგილი, როლი, მნიშვნელობა მასში.

ანალიზი და სინთეზი დაპირისპირებული ცნებებია. ანალიზის დროს

აზროვნება მიიმართება რთულიდან მარტივისაკენ, კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ. სინთეზის დროს კი პირიქით. საგნებისა და მოვლენების ამგვარი შესწავლის გარეშე არ არსებობს მეცნიერული კვლევა.

— *ისტორიული და ლოგიკური.* საგნებისა და მოვლენების შესწავლის დროს აუცილებელია ცოდნა იმისა, თუ როგორ აღმოცენდა და განვითარდა იგი, როგორია მსგავს შემთხვევებში ცვლილებათა ხაზი, მათი ისტორია. ისტორიული გამოცდილების გარეშე გამორიცხულია საგნის ყოველმხრივი შესწავლა და ლოგიკური დასკვნის გაკეთება. თუ საგნებს წარმოვიდგენთ უცვლელი სახით, არ გვეცოდინება რა იყო და რით შეიცვალა, მაშინ ვერ ჩავწვდებით მის არსს, ვერ გავითვალისწინებთ მოსალოდნელ ცვლილებებს, ვერ წარმოვიდგენთ ლოგიკურ შედეგს. ლოგიკური დასკვნა, თავის მხრივ აქტიურად ზემოქმედებს ისტორიულ პროცესზე, აჩქარებს ან ანელებს მის მსვლელობას. ისტორიული პროგრესი თავის ასახვას პოულობს ლოგიკურ აზროვნებაში, ხოლო აზროვნების დებულებები ხელს უწყობს ისტორიულ პროცესზე მიზანდასახულ ზემოქმედებას. ისინი ერთად მოქმედებენ და ამ პირობებში მათ შორის არის ერთობისა და წინააღმდეგობის, ჰარმონიისა და დისჰარმონიის მომენტი. ლოგიკური და ისტორიული მხარეების, მათი თანაფარდობის ცოდნის გარეშე ვერ იარსებებს მეცნიერება.

ამ ფილოსოფიურ ძირითად ცნებათა, კატეგორიათა, გაგება, როგორც რეალური სინამდვილის უზოგადესი კავშირების ცოდნა, განაპირობებს მეცნიერული კვლევის სწორ მიმართულებას. შეიძლება ადამიანი არ იზიარებდეს ამ ფილოსოფიურ ცნებებს, სხვა პოზიციებზე იდგეს, მაგრამ ის მაინც იმოქმედებს მათი მოთხოვნების მიხედვით, იმიტომ რომ სხვანაირად შეუძლებელია მეცნიერების წინსვლა, სწორი გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება.

5. არსებულის არსებობის კანონზომიერება

არსებულია ყველაფერი რასაც ვხედავთ, ვგრძნობთ, ვიცით, წარმოდგენა გვაქვს და ისიც რაც შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ჩვენთვის მისი შეცნობა მიუწვდომელია, ჯერ-ჯერობით მაინც. ის რაც ჩვენ მოგვეცემა, ადამიანის არსებობის განზომილებას განეკუთვნება. შესაბამისად, არ ვიცით რა სხვა განზომილებანი, მათი არსებობის განზომილებაზე ვერც ვიმსჯელებთ. ადამიანს შეუძლია იმსჯელოს, შეიცნოს, შეიმეცნოს და წარმოაჩინოს მხოლოდ ის განზომილება, რომელიც მას მიეცემა მისი გრძნობითი, მხედველობითი, აზროვნებითი უნარის მიხედვით.

იმ განზომილების შესახებ, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, საუკუნეთა მანძილზე იყო და იქნება აზრთა სხვადასხვაობა. ყოველ თაობას ჰქონდა მრავალი კითხვა და ურთიერთსაწინააღმდეგო პასუხი. მიჩნეულია, რომ ყველაზე სრულად გ.ვ. ჰეგელმა ჩამოაყალიბა არსებობისა და განვითარების უზოგადესი კანონები, რომელთაც ჯერ დიალექტიკის კანონები უწოდეს, შემდეგ კი მაქსისტულ-ლენინური დიალექტიკის კანონები. საზოგადოებისა და სამყაროს ზოგადი კანონზომიერების შემსწავლელი ამ კანონებს გვერდს ვერ აუვლის.

რა კანონებია ეს?

<u>ა)დაპირისპირებულობათა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი</u>

სამყაროს არსებობა-განვითარების კანონზომიერების შემსწავლელი მოძღვრების შესახებ სხვადასხვა მიმდინარეობის მოაზროვნეებს თავისი მოსაზრება გააჩნიათ. ერთნი ფიქრობენ, რომ კ. მარქსმა გ. ჰეგელის თეორიაში სიტყვა – იდეა შეცვალა სიტყვით – მატერია და მექანიკურად მიიღო ახალი მოძღვრება. მეორენი ამტკიცებენ, რომ კ. მარქსს და ფ. ენგელსს მოძღვრება ფილოსოფიის უზოგადესი კანონების შესახებ ნაწილობრივ დაუმუშავებული დარჩათ. მესამე (ნეოპოზიტივისტები) დაპირისპირებულობათა ერთიანობისა და ბრძოლის კანონის განხილვის დროს ყურადღებას ამახვილებენ იმ ფორმალურ-ლოგიკურ წინააღმდეგობაზე რაც მსჯელობის დროს გამოვლინდება და ყურადღებას არ აქცევენ რეალურად არსებულ წინააღმდეგობებს. ამით უარყოფენ საერთოდ დიალექტიკური მეთოდის მეცნიერულობას. მეოთხენი (ნეოთომისტები: ი. ბოხენსკი, ე. ვეტერი, კ. პოპერი) ამტკიცებენ, რომ ეს კანონები სხვა არაფერია გარდა იმისა, რომ იგი ადამიანისათვის დამახასიათებელ მოვლენებს (აზრი, სული, ბრძოლა, წინააღმდეგობა) ავრცელებს მკვდარ

ბუნებაზე. ნეოპეგელიანელები კი პირიქით, აღიარებენ დიალექტიკის მეცნიერულობას, მის რეალურ მნიშვნელობას, მაგრამ ამასთან მოითხოვენ წინააღმდეგობის, ბრძოლის ჩვეულებრივი გაგების გავრცელებას ბუნების ყველა მოვლენაზე და საზოგადოების ყველა წყობილებაზე. ფრანკფურტის ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლები (გ. მარკუზე, ე. ფრომი) დიალექტიკას აზროვნების დამახასიათებელ მოვლენად მიიჩნევენ. მათთვის წინააღმდეგობა-სულის წინააღმდეგობაა და მსი გავრცელება ბუნებაზე არაკანონზომიერია. ამდენად საჭიროდ მიაჩნიათ დიალექტიკის შესახებ მოძღვრების განახლება, მოდერნიზება.

დაპირისპირებულობათა ერთიანობა და ბრძოლის შესახებ თვალსაზრისი მრავალფეროვანია. მეცნიერთა გარკვეულ ნაწილს შეიძლება საკუთარი აზრი ჭეშმარიტად მიაჩნია, მაგრამ რეალური ცხოვრება სულ სხვას ადასტურებს.

შეუძლებელია ფილოსოფიის იმ ამოსავალი დებულების ეჭვ ქვეშ დაყენება, რომ ადამიანის გარშემო არსებული საგნები გარკვეულ კავშირში იმყოფებიან, ზემოქმედებენ ერთიმეორეზე, იცვლებიან, ილუპებიან. თვით ადამიანის ცხოვრება ბევრადაა დამოკიდებული ამ მოვლენებისა და საგნების ხასიათზე. ამიტომ სწავლობს ადამიანი გარემომცველ ბუნებას. ამასთან, კონკრეტულ საგნებს, მოვლენებს, კონკრეტული მეცნიერებანი შეისწავლიან. ისინი არ ეხებიან საერთოდ არსებობა-განვითარების უზოგადეს კანონზომიერებას. ეს ფილოსოფიის საგანია.

ადამიანი ყოველთვის ამჩნევდა საგანთა და მოვლენათა ცვლილებას, გადაზრდას სხვა თვისობრიობად. მათი უმრავლესობა მექანიკურ მოძრაობად იყო გაგებული. ამიტომ, ეხებოდა რა თავდაპირველი მოძრაობის საკითხს, ადამიანი ღმერთის იდეამდე მიდიოდა. ამავე დროს მეცნიერები ეძებდნენ სწორ პასუხს. ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ფილოსოფოსები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ცვლილებათა მიზეზია არა ღმერთი, არამედ საგნის, მოვლენის გაორებული ბუნება. მათ ყურადღება მიაქციეს დაპირისპირებულობის ფაქტს: დღე-ღამე, მაგნიტის პოლუსები, მოძრაობა-უძრაობა, მაღალი-დაბალი და ა.შ. იგივე აღმოჩნდა ადამიანში: სიკეთე-სიბოროტე, სიძუნწე-გულუხვობა, სიყვარული-სიძულვილი და ა.შ. დაპირისპირებულობის მხარედ მიჩნეული იქნა ისეთი მოვლანა, რომელიც არსით საწინააღმდეგო მხარეს გამორიცხავს და მის გარეშე კი არ არსებობს.

კონკრეტულ საგნებსა და მოვლენებთან კავშირში დაპირისპირებულობას კონკრეტული მეცნიერებანი შეისწავლიან: მათემატიკა (პლუს-მინუსი, დიფერენცია-ინტეგრაციის კატეგორიები), ფიზიკა (დადებითი-

უარყოფითი მუხტი), ქიმია (მოლეკულების ასოციაცია-დისოციაცია), ბიოლოგია (ასიმილაცია-დისიმილაცია) და ა.შ. ფილოსოფია თავის მხრივ შეისწავლის საერთო დაპირისპირებულობათა და მათ შორის ბრძოლის კანონზომიერებას. დაპირისპირებულობათა მხარეები ერთიან მთელს შეადგენენ და მათ შორის ადგილი აქვს წინააღმდეგობას, რომელიც გარკვეულ პირობებში შეურიგებელი ბრძოლის ხასიათს იძენს. ფილოსოფიის თანახმად ეს წინააღმდეგობა და ერთიანობა წარმოადგენს ცვლილების წყაროს.

გარკვეულ საგანთა ამ მოვლენასთან დაკავშირებით ერთიანობის შიგნით შეიძლება მრავალი წინააღმდეგობა არსებობდეს: გარეგანი და შინაგანი, არსებითი და არაარსებითი. გარკვეულ პირობებში შეიძლება ნებისმიერი მათგანი წინა პლანზე იქნას წამოწეული, მისი გადაჭრა იყოს აუცილებელი. ამიტომ მეცნიერების მიერ განვითარების წყაროდ მიჩნეულია არა ყოველგვარი დაპირისპირებულობა და ერთიანობა, არამედ საგნის, მოვლენის არსის გამომხატველი მხარეების ერთიანობა და წინააღმდეგობა.

არსის გამომხატველი ერთიანობა და დაპირისპირებულობა ერთად არსებობენ და ერთად მოქმედებენ. მათი აღმოცენებისა და დაღუპვის საზღვრები ემთხვევა. მათ ერთი მეორის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ ამიტომ ისინი თანაბარი მნიშვნელობის არიან, მაგრამ გარკვეულ პირობებში შეიძლება ერთ-ერთი მათგანი იყოს წინა პლანზე წამოწეული, ასრულებდეს წამყვანის, განმსაზღვრელის როლს.

დაპირისპირებულობათა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი ცხადს ხდის ბუნებასა და საზოგადოებაში ცვლილებების, განვითარების წყაროს და ხასიათს. ამიტომ ყოველი საგნის, მოვლენის შესწავლისას არსებითი მნიშვნელობა აქვს დაპირისპირებულობათა მხარეების მოძებნას და მამოძრავებელი წყაროს ამოცნობას. ეს უზოგადესი კანონი იძლევა ერთი თვისობრიობიდან მეორეზე გადასვლის ახსნას.

<u>ბ) რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში და პირუკუ გადასვლის კანონი</u>

ფილოსოფიის უზოგადესი კანონები ერთბაშად არ ჩამოყალიბებულა და არც საყოველთაო აღიარება მოუპოვებიათ. ისინი დღემდე რჩებიან მწვავე დისკუსიისა და იდეოლოგიური ბრძოლის ობიექტებად.

რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში და პირუკუ გადასვლის კანონი მუდამ იყო აზრთა ჭიდილის წყარო. მეტაფიზიკური მიმდინარეობა უარყოფდა თვისებრივი ცვლილებების შესაძლებლობას. იდეალისტური მიმდინარეობა თვისებრივი ცვლილებების წყაროს ღმერთის ნებაში ხედავდა.

გ. ჰეგელმა პირველმა ჩამოაყალიბა კანონი მთლიანობაში, მაგრამ იგი იდეალისტურ ჩარჩოში მოაქცია.

თანამედროვე ფილოსოფია ძირითადში იმეორებს ძველ დასკვნებს. ძველებურად ცდილობს გათიშოს რაოდენობრივისა და თვისებრივის კატეგორიები, ურთიერთს დაუპირისპიროს ისინი და ამით უარყოს ნახტომების კანონზომიერება ბუნებასა და საზოგადოებაში.

ნეოპოზიტივისტების მტკიცებით თვისებრივი და რაოდენობრივი – ლოგიკური აზროვნების დასკვნებია. მათ ადამიანი აყალიბებს რათა მოხერხებულად შეისწავლოს მოვლენა. ამიტომ თვისებრიობა დამოკიდებულია ადამიანის მიერ მოვლენის შესწავლის ასპექტზე, ხოლო შესწავლა სხვადასხვა კუთხით შეიძლება, ამიტომ თვისებრიობაც მრავალია.

რაც შეეხება რაოდენობრიობის კატეგორიას-იგი ნეოპოზიტივისტების მიერ ხშირად განხილულია წმინდა მათემატიკური გაგებით და ამდენად, მათი დასკვნის ეს კანონი სინამდვილეს ვერ ასახავს.

ამერიკელი ფილოსოფოსი გ. ლეფი თვისობრიობის კატეგორიას პირობითობის ან პირადი მსჯელობის შედეგად მიიჩნევს. ფაქტიურად იგივეს იმეორებენ გ.ნიმეიერი და ი.ბოხენსკი როცა დიალექტის კანონს პირობით დებულებად მიიჩნევენ.

განსაკუთრებულ რეაქციას იწვევს დებულება ერთი თვისებრიობიდან მეორეზე გადასვლის ნახტომისებური ხასიათის შესახებ. (გ. ვეტტერი, მ. ლანგე და სხვ.)

ამ ფილოსოფიის თეორეტიკოსთა დებულებები ტენდენციურ ხასიათს ატარებს, თორემ რეალურად მოაზროვნე ადამიანს არ შეუძლია იმის უარყოფა, რომ ყოველ საგანს, მოვლენას შეიძლება ჰქონდეს მრავალი შინაგანი და გარეგანი ხასიათის ნიშან-თვისება, მაგრამ ამავე დროს არის ნიშანი,რომელიც განმსაზღვრელია ამ ტიპის,ამ ხასიათის საგნების ან მოვლენების ერთობის დადგენის დროს. ის ძირითადი ნიშანი, რომელიც საგნის ბუნებას გამოხატავს, არის მისი თვისებრიობა.

ყოველ საგანს, მოვლენას თვისებრიობასთან ერთად რაოდენობრიობაც ახასიათებს. ამ შემთხვევაში მხედველობაში მისაღებია არა მექანიკური, არა მათემატიკური რაოდენობა, არამედ თვისებრიობის რაოდენობრივი გამოხატულება. ამ ორ კატეგორიას შორის კი დიდი სხვაობაა. ასეთ მდგომარეობას გარკვეულად უწყობს ხელს კატეგორიების დაუზუსტებლობა ფილოსოფიურ ლიტერატურაში.

თვისებრიობა და რაოდენობრიობა ყოველ საგნის, მოვლენის ორ არსებით მხარეს წარმოადგენს. მათ შორის არის განუყრელი, ორგანული კავშირი. საგნის, მოვლენის ერთი არსებითი მახასიათებელის არსებობა

მეორეს გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. ერთის ცვლილება ყოველთვის ზემოქმედებას ახდენს მეორეს მდგომარეობაზე. ასე, რომ ერთი თვისებრიობის რაოდენობრივი ცვლილება გარკვეულ მომენტამდე, ზღვრამდე, იწვევს მის გადაზრდას ახალ თვისებრიობად და თვისებრიობის შეცვლა თავის მხრივ – რაოდენობრიობის შეცლას.

საგნები, მოვლენები ნორმამდე განიცდიან ცვლილებას, მაგრამ მაინც ინარჩუნებენ თავის თვისებრიობას. შემდგომი ცვლილება კი უკვე მოქმედებს მათ მდგომარეობაზე, განაპირობებს ძველი თვისებრიობის შეცვლას ახლით. რაოდენობის ცვლილებას იმ დონემდე, სანამ საგანი, მოვლენა ინარჩუნებს თავის თვისებრიობას ზომა ეწოდება. ზომის ზევით რაოდენობრივი ცვლილება საგნის, მოვლენის თვისებრიობის სწრაფ, ნახტომისებრ შეცვლას იწვევს. ნახტომი დაჩქარებული შეცვლაა, მაგრამ მას შეიძლება ჰქონდეს თანდათანობითი ან აფეთქებითი ხასიათი.

ამრიგად, თვისებრიობის რაოდენობრივი ცვლილებები საბოლოო ანგარიშით იწვევს ახალ თვისებრიობაში გადასვლას. ეს რომ ასე არ ყოფილიყო შეუძლებელი იქნებოდა სამყაროსა და საზოგადოების პროგრესული წინსვლა.

თავის მხრივ თვისებრიობა ქმნის აუცილებელ პირობებს რაოდენობრივი ცვლილებისათვის. სხვანაირად წარმოუდგენელია რა ოდენობით გაიზრდება ერთი და იგივე თვისებრიობის საგნები და მოვლენები, რა უფერული იქნებოდა სამყარო. აღარაფერი ითქმის იმის შესახებ, რომ კაცობრიობა ვერ წარმოიშობოდა და არც იდეურ-თეორიულ ბრძოლას ექნებოდა ადგილი.

სამყაროს განვითარების ზოგადი კანონზომიერება, საზოგადოებრივი პროგრესის ისტორიული სურათი ადასტურებენ იმ კანონის ჭეშმარიტ ხასიათს, რომელიც ამტკიცებს რომ წინსვლის მთლიან პროცესში მიმდინარეობს რაოდენობრივის გადასვლა თვისებრიობაში და პირუკუ.

<u>გ) უარყოფის უარყოფის კანონი</u>

ფილოსოფიურ ლიტერატურაში უარყოფის უარყოფის კანონი ფართედაა განხილული.

– გ. ფალკი, მ. ლანგე საერთოდ უარყოფენ რეალურ სამყაროში უარყოფის შესაძლებლობას;

– ი. ბოხენსკი, გ. ვეტტერი მიიჩნევენ, რომ ამ კანონში ჩადებულია ახალი რელიგიის შექმნის ცდა, რადგან თვით დაჯერება უარყოფის გადუვალობის შესახებ დაკავშირებულია ფატალიზმთა, რწმენასთან;

– ს. ხუკი ამ კანონში ხედავს გ. ჰეგელის ტრიადისებური განვითარების იდეის გადმოცემის ცდას;

– ჟ.პ. სარტრი (და საერთოდ ეკზისტენციალიზმი) არ უარყოფს

უარყოფის შესაძლებლობას ადამიანის სულიერ ცხოვრებაში; მაგრამ თვით უარყოფის ფაქტს არ უკავშირებს დაპირისპირებულობათა ერთიანობისა და ბრძოლის კანონს;

— ო. შპენგლერი, ა. ტოინბი, პ. სოროკინი აღიარებენ დიალექტიკის კანონების რეალურ ბუნებას, (სხვანაირად ალბათ ციკლური განვითარების თეორიაც ვერ შეიქნებოდა), მაგრამ მათი არსი არა აქვთ სწორად წარმოდგენილი;

— გ. მარკუზეს დიალექტიკა ცალმხრივი განვითარების თეორიად მიაჩნია, რომელიც მხოლოდ რაოდენობრივ ცვლილებებზეა დაფუძნებული. რათა „გაამართლოს" წარმოდგენა, იგი გ. ჰეგელის და კ. მარქსის საწინააღმდეგოდ ქმნის „თვისებრივ დიალექტიკას". ამ თეორიის თანახმად, უარყოფა ნიშნავს ძველის სრულ განადგურებას, მოსპობას, რაც შესანიშნავად შეესატყვისება მის ანარქისტულ ბუნებას;

— ე. ფიშერი, რ. გაროდი უარყოფენ უარყოფის კანონს და ამდენად დიალექტიკის კანონზომიერებას ტოვებენ იმ ფორმის გარეშე, რომლის შიგნითაც მიმდინარეობს განვითარება.

მრავალ ფილოსოფოსთა მიერ უარყოფის უარყოფის უარყოფა ბუნებრივია, რადგან იგი შეიცავს მათი გარემომცველი პირობების გარდუვალ უარყოფას, რაც მათ მრწამსს ეწინააღმდეგება. ესაა მათი უარყოფითი ემოციების ნამდვილი წყარო, ამის გამო ილაშქრებენ დიალექტიკის წინააღმდეგ.

სინამდვილეში საგნის, მოვლენის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა, თვისებრიობათა ცვლა, შეუძლებელია სხვაგვარად იქნეს წარმოდგენილი თუ არა უარყოფის ფორმით. ასე რომ თუ ბუნებაში და საზოგადოებაში ადგილი აქვს გარდაქმნებს, წინსვლებს, მოძრაობას დაბალი საფეხურიდან მაღალისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ, კონკრეტულიდან ზოგადისაკენ, თუ ისპობა ძველი და წარმოიშობა ახალი და ამ პროცესებს მუდმივი, დაუსრულებელი ხასიათი აქვს, ეს ნიშნავს, რომ ხორციელდება უარყოფის უარყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში არ ექნებოდა ადგილი განვითარებას, ახალი სახეების წარმოშობას და არ იქნებოდნენ ის მეცნიერებიც, რომელთაც ფართე დისკუსია აქვთ იმის გამო, სამყაროში და საზოგადოებაში არის თუ არა უარყოფის უარყოფა.

დიალექტიკას უარყოფა არ ესმის მექანიკური სახით. შეცვლა არ მოასწავებს ძველის მთლიანად უკუგდებას, მოსპობას, როგორც ეს გ. მარკუზეს ესმის. რეალურ სამყაროში არაფერი არ წარმოიშობა არაფრიდან და არაფერი არ ქრება უკვალოდ. საგნის, მოვლენის მექანიკური უარყოფაც კი შეიცავს ერთის მეორეთი გარდაქმნის აუცილებლობას.

განვითარების პროცესის გაგება უეჭველად გულისხმობს უარსაყოფი ძველიდან უარმყოფელ ახალში პროგრესული ელემენტების გადასვლას. უარიყოფა მოძველებული. პროგრესული გადადის მემკვიდრეობით. მემკვიდრეობითობა ძველი თვისებრიობის ახალში გადასვლის აუცილებელი მომენტია. ახლის აღმოცენება ძველის წიაღში, ძველის წინააღმდეგობრივი განვითარების საფუძველზე, ნიშნავს უფრო სრულყოფილის, ეფექტურის დამკვიდრებას, დაბალი საფეხურიდან მაღალზე გადასვლას.

სამყაროში და საზოგადოებაში პროგრესი ხორციელდება. ეს იმას ნიშნავს, რომ საერთო მასშტაბით ახალი შედარებით სრულყოფილია. მეტად შეესაბამება არსებობისა და განვითარებისათვის შექმნილ პირობებს. მაგრამ ყოველი ახალი პროგრესულია დროებით. დროთა განმავლობაში იგი ძველდება, რეგრესული ხდება. მის წიაღში არსებული წინააღმდეგობა მწვავდება და დაპირისპირებული მხარეების ბრძოლა განაპირობებს შედარებითი სრულყოფილის აღმოცენებას. იგი უარყოფს მოძველებულ ახალს და თავის მხრივ ქმნის პირობებს კიდევ უფრო პროგრესულის აღმოცენებისათვის. ამრიგად, ყოველი ახალი გამოდის მოძველებული უარმყოფელის უარმყოფელად. განვითარება იღებს უარყოფის უარყოფის ფორმას.

განვითარება არაა სწორხაზობრივი წინსვლა რაოდენობრიობის თვისებრიობაში გადასვლის გზით და უარყოფის უარყოფის ფორმით. სინამდვილეში განვითარების პროცესი წინააღმდეგობრივია. ადგილი აქვს უკუდახევას, ნგრევას, დაღუპვას, რეგრესულ მომენტებს. არსებითია ის, რომ საბოლოო ანგარიშით წინსვლა, პროგრესი ხორციელდება.

ცალკე აღებულ კანონს არ შეუძლია მთლიანი სურათის დახასიათება. ფილოსოფიის უზოგადესი კანონები მთლიანობაში უჩვენებდნენ, რატომ ხდება განვითარება, რაშია მისი წყარო, როგორ ხდება წინსვლა, რა ხასიათი აქვს მას.

მოაზროვნეთა შორის ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისი გამოითქმებოდა არა მხოლოდ ცალკე აღებული კანონის გაგების საქმეში. არა ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ კანონთა ურთიერთმიმართების გარკვევას. რომელი კანონია ძირითადი და განმსაზღვრელი? ერთნი ფიქრობდნენ, უარყოფის უარყოფაა წამყვანი. მეორენი ამ კანონს მეორეხარისხოვნად მიიჩნევდნენ და ამტკიცებდნენ, რომ წამყვანია რაოდენობრიობის თვისებრიობაში და პირუკუ გადასვლის კანონი. მესამე ნაწილს არსებობისა და განვითარების ძირითად წყაროდ დაპირისპირებულთა ერთობისა და ბრძოლის კანონი მიაჩნდათ. იყო აზრი, რომ თვითონ გ.ვ.ჰეგელი უარყოფის უარყოფის გარდუვალობიდან და კანონიდან

გამომდინარე ავითარებდა დიალექტის კანონთა სისტემას. კ. მარქსმა და განსაკუთრებით ფ. ენგელსმა (თავის „ბუნების დიალექტიკაში") წამყვანი როლი რაოდენობრივობის თვისებრივობაში და პირუკუ გადასვლის კანონს მიანიჭა. მათგან სხვაობით ვ. ლენინმა, რომელიც მეცნიერთა აზრით, ძლიერი რევოლუციონერი და სუსტი ფილოსოფოსი იყო, განსაკუთრებული მნიშვნელობა დაპირისპირებულთა ერთობისა და ბრძოლის კანონს არგუნა და მასზე ააგო რუსეთის იმპერიაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის თეორია.

ფილოსოფიის ამ სამი ძირითადი კანონის შესახებ ბევრი რამ თქმულა და კიდევაც ითქმება. მთავარია დაინტერესებული შემსწავლელი დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს მტკიცებას, რომ ადამიანის არსებობის განზომილებაში, ბუნებასა და საზოგადოებაში არსებობას და განვითარებას სრულად ასახავს სამი უზოგადესი კანონი. ვინც დაეთანხმება, უნდა გაითვალისწინოს, რომ როგორც არსებობა-განვითარება არის ერთიანი პროცესი, ისევე ეს კანონები მოქმედებენ ერთად, ერთი საგნის, მოვლენის ამსახველნი არიან, ურთიერთზემოქმედებენ, საყოველთაო კავშირში არიან და ობიექტური აუცილებლობის მიხედვით აქტიურდებიან, წინა პლანზე იწევენ, გარკვეულად განმსაზღვრელ როლს ასრულებენ. აზრის გამოხატვა სხვადასხვანაირად შეიძლება, მაგრამ არსი ერთია.

ფილოსოფიის საკითხები ისე მრავალფეროვანია და რთული, როგორც თავად არსებობა და განვითარება. ყველას ცოდნა სასურველია, მაგრამ შეუძლებელი. ცოდნისადმი მისწრაფება აბსოლუტურია, ცოდნის დონე ფარდობითი. არსებულის ხილული განზომილების აღქმა-შემეცნების, ძირითადი კატეგორიების, ზოგადი კანონების არსში გარკვევა არის ის საფუძველი, რომელზეც უნდა აიგოს ფილოსოფიის საკითხების ღრმა შესწავლა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის ლოგიკური აზროვნების უნარის ჩამოყალიბებას, რომელიც უნდა იყოს სახელმძღვანელო საზოგადოების არსებობისა და განვითარების პროცესებში გარკვევისა.

6. საზოგადოება

ადამიანთა საზოგადოება ხილული სამყაროს განუყოფელ და განსაკუთრებულ ნაწილს წარმოადგენს. როგორც განუყოფელი, იგი ემორჩილება სამყაროს კანონზომიერებას, მოქმედებს მისი მოთხოვნების შესაბამისად, ცდილობს შეიმეცნოს განმსაზღვრელი გარემო და შეძლებისდაგვარად გარდაქმნას იგი. როგორც განსაკუთრებული ნაწილი, საზოგადოება გამოიმუშავებს შინაგან კანონზომიერებას, მოქმედებს მისი მოთხოვნების შესაბამისად და ცდილობს მის ჰარმონიზაციას. საზოგადოებასთან მიმართებაში განუყოფელსა და განსაკუთრებულს შორის ზოგადისა და კონკრეტულის ურთიერთ მიმართებაა. ხილული სამყარო (ზოგადი) განსაზღვრავს საზოგადოების (კონკრეტულის) სინამდვილეს და აძლევს განვითარების შესაძლებლობას. კონკრეტული, თავის მხრივ, ემორჩილება ზოგადის კანონზომიერებას (ცდილობს ჩაწვდეს არსებულ სინამდვილეს) და განვითარების იმ შესაძლებლობიდან რაც მას ეძლევა (ზოგადი შემთხვევითობებიდან), გამოიყვანოს ის აუცილებლობა, რაც გაუმჯობესებს მის სინამდვილეს. ზოგადი არა მხოლოდ განსაზღვრავს კონკრეტულს, არამედ დამოუკიდებული არჩევა-მოქმედების საშუალებასაც უქმნის მას. კონკრეტული თავის მხრივ არ არის რა შებოჭილი თავის მოქმედებაში, ცდილობს აქტიური უკუ ზემოქმედება მოახდინოს ზოგადზე და ორმხრივი გარდაქმნების გზით მიაღწიოს ჰარმონიის მაღალ დონეს.

საზოგადოება, თავის მხრივ, გამოდის, როგორც ზოგადი, ადამიანთა ცალკეული ჯგუფების (ერების, ხალხების) მიმართ. აქაც ზოგადისა და კონკრეტულის ურთიერთმიმართებაა. ასე გრძელდება სანამ არ დავალთ ცალკეულ ადამიანამდე. ყოველი ინდივიდი არის ის მარტივი კონკრეტული, რომელზეც აიგება მრავალი ზოგადი-კონკრეტული და კონკრეტული-ზოგადი. რამდენადაც მთლიანად ადამიანთა საზოგადოება უზოგადესი ზოგადია ცალკეული ადამიანისათვის, ამდენად ეს ზოგადი დაიყვანება ამ მარტივ კონკრეტულამდე და პირიქით, ამ კონკრეტულში უეჭველად გამოიკვეთება უზოგადესი ზოგადი. უზოგადესი ზოგადის შესწავლა უმარტივესი კონკრეტულის გარეშე ისევე შეუძლებელია, როგორც პირუკუ.

ზოგადობის ყოველმხრივი შესწავლა რთულია, მრავალმხრივი და უსაზღვრო პროცესია. ათასი კუთხით შეიძლება საზოგადოების და ცალკეული ადამიანის განხილვა: დემოგრაფიული, გეოგრაფიულ-გეოლოგიური, ეკონომიკური, სოციოლოგიური, კულტურული, პოლიტიკური, რელიგიური, ტექნიკური, მსოფლმხედველობითი და სხვ.

ჩვენი მიზანი არ შეიძლება იყოს საზოგადოების განხილვა, თუნდაც

რომელიმე მიმართულებით მთლიანობაში აღებული. ეს შეუძლებელია და მას არათუ მოსწაელე, ცხრა ბრძენიც ვერ შეძლებს გაერთიანებული ძალით. ჩვენ მოკლედ უნდა შევქმნათ ზოგადი სურათი ჩვენი დროის საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათისა და განვითარების შესახებ. ამ საქმეში ადამიანის, მისი წარსულის მიღწევების ცოდნა შეგვაძლებინებს შედარებით ანალიზს, იმას, რა მოგვცა საზოგადოებამ და რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ ადექვატური იყოს ჩვენი პასუხი.

დავიწყოთ იმით, რომ გავერკვეთ: რაშია ადამიანის სიცოცხლის არსი, რაშია მისი დანიშნულება

6.1. სიცოცხლის არსი

ადამიანი, რომლის ფიზიკური არსებობა ძალზე შეზღუდულია, ვერ გაექცევა მუდმივ კითხვას: რა აზრი აქვს მის არსებობას, რაში მდგომარეობს სიცოცხლის არსი თუ ერთ მშვენიერ, მაგრამ მისთვის უბედურ დღეს, იგი ამ ქვეყანას უნდა გამოეთხოვოს. შესაბამისად თავდაყირა დგება ყველაფერი, რაც მისთვის ღირებულია, რის გულისთვისაც სწავლობდა, შრომობდა, იტანდა გაჭირვებას, ცდილობდა აზრიანი გაეხადა ცხოვრება. რამდენადაც ყოველი ადამიანი მოკვდავია,-ყოველი მათგანის წინაშე ადრე თუ გვიან, ამათუ იმ სიმძაფრით ისმის სიცოცხლის არსის საკითხი. რაც უფრო ღრმაა პრობლემებში წვდომის უნარი, მით მტანჯველია დაღუპვის გარუვალობის გააზრება. არიან ადამიანები, რომელთა ინტელექტი შორს არ გასცილებია პირველყოფილ მდგომარეობას, მაგრამ მრავლად არიან ისეთნიც, რომელნიც ათეულ წლობით აგროვებდნენ კაცობრიობის ნააზრევს, აანალიზებდნენ, რაღაცას მატებდნენ და თუ ვერ ასწრებდნენ სხვებისათვის გადაცემას, — იკარგებოდნენ და საზოგადოებასაც ცოდნას უკარგავდნენ. რაც უფრო ამოუწურავი მიდიოდა ადამიანი, მით უფრო მძიმე და ტრაგიკული იყო მისი ბედი.

კაცობრიობას მრავლად დაუგროვდა უპასუხო კითხვები: საიდან და როგორ გაჩნდა ადამიანი დედამიწაზე. ვინ ან რა არის მისი შემოქმედი. რა არსია ჩადებული მის სიცოცხლეში. რა აზრი აქვს სიცოცხლეს თუ ბოლო მაინც სიკვდილია. რატომ განსაზღვრა შემოქმედმა ერთის სიცოცხლე ტანჯვად, მეორესი ბედნიერებად, ერთისა მოკლე ხნით, მეორისა ბევრად ხანგრძლივად. როგორ უნდა გაატაროს ადამიანმა სიცოცხლე, რომ არ გაჰყვეს უკმარისობის გრძნობა და ა.შ.

სიცოცხლის ხანმოკლეობა, მისი დასრულების გარდუვალობა, ერთი

მხრივ სიცოცხლის არსის საკითხს აყენებს, მეორე მხრივ კი სიკვდილის კანონზომიერებისა. ღრმა აზროვნების უნარი მიუღებელს ხდის სიკვდილის აუცილებლობას. თუ დაბადების კანონზომიერება მისაღებია, სანაცვლოდ მიუღებელია გონიერის მოსპობის მიზანშეწონილება. სურს თუ არა, ადამიანი მუდმივ გაორებულთა ერთიანობას წარმოადგენს და მათ შორის ტრიალებს. შეძლებს ადამიანი ჰარმონიზაციას თუ დარჩება გაორებული, — პრობლემათა პრობლემაა.

ადამიანი სამყაროს საკუთარი მე-დან გამომდინარე აფასებს და სწავლობს. შესაბამისად მისი მიდგომა სუბიექტურია. ერთი მხრივ მას ესმის, რომ გარე სამყარო შეიძლება მის გარეშე არსებობდეს, არ იყოს მის ყოფნა-არყოფნასთან დაკავშირებული, მეორე მხრივ, სამყაროს კვლევისათვის ფართედ იყენებს სუბიექტურ მოტივებს. იმ ზომამდე, რომ ცდილობს დაამტკიცოს სამყაროს, გალაქტიკის, მზის სისტემის დაბადების და სიკვდილის რაღაც შესაძლებლობები. პრინციპია: თუ მის გარშემო ყველაფერი ცვალებადია, იბადება, კვდება, რატომ უნდა წარმოადგენდეს რაიმე გამონაკლისს. ვერ პოულობს რა საკუთარი, ყველაზე უფრო გონიერი არსების, უსაზღვრობის, უკვდავების დასაბუთებას იგი სამყაროს მუდმივობასა და უსაზღვრობას კვეცს დროსა და სივრცეში. არსებითად მიუღებელია სამყაროს მუდმივობა საკუთარი მუდმივობის გარეშე.

სიკვდილის გარდუვალობა უბიძგებს ადამიანს იფიქროს სიცოცხლის დანიშნულებაზე, მის არსსა და მიზანშეწონილებაზე. სიკვდილი ამაღლებს სიცოცხლეს. ერთი მეორის გარეშე გაუფასურებულია. მუდმივი სიცოცხლე, ზღაპრული უკვდავება, რის უნარსაც ადამიანები ღმერთებს ანიჭებდნენ, აუფერულებს და უშინაარსოს ხდის სიცოცხლეს. ჯერ ერთი, წარმოვიდგინოთ, რომ გვერდ-გვერდ იცხოვრებდნენ ახლად დაბადებული და მილიონობით წლოვანების ადამიანები. მეორე, რატომ შეიწუხებდა ადამიანი თავს რაიმე წინსვლაზე ფიქრით და მოღვაწეობით თუ ის ისედაც უკვდავი იქნებოდა. ის შეიძლება შვილებსაც არ იყოლიებდა. მესამე, ყოველი არსებული ცოცხალია. უსულო, უცვლელი მატერია არ არსებობს. რაღა ადამიანი უნდა იყოს მკვდარი მატერია? უსაზღვრო არის არსებული (სულიერი მატერია). მის შიგნით არის ადამიანის არსებობის განზომილება (ხილული სამყარო). ამ განზომილებაში ყველაფერი ცვალებადია, ცოცხალია და მოძრავია. ადამიანი როგორ იქნება უცვლელი? სიკვდილი გარდუვალია. მისი აუცილებლობა ხდის ღირებულს სიცოცხლეს, უბიძგებს მოქმედებისაკენ, აიძულებს მეტი იმოღვაწოს, მოღვაწეობით მიაღწიოს უკვდავებას. უკვდავება მიზანია, მისკენ სწრაფვა აბსოლუტური, მიღწეული დონე მუდმივ ფარდობითი. სიცოცხლის მიზანია სიცოცხლე.

სიცოცხლის გაუაზრებლობა და სიკვდილის გარდუვალობა ადამიანს გამოუვალ ჩიხში აგდებს. რატომ იბადება ადამიანი, რატომ ეძლევა აზროვნება, რატომ ღირს ცხოვრება, რა უმაღლეს მიზანს ემსახურება სიცოცხლე, რაშია მისი არსებობის არსი — კითხვათა კითხვებია. ამ ეჭვებს აძლიერებს სიკვდილის შემთხვევითობა. სიკვდილს არა ჩვევია გეგმაზომიერება, არ ახასიათებს ის, რომ ყოველ ადამიანს (სხვა არსებებზე ადამიანი არ დარდობს და ხშირად სიკვდილის შემსრულებელიცაა) მიეცეს სიბერემდე ყოფნის შესაძლებლობა. სიკვდილი ზოგჯერ უაზროდ, ბოროტად გვევლინება. მიჰყავს უმანკო, ახალგაზრდა, გამრჯე, პატიოსანი და დღეგრძელობას უტოვებს ავადმყოფს, ცუდს და ბოროტს. ადამიანისათვის მიუღებელია ყოფნა-არყოფნის საკითხის ასეთი გადაწყვეტა. არ არსებობს დასაბუთებული თვალსაზრისი, რომელიც დაარწმუნებდა ადამიანს შემთხვევითობისა და აუცილებლობის ამგვარი კომბინაციების ლოგიკურობაში და ამით გარკვეულად გააადვილებდა ხანმოკლე სიცოცხლიდან უვადო სიკვდილში გადასვლას. ამ ახსნას ვერც მეცნიერება იძლევა და არც რელიგია.

ადამიანის შესახებ არსებული მეცნიერებანი ეფუძნებიან მის ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ-ანატომიურ, გონებრივ-ფსიქიკურ, გენეტიკურ მონაცემებს და სწავლობენ რა მათ შესაძლებლობებს, ცდილობენ სრულყონ და გაახანგრძლივონ არსებობა-სიცოცხლე. მეცნიერების მიზანია ადამიანის არსებობის სრულყოფა და სიცოცხლის გახანგრძლივების გზით უკვდავებასთან მიახლოება. იმის მიხედვით, თუ რა კუთხით განიხილავს მეცნიერება ადამიანის ამ მიზანს, როგორ ემსახურება მის მიღწევას, არსებობენ ცალკეული დარგები და დარგთა სისტემები. ერთნი, სწავლობენ ადამიანთა არსებობის გარემოს და მათი უკეთ გამოყენების შესაძლებლობას. მეორენი, ადამიანთა საზოგადოების უკეთ გააზრებისა და ორგანიზაციის შესაძლებლობას, მესამენი, ადამიანის შესაძლებლობების (მონაცემების) სრულყოფისა და უკვდავებასთან მიახლოების შესაძლებლობას. დიდი და ხანგრძლივი მცდელობის მიუხედავად მეცნიერების მიღწევები შორსაა საკითხების წვდომისაგან და უნდა ვივარაუდოთ, რომ სწრაფვა იქნება აბსოლუტური, მიღწეული — ყოველთვის ფარდობითი.

მეცნიერების სისუსტე რელიგიის სიძლიერის უკუპროპორციულია. ორივენი კი დაპირისპირებულთა ერთობას ქმნიან და დიდი ორმხრივი მცდელობის მიუხედავად ერთი მეორის გამომრიცხავია. მეცნიერება სათავეს უდებს რა კაცობრიობის წარმოშობის შესწავლას, მას მოძრავი, ცვალებადი (მაგრამ უსულო) მატერიის გაურკვეველი გარდაქმნების შემთხვევით შედეგად სახავს. არასულიერი მატერიის შემთხვევითობათა

ქაოსი წარმოშობს სულიერ მატერიას, რომლის განვითარება საბოლოო ანგარიშით ადამიანის შექმნამდე მიდის. მკვდარი მკვდარს აეკიდება და ვღებულობთ სიცოცხლეს. რამდენად დასაჯერებელია და მეცნიერული ასეთი მტკიცება რთული წარმოსადგენია. ეს ისევე აბსურდულია, როგორც მათემატიკაში უარყოფითის უარყოფითზე გამრავლებით დადებითის მიღება. ერთი კი ნიშანდობლივია: ადამიანი იბადება, როგორც შემთხვევითობა მოძრავი მატერიისა, ცოცხლობს, როგორც შემთხვევითობა და სიკვდილის შემდეგ მკვდარ მატერიად გადაიქცევა. ამაზე შორის დღევანდელი მეცნიერება ვერ მიდის.

მეცნიერებისაგან განსხვავებით, რომელიც რეალობიდან გამოდის და არსებულს თავისებურ ახსნას უძებნის, რელიგია იძლევა განმარტებას, რომელიც ბრმა რწმენის აუცილებლობას ეფუძნება. დიდი სხვაობების მიუხედავად ყველა დროსა და მიმდინარეობის რელიგიური სისტემა ამ საკითხში მაინც ერთიანდება. რელიგია თავისებურად წყვეტს სიცოცხლის დასაბამისობის, ადამიანის წარმოშობის, სიცოცხლის მიზნის, სულის უკვდავების საკითხებს. ამასთან გადმოცემის ფორმა ყველგან ისეთია, რომ გამგები გაიგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წინასწარ დარწმუნებულია გასაგების ჭეშმარიტებაში. კრიტიკული განსჯა, დასაბუთების აუცილებლობა გამორიცხულია საბოლოო ანგარიშით. ამიტომაა, რომ ყოველი რელიგიის მიმდევარი რელიგიურია გარემოს გავლენის, გონებაგახსნილობის, ცოდნის დონის, მორალის, ქცევის ხასიათის, რწმენის სიღრმის მიხედვით. ნიშანდობლივია, რომ რელიგიურ მიმდინარეობას ადამიანი კი არ ირჩევს მათი ღრმა შესწავლის, მათი ჭეშმარიტების დანახვის, დარწმუნების შედეგად, არამედ ყოველ თაობას, ინდივიდს ხვდება მზა გარემო, რომელსაც იგი აშკარად მაინც ვერ გაექცევა. არადა ჯერ უნდა ეცნობოდეს მომავალი რწმენის ცნებებს, ეჭვით მოცული იკვლევდეს და აანალიზებდეს, რათა სულიერად გაიზარდოს და სრულყოფილებას მიაღწიოს. ამის ნაცვლად რელიგია ბავშვობიდან თრგუნავს აზროვნებას, სულიერი საზრდო დაჰყავს ბრმა მორჩილებამდე და ტრადიციებამდე, ვერ უხსნის ვერც უკვდავების საკითხებს. სიცოცხლის, როგორც სულის არსებობის ფორმათა ცვლა, რაც ბუნებაში განუწყვეტლივ ხდება, რელიგია დაიყვანს აბსურდულ ფორმალიზმამდე. რელიგიისათვის კონკრეტული სიცოცხლის მიზანი ზოგადი სიცოცხლე კი არაა, არამედ რაღაცა არ არსებულის ან სრულყოფილის ან ზებუნებრივის რწმენა და წვდომა. ამასთან, რაც უფრო ღრმად ირწმუნებ და დაემორჩილები იმას, რასაც გეუბნებიან, მით უფრო სრულყოფილი, უცოდველი ხდები და სიკვდილის შემდეგ დაიმსახურებ სამოთხეში მოხვედრას. ისინი კი, ვინც

არ გაიზიარებს რელიგიურ დოგმებს, ცოდვილნი არიან და ჯოჯოხეთში იქნებიან მუდმივ. რათა აცდე საიქიოში მუდმივ ტანჯვას და მუდმივი ლხინი დაიმსახურო, საჭიროა დაიჯერო საღვთო მცნებანი ან მოინანიო ცოდვანი და მუდმივი სამოთხე გარანტირებულია. ცნობილია, რომ ერთ დროს ცოდვის მიმტევებელ ცნობებსაც ჰყიდიდნენ კაცის მკვლელებზე, ავაზაკებზე და ა.შ. არც ის იყო უცხო, მოპარულ-მიტაცებული ქონების ნაწილით სამლოცველოებს აგებდნენ ცოდვათა გამოსყიდვის მიზნით. სხვანაირად, ღმერთს ქრთამს აძლევდნენ, რათა სამოთხეში ადგილი დაემკვიდრებინათ. ცოდვათა მიტევების სისტემა ურწმუნობის გავრცელების საფუძველია და უწესო შემოსავლებიდან წილის მიღების წყარო. საკითხს მეორე მხარეც აქვს. თუ შეიძლება ცოდვების გამოსყიდვა, მიტევება, მაშინ რა აზრი აქვს უცოდველ ცხოვრებას? თუ სიცოცხლეში შეიძლება ცოდვების გაბათილება უკეთესი საიქიოს საუკუნოდ დამკვიდრების მიზნით, რატომ საიქიოში არ შეიძლება ცოდვების მიტევება ან ჩადენა და სამოთხე-ჯოჯოხეთის შეცვლა? ამ ქვეყნად ადამიანი დროებითია, იმ ქვეყნად მუდმივად, მაშ ამ დროებითმა რატომ უნდა განსაზღვროს ის მუდმივი? კითხვები მრავალია, რომლებზეც რელიგიებს პასუხი არ შეიძლება ჰქონდეს. სიცოცხლის არსის, დანიშნულების, მიზნის საკითხებს რელიგია დამაჯერებლად ვერ ხსნის.

ჩვენ საკითხთა წრეს შევხედოთ ასე: თუ ვაღიარებთ გაორებული ერთის ჰარმონიას და არა დაპირისპირებულთა ბრძოლას, მაშინ ვაღიარებთ, რომ არსებული ერთდროულად მატერიალურიცაა და სულიერიც. ერთი მეორის გარეშე არ არსებობს. და არა ისე, როგორც მიჩნეულია, რომ ერთი არსებობს და განსაზღვრავს, წარმოშობს მეორეს. სულის მატერიის ცოცხალი მატერიაა და პირუკუ. მათ ცალკე არსებობა არ შეუძლიათ. სხვა საკითხია რას ვიგულისხმებთ სულიერ, მატერის ცნებებში, როგორ გავიგებთ ცოცხალ მატერიას. თუ სიცოცხლეს მხოლოდ ადამიანური, გნებავთ ცხოველური არსებობის ფორმით შევზღუდავთ, არასწორ დასკვნას გავაკეთებთ. რა არის სულიერება, სიცოცხლე თუ არა აღქმის, რეაგირების, შეგუების, გარდაქმნის, განვითარების უნარი. თუ მატერიის ნებისმიერმა ფორმამ არ აღიქვა, რეაგირებას ვერ მოახდენს, თუ რეაგირებას ვერ მოახდენს — ვერ გარდაიქმნება, თუ ვერ გარდაიქმნა, ვერ განვითარდება. ასეთი უსულო მატერია არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში ადამიანის არსებობის განზომილებაში.

სულიერი მატერია ქმნის სიცოცხლის უთვალავ ფორმებს. მათ შორისაა ადამიანური სიცოცხლე. ადამიანური სიცოცხლე ცალკეული ადამიანის ცხოვრებაცაა და საზოგადოების სიცოცხლე — ცხოვრებაც.

როგორც გაორებული ერთი, როგორც ზოგადი და კონკრეტული ისინი ერთი მეორის გარეშე არ მოიაზრებიან. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომელიც ადამიანების გარეშე დაიბადება, გაიზრდება, შექმნის სიცოცხლეს და ისე მოკვდება. თითოეული ადამიანი იბადება ცალკე, ცხოვრობს თავისთვის, ქმნის თავისთვის და კვდება ცალკე, მაგრამ ასეთ ინდივიდთა ერთობა უკვე საზოგადოებაა და მისი სიცოცხლეც საზოგადოებრივი ხასიათისაა. ცალკეულმა უნდა გაიაზროს არა მხოლოდ თავისი ინდივიდუალობა, არამედ ზოგადობაც. მისი სიცოცხლის საფუძველი არა ინდივიდუალობაა, არამედ ზოგადობა. ცალკეული არსებობს, როგორც ზოგადის ნაწილი, ცოცხალია, რამდენადაც ცოცხალია ზოგადი და უკვდავია, რამდენადაც უკვდავია ზოგადი. ადამიანური სიცოცხლის არსი ზოგადის სიცოცხლის არსია და ცალკეული სიცოცხლის მიზანი ზოგადის სრულყოფილი უკვდავებაა. ადამიანის სიცოცხლის არსი საზოგადოების უკვდავებაა, ხოლო მიზანი უკვდავების სრულყოფაში მონაწილეობის სრულყოფა-უკვდავება.

6.2.სიცოცხლე და ცხოვრება

ადამიანის ისევე, როგორც საზოგადოების სიცოცხლის და საერთოდ სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მსჯელობა მეცნიერებას შეუძლია ფარდობითობის ფარგლებში. ის, რაც ცნობილია, ის რაც მოპოვებულია, ნაფიქრია, ყოველივე მიახლოებითი ვარაუდების სფეროდანაა. ზღვარი არც ჩონჩხების ნაწილების აღმოჩენასა აქვს და ვერც ამ ნაწილთა ფორმის მიხედვით განსაზღრავ განვითარების კონკრეტულ დონეს.

საზოგადოების სიცოცხლე მიმდინარეობს სივრცესა და დროში. იმისათვის რათა მართებულად აისახოს სიცოცხლის ნებისმიერი ეტაპი, უნდა ვიცოდეთ შესაბამისი სივრცე და დრო.

თანამედროვე მეცნიერება ადამიანის წარმოშობის ხანგრძლივობას რამდენიმე მილიონი წლით საზღვრავს. უახლოეს წარსულში ხანგრძლივობა რამდენიმე ასეული ათასი წლით ისაზღვრებოდა. რამდენიმე მილიონი – ბოლო დასკვნაა? ვინ იცის რას დაადგენენ ხვალ?

სამწუხაროდ, მეცნიერებამ არ იცის რა პირობებში, რამდენ დროს შეინახება ნამარხი. თუ ვერ მიაკვლიეს ხუთ მილიონზე უხნეს ნამარხს, არ ნიშნავს, რომ ადამიანი არ არსებობდა. ზღვარს ამ მხრივ ვერც საწყისს დავუდებთ და ნურც დასასრულზე ვიმარჩიელებთ.

თანამედროვე მეცნიერებაში დადგენილად ითვლება, თუ ზოგადად

ადამიანის სიცოცხლეს აქვს დიდი პერიოდი, თანამედროვე ადამიანთა ცხოვრება სულ რამდენიმე ათას წელს მოიცავს. დაყოფა ასეთია: უძველესი პერიოდი, ქვედა პალეოლითი, იწყება დაახლოებით ორმოცი ათასი წლის წინ, გადაიზრდება ზედაში და მთავრდება დაახლოებით თორმეტი ათასი წლის წინ. საზოგადოება გადადის მეზოლითის (საშუალო) პერიოდში, მისი ხანგრძლივობა დაახლოებით შვიდი ათასი წელია ამით მთავრდება ცხოვრების ქვის ხანა თავისი ქვეპერიოდებით. საზოგადოება ბრინჯაოს ხანაში შედის. ბრინჯაოს ხანა, ორი ათასწლოვანი არსებობა-განვითარების შემდეგ, ადგილს უთმობს ცხოვრების რკინის პერიოდს, რომელიც დღემდე გრძელდება.

აქ მოტანილი ჩამოთვლა დადასტურებულია მსოფლიო მეცნიერების მიერ და არქეოლოგიის დიდი მიღწევაა. მაგრამ რამდენად სრულად ასახავს ყოველივე სინამდვილეს თუ საქართველოში, დმანისში აღმოაჩინეს 1800000 წ. წინანდელი ნამარხი, ადამიანის არა მხოლოდ სიცოცხლის (ჩონჩხის ნაშთები), არამედ საერთო ცხოვრების (ქვის იარაღები) დამადასტურებელი. დაახლოებით ორი მილიონი და ორმოცი ათასი მიახლოებით ტოლობაში ვერ მოდის. ნუ ავჩქარდებით დასკვნების გაკეთებისას.

რათა გავერკვეთ სინამდვილეში, უნდა გავითვალისწინოთ პირველ რიგში გეოგრაფიულ-გეოლოგიური მონაცემები, რომლებიც თავის მხრივ, აღიარებულ ზუსტ მეცნიერებათა გათვლებზეა დამოკიდებული.

საერთო მეცნიერული გაანგარიშებით ჩვენი დედამიწის განვითარება მეოთხეულ პერიოდშია. პერიოდები დადგენილია გამყინვარების ნაკვალევების შესწავლების საფუძველზე. ყინვარეული, მდინარეული ნალექები, ტბათა და ზღვათა სანაპიროებზე დაგროვილი ნალექები და ორგანული ნაშთები დედამიწის განვითარების ზოგადი სურათის წარმოდგენის წყაროა. გამყინვარების პერიოდების დადგომა თავის მხრივ კლიმატის, დედამიწის, მასზე ფლორის, ფაუნის, ყველა მიმდინარე სიცოცხლისეული პროცესების ცვლილებას იწვევდა. მეცნიერება ადგენს სამი გამყინვარების კვალს, რაც არ გამორიცხავს მანამდე პერიოდული გამყინვერების შესაძლებლობას. პირიქით, თუ მზის სიტემა სტაბილურად ფუნქციონირებს მილიარდობით წლის მანძილზე, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პერიოდულ გამყინვარებას ასევე ექნებოდა ადგილი. დადგენილი გამყინვარებათა მონაცვლეობის პერიოდების შედარებით ზუსტი დადგენა, საერთო კანონზომიერების და პროგნოზირების საფუძველია.

განვითარების და დათბობის პერიოდების შესახებ არსებული ჰიპოთეზები თეორიისაგან შორს არიან. მზის სისტემის პერიოდული შესვლა ნისლოვანებში, მზის ლაქების გაძლიერების ხანგრძლივი პერიოდების

არსებობა, დედამიწის პოლუსების შეცვლა, ატმოსფეროს შემადგენლობის პერიოდული შეცვლა და ა.შ. ჰიპოთეზები მრავალია, ჭეშმარიტებასთან მიახლოება მცირე.

მეცნიერული მონაცემებით, უკანასკნელი გამყინვარება დედამიწას ფარავდა დაახლოებით, ჩრდილოეთის განედის 50 გრადუსამდე. იგი კავკასიამდე და ალპებამდე ჩამოდიოდა. მთები თავისთავად ყინულით იფარებოდა. გამყინვარება არ იწყებოდა და არ მთავრდებოდა უცებ. მეცნიერების თვალსაზრისი გამყინვარებათშორისო პერიოდების ხანგრძლივობას ოცი ათასიდან ორასორმოცი ათას წლამდე ითვალისწინებს. სავარაუდოა, რომ გამყინვარების ნაშთების ასაკის განსაზღვრის ახალი მეთოდები ნათელს მოჰფენს ამ რთულ საკითხს და ის ბოლოს საერთო დასკვნის საფუძველი გახდება. დღეს-დღეისობით დადგენილ ჭეშმარიტებად ითვლება გათვლა, რომ ბოლო გამყინვარება ათი ათასი წლის წინ დამთავრდა.

ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ორ უცილობელ დასკვნას:

1. დედამიწაზე პერიოდულად ადგილი აქვს გამყინვარებას;
2. ბოლო გამყინვარება ათი ათასი წლის წინ დამთავრდა.

ამ ორი დასკვნის გავრცელება ადამიანთა სიცოცხლისა და ცხოვრების არქეოლოგიურ-ანთროპოლოგიურ მონაცემებზე გარკვეულად მოაწესრიგებს ჩვენს წარმოდგენას.

არა გვაქვს რა სხვა მაგალითი, დაშვების მეთოდით წარმოვიდგინოთ რა შეიძლება მოჰყვეს გამყინვარების დადგომას. თუ ალპებამდე, კავკასიამდე, პამირამდე გამყინვარება ჩამოვა, აბსოლუტურად შეიცვლება პლანეტისა და საზოგადოების სურათი:

1.ამ მთაგრეხილების ჩრდილოეთით და სამხრეთით მიმდებარე ტერიტორიებზე მოისპობა ცივილიზაცია. ეკვატორიიდან შორს ჩრდილოეთით და სამხრეთით ცივილიზაციის მოსპობა არა მხოლოდ შეამცირებს მის არეალს, არამედ მის ნგრევამდე მიგვიყვანს, რადგან შეიცვლება არ მხოლოდ კლიმატი, არამედ პლანეტა მთლიანობაში. რა კატაკლიზმებს ექნება ადგილი ადვილიცაა და ძნელიც წარმოსადგენად; 2.ცივილიზაციის მოსპობით (ას მეტრიანი და კილომეტრიანი სისქის ყინულის ქვეშ სხვანაირად არ იქნება) შეიცვლება სიცოცხლის პირობები; 3.კატასტროფულად შემცირდება რესურსები; 4.შეიცვლება ცხოვრების წესი; 5.ბრძოლა გადარჩენისათვის გამოიწვევს საზოგადოების რაოდენობრივ შემცირებას; 6.მასობრივი მიგრაციები ეკვატორისაკენ; 7.ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება; 8.ცივილიზებური ერების მოსპობა-გაველურება; 9.წარსული მეცნიერულ-ტექნიკური, კულტურულ-სოცია-

ლური მიღწევების დავიწყება; 10.წარსულის ფრაგმენტული შემორჩენა ზღაპრების, მითების, ლეგენდების სახით; 11.ადამიანის გონებრივი შესაძ-ლებლობის შენარჩუნება; 12.ადამიანის ფიზიკური შეცვლა ახალ პირო-ბებთან შესაბამისად.

ყოველივე იმ შემთხვევაში, თუ პლანეტაზე მიმდინარე პროცესები არ გამოიწვევს უარეს შედეგებს.

ასევე დაშვების წესით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დათბობის პერიოდის დადგომის კვალობაზე დაიწყება უკუპროცესები, იმ სახეცვლილებით, რასაც არსებობის განზომილება მოითხოვს ადამიანებისაგან.

სხვანაირი დაშვება ძნელი წარმოსადგენია. ლოგიკური აზროვნების დედუქციური-ინდუქციური მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია ჰიპოთეზის დონეზე დავსახოთ კაცობრიობის წარსული.

მეცნიერებისათვის დადგენილია,რომ არსებული ტიპის ადამიანისათვის ძველი ქვის ხანა (ველურობის პერიოდი) იწყება დაახლოებით 40000 წლის წინ და შემდეგ დაჩქარებულად (თითქმის გეომეტრიული პროგრესიით) ვითარდება. წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანმა 40000 წლიდან 36000 წელი ქვის ხანაში (პალეოლითი, მეზოლითი, ნეოლითი) გაატარა. ორი ათასი წალი დასჭირდა ბრინჯაოს ხანის გავლას. სულ სამნახევარი ათასი წელია რაც რკინა გამოიგონა და რა პროგრესს მიაღწია. მომავალი გამყინვარების შემოტევებამდე რას შეძლებს ადამიანი? ნებისმიერი ფანტაზიორიც კი ვერ წარმოიდგენს ამას, რადგან ფანტაზიასაც რეალური წანამძღვარი სჭირდება.

დავუბრუნდეთ სინამდვილეს. ორი დღის აღმოჩენილია დმანისში თითქმის ორი მილიონი წლის წინანდელი ქვის იარაღები. არა აქვს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა თუ ადამიანის ნაშთები სხვა ტიპის ადამიანისა აღმოჩნდება. ეს ფაქტი ორი განსხვავებული დასკვნის საშუალებას იძლევა: 1. ადამიანი იმდენად უსულო და განუვითარებელი იყო, რომ ორი მილიონი წლის განმავლობაში ქვის იარაღებს ვერ გასცდა. ბოლო ხუთი ათასი წლის მანძილზე კი სასწაულებრივ შეიცვალა. ჯერ ბრინჯაოს იარაღები შექმნა, შემდეგ რკინის და მიაღწია დღევანდელ დონეს. რამ შეცვალა ადამიანის გონებრივი პოტენციალი ხუთი ათასი წლის წინ. ღმერთმა? რომელმა? ადამიანის არსებობის განზომილების მკვეთრმა შეცვლამ? ასეთი ცვლილება არ მომხდარა. მაშ რა შეიძლებოდა მომხ-დარიყო? 2. მეცნიერებისათვის დადგენილია, რომ ჩვენ პლანეტაზე ადგილი აქვს ციკლურ განვითარებას: გამყინვარება-დათბობა, რაც ძლიერად ცვლის ადამიანის საარსებო გარემოს. ციკლურობის ხანგრძლივობა უცნობია,

მაგრამ სხვადასხვა დარგის მეცნიერების მონაპოვართა გაერთიანება-ანალიზით, მიახლოებითი ასაკის დადგენა შესაძლებელი იქნა. ჩვენ შემთხვევაში ცხადი ერთია: ქვის ხანა იყო 1800000 წლის წინ და 40000 წლის წინ. ორსავე დროს ერთი სახეობისაა ნადირობის თუ შრომის იარაღები — ქვის. შეიძლება ერთტიპიური არ აღმოჩნდნენ მათი შემქმნელები. ცხადია იარაღები ერთსახოვანი იქნება, რადგან ბუნება სხვა იარაღს ველურს ვერ მოაპოვებინებდა (ჯოხი ლპება და იკარგება).

ახალი ვარაუდი: თუ თანამედროვე ტიპის ადამიანმა 40000 წლის მანძილზე შეიძლო არსებული ცივილიზაციის შექმნა, რატომ უნდა გამოირიცხოს, რომ არსებობის გარემოს შეცვლისა და მოთხოვნის კვალობაზე, 1800000 წლის წინანდელი ტიპის ადამიანი, მისი შესაძ-ლებლობის შესაბამის ცივილიზაციას შექმნიდა? რატომ უნდა გამოირიც-ხოს, რომ გამყინვარება-დათბობის ყოველი ციკლის დროს, შესაბამისი ტიპის ადამინი ქმნიდა ცივილიზაციის ახალ ტიპს? ასეთ შემთხვევაში ისმის კიდევ ერთი კითხვა: თუ ადამიანი პერიოდულად ქმნიდა ახალი ტიპის ცივილიზაციას, რომელიც გარდუვალად იღუპება, მაშ რა რჩებოდა მას, რაშია პროგრესი? პასუხი ერთია: იცვლებოდა გარემო, იცვლებოდა ადამიანი ფიზიკურად, მაგრამ რჩებოდა მისი გონებრივი შესაძლებლობანი. ეს მას საშუალებას მისცემდა, ახალი ციკლის დადგომის დროს უფრო დაჩქარებულად მოეხდინა პროგრესი.

უცილობელია, რომ გამყინვარება-დათბობის ციკლი ცვლიდა ადამიანს. ადამიანი იცვლებოდა, მაგრამ სიცოცხლე რჩებოდა, როგორც უკვდავი და განვითარებადი. არსებითი იყო, რომ ეს სიცოცხლე ადამიანს ეკუთვნოდა და არა ის, ახალ ციკლში იგი უფრო მაღალი იყო თუ დაბალი, ფიზიკურად ძლიერი თუ სუსტი, მოხრილი თუ წელგამართული, ბალნიანი თუ უბალნო, თეთრი თუ შავი და ა.შ. ყოველი, ციკლის კონკრეტული თავისებურებებით იყო განსაზღვრული. ამიტომ მცდარი წარმოდგენა არ უნდა შევიქმნათ ჩონჩხის ცალკეული დეტალის მოყვანილობიდან გამომდინარე. ჩონჩხი ვერაფერს გვეტყვის მისი მფლობელის გონებრივ და გრძნობით მონაცემებზე. მთავარია, რომ ადამიანი არსებობს, მისი სიცოცხლე და ცხოვრება მილიონობით წლების მანძილზე დასტურდება. ის არც დღეს შექმნილა და არც ხვალ ამოიწურება. ის განუსაზღვრელია თავისი შესაძლებლობით.

6. 3. ძველი ცხოვრება

განვითარების კვალობაზე ძველი ადგილს უთმობს ახალს. ძველის უარყოფა შეიძლება იყოს მექანიკური, რაც მის მოსპობას ნიშნავს და შემოქმედებითი, რაც სრულყოფა, წინსვლა, განვითარებასთან, არსებულის ახალ მაღალ თვისებრიობაში გადასვლასთაა დაკავშირებული. სწორედ ასეთ უარყოფას აქვს ადგილი კაცობრიობის ისტორიის მანძილზე.

ძველის წიაღში აღმოცენებული, განვითარებული და ბოლოს გაბატონებული, ახალია. ძველის მოძველებული ნაწილები გარკვეული დროით ახალში ინარჩუნებენ თავის არსებობას და ქრებიან მხოლოდ მათი არსებობის შესაძლებლობის გაქრობის კვალობაზე.

ამიტომაა შესაძლებელი, რომ მეცნიერების სხვადასხვა დარგებმა ძველის ნაკვალევის შესწავლის გზით აღადგინონ ძველის სურათი. თუ არაა არავითარი ნაკვალევი, ნიშნავს, რომ ძველს ყავლი გასვლია, ან სულ არ არსებულა. არ არსებულიდან კი უცებ არაფერი არ წარმოიშობა.

ბუნების შემსწავლელი მეცნიერებები, ძველის ნაკვალევის შესწავლის გზით ამტკიცებენ გამყინვარება-დათბობის ციკლების არსებობას. ეგებ ადამიანის გონებამაც შემოინახა ძველი ცივილიზაციის ნაკვალევი?

მხოლოდ თამამი ვარაუდის დონეზე შეიძლება ფრთხილი მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, რომ ჩვენი ცივილიზაციის საფუძველში ძველი ცივილიზაციის ნამსხვრევები მართლაც არის. გამყინვარების კვალობაზე ადამიანს შეიძლება მოსპობოდა ცივილიზაციის ყველა მონაპოვარი, მაგრამ მისი გონება ათასწლეულების მანძილზე უეჭველად შემოინახავდა რაღაცა ცნობებს ძველი მიღწევების ან მომხდარის შესახებ. მართლაც მრავლადაა ცალკეულ კუთხეებში პლანეტისა, ცალკეულ ტომებს თუ ერებს შორის ისეთი ცნობები შემონახული, რომელთა ცნობა პირველყოფილი ადამიანის დონეზე აბსოლუტურად გამოირიცხება. საიდანაა შემორჩენილი ეს ცნობები? პირველყოფილი ადამიანის გონების გაბრწყინებაა ეს? მსოფლიო საზოგადოებას შემორჩენილი აქვს აზრი დედამიწის ჰელიოცენტრულ სისტემაში არსებობის მტკიცებით, გადმოცემები ცეცხლოვანი ფრინველის მოფრენის შესახებ, ასტრონავტთა პატარა ფიგურები სკაფანდრებით, საფრენი აპარატების დასაშვები ბილიკები, ცნობები წარღვნის შესახებ და ა.შ. ასტრონომიური, მათემატიკური, გეოგრაფიულ-გეოლოგიური ცოდნის ელემენტები, რომელთა გაგებამდე მეცნიერება უკანასკნელ საუკუნეში მივიდა, ხშირად იწვევს გაოცებას. ჭეშმარიტად, ყოველივე ახალი დავიწყებული ძველია.

ბევრი რამ, რაც ადამიანის გონებამ შემოინახა ათასწლეულობით,

შემდეგ მითების, ლეგენდების საგანძურში დარჩა და დღესაც გვაოცებს თავისი გამოცანებით. რად ღირს თუნდაც ძველი ფილოსოფოსის პლატონის მიერ მოთხრობილი მითი ატლანდიტის და ატლანტიდების შესახებ. არა ნაკლებ საინტერესოა, როგორ არის დახასიათებული მითში არგონავტების შესახებ კოლხეთის მეფის აიეტის ხარები: ცეცხლისმფრქვეველი ხარები, რომლებიც მიწას ხნავენ და იქიდან ქვებს ყრიან. იმ პერიოდში, რომელსაც მითი ეხება არავის და მათ შორის კოლხებსაც არ შეიძლება ცოდნოდათ ცეცხლისმფრქვეველ სახნავ საშუალებებზე. იქნებ ეს უბრალო შედარებაა? ან ეგებ ქვეცნობიერად შემონახული ცნობა ასეთის შესაძლებლობის შესახებ?

დათბობის თანამედროვე ციკლის პირველი ცივილიზაციების შესახებ ცალკეული ფრაგმენტები არსებობს და ადამიანის პირველყოფილი მდგომარეობის პერიოდს უკავშირდება. შემორჩენილია არა მხოლოდ ნამარხები, არამედ ხელოვნების ნიმუშები მოხმარების და შრომის იარაღების სახით და მათზე, შემონახულია გამოქვაბულის ნახატები და სხვა. თუ ამ ნიმუშთა გავრცელების არეალს დავუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ იგი თავმოყრილია იმ გეოგრაფიულ განედებში, სადაც გამყინვარების პირობებში ცხოვრება შეიძლებოდა. ასე არის ყველა კონტინენტზე. ამის მიხედვით ასხვავებენ, აჯგუფებენ და იკვლევენ ამერიკულ, ავსტრალიურ, ჩინურ, აფრიკულ, ინდურ, შუმერულ, კრეტულ ცივილიზაციებს. დაჯგუფება და დაყოფაც პირობითია. რამდენადაა შესაძლებელი დროსა და სივრცის, განვითარების ტიპიურობის მხრივ ტროპიკული აფრიკის გაერთიანება ჩრდილო აფრიკის ცივილიზაციასთან. რამდენადაა ლოგიკური საჰარის კლდეების ნახატების ერთ სიბრტყეზე დაყენება არაბეთის ნახევარკუნძულის უდაბნოში დაფიქსირებულ ხელოვნების ნიმუშებთან და ორივეს გაერთიანება ეგვიპტურ ცივილიზაციასთან. რა ურთიერთმიმართებაა შუმერულ,ეგვიპტურ ცივილიზაციებს შორის თუნდაც პირამიდების საკითხში. კითხვები უფრო მეტია ვიდრე პასუხები. არსებული პასუხებიც მომავალში შეიძლება დაზუსტდეს, მაგრამ რატომ არ შეიძლება დავუშვათ, მათი ქვეცნობიერი კავშირი, გამყინვარებამდელ ცივილიზაციასთან?

ასეთ დროს, საკითხავია, რა აზრი აქვს ძველი ცივილიზაციების შესახებ და საერთოდ წარსულის შესახებ ცოდნას? რას გვაძლევს არქეოლოგიაზე, ლინგვისტიკაზე, ანთროპოლოგიაზე და სხვ. დახარჯული დრო და საშუალებანი?

ჯერ ერთი უნდა მიეთითოს, რომ წარსულის ასე თუ ისე ცოდნა ამდიდრებს ადამიანს სულიერად და ზნეობრივად. მეორეც, დღევანდელობის ცოდნის საფუძველი წარსულია. ახალი ყოველთვის ძველის გაგრძელებაა.

მესამე, ძველი გამოცდილების, მიღწევების, შეცდომების ანალიზის გარეშე წინსვლა შეუძლებელია. ამიტომ არის, რომ წარსულის დადგენას, განვითარების ძირითადი ხაზისა და ეტაპების გამოკვეთას ჯერ კიდევ ძველი მკვლევარები ცდილობდნენ.

ცნობილი ბერძენი მოაზროვნე დემოკრიტე მიიჩნევდა, რომ ცხოვრება ვითარდება ცხოველური არსებობიდან ადამიანურისაკენ. ფრანგი მოაზროვნენი რუსო და დიდრო ფიქრობდნენ, რომ ისტორიაში ოქროს ხანას, რკინის ხანა ცვლის. გერმანელი იოჰან ფორსტერი კაცობრიობის წარსულს ჰყოფდა სამ პერიოდად: ველურობა (ბავშვობა), ბარბაროსობა (ყრმობა), ცივილიზაცია (მოწიფულობა). ლუკრეციუს კარა ამტკიცებდა, რომ წარსული შემდეგ სამ საფეხურს მოიცავს: ქვის ხანას, ბრინჯაოს ხანას და რკინის ხანას. შოტლანდიელი ადამ ფერგიუსონის თქმით პირველყოფილი წყობილების კვალი ყოველ შემდგომ წყობილებას ნაშთების სახით თან დასდევს. მისი პერიოდიზაცია ამიტომ შეიძლება მხოლოდ სამეურნეო საქმიანობის ფორმების მიხედვით, რაც თავის მხრივ საკუთრების ფორმებთანაა დაკავშირებული. იაპონელი სპეციალისტები მურაკამი, კუმონი და სატო არჩევენ სამი ტიპის ცივილიზაციასა და ეპოქას: 1. შეგროვება და მონადირეობის ეპოქა, რომელსაც პირველყოფილი ჯოგის მდგომარეობა შეესაბამება; 2. მიწათმოქმედებისა და მეჯოგეობის ეპოქა, რომელსაც კლანური გაერთიანებანი შეესაბამება; 3. ინდუსტრიული საზოგადოება. ცნობილი ინგლისელი ისტორიკოს-ანალიტიკოსი ა. ტოინბი, ისევე როგორც რუსი დანილევსკი და გერმანელი შპენგლერი უარყოფენ საზოგადოებრივი წარსულის ასეთ პერიოდებად დაყოფას და განვითარების საფეხურების მთლიან საზოგადოებრივ პროცესთან დაკავშირებას. მათი აზრით ისტორია ცალკეული ლოკალური ცივილიზაციებისგან შედგება. მათგან პრინციპულად არ განსხვავდება კარლ იასპერსი, რომელიც სპეციალურად იკვლევს რა ისტორიის არსისა და დანიშნულების საკითხს, მიდის დასკვნამდე ისტორიაში ღერძული პერიოდების არსებობის შესახებ. მისი მტკიცებით ძვ. წელთაღრიცხვის IX-III საუკუნეები არის პერიოდი როცა მსოფლიოში მოხდა გადასვლა მითოლოგიიდან ფილოსოფიაზე და წარმართობიდან რელიგიაზე. ამით დამთავრდა მითოლოგიის პერიოდი და დაიწყო რაციონალიზმის პერიოდი.

ყველასგან განსხვავებით გერმანელი ფ. კლიქსი ცდილობს ადამიანის წარსული მისი აზროვნების განვითარების კალაპოტში მოაქციოს და გამყინვარების პერიოდებს დაუკავშიროს. მისი მტკიცებით, თანამედროვე ადამიანი ყალიბდება უკანასკნელი გამყინვარების დროს. გამყინვარებათა პერიოდების საწყის ეტაპს კი 3,5 მლნ წლით საზღვრავს.

მარქსიზმი ძველ ცხოვრებას სამ პერიოდად ყოფს: ველურობა, ბარბაროსობა, ცივილიზაცია. განხილულია ველურობის საფეხურები და მისი ბარბაროსობაში გადაზრდის კანონზომიერება. ამასთან ცივილიზაციაზე გადასვლა დამწერლობასთანაა დაკავშირებული.

ძველი ცხოვრების არსზე და განვითარების ხასიათზე მრავალი თვალსაზრისია გამოთქმული. ყოველ მათგანს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი. სწორი სურათის წარმოდგენას შეძლებს ის, ვინც კრიტიკულად გააანალიზებს მათ და შემდეგ სინთეზის სახით, ერთ თვალსაზრისად ჩამოაყალიბებს.

რამდენადაც ბოლო გამყინვარება 10 000 წლის წინ დამთავრდა, საფიქრებელია, რომ ამ პერიოდიდან მოყოლებული ჩქარდება ადამიანის გადასვლა მომპოვებელი, შემგროვებელი, მონადირის მდგომარეობიდან მწყემსის, მიწათმოქმედის, ხელოსნის მდგომარეობაზე ანუ ველურობიდან ბარბაროსობაზე, რასაც ცნობილმა ინგლისელმა არქეოლოგმა გ. ჩაილდმა ნეოლითური რევოლუცია უწოდა და მნიშვნელობით სამრეწველო რევოლუციას გაუტოლა.

მიწათმოქმედებაზე და ხელოსნობაზე გადასვლა სტიმულს აძლევს მეცნიერებისა და ხელოვნების დარგების დაჩქარებულ წინსვლას. ამ დროიდან იხვეწება და ჩქარდება აგრონომია, ასტრონომია, გეოლოგია, მხატვრობა და სხვა დარგები, ამავე პერიოდს განაკუთვნებენ დამწერლობის თავდაპირველი სახეების შემოღებას. ჩნდება ქალაქის ტიპის დასახლებანი. იწყება სასაქონლო გაცვლა, რომელიც დროთა განმავლობაში ფულად-სასაქონლო ურთიერთობად ჩამოყალიბდება. სხვა არეალების პარალელურად კავკასიაშიცაა მიკვლეული VII-VI ათასწლეულების ნამოსახლარები, კაჟის იარაღები, თიხის ჭურჭელი, ხელოვნების ნიმუშები. მოგვიანებით კი ყალიბდება დიდი ცივილიზაციის კერა, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურითაა ცნობილი.

მეცნიერთა მტკიცებით, დაახლოებით V-IV ათასწლეულების მიჯნაზე აღმოცენდება ქალაქი-სახელმწიფოები, რომლებიც შემდეგ დიდ გაერთიანებებს ქმნიან. ქალაქ-სახელმწიფოთა წარმოშობა არ არის რომელიმე მოდგმის ადამიანების პრივილეგია. ასეთი ცენტრები ყალიბდება ყველგან, ეგვიპტიდან მოყოლებული ჩინეთის ჩათვლით და თავისებურებებთან ერთად მათ განვითარების ერთნაირი დონე ახასიათებთ.

არაა საჭირო ცალკე ეგვიპტის, ინდოეთის თუ შუმერების შესახებ მოყოლა. ისტორიის სახელმძღვანელოში ფართედაა ყოველივე მოცემული. აქ მხოლოდ ერთი უნდა აღინიშნოს: შუმერული ქალაქები ისე ახლოს იყვნენ კავკასიური მოდგმის ტომებთან, რომ მათ შორის ახლო კავშირის

გამორიცხვა შეუძლებელია. ის რაც ხდებოდა ძველ შუმერებში, ბაბილონში (ბაბილონში), ხეთების იმპერიაში, უშუალოდ ეხებოდა კავკასიელებს, რომლებიც ისტორიულად ბევრად სამხრეთითაც სახლობდნენ და ერცელ ტერიტორიებს ფლობდნენ.

შუმერები უშუალოდ ესაზღვრებოდნენ იმ ტომებს, რომელთაც თამამად შეიძლება კავკასიელთა წინაპრები ვუწოდოთ. გამორიცხულია, რომ მათ შორის არ ყოფილიყო ეკონომიკურ-კულტურული კავშირები. კავკასიაში აღმოჩენილია VII-VI ათასწლეულების ნამოსახლარები, რომლებიც არ შეიძლება არ ყოფილიყო ძველ შუმერული დასახლებების განვითარების დონისა. არიან მკვლევარებიც, რომლებიც შუმერებსა და კავკასიელებს შორის არა მხოლოდ ურთიერთობის, არამედ ერთობის შესახებაც მსჯელობენ. და მაინც, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ცნობებს კავკასიელთა ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან მომდინარეობის შესახებ. თუმცა არის ვარაუდი, პირიქით, შუამდინარეთიდან და მცირე აზიიდან ბალკანეთში და უფრო დასავლეთით მიგრაციების შესახებ. მომავალში ლინგვისტიკურ-არქეოლოგიური კვლევები ბევრ რამეს ნათელს გახდიან.

იმის გათვალისწინებით, რას გვაწვდიან წერილობითი ცნობები, რა მინიშნებებს შეიცავენ ძველი მითები და ლეგენდები, რას ადასტურებენ არქეოლოგიური გათხრები, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კავკასიური ერების წინაპარი ტომები გავრცელებული იყვნენ ურმიისა და ვანის ტბებიდან მოყოლებული ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩათვლით. მათი უშუალო მონაწილეობით ჩამოყალიბდა უძველესი ცივილიზაცია, რომელსაც კრეტა-მიკენის კულტურას უწოდებენ და რომლის ელემენტებს მრავლად ვხვდებით იქიდან კავკასიამდე. ამ ტომთა მონაწილეობით უნდა შექმნილიყო ხეთების იმპერია და ქალდეველთა ქვეყანა.

ყოვლად დაუშვებელია ფიქრი იმაზე, რომ ორი მილიონი წლის წინანდელი ნამარხი ამა თუ იმ ერის წინაპარს ეკუთვნოდა, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ კავკასიელთა წინაპრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ძველი ცხოვრების შექმნა-განვითარებაში. იმ ძველი დროდან მოყოლებული, არ ყოფილა საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთი პერიოდი, როდესაც კავკასიურ-იბერიული მოდგმა მის არსებობა-წინსვლაში აქტიურად არ იყო ჩაბმული.

6. 4. ცხოვრების არსი

საზოგადოებამ გრძელი, წინააღმდეგობრივი, არასწორხაზოვანი გზა განვლო ძველი, პირველყოფილი მდგომარეობის ცხოვრებიდან დღემდე. 40000 წლის მანძილზე მან უკან მოიტოვა ქვის ხანა (ადრეული და გვიანდელი პალეოლითი, მეზოლითი და ნეოლითი), ბრინჯაოს ხანა და რკინის ხანა. შექმნა და უკუაგდო თემური წყობილება. მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი და გადის კაპიტალისტურ წყობას. ცვლილებები ცხოვრების ხასიათში მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით დაჩქარებული ტემპით გამოირჩევა იგი უკანასკნელი 100-150 წლის განმავლობაში. ბოლო 50 წელს სამართლიანად უწოდეს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პერიოდი. XXI საუკუნე გენეტიკური ინჟინერიის საუკუნეა. ადამიანი წვდება და ცვლის არა მხოლოდ ბუნებრივ ნივთიერებათა ბუნებას, არამედ თვით ადამიანსაც. სადამდე მივა პროცესები, დღეს ამის გაფიქრებაც არ შეიძლება.

ადამიანის არსებობის მთელი ისტორია პირველყოფილი მდგომარეობიდან მოყოლებული განუწყვეტელი ბრძოლაა. იგი ქმნის და სპობს, აშენებს და ანგრევს, იგონებს და ივიწყებს, არ ზოგავს თავს და არ ზოგავს გარემოს. არ კმაყოფილდება ბუნების მიერ ბოძებულით და ცდილობს რაც შეიძლება მეტად თავის სასარგებლოდ გარდაქმნას გარემო.

ადამიანი, ერთი შეხედვით მტაცებელია. იგი მტაცებლებშიც გამოირჩევა დამოუკიდებლობით. არცერთი მტაცებელი ცხოველი არ ინადირებს, არ მიითვისებს იმაზე მეტს, რაც მისი სიცოცხლის უზრუნველყოფას სჭირდება. ადამიანმა არ იცის ზღვარი. განუზომელია მისი მისწრაფებანი, დაუკმაყოფილებელი სურვილები, სიხარბე ყველგან და ყველაფერში. ნუთუ ეს არის ადამიანთა ცხოვრების არსი?

კითხვაზე პასუხის გაცემისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ადამიანის ცხოვრების სამი ძირითადი მხარე: 1. ადამიანი და ბუნება; 2. ადამიანი და ადამიანი; 3. ადამიანი და მისი მე. სხვანაირად; კაცობრიობის დამოკიდებულება სამყაროსადმი, მათი ურთიერთმიმართება. საზოგადოების ცხოვრება, საზოგადოებრივი ურთიერთობანი. ცალკეული პიროვნება როგორც ასეთი და პიროვნება თავისში.

პრობლემა არ ახალია, ძველია. არისტოტელედან მოყოლებული განსაკუთრებით იზრდებოდა ინტერესი საზოგადოებრივი ურთიერთობის და სახელმწიფოს, როგორც ურთიერთობათა კონცენტრირებული გამოხატულების შესწავლისადმი. გ. ჰეგელი კაცობრიობას აბსოლუტური სულის (გონების) გამოვლენის სახედ მიიჩნევდა და ამდენად ამ მთელის

შესწავლას, შეცნობას, გააზრებას მიესწრაფვოდა. შესწავლის პროცესის მიმართვა მთელიდან ნაწილისაკენ იყო ი. კანტის მოთხოვნა.

საზოგადოების, როგორც მთელის შეცნობა უეჭველად გულისხმობს: 1. გარემოსთან მისი კავშირების დადგენასა და ანალიზს; 2. საზოგადოების ისტორიის ხაზის გარკვევას; 3. მისი შემადგენლობის, შემადგენელი ნაწილების ურთიერთმიმართების დადგენას; 4. მთლიანი ფუნქციის, სიცოცხლისუნარიანობის გარკვევას; 5. მთლიანი იმ მექანიზმების ცოდნას, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მთლიანობას, განვითარებას, სრულყოფას. ამ საფუძველზე მთლიანის არსის შეცნობა ხდება.

შესაბამისად, როცა გვინდა საზოგადოების ცხოვრების არსის დადგენა, უნდა წინასწარ ვიცოდეთ საზოგადოების თვისებრივი სპეციფიკა. მისი სტრუქტურა, სტრუქტურის შინაგანი ორგანიზაცია, კავშირები, ფუნქციები, გარემოსთან ურთიერთობის ხასიათი. თავის მხრივ ეს ცოდნა საზოგადოების ისტორიას, მისი გენეზისის ცოდნას ემყარება.

წარსულის ცოდნა გვეუბნება, რომ ადამიანები, სანამ საზოგადოებად ჩამოყალიბდებოდნენ, ჯოგურ ცხოვრებას მისდევდნენ სხვა სახის ცხოველთა მსგავსად. მომპოვებელი საქმიანობა, ყოველგვარი შრომის იარაღებისა და მყარი საცხოვრისის გარეშე, მათ ყოფას აუტანელს ხდიდა. მუდმივი შიში, შიმშილი, დაუცველობა აიძულებდა პირველყოფილ ადამიანებს ჯოგებად გაერთიანებულიყვნენ და ერთობლივი საქმიანობით გაეტანათ თავი. ჯოგის დამოკიდებულება ბუნების მოვლენებისადმი, გარემოსადმი იყო ბრმისა და სუსტის მდგომარეობა. არ ესმოდათ რა გარემოს კანონზომიერება, ადამიანები ღმერთებად წარმოიდგენდნენ როგორც ბუნების მოვლენებს, ასევე ცალკეულ ცხოველებს. მთელი მათი საქმიანობა საკვების მოპოვება იყო. საკვები კი არასაკმარისი. უკმარისობა განაპირობებდა ბრძოლას, მიგრაციას, ქიშპს და ჭიდილს გადარჩენისათვის. არავინ იყო რაიმეს მესაკუთრე და უზრუნველყოფილი. ხის და ქვის იარაღების შექმნა დიდ რევოლუციას მოასწავებდა და საფუძველს უდებდა კერძო საკუთრების დამკვიდრებას. ძნელია დაეთანხმო მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, თითქოს თავდაპირველი სახე საკუთრებისა, საზოგადოებრივი საკუთრების ხასიათის მატარებელია. აზრი, რომ თავდაპირველად იყო საზოგადოებრივი საკუთრება, იგი უარყო კერძომ, კერძოს უარყოფს საზოგადოებრივი (კომუნისტური), ისტორიული პრაქტიკის მორგებაა უარყოფის ფილოსოფიური კანონის მექანიკურ გაგებასთან. რა საზოგადოებრივ საკუთრებაზე შეიძლებოდა მსჯელობა ადამიანებში, რომლებმაც საკუთრების გაგებაც არ იცოდნენ და კმაყოფილდებოდნენ იმით, რასაც მოიპოვებდნენ.

პირველი გააზრებული საკუთრება აღმოცენდა შრომის იარაღებთან

დაკავშირებით და ეს იყო კერძო საკუთრება. ვის შეუძლია წარმოიდგინოს პირველყოფილი ადამიანი, რომელიც საკვების მოპოვების რაღაცა იარაღს შექმნის და მერე მას სხვის (ჯოგის) საკუთრებად გამოაცხადებს. ადამიანი ყოველთვის იყო მე-ს მატარებელი, მე-სთვის მებრძოლი და ალბათ ასეთად დარჩება ყოველთვის. სხვა საქმეა, თუ გააზრებულად, მე-დან გამომდინარე წინ დააყენებს ჩვენ-ს და საყოველთაოს. ასეთი ადამიანები ყოველთვის იყვნენ, იქნებიან და არც მცდელობას დააკლებენ.

ადამიანის დამოკიდებულება გარემოსადმი იცვლებოდა იმის მიხედვით თუ რა ზემოქმედება შეეძლო მას და რა იარაღებით. გარემოსადმი დამოკიდებულების ცვლილება იწვევდა ცვლილებას ადამიანების ურთიერთობებში. თავის მხრივ უკანასკნელი ცვლიდა ადამიანს. მათ შორის აქტიური უკუზემოქმედების პროცესები მიმდინარეობდა და ერთში ცვლილება უეჭველად აისახებოდა დანარჩენებში.

კაცობრიობის ისტორია არსებობისათვის ბრძოლის ისტორიაა. ბრძოლის მიზანი ბუნებისაგან დამოუკიდებლობის, საზოგადოებრივ ურთიერთობებში თავისუფლების მიღწევა, მე-ს სრული დაკმაყოფილების პირობებში. ხანგრძლივი ბრძოლის მიუხედავად არც ერთი მიზანი მიღწეული არაა. შეძლებს კი ადამიანი იყოს გარე სამყაროსაგან დამოუკიდებელი თუ მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს? თუ ნაწილი მოწყდება მთელს, ის უკვე ნაწილი კი არ იქნება, არამედ დამოუკიდებული მთელი. არსებობის განზომილების გარეშე კი ადამიანს არსებობა არ შეუძლია. ის მუდამ იტრიალებს ამ განზომილებაში, მუდამ ეცდება გახდეს დამოუკიდებელი, თავისუფალი, მაგრამ ამ მიზანს ვერასოდეს მიაღწევს. ლტოლვა თავისუფლებისაკენ იქნება აბსოლუტური, მიღწეული დონე ფარდობითი. მისი ცხოვრების არსია ბრძოლა თავისუფლებისათვის, სადაც ბრძოლა აბსოლუტურია, თავისუფლება ფარდობითი. თავისუფლება მიზანია, ბრძოლა – გზა. თავისუფლება ობიექტური-სუბიექტურია. ობიექტურად განპირობებული, სუბიექტურად გაცნობიერებული. გარე სამყაროსთან მიმართებაში თავისუფლების დონე ობიექტურად მზარდია, მაგრამ მუდამ მიუღწეველი. ობიექტურის განცდა სუბიექტურია. ეს გრძნობა ინდივიდუამდე დაყვანილი მუდმივ სუბიექტურია, მაშინ როცა საზოგადოების დონემდე აყვანილი ობიექტური. ინდივიდის დონეზე რაც უფრო ღრმაა თავისუფლების გაგება, მით მტკივნეული სინამდვილის შეცნობა. საზოგადოების დონეზე შეიძლება გარემოს მიმართ დამოუკიდებლობის, თავისუფლების ობიექტური განსჯა.

იმისათვის, რათა გაცნობიერებული იქნეს მიზნის მიღწევის დონე, უნდა გავერკვეთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათში, გავიანგარიშოთ ურთიერთობათა განვითარების ისტორიული ტენდენცია და

განეჭვრიტოთ მომავალი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ცალკეული ადამიანის ადგილისა და დონის ცოდნა ამ ურთიერთობაში.

ურთიერთობათა ხასიათის მხრივ, ადამიანი განვითარებას იწყებს ცხოველური ჯოგური მდგომარეობის დონიდან. ჯოგის შიგნით პატარების და დროებით სუსტთა მიმართ არის ახლობლების მხრივ დაცვის რაღაცა მექანიზმები, მაგრამ ძირითადი პრინციპი ერთია: ძლიერი რჩება, სუსტი კვდება. რათა ძლიერი იყოს და არსებობა შეინარჩუნოს, ჯოგის ყოველი წევრი, შესაძლებელის ფარგლებში თავისთვის ცდილობს. ამ გაგებით, ყველა პოტენციური მოწინააღმდეგეა. ურთიერთობებში შედარებით თავისუფალი ჯოგის თავია. ეს მდგომარეობა მას ბრძოლით აქვს მოპოვებული და ძალით იცავს. გარემოს მიმართ იგი ბუნების ძალთა ტყვეა, მონაა, მაგრამ ჯოგის შიგნით შედარებით დამოუკიდებელი და თავისუფალი. აღნიშნული პრინციპი, გარკვეული ცვლილებებით და სხვა მასშტაბებით მოქმედებს მომდევნო წყობილებებშიც. სახელმწიფოს,როგორც პრინციპის დაცვის მექანიზმის ჩამოყალიბება, ურთიერთობებს მხოლოდ ართულებს და ვერ ცვლის. ამიტომ ხდება გარდუვალი იძულების ინსტიტუტების (ორგანოების) დაარსება-სრულყოფა.

მომპოვებელი საქმიანობიდან წარმოებაზე გადასვლა (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა) მე-ს მატერიალური დაკმაყოფილების მეტ საშუალებას ქმნის და ურთიერთობებში თავისუფლების მეტი დონის მიღწევას უწყობს ხელს. მონათფლობელური დესპოტიზმის დროსაც კი, ურთიერთობებში თავისუფლების მეტი დონეა, ვიდრე ადრე იყო, თუმცა ოფიციალურად ყველა და ყველაფერი ეკუთვინის მეფეს, ფარაონს, იმპერატორს და ა.შ. ფეოდალიზმის დროს თავისუფლება მეტ ხარისხს იძენს. პატარა მემამულეც კი ურთიერთობებში ბევრად დამოუკიდებელია და თავისუფალია. კაპიტალიზმი ათავისუფლებს ადამიანს პირადი ფიზიკური დამოკიდებულებისაგან. საზოგადოებრივი ურთიერთობანი უკვე ისე ყალიბდება, რომ სამართლებრივად ყველა სრულწლოვანი დამოუკიდებელია, თავისუფალია. სინამდვილეში მოქმედებს მკაცრი ეკონომიკურ-ფინანსური დამოკიდებულება. ურთიერთობებში თავისუფალია (ფარდობით) ფულის მქონებელი. უფულო განწირულია. და საზოგადოებრივ ურთიერთობებში კვლავ გრძელდება ბრძოლა არსებობისათვის: თუ მთლიანად ქვეყანაში ყველას ნორმალური ცხოვრებისათვის საკმარისი პირობებია, ინდივიდებზე დაყვანისას აღმოჩნდება, რომ ერთეულებს აქვთ იმდენი, რამდენიც მე-ს სიხარბემ მოაპოვებინა, ათასები კი მოკლებულნი არიან ყველაფერს. ასეთი მდგომარეობა კი ყოველთვის წარმოშობს პირობების შედარებით სამართლიანი განაწილების მისწრაფებას.

გამოდის, რომ ადამიანთა ურთიერთობებში, მზარდია თავისუფლების გაგება და დონე, მაგრამ მიღწეული არასაკმარისი. ამ მხრივ აბსოლუტური თავისუფლება შეუძლებელია. იგი მუდმივ იარსებებს, როგორც მიზანი, თუმცა მიღწევის დონე მუდამ ფარდობითი იქნება.

არანაკლებ რთულადაა ადამიანის პირად მე-სთან დამოკიდებულების საქმე. გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობანი და გამოვლენის პირობები ადამიანს გაორებულ მდგომარეობაში (თუ მეტი არა) აგდებს. ერთია რა პოტენციალი აქვს ადამიანს, რა შეუძლია და რა მისწრაფებები ამოძრავებს. მეორეა, რომ გარემოში უწევს მოქმედება, რამდენად უწყობს ხელს შინაგანი სტიმულიზების რეალიზებას, ეხმარება თუ ახშობს შესაძლებლობების სინამდვილედ გადაქცევას. გაორებული პიროვნება სრულფასოვანი არაა. ცხადია, რომ ადამიანის ყველა სურვილს, შესაძლებლობის ყველა მხარეს აღსრულება არ უწერია. მხედველობაშია ის შესაძლებლობანი, რომელიც მოსპობდა გაორებას, სრულყოფდა პიროვნებას და ხელს შეუწყობდა საზოგადოებას. ვითარებაში, როცა ადამიანი ფიქრობს ერთს, ამბობს მეორეს და აკეთებს მესამეს, გამოირიცხება მე-ს (პიროვნების) სრულყოფის, შინაგანი და გარეგანის, მისწრაფების და მოქმედების, შესაძლებლობის და სინამდვილის ჰარმონიზაცია. მიღწეული დონე, რამდენადაც არ უნდა აღემატებოდეს წინამორბედს ნაკლოვანი და წინააღმდეგობრივი იქნება. მით უმეტეს, რომ მე-სთან მიმართებაში სუბიექტივიზმი სჭარბობს ობიექტურის გაცნობიერებას. ობიექტურის გაცნობიერებაც სუბიექტურია. დებულება, რომ თავისუფლება გაცნობიერებული აუცილებლობაა, ვერ ხსნის საკითხის სირთულეს. მიღწეული ჰარმონია ყოველთვის ფარდობითი დარჩება.

ადამიანის ცხოვრების არსი სამივე მიმართებით (ბუნებასთან, ადამიანებთან, მე-სთან) ჰარმონიის, თავისუფლების, დამოუკიდებლობის მიღწევაა. სიტყვა „თავისუფლება" ყველაზე სრულად გამოხატავს ამ მისწრაფებას. კაცობრიობის ისტორია თავისუფლებისაკენ სვლაა. სვლა ყველა მიმართულებით აბსოლუტური თავისუფლების მოპოვებას გულისხმობს, მაგრამ აბსოლუტურის მიღწევა შეუძლებელია. ადამიანი ვერ ამოხტება არსებობის არსებული განზომილებიდან. მიღწეული ყოველთვის ფარდობითი იქნება. შეცნობილი აუცილებლობა თავისუფლებისაკენ სვლის პირობაა და არა თავისუფლება. ისტორია იმასაც ადასტურებს, რომ ადამიანს ცვალებადი წარმატებით უწევდა ურთიერთობა ყველა მიმართებით. ამ ურთიერთობას შეიძლება ბრძოლა ეწოდოს, მაგრამ არა გავრცელებული შინაარსით. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრების არსი თავისუფლებაა, გზა-ბრძოლა. ამ პროცესს არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული.

7.საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი

7. 1.ადამიანთა ერთობის ფორმები

საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულის ცოდნა, თანამედროვე ეტაპის გარკვევა, მომავლის პერსპექტივის განჭვრეტა შეუძლებელია თუ არ ვაღიარებთ, რომ არსებობისა და განვითარების კანონები და კატეგორიები მოქმედებენ როგორც ადამიანის არსებობის განზომილებაში, ასევე საზოგადოებაში. მათი ცოდნის გარეშე საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერების გაგება შეუძლებელია.

საზოგადოებაში ყოფიერებისა თუ ცნობიერების პირველადობის გარკვევის მცდელობა ბევრი არასწორი დასკვნის საფუძველი გამხდარა. მატერიალისტები მიიჩნევენ, რომ საზოგადოებრივი ყოფიერება პირველადია და განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცხოვრებას. იდეალისტებს მიაჩნიათ, რომ ბუნებისაგან განსხვავებით, საზოგადოებაში ყოველი მოვლენა გაცნობიერებულია, მოაზროვნე არსების მოქმედების შედეგია. ადამიანმა ჯერ უნდა მოიაზროს და შემდეგ იმოქმედოს. შესაბამისად ცნობიერება პირველადია, ყოფიერება მეორადი.

ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მექანიკური გავრცელება საზოგადოებაზე არის მცდარი დასკვნის საფუძველი. ის, რომ მატერიალური ურთიერთობანი, ინტერესები ადამიანთა ფართე მასებს მოიცავს, არ ნიშნავს რომ ესაა განმსაზღვრელი მხარე. მართალია ადამიანების ცხოვრება ძირითადად საკვების, ჩაცმისის, საცხოვრისის პრობლემებითაა გაჯერებული, მაგრამ არა ნაკლებადაა გაჯერებული სულიერი მოთხოვნილებებითაც. მატერიალური ხშირად სულიერის დაკმაყოფილების, მიღწევის საშუალებაა და გზა. თავის მხრივ სულიერი მოთხოვნილებები, ცნობიერების სფეროს, ხშირად უკან სწევენ მატერიალურ მისწრაფებებს. როგორც ერთი, ისე მეორე მომენტი არ აძლევს უპირატესობას ერთს მეორის წინაშე. ისინი ერთნაირად მოიცავენ საზოგადოებრივ ცხოვრებას. როგორც ხილულ სამყაროში არაა უსულო მატერია, ასევე საზოგადოებაში არ შეიძლება მატერიალური ცხოვრებისა და ურთიერთობების წარმოდგენა ცნობიერებისაგან მოწყვეტით. ცნობიერება ყოფიერებაა და ყოფიერება ცნობიერება.

რამდენადაც საზოგადოება სამყაროს განსაკუთრებულ ნაწილს წარმოადგენს, ამდენად საერთო კანონზომიერება საზოგადოებაში მთელი

რიგი თავისებურებებით გამოვლინდება, რაც არ შეიძლება მათი გათიშვისა და დაპირისპირების საგანი გახდეს. ამ საერთო კანონზომიერების გარდა საზოგადოებაში მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებაც მოქმედებს. ამიტომ დაუშვებელია ბუნებისა და საზოგადოების არსებობისა და მოქმედების კანონზომიერებათა სრულ თანხვედრაზე საუბარი. გაუმართლებელია ბიოლოგიის, ქიმიის, გეოლოგიის, ან სხვა მეცნიერებათა კანონების საზოგადოებაზე მექანიკური გადატანა. ბუნებაში არსებული ბრძოლა არსებობისათვის, საზოგადოებაში სხვანაირად მოქმედებს. არსებული ცოდნის დონე გვკარნახობს, რომ მცენარეები, ცხოველები არსებობას ინარჩუნებენ გარემოსთან შეგუების გზით. ადამიანი უნარმოსილია არა მხოლოდ გამოიყენოს გარემო პირობები, არამედ აქტიური ზემოქმედების გზით გარდაქმნას იგი. სამყარო არა მხოლოდ წარმოშობს ადამინთა საზოგადოებას, არამედ ზეგავლენასაც ახდენს მათ მოქმედებაზე, ცხოვრების ხასიათზე, შეიძლება ძირეულადაც შეცვალოს პროცესი, მაგრამ საზოგადოებაც უკუზემოქმედებს გარემოზე, ცდილობს ღრმად ჩაწვდეს და მაქსიმალურად გამოიყენოს იგი, თავიდან აიცილოს სტიქიის ზეგავლენა, არა მხოლოდ შეეგუოს, არამედ გარდაქმნას კიდეც, მიაღწიოს ჰარმონიის მეტ დონეს.

ადამიანები კოლექტიურ არსებებს წარმოადგენენ. ამდენად, მათ შორის ყოველთვის იყო ურთიერთობისა და ერთობის გარკვეული ფორმები. შეუძლებელია ამ ფორმათა წარმოდგენა მილიონობით წლების მანძილზე, ამა თუ იმ გამყინვარებათშორი პერიოდებში, მაგრამ თანამედროვე ადამიანის ცნობილი წარსული რომ ჯოგური ხასიათის ცხოვრება იყო, ეს მეცნიერებისათვის დადგენილადაა მიჩნეული. ადამიანთა ერთობის პირველი ისტორიული ფორმა ჯოგია. ეს ფორმა ბევრ არსებას ახასიათებს. ადამიანი მათ ერთი სიტყვით გამოთქვამს თუმცა ყველას თავისებური ნიშნები აქვს. ასეთი ურთიერთობების ხანგრძლივობამ, სრულყოფამ, ბოლოს გვარის ჩამოყალიბება განაპირობა.

გვარით ერთობა ურთიერთობის მაღალი და შედარებით სრულყოფილი ფორმაა. იგი არეგულირებს დამოკიდებულებას სისხლით ნათესავებს შორის. მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ გვარით ნათესაობა ადრეულ პერიოდში დედის ხაზით მიმდინარეობდა, ხოლო შემდეგ ეკონომიკურ ცხოვრებაში და თავდაცვის საქმეში მამაკაცის როლის ზრდის კვალობაზე მამაკაცის ხაზით წარიმართა.

ადამიანთა რაოდენობრივი და თვისობრივი ზრდის კვალობაზე დაიწყო გვარების გაერთიანება ტომებად და ტომთა კავშირებად. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა თემური წყობილების უმაღლეს დონეს. ტომთა კავშირის

შიგნით გვარის ნაცვლად წინა პლანზე იწვევდა ტერიტორიულ-ეკონომიკური სიახლოვე. ეს პროცესი დაგვირგვინდა ერთობის ახალი ისტორიული ფორმის — ერის ჩამოყალიბებით. ერი გვაროვნულ-ტომობრივი ურთიერთობის რღვევის, ოჯახებად მათი დაყოფის, მდიდრებად და ღარიბებად გათიშვის შედეგია. ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე გვაროვნული ერთობა ადგილს უთმობს ოჯახთა სოციალურ ერთობას. ეს არის წინაკლასობრივი მდგომარეობის ლიკვიდაცია და განსხვავებული სოციალური ფენებით კლასების წარმოშობის პერიოდი.

ტომთა გაერთიანების გადაზრდა ერად ნიშნავს ენობრივად და ტერიტორიულად მონათესავე ადამიანების ერთობას ახალი ისტორიული ფორმით. ერის ჩამოყალიბების კვალობაზე ტომი თავისი ნიშნებით სწრაფად ჰკარგავს მნიშვნელობას. სისხლის ნათესაობა ადგილს უთმობს ტერიტორიულ და ქონებრივ ერთობას. ახალი ფორმა სპობს გვარისა და ტომის შიგნით არსებულ შეზღუდვებს, ხელს უწყობს კერძო საკუთრების ზრდას და შესაბამისად საწარმოო ძალთა გაძლიერებას.

ტომთა კავშირი უკვე მოიცავს სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ელემენტებს. პირადი ავტორიტეტი, ტრადიციები, ჩვეები თანდათანობით ადგილს უთმობენ სახელმწიფო ორგანოების მმართველობას. ერის ჩამოყალიბება, ამსხვრევს რა ტომობრივ ტრადიციულობას, აჩქარებს მმართველობის ძველი ფორმის ნაცვლად ახლის შექმნას. კლასების აღმოცენება საბოლოოდ აფორმებს სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკურად გაბატონებული კლასის პოლიტიკურად გაბატონების ფაქტს. ამავე პერიოდში მთავრდება ტომობრივი ენიდან გადასვლა ერის ენაზე.

ადამიანთა ერთობის ისტორიული ფორმა — ერი ტომთა გაერთიანებისაგან განსხვავებით ხასიათდება ერთიანი ენით, ერთიანი ტერიტორიით და თანდათანობით ყალიბდება აგრეთვე ერთიანი ფსიქიკურ-გენეტიკური წყობა. ამ ელემენტების ჩამოყალიბებას აჩქარებს ერთიანი საქვეყნო მეურნეობა და მმართველობის შექმნა. ამ მხრივ სახელმწიფო გამოხატავს არა მხოლოდ გაბატონებული კლასის, არამედ საერთოდ ერის ინტერესებს.

ერი, როგორც ერთობის ფორმა მოიცავს ჩამოყალიბების ხანგრძლივ პერიოდს, თემური წყობილების, მონათფლობელობის, ფეოდალური კარჩაკეტილობის გადალახვა, ერთიანი ეკონომიკის შექმნა მხოლოდ ამ ისტორიული პირობის შიგნითაა შესაძლებელი. ამიტომ განიხილება ერი, როგორც ადამიანთა მყარი ერთობა, რომელსაც ახასიათებს ენობრივი, ტერიტორიული, ეკონომიკური და ფსიქიკური წყობის ერთობა.

ერი მკვეთრად განსხვავდება ადამიანთა ისეთი ერთობისაგან, როგორიცაა კლასი, სახელმწიფო, რასა. რასა ადამიანთა ბიოლოგიური

ერთობის მიხედვით ყალიბდება და სხვა რასებისაგან განსხვავდება თავის ქალის, კანის ფერის, თმის და სხვათა მიხედვით. რასა შეიძლება მრავალ ერს და ეროვნებას აერთიანებდეს. სახელმწიფო შეიძლება იყოს ეროვნული და მრავალ ენოვანი. მისთვის ისეთი ნიშნები როგორიცაა ერთი ენა, ერთი ფსიქიკური წყობა, რომელიც ერთიან კულტურაში გამოიხატება – სავალდებულო არ არის. ასევე კლასი სულ სხვა ნიშნის მიხედვით ჩამოყალიბებული ერთობაა. ერი შეიძლება იყოს უკლასო ან რამდენიმე კლასის შემცველი.

თანამედროვე პერიოდში ერების ჩამოყალიბება, განვითარებაში გამოყოფენ ორ ტენდენციას. პირველი გულისხმობს ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებასა და ეროვნული სახელმწიფოს შექმნას. მეორე ტენდენცია ერებს შორის არსებული ბარიერების გადასვლასთანაა დაკავშირებული.

არსებობს მკედარი და ცოცხალი, უძველესი, ძველი და ახალგაზრდა ერები. ჩამოყალიბების პროცესში ადგილი აქვს ერთა ინტერესების შეჯახებას, ეროვნულ დამცირებას, გაბატონებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ერი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი განიცდის ცვლილებებს დროსა და სივრცეში. აღარ არიან ძველი ცივილიზაციის შემქმნელი შუმერები,ეგვიპტელები,პელაზგები,ლათინები. მათ ადგილს სხვა ერები იკავებენ. არიან ერები რომელთა ასაკის განსაზღვრა ისტორიულად შესაძლებელია. არიან ისეთებიც, რომელთა ასაკს მიახლოებით თუ იანგარიშებენ.

დღეს ვერ დაადგენ როდის დასახლდნენ მთის და ბარის იბერები კავკასიაში, რა მონაწილეობა მიიღეს ხმელთაშუა ზღვის გარშემო არსებულ ცივილიზაციაში, რა ურთიერთობა ჰქონდათ უძველესი ცივილიზაციის ერებთან. ბიბლიის, ძველ ავტორთა, ლეონტი მროველის ცნობებზე დაყრდნობით ისტორიულ სინამდვილეს ვერ აღადგენ. დღევანდელ ქართველებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან სომხები. მათი ისტორიკოსები ზუსტად საზღვრავენ დროს, როცა კიმერიელები შეერივნენ თობალ-ტაბალებს, გამოდევნეს მკვიდრი ქალდეველები და ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში ჩამოყალიბდნენ სომეხ ერად. სომხებსა და იბერიელებს შორის საზღვარი მდინარე არაქსზე გადიოდა. არაქსის ჩრდილოეთის ტეროტორიები სომხებმა იბერებს შედარებით გვიან დაათმობინეს და განსაკუთრებული ინტენსივობით შემოუტიეს 1829 წ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ (Анучинь ДН Армяне в антропологическом и географическом отношении М 1898 стр 7-12). კიდევ უფრო ნათელია აზერბაიჯანელი ერის ასაკი. ძველი

ალბანელი ერის დაპყრობისა და ასიმილაციის გზით შექმნილი თურქულ ენოვანი სახანოები, მხოლონ რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობის შემდეგ გაერთიანდნენ. აზერბაიჯანელი ერი, მათ 1935 წ. მ. კალინინის დეკრეტით ეწოდათ. როგორც ალბანელები ისინი უძველეს ერებს განეკუთვნებიან, როგორც აზერბაიჯანელები უახლოესს.

ერი, როგორც ადამიანთა ერთობის ფორმა, არ წარმოადგენს შინაგანად ერთფეროვან მასას. ჯოგის შიგნით ადგილი აქვს არა მხოლოდ ერთობას, ერთიანი ძალით მოქმედებას, არამედ წინააღმდეგობასაც, ბრძოლას არსებობისათის. გარკვეული თვალსაზრისით ჯოგის შიგნით ყველა ყველას უპირისპირდება, თავისუფალი და დამოუკიდებელი კი არავინაა. კერძო საკუთრების აღმოცენების შემდეგ ჩნდებიან სხვადასხვა სოციალური ფენები, რაც ფრანგ განმანათლებელთა თქმით კლასების ჩამოყალიბებით მთავრდება. მეცნიერები თეშური წყობილების რღვევის პროცესში გამოყოფენ განსხვავებული შეძლებისა და მდგომარეობის ჯგუფებს რაც მონათმფლობელთა, თავისუფალთა და მონების კლასების შექმნით მთავრდება. იმ დროიდან მოყოლებული ცხოვრება კლასთა ურთიერთობით ხასიათდება.

საზოგადოების დაყოფა ბევრი ნიშნით შეიძლება: განათლების, პროფესიის, შემოსავლების, ძალაუფლების, რელიგიური, ეთნიკური და ა.შ. მკვლევართა დიდი ნაწილი საფუძვლად ძალაუფლების პრინციპს იღებს. ნაწილს მიაჩნია, რომ დიდ სოციალურ ჯგუფებზე-კლასებზე, მსჯელობა და დაკვნის გაკეთება მცდარი მიდგომაა, რადგან ამ დროს პიროვნებათა ნიველირება ხდება. პიროვნება, როგორც ასეთი იკარგება. არიან მკვლევა-რები, რომლებიც უარყოფენ კლასების არსებობას მოტივით, რომ ადამიანი შეიძლება გამდიდრედს ან გაღარიბდეს, ფლობდეს ძალაუფლებას და იგი დაკარგოს. სურათი მუდმივ ცვალებადია და კლასზე, როგორც მყარ სოციალურ ჯგუფზე საუბარი გაუმართლებელია. ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ამცირებს ფიზიკური შრომის ადამაინთა რაოდენობას, იზრდება გონებრივი შრომის მუშაკთა რიგები და აქ მნიშვნელობა არა აქვს ადამიანი მმართველობაში მონაწილეობს თუ სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში.

მეცნიერები საუკუნეთა მანძილზე აღნიშნავდნენ კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის არსებობის ფაქტს. მიუთითებდნენ, რომ მას შემდეგ, რაც კერძო საკუთრება ბატონდება, საზოგადოება მუდმივ საპირისპირო ძალებადაა დაყოფილი. მესაკუთრეები და საკუთრებას მოკლებულნი, მდიდრები და ღარიბები, მონები და მონათფლობელები, ბატონები და ყმები, კაპიტალისტები და დაქირავებული მშრომელები მუდმივ

წინააღმდეგობაში არიან და ცხოვრების პირობების არავითარ ცვლილებას მისი გადალახვა არ შეუძლია.

კლასები მრავალი ნიშნის მიხედვით განსხვავდებიან. ადამიანები პირველ რიგში ამჩნევენ ქონებრივ სხვაობას. თვალში საცემია ისიც, რომ ვინც მდიდარია ძალაუფლებაც მას ეკუთვნის. და პირიქით, ვისაც ძალაუფლება აქვს ის ფუფუნებაში ცხოვრობს. მდიდრებსა და ღარიბებს შორის სხვაობა არის ჩაცმის, ქცევის, მორალური გაგების, მისწრაფებების და სხვათა მიხედვით. არის სხვაობა არსებითი და არაარასებითი. მეცნიერები გამოყოფენ რა არსებითს, კლასების ასეთ გაგებას იძლევიან: კლასები ადამიანთა დიდი სოციალური ჯგუფებია, რომლებიც განსხვავდებიან თავიანთი საკუთრებითი ადგილით სისტემაში, როლით შრომის ორგანიზაციაში და სიმდიდრის მიღების სიდიდით.

კლასების გამოყოფისა და მათი ბუნების გაგების დროს არსებითია იმის ცოდნა თუ რა ადგილი უკავიათ მათ წარმოების სისტემაში. თუ ადანიანი უშუალოდ მწარმოებელია, შემსრულებელია მაშინ ის მშრომელი და ჩაგრული კლასის წარმომადგენელია. თუ წარმოების მესაკუთრე ხელმძღვანელია-გაბატონებული კლასისა. ამის მიხედვით მშრომელი იყო მონა, ყმა გლეხი ან დაქირავებული მუშა, — მეორე მხრივ, წარმოების ხელმძღვანელი — იყო მონათფლობელი, ფეოდალი ან ბურჟუა.

მონათფლობელი, ფეოდალი, ბურჟუა იმიტომ არიან ხელმძღვანელები, რომ მათ ეკუთვნით მიწა, ტყე, წყალი, ქარხნები და სხვ. ამას ემატება თანამდებობის პირი. სახელმწიფო სექტორში გაბატონებული კლასის წარმომადგენელი თანამდებობის პირის სახით მოქმედებს, მაგრამ ამით კაპიტალისტური საკუთრების არსი არ იცვლება. ამის შემდეგ ბუნებრივია, რომ საკუთრების მფლობელი, ხელმძღვანელი, პოლიტიკური ძალაუფლების მქონე მშრომელს მისცემს იმდენს, რომ შიმშილით არ მოკვდეს, მთელ სიმდიდრეს კი თვითონ დაინარჩუნებს. რათა მშრომელებმა ვერ გაბედონ ურჩობა, მდიდრები ქმნიან სპეციალურ ორგანოს — სახელმწიფოს თავისი ჯარით, სასამართლოთი, ციხეებით და სხვა.

თუ კაცობრიობის დიადი მიზანი თავისუფლებაა, მაშინ ყოველ ისტორიულ ეპოქაში ბუნებრივი იყო ბრძოლა ჩაგვრისაგან განთავისუფ-ლებისა და თანასწორობის დამყარებისათვის. ამიტომაა კაცობრიობის ისტორია მონათა, ყმა გლეხთა და დაქირავებულ მუშათა აჯანყებებით სავსე. ამიტომაა მართებული დებულება, რომლის მიხედვით კლასობრივ საზოგადოებაში კლასთა დაპირისპირება, ბრძოლა მუდმივია, ერთობა ფარდობითი.

გაბატონებულ და ჩაგრულ კლასებს შორის ბრძოლა ცხოვრების

ყველა სფეროს მოიცავს. შესაბამისად არსებობს ეკონომიკური, იდეური და პოლიტიკური ბრძოლის ფორმები. მაგრამ ძირითადია პოლიტიკური, რადგან დაკავშირებულია ძალაუფლების შეცვლასთან. პოლიტიკური ბრძოლა, რომელსაც მოსდევს ერთი წყობილების შეცვლა მეორეთი,- სოციალური რევოლუციაა.

სოციალური რევოლუცია თავისთავად ან რომელიმე გმირის სურვილით არ ხდება. იგი მოითხოვს გარკვეული ობიექტური და სუბიექტური პირობების მომწიფებას. როდესაც იქმნება ისეთი მომენტი, როცა გაბატონებულ კლასს აღარ შეუძლია ძველებურად მართოს ქვეყანა, როცა ჩაგრულ კლასს არ სურს ძველებურად ცხოვრება, როცა მისი მდგომარეობა მკვეთრად უარესდება – ნიშნავს მომწიფდა ობიექტური პირობები. იმისათვის რათა სოციალური რევოლუცია განხორციელდეს საჭიროა სუბიექტური პირობების მომწიფებაც. ჩაგრულ კლასის პოლიტიკური შეგნებულობის, ორგანიზებულობის, მისწრაფების ზრდა.

7.2.სახელმწიფოს წარმოშობა და განვითარება

კლასობრივი ბრძოლის უმაღლესი მიზანი პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებაა. ვისაც ძალაუფლება უპყრია ისაა გაბატონებული. ამიტომაცაა, რომ მკვლევარები ყურადღების ცენტრს მიმართავენ პოლიტიკური ძალაუფლების ორგანოს – სახელმწიფოს საკითხზე. ქმნიან თეორიებს საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს, პლურალისტური დემოკრატიის, ელიტის შესახებ, რათა სახელმწიფო წარმოადგინონ თავისუფლებისა და ხალხის ინტერესების დამცველად, ყველასათვის ერთნაირად მისაღებ ძალად.

ამ მიზნით ფართედ იხილავენ ძველ დებულებას სახელმწიფოს ზეკლასობრივი ბუნების შესახებ. ისტორია ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ წარმოების განვითარების, კერძო საკუთრების დამკვიდრებისა და კლასების ჩამოყალიბების კვალობაზე ჩნდება სახელმწიფო, როგორც გაბატონებული კლასის იარაღი მშრომელი კლასების დასამონებლად. ამ აზრს იმეორებს ისტორიკოსთა გარკვეული ნაწილი. თანამედროვე პირობებში მტკიცება სახელმწიფოს ზეკლასობრივი ბუნების შესახებ მოკლებულია რეალურ საფუძველს, იმ მარტივი აზრის გამო, რომ თუ ეს ორგანო თანაბრად იცავს ყველას ინტერესებს, თუ მას სერთო-სახალხო ხასიათი აქვს, მაშინ იგი არ უნდა უშვებდეს ექსპლოატაციის ფაქტს, მაშინ არ უნდა იყვნენ მდიდრები და ღარიბები, მჩაგვრელები და ჩაგრულები.

ასევე მცდარია იმ სოციოლოგთა მტკიცება, რომლის თანახმად ვერც ერთი მოწინავე ქვეყანა ვერ განვითარდება თუ სახელმწიფო არ ჩაერია წარმოებისა და განაწილების ფუნქციებში, თუ არსებობს წარმოების სახელმწიფო სექტორი და სხვ. ეს დებულება დაფუძნებულია უცოდინარობაზე, რადგან სინამდვილე საწინააღმდეგოს ამტკიცებს. ობიექტური მეცნიერება არა მხოლოდ მიუთითებს სახელმწიფოს ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩარევის სასარგებლოდ, არამედ სწავლობს კიდეც განვითარების იმ უმაღლეს საფეხურს, როდესაც მთლიანად ეკონომიკა სახელმწიფოს მფლობელობაში გადაეცემა. ეს ის უმაღლესი საფეხურია, რომლისთვისაც ჯერ არ მიუღწევია არც ერთ თანამედროვე სახელმწიფოს.

ვერ უძლებს კრიტიკას საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს კონცენფცია. ამ თეორიის მიხედვით გამოდის, რომ კლასობრივი წყობილება ჰკარგავს თავის ბუნებას, ბურჟუაზია როგორც კლასი ქრება – ადგილს უთმობს მენეჯერებს – დაქირავებულ სპეციალისტებს და მყარდება საყოველთაო კეთილდღეობა. სინამდვილეში ხორციელდება კერძო საკუთრების ლიკვიდაცია კერძო საკუთრების ფარგლებში. ეკონომიკური განვითარებით იძულებული სახელმწიფო თანდათანობით სახელმწიფო საკუთრებად გადააქცევს წარმოების საშუალებებს. ერთი შეხედვით ფაბრიკა-ქარხნების მესაკუთრენი, მესაკუთრენი აღარ არინ ძველი გაგებით. ისინი გადაიქცევიან თანამდებობის პირებად, – ხელმძღვანელ სპეციალისტებად და ასე ფულის ბურჟუაზიას ცვლის თანამდებობის ბურჟუაზია. ამ გარდაქმნას არაფერი აქვს საერთო კლასის მოსპობასთან. ამიტომ უსაფუძვლოა ლაპარაკი საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოზე. ცნობილი ამერიკელი სოციოლოგების დ. ბელისა და დ. გელბრეიტის მტკიცება ძალაუფლების თანდათანობით გადანაცვლების შესახებ ფულიანი ხალხის ხელიდან სპეციალისტების ხელში, ინდივიდუალური საკუთრების გადაქცევაზე ჯგუფურ და სახელმწიფო საკუთრებად მხოლოდ ადასტურებს მკვლევართა არაობიექტურობას.

ობიექტური მკვლევარები ეხებიან სახელმწიფოს არა მხოლოდ წარმოშობის საკითხს, არამედ მთლიან ისტორიას და გამოყოფენ მის არსს, ძირითად ნიშნებს, ტიპებს, ფორმებს, ძირითად ფუნქციებს. სახელმწიფოს არსი მის კლასობრივ დანიშნულებაში მდგომარეობს. ამ მხრივ იგი ყოველთვის იყო კლასობრივი ბატონობის განმტკიცების იარაღი. ძირითადი ნიშნები მდგომარეობს მოსახელეობის ტერიტორიულ ორგანიზაციასა და საჯარო ხელისუფლების არსებობაში. საჯარო ხელისუფლება შედგება სახელმწიფოს პოლიტიკური მმართველობის ორგანოებისაგან: ბიუროკრატიული აპარატი, ჯარი, პოლიცია და სხვა

ფარული შეიარარებული ძალები, სასამართლო სისტემა თავის მატერიალური დანამატით – ციხეები, კოლონიები და სხვ. მთელი ეს სისტემა ყალიბდება მშრომელი ხალხის დამონების მიზნით და შეინახება ხალხიდან აღებული გადასახადების ხარჯზე.

სახელმწიფო იმდენი ტიპისაა რამდენიც არის კლასობრივი სხვადასხვა წყობილება. ამიტომ განასხვავებენ მონათფლობელურ, ფეოდალურ და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს.

თითოეული ტიპის სახელმწიფო არსებობს სხვადასხვა ფორმით. ის შეიძლება იყოს მონარქიული ან რესპუბლიკური მმართველობის. ამასთან, როგორც მონარქიული მმართველობაა განსხვავებული ფორმების, ასევე რესპუბლიკური.

სახელმწიფოს მრავალი ფუნქცია აკისრია. მათ ორ ნაწილად აჯგუფებენ: საშინაო და საგარეო. საშინაო პოლიტიკის დანიშნულებაა კლასთა არსებული ურთიერთობების შენარჩუნება, გადასახადების აკრეფა, წყობილების საწინააღმდეგოდ გამოსვლების აღკვეთა. ამას ემატება ეკონომიკის განვითარების რეგულირება. საგარეო საქმიანობის ხაზით, სახელმწიფოს ფუნქციაში შედის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობა, დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, გავლენის გაძლიერება.

7. 3.ისტორიული აუცილებლობა და ადამიანთა შეგნებული მოღვაწეობა

საზოგადოებრივი ისტორია რომ ადამიანთა მოღვაწეობის შედეგია ეჭვს არ იწვევს. იდეოლოგიური ბრძოლის საგანს ისტორიული აუცილებლობისა და ადამიანთა შეგნებული მოღვაწეობის თანაფარდობის საკითხი წარმოადგენს. მაინც რა არის ისტორია – ობიექტური აუცილებლობის გამოვლენა თუ ადამიანთა სუბიექტური მოქმედება. მკვლევართა გარკვეული ნაწილი ისტორიის მამოძრავებელ ძალად ადამიანთა შეგნებულ მოღვაწეობას მიიჩნევს. ამ კონცეფციის თანახმად ისტორიაში არავითარი კანონზომიერება არ არის, ადამიანები თავისი სურვილის მიხედვით ცვლიან ცხოვრების წესს და ყველაფერი დამოკიდებულია ცალკეულ გამოჩენილ პიროვნებათა ნება-სურვილზე. მეორე ნაწილი ამტკიცებს საზოგადოებრივ ცხოვრების სტიქიურობას. მათი აზრით ადამიანებს მხოლოდ ყოველდღიური არსებობის საშუალება აინტერესებთ, შორეულ მომავალზე, მათ უმეტეს მომავლის მიზანდასახულ შეცვლაზე ისინი არ ფიქრობენ. ეს შედეგი სტიქიურად გამოდის. მესამე ნაწილი პირიქით,

ამტკიცებს რომ ცხოვრებაში ყველაფერი განსაზღვრულია, წინასწარ მონიშნულია და ადამიანები მხოლოდ ახორციელებენ ბედისწერის გადაწყვეტილებას. ფატალური გარდუვალობის ასეთი გაგება უშუალოდ უკავშირდება რელიგიურ რწმენას.

მკვლევარები მრავალ კონცეფციას იმუშავებენ. შედეგად ორი საპირისპირო თვალსაზრისს ვღებულობთ: ისტორიული პროცესი ობიექტურია და ადამიანები ბედისწერას ემორჩილებიან ან ადამიანთა სუბიექტურ სურვილზეა ყველაფერი დამოკიდებული, საზოგადოებრივ განვითარებას ობიექტური ხასიათაი არა აქვს. მათთვის მიუღებელია ის ლოგიკური დასკვნა, რომ საზოგადოების ობიექტური კანონები ადამიანთა შეგნებული მოღვაწეობის საშუალებით იკვლევს გზას, რომ ეს ორი მხარე ერთი-მეორეს კი არ გამორიცხავს, არამედ ავსებს.

უნდა ვაღიაროთ საზოგადოებრივი ისტორიის მსვლელობის ობიექტური ხასიათი. საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა კატეგორიების დადგენა, მათი აუცილებელი შესაბამისობის კანონის ცოდნა, წარმოების წესის შეცვლის კვალობაზე ფორმაციათა ცვლის თეორია, აწესრიგებს საზოგადოებრივი ისტორიის ობიექტურობის სურათს. ადამიანთა მოქმედება ამ კანონზომიერების მიხედვით მიმდინარეობს, მაგრამ ამასთან მოქმედებას შეგნებული, გააზრებული ხასიათი აქვს.

ადამიანები თვითონ ქმნიან თავის ისტორიას, ცხოვრების ხასიათს, მაგრამ არა სუბიექტური მისწრაფების მიხედვით. როდესაც ისტორიაში მწიფდება ამა თუ იმ გარდაქმნის აუცილებლობა, ადამიანებს ექმნებათ შესაბამისი მოქმედების მოთხოვნა. ამიტომაა, ყოველი ადამიანი როცა ჩაებმება ცხოვრების ფერხულში იქ ხვდება გარკვეული ხასიათის ურთიერთობებს, რომელსაც ის ვერ შეცვლის პირადი შეხედულების მიხედვით. ობიექტური აუცილებლობა აიძულებს მას შეეგუოს აღნიშნულ მდგომარეობას. როცა განვითარების კანონზომიერება დასვავს მისი შეცვლის საკითხს, მასები იწყებენ შესაბამის მოქმედებას. ამასთან შეცვლის აუცილებლობა შეიძლება არსებობდეს, მაგრამ თუ ადამიანთა შეგნებულ მოქმედებას ადგილი არ ექნა – ცვლილება ვერ განხორციელდება.

ისტორია ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პირველყოფილი-თემური წყობილება მართალია ადამიანთა შეგნებული მოქმედების გზით შეიცვალა მონათფლობელურით, მაგრამ შეიცვალა არა წყობილების სუბიექტურად მონიშნულ ეტაპზე, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა საწარმოო ძალთა ზრდამ შესაძლებელი გახადა კერძო საკუთრება (სიმდიდრე) დაგროვილიყო და ამ მიზნით გამოყენებული ყოფილიყო სხვისი შრომა. ნებისმიერ

ეტაპზე არც მონათფლობელური წყობილება დაღუპულა. მან ამოწურა პროგრესული განვითარების შინაგანი შესაძლებლობა, აშკარად გამოვლინდა მისი რეაქციული ბუნება, შეიქმნა უფრო პროგრესული წყობილებით მისი შეცვლის შესაძლებლობა და ადამიანებმა თავისი შეგნებული ბრძოლით შეცვალეს იგი ფეოდალური წყობილებით. ასევე საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობდა გლეხთა ომი მჩაგვრელთა წინააღმდეგ, მაგრამ სანამ ფეოდალიზმმა არ ამოწურა განვითარების შინაგანი შესაძლებლობანი, სანამ მის წიაღში არ შეიქმნა ძალები, რომელთა შეგნებულ ბრძოლას მოჰყვა კაპიტალიზმის დამყარება, მანამდე არც ობიექტურ და არც სუბიექტურ მოქმედებას შედეგი არ მოუტანია. იგივე კანონზომიერება მოქმედებს კაპიტალიზმის დროს. უტოპისტ-სოციალისტებმა არაერთხელ იწინასწარმეტყველა კაპიტალიზმის დაღუპვა. არაერთი იყო პრაქტიკული მცდელობა, რომელიც მარცხით მთავრდებოდა ახალი წყობილებისათვის ობიექტური პირობების მოუმწიფებლობის გამო.

მეცნიერება, ეხება რა ისტორიული აუცილებლობისა და ადამიანთა შეგნებული მოღვაწეობის საკითხს, ასკვნის: საზოგადოებამ კიდევაც რომ მიაგნოს თავისი მომავალი განვითარების კანონზომიერებას, მაინც ვერც წინსვლის აუცილებელ საფეხურებს გადაახტება და ვერც შეცვლის მას დეკრეტებით. ისტორიას თავისი ობიექტური ხასიათი აქვს, რომელიც ცალკეულ გამოჩენილ პიროვნებათა ნებასურვილს არ ემორჩილება. მაგრამ, თუ საზოგადოება ან პიროვნება შეიცნობს, გაიგებს ობიექტურ აუცილებლობას, შეიძლება დააჩქაროს ან შეანელოს მისი მოქმედება. ამასთან, საზოგადოების ან პიროვნების უკუზემოქმედება ისტორიულ აუცილებლობაზე შეიძლება ორი სახისა იყოს: თუ აუცილებლობა შეცნობილი იქნა და საზოგადოება შესაბამისად იმოქმედებს, პროგრესი განხორციელდება. საპირისპირო შემთხვევაში შეიძლებოდა შენელებული იქნას პროგრესი, მაგრამ მისი საბოლოო გაყინვა, მოსპობა არ შეიძლება. ამიტომაა, რომ რეაქციული კლასები ხშირად ახერხებდნენ გაეხანგრძლივებინათ თავისი ბატონობა, მაგრამ საბოლოო ანგარიშით მაინც მარცხდებოდნენ.

ლოგიკურია დასკვნა, რომ ისტორიული აუცილებლობის შეცნობა, მისი მოთხოვნილების მიხედვით მოქმედება არის თავისუფლების განხორციელება. ამდენად, კლასები, ცალკეული ადამიანები, რომლებიც შეიცნობდნენ ამ აუცილებლობას და მას პრაქტიკულად ახორციელებდნენ, წარმოადგენდნენ თავისუფლებისათვის, პროგრესისათვის მებრძოლ ძალებს.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით წამოიჭრება მეორე საკითხი. ვინ ახორციელებს პროგრესს, ვინ არის ისტორიის შემქმნელი — პიროვნება

თუ ხალხი? მეცნიერთა სხვადასხვა კატეგორიებს ამ საკითხზე სხვადასხვა პასუხი გააჩნია. ერთი ტიპის კონცეფციების თანახმად პიროვნებას ყოველთვის აქვს უპირატესობა. არც ერთი ქვეყნის ისტორიაში არ ჩანს ხალხის როლი. ყველაფერს წყვეტს პიროვნება. ცნობილი სოციოლოგი სიდნეი ხუკი, მიუთითებს სსრკ მაგალითზე. რუსეთში სოციალიზმის არავითარი პირობები არ იყო. კომუნისტებმა კი მაინც მოახდინეს რევოლუცია. ვ.ი. ლენინს თავისებურად მიჰყავდა ქვეყანა კომუნიზმისაკენ. მისმა მემკვიდრეებმა ყველამ თავისებური გზა აირჩია, ყველამ უარყო წინამორბედი. ხალხი რომ ყოფილიყო ისტორიის შემოქმედი და არა პიროვნება, ასეთი რამ არ მოხდებოდა.

მეცნიერთა მეორე ნაწილი არ უარყოფს პიროვნების როლს, მის ზოგჯერ გადამწყვეტ მნიშვნელობას. ხელმძღვანელი, რომელიც იმოქმედებს ისტორიული აუცილებლობის თანახმად, შეძლებს დააჩქაროს პროგრესი. სხვა შემთხვევაში შეუძლია შეანელოს, მაგრამ ცხოვრების წინსვლის გაყინვა, უკანდაბრუნება, ისეთი რაიმეს შესრულება რისი განხორციელების შესაძლებლობას საზოგადოებრივი კანონზომიერება არ იძლევა, - მას არ შეუძლია. უფრო მეტიც, რამდენადაც უფრო ხანდაზმულია ხელმძ-ღვანელი, მით უფრო კონსერვატიულია მისი პოზიცია და ხშირია შეცდომები. რაც შეეხება ხალხს, ხალხი აზროვნებს უფრო ნელა, ვიდრე ცალკეული პიროვნება, ხელმძღვანელი, მაგრამ ყოველთვის სწორედ. ხალხი თავის შეფასებაში არასოდეს არ ცდება. ჩვეულებრივ პირობებში ხალხი დაკავებულია ყოველდღიური შრომით, შორს ვერ იყურება და იქმნება ილუზია, თითქოს მას მხოლოდ სხვისი ბრძანების შესრულება შეუძლია. მაგრამ ისტორიის კრიტიკულ მომენტებში, აუცილებლობის შემთხვევაში ხალხი აქტიური ხდება, იღვიძებს და თავისი მოქმედებით გადამწყვეტ სიტყვას ამბობს. არც ერთ დიდ პიროვნებას არაფერი არ გაუკეთებია ხალხის მხარდაჭერის გარეშე. როგორც წესი თვით გამოჩენილი პიროვნებანი მაშინ გამოჩნდებიან და იმ ოდენობით, როცა ისტორიული აუცილებლობის შესრულებას ესაჭიროება.

7.4.შეგნებული მოღვაწეობა

ადამიანურ ცხოვრებას ადამიანები ქმნიან. ეს თავისთავად გასაგები დებულება, შინაარსობრივად რთულია, რამდენადაც რთულია თვითონ ცხოვრება. იგი შეიძლება ორ ძირითად ნაწილად წარმოვიდგინოთ: 1. ცხოვრების მატერიალური პირობების შექმნა; 2.სულიერი მოღვაწეობა. დაყოფა პირობითია, რადგან ორივე ერთის განუყრელი ორია. არ არსებობს მატერიალური პირობების შექმნის პროცესი სულიერის გარეშე და პირუკუ. ამავე დროს, პირობითობის ფარგლებში ასეთი დახვეწა მიზანშეწონილია. რათა იცოცხლონ, ადამიანებმა უნდა სასიცოცხლო მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილონ. ადამიანური ცხოვრება, მხოლოდ სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ იწყება. სასიცოცხლო მოთხოვნოლებები კი მარტივად სამი ფაქტორით განისაზღვერება: საკვები, ჩასაცმელი, ბინა. რათა იარსებონ, შექმნას ეს პირობები, ადამიანებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი უნარი. მეცნიერებაში ამ უნარს სამუშაო ძალას უწოდებენ. სამუშაო ძალის ცნება თანაბრად გულისხმობს გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს ერთიანობაში აღებულს.

ცხადია, სამუშაო ძალის გარეშე ადამიანი ვერაფერს შექმნის, მაგრამ მხოლოდ ძალაც არაა საკმარისი. იმისათვის, რათა რაიმე შექმნას, ადამიანს სჭირდება შრომის იარაღები. შესაბამისად მან ჯერ შრომის იარაღი უნდა შექმნას. ისტორიულად ეს ხის და ქვის იარაღებით დაიწყო. ადამიანთა სამუშაო ძალის (შრომის უნარის) შეერთება შრომის იარაღებთან არის ის ძალა, რომლითაც შესაძლებელია გარემო ბუნებაზე ზემოქმედება საჭირო პროდუქციის მიღების მიზნით. მეცნიერები ადამიანთა სამუშაო ძალის შრომის იარაღებთან შეერთებით მიღებულ შესაძლებლობას საწარმოო ძალებს უწოდებენ. საწარმოო ძალები ბუნებაზე ზემოქმედების, მისი გამოყენების, მითვისების საშუალებაა. შესაბამისად, როგორიცაა ამ ძალების შესაძლებლობა, ისეთია მოქმედებისა და შედეგის ხასიათი.

საწარმოო ძალების მოქმედება-წარმოების პროცესი ადამიანთა შრომითი საქმიანობის შინაარსს გამოხატავს. ადამიანები კი, როგორც წესი, კოლექტიურად ცხოვრობენ და შრომობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ სადაც არ უნდა იყვნენ, რასაც არ უნდა აკეთებდნენ, მათ შორის უმალ მყარდება გარკვეული ხასიათის ურთიერთობანი. ამ ურთიერთობათა გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებს. შესაბამისად, წარმოების პროცესში მყარდება განსაზღვრული წარმოებითი ურთიერთობანი, ყველაზე უფრო მთავარი და მნიშვნელოვანი, რადგან ადამიანთა ცხოვრებისა და განვითარებისათვის საკვების მოპოვება არის ყველაზე უფრო მთავარი და მნიშვნელოვანი.

საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობათა ერთობა წარმოების პროცესის ორი განუყრელი მხარეა. მათ ერთი მეორის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ. ერთად კი შეადგენენ წარმოების წესს, რამეთუ მისი მოქმედების დროს იქმნება არსებობის საშუალებანი.

საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი ერთად არსებობენ, მაგრამ მათ შორისაც არის განმსაზღვრელი მხარე. ეს არის საწარმოო ძალები. საწარმოო ძალებს განუსაზღვრელი ზრდის ტენდენცია ახასიათებთ, ისინი აღმოცენდებიან რა, შემდეგ სულ იზრდებიან, ვითარდებიან, ძლიერდებიან. არის პერიოდული შეფერხებებიც, ნგრევა, უკანდახევა, მაგრამ საბოლოო ანგარიშით მაინც წინსვლას აქვს ადგილი. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანებმა თუ არ აწარმოეს, თუ არ შექმნეს კვების პროდუქტები, საჭირო საგნები-დაიღუპებიან. უნდათ თუ არა ადამიანები იძულებულნი არიან აწარმოონ. წარმოების პროცესში ისინი ცდილობენ გაიუმჯობესონ შრომის იარაღები, საკუთარი უნარი, რათა რაც შეიძლება ნაკლები ენერგია დახარჯონ და დიდი შემოსავალი ჰქონდეთ. ეს კი ნიშნავს საწარმოო ძალების მუდმივ ზრდას. როგორც ერთი წერტილიდან გამოსული სხივი სულ ფართოვდება, ასევე იზრდებიან საწარმოო ძალები და საზოგადოება ნებაყოფლობით ვერასოდეს დაუსვავს წერტილს ამ განვითარებას.

იმისათვის რათა წარმოების პროცესი განხორციელდეს, გარკვეული დონის საწარმოო ძალები შესაბამის წარმოებით ურთიერთობებს მოითხოვენ. გარკვეულ შინაარსს შესაბამისი ფორმა სჭირდება. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ თანამედროვე ტექნიკურ-მეცნიერული დონე და პირველყოფილ-ჯოგური საზოგადოება. ამიტომ არსებობს აუცილებელი შესაბამისობა საწარმოო ძალთა ხასიათსა და წარმოებით ურთიერთობათა ფორმას შორის. როგორიცაა წარმოების წესის პირველი ელემენტი ისეთია მეორეც, მაგრამ თუ საწარმოო ძალებს განუსაზღვრელი ზრდა ძალუძთ, იგივე არ ითქმის გარკვეული ფორმის წარმოებით ურთიერთობებზე. ურთიერთობანი მართალია საწარმოო ძალების ზრდის კვალობაზე იზრდებიან, მაგრამ შედარებით ნელა, რადგან თუ წარმოების ზრდით მთელი საზოგადოებაა დაინტერესებული ურთიერთობათა ცვლა ყველას არ აწყობს. ადამიანთა დიდი ჯგუფების ინტერესთა ეს შეჯახება ზოგჯერ აჩერებს კიდეც ურთიერთობათა ზრდას და საბოლოო ანგარიშით ისინი ჩამორჩებიან და წინააღმდეგობაში მოდიან საწარმოო ძალთა ხასიათთან. რადგან საზოგადოებას არ შეუძლია წარმოების შეჩერება, ამიტომ იძულებული ხდება მოძველებული წარმოებითი ურთიერთობანი შეცვალოს ახლით, ისეთით, რომლებიც იქმნებიან რა აუცილებელ შესაბამისობაში

საწარმოო ძალთა ხასიათთან, ხელს შეუწყობს მის სწრაფ ზრდას. ასეთი ცვლას აქვს მუდმივი ხასიათი.

თუ გარკვეული ხასიათის წარმოების წესი ორი განუყრელი ნაწილისაგან შედგება, რომელთაგან ერთი იცვლება მუდმივად და თანდათანობით, მეორე კი იძულებით, მაშინ ორივე ამ ნაწილის შეცვლა უნდა ნიშნავდეს ამ წესის შეცვლას ახალი ხასიათის წარმოების წესით.

იმის გამო, რომ საწარმოო ძალები მუდმივ ცვლილებას განიცდიან, წარმოებით ურთიერთობანი კი შედარებით უცვლელ ურთიერთობას წარმოადგენენ, ერთი ხასიათის წარმოების წესის შეცვლას მეორეთი აღნიშნავენ ურთიერთობათა შეცვლის კვალობაზე. ამის მიხედვით ისტორიაში აღინიშნება წარმოების წესის არსებობა: პირველყოფილი, თემური, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური.

თანამედროვე სოციოლოგები მთლიანობაში უარყოფენ რა წარმოების წესის ამოსავალ დებულებებს, მატერიალური წარმოების მნიშვნელობის საკითხში იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ რეალობას და სწორედ ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე და მასზე დაყრდნობით შეიმუშაონ მათთვის მისაღები თვალსაზრისი.

ცნობილი ფრანფურტის სკოლის წარმომადგენლები – ვ. ფრომი, გ. მარკუზე, ფ. პოლაკი, ი. ხაბერმასი, და სხვ. „საზოგადოების შესახებ კრიტიკული თეორიის" შექმნის დროს სესხულობენ იდეას წარმოების წესის მნიშვნელობის შესახებ. დასკვნას კი საწინააღმდეგოს აკეთებენ. ახალგაზრდობის კუმირი გეორგ მარკუზე ცდილობს დაამტკიცოს, რომ წარმოება წინააღმდეგობრივია: ერთი მხრივ აუცილებელი, მეორეს მხრივ ადამიანის დამჩაგვრელი. ამიტომ მისი აზრით წარმოების ავტომატიზაციამ უნდა შეცვალოს ადამიანი, რათა მოისპოს ჩაგვრა. მიუხედავად იმისა, რომ გ. მარკუზეს თავი დიდ სპეციალისტად მიაჩნდა, იგი მაინც ცდება. ჯერ ერთი, ვერავითარი ავტომატიზაცია, რობოტები ვერ შეცვლიან ადამიანს. ეს ტექნიკაც ადამიანმა უნდა შექმნას; მეორე, საერთოდ შრომა კი არ ამცირებს, არ ჩაგრავს ადამიანს, არამედ შრომა სხვისი გამდიდრებისათვის. საერთოდ შრომა არის ადამიანთა სასიცოცხლო მოთხოვნილება, შეცნობილი აუცილებლობა, თავისუფლების საფუძველი.

სოციოლოგთა გარკვეული ნაწილის აზრით წარმოებაა საზოგადოებრივი პროგრესის საფუძველი. ამავე დროს თვითონ წარმოება მათ დაჰყავთ მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების ხასიათამდე და გვერდს უვლიან შრომისა და წარმოებითი ურთიერთობათა ხასიათს.

ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ საწარმოოო ძალთა განვითარებას უკავშირდება საზოგადოებრივი წინსვლა. ამ მეცნიერული დებულებიდან

ზოგ თეორეტიკოსს თავისებური დასკვნა გამოაქვს: მ. ხაიდეგერი ამტკიცებს თითქოს ყველაფრის განმსაზღვრელი ტექნიკური პროგრესია, სხვა ურთიერთობანი კი მის პასიურ შედეგს წარმოადგენს. ზ. ბზეჟინსკი მიიჩნევს, რომ ტექნიკის განმსაზღვრელი როლიდან გამომდინარე, უნდა მოველოდეთ სოციალური ანტაგონიზმების, მდიდრებსა და ღარიბებს შორის წინააღმდეგობის ავტომატურ გადალახვას მომავალი პოსტინდუსტრიული საზოგადოების დროს. რ. არონი, ვ. როსტოუ, დ. ბელი მიიჩნევენ, რომ თუ ტექნიკური პროგრესია ყველაფრის განმსაზღვრელი, მაშინ გამოდის, რომ ადამიანი ტექნიკას ავითარებს, რათა ჩავარდეს მონობაში.

წარმოების წესის მექანიკური გაიგივება ტექნიკის დონესთან, შრომის ხასიათის, წარმოების ურთიერთობათა მნიშვნელობის, შეგნებული უგულვებელყოფა იძულებულს ხდის ამ თეორეტიკოსებს, ეძიონ დამოუკიდებელი გზა. ამიტომ ააღორძინეს ლოკალური ცივილიზაციის კონცეფცია, შექმნეს ეკონომიკური ზრდის სტადიების, პოსტინდუსტრიული, ტექნოტრონული საზოგადოების და სხვა თეორიები, რომელთა მიზანია კაცობრიობის ისტორიისა და მომავლის გააზრება იმგვარად, როგორც ეს მათ წარმოუდგენიათ. საკითხავია, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს მათი დასკვნები. ცნობილი მეცნიერი ე. ფრომი, მისდევს რა გაკვალულ გზას, საზოგადოების განვითარების წყაროს ტრადიციულად წარმოების გარეთ ეძებს. მისი აზრით თავისუფლება, ბედნიერება, სიყვარული – აი ის გრძნობები, რომლებიც ცხოვრების პროგრესულ განვითარებას იწვევს და რომელთა მიმართ წარმოება მეორად, დაქვემდებარებულ როლს ასრულებს.

მათგან განსხვავებით მარქსიზმი მიიჩნევს, რომ ყოველი წყობილების საიდუმლოება წარმოების საშუალებებისადმი დამოკიდებულების ხასიათში იმალება და გამომჟღავნდება წარმოებით ურთიერთობათა მეშვეობით.

კაცობრიობის ისტორია ორ დიდ პერიოდად იყოფა. პირველი პერიოდი ეს ის დროა, როცა ადამიანები მომპოვებელ საქმიანობას ეწევიან და არ იცნობენ რა წარმოებას, არა აქვთ რა შრომის იარაღები, არც საკუთრების გააზრებული კატეგორია გააჩნიათ. მეორე პერიოდი დაკავშირებულია წარმოებასთან და წარმოების საშუალებებზე საკუთრებასთან.

საკუთრების ხასიათის მიხედვით წარმოებითი ურთიერთობანი შეიძლება იყოს ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ან გაბატონებულისა და დაჩაგრულის ურთიერთობის მატარებელი. პირველ შემთხვევაში ეს დამოკიდებულია წარმოების საშუალებებისადმი თანაბარი უფლების, კოლექტიური მფლობელობის მდგომარეობასთან. მეორე შემთხვევაში კი კერძო საკუთრების არსებობის ფაქტთან.

ამგვარად, წარმოების საშუალებებისადმი დამოკიდებულების ხასიათის მიხედვით განისაზღვრება ადამიანის მდგომარეობა წარმოების პროცესის დროს, წარმოებით ურთიერთობებში. ამის მიხედვით ხდება შექმნილი პროდუქტის განაწილება საზოგადოებაში. თავის მხრივ განაწილების წესი განაპირობებს ინდივიდუალური გაცვლისა და მოხმარების ოდენობას. ყველა ეს ელემენტი ერთად აღებული ქმნის საზოგადოების ეკონომიკურ ურთიერთობებს, მის სისტემას.

გარდა ეკონომიკური ურთიერთობებისა საზოგადოებას ახასიათებს პოლიტიკური, სამართლებრივი, ფილოსოფიური, რელიგიური, კულტურული და სხვა სახის ურთიერთობები. საკითხი ასე დგას: რომელი ურთიერთობებია განმსაზღვრელი? კონცეფციათა უმრავლესობა წამყვან მნიშვნელობას პოლიტიკურ ურთიერთობებს ანიჭებს. მარქსიზმის მიხედვით კი ძირითადია ეკონომიკური ურთიერთობანი. მათი ხასიათი საბოლოო ანგარიშით განაპირობებს პოლიტიკურ-სამართლებრივ და სხვა ურთიერთობებს, ერთად ისინი ქმნიან ზედნაშენის სისტემას.

ბუნებრივია იმის წარმოდგენა, რომ თუ საზოგადოების ერთი ნაწილი ფლობს წარმოების საშუალებებს, მეორე კი არა, მაშინ მფლობელები შეეცდებიან საზოგადოებრივი დოვლათის განაწილების დროს უფრო მეტი და უკეთესი თავისთვის დაიტოვონ. შესაბამისად შეეცდებიან ისეთი პოლიტიკური სისტემა შექმნან, რომელიც დაიცავს მათ სიმდიდრეს ღარიბებისაგან, ისეთი სამართალი დააწესონ, რომელიც გაამართლებს მათ, ისეთი ფილოსოფია, რომელიც ბუნებრივად წარმოადგენს მდიდრების მდიდრებად და ღარიბების ღარიბებად ყოფნას, ისეთი რელიგია, რომელიც ღვთის დადგენილად აღიარებს ყოველივეს, ისეთი ლიტერატურა, რომელიც მდიდარს კეთილშობილ ადამიანად გამოიყვანს, ღარიბს კი ზარმაცად და ა.შ. შესაბამისად ცდილობენ თავისი ინტერესების დაცვას ღარიბებიც. მაგრამ ვინც მდიდარია ძალაც მის ხელშია.

საზოგადოებრივი ურთიერთობანი ამრიგად იყოფიან ეკონომიკური, მატერიალური ხასიათის ურთიერთობებად, რომლებიც ქმნიან ეკონომიკურ საფუძველს და იდეური ხასიათის ურთიერთობებად. ბაზისი უშუალოდ დაკავშირებულია ზედნაშენის პოლიტიკურ-სამართლებრივ ურთიერთობებ-თან, განსაზღვრავს მათ და მათი მეშვეობით ზეგავლენას ახდენს სხვა ელემენტებზე. ამდენად ზედნაშენის დანარჩენი ელემენტები ბაზისისაგან გარკვეულ დამოკიდებულებას ინარჩუნებენ. უფრო მეტიც, ზედნაშენის ელემენტები უკუზემოქმედებას ახდენენ ბაზისზე, ხელს უწყობენ ან აფერხებენ მის განვითარებას.

მთლიანობაში აღებული ბაზისი და ზედნაშენი ქმნის საზოგადოებრივ-

ეკონომიკურ ფორმაციას, ურთიერთობათა რთულ სისტემას. ყოველი ფორმის ურთიერთობა ორგანულადაა დაკავშირებული დანარჩენებთან, განიცდის მუდმივ ცვლილებას და მხოლოდ საყოველთაო კავშირებში, განვითარებაში შეიძლება მისი შესწავლა. ურთიერთობის ყოველი ფორმა არა მხოლოდ ზემოქმედებას განიცდის სხვა ფორმებისაგან, არამედ თვითონაც ახდენს ზეგავლენას.

ისტორიული მატერიალიზმი საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებს ასხვავებს მათთვის დამახასიათებელი წარმოების წესის მიხედვით. ისტორიულად არსებულ წარმოების ხუთ წესს შეესაბამება ხუთი ფორმაცია: პირველყოფილი – თემური, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური და კომინისტური.

საზოგადოებრივი ცხოვრების მარქსისტული გაგება ბევრ რამეში იმეორებს წინამორბედ მეცნიერთა დებულებებს, გარკვეულ სისტემაში მოჰყავს ყოველივე და ქმნის ერთიან თეორიას. ამიტომაა, რომ ვერც ერთი მკვლევარი მას გვერდს ვერ აუვლის.

ახლა ვნახოთ რამდენად მართებულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემის აგება ეკონომიკურ ბაზისზე დაყრდნობით, რამდენად შეიძლება ყველა სხვა ურთიერთობების ზედნაშენად წარმოდგენა.

პირველყოფილ-ჯოგური ცხოვრების დროს, როდესაც მომპოვებელი საქმიანობით არიან დაკავებულნი, ეკონომიკურ ურთიერთობებზე საუბარი ისევე არამართებულია, როგორც პოლიტიკურზე. როდესაც ადამიანები იწყებენ შრომის იარაღების შექმნა-გამოყენებას მათ შორის მყარდება იარაღების მფლობელთა და არამფლობელთა, ძლიერთა და სუსტთა ურთიერთობანი. არის ეს წმინდა ეკონომიკური ურთიერთობანი თუ მას პოლიტიკური ხასიათიც გააჩნია? როცა ინდივიდი უპირისპირდება მეორე ინდივიდს, თუნდაც საჭმელი პროდუქტის წართმევა-მითვისების მიზნით, აქვს თუ არა მას პოლიტიკური ხასიათი? და თუ ჯოგი უპირისპირდება ჯოგს, გვარი – გვარს, ტომი – ტომს, როგორ შეიძლება მას პოლიტიკური მხარე ჩამოვაცილოთ? თვით დაპირისპირება უკვე პოლიტიკაა. შეუძლებელია ეკონომიკური საქმიანობის წარმოდგენა საზოგადოებაში, ეკონომიკურ ურთიერთობათა გაზრება პოლიტიკური მხარისაგან მოწყვეტით. ეკონომიკური ცხოვრება პოლიტიკურია იმავდროულად და პირუკუ. მარჩიელობა, მაინც რომელია პირველადი, ძირითადი, განმსაძღვრელი, არაფრით არ განსხვავდება მკითხაობისაგან, რომელი გაჩნდა პირველი ქათამი თუ კვერცხი.

საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკური და ეკონომიკური მხარეების ცალ-ცალკე წარმოდგენა და შემდეგ მათში პრიორიტეტულის ძიება გაუმართლებელია. ეს ერთიანი ერთის ორი ასპექტია. თუ ერთს ორად

წარმოვიდგენთ, მაშინ ის ერთიანი, მთლიანი ველარ იქნება. მარქსისტული თვალსაზრისი, რომელიც ეკონომიკურ ურთიერთობებს განიხილავს როგორც პოლიტიკური ურთიერთობების განმსაზღვრელ ძალას არა მართებულია. იგი ეწინააღმდეგება მისსავე დებულებას, რომელიც პოლიტიკას ეკონომიკის კონცენტრირებულ გამოხატულებად მიიჩნევს.

მისგან განსხვავებით ლენინიზმი პოლიტიკურ ურთიერთობებს ანიჭებს უპირატესობას, მათ სახავს განმსაზღვრელ ძალად. ამაზე იყო აგებული მთელი კონცეფცია ეკონომიკურად ჩამორჩენილ რუსეთის იმპერიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალიზმის (პარტიის წინამძღოლობით) აშენების შესახებ. მარქსისტული თეორია მეცნიერების მიერ სხვადასხვანაირად იყო გაგებული და შეფასებული. ცნობილი სოციოლოგი ს. ხუკის აზრით მარქსიზმი ცდილობს დაამტკიცოს საზოგადოების განვითარების პროგრესიულობა. ამით ადამიანებს უსერგავს რა იმედს უკეთესი მომავლის მიღწევისა, ფაქტიურად ახალი ტიპის რელიგიას წარმოადგენს. კ. პოპერი უარყოფს მარქსისტულ დებულებას საზოგადოებრივი განვითარების კანონების ობიექტურობის შესახებ. მიაჩნია, რომ ეს კანონები არ არსებობენ ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად. ამით ისტორია სუბიექტური ნებით გამოწვეული მოვლენების ქაოსად წარმოგვიდგება, სადაც აზრი აქვს ბრძოლას უკეთესი ცხოვრებისათვის და არა უკეთესი წყობილების დამყარებისათვის. ჟ. ფურასტიე, ა. ფრიში, ა. ბერლი, ჯ. გელბრეიტი საზოგადოებრივ განვითარებას ტექნიკურ პროგრესთან აიგივებენ და მიიჩნევენ, რომ ამ პროგრესმა თანამედროვე ინდუსტრიულ სამყაროში კერძო კაპიტალისტების ბატონობა შეცვალა სპეციალისტთა ხელმძღვანელობით და გადალახული იქნა წინააღმდეგობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის. რამდენადაც არ არის წინააღმდეგობა საზოგადოებაში, მოისპო კაპიტალისტური წყობილების შეცვლის აუცილებლობა. ი. ბოხენსი ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი განვითარების მარქსისტული თეორია არის XVII საუკუნეში შექმნილი ოპტიმისტური ევოლუციური განვითარების თეორიის გაგრძელება და არა ახალი მოძღვრება. ბ. რასელის აზრით ევოლუციურ განვითარებას აქვს ადგილი ბუნებაში, საზოგადოებაში კი ყველაფერი სუბიექტური შეხედულებით კეთდება. დ. ბელი საზოგადოებრივ ისტორიას სამ პერიოდად ყოფს: ინდუსტრიალიზაციამდე, ინდუსტრიული, პოსტინდუსტრიული. უ. როსტოუ ისტორიას ხუთ სტადიად წარმოიდგენს: ტრადიციული საზოგადოება, გარდამავალი საზოგადოება, აღმავლობის საზოგადოება, თანამედროვე კაპიტალიზმი და მასობრივი მოხმარების საზოგადოება, რომელშიც ყველა ქვეყანა გადაიზრდება.

როგორც ჩანს, საზოგადოებრივი განვითარების შესახებ კონცეფციები

ბევრია. არა აქვს მნიშვნელობა განვითარებას ეტაპებად დაყოფენ, სტადიებად, საფეხურებად, ფორმაციებად თუ როგორ, მთავარია მართებული თვალსაზრისის შემუშავება. რამდენადაც საზოგადოებაში ფართედაა გავრცელებული ტერმინი ფორმაცია, ვიმსჯელოთ იმის მოშველიებით.

უნდა თავიდანვე დავეთანხმოთ იმ ამოსავალ დებულებას, რომლის თანახმად, ნებისმიერი წყობილება (ფორმაცია) წარმოადგენს ცოცხალ ორგანიზმს, მისთვის დამახასიათებელი ყველა პოზიტიური და ნეგატიური მოვლენით. ეს ნიშნავს, რომ მისთვის დამახასიათებელია ჩასახვა-დაბადების, ზრდა-მომწიფების, მოხუცება-სიკვდილის პერიოდები. რომელიმე პერიოდის ამოგდება ან მუდმივ მოვლენად წარმოჩენა ნიშნავს ბუნებრივ-ისტორიული პროცესის ხელყოფას. გარდა იმისა, რომ ყოველი ახალი ფორმაცია ისახება ძველის წიაღში, იბადება და უარყოფს ძველს, ძლიერდება და გამოავლენს შინაგან შესაძლებლობებს, საკუთარ წიაღში დასაბამს აძლევს მომავალს, ახალს, პროგრესულს, ამოწურავს არსებობის შესაძლებლობას და კვდება, გასათვალიწინებელია კიდევ ორი მომენტი: 1. ნეგატიურისა და პოზიტიურის ბრძოლა არ ნიშნავს ძველის სრულ ლიკვიდაციას. გარკვეული ელემენტები ინარჩუნებენ არსებობას არა მხოლოდ ახალში, არამედ შეიძლება რამდენიმე წყობილების მანძილზე; 2. საზოგადოებრივი განვითარების ტემპები საბოლოო ანგარიშით ჩქარდება და შესაბამისად ყოველი ახალი სწრაფად წარმოიშობა და მალე კვდება.

ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანი ვერ დაეთანხმება მარქსიზმ-ლენინიზმს იმაში, რომ ყოველი ახალი წყობილება ისახება ძველის წიაღში და ყოველი ძველი ისპობა ახალის განვითარების კვალობაზე გარდა სოციალიზმისა. სოციალისტური ურთიერთობანი მათი მტკიცებით არ შეიძლება შეიქმნას კაპიტალიზმის პირობებში და კაპიტალისტური ურთიერთობანი ისპობიან უკვე რევოლუციის პროცესში. ჯერ ერთი, თუ საერთო კანონზომიერებაა ახლის ჩასახვა ძველის წიაღში, მაშინ სოციალიზმი ვერ უნდა ამოსტეს ამ კანონზომიერებიდან. მეორე, თუ არ არსებობს ჩასახვა-განვითარება და ისპობა არსებული, მაშინ უარყოფა მექანიკურია და არა დიალექტიკური. ძველის მოსპობის შემდეგ ახლის შექმნა, ნიშნავს არაფრიდან რაღაცის სექმნას, რაც შეუძლებელია. მესამე, თუ ძველი ისპობა რევოლუციის პროცესში მაშინ არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ძველის გადმონაშთების არსებობას. საზოგადოებრივი ცხოვრების, ბუნებრივ-ისტორიულ პროცესად წარმოდგენა შეუთავსებელია კაპიტა-ლისტური წყობილებიდან ახალ სოციალისტურ, კომუნისტურ, (სახელ-წოდებას მნიშვნელობა არა აქვს) წყობილებაზე გადასვლის იმ გაგებასაც რაც ფართედ იყო გავრცელებული ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში.

ასევე ძნელია დაეთანხმო პირველყოფილ-თემური ურთიერთობების ერთ ფორმაციად წარმოსაახვას. თუ უკვე დამტკიცებულია, რომ შრომის იარაღების გაჩენა იწვევს კერძო საკუთრების წარმოშობას, იწვევს კი არა მოასწავებს, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ კერძო საკუთრება აღმოცენდა 1800000 წლის წინ. ეს არის მიახლოებითი ვარაუდი, რადგან შესაძლებელია არქეოლოგებმა კვლავ აღმოაჩინონ უფრო უადრესი პერიოდის იარაღები. ასეთ შემთხვევაში ძალას კარგავს მეცნიერთა მტკიცება, რომლის მიხედვით პირველყოფილი-თემური წყობილების დროს ბატონობდა საზოგადოებრივი (საერთო) საკუთრება წარმოების საშუალებებზე, შემდეგ იგი შეცვალა კერძო საკუთრებამ, კერძოს კი შეცვლის საზოგადოებრივი.

ისმის კიდევ ასეთი კითხვა: ქვის იარაღები არსებობდა ორი მილიონი წლის წინ. ქვის იარაღები არსებობდა აგრეთვე ათი ათასი წლის წინ. რა, ამ ხნის მანძილზე კაცობრიობა არ ვითარდებოდა და შემდეგ უცებ დაიწყო ნახტომისებური განვითარება? რამდენად შეიძლება საუბარი ამ ორი მილიონი წლის მანძილზე პირველყოფილი-თემური წყობილების არსებობაზე? ალბათ უპრიანია, შევეშვათ ალბათობის დაშვებას და ვამტკიცოთ ის, რაც დანამდვილებით ვიცით. დანამდვილებით ვიცით ის, რომ სანამ ადამიანებს არ ჰქონდათ შრომის იარაღები, მათ არ ჰქონდათ საკუთრების გაგება, მაგრამ უეჭველად ჰქონდათ საერთო ტერიტორიის უცხოთაგან დაცვის ფუნქცია და ამდენად ჩვენია-ჩემიას გრძნობა. კერძო საკუთრების აღმოცენება-განვითარება არ სპობს საერთოს, საზოგადოს. ისინი პარალელურად თანაარსებობენ. კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული მონათმფლობელური წყობილება, სულაც არ ნიშნავს, მხოლოდ მონებისა და მონათფლობელების არსებობას. უბრალოდ ეს ფორმა ურთიერთობისა პრიორიტეტულია, წარმმართველია. მის წიაღში ინარჩუნებს არსებობას თემური ურთიერთობისა და იმ დროს აღმოცენებული ბატონყმური და ფულად-სასაქონლო ურთიერთობანი. თავიდანვეა მოცემული ყველა არსებულისა და ჯერაც არ არსებული ურთიერთობანი, როგორც მრავალი შესაძლებლობა, რომელთაგანაც ერთ-ერთი აუცილებლობად (რეალობად, გაბატონებულებად) იქცევა ამათუ იმ დროს.

ფორმაციების შესახებ მარქსისტურ-ლენინური კონცეფცია კიდევ ერთ არსებით ნაკლს შეიცავს. თუ ყოველი წყობილება განიხილება როგორც ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც ამოწურავს რა განვითარების შესაძლებლობას, ილუპება და ადგილს უთმობს ახალს, მაშინ დაუშვებელია კომუნიზმის, როგორც მუდმივი, უკვდავი ფორმაციის წარმოდგენა. სოციალისტური ან კომუნისტური წყობილება ისევე უნდა ემორჩილებოდეს საერთო კანონზომიერებას, როგორც ყველა დანარჩენი.

ალოგიკურია მარქსისტულ-ლენინური გაგება ფორმაციათა შეცვლის შესახებ პოლიტიკური რევოლუციის გზით. თუ სოციალიზმამდე ფორმაციები უეჭველად პოლიტიკური რევოლუციის მეშვეობით იცვლებიან, რატომ უნდა ვამტკიცოთ, რომ სოციალიზმიდან მოყოლებული, რევოლუციები აღარ მოხდება. რა გამოდის: სოციალიზმი თუ უკანასკნელი წყობილებაა, ნიშნავს კაცობრიობას მიულწევია იდეალური ცხოვრებისათვის, კმაყოფილდება მიღწეულით და წყვეტს მსვლელობას უკეთესობისაკენ.

ამ თავისებურებათა გათვალისწინების საფუძველზე ფორმაციათა ცვლის, საზოგადოებრივი განვითარების სქემა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

1.პირველყოფილი საზოგადოება; 2. თემური წყობილება; 3. მონათმფლობელური წყობილება; 4. ფეოდალური წყობილება; 5. კაპიტალისტური წყობილება; 6.კომუნისტური წყობილება და ა.შ.

7.5. მოღვაწეობის არსი

კაცობრიობის ისტორიის დაყოფას ცივილიზაციებად, პერიოდებად, ფორმაციებად, ფაზებად, სტადიებად და სხვა, მკვლევარები განსხვავებული ნიშნების მიხედვით ახდენენ. ზოგნი მიიჩნევენ, რომ განმსაზღვრელია შრომის იარაღები, ზოგს საკუთრების ხასიათი და ფორმა წარმოუდგენია საფუძვლად, ერთნი დამწერლიბის შემოღებაზე მსჯელობენ, მეორენი წარმოების დონეზე და ა.შ.

საზოგადოება რთული ფენომენია. ზოგისთვის მთავარია ცხოვრების მატერიალური პირობების მოპოვება და სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მეორენი მატერიალური სიმდიდრის დაგროვებას მოღვაწეობის არსად აქცევენ. მესამენი ესთეტიურ ტკბობას მიიჩნევენ ცხოვრების ძირითად მოტივად. მეოთხენი არსებულ ეთიკურ ნორმებს წმინდად იცავენ და ამის გამო მზად არიან ბევრ სიკეთეზე თქვან უარი და სხვ. ერთნი პირად მე-ს აფეტიშებენ, მეორენი ჯგუფურ ინტერესებს ერთგულობენ, მესამენი საზოგადოებრივ ფასეულობებს ანიჭებენ უპირატესობას.

რა განსაზღვრავს ადამიანური მოღვაწეობის ხასიათს? რაშია მისი არსი? მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ ყველაფერი განისაზღვრება

მატერიალური პირობებით. მეორენი გადამწყვეტ მნიშვნელობას პოლიტიკურ ურთიერთობებს ანიჭებენ. მესამენი სულიერი, იდეური ან სულაც რელიგიური რწმენის ფაქტორით საზღვრავს ყველაფერს.

საკითხის განხილვის დროს მისაღებია ზოგადისა და კონკრეტულის, აუცილებლობისა და შემთხვევითობის პოზიციების შეჯერება. თუ გამოვალთ ცალკეული ადამიანის მდგომარეობიდან და განვიხილავთ მას იზოლირებულად, უნდა დავეთანხმოთ მტკიცებას, რომ მან ჯერ კუჭი უნდა გაიძღოს, რათა იარსებოს და ამის შემდეგ შეიძლება იზრუნოს სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. რამდენად შეიძლება კონკრეტულის ამ მდგომარეობის აყვანა ზოგადის დონეზე? საზოგადოება ხომ არასდროს არ იფარგლებოდა მხოლოდ ჭამის ფუნქციით. პირველყოფილი მდგომარეობის პერიოდშიც კი ადამიანებს შორის ეკონომიკური ურთიერთობანი პოლიტიკურისა და სულიერის პარალელურად ასრსებობდა. არ არსებობს ეკონომიკური ურთიერთობანი პოლიტიკურის გარეშე და პირუკუ. კონკრეტული ინდივიდუუმი იბადება და იზრდება გარკვეული ხასიათის ურთიერთობების პირობებში, მომწიფების კვალობაზე უწევს მასში ჩაბმა და მოსწონს თუ არა ანგარიში უნდა გაუწიოს არსებულს, შეეგუოს ან შესაძლებლობის დონეზე შეეცადოს მის შეცვლას. თუ დავეთანხმებით ამ რეალობას, გავითვალისწინებთ, რომ ცხოვრებისა და მოქმედების გარკვეული გარემო ზრდის და აყალიბებს კონკრეტულ პიროვნებას, მაშინ მისი მოღვაწეობის არსი უნდა იყოს არა მხოლოდ არსებულის გამოყენება, არამედ მისი სრულყოფაც.

რამდენადაც ცივილიზაცია შრომის იარაღების შექმნასა და გამოყენებას ეფუძნება, ამდენად უზრუნველყოფის მეტი მიღწევა ნაკლები დანახარჯებით, არის ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის არსი. ყოველი ადამიანი მოღვაწობისას მიესწრაფვის გარანტირებული მომავლის შექმნას. რეალურად ეს საკუთრების კატეგორიასთანაა დაკავშირებული. რაც მეტი საკუთრება აქვს ინდივიდს, მით მეტადაა უზრუნველყოფილი მომავალი, მეტია არამატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა. რა თქმა უნდა, არიან მრავლად ადამიანები, რომელთათვის საკუთრების დაგროვება ცხოვრების მიზანია, მაგრამ საზოგადოების ცნების დაყვანა მათ დონეზე არამართებული იქნებოდა.

თვით საკუთრების კატეგორია რთული შინაარსისაა. ერთი შეხედვით ის ეკონომიკური ხასიათის მატარებელია. სინამდვილეში ცნება არანაკლები პოლიტიკური ხასიათის დატვირთვისაა. ფართე გაგებით საკუთრების ქვეშ მოიაზრება როგორც ეკონომიკური ასევე პოლიტიკური და სულიერი ფაქტორები. კონკრეტული პირობების შესაბამისად შეიძლება ერთმა

მათგანმა გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინოს, მაგრამ საბოლოო ანგარიშით, საზოგადოების მასშტაბით, რომელიმესათვის განმსაზღვრელის ფუნქციის მიკუთვნება არამართებულია.

უპირველესი და უმთავრესი საკუთრება რაც ადამიანს გააჩნია, არის მისი უნარი, რასაც სხვანაირად სამუშაო ძალას უწოდებენ. სამუშაო ძალაში იგულისხმება არა მხოლოდ ფიზიკური ძალა, უნარი რაღაცა გადააადგილოს, შექმნას, მოსპოს. ადამიანი რობოტი როდია, რომ მექანიკურად შეასრულოს მიცემული პროგრამა. ის ერთიანი ჰარმონიული მთელია, რომელიც მოიაზრებს და აკეთებს, აკეთებს და აზროვნებს. სხავანაირად პროგრესი გამოირიცხებოდა. არ შეიძლება ამ მთლიანის გახლეჩა და სამუშაო ძალის ქვეშ მხოლოდ ერთის ან მეორე მხარის მოაზრება. როცა ინდივიდი სწავლობს, შრომობს, საქმიანობს, სამუშაო ძალას ხარჯავს, ის ამ პროცესებში მონაწილეობს მთლიანად ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობებით, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება უფრო მეტ ფიზიკურ ან უფრო მეტ გონებრივ პოტენციალს ხარჯავდეს. ამავე დროს, სამუშაო ძალის ხარჯვის პროცესებში ადამიანებს შორის მყარდება ან მოიაზრება გარკვეული პოლიტიკური ურთიერთობები. ამდენად, საკუთრების კატეგორია უეჭველად შეიცავს სამივე ელემენტს.

მკვლევარები, რომელნიც სამუშაო ძალის მცნებაში მხოლოდ ფიზიკურ ძალას მოიაზრებენ, ლოგიკურად მიდიან დასკვნამდე, რომ შრომის პროცესში ადამიანებს შორის მყარდება შრომითი ურთიერთობები ეკონომიკური ხასიათისა. რაც შეეხება პოლიტიკურ და სულიერ მხარეებს, ისინი ეკონომიკური ურთიერთობებით განსაზღვრულ ზედნაშენურ მოვლენას წარმოადგენენ. როგორიცაა ეკონომიკური ურთიერთობები, ისეთი უნდა იყოს პოლიტიკური და სულიერი. ეკონომიკური განმსაზღვრელია, პოლიტიკური და სულიერი – განსაზღვრული. ადგილი აქვს ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობებს.

საკითხის ასე დასმას და გადაწყვეტას ადამიანური და საზოგადოებრივი მიზანმიმართული მოღვაწეობის მექანიკური გახლეჩა უდევს საფუძვლად. ადამიანი და საზოგადოება შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მხოლოდ ფიზიკურ, მხოლოდ გონებრივ, მხილოდ სულიერ ფუნქციათა შემსრულებლებად. ეს ერთიანი მთელია. ადამიანი რომ რაიმე ფიზიკურ სამუშაოს ასრულებს, ის გონიერად, რაციონალურად აკეთებს ამას. მას ამ პროცესში ცნობიერად და ქვეცნობიერად გააზრებული აქვს ყველა მოქმედება, შესაძლებლობა, შედეგი. არ არსებობს მოქმედება გააზრების გარეშე, საზოგადოებრივი შრომითი ურთიერთობანი პოლიტიკურ ურთიერთობათა გარეშე, არ არსებობს საზოგადოებრივი შრომითი ურთიერთო-

ბანი, პოლიტიკურ ურთიერთობათა გარეშე, არ არსებობს პოლიტიკური ურთიერთობანი სულიერი (ზნეობრივი) ურთიერთობების გარეშე.

ამდენად, როდესაც მსჯელობაა სამუშაო ძალაზე, აქ უნდა იგულისხმებოდეს ადამიანის უნარი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი. როცა მსჯელობაა შრომის პროცესში ადამიანთა შორის აღმოცენებულ ურთიერთობებზე უნდა იგულისხმებოდეს ეკონომიკური, პოლიტიკური, ზნეობრივი ურთიერთობანი. რომელიმე მხარის წინ წამოწევა, პრიორიტეტულად მიიჩნევა და მის განმსაზღვრელად წარმოდგენა ყველა შემთხვევაში, საზოგადოების მასშტაბით დაუშვებელია, მცდარია.

სრულიად მართებულია მკვლევართა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადამიანის მხოლოდ სამუშაო ძალა საკმარისი არაა რათა მისმა ხარჯვამ სასურველი შედეგი მოგვცეს. საჭიროა შრომის იარაღების არსებობა. მხოლოდ სამუშაო ძალის შეერთება შრომის იარაღებთან არის წინაპირობა რაიმეს შექმნისა. შრომის იარაღები შესაბამისად არის პირველი გააზრებული საკუთრება, რასაც ადამიანი მოიპოვებს, შექმნის და მოიხმარს. შრომის იარაღების შექმნამდე პერიოდი საკუთრების არ არსებობის ხანგრძლივი დროა. შრომის იარაღების შექმნით იწყება საკუთრების გააზრებული ფორმების არსებობა. რა ხასიათისა შეიძლება ყოფილიყო ეს საკუთრება თუ არა კერძო-ინდივიდუალური? აქედან მოყოლებული, საკუთრება მუდმივ ცვლილება-განვითარებას განიცდის. ისტორიულად ცნობილია კერძო-ინდივიდუალური, ჯგუფური, საერთო-საზოგადოებრივი საკუთრების ფორმები. შესაძლებელია მათი ერთდროული არსებობაც, შერეული სხვადასხვა ზომით.

მკვლევარები ადამიანთა სამუშაო ძალისა და შრომის იარაღების ერთობას საწარმოო ძალას უწოდებენ, რადგან შრომის პროცესში ისინი ერთობლივად ქმნიან, აწარმოებენ რაღაცა ახალს. ამ მიმართებით, როგორი განვითარების დონესაც აღწევენ საზოგადოების საწარმოო ძალები, ისეთივეა ცხოვრების დონე. მკვლევართა ნაწილი საწარმოო ძალების ხასიათით განსაზღვრავს საზოგადოებრივი ურთიერთობების ხასიათსა და ფორმასაც, რაც არამართებულია. საწარმოო ძალების მოქმედება ცხოვრების დონის მაჩვენებელია და არა ურთიერთობათა ხასიათისა. საზოგადოებრივი ისტორია ამის ნათელი დადასტურებაა.

მორგანიდან მოყოლებული ყველა მკვლევარი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ თემური წყობილების დროს შრომის იარაღები კერძო-ინდივიდუალური საკუთრების მატარებელია. არავის დაუფიქსირებია თემური წყობილების დროს ნადირობის, შრომის, ომის იარაღების საერთო ჯგუფური საკუთრება. ამავე დროს ყველა მიუთითებს საწარმოო ძალების ხარჯვის შედეგების

ჯგუფურ-საზოგადოებრივი გამოყენების ხასიათზე. პრაქტიკულად შრომის იარაღები კერძო საკუთრების ხასიათისაა, მითვისების, განაწილების ფორმა საზოგადოებრივი. რატომ? თუ თემის, ტომის შიგნით ბატონობს კერძო საკუთრება, ურთიერთობათა ხასიათი რატომ არ უნდა იყოს მისით განსაზღვრული? ისმის კითხვა: რა განსაზღვრავს ადამიანთა მოღვაწეობის ხასიათს, რაშია მისი არსი? თუ საკუთრებაა საბოლოო ანგარიშით ყველაფრის განმსაზღვრელი, როგორ ხდება რომ საწარმოო ძალებზე კერძო საკუთრება, წარმოების შედეგის განაწილების საზოგადოებრივ ფორმას ასულდგმულებს? ეგებ ურთიერთობათა ხასიათი ეკონომიკური კატეგორიებით არაა გაჯერებული. პოლიტიკური? სულიერი? ცალკე აღებული არც ერთი არ იძლევა საბოლოო სურათს.

თემური წყობილების დროს, თემის წევრი თემისათვის საზოგადოებრივ ერთეულს წარმოადგენს, თუმცა მას შრომის იარაღები კერძო საკუთრებაში აქვს. როგორ გავიგოთ ეს: როგორც საზოგადოებრივი საკუთრება? მაშინ ვთქვათ რაზეა ეს საზოგადოებრივი საკუთრება თუ არა ადამიანის ინდივიდუალურ სამუშაო ძალაზე. მაგრამ რა შეუძლია ამ სამუშაო ძალას შრომის იარაღების გარეშე, რომლებიც კერძო-ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენენ? ეგებ უფრო უპრიანია ის აზრი, რომ საკუთრების არ არსებობის ხანგრძლივი პერიოდდან მოყოლებული, კერძო საკუთრების აღმოცენება და გაბატონების პერიოდი, ეს თემური წყობილებაა, სადაც საკუთრების ხასიათი კი არ განსაზღრავს ურთიერთობათა (შრომის პროცესში ურთიერთობათა) ხასიათს, არამედ ისტორიულად არსებული ჯოგური გენეტიკურ-ინტუიტური ხასიათი. კერძო საკუთრება ისე არ მკვიდრდება ერთბაშად, მოკლე დროში, როგორც არ ისპობა ადამიანთა ჯოგურ-კოლექტიური ერთობა. ეს ერთობა კი ყველაზე ხანგრძლივი პერიოდია კაცობრიობის ისტორიაში. ამიტომ მისი დაქვეითება, თემურ წყობილებასთან მიერეთება ალბად მიზანშეუწონელია. პირველყოფილი წყობილება, გსებავთ პერიოდი, სტადია, ფორმაცია, როგორც ყველაზე უფრო ხანგრძლივი, გენეტიკურად იმანენტური, ცალკე უნდა იქნას ისტორიაში ასახული.

თემური წყობილება თუმცა კერძო საკუთრებაზე გარდამავალი ხასიათისაა, მაგრამ თავისი ხანგრძლივობით, ბუნებით ცალკე ფორმაციას ქმნის. ამიტომაა ჩადებული შინაგანი გაორება, ე.წ. წარმოების საშუალებანი კერძოა, საწარმოო ძალები კერძო-ინდივიდუალურია, შრომითი ურთიერთობანი და მათი შედეგი ძირითადად კოლექტიურია. ამავე მიზეზის გამო აღარაა გასაკვირი, რომ პარალელურად თანაარსებობენ კოლექტიური ურთიერთობები, თანასწორობა და კერძო საკუთრება, მონათფლობელობა. არაა რთული თვალი გადავავლოთ ჩვენთვის ცნობილ უძველეს

ცივილიზაციებს და ენახავთ პარალელურად არსებულ თანასწორობასა და მონათფლობელობას, საკუთრების არ არსებობას (ჯერ კიდევ) და კერძო საკუთრებას. უძველესი ისტორიული და ლიტერატურული წყაროები სხვა სურათს არ ხატავენ.

თემური წყობილების განვითარების ისტორიულ-ბუნებრივი პროცესი მონათფლობელური ფორმაციის შექმნით გვირგვინდება. თავისთავად ეს გადასვლა უარყოფის უარყოფის კანონის განხორციელებაა და დიდი რევოლუციური გადასვლა, მიუხედავად მისი ევოლუციური ხასიათისა და ძველის ახალში შემორჩენილი მძლავრი ნაშთებისა. მონათფლობელური წყობილება ამავე დროს დიდი პროგრესია თემურ წყობილებასთან შედარებით, რაც პირველ რიგში ცხოვრების პროგრესით განისაზღვრება.

მონათფმლობელური ურთიერთობანი არ გამორიცხავენ სხვა ტიპის ურთიერთობათა არსებობას. მათი განვითარება, უპირატესობანი განაპირობებენ ფეოდალურ ურთიერთობებზე გადასვლას. ბატონყმობის, როგორც ურთოერთობათა წამყვანი ფორმის ჩამოყალიბება ნიშნავს მონათფლობელობის ავტომატურ გაუქმებას. ძველი წყობილების ნიშნები დიდხანს გასდევდა ახალს, თუმცა ახლის შეცვლა, ძველი პოზიციების დაბრუნება მას აღარ შეეძლო. თვით ბატონყმური ურთიერთობანი არ იყო ყველა ქვეყანაში ერთნაირი სახით გამოვლენილი. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ თავისებურებებს, რომლის შიგნითაც უწევდა არსებობა ამა თუ იმ ერს.

მკვლევარები, რომლებიც შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პროცესს, შეისწავლიან, მიუთითებენ, რომ ჯერ კიდევ თემური წყობილება შეიცავს ყველა იმ წყობილებათა ნაირსახეობას, რომლებიც მის შემდეგ იწყებენ განვითარებას და შემდეგ მკვიდრდებიან, როგორც ფეოდალური ან კაპიტალისტური წყობილება. თემური წყობილების შიგნით ასევე ფართედაა წამოდგენილი ე.წ. კომუნისტური ურთიერთობების ნაირსახეობას. ამასთან, თავის მხრივ ყოველი მომდევნო ინარჩუნებს ძველის გარკვეულ ელემენტს.

მკვლევარები საზოგადოებრივი მოღვაწეობის მთელ წარსულს იმიტომ უწოდებენ ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს, რომ განვითარების შინაგანი ლოგიკიდან გამომდინარე, სხვანაირი გაგრძელება, ვიდრე ის, რაც პრაქტიკულად ხორციელდება, თეორიულადაც დაუშვებელია.

თემური წყობილება თუმცა შეიცავს ყველა მომდევნო წყობილების ელემენტებს, კომუნისტურის ჩათვლით, მაგრამ თვით ადამიანების განვითარების დონე, მათი მსოფლმხედველობა, ეკონომიკური ურთიერთობების ხასიათი სხვა წყობილების დამკვიდრების რეალურ პირობებს არ იძლეოდნენ თუ არა მონათფლობელობისა.

თავის მხრივ მონათფლობელური წყობილებაც, მიუხედავად განხორციელების მრავალფეროვნებისა, ინარჩუნებდა თემური წყობილების ძლიერ გადმონაშთს და განვითარების მეტ შესაძლებლობას აძლევდა მომავალში კერძო საკუთრების ბატონობაზე დაფუძნებულ წყობილებათა ელემენტებს. მონათფლობელური მოღვაწეობის ხასიათი, მისი განვითარების დონე მეტ გასაქანს ფეოდალურ ურთიერთობებს აძლევდა და ბუნებრივია გადასვლაც მასზე განხორციელდა. ახალი, ძველთან შედარებით, მეტ ასპარეზს უქმნიდა მოღვაწეობისათვის საზოგადოების ყველა ძირითად სოციალურ ფენას. ყმა გლეხი მეტად იყო შრომის ნაყოფიერების ზრდით დაინტერესებული, ვიდრე მონა, მეტად იყო თავისუფალი და დამოუკიდებელი, მეტი ჰქონდა ადამიანური გასაქანი, თუმცა რიგ შემთხვევაში, მატერიალურად ნაკლებ დაკმაყოფილებული მონასთან შედარებით. მონას, როგორც ცუდად არ უნდა ეშრომა, ბატონს იგი უნდა გამოეკვება, რათა შიმშილით არ მომკვდარიყო. ყმასთან მიმართებაში ბატონს ასეთი ვალდებულება აღარ ჰქონდა.

ფეოდალური წყობილება დიდი პროგრესი, დიდი რევოლუციური წინსვლა იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში მოძველდა და რეგრესულ მოვლენად იქცა. მის წიაღში ფართე განვითარება მიიღო ახალი ხასიათის ურთიერთობებმა, რომელთა გაძლიერებამ საზოგადოება კაპიტალისტურ წყობილებამდე მიიყვანა.

საუკუნეთა მანძილზე რა იწვევდა მოღვაწეობის ხასიათში მიმდინარე ცვლილებებს. ხასიათის შეცვლა განაპირობებდა თუ არა მოღვაწეობის არსის ცვლილებას და თუ ხო, რა მიმართებით შეიძლებოდა ის განხორციელებულიყო?

საზოგადოებრივი მოღვაწეობის ხასიათი (მას საზოგადოებრივ ან წარმოებით ურთიერთობათა ტიპს უწოდებენ სხვადასხვა მკვლევარები), შედარებით სრულად გამოხატავს ურთიერთობის იმ წრეს, რომელიც ყალიბდება პოლიტიკური, მატერიალური და კულტურული თანაცხოვრების სფეროში. იგი პრობლემათა გაცილებით მეტ სპექტრს მოიცავს, ვიდრე მხოლოდ წარმოებითი ურთიერთობანია. წარმოებითი ურთიერთობანი მართალია წმინდა ეკონომიკურ ურთიერთობათა გარდა პოლიტიკურისა და მეცნიერულ-კულტურულ ურთიერთობებსაც გულისხმობენ, მაგრამ შეზღუდული სახით, მხოლოდ წარმოებასთან მიმართებაში.

მკვლევარები, რომლებიც წარმოებით ურთიერთობათა ხასიათით იფარგლებიან, მიიჩნევენ, რომ ამ სფეროს ურთიერთობები არის განმსაზღვრელი, არის ბაზისი, რომელზეც დაშენებულია პოლიტიკური და სულიერი ურთიერთობანი, როგორც ზედნაშენი. მათ მიაჩნიათ, რომ საზოგადოების

უმეტესი ნაწილის პოლიტიკური შეხედულებანი, სულიერი მოთხოვნილებანი ისეთია, რა ადგილიც მათ უკავიათ წარმოების სფეროში და საზოგადოებრივი პროდუქტის რა ნაწილსაც იღებენ განაწილების დროს ხელფასის სახით. გარკვეული ოდენობით შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ მთლიანობაში ასეთი მიდგომა არამართებულია. უფრო მეტი, XIX საუკუნის პირობებში, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი მოწყვეტილი იყო პოლიტიკურ და სულიერ სფეროებში მოღვაწეობას არა მხოლოდ შესაძლებლობას, არამედ მათი გაგების, ცოდნის შესაძლებლობასაც, ასეთ თვალსაზრისს არსებობის მეტი უფლება ჰქონდა. დღევანდელი მსოფლიოს განვითარების ძირითადი ტენდენციები, რასაც მოკლედ გლობალიზაციას უწოდებენ, რაც აჩქარებს ადამიანთა მსოფლიო პიროვნებებად გადაქცევას, შლის სახელმწიფოებრივ ბარიერებს, აახლოებს ერებს, იწვევს საერთო ინტერესების გაჩენას და სხვა, სულ სხვა ხარისხით წარმოაჩენს ამ კონცეფციას.

ამ თვალსაზრისის თანახმად, ადამიანთა მთელი წარსული შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ბრძოლაა, შრომის იარაღების გაუმჯობესებისა და წარმოების რაციონალიზაციის გზით. სქემა ასეთია: ადამიანები იღწვიან იმისათვის, რათა შეიმსუბუქონ შრომა, ნაკლები ენერგიის ხარჯვით მიიღონ მეტი. ამ მიზნით ისინი აუმჯობესებენ შრომის იარაღებს, ახდენენ შრომითი პროცესს დანაწილებას, აჩქარებენ წარმოებას და მასთან ერთად ძალაუნებურად თვითონ ვითარდებიან, ოსტატდებიან, გებულობენ ტექნიკურ სიახლეებს და ა.შ. ასეთი გზით განვითარებული (ფიზიკურად და გონებრივად) ადამიანები შემდეგ ეწაფებიან პოლიტიკურ და სულიერ საზრდოს. ჯერ პოლიტიკური, იგი მატერიალურ ინტერესებთან მჭიდრო კავშირშია, შემდეგ სულიერს. ეს სქემა შეიძლება უნაკლოც კი იყოს ცალკეულ ადამიანთა მიმართებაში, მაგრამ საზოგადოება არც ასეთი პრიმიტიული ორგანიზმია და არც საამისოდ ერთფეროვანი.

სინამდვილეში წარმოუდგენელია ადამიანი (ნორმალური) რომელშიც შერწყმული არ იყოს ყოველდღიურად, მთელი არსებობის მანძილზე პოლიტიკური, მატერიალური და სულიერი აზრები და მისწრაფებანი. საზოგადოების უმცირესი უჯრედის არსებობა, ოჯახის შექმნა და არსებობა უკვე შეიძლება უფრო მეტი პოლიტიკა ან სულერი ურთიერთობა იყოს, ვიდრე მატერიალური. ბიბლიური ადამ და ევას ურთიერთობანი თავდაპირველად სულაც არ იყო მატერიელური ინტერესებით გაჯერებული. საზოგადოება რომ მატერიალური წარმოებითი ურთიერთობებით იყო გაჯერებული, ადამიანები, რომ მატერიალური დოვლათის მოპოვებით იყვნენ დაპროგრამებული, საზოგადოება ვერ იარსებებდა. არ შეიძლება

ადამიანური ცხოვრების სფეროებში ვეძიოთ ზოგადად განმსაზღვრელი და განმსაზღვრული. საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მომენტში ხან ერთია პრიორიტეტული, ხან მეორე, კონკრეტულ-ისტორიული ვითარების მიხედვით.

შესაბამისად, საზოგადოებრივი მოღვაწეობის ხასიათი უეჭველად უნდა მოიცავდეს სამივე სფეროს, რამდენადაც ცალკეულად აღებული ვერც საზოგადოების დასახასიათებლადაა საკმარისი და ვერც განვითარების პროცესის ასახსნელად. რამდენადაც საზოგადოებრივი მოღვაწეობის ხასიათი მოიცავს ცხოვრების და საქმიანობის ყველა სფეროს, ამდენად საზოგადოებრივი მოღვაწეობის არსი მისი სრულყოფილება და განვითარებაა. არ შეიძლება საზოგადოებრივ მოღვაწეობას ჰქონდეს სხვა არსი, თუ არა მოღვაწობის ხასიათის პროგრესული შეცვლა, ცხოვრების ხასიათის სრულყოფის მიზნით.

8. თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოება

8.1.საწყისები

თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოება თავის საწყისებს ფეოდალური წყობილების წიაღში პოულობს, თუმცა მისი ცალკეული ნიშნები ჯერ კიდევ თემური წყობილების დროს გვხვდება. ხელოსნობა, აღებ-მიცემობა, სასაქონლო გაცვლა, ფული ძველი დროიდან მისდევს საზოგადოებას. ნატურალური მეურნეობის განუყოფელი ბატონობის პირობებში ფულად-სასაქონლო ურთიერთობებს დაქვემდებარებული მდგომარეობა ეკავა. სასაქონლო წარმოების, გაცვლის, ფულის არსებობა, რიგ მკვლევარებს საფუძველს აძლევს ამტკიცონ ბურჟუაზიული (კაპიტალისტური) წყობილების მუდმივობის შესახებ. ამ ნიადაგზე ქმნიან თეორიებს კაპიტალიზმის, როგორც საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების შესახებ, ტექნოტრონული ერის დაწყების, კაპიტალიზმის სოციალიზაციის შესახებ და ა.შ.

მკვლევარები თავიდანვე გამოჰყოფენ კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ ორ ძირითად ნიშანს, რითაც იგი სხვა წყობილებისაგან განსხვავდება. პირველი ნიშანი მიუთითებს, რომ ყველაფერი რაც სახელმწიფოში იწარმოება, იწარმოება გაყიდვისათვის, როგორც საქონელი. მეორე ნიშანი ამბობს, რომ საზოგადოების უმრავლესობა იძულებულია როგორც საქონელი გავიდეს შრომის ბირჟაზე და დაყიდოს თავისი, – სამუშაო ძალა. შესაბამისად საზოგადოება იყოფა ორ ძირითად ჯგუფად (კლასად). ისინი ვინც იძულებულია გაყიდოს სამუშაო ძალა და ისინი, ვინც უნარმოსილია, იყიდოს (დაიქირაოს) სამუშაო ძალა. არა აქვს არსებითი მნიშვნელობა თვითონ დამქირავებელი გამოდის როგორც დამოუკიდებელი მეწარმე თუ წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დაქირავებულ მოხელეს, რომელიც სახელმწიფოს სახელით წარმართავს საქმიანობას. საზოგადოებაში არსებული განაწილების პრინციპი განსაზღვრავს ამა თუ იმ პიროვნების ყოფას კაპიტალისტად და დაქირავებულ მუშად.

ფულად-სასაქონლო ურთიერთობა, რომელიც ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარების კვალობაზე ყალიბდება, ბუნებრივად ყოფს საზოაგადოებას წარმოების საშუალებათა ფლობელებად და ფლობის უფლებას მოკლებულებად, ე.წ. ბურჟუად და პროლეტარებად, მეწარმეებად და მუშებად. მეწარმისა და მუშის ურთიერთობა, ფულად-სასაქონლო

ურთიერთობა, ეფუძნება საქონლის (გასაყიდი ნივთის) უნარს — დააკმაყოფილოს ადამიანის მოთხოვნილება. მის ამ უნარს სახმარი ღირებულება ეწოდება. რამდენადაც საქონელი იქმნება საზოგადოებაში გასაყიდად და იგი საზოგადოების მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, ამდენად მას გააჩნია — საზოგადოებრივი სახმარი ღირებულება.

გარდა სახმარი ღირებულებისა საქონელს გააჩნია ღირებულება. ეს იმ აუცილებელ სამუშაო დროს უდრის, რაც საჭიროა ამ საგნის დასამზადებლად. საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო ანიჭებს საქონელს ღირებულებას. საქონლის ღირებულება პირდაპირაა დამოკიდებული მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე. რაც მაღალია წარმოების ტექნიკური აღჭურვილობა, მით მცირეა საქონლის დასამზადებლად დახარჯული საზოგადოებრივად აუცილებელი დრო — ღირებულება.

ამრიგად, საქონელი ბაზარზე გადის როგორც სახმარი ღირებულებისა და ღირებულების ერთობა.

ბაზარზე საქონელთა გაცვლის დროს წარმოიქმნება ყოველი მათგანის ღირებულების ერთნაირი გამოხატულების აუცილებლობა. ასეთი საქონელია ფული. იგი ასრულებს საყოველთაო ექვივალენტის ფუნქციას. მასზე იცვლება ყველაფერი. დროთა განმავლობაში ყალიბდება ფულის ხუთი ფუნქცია: 1. ფული გამოდის როგორც ღირებულების საზომი (ფულით გამოხატულ ღირებულება საქონლისა არის — ფასი); 2. ფულის მეშვეობით ხდება საქონელთა გაცვლა. ამიტომ არის იგი — მიმოქცევის საშუალება; 3. ფული შეიძლება დაგროვილი იქნას. ეს ღირებულების (სიმდიდრის) დაგროვებას ნიშნავს. ამდენად ფული — დაგროვების საშუალებაა; 4.ყიდვა-გაყიდვა შეიძლება მოხდეს ნაღდ ფულზე, შეიძლება ნისიადაც, განვადებით. ასეთ შემთხვევაში ფული გამოდის როგორც — გადახდის საშუალება. 5. სახელმწიფოებს შორის საერაშორო-ეკონომიკური ურთიერთობა ასევე ფულის მეშვეობით (ამ შემთხვევაში ოქრო ასრულებს ამ როლს) ხორციელდება. ასეთ დროს ფული გვევლინება — მსოფლიო ფულის სახით.

საქონელი ბაზარზე გადის როგორც სახმარი ღირებულებისა და ღირებულების ერთობა, მაგრამ რა რაოდენობის იქნება იგი, არავინ იცის. იმის გამო, რომ ისტორიულად არსებულ სამყაროში ქვეყნის მასშტაბით წარმოება გეგმიური არ არის, მას ანარქიული ხასიათი აქვს, ძნელია იმის დადგენა გაიყიდება საქონელი თუ არა. საქონლის გასაღების დროს მეწარმეებს შორის ადგილი აქვს კონკურენტულ ბრძოლას. ასეთ დროს ბაზარზე საქონლის ფასი (საქონელში ჩაქსოვილი ღირებულება) სტიქიურად ყალიბდება. თუ საქონელი ბევრია, მაშინ ფასი ბევრად უფრო დაბლად ეცემა ვიდრე საქონლის ღირებულებაა და პირიქით, თუ

საქონელი ცოტაა, ფასი სჭარბობს ღირებულებას. მეწარმე რომელიც იძულებულია გაყიდოს ღირებულებაზე დაბალ ფასად – გაკოტრდება, რომელიც მაღალ ფასად გაყიდის – გამდიდრდება. ბრძოლა გამდიდრებისათვის – კონკურენცია მთლიანად მოიცავს მეწარმეს და მას არც დრო და არც სურვილი არ რჩება იფიქროს საყოველთაო კეთილდღეობაზე, რის დასაბუთებას ცდილობენ იდეოლოგები.

რათა შეალამაზონ არსებული წყობილება, მისი იდეოლოგიური დამცველები იგონებენ კონცეფციებს: ფულის კრედიტით შეცვლის და ამდენად ფულის როლის შეცვლის შესახებ; ღირებულების შრომის ოდენობით კი არა, არამედ ფულით გაზომვის შესახებ, როგორც ეს ნეოკლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის წარმომადგენელი კ. სამეუელსონი აკეთებს. მისი მიზანია მიჩქმალოს ადამინთა უთანასწორო დამოკიდებულება ღირებულების შექმნის (წარმოების) პროცესში და უარყოს ექსპლოატაციის ფაქტი. მას მხარს უბავს დ. რობინსონი, რომელიც ამტკიცებს, რომ ღირებულების გაგება არაფერს არ აძლევს მეცნიერებას, რადგან არც ერთი ეკონომიკური კატეგორია მისგან არ გამომდინარეობს. მათგან შორს არ წასულა როჟე გაროდი. მისი აზრი ასეთია: თუ შრომა არის ღირებულების საზომი, მაშინ ტექნიკური რევოლუცია ადამიანის შრომის გამოდენით სპობს ღირებულების თეორიას. ამასთან იგი არ ითვალისწინებს, რომ ეს ტექნიკაც ადამინის შრომით იქმნება და მასში ჩაქსოვილი ღირებულება გადაეცემა სხვა საქონელს.

თანამედროვე ინდუსტრიული წყობილების დროს ბაზარზე იყიდება არა მხოლოდ პროდუქტი, არამედ ადამიანის უნარიც. ამით ხორციელდება ფულად-სასაქონლო წარმოებისათვის აუცილებელი მეორე ნიშანი – მშრომელის სამუშაო ძალის გადაქცევა საქონლად. ეს მოვლენა სპეციფიკურია, რადგან ფეოდალიზმის დროს სამუშაო ძალა ისედაც ეკუთვნოდა ბატონს, ხოლო მონათფლობელობის დროს მონა მთლიანად ბატონის საკუთრება იყო.

ფულად-სასაქონლო წარმოება მშრომელს ათავისუფლებს ბატონზე მიჯაჭულობისაგან. მუშა თავისუფალია პოლიტიკურად, მაგრამ არა აქვს რა ცხოვრების სხვა სახსარი, იძულებულია გავიდეს ბაზარზე, გაყიდოს თავისი უნარი, მიექირაოს მეწარმეს და ამ გზით მოიპოვოს საკვები, არჩინოს ოჯახი.

შრომის ბაზარზე მეწარმე და მუშა გარეგნულად თანასწორუფლებიანი არიან. სინამდვილეში მშრომელი იძულებულია გაყიდოს ერთადერთი საქონელი – სამუშაო ძალა, მეწარმეს კი შეუძლია იყიდოს ან არ იყიდოს.

იმისათვის რათა ადამიანის უნარი გაიყიდოს, მას, როგორც საქონელს, უნდა ჰქონდეს ღირებულება და სახმარი ღირებულება.

სამუშაო ძალის ღირებულება განისაზღვრება იმ საშუალებათა ღირებულებით, რაც საჭიროა მუშისა და მისი ოჯახის არსებობისათვის. ღირებულება არაა უცვლელი. იგი მერყეობს სამუშაო ძალაზე მოთხოვნილების გაზრდა-შემცირების კვალობაზე. ღირებულების დონე კლებულობს შრომის ნაყოფიერების ამაღლების, ცხოვრებისეული მოთხოვნილებების, წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესების მიხედვით. ამიტომ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ცხოვრების გამრავალფეროვნების, ფასების მომატების თანაბრად სამუშაო ძალის ღირებულება უნდა იქნეს გაზრდილი. თუ გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, მუშამ მეტი ენერგია დახარჯა, შეიქმნა ახალი საგნები რაც მუშას სჭირდება, ხელფასი კი უცვლელი დარჩა — ნიშნავს მშრომელის სამუშაო ძალის ღირებულების შემცირებას.

სამუშაო ძალას, როგორც საქონელს აქვს სახმარი ღირებულება. ეს ღირებულება შრომის პროცესში ვლინდება. პრაქტიკულად სამუშაო ძალის სახმარი ღირებულების გამოვლენა ნიშნავს ახალი ღირებულების შექმნას. მშრომელმა წარმოების პროცესში რაღაცა ახალი საგანი (ღირებულება) უნდა შექმნას. რა ოდენობისაა სამუშაო ძალის მეშვეობით შექმნილი ახალი ღირებულება?

თუ მეწარმემ მოგება არ მიიღო, აზრი ეკარგება მის საქმიანობას. საწარმოს შენობა და შრომის იარაღები თავისთავად მას მოგებას არ მისცემენ. მანქანა-იარაღები ადამიანმა უნდა მოიყვანოს მიზანდასახულ მოძრაობაში. თანამედროვე პირობებში რობოტების, ავტომატური მექანიზმების გამოყენების დროსაც კი საჭიროა ადამიანის სამუშაო ძალა. სამუშაო ძალა არის ის საშუალება, რომელმაც უნდა შექმნას იმდენი ღირებულება, რაც არა მხოლოდ აანაზღაურებს მეწარმის დანახარჯებს, არამედ გადაამატებს მას. მშრომელის უნარს — შექმნას უფრო მეტი ვიდრე არის მისი სამუშაო ძალის ღირებულება, ეწოდება სამუშაო ძალის სახმარი ღირებულება. მეწარმე სწორედ ამ უნარის გამო ყიდულობს სამუშაო ძალას.

მშრომელი ქმნის რა მისი სამუშაო ძალის ღირებულებაზე მეტს, ხარჯავს მეტ ენერგიას, იჩენს იმაზე მეტ უნარს ვიდრე მას გადაუხადეს, მაგრამ ეს რომ არ გააკეთოს მშრომელი უმუშევრად დარჩება და მას შიმშილი ელის. უნდა თუ არა მშრომელი იძულებულია ყოველდღიურად გაყიდოს სამუშაო ძალა, მიექირაოს მეწარმეს, თავისი შრომით შექმნას სიმდიდრე.

მკვლევართა ნაწილი, რათა დაფაროს მშრომელთა ჩაგვრის ფაქტი, ქმნის ათასგვარ კონცეფციებს, სახალხო კაპიტალიზმის და სხვაობის შესახებ. ისე გამოყავთ, თითქოს დაქირავებული შრომის სისტემამ თანამედროვე ეტაპზე არსებითად შეიცვალა ბუნება: ჯერ ერთი, ხელფასები რევოლუციური სისწრაფით იზრდება და სულ უფრო უახლოვდება უმაღლეს დონეს. ცნობილი ინგლისელი ეკონომისტ-სოციოლოგის დ.პ. უაილზის მტკიცებით ევროპის ქვეყნებში პატარა სხვაობაა უმაღლეს და უმდაბლეს ხელფასებს შორის.

სიმართლეს გვერდს ვერ აუვლი. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი დ. რობინსონის თქმნით, რაც უფრო მაღალია ეკონომიკური ზრდა ამერიკაში, მით უფრო მეტია სხვაობა სიმდიდრესა და სიღატაკეს შორის. დაქირავებული შრომის სისტემის დროს სხვანაირად არ შეიძლება. ესაა წყობილების შეულამაზებელი ბუნება.

8. 2.ურთიერთობათა ხასიათი

არც ერთი საკითხი არ იწვევს მკვლევარ-ეკონომისტთა ისეთ ინტერესს, როგორც მეწარმეთა სიმდიდრის ნამდვილი წყაროს პრობლემა. ეს კითხვა ადრე ფორმაციებში არ ისმოდა. იქ ცხადი იყო, რომ მონა ბატონის კუთვნილებაა და რათა მას საჭმელი მისცეს უნდა იმუშაოს. ასევე ყმა იყო ვალდებული არა მხოლოდ გადასახადი მიეცა ფეოდალისათვის, არამედ ემუშავა კიდეც მის სასარგებლოდ. იქ შრომა ბატონის სასარგებლოდ აშკარა იყო და განმარტებას არ საჭიროებდა.

თანამედროვე ინდუსტრიის დროს მდგომარეობა რადიკალურად იცვლება. სამართლებრივად ყველა თანასწორუფლებიანია. ვერავინ ვერავის ვერ აიძულებს იმუშაოს სხვისთვის. ასეთ დროს საინტერესოა, საიდან უგროვდება დიდი ქონება საზოგადოების გარკვეულ ნაწილს?

იდეოლოგები ერთგულად ამტკიცებენ, რომ ეს არის შრომის, მომ-ჭირნეობის, საზრიანობის შედეგი. ცნობილი ეკონომისტ-სოციოლოგები რ. ედვარდსი, მ. რეიჩი, ე. ხანტი, გ. შერმანი, დ. გორდონი და სხვები მიიჩნევენ, რომ წარმოების პროცესში თანაბრად მონაწილეობენ მუშები + ტექნიკა + ნედლეული + ხელმძღვანელობა. ამასთან წარმოების კარგ ხელმძღვანელობაზეა ყველაფერი დამოკიდებული. ამიტომ წარმოებული საქონელი კი იყოფა ორ ნაწილად, აუცილებელი საქონელი + ჭარბი საქონელი, მაგრამ იქმნება

ყველა ელემენტის მონაწილეობით და ლაპარაკი ექსპლოატაციაზე აბსურდული ხრიკია მხოლოდ. თუ მართლა მხოლოდ მუშა ქმნის ჭარბ პროდუქტს, მაშინ აღარ ყოფილა საჭირო ტექნიკური სიახლეები.

მკვლევართა მეორე ნაწილი თავის მხრივ არ უარყოფს არც წარმოების ტექნოლოგიური პროცესების დიდ მნიშვნელობას და არც სწორი ხელმძღვანელობის დადებით როლს. პირიქით, ხელმძღვანელობის შეფასება ასეთია: ხელმძღვანელი რომელიც სწორად იგებს წარმოების განვითარების მოთხოვნილებას და მოქმედებს მის შესაბამისად – აჩქარებს ეკონომიკურ პროგრესს, აღწევს რენტაბელობას. ხელმძღვანელს რომელსაც არ ესმის საკითხის არსი, შეუძლია შეაფერხოს წარმოება, გამოიწვიოს უკვე შექმნილი შესაძლებლობების განადგურება, უკან დასწიოს ეკონომიკური ცხოვრება. საკითხის ასე დასმა ვერ ფარავს ექსპლოატაციის არსს, რაც მის წარმოების ეკონომიკურ კანონში და მიზანში გამოიხატება.

საზოგადოებაში, რომელიც კერძო საკუთრებას და კერძო ინიციატივას ეფუძნება, ლოგიკურად ისმის კითხვა: თუ ადამიანს აქვს ფული, ააშენებს ქარხანას, დაიქირავებს მუშებს, მოიშლის ნერვებს, დაკარგავს დროს, ენერგიას და შედეგად იმავე თანხას მიიღებს რაც დახარჯა, მოჰკიდებს იგი ასეთ საქმეს ხელს თუ არა? ბუნებრივია არა. მან უეჭველად უნდა მიიღოს გარკეული ნამეტი ანუ მოგება. მოგება არის წარმოების მიზანი, მაგრამ საიდან უნდა მიიღოს მოგება? სად იქმნება ის ჭარბი საქონელი რომლის რეალიზაცია შექმნის მოგებას?

ეკონომიკურ ცხოვრებას ახასიათებს ასეთი პროცესები: წარმოება, განაწილება, გაცვლა, მოხმარება. მოხმარების პროცესში ახალი ღირებულება არ შეიქმნება. ასეთივე მდგომარეობაა გაცვლის დროს. გაცვლა გულისხმობს ტოლ ღირებულებათა გაცვლას და არა ახლის შექმნას. განაწილების დროს საქონელი, ღირებულება იყოფა ადამიანებს შორის. ეს პროცესი შეიძლება იყოს სამართლიანი ან უსამართლო, მაგრამ ახალი ღირებულების შექმნას არა აქვს ადგილი. რჩება წარმოება.

მეწარმე, იმისათვის რათა საქონელი აწარმოოს, შეძენილ წარმოების საშუალებებს შეუერთებს დაქირავებულ სამუშაო ძალას. წარმოების ამ ორი მხარიდან არსებითია მეორე. თავისთავად წარმოების საშუალებებს, საქონლის წარმოება რომ შეეძლოს მეწარმე მუშას აღარ დაიქირავებდა. თანამედროვე პირობებში ინერგება რობოტების სისტემა. თითქოს ცოცხალი სამუშაო ძალა იდევნება. სინამდვილეში სამუშაო ძალა გამოიდევნება იმ საწარმოში სადაც რობოტი შრომობს, მაგრამ სანაცვლოდ უფრო მეტი სამუშაო ძალა იხარჯება იქ სადაც რობოტი იქმნება. ასე რომ საზოგადოებრივი მასშტაბით სამუშაო ძალამ უნდა მოიყვანოს მოქმედებაში

წარმოება, მან უნდა შექმნას ის ღირებულება, რომლისთვისაც მეწარმე ეწევა ყველა ხარჯს.

წარმოების დროს მშრომელი უპირველეს ყოვლისა ქმნის იმ ღირებულებას, რომელიც მასზე იქნა დახარჯული. მეცნიერულად ამ დროს ეწოდება აუცილებელი სამუშაო დრო. ამის შემდეგ მშრომელი ქმნის ზედმეტ ღირებულებას. ეს ის ღირებულებაა, რომლის გულისთვისაც იწყებს მეწარმე საქმეს. ზედმეტი ღირებულების წარმოება წყობილების ძირითადი ეკონომიკური კანონია. ზედმეტი ღირებულება იქმნება ზედმეტი სამუშაო დროის მანძილზე.

მეწარმე, როდესაც მუშას ქირაობს, მას არ ურიგდება რამდენი იქნება აუცილებელი და რამდენი ზედმეტი სამუშაო დრო. მუშა შრომობს მთელი სამუშაო დღის განმავლობაში. რჩება შთაბეჭდილება რომ ხელფასი მთლიანად ანაზღაურებს მისი სამუშაო ძალის ღირებულებას. სინამდვილეში ხელფასის მისაღებად საკმარისია მხოლოდ აუცილებელი სამუშაო დრო. ამიტომ, ყოველი მეწარმე ცდილობს ტექნიკური სიახლის დანერგვით გაზარდოს სამუშაო ძალის ხარჯვის ინტენსიურობა, შეამციროს აუცილებელი სამუშაო დრო, რაც ავტომატურად გამოიწვევს ზედმეტი სამუშაო დროის ზრდას და შესაბამისად ზედმეტი ღირებულების შრომის გადიდებას. რაც უფრო დიდია ზედმეტი ღირებულების დონე, მეტად მდიდრდება მეწარმე და მით უფრო მძიმეა მშრომელის მდგომარეობა, რადგან ზედმეტი ღირებულების შექმნის პროცესია ექსპლოატაციის წყარო.

8.3.წინააღმდეგობანი

ფულად-სასაქონლო ურთიერთობა, რომლის ღრმა საიდუმლოებას დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია წარმოადგენს, მიზნად ისახავს მოგებას ზედმეტი ღირებულების შექმნის გზით. მიზანი ამართლებს საშუალებას. მეწარმე მოგების გულისათვის არ ინდობს არავის. იყიდება ყველაფერი. ფულის კერპს ემონება ადამიანის უნარი, პატიოსნება, ოჯახის სიწმინდე, ყველა ფიქრი ფულისაკენ მიდის.

ასეთი წყობილება ვერ იქნება თავისუფლების იდეალური სამყარო, როგორც ამას იდეოლოგები ხატავენ. ნეოკეინსიანური, ნეოკლასიკური თეორიები მწარმოებლურობის, სოციალური ურთიერთობების, ცხოვრების ხარისხის, პროცენტების, გლეხური მეურნეობის, სტაბილური ოჯახური

ფერმის, კოოპერატიული სოციალიზმის, კვლავწარმოების, ფინანსური კაპიტალის, ეკონომიკური ზრდის ეტაპების, სახალხო მოხმარების და სხვათა შესახებ მოწოდებულია შეალამაზონ სინამდვილე. დაფარონ ძირითადი წინააღმდეგობანი, რომლებიც წარმოების წესის ბუნებიდან გამომდინარეობს.

ცნობილმა ეკონომისტმა დ.მ.კეინსმა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში მიუთითა, რომ ეკონომიკური კრიზისები, უმუშევრობა, ანარქიულობა, კონკურენციასთან დაკავშირებული მოვლენები წყობილების ბუნებიდან გამომდინარეა და არ შეიძლება მათი შემთხვევითობად მიჩნევა. აქედან გამომდინარე მოითხოვდა იგი საზოგადოებაში მოთხოვნილებისა და მიწოდების პროპორციულობის დამყარებას, წარმოებაში სახელმწიფოებრივი რეგულირების გაძლიერებას.

თანამედროვე ეტაპზე წინააღმდეგობებთან დაკავშირებით არსებობს სამი სახის კონცეფცია: ნეოკეინსიანელები მოითხოვენ სახელმწიფო რეგულირების შემოღებას ანარქიის ნაცვლად. მხოლოდ ამ გზით შეიძლება წინააღმდეგობების შენელება და წყობილების განმტკიცება. ნეოკლასიკოსების აზრით, საჭიროა ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის აღკვეთა, რადგან ეს იწვევს კერძო ინიციატივის შესუსტებას და ჭარბ წარმოების ნაცვლად-ნაკლებწარმოებას; მესამე თვალსაზრისი შემრიგებლურ პოზიციას ქადაგებს და მოითხოვს სხვადასხვა კონცეფციათა ისეთ შეხამებას, რომ რეალურად განხორციელდეს პრინციპი მოთხოვნა-მიწოდება.

წყობილების შედეგის — მშრომელთა გაჭირვებული მდგომარეობის გადალახვის გზაც, შესაბამისად ამ მიმდინარეობათა წარმომადგენლებს სხვადასხვანაირად ესახებათ: კეინსიანელები (ე.ჰანსენი, ს.ჰარისი, ე.დომარი, დ.რობინსონი და სხვ.) ფიქრობენ რომ სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ეკონომიკის რეგულირება და ხელი შეუწყოს მშრომელთა დასაქმებულობის გაფართოებას; ნეოკლასიკოსებს (ბ. ანდერსენი, გ. კლეი, ლ. რობინსი) პირიქით მიაჩნიათ, რომ მშრომელთა ნაწილის გაჭირვება — უმუშევრობა იმის ბრალია, რომ დანარჩენ ნაწილს ძალზე მაღალი ხელფასები აქვს. ამიტომ სახელმწიფომ საქონელზე ფასების ზრდას უნდა შეუხამოს ხელფასების გაყინვის პოლიტიკა; უმუშევრობის ტექნოლოგიური თეორიის წარმომადგენლები (ლ. მედოუზი, რ. ტიბოლდი, მ. ჰარინგტონი) ამართლებენ უმუშევრობას, მას ტექნიკური პროგრესის შედეგად მიიჩნევენ.

მთლიანობაში აღებული პოლიტიკური ეკონომია ამტკიცებს, რომ თანამედროვე სამყაროში ადგილი აქვს მდიდრების და ღარიბების შემოსავლის თანდათანობით გათანაბრებას, მშრომელთა მდგომარეობის სისტემატური გაუმჯობესების გზით.

მეცნიერებას არ შეუძლია უარყოს თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების პროგრესულობა წინა ფორმაციებთან შედარებით. არც იმ ფაქტის უარყოფა შეიძლება, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კვალობაზე უმჯობესდება ცხოვრების საერთო დონე. მშრომელთა არსებობისა და მოღვაწეობის პირობები უკეთესი ხდება.

ეს ფაქტი სრულებითაც არ ცვლის წყობილების ბუნებას, არ სპობს მის ძირითად წინააღმდეგობებს, რომელთაგან უნდა გამოიყოს შემდეგი:

— წარმოებას აქვს საზოგადოებრივი ხასიათი მითვისებას კი — კერძო ფორმა. ეს არის წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ყოველი ფორმაციის დამახასიათებელი წინააღმდეგობა, როცა მშრომელთა არმიის ნამუშევარს ითვისებენ კერძო მფლობელები. ეს გამოვლინდება განაწილების პრინციპში. როცა მუშა იღებს შრომის მიხედვით, მრეწველი კაპიტალის ან თანამდებობის, პასუხისმგებლობის მიხედვით.

— დამახასიათებელია სამეურნეო ცხოვრების ანარქიულობა. ამასთან, ქვეყნის მასშტაბით წარმოების ანარქიულობას შეესაბამება ზუსტი გეგმიურობა ცალკეული საწარმოების შიგნით. არც ერთი მეწარმე არ დაუშვებს თავის საწარმოში თანხებისა და დროს ფუჭად გაფლანგვას. ქვეყნის მოცულობით კი არავინ იცის რამდენი იწარმოება. თანამედროვე ეტაპზე, ქვეყნის წარმოების გეგმიურად წარმართვის ცდებს სასურველი შედეგი არ მოსდევს, ხელმძღვანელი თანანმდებობის პირების პირადი დაუინტერესებლობის გამო.

— წარმოების ანარქიასთანაა დაკავშირებული კონკურენციული ბრძოლა. ბრძოლის პროცესში ერთის გამდიდრება და ბევრის გაკოტრება ამძაფრებს ურთიერთობას და აძლიერებს ანარქიას.

— ანარქიასთანაა დაკავშირებული მოთხოვნისა და მიწოდების პროპორციულობის ხასიათი. თავისუფალი კონკურენციის დროს იგი იწვევს ჭარბწარმოების ეკონომიკურ კრიზისებს. გეგმიურობის შემოღების შემთხვევაში, მათი შეუსრულებლობის ან უხარისხო შესრულების გამო, — ნაკლებწარმოების ეკონომიკურ კრიზისებს. პირველ შემთხვევაში ჭარბად იწარმოება ხარისხიანი პროდუქტი, რომელიც ვერ საღდება მშრომელთა ხელმოკლების გამო. მეორე შემთხვევაში იგრძნობა ხარისხიანი პროდუქტის ნაკლებობა. ორივე შემთხვევა იწვევს კრიზისებს.

— მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი სწრაფად ზრდის მშრომელთა მოთხოვნილების დონეს, აფართოებს მათ ჰორიზონტს, მაგრამ ხელფასების სიმცირის გამო ყიდვისუნარიანობა შეზღუდულია. შეზღუდვას თავის მხრივ მოსდევს ცდა, — ნებისმიერი საშუალებით იშოვონ ფული, რაც

იწვევს გარყვნილებისა და გადაგვარების გაძლიერებას და ვერავითარი კეთილი განცხადებები საქმეს ვერ შველის;

— მშრომელთა მხრივ საქონელზე მოთხოვნის ზრდას შეესაბამება წარმოების შეკვეცის პროცესი. წარმოებული პროდუქტი ვერ პოულობს გასაღებას და მეწარმე იძულებულია შეკვეცოს ან დახუროს წარმოება;

— წარმოების შეკვეცას ან მეცნიერულ-ტექნიკური სიახლის დანერგვას, მოსდევს მუშათა მასობრივი დათხოვნა. მშრომელთა გარკვეული ნაწილი უმუშევარი რჩება. ჩნდება გარკვეული წინააღმდეგობა მომუშავეებსა და უმუშევართა შორის. მეწარმეები სარგებლობენ ამით და აძლიერებენ თავიანთ პოზიციებს.

— უმაღლეს დონეზე ადის წინააღმდეგობა სოფელსა და ქალაქს, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის. სოფელს და ქალაქს შორის წონააღმდეგობა პირველ რიგში ეკონომიკის სფეროს მოიცავს და გამოიხატება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტისა და სამრეწველო საქონლის ფასების თანაფარდობაში. გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის წინააღმდეგობის ყველაზე საშინელი ფორმაა გონებრივი შრომის მუშაკთა მიერ ფიზიკური შრომის მუშაკთა პოლიტიკური დაქვემდებარება და ეკონომიკური ძარცვა. ეს მდგომარეობა განსაკუთრებულად ნათლად სახელმწიფო სექტორში ვლინდება. გონებრივი შრომის მუშაკები ხელთ იგდებენ რა ხელმძღვანელობის მონოპოლიას, შეუბრალებლად ყვლეფენ მშრომელებს (მათ შორის დაბალი რანგის გონებრივი შრომის მუშაკებსაც). კერძო სექტორში ასეთი მდგომარეობა გამოიხატება განაწილების პრინციპით: მშრომელებს მათი შრომის მიხედვით. გონებრივი შრომის მუშაკებს (მეწარმეებს) კაპიტალის მიხედვით. სახელმწიფო სექტორში პრინციპი ასეთია: მშრომელებს შრომის მიხედვით, გონებრივი შრომის მუშაკებს (ხელმძღვანელებს) თანამდებობის ანუ პასუხისმგებლობის მიხედვით.

— აშკარად ვლინდება დიალექტიკური წინააღმდეგობა კერძო საკუთრების ფორმების სრულყოფისა და მოსპობის პროცესებს შორის. განვითარება ამავე დროს კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფაა, რომელსაც წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრებამდე მივყავართ. სახელმწიფო საკუთრება ერთი მხრივ კერძო საკუთრებაა, მეორე მხრივ კი საზოგადოებრივი, იმის მიხედვით რა პრინციპებზეა აგებული სისტემა, ვისი კეთილდღეობისკენაა მიმართული ეკონომიკური პოლიტიკა.

8.4.თავისუფალი კონკურენციიდან მონოპოლიათა ბატონობისაკენ

საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით XX საუკუნემ დიდი სიახლეები შემოგვთავაზა. ჯერ ერთი, დაიწყო სწრაფი გადასვლა თავისუფალი კონკურენციის პირობებიდან, მონოპოლისტური გაერთიანებების ჩამოყალიბებასა და მონოპოლიათა ბატონობის პირობებზე. საუკუნის მეორე ნახევრიდან მსხვილი ინდუსტრიული სახელმწიფოების მონოპოლისტური გაერთიანებები ამსხვრევენ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ბარიერებს და იწყებენ საერთაშორისო გაერთიანებების შექმნას, რომლებიც პრივილეგირებულ პოზიციებს იკავებენ მსოფლიო წარმოებისა და ბაზრის სფეროებში. მესამე და არსებითი მოვლენა დაკავშირებულია ე.წ. სოციალისტურ ექსპერიმენტთან. აუცილებელია იმის ანალიზი, თუ რა მოვლენასთან ჰქონდა საქმე მსოფლიო საზოგადოებას, რა ხასიათის სიტემა შეიქმნა, როგორ ვითარდებოდა, რამ გამოიწვია მისი კრახი. ამ საკითხში სოციალისტური თეორიისა და პრაქტიკის თანაფარდობის კვლევა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოაგდენს.

XX საუკუნის მანძილზე ინდუსტრიული (ე.წ. კაპიტალისტური, ბურჟუაზიული) საზოგადოების პრაქტიკას, თავისებური ასახვა ჰქონდა პოლიტიკურ თეორიებში. განუწყვეტლივ მიმდინარეობადა დისკუსია ე.წ. იმპერიალიზმის, როგორც ინდუსტრიული საზოგადოების, განვითარების ახალი ფაზის შესახებ. თვით იმპერიალიზმის ცნება სხვადასხვანაირად იყო გაგებული. საუკუნის დასაწყისში, ცნობილმა მკვლევარ-რევოლუციონერმა, მესამე ინტერნაციონალის ბელადმა კარლ კაუცკიმ წამოაყენა დებულება, რომლის მიხედვით იმპერიალიზმი უნდა გაგებულიყო როგორც პოლიტიკა, როგორც დიდ სახელმწიფოთა მისწრაფება მცირეთა დაპყრობა-შემოერთებისაკენ. ბოლშევიკების ბელადი ვ.ი.ლენინი არ უარყოფდა იმპერიალიზმის ამგვარ თვისებებს, მაგრამ იმის წინააღმდეგი იყო, რომ მასში მხოლოდ პოლიტიკა ეგულისხმათ, რადგან ასეთ დროს თუ მოხერხდებოდა აგრესორების შეკავება, ალაგმვა, გამოვიდოდა, რომ იმპერიალიზმი მოისპო. ამიტომ ვ.ი.ლენინი ცნებაში პოლიტიკას და ეკონომიკას აერთიანებდა და იმპერიალიზმს მონოპოლისტურ კაპიტალიზმსაც უწოდებდა. ეს კი საშუალებას იძლეოდა იმპერიალიზმი გაგვეხილა, როგორც კაპიტალიზმის ახალი პერიოდი და არა როგორც არაკაპიტალისტური მოვლენა.

თანამედროვე მკვლევართა ანალიზი სხვანაირი გზით წავიდა. ამ

საკითხის შესახებ კონცეფციათა სიმრავლე ორ დასკვნამდე დაიყვანება: 1. თანამედროვე სოციალურ-დემოკრატიული პარტიები იმპერიალიზმს განიხილავენ დაპყრობის, ბატონობის პროცესის სახით. ვ. ტაიმერი, დ. სტრეჩი და სხვ. ამტკიცებენ, რომ იმპერიალიზმი დაპყრობისადმი მისწრაფების პოლიტიკაა. 2. შერეული ეკონომიკის თეორიის წარმომადგენლები (ვ. ჰანსენი, დ. კლარკი, პ. სამუელსონი, ს. ჰარისი, ს. ჩეიზი და სხვ) იმ აზრის არიან, რომ რამდენადაც იმპერიალიზმი აერთებს წარმოების კერძო და სახელმწიფო სექტორებს, ამდენად იგი აღარაა კაპიტალიზმი, მაგრამ არც სოციალიზმია. იმპერიალიზმი არის განვითარების მესამე გზა, რომელიც მიდის საყოველთაო კეთილდღეობისაკენ.

გაურკვევლობას გარკვეულად უწყობს ხელს საცნობარო ლიტერატურა, რომელიც იმპერიალიზმს მოკლედ განმართავს როგორც მონოპოლისტურ კაპიტალიზმს და როგორც იმპერიალიზმს და არ ხსნის მის შინაგან ბუნებას.

მკვლევართა დიდი ნაწილი არ უარყოფს, რომ იმპერიალიზმი თვისებრივად განსხვავდება თავისუფალი კონკურენციის პერიოდის კაპიტალიზმისაგან. ისინი ცდილობენ ჩამოაყალიბონ მისი ისეთი ნიშნები, როგორიცაა მონოპოლიურ გაერთიანებათა მიერ გაბატონებული მდგომარეობის დაკავება, ფინანსური კაპიტალის შერწყმა სამრეწველოსთან და ამ ნიადაგზე ფინანსური ოლიგარქიის აღმოცენება. ისინი მიუთითებენ იმ პრაქტიკაზე, რომ თუ ადრე კაპიტალისტურ ქვეყნებს შეჰქონდათ იაფი ნედლეული, ამზადებდნენ საქონელს და გასაყიდად გაჰქონდათ ნედლეულის მიმცემ ქვეყანაში, ახალ პირობებში უპირატესობა ეძლევა იმას, რომ გაიტანონ კაპიტალი, ფაბრიკა-ქარხნები ააშენონ ნედლეულის ქვეყანაში, იქ სადაც იაფი მუშახელია და იქვე გაასაღონ პროდუქტი. კაპიტალის გატანა საქონლის ნაცვლად, მიჩნეულია სრულიად ახალ მოვლენად. იმპერიალიზმის მეორე ნიშნად ასახელებენ იმას, რომ დამთავრებულია მსოფლიო ბაზრის დაყოფა გავლენის სფეროებად და იწყება ბრძოლა მისი გადანაწილებისათვის. ბრძოლა არის როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური. პოლიტიკური ბრძოლის ფორმაში ჩადებულია ეკონომიკური შინაარსი. ეკონომიკური აუცილებლობა აიძულებს ბურჟუაზიას დაივიწყოს ეროვნულ-პატრიოტული მოტივი და შექმნას საერთაშორისო მონოპოლიური გაერთიანებანი, რომლებიც ბატონობენ საერთაშორისო ბაზარზე.

იმპერიალისტური სტადიის კაპიტალიზმი არა მხოლოდ განსხვავდება თავისუფალი კონკურენციის პერიოდის კაპიტალიზმისაგან, არამედ ინარჩუნებს კიდეც მის ისეთ ნიშან-თვისებებს, რომელიც მთლიანად ფორმაციას ახასიათებს. შენარჩუნებულია პირველი სტადიის სპეციფიური

თვისებები, რადგან წმინდა იმპერიალიზმი არ არსებობს და მსხვილი მონოპოლიების გვერდით მოქმედებენ წვრილი და საშუალო საწარმოები.

ამრიგად იმპერიალიზმი გაგებულია, როგორც ახალი სტადია კაპიტალიზმის განვითარებაში. მთლიანად კაპიტალისტური ფორმაციაა ორი სტადიისაგან (პერიოდისაგან, ეტაპისგან, ფაზისგან, საფეხურისგან — სახელწოდება შეიძლება სხვადასხვა იყოს. ამით არსი არ იცვლება) შედგება. სტადიები უცვლელნი როდი არიან. თითოეული მათგანი შეიძლება დაიყოს შინაგან ეტაპებად.

ინდუსტრიული წარმოების პირველი სტადია სამი საფეხურისგან შედგება: მარტივი კაპიტალისტური კოოპერაცია, მანუფაქტურული წარმოება, მანქანური წარმოება. თითოეულ მათგანს აქვს მისთვის დამახასიათებელი ნიშნები, მაგრამ აქვს საერთო. ესაა თავისუფალი კონკურენცია. პირველ სტადიას ამიტომ თავისუფალი კონკურენციის სტადია ეწოდება. ამ პერიოდში წარმოება ჯერ კიდევ არ არის ისეთი ძლიერი, რომ მოიცვას მსოფლიო ბაზარი და ამიტომ დასაშვებია თავისუფალი ინიციატივა. საწარმოთა სიმძლავრე მცირეა და ეკონომიკურ კრიზისებს არ მოსდევს დიდი ნგრევა.

XX საუკუნის დასაწყისის პერიოდისათვის საწარმოო ძალთა განვითარება აუცილებელს ხდის მონოპოლიურ გაერთიანებათა აღმოცენებას. კონკურენციული ბრძოლის დროს ადგილი აქვს საშუალო და სუსტი წარმოების გაკოტრებას და მათ თავმოყრას, კონცენტრაციას მსხვილი მეწარმეების ხელში. მეორეს მხრივ, რათა გაუძლონ კონკურენციულ ბრძოლას, სუსტი მეწარმეები ახდენენ თავისი კაპიტალის შეერთებაცენტრალიზაციას და ამით აღწევენ წარმოების გამსხვილებას. კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის სხვადასხვა მეთოდი და ფორმები არსებობს, მაგრამ შედეგი ერთია, თავისუფალი კონკურენციის წვრილ საწარმოთა ბატონობა, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ადგილს უთმობს მსხვილ გაერთიანებათა ბატონობას, რომლებიც მონოპოლიას აწესებენ თავის დარგში. მონოპოლისტურ გაერთიანებათა ბატონობა ნიშნავს იმპერიალისტურ სტადიაზე გადასვლას. თავის მხრივ არც იმპერიალისტური სტადიაა უცვლელი. მკვლევარებმა, საუკუნის პირველ ნახევარში შენიშნეს იმპერიალისტური სტადიის პირველი საფეხურის — მონოპოლისტური წარმოების მეორე საფეხურში, სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმში გადაზრდის პროცესი.

მიმდინარე პერიოდში უკვე დამკვიდრებულია და მთელი დადებითუარყოფითი ნიშნებით გამოვლენილი სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი. ეს საფეხური ახასიათებს მოწინავე ინდუსტრიულ სამყაროს.

მაგრამ კაპიტალისტური განვითარება ამით არ მთავრდება. მკვლევართა მტკიცების თანახმად, ინდუსტრიული ქვეყნები ეკონომიკური განვითარების გზით მიაღწევენ სახელმწიფო მონოპოლიის საფეხურს, რომელიც საბოლოო იქნება მის ისტორიაში. ამით დასრულდება კერძო საკუთრების ფარგლებში კერძო საკუთრების ლიკვიდაციის პროცესი.

მთლიანად თანამედროვე ინდუსტრიული ფორმაცია ასე შეიძლება გამოისახოს.

1. მარტივი კაპიტალისტური კოოპერაცია; 2. მანუფაქტურული წარმოება; 3. მანქანური წარმოება; 4. მონოპოლისტური კაპიტალიზმი; 5. სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი; 6. სახელმწიფო კაპიტალიზმი.

დღევანდელ მსოფლიოს ყოფენ ორ ნაწილად: ინდუსტრიული და განვითარებადი. დაყოფის ეკონომიკური ნიშნები სამია: მიწის ნაციონალიზაცია, წარმოების საშუალებების გადაქცევა სახელმწიფო საკუთრებად, წარმოების გეგმიურობა. მიჩნეულია: სადაც ეს ღონისძიებანი ხორციელდება — ინდუსტრიული ორიენტაციის ქვეყნებია, სადაც არა — ინდუსტრიამდელი.

მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ყოველგვარი ნაციონალიზაცია სოციალისტური შინაარსის მატარებელია ინგლისშიც, საფრანგეთშიც და სხვაგან. ამ ნიშნებზე დაყრდნობით შეიქმნა კონვერგენციის თეორია (სოციალისტური და კაპიტალისტური ნიშან-თვისებების შერწყმის შესახებ). ამ ნიშნებს ითვალისწინებენ, როდესაც აცხადებენ ინდუსტრიულ ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის დაწყების ან მასზე უარის თქმის შესახებ.

მათი განხორციელება ეკონომიკური განვითარების აუცილებლობითაა განპირობებული და ნიშნავს ინდუსტრიული წყობილების ისეთი მაღალი საფეხურის მიღწევას, საიდანაც ხდება უშუალო გადასვლა საყოველთაო კეთილდღეობის მდგომარეობაში, სადაც კერძო ინდივიდუალური საკუთრება ადგილს უთმობს წარმოების საშუალებებზე კერძო სახელმწიფოებრივ საკუთრებას. სხვანაირად მას ახასიათებენ როგორც კერძო საკუთრების ლიკვიდაციას კერძო საკუთრების ჩარჩოებში.

ამ ღონისძიებათაგან:

პირველი — მიწის ნაციონალიზაცია ყოველთვის იყო ბურჟუაზიის სანუკვარი ოცნება. ამ ლოზუნგით ხორციელდებოდა ბურჟუაზიული რევოლუციები, მაგრამ ნაციონალიზაცია პრაქტიკულად არ ხორციელდებოდა. იმის შიშით, რომ მიწის ნაციონალიზაციას არ მოყოლოდა საერთო ნაციონალიზაცია, ბურჟუაზია უარს ამბობდა თავის მოთხოვნაზე, ურიგდებოდა ფეოდალთა კლასს და თვითონაც მიწათმფლობელობას იწყებდა.

ამიტომმ არის, რომ ნებისმიერ ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობის დაწყება უკავშირდება აგრარული საკითხის გადაწყვეტას და არსად პროცესი ბოლომდე არ მიდის.

ბურჟუაზია სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეტაპზეც კი ვერ ახერხებს მიწის ნციონალიზაციის ბოლომდე მიყვანას და ჩერდება კაპიტალისტური კოპერირების მარტივ ფორმებზე. შესაბამისად იქმნება ფერმერული, კოოპერაციული, ოჯახური სოციალიზმის და სხვა კონცეფციები.

მემარცხენე შეხედულებების მკვლევართა თვალსაზრისის თანახმად მიწის ნაციონალიზაციის პროცესი საბოლოოდ ხორციელდება განვითარების იმ უმაღლეს საფეხურზე, რომლისთვისაც ჯერ არც ერთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანას არ მიუღწევია. ეს მომავლის საქმეა. იგი ეკონომიკური აუცილებლობით უეჭველად განხორციელდება მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ სამყაროში. კაპიტალიზმის წიაღში მიწის ნაციონალიზაციას ბუნებრივია, სოციალისტური შინაარსი არ ექნება. ეს იქნება მიწაზე კერძო საკუთრების ლიკვიდაცია კერძო საკუთრების ფარგლებში.

მეორე. წარმოების საშუალებათა გადაქცევა სახელმწიფო საკუთრებად კაპიტალიზმის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე ღონიძიებაა. იმის გათვალისწინება, თუ რა მდგომარეობა იყო კაპიტალიზმის გარიჟრაჟზე და რამდენადაა დღეს წინ წასული წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესი, საშუალებას იძლევა დასკვნისათვის, რომ მომავალში იგი მიიყვანს წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრების დამკვიდრებამდე. ესაა კაპიტალიზმის განვითარების ისტორიული ტენდენცია.

ერთი მხრივ მსხვილი მონოპოლიური გაერთიანებების კონკურენციული დაჯახებით გამოწვეული ნგრევის თავიდან აცილების აუცილებლობა, მეორე მხრივ წარმოების ისეთი ახალი დარგების (ატომული, ელექტრონული, კოსმოსური მრეწველობა და სხვა) წარმოშობა, რომელთა განვითარება შეიძლება სახელმწიფოს მიერ ან მხოლოდ მისი დახმარებით, მესამე მხრივ წარმოების კერძო და სახელმწიფო სექტორებს ‘ორის წინააღმდეგობა აიძულებს სახელმწიფოს სულ უფრო ღრმად შეიჭრას კერძო საკუთრების უფლებებში და მოახდინოს მისი შეცვლა მეწარმე კლასის საერთო ინტერესების შესაბამისად. ამ ეკონომიკური აუცილებლობის მოქმედება მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებში იწვევს სახელმწიფო სექტორის ზრდა-განვითარებას. ამ პროცესმა მომავალში უნდა დაამკვიდროს სახელმწიფო საკუთრების განუყოფელი ბატონობა წარმოების საშუალებებზე.

ინდუსტრიული საზოგადოების წიაღში განხორციელებული ეს პროცესი იქნება კაპიტალისტური ბუნების მატარებელი და ამავე დროს, იქნება სოციალიზაციის მატერიალური წინაპირობის მომწიფების მაუწყებელი.

ამ პროცესის განხორციელება ნიშნავს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობას კერძო საკუთრების ფარგლებში. იგი გამოდის კაპიტალისტური წყობილების განვითარების ლოგიკური შედეგის სახით. როგორც მისი აპოგეა, რომლის შემდგომი წინსვლა ნიშნავს საზოგადოებრივი საკუთრების დამკვიდრებას.

საკუთრების ასეთი მოძრაობა ინდუსტრიული საზოგადოების ფარგლებში ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს წარმოადგენს. იგი იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ერთ პიროვნებას შეუძლია ნედლეულიც შეიძინოს, წარმოებასაც უხელმძღვანელოს და მზა საქონელიც გაასაღოს. წარმოების გამსხვილება იწვევს კაპიტალისტთა სპეციალიზაციას. ერთნი ნედლეულის მოპოვებაზე სპეციალდებიან, მეორენი მეწარმენი ხდებიან. მესამენი ვაჭრობას მისდევენ, მეოთხენი ფინანსურ ოპერაციებს ამჯობინებენ. კაპიტალისტთა შრომის ასეთი დაყოფა ჯერ კიდევ არ ნიშნავს წარმოების საშუალებებზე კერძო-ინდივიდუალური საკუთრების უფლების ხელყოფას. ეს დაკავშირებულია მანქანური წარმოების საფეხურზე წარმოების სწრაფ ზრდასთან. მანქანური წარმოების სირთულე და მასშტაბები აიძულებს კაპიტალისტებს დაიქირაონ სპეციალისტები (ინჟინრები, ეკონომისტები, იურისტები) და მათი მეშვეობით მართონ წარმოება. ასეთ დროს კერძო-ინდივიდუალურ საკუთრებას შეესაბამება წარმოების კოლექტიური მართვა. მონოპოლისტური კაპიტალიზმის საფეხურზე უკვე საკუთრება ხდება კოლექტიური: ყოფილი კერძო ინდივიდუალური მესაკუთრე გადაიქცევა მეპაიედ, აქციების მფლობელად, კოლექტიური მესაკუთრეობის წევრად. თანამედროვე სახელმწიფო – მონოპოლისტური კაპიტალიზმის საფეხურზე კოლექტიურ კერძო საკუთრებას ემატება სახელმწიფო საკუთრება. ამასთან, სახელმწიფო საკუთრების უპირატესი ზრდის ტენდენციით. კაპიტალიზმის შინაგანი კანონზომიერებიდან გამომდინარე, სახელმწიფო სექტორის ზრდის პროცესი უნდა დამთავრდეს სახელმწიფო საკუთრების სრული ბატონობით. წარმოების ზრდის კვალობაზე წარმოების საშუალებათა უფრო მეტი განსაზოგადოება კაპიტალიზმს არ ძალუძს.

სახელმწიფო საკუთრების შემდგომი განსაზოგადოება ნიშნავს მის გადაცემას საზოგადოებრივ საკუთრებად. ეს კი წყობილების ბუნების შეცვლის მაუწყებელია. მეორეს მხრივ პროცესის გაყინვა ან უკან დაბრუნება გამორიცხულია. ამიტომაა კაპიტალიზმის დაღუპვა და საზოგადოებრივი საკუთრების დამკვიდრება თანაბრად გარდუვალი.

მესამე. წარმოების გეგმიურობის აუცილებლობა თანამედროვე ეტაპზე იჩენს თავს. ეს არ ნიშნავს თითქოს კაპიტალიზმისათვის უცხოა ყოველგვარი გეგმიურობა. კაპიტალისტური საწარმოები, შემდეგ კი მონოპოლისტური გაერთიანებები აღწევენ უალრესად ზუსტ და ხანგრძლივი ვადის გეგმიურობას. კაპიტალისტები არ დაუშვებენ დროს და სახსრების ფუჭ ხარჯვას. საწარმოთა ეს გეგმიურობა საზოგადოებრივი მასშტაბით უგეგმობასა და ანარქიას ხვდება. ქვეყნის მოცულობით გეგმიურობის რაღაცა ელემენტების შემოღების საჭიროებაზე მხოლოდ მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან დაიწყეს მსჯელობა ეკონომისტებმა. თანამედროვე პირობებში ამ საკითხთან დაკავშირებით ორი აზრია: ნეოკეინსიანელები მოითხოვენ გეგმიური საწყისების გაძლიერებას; ნეოკლასიკოსები პირიქით, პირად ინიციატივას თვლიან პროგრესულ მოვლენად. დავა გრძელდება.

მემარცხენე გაგების მკვლევართა თანახმად საბოლოო ანგარიშით ასეთ კანონზომიერებას აქვს ადგილი: მონოპოლიისათვის დამახასიათებელია გეგმიურობა. საზოგადოებრივი მოცულობით არის ანარქია. იმის კვალობაზე თუ რამდენად სწრაფად განხორციელდება მიწის ნაციონალიზაცია, წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრების დამყარება, მოხდება გადასვლა სახელმწიფო მონოპოლიაზე (სახელმწიფო კაპიტალიზმის საფეხურზე). რამდენადაც მონოპოლიის ფარგლებში ადგილი აქვს გეგმიურობას, ამდენად სახელმწიფო მონოპოლიის ფარგლებშიც გეგმიურობა დამკვიდრდება.

კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ეს სამი ღონისძიება ობიექტური აუცილებლობით ხორციელდება მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებში და მან უნდა გამოიწვიოს თანამედროვე საფეხურის (სახელმწიფო-მონოპოლისტური) კაპიტალიზმის გადაზრდა სახელმწიფო კაპიტალიზმად, რაც შემდგომი პროგრესის მატერიალური წანამძღვრების მომწიფების მაუწყებელი იქნება.

ამგვარი ეკონომიკური აუცილებლობით შექმნილი სახელმწიფო საკუთრებაზე დაფუძნებული, ინდუსტრიული საზოგადოება თვისებრივად განსხვავდება განვითარებად ქვეყნებში არსებული კაპიტალიზმისაგან.

8.5.განვითარების ისტორიული ტენდენცია

დებულება ყოველი ფორმაციის განვითარებაში ზეაღმავალი და ქვემიმავალი ხაზის არსებობის შესახებ ულმობელი სიცხადით ვლინდება კაპიტალიზმის მაგალითზე.

მეცნიერთა ათასგვარი კონცეფცია ცხოვრების ხარისხის ზრდის, საყოველთაო კეთილდღეობის, სახალხო კაპიტალიზმის, ახალი ინდუსტრიული საზოგადოების და სხვათა შესახებ, უძლურია დაფაროს ის ფაქტი, რომ თანამედროვე ინდუსტრიული წყობილება მთელი სიმძლავრით ავლენს რეაქციულ ბუნებას და აუცილებელს ხდის დაღუპვას.

თანამედროვე სტადიაზე წყობილების შიგნით მიმდინარეობს პროცესები, რომლებიც ერთი მხრივ ამაგრებენ, სრულყოფენ წყობილებას, მეორე მხრივ ავლენენ რეაქციულ ბუნებას, ამწვავებენ ძირითად წინააღმდეგობებს და ამძაფრებენ სოციალურ ბრძოლას.

საყოველთაო კეთილდღეობის მატერიალური წანამძღვრების შექმნის პარალელურად მიმდინარეობს სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები. ეს პირველ რიგში ფეოდალიზმიდან გამოყოლილ სოციალურ ფენებს (მიწათმფლობელებს და გლეხებს) შეეხებათ. მრეწველობის განვითარების კვალობაზე მიწათმფლობელნი თანდათანობით გადაიქცევიან კაპიტალისტებად, გლეხები კი მუშათა რიგებს ავსებენ. თანამედროვე მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებში მათი ოდენობა და როლი მინიმუმამდეა დაყვანილი. იცვლება კაპიტალიზმის ძირითადი სოციალური ჯგუფების მეწარმეთა და დაქირავებულ მუშაკთა ბუნებაც.

თავისუფალი კონკურენციის სტადიაზე მეწარმეები უშუალოდ მონაწილეობენ წარმოების ხელმძღვანელობაში. იმპერიალიზმის სტადიის მონოპოლისტური კაპიტალიზმის საფეხურზე, ისინი სცილდებიან ხელმძღვანელობის სფეროს. აქვთ რა აქციები, ღებულობენ დივიდენდებს, საპატიო თანხას და ეძლევიან სხვა საქმიანობას. მეურნეობის ხელმძღვანელობას დაქირავებული სპეციალისტები ასრულებენ. მონოპოლისტური კაპიტალიზმის სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმად გადაზრდის დროს სახელმწიფო უშუალოდ ერევა კერძო სექტორის საქმიანობაში, მონოპოლიებს აძლევს სუბსიდიებს (თანხას სესხად), შეკვეთებს (განსაკუთრებით სამხედრო მრეწველობისათვის), აწესებს შეზღუდვებს ან პირიქით. სახელმწიფოს ეკონომიკურ პილიტიკაზეა დამოკიდებული მონოპოლიების წარმატება. ამიტომ იცვლება მქონებელთა დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი. თუ ადრე პერიოდში დაქირავებული სპეციალისტების მეშვეობით მართავდნენ წარმოებას, ახლა სახელმწიფო-მონოპოლისტურ საფეხურზე

სწრაფად იზრდება სახელმწიფო საქმიანობაში უშუალო მონაწილეობის ინტერესი. შემდგომში კი, მიწის ნაციონალიზაციის, წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრების დამკვიდრების კვალობაზე, ფულის ბურჟუაზია თანდათანობით გადაიზრდება თანამდებობის ბურჟუაზიად. თუ დღეს მათი სიმდიდრე იზომება ფულით, სახელმწიფო კაპიტალიზმის საფეხურზე გაიზომება თანამდებობით.

ცვლილებებს განიცდის მუშათა კლასიც. იგი თანდათანობით გადაიქცევა ერთიან მუშათა კლასად. სახელმწიფო კაპიტალიზმის დროს, როდესაც კერძო-ინდივიდუალურ და კოლექტიურ მესაკუთრეებს თანამდებობის ბურჟუაზია ცვლის, საზოგადოების ყოველი წევრი ფორმალურად გამოდის სახელმწიფოს მიერ დაქირავებული ᲫᲣᲨᲐᲙᲘᲡ სახით. სინამდვილეში, იმის გამო, რომ საზოგადოებაში შედარებით მაღალ თანამდებობას მეტი ხელფასი და სხვა პირობები შეესაბამება, იქმნება მდგომარეობა, როცა ერთი ნაწილის ცხოვრება არაა ხელფასზე დამოკიდებული, მეორე ნაწილს კი ხელფასი არ ყოფნის. საზოგადოების ნაწილი, რომელთა ბედი ხელფასზეა დამოკიდებული ფაქტიურად დაქირავებული მონის მდგომარეობაში ვარდება და სულაც არა აქვს მნიშვნელობა, ის ამ დროს გონებრივი შრომის მუშაკია, სოფლის მეურნეობის თუ მრეწველობის. ისინი ერთად შეადგენენ გაერთიანებულ მუშაკთა კლასს. საზოგადოება იყოფა ორ დაპირისპირებულ კლასად: ერთიანი თანამდებობის ბურჟუად (რომელთა ბედი ხელფასზე არაა დამოკიდებული, თანამდებობის, პასუხისმგებლობის იმდენი პირდაპირი და არაპირდაპირი შემოსავალი აქვთ) და ერთიანი მᲣᲨᲐᲗᲐ კᲚᲐᲡᲐᲓ.

საყოველთაო კეთილდღეობის მატერიალური წანამძღვრების შექმნის პარალელურად უმაღლეს დონეზე ადის ფულად-სასაქონლო ურთიერთობა და ბოლომდე ვლინდება მისი რეაქციული ხასიათი. თავისუფალი კონკურენციის დროს ყველა მეწარმე ცდილობს აწარმოოს რაც შეიძლება კარგი საქონელი და რაც შეიძლება იაფად, რათა მოგება მიიღოს. თანამედროვე პერიოდშიც, ერთი მხრივ კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის და მეორე მხრივ მონოპოლიებს შორის კონკურენციული ბრძოლა აიძულებს კაპიტალისტებს აწარმოონ მაღალხარისხოვანი საქონელი. მაგრამ, უკვე ახლა, სადაც მონოპოლიური ბატონობა საშუალებას იძლევა, კაპიტალისტები ანელებენ ტექნიკურ პროგრესს, უშვებენ ფალსიფიცირებულ, უხარისხო საქონელს და ზღაპრულ მოგებას ᲘᲫᲘᲑᲐᲕᲔᲜ. იმპერიალიზმის უმაღლეს საფეხურზე კონკურენცია შეიცვლება სახელმწიფო მონოპოლიით. შეიცვლება მდგომარეობაც. იმის გამო, რომ ყოველი კაპიტალისტის (თანამდებობის ბურჟუის) ბედი არ იქნება დამოკიდებული წარმოებულ

საქონლის ოდენობაზე, ხარისხზე, გასაღების უნარზე, ისინი დაკარგავენ იტერესს წარმოების სწორი ხელმძღვანელობისადმი. უფრო მეტი, რახან სახელმწიფო კონკურენტი არ ეყოლება – გასაღდება ყოველგვარი საქონელი. და რაც უფრო უხარისხო იქნება საქონელი, მალე გამოვა მწყობრიდან, ადამიანები მით სწრაფად გახდებიან იძულებულნი – იყიდონ ახალი საქონელი. საბოლოო ანგარიშით უახრისხო საქონელი უფრო მეტ მოგებას მისცემს სახელმწიფოს ვიდრე ხარისხიანი. ამავე დროს რაც უფრო ნაკლები იქნება წარმოებული საქონელი, მით მეტი ფასი ექნება მას. ამიტომ, თანამდებობის ბურჟუაზია მიიღებს წარმოების გეგმებს, მაგრამ პირადი დაუინტერესებლობის და კლასობრივი დაინტერესების გამო არ შეასრულებს მათ, ან შეასრულებს უხარისხო საქონლის გამოშვებით და ამით უზრუნველყოფს სახელმწიფოს მონოპოლიურად მაღალ მოგებას. კონკურენციის პერიოდის ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისები სახელმწიფო კაპიტალიზმის საფეხურზე იცვლება ნაკლებ წარმოების ეკონომიკური კრიზისებით. ფორმალურად არსებული გეგმიურობა-რეალურად ფიქციად გადაიქცეა.

მინის ნაციონალიზაცია, წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრება არ ცვლის ფულად-სასაქონლო ურთიერთობების ბუნებას. იგი ადის უმაღლეს საფეხურზე, როდესაც მაღალი თანამდებობისათვის ბრძოლა ყიდვა-გაყიდვის საგნად აქცევს ადამიანის არა მხოლოდ სამუშაო ძალა, არამედ ზნეობრივ პრინციპებსაც.

თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების რეაქციული ბუნება უმაღლეს საფეხურზე განსაკუთრებული სიცხადით იდეულ-პოლიტიკურ სფეროში გამოვლინდება. პოლიტიკოსებს უყვართ ლაპარაკი ინდუსტრიულ ქვეყნებში პიროვნების თავისუფლების არსებობის შესახებ. მათი აზრით ნამდვილი დემოკრატია მხოლოდ კაპიტალიზმის დროს არსებობს. სინამდვილე ფარდას ხდის ბურჟუაზიის ამ შელამაზებულ ჭორს: ჯერ ერთი, პიროვნების უფლებანი კაპიტალიზმის დროს ძალზე შეზღუდულია. ადამიანს შრომის უზრუნველყოფის უფლებაც არა აქვს. მეორე, თანამედროვე დემოკრატია მშრომელებს აძლევს მხოლოდ იმის უფლებას, რომ მჩაგვრელთაგან აირჩიოს ერთ-ერთი. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში მუშას ან გლეხს როგორც წესი ადგილი არა აქვს. მესამე, ამჟამად არსებული პიროვნების უფლებანი შეზღუდვის, მოსპობის ტენდენციას განიცდიან. სახელმწიფო კაპიტალიზმის საფეხურზე, რათა მშრომლებმა ვერ შეძლონ პროტესტის გამოხატვა, თანამდებობის ბურჟუაზია მათ წაართმევს ყველა დემოკრატიულ უფლებას გარდა ერთისა, - პერიოდულად გაითამაშონ არჩევნების კომედია.

არსებული წყობილების რეაქციული ბუნების გამოვლენის კვალობაზე ღრმავდება მისი საერთო კრიზისული მდგომარეობა, ძლიერდება მუშათა გაერთიანებული კლასის წინააღმდეგობა, ჩაგრულ ერთა განმათავისუფლებელი მოძრაობა, ბრძოლა ჭეშმარიტი დემოკრატიისა და მშვიდობისათვის.

ისტორიულად, პოლიტიკურ კრიზისს, საფუძველი დაუდო პირველმა მსოფლიო ომმა და ოქტომბრის გადატრიალებამ, გაძლიერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დადგა კრიზისის მეორე ეტაპი. დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგა ქვეყნების დიდი ჯგუფი. მესამე ეტაპი არაა დაკავშირებული ომთან იწყება ოთხმოცდაათიანი წლებიდან. მისთვის დამახასიათებელია კოლონიური სისტემის დაშლა, კაპიტალისტური სისტემის ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეური კრიზისის გაღრმავება, ერთი მხრივ და მოწინავე ინდუსტრიული ქვეყნების მეტად შეკავშირება საერთო მიზნისათვის ბრძოლაში. ამ მიმართებით ევროსაბჭოს, ევროკავშირის, სხვა კავშირების შექმნა, სახელმწიფო ბარიერების მსხვრევა, მიზნების, მოქმედების გლობალიზაცია.

9.საყოველთაო ჯეთილდღეობის საზოგადოება

9.1.თეორიული საწყისი

კაცობრიობის ისტორიაში XX საუკუნე გამორჩულია განვითარების დაჩქარებული ტემპებით. ეს აისახა არა მხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკური აღმოჩენების სფეროში, არამედ სოციალურ ურთიერთობებშიც. XX საუკუნემ წარმოქმნა, განვითარება მისცა და თან დაიწყო ისეთი მნიშვნელოვანი ექსპერიმენტი, როგორიც იყო სოციალისტური ქვეყნის სისტემის დამკვიდრების ცდა. შეუძლებელია საზოგადოებრივ ურთიერთობათა პრაქტიკის შესწავლა სოციალიზმის ისტორიის გარკვევის გარეშე. მით უმეტეს, რომ საქართველო მყარად იყო ჩაბმული ამ პროცესში, ხოლო ქართველობა ყოველთვის მოიაზრებოდა თეორიების შემქმნელთა და რეალიზატორთა ლიდერებში.

სოციალური თანასწორობის, სამართლიანობის, ერთობის იდეა არ ახალია, ძველია. იგი ადამიანის და ადამინთა ურთიერთობების ბუნებიდან გამომდინარეა. თანასწორობა, ერთობა, ძმობა ადამიანური თანაცხოვრების მუდმივი საბრძოლო პრინციპებია. კაცობრიობის ისტორია ამ ლოზუნგების განხორციელებისათვის ბრძოლის ისტორიაა და პერიოდულად ამა თუ იმ სახით ამკვიდრებდა მას. რელიგიური მოძღვრებები უეჭველად შეიცავდნენ ამ პრინციპების ელემენტებს.

უძველესმა ისტორიულ-მითოლოგიურმა მემკვიდრეობამ ჭარბად შემოინახა გადმოცემები სოციალური თანასწორობის დამკვიდრების ცდების შესახებ. ყველა მათგანზე თხრობა არ შედის ჩვენს მიზნებში. საკმარისია მიეთითოს ზოგიერთზე. დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინ ჩინეთში ჩენ ტანი-ს მეფობის დროს დამკვიდრდა ერთობა და სოციალური დაცულობა. მოსახლეობა მოხუცებს ერთად აცხოვრებდა. ასევე ერთად უვლიდნენ ავადმყოფებს, ობლებს და ა.შ. შრომა საზოგადოებაში დანაწილებული იყო, შრომის შედეგს კი ანაწილებდნენ გაჭირვების მიხედვით. მოისპო ქურდობა და სიმდიდრის დაგროვებისადმი მისწრაფება.

დაახლოებით ასეთივე პრინციპები იყო განხორციელებული სპარტაში. აქ არა მხოლოდ ბავშვებს ზრდიდნენ ერთად, არამედ თავისუფალი მოსახლეობაც ერთად, სასადილოში იკვებებოდა. არავის არ შეეძლო ბინის მშენებლობის დროს რკინის სამაგრების გამოყენება (რკინა იშვიათობა და სიმდიდრე იყო), სახლში საჭმელის დამზადება, სიმდიდრისადმი

მისწრაფება დაცინვის საგანი ხდებოდა. იყო შემთხვევა, როდესაც სახელოვანი მეფე ლეონიდე, ნაომარი, ისე დაღლილი დაბრუნდა, რომ სასადილოში (სისიტი-ები ერქვა) წასვლა ვერ შეძლო და მეუღლეს სთხოვა, მისი ნორმა საჭმელი სახლში მიეტანა. როცა დედოფალმა მზარეულს მეფის თხოვნა გადასცა, მან უპასუხა: თუ მეფეს ჭამის თავი აქვს, აქ მოსვლასაც შესძლებსო და საჭმელი არ გაატანა. არც ერთ სპარტელ ახალგაზრდას უფლება არ ჰქონდა უფროსისათვის ადგილი არ დაეთმო, მაგრამ თუ უფროსი უშვილო იყო, მას პატივს არავინ მიაგებდა და ა.შ.

ადრინდელი ქრისტიანობა, რომლის მოგონება ახლა აღარც ერს აწუხებს და აღარც სამღვდელოებას, წარმოიშვა, როგორც მონათა, ჩაგრულთა, დევნილთა რელიგია, რომელიც სოციალურ სამართლიანობას ესწრაფოდა. ქრისტიანულ თემებს შორის პოპულარული იყო მოძღვრება ასკეტური ცხოვრების უპირატესობისა და მესიანური მხსნელის მოვლინების შესახებ, რომელიც დაამყარებდა სათნოებას, სოციალურ თანასწორობას, საერთო მოსმარების პრინციპს და ა.შ. იუდეველთა შორის ჩამოყალიბდა ესეიების კავშირი, რომლის წევრებს ყველაფერი საერთო ჰქონდათ. ქრისტიანული თემები მომხმარებლური კომუნიზმის პრინციპით ცხოვრობდნენ. ერთ თემში დიდი პოპულარობით სარგებლობდა მოძღვარი პერეგრინი. იგი კარგი მჭერმეტყველი იყო და სახელი გაითქვა, როგორც სამართლიანობის, თანასწორული, ქრისტიანული თავშეკავების (მარხვის) დამცველმა. ჩუმად კი ოქროსაც აგროვებდა და არც მარხვას იცავდა. მისი აფერისტობა ბოლოს გამომელავნდა. მას შემდეგ, პიროვნებას, რომელიც სხვებს სამართლიანობის, გულმოწყალების, თანასწორობისაკენ მოუწოდებს და თვითონ კი ყველა სიკეთეს უხვად იხვეჭავს – პერეგრინს უწოდებენ.

შეუძლებელია საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე პერიოდის დასახელება, რომლის განმავლობაში არ იყოს პოპულარული სოციალური სამართლიანობისა თანასწორობის იდეები და არ ყოფილიყო მათი განხორციელების მცდელობა. არსენობა, რობინ ჰუდობა, პუგაჩოვობა ყველა ერში იყო და მრავლად იყვნენ ინგლისელი ჯონ ბალის მსგავსი გლეხური კომუნიზმის იდეოლოგიები.

სოციალური სამართლიანობის, საყოველთაო კეთილდღეობის შესახებ პირველი მწყობრი თეორიის შექმნა სცადა ინგლისის პარლამენტის წევრმა, შემდეგ კი ლორდ-კანცლერმა, ბრწყინვალე იურისტმა და დიპლომატმა, ჰუმანისტმა თომას მორმა (1478-1535 წწ). ინგლისში არსებული წყობილების საპირისპიროდ მან დახატა უტოპიური კუნძულის მცხოვრებთა პოლიტიკური სისტემა. მისი წიგნი „უტოპიის“ შესახებ გახდა უტოპიური

სოციალიზმის მიმდინარეობის საფუძველი. მორი საზოგადოებრივი უბედურების მიზეზად კერძო საკუთრების არსებობას მიიჩნევდა. მისი მტკიცებით, საზოგადოებრივი საკუთრება წარმოების საშუალებებზე, არის მოხმარების ერთობის საფუძველი და სპობს სოციალური უსამართლობის შესაძლებლობას. კუნძულ „უტოპიის" მცხოვრებნი მხოლოდ საზოგადოებრივ საკუთრებას აღიარებენ. ისინი წარმოებაში თანაბრად მონაწილეობენ. ამასთან მონაცვლეობით მუშაობენ სოფლის მეურნეობაში და მრეწველობის ობიექტებზე. ფიზიკური შრომის ხანგრძლივობა 6 საათია, რის შემდეგ ადამიანს შეუძლია ნებაყოფლობით იმოღვაწოს მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროებში. საზოგადოებაში ყველა თანამდებობა არჩევითია, საკითხები საერთო დასტურით წყდება. აქვთ საერთო სასადილოები და დაავადმყოფოები. განათლება საყოველთაოა, რელიგიური რწმენის თავისუფლებაა და ა.შ. თომას მორი სიკვდილით დასაჯეს, მაგრამ თავისი შეხედულებებზე უარი ვერ ათქმევინეს.

არა ნაკლებ პოპულარული იყო იტალიელი თომაზო კამპანელას (1568-1639წწ) წარმოდგენა „მზის ქალაქი ანუ იდეალური რესპუბლიკის" მიხედვით. ამ წიგნში დახატული საზოგადოებრივი წყობილება საზოგადოებრივ საკუთრებას ეფუძნება, როგორც წარმოების, ასევე მოხმარების სფეროებში. ყველა მონაწილეობს თავდაცვის, მიწათმოქმედების, წარმოების საქმეში. სამუშაო დღე 4 საათის ხანგრძლივობისაა. კვება საერთო სასადილოებში ხდება. სწავლება საყოველთაოა. მისთვის ბუნებაა ღმერთი. იგი ყველაფრის საწყისია და მიზეზი. თავის იდეებისათვის კამპანელამ 35 წლის საპყრობილეებში გაატარა და მაინც არ უღალატა რწმენას.

სოციალური სამართლიანობისათვის ყველა მებრძოლ-მეოცნებეზე შეჩერება შეუძლებელია, მაგრამ არც ფრანგი ჟან მელიე-ს (1664-1729წწ) მივიწყება შეიძლება. სოფლის მღვდელი, რომლის წესიერი სასულიერო მოღვაწეობისათვის წმინდანად შერაცხვაც კი სურდათ, სიკვდილის შემდეგ ტოვებს „ანდერძს", საიდანაც ირკვევა, რომ იგი შინაგანად ათეისტია, მატერიალისტია და დგას სოციალური თანასწორობის პოზიციებზე. „ანდერძში" მან დაასაბუთა არსებული წყობილების რევოლუციური დამხობის მიზანშეწონილება. მიიჩნევდა, რომ რელიგია ხალხის მოტყუებაა, ხოლო მეფე მტარვალი, რომელიც უნდა მოისპოს. საზოგადოების ბოროტების მიზეზად მას ცუდი მმართველობა მიაჩნია. მისი აზრით უნდა იყოს საერთო საკუთრება, სახელმწიფი კი თავისუფალ თემთა კავშირს წარმოადგენდეს. ასეთ სახელმწიფოში აღზრდა-განათლება საზოგადოების ხარჯზე უნდა მოხდეს. მელიეს მიაჩნია, რომ ბრძოლას ტირანიასთან არ შეიძლება ეროვნული ხასიათი ჰქონდეს, იგი ყოველთვის ინტერნაციონალურია.

მელიე-ს ბევრ პრინციპს ეთანხმება გაბრიელ მაბლი (1709-1785წწ). არისტოკრატი, ცნობილ ფილოსოფოს კონდილიაკის უფროსი ძმა, დალამბერის ბიძაშვილი, მონტესკიეს მეგობარი, ევროპაში ცნობილი მწერალი. იგი უარს ამბობს მეფე ლუდოვიკ XV-ის შვილის აღმზრდელობაზე და ცხოვრებას, სოციალური სამართლიანობის ბრძოლის პროგრამის დასაბუთებას წირავს. მისთვის რევოლუცია ქირურგიული ოპერაციაა, რომელმაც საზოგადოებას უნდა მოაცილოს უარყოფითი მოვლენები და დაამკვიდროს ბედნიერების საფუძველი, – ქონების ერთობა. ძირითად ღონისძიებად იგი მემკვიდრეობის უფლების გაუქმებას მიიჩნევს, რომელიც საფუძველს გამოაცლის კერძო საკუთრების დაგროვების მისწრაფებას.

ბაბეფი ნოელ-ფრანსუა (გრაკხი) (1760-1797 წწ). საფრანგეთის დიდი რევოლუციის პოპულარული მოღვაწე, სიკვდილით დასაჯეს კომუნისტური რევოლუციის მზადებისათვის. ძირითადში ეყრდნობა მორელისა და განმანათებელთა იდეებს. მისი პრინციპია: ბუნებით ადამიანები თანასწორნი არიან და შესაბამისად, მოვალენი არიან იშრომონ და ერთობა დაიცვან. უქნარობა ბოროტებაა. ბოროტებაა სიმდიდრეც. ჭეშმარიტ საზოგადოებაში არ იქნებიან მდიდრები და ღარიბები, წარმოება და მოხმარება თანასწორუფლებიანობის პრინციპს უნდა ემყარებოდეს. ბავშვები საზოგადოებრივ დაწესებულებებში უნდა იზრდებოდნენ 5 წლის ასაკიდან მოყოლებული, ხოლო 10 წლის ასაკში უკვე მათი მწარმოებლურ შრომაშო ჩაბმა უნდა ხდებოდეს. საყოველთაოა ბედნიერება რევოლუციით მიიღწევა, მაგრამ თვით რევოლუცია დამთავრებულად ვერ ჩაითვლება, სანამ არიან მდიდრები და ღარიბები (პერმანენტული რევოლუციის იდეა). თუ მთავრობა არღვევს ხალხის უფლებას, მაშინ აჯანყება ხალხის მოვალეობაა. რევოლუცია უცებ ვერ მიაღწევს მიზანს. საჭირო იქნება კომუნიზმზე გარდამავალი პერიოდი, რომლის დროს მოხდება მტრების ქონების ღარიბთათვის გადაცემა, ბინების სამართლიანი განაწილება, საკუთრების უთანასწორობის მოსპობა. ბაბეფმა სათავე მისცა პრაქტიკულ კომუნისტურ მოძრაობას.

სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის იდეებმა განსაკუთრებული გავრცელება XIX საუკუნის დასაწყისში ჰპოვეს. საფარანგეთის რევოლუციამ გამოაღვიძა და აამოძრავა მასები ევროპის მთელ კონტინენტზე. ნაპოლეონის ომები არა მხოლოდ სხვა ქვეყნების დაპყრობაში გამოიხატებოდა. უფრო მძაფრი და ძლიერი იყო ახალი პოლიტიკური და სოციალური იდეების გავლენა. მოაზროვნეთა კრიტიკის ობიექტი ახლად გამარჯვებული კაპიტალისტური (ბურჟუაზიული) წყობილებაა. მან ჯერ გაბატონება ვერ მოასწრო და უკვე აღიმართა იდეური და ორგანიზაციულ-შეთქმულებითი მახვილი მის წინააღმდეგ. შარლ ფურიე

და ფურიერისტები, ბრწყინვალე არისტოკრატი და მოაზროვნე ანრი სენ-სიმონი და მათი მიდევრები (ბაზარი, ანფანტენი, როდვიგი....) დაუნდობლად აკრიტიკებდნენ კაპიტალიზმის მანკიერ მხარეებს, მიიჩნევდნენ, რომ მეცნიერული რევოლუცია ამზადებს პოლიტიკურს, მიესწრაფვის საზოგადოების გარდაქმნას და ის მიგვიყვანს მსოფლიო ასოციაციამდე. ამ გრძელ გზაზე საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ ფაზას აქვს აღმავლობის და დაცემის პერიოდები, უახლოესი ფაზა კი კომუნისტური უნდა იყოს, საფრანგეთის რევოლუციების დროს აღმოცენებულ კომუნათა სახით. პარიზი კომუნამ საკმაოდ მკვეთრად გამოავლინა ფართე მასების მისწრაფება და ჩამოაყალიბა ამ მიზნით განხორციელების ძირითადი პრინციპები.

რევოლუციურ-კომუნისტურმა იდეებმა არა მხოლოდ ადამიანთა მასები განაწყეს არსებული კაპიტალისტური წყობილების საწინააღმდეგოდ, არამედ საფუძველიც შეამზადეს სხვადასხვა სახის თეორიათა შესაქმნელად. ქვეყნის ეკონომიკური და მასების პოლიტიკურ-კულტურული განვითარების კვალობაზე იქმნებოდა და ისპობოდა რევოლუციური კონცეფციები და მიმდინარეობები. XIX საუკუნის სინამდვილეში, სოციალური თანასწორობის შესახებ თეორიებს შორის ყველაზე ფართე გავრცელება კარლ მარქსის და ფრიდრიხ ენგელსის მოძღვრებამ ჰპოვა. ამ ორმა პიროვნებამ არა მხოლოდ დასრულებული თეორია შექმნა კაპიტალიზმის დაღუპვისა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების შესახებ, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციაც ჩამოაყალიბა, თეორიის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით. ფართედ ცნობილი ჯერ I ინტერნაციონალი და შემდეგ II, მასების მობილიზებას და ბრძოლისათვის ორგანიზებას ისახავდნენ მიზნად. იმდენად ძლიერი აღმოჩნდა მათი მოძღვრება, რომ დროის გამოცდას გაუძლო და დღესაც საგრძნობი პოპულარობით სარგებლობს. ამიტომ აუცილებელია ძალზე მოკლედ განვიხილოთ მათი იდეები.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ როგორც მარქსი აღნიშნავდა, არაფერი ადამიანური უცხო არ იყო მათთვის. თუ რამეს მიაღწიეს, თუ რამე ღირებული შექმნეს, ეს არ იყო ზებუნებრივი, მესიანური მოვლენა, როგორც ამას სოციალისტურ ქვეყნებში უნერგავდნენ ადამიანებს. გარდა ბუნებრივი ნიჭისა, მათ ძალზე დიდი ძალისხმევა, კატორღული შრომა დასჭირდათ, რათა მიეღწიათ იმისათვის, რაც შეძლეს.

კარლ მარქსი (1818-1883 წწ) დაიბადა გერმანიაში, ქალაქ ტრირში, ცნობილი ადვოკატის გენრიხ მარქსის ოჯახში. გიმნაზიის დირექტორმა მას საკუთარი ბიბლიოთეკის სარგებლობის უფლება მისცა, რაც გიმნა-

ზისტმა ძალზე ნაყოფიერად გამოიყენააქვე გაიცნო და შეიყვარა ოჯახის ქალიშვილი ჟენი ფონ ვესტფალენი, რომელიც მოგვიანებით მისი მეუღლე გახდა. სწავლობდა ჯერ ბონის, შემდეგ ბერლინის უნივერსიტეტში. სტუდენტობისას უყვარდა ქეიფი და ჩხუბი. მედუქნეები მთვრალი კარლის დანახვისას დარაბებს ხურავდნენ. ორჯერ იყო დაჭრილი დუელში და კარგი მოჩხუბარის ავტორიტეტით სარგებლობდა. უნივერსიტეტი დაამთავრა, როგორც იდეალისტმა, „ახალგაზრდა ჰეგელიანელთა“ ჯგუფის წევრმა. სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ მალე „რეინის გაზეთის“ რედაქტორი გახდა. აქ იგი პრაქტიკულად დაეჯახა ისეთ პრობლემებს, რომელთა გავლენით თანდათანობით რევოლუციონერ-დემოკრატად, ბილოს კი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ შემქმნელად ჩამოყალიბდა.

„რეინის გაზეთის“ რედაქტორად მუშაობისას პირველად შეხვდა ფრიდრიხ ენგელსს (1820-1895წწ) და როგორც მდიდარი ოჯახის თავდაჯერებულ ახალგაზრდას, ცივად დაშორდა. ფრიდრიხი მართლაც შეძლებული ოჯახიდან იყო. მამამისს ტექსტილის წარმოება ჰქონდა. გერმანიაში და ინტერესები (ფილიალი) ინგლისში, მანჩესტერში. სწორედ მანჩესტერში გამგზავრების წინ შეიარა რედაქციაში ენგელსმა, რათა მომავალში ინგლისიდან გამოგზავნილი კორესპონდენციების ჰონორარის საკითხი დაეზუსტებინა. ფული არ აკლდა, მაგრამ ასეთია ფულიანი კაცის ფსიქოლოგია. მოგვიანებით ენგელსმა (გერმანულად შრომისმოყვარემ, 20 წლის ასაკში 14 უცხო ენის მცოდნემ, ფილოსოფიაში და სამხედრო საქმეებში განსწავლულმა), „გერმანულ-ფრანგულ წელიწდეულში“ (რედაქტორი იგივე კ. მარქსი) გამოაქვეყნა სტატია, რომლის გაცნობამ მარქსი დაარწმუნა ენგელსის სიბრძნეში და დააყენა „კაპიტალის“ მრავალტომეულის შექმნის ოცწლიან უძნელეს გზაზე. ფ. ენგელსმა დაიწყო ეკონომიკით, მაგრამ როცა ნახა, რომ კ. მარქსმა სერიოზული ინტერესი გამოიჩინა ეკონომიკისადმი, მიატოვა და მოიცვა ყველა სხვა სფერო ბუნების დიალექტიკით დაწყებული კერძო საკუთრებისა და ოჯახის წარმოშობით გაგრძელებული და მრავალი ოჯახის ქალის გაარშიყებით დამთავრებული. ჭეშმარიტად, თუ ადამიანს უფალი წყალობს, დანაკლისი არ ექნება.

მთავარი, ბიოგრაფია კი არა, იდეური დანატოვარია. რა შეძლეს, რა გააკეთეს ისეთი, რომ მთელი XX საუკუნის საზოგადოებრივი პროცესების განსაზღვრა მოახდინეს და დღესაც შეუძლებელია სერიოზულმა მკვლევარმა მათ გვერდი აუაროს.

მარქსიზმი (მხოლოდ კ. მარქსის და ფ. ენგელსის) იდეური მემკვიდრე-

ობის შემსწავლელი მკვლევარები, პირველ რიგში გამოყოფენ მათი ფილოსოფიური ნაზრევის მწყობრ, სისტემურ ხასიათს, რომელიც მოიცავს როგორც ზოგადად არსებობისა და განვითარების, ასევე საზოგადოებრივი არსებობა-განვითარების კანონზომიერებას. ფილოსოფიური თვალსაზრისი არაა ისეთი ღრმა და კონკრეტული, როგორც ეს კანტის ან გ. ჰეგელის მისამართით შეიძლება ითქვას, მაგრამ სანაცვლოდ უფრო მიზანმიმართულია და საბოლოო ანგარიშით საზოგადოებრივი განვითარების პროგნოზირების საფუძველს ქმნის. სამწუხაროდ ეს კონცეფცია ვერ ასცდა იდეალიზმისა და მატერიალიზმის დაპირისპირებას.

ყოფილი იდეალისტის მატერიალისტური შემართება განსაკუთრებით საზოგადოებრივი ცხოვრებისა და განვითარების სისტემაზე აისახა. ყველაფრის პირველ მიზეზად მატერიალური, ეკონომიკური საფუძვლის დადება, სულიერის, გონიერის განსაზღვრულად, წარმოებულად გამოცხადება საწყისშივე ცალმხრივს ხდის მწყობრად ჩამოყალიბებულ დებულებებს სამუშაო ძალის, წარმოების საშუალებების, წარმოებით ურთიერთობათა კანონზომიერების შესახებ. წმინდა მატერიალურ ურთიერთობათა პირველადობაზეა აგებული ეკონომიკური ბაზისისა და პოლიტიკურ-მეცნიერულ-კულტურული ზედნაშენის სტრუქტურული შემადგენლობა და ურთიერთმიმართების ფარდობითობა. ფორმაციათა, წყობილების განვითარების,ცვლის გარდუვალობის კანონზომიერება ცალმხრივობის ლოგიკითაა ახსნილი, რაც დამაჯერებლობას ართმევს მიზეზ-შედეგობრიობის თვალსაზრისით მწყობრ სისტემას.

კაცობრიობის წარსული განვითარების საფეხურებად დაყოფა უძველესი დროიდან იყო მცდელობის საგანი. მარქსიზმმა ამ მხრივ ყველაზე უფრო დამაჯერებელი და მწყობრი სისტემა შექმნა. ისტორიული წარსულის ფორმაციებად დაყოფა, ფორმაციათა განვითარების შინაგანი მექანიზმის ახსნა, მონაცვლეობის გარდუვალობის დასაბუთება, მათთან კაპიტალიზმის დაღუპვის აუცილებლობამდეა მიყვანილი.

კაპიტალიზმის ბუნება, მისი ძირითადი კანონი, შინაგანი წინააღმდეგობანი, მშრომელთა აბსოლუტური და ფარდობითი გაღატაკება, პროლეტარიატის თავისებურებანი, სხვა სოციალურ ჯგუფთა დამოკიდებულება პროლეტარიატისადმი, მუშათა და გლეხთა ურთიერთმიმართება, ერთიანი მუშათა სოციალური ფენის ჩამოყალიბება, რომელიც თანაბრად მოიცავს ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკებს უდაოდ მარქსიზმის დიდი დამსახურებაა. თქმა იმისა, რომ მარქსიზმა წინამორბედთა გარეშე აღმოაჩინა და გააშუქა ყოველივე, არ შეიძლება, მაგრამ არც იმის მიჩქმალვა ივარგებს, რომ ბევრი კანონზომიერების დადგენა მათი

ძალისხმევით მოხდა. ვთქვათ, ზედმეტი ღირებულება რომ უნდა შეიქმნას რათა მოხდეს სიმდიდრის დაგროვება ეს ადრეც იცოდნენ, მაგრამ გაგება საკითხისა სულ სხვანაირი იყო. საუკუნეების მანძილზე მიაჩნდათ, რომ გარკვეული პიროვნება მდიდარია, რადგან ფლობს მიწის ნაკვეთს, ტყეს, ველს და ა.შ. XVIII-XIX ს.ს. გამოჩენილმა მკვლევარებმა უარყვეს ეს თვალსაზრისი და დაამტკიცეს, რომ თავისთავად არც მიწაა სიმდიდრის წყარო, არც ტყე და არც წიაღისეული. ახლებული დასკვნის თანახმად სიმდიდრის წყარო შეიძლება იყოს მხოლოდ შრომა. მიწის ქვეშ ოქროს ზოდებიც რომ ეწყოს, ის სიმდიდრეს არ წარმოადგენს, თუ მას ადამიანი არ ამოთხრის. შრომაა სიმდიდრის წყარო, – იყო დასკვნა. კ. მარქსმა „კაპიტალის" მეოთხე ტომი (ორ ნაწილადაა გამოცემული დიდი მოცულობის გამო) მიუძღვნა ზედმეტი ღირებულების შესახებ არსებული დებულებების კრიტიკას და ბოლოს მივიდა ასეთ დასკვნამდე: სიმდიდრის წყაროა სხვისი შრომა. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ ადამინთა შორის არსებულ ფიზიკურ და გონებრივ სხვაობას, უნდა დავეთანხმოთ აზრს, რომ საკუთარი შრომით შეიძლება სხვაზე რამდენჯერმე მეტი შექმნა, მაგრამ არა იმდენი, რომ გამდიდრდე. მაგრამ თუ გამოიყენებ, მიითვისებ სხვათა შრომის შედეგს, შეძლებ სხვებზე ბევრად მეტი ქონების დაგროვებას. ფიზიკური შრომის მუშაკთან მიმართებაში ეს ნათელია, მაგრამ როგორ არის საქმე მეცნიერ-გამომგონებელთან დაკავშირებით? მარქსიზმი ამბობს: ნებისმიერი დიდი გამომგონებელი ეყრდნობა იმ მიღწევებს, რაც ამ დარგის მეცნიერებას შეუქმნია, ეყრდნობა მეცნიერთა და მუშაკთა ისეთ დიდ რაოდენობას, რომ თუ თავის დიდ მონაპოვარს მათაც გადაუნაწილებს, მას ბევრი აღარაფერი დარჩება. ვთქვათ უმდიდრესი ადამიანი მსოფლიოში ბილ გეიტსი (64 მლრ აშშ დოლარის მფლობელი). მან კომპიუტერული სისტემა შექმნა მხოლოდ იმიტომ, რომ მეცნიერებამ და ტექნიკამ ამის პირობები მოამზადეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ამას ვერ შეძლებდა. ამას გარდა მან ამ ხაზით მომუშავეთა იდეებიც შეისყიდა. მან მიითვისა უთვალავი ადამიანის ფიზიკური და გონებრივი შრომის შედეგი. ამავე დროს მის კორპორაციაში მუშაობს ბევრი ადამიანი, რომელიც ქმნის ზედმეტ ღირებულებას. ბილ გეიტსის გამოგონება სხვათა შრომით იყო განპირობებული და მისი ქონება არქიმედედან მოყოლებული თუ ყველას დამსახურებისამებრ გადაუნაწილდება, იგი არა თუ მდიდარი, შეიძლება საზოგადოების წინაშე ვალშიც აღმოჩნდეს.

მარქსიზმმა ახსნა კაპიტალისტური წარმოების და წარმოებით ურთიერთობათა ბუნება. მართალია ეკონომიკური განვითარების პრიორი-

ტეტიდან გამომდინარე, მაგრამ მატერიალური წარმოების ხასიათიდან, მისი ძირითადი წინააღმდეგობიდან, გამომდინარე ახსნა, რატომ უნდა დაიღუპოს კაპიტალისტური წყობილება, რატომ უნდა დაუთმოს ადგილი მომავალ თაობას, რომელიც რადიკალურად იქნება მისგან განსხვავებული. კაპიტალიზმის მაგალითზე, მაგრამ კერძოდან ზოგადისაკენ მსვლელობის გზით, მან მიუთითა ფორმაციათა ცვლის კანონზომიერებაზე. საწარმოო ძალთა განუხრელი ზრდის აუცილებლობას და მასთან თანაარსებული წარმოებით ურთიერთობათა შეზღუდული განვითარების შესაძლებლობებს შორის აღმოცენებულ წინააღმდეგობებს გარდუვალად მივყავართ არსებული ურთიერთობების, ახალი გაზრდილი საწარმოო ძალების შესაბამისი ურთიერთობებით შეცვლამდე, ასეთია დასკვნა. კაპიტალიზმთან მიმართებაში მითითებულია, რომ ფეოდალიზმის წიაღში განვითარებადი საწარმოო ძალები იწვევენ მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციის შექმნას, შემდეგ ხდება მისი გადაზრდა მანუფაქტურულ წარმოებით ურთიერთობებში. თავის მხრივ მანქანური წარმოების დამკვიდრება მოითხოვს ურთიერთობათა შესაბამის მოდერნიზაციას. უკანასკნელი წარმოშობს მონოპოლიებს. მონოპოლიათა ბატონობა საჭიროებს სახელმწიფოს დამოკიდებულების ცვლას და ბოლოს სახელმწიფო იძულებული ხდება ერთპიროვნული მესაკუთრე გახდეს. სახელმწიფო მონოპოლიის დამკვიდრება თავის მხრივ იწვევს ფულის კაპიტალისტების თანამდებობის კაპიტალისტებად მოდერნიზებას, ხოლო ყველა დანარჩენი სოციალური ჯგუფების გაერთიანებას ერთიან მუშათა კლასად.

XIX საუკუნის არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მარქსიზმი საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების შემქმნელად დაქირავებულ მუშათა სოციალურ ჯგუფს (კლასს) აღიარებს. საზოგადოების გონებრივი შრომის მუშაკთა გარკვეული ნაწილი, იზიარებს მუშათა მდგომარეობას, გადადის მის კლასობრივ პოზიციაზე, იმუშავებს მათთვის მოქმედების სტრატეგიას და ტაქტიკას და ხელმძღვანელობს ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის. რაც შეეხება გლეხობას, რომელიც მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენს, ისინი წერილ მესაკუთრეებად რჩებიან და საბოლოო ანგარიშით მუშებთან მიმართებაში რეაქციულ ძალას წარმოადგენენ. გლეხობას, მის ძირითად ნაწილს მაინც, არ შეუძლია საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების შექმნაში აქტიური პოზიტიური როლის შესრულება.

მარქსიზმს მიაჩნია, რომ ახალი საზოგადოებისათვის ბრძოლის პროცესში მუშებს სჭირდებათ მაორგანიზებელი ძალა პარტიის სახით, რომელიც იარსებებს რევოლუციის პროცესში მუშათა კლასის მიერ საკუთარი სახელმწიფოს ე.წ. პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებამდე.

თავად რევოლუცია, ამ თეორიის თანახმად დაიწყება ერთ რომელსამე კაპიტალისტურად მაღალგანვითარებულ ქვაყანაში, შემდეგ გავრცელდება სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში და საბოლოოდ გაიმარჯვებს რამოდენიმე ქვეყანაში მაინც ერთდროულად. რაც შეეხება შედარებით სუსტად განვითარებულ ქვეყნებს, იქ კიდევაც რომ დაიწყოს რევოლუცია, ეს იქნება ბურჟუაზიული. მან შეიძლება სტიმული მისცეს მაღალგანვითარებულ ქვეყნებს და მაშინ, ამ ქვეყნების დახმარებით და კვალდაკვალ, დიდი ხნის ძიების შემდეგ, მაგრამ მაინც შეიძლება იქ პროგრესული გარდაქმნების განხორციელება. დამოუკიდებლად, სუსტად განვითარებულ ქვეყანას წარმატება არ უწერია. კიდევაც რომ შეძლონ ასეთ ქვეყანაში ძალაუფლების მოპოვება, ყველაზე დიდი, რასაც რევოლუციონერები მიაღწევენ, იქნება სიღატაკის თანაბარი განაწილება. სიღატაკე კი კვლავ წარმოშობს იმ პროცესებს, რომელთა წინააღმდეგ ხდება რევოლუცია. საბოლოო ანგარიშით მოსალოდნელია ორი შედეგი: 1. ადამიანები მიხვდებიან, რომ ისინი მოატყუეს, არავითარი სოციალიზმი არ დაუმყარებიათ და ასეთ ხელმძღვანელებს თავებს დააყრევინებენ; 2. მეორე შედეგი კატასტროფულია. ადამიანები ირწმუნებენ, რომ სოციალიზმს ამკვიდრებენ, მაგრამ არ მოეწონებათ ასეთი წყობა და სოციალიზმის რწმენას დაკარგავენ. ამიტომ, თეორიის თანახმად, სოციალიზმზე გადასვლა არ უნდა განხორციელდეს, სანამ კაპიტალიზმი არ ამოწურავს განვითარების შესაძლებლობას.

მარქსისტული თეორიის თანახმად კაპიტალიზმის უმაღლესი საფეხურიდან საყოველთაო კეთილდღეობის (მათი თქმით სოციალიზმის) საზოგადოებაში გადასვლას დასჭირდება ერთი თაობის შემოქმედება 5-ან 25 წლის ჩათვლით, ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტული ისტორიული პირობების შესაბამისად. ამ ხნის მანძილზე მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა, ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდა, პოლიტიკური მმართველობის კვდომა.

ამ თეორიის თანახმად სოციალიზმი და კომუნიზმი იდენტური შინაარსისაა. ეს წყობილება მკვიდრდება კაპიტალიზმის შემდეგ, ვითარდება, წარმოშობს უფრო სრულყოფილი სისტემის შექმნის შესაძლებლობას და ბოლოს ადგილს უთმობს მას. ამ პირობებიდან უმთავრესია ადამიანთა სასიცოცხლო მოთხოვნილებების უფასო დაკმაყოფილება (ესაა: უფასო კვება, უფასო ჩასაცმელი და უფასო ბინა). მეორე უმთავრესი პირობაა სამუშაო დროს მაქსიმალური შემცირება ანუ თავისუფალი დროის ზრდა. ეს ამ წყობილების ძირითადი ეკონომიკური კანონია.

ამ მიზნის მიღწევამდე ისპობა კაპიტალისტური დემოკრატია და

მყარდება მშრომელთა დემოკრატია. მარქსიზმი ამას ბურჟუაზიის დიქტატურის პროლეტარიატის დიქტატურით შეცვლას უწოდებს. საფრანგეთის რევოლუციებმა განახორციელეს ბურჟუაზიის დიქტატურის პრაქტიკული მსხვრევა და ჩამოაყალიბეს პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპები.

ბურჟუაზიის დიქტატურა ანუ კაპიტალისტური დემოკრატია ემყარება ბიუროკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს. პრინციპს აქვს პოლიტიკური და ეკონომიკური მხარეები. პოლიტიკური გულისხმობს: 1. უმაღლესი ხელისუფლების არჩევითობას; 2. მათ მიერ სახელმწიფო აპარატის თანამდებობის პირთა დანიშვნას; 3. თანამდებობის პირთათვის ისეთი პრივილეგიების დაწესებას, რომ მათ ყოველთვის ჰქონდეთ თანამდებობის, დეპუტატობის შენარჩუნების მისწრაფება.

პროლეტარიატის დიქტატურა ანუ მშრომელთა დემოკრატიაც ორი მხარისაგან შედგება. პოლიტიკური გულისხმობს: 1. ქვეყანაში ნებისმიერი თანამდებობის სრულ არჩევითობას; 2. ამორჩეულთა სრულ პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე (იმ ზომამდე, რომ ნებისმიერ მოქალაქეს უფლება უნდა ჰქონდეს, რიგითი სასამართლოს მეშვეობით პასუხი მოთხოვოს ნებისმიერ თანამდებობის პირს); 3. სანამ ამორჩეულ პიროვნებას ენდობიან, ემორჩილებიან მის გადაწყვეტილებს. ეკონომიკური მხარე გულისხმობს: 1. უმაღლესი თანამდებობის პირებს უნდა ჰქონდეთ საშუალო მუშის ხელფასი, უფრო ნაკლები თანამდებობის პირებს უფრო ნაკლები; 2. არ უნდა გაიცემოდეს თანხა (ხელფასი) წარმომადგენლობისათვის (დეპუტატობისათვის); 3. უნდა მოისპოს ყოველგვარი ღონისძიება, რომელიც თანამდებობის პირის მდგომარეობას მუშისაგან გამოარჩევს. პარიზის კომუნამ სცადა ამ პრინციპის გახორციელება, მაგრამ ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანაში არაფერი გამოვიდა და ვერც გამოვიდოდა.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ შექმნილი მოძღვრება უყურადღებოდ არ ტოვებს წინამორბედთა არც ერთ დებულებას, ახდენს მათ ანალიზს და აყალიბებს ერთიანი თეორიის სახით. ჩვენ შემთხვევაში ვერ დავიწყებთ ყოველივეს გადმოცემას, კრიტიკულ ასახავს, ეს ძალზე რთული სპეციფიკური საქმეა და ყოველ შემთხვევაში მოსწავლე ახალგაზრდის ინტერესების სფეროს აღემატება. ამის და მიუხედავად ერთი წინადადებით წარმოვაჩინოთ ჩვენთვის მტკივნეული ეროვნული საკითხი. მარქსიზმი მიიჩნევს, რომ საწყალ კაცს სამშობლო არა აქვს. ყოველი თაობის ადამიანები გარკვეულ გარემოში იზრდებიან და თუ მათ შიმშილისათვის გაწირავენ, ნიშნავს სამშობლომ გაწირა. თუ ადამიანები იძულებულნი არიან სამშობლო მიატოვონ და თავშესაფარი სხვაგან ეძებონ, ნიშნავს,

რომ მათ სამშობლო დაკარგეს. მარქსის ეს დებულება, მათ შორის ქართველი ვაი პატრიოტების კრიტიკის საგანი იყო. ჩიტსაც კი აქვს თავისი ბუდე და კაცს როგორ შეიძლება სამშობლო არ ჰქონდეს, ქირქილებდნენ ენამახვილები. სამწუხაროდ, ცხოვრებამ მარქსიზმის სიმართლე დაადასტურა. უკანასკნელი 10-12 წლის მანძილზე საქართველო მილიონზე მეტმა ადამიანმა დატოვა სახსრების ძიების მიზნით. სადაა სამშობლო, რომელიც მათ დაიფარავდა, სამუშაოს მისცემდა, ოჯახის შენახვას უზრუნველყოფდა? ამიტომაა უაღრესად აქტუალური ნაციონალური მოძრაობის ლოზუნგი: დავიბრუნოთ სამშობლო. რაც შეეხება ეროვნებათშორის ურთიერთობებს, აქ მარქსიზმი კიდევ უფრო ლაკონურია: არ შეიძლება თავისუფალი იყოს ერი, რომელიც სხვას ჩაგრავს. როგორც გამოცანა ჟღერს ეს დებულება და ჭკვიანის არჩევია მისი გაშიფვრა. დაუკვირდი, საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერები იჩაგრებოდნენ იმიტომ, რომ თვით რუსი ერი იყო დაჩაგრული საკუთარი მთავრობისაგან.

შეუმცდარი არავინაა და არაფერია. თავის დროზე მეცნიერები ბევრს წერდნენ ბიბლიის მიხედვით წარმოდგენილი ღმერთის შეცდომებზე. საკვირველი არ უნდა იყოს, რომ ნებისმიერი ჭკვიანი მოაზროვნე შეიძლება შეცდეს. მარქსისტულ მოძღვრებასაც აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამის გამო მისი არც მექანიკური უარყოფა ივარგებს, როგორც ამას საზოგადოებაში აქვს ადგილი და არც თავგადაკრული ქება, როგორც მანამდე იყო. პარადოქსია, მაგრამ ცხადია. ვისაც შეეძლო რაიმეს გამოქვეყნება, ისე აქებდა მარქსს, რომ მის ბუნებას ვერ წედებოდა და ისე აგინებს მარქსს, რომ არც ახლაა გარკვეული საკითხის არსში. რათა ოდნავ მაინც ნათელი მოვფინოთ საკითხს, მოკლედ შევეხოთ მარქსიზმისა და ლენინიზმის ფარდობითობის პრობლემას.

9.2.მარქსიზმი თუ ლენინიზმი?

XX საუკუნის მანძილზე, ცალკეული მკვლევარების გამოკლებით, კაცობრიობისთვის მარქსიზმი და ლენინიზმი ისმოდა, როგორც სინონიმები. მათთვის მარქსიზმ-ლენინიზმი ერთიანი, შეკრული, უაღრესად მეცნიერული მოძღვრება იყო, რომელიც სრულად მოიცავდა საზოდაგოების წინაშე წამოჭრილ ყველა საკითხს და ასწავლიდა რა დროს რა უნდა ეკეთებინათ. საჭირო იყო მხოლოდ ბეჯითი დამახსოვრება ამა თუ იმ გამონათქვამისა. ათეულობით ტომებში კი არც თუ ძალიან ძნელი იყო საჭირო ციტატის მოძებნა. ყველაფერი დადგენილი და გაწერილი იყო, როგორც „ყურანში“

XIX საუკუნის ბოლოს მესაძედი ევროპის საზოგადოებრივ აზროვნებაში მარქსიზმის უდაო წარმატებებით აღინიშნა. ზედიზედ კარგავდნენ პოზიციებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პოლიტიკური მიმდინარეობები. ჯერ პირველი, შემდეგ კი მეორე ინტერნაციონალის შექმნამ გაამყარა სოციალურ-დემოკრატიული მოძრაობისა და პარტიების პოზიციები. პოპულარული იყო სოციალისტური იდეები, ფართე მოძრაობა მის განსახორციელებლად. საუკუნის ბოლო მეოთხედში ეს იდეები იჭრებიან რუს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და ხალხოსნურ მოძრაობაში.

ჯერ 1825 წ. დეკაბრისტების გამოსვლამ, შემდეგ მოწინავე მოაზროვნეთა (ჩერნიშევსკი, ბელინსკი, დობროლიუბოვი და სხვა) იდეებმა გამოაღვიძეს რუსეთი. ფართე გავრცელება ჰპოვა ე.წ. ხალხოსნობამ. ის ფაქტი, რომ რუსეთის იმპერიის გლეხობა მეთემეობას მისდევდა და მიწაზე ფაქტობრივად თემურ საკუთრებას აძლევდა უპირატესობას, უკარნახებდა საზოგადოების მოწინავე შვილებს, რომ მისი დახვეწით და სრულყოფით შეიძლებოდა გლეხური სოციალიზმის დამკვიდრება. შეიქმნა ორგანიზაციები: „ნაროდნაია ვოლია“, „ზემლია ი ვოლია“, „ჩორნი პერუდელ“, რომელთა მიზანი მეფის, თავადაზნაურობის მოსპობა და გლეხური სოციალიზმის დამკვიდრება იყო. ამ მოძრაობამ ბევრი სასახელო მოაზროვნე-რევოლუციონერი აღზარდა. მათ შორის იყო გეორგ პლეხანოვი, რომელიც ბოლოს მიხვდა გლეხური სოციალიზმის იდეის განუხორციელებლობას და 1883 წლიდან მოყოლებული შეუდგა მარქსიზმის გავრცელებას რუსეთში. ხალხოსნებიდან ბევრი გაჰყვა მის გზას, ბევრს არ სჯეროდა. მათ შორის იყო ტერორისტი-ხალხოსანი ალექსანდრე ულიანოვი, რომელიც მეფეზე თავდასხმისათვის სიკვდილით დასაჯეს. ალექსანდრეს ძმა ვლადიმერი ადრევე მიხვდა ასეთი ტერორიზმის უპერსპექტივობას, ხელი მოჰკიდა პლეხანოვის შრომების შესწავლას და ბოლოს მარქსიზმის მიმდევარიც გახდა. ვ. ლენინმა უამრავი ნაშრომი

მიუძღვნა რუსეთში რევოლუციური მოძრაობის ორგანიზებისა და რევოლუციის განხორციელების საქმეს. დიდი იყო მისი აუტორიტეტი რუსეთის და ევროპის რევოლუციონერებს შორის. იგი ითვლება რუსეთში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი შემქმნელად, ბოლშევიკური ნაწილის ბელადად, 1917 წ.ოქტომბრის მამამთავრად, რუსეთში სოციალიზმის მშენებლობის პროგრამის შემქმნელად, მესამე ინტერნაციონალის ბელადად, ურყევ მარქსისტად და ა.შ.

ხალხსნურ გარემოში და იდეებით გაზრდილი ვ. ლენინი, თუმცა გაემიჯნა გლეხური სოციალიზმის დამკვიდრებისათვის ტერორისტული მეთოდებით ბრძოლის გზას, მაგრამ არც ერთზე და არც მეორეზე საბოლოოდ ხელი არ აუღია. ეს არა მარტო მისი იდეებიდან გამომდინარე შედეგი იყო. ძირითადი გახლდათ რუსეთის იმპერიის სინამდვილე.

1895 წელს ფ. ენგელსი აფრთხილებდა თანამებრძოლებს იმის შესახებ, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო გერმანიაში თუ ასეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში სოციალიზმის შემოღებას მოინდომებდნენ. თუ მსოფლიოს მოწინავე ინდუსტრიული ქვეყანა, გერმანია განუვითარებელი და ეკონომიკურად მოუმზადებელი იყო სოციალიზმისათვის, რა შეიძლებოდა თქმულიყო რუსეთის იმპერიაზე, სადაც ვ. ლენინმა 1899 წ. დაწერა ნაშრომი იმის დასამტკიცებლად, რომ ქვეყანაში უკვე ვითარდება კაპიტალიზმი. ქვეყნის მოსახლეობის ოთხმოც პროცენტზე მეტს გლეხობა შეადგენდა, მრავლად იყვნენ წვრილი ვაჭრები, ხელოსნები, მედუქნეები და ა.შ. მუშათა კლასი, რომელზეც იმედს ამყარებდნენ მარქსისტები, ჩამოყალიბებას იწყებდა და მოსახლეობის ერთ პროცენტსაც არ წარმოადგენდა. თუ რამდენად ჩამორჩენილი იყო რუსეთის იმპერია და რამდენად გლეხური, საკმარისია მიეთითოს იმ ფაქტზე, რომ ვ. ლენინი, სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში აღნიშნავდა: ბატონყმობა ქალაქად მხოლოდ 1905 წლის რევოლუციამ მოსპო, ხოლო სოფლად 1920 წელს დავძლიეთო. XX საუკუნის დასაწყისიდან მოწინავე ქვეყნები განვითარების მეოთხე ეტაპზე, მონოპოლისტურ კაპიტალიზმზე იწყებენ გადასვლას. წარმოიშობიან ტრესტები, კარტერები და ა.შ. უცხოული კაპიტალი იჭრება რუსეთის საშინაო ბაზარზე და აქაც კი რამდენიმე სავაჭრო ხასიათის მონოპოლისტურ გაერთიანებას ქმნის, თუმცა მთლიანად იმპერია ნახევრადფეოდალურ მდგომარეობაშია, სადაც მწიფდება ბურჟუაზიული რევოლუცია. რევოლუციური მოძრაობის კერებს ის ხუთი ინდუსტრიული ცენტრი ქმნის, რომელიც იმ პერიოდისათვის ყალიბდება. ესაა: პეტერბურგი, მოსკოვი, ურალი, დონბასი, ბაქო. დედამიწის მეექვსედ ნაწილზე ეს ხუთი სუსტი სამრეწველო ცენტრი ბურჟუაზიული რევოლუ-

ციის საფუძველსაც ვერ ქმნის, სოციალისტურზე ოცნება სისულელეა. მკვლევართა შელამაზებული მონაცემებით, მსოფლიო ომამდე იმპერიაში ცხოვრობდა 165 მილიონი მოსახლე. აქედან 10 მილიონი მისდევდა დაქირავებულ შრომას. ესენი იყვნენ ნოქრები, პაროკმახერები, ჩინოვნიკები და ა.შ. ამ 10 მილიონიდან, მარქსისტული გაგებით, სოციალისტური ბუნების მატარებელი იყო მხოლოდ 1,4 მილიონი. დანარჩენს გლეხობა და მემამულეები წარმოადგენენ.

იმპერიის მოსახლეობის ასეთი სოციალური სურათის პირობებში რისი იმედით უნდა ყოფილიყვნენ ბოლშევიკები (მოგვიანებით მათ თავს კომუნისტები უწოდეს) და მათი ურყევი ბელადი ვ. ლენინი?

ვ. ლენინმა, მართალია გ. პლეხანოვის შრომებიდან მარქსისტული ტერმინოლოგია და აზრები გაიგო, თავი მარქსისტადაც გამოაცხადა, მაგრამ დაიწყო მისი უარყოფა. საფრანგეთის რევოლუციების მაგალითზე მარქსიზმი ამტკიცებდა, რომ საბოლოო ანგარიშით გლეხობა სოციალიზმთან მიმართებაში რეაქციულ ძალას წარმოადგენს. ვ. ლენინმა ჯერ კიდევ 1894 წელს დაიწყო იმის მტკიცება და პრაქტიკული განხორციელება, რომ რუსეთში სოციალისტური გარდაქმნების ბედი მუშათა და გლეხთა კლასობრივი კავშირის სიმტკიცეზე იქნება დამოკიდებული. გლეხურ ქვეყანაში, ყოფილი ხალხოსანი სოციალურ საყრდენს ვერ მოწყდა და ჯერ კიდევ არ არსებული მუშათა კლასის ბელადად ვერ გარდაიქმნა.

ვ. ლენინმა თავიდანვე არ გაიზიარა და ბოლომდე უარყო მარქსისტული მტკიცება იმის შესახებ, რომ ნებისმიერი ქვეყნის წყობილება არ შეიძლება იმაზე მეტი იყოს, ვიდრე მოსახლეობის ეკონომიკური განვითარება და კულტურაა. იგი თავგამოდებით ამტკიცებდა სოციალისტური რევოლუციის შესაძლებლობას მითითებით, რომ მართალია რუსეთში მცირერიცხოვანია მუშათა კლასი, მაგრამ არც ბურჟუაზიაა მრავალრიცხოვანი და ძლიერი. ფ. ენგელსის წინასწარმეტყველური შეგონება: რევოლუციონერი, რომელიც იმის იმედითაა, რომ მართალია ქვეყანა განუვითარებელია, მუშათა კლასი მცირერიცხოვანი, მაგრამ არც კაპიტალისტები არიან მრავლად, — ჯერ კიდევ საჭიროებს სოციალიზმის ანბანის შესწავლასო, — საიმედოდ იქნა უკუგდებული. საუკუნე დასჭირდა ჭეშმარიტების პრაქტიკულ დადგენას.

ვ.ი. ლენინი რუსეთის კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში იმედს არც ეკონომიკურ განვითარებაზე ამყარებდა, არც მუშათა კლასის მოსახლეობის გადამწყვეტ უმრავლესობად გადაქცევაზე და არც კულტურის დონეზე. სიტყვიერად მატერიალისტი, მოქმედებაში იდეალისტი იყო,

ობიექტურს სუბიექტურით ცვლიდა და ვოლუნტარისტული მეთოდებით მოქმედებდა. მან წამოაყენა პარტიის მაორგანიზებელი და წარმმართველი როლის იდეა. თუ ხალხოსნები ერთეული ტერორისტების საშუალებით ფიქრობდნენ უსამართლობის მოსპობას და გლეხობისათვის ბედნიერების მინიჭებას, ვ. ლენინმა ტერორისტული ორგანიზაციის ნაცვლად პარტიის როლის გაფეტიშება დაიწყო.

1898 წ. შეიქმნა რუსეთის სოციალურ-დემოკრატიული პარტია და მალე გაითიშა მენშევიკებად და ბოლშევიკებად, რადგან ვ. ლენინს მტკიცე ორგანიზაციის და მკაცრი ცენტრალიზაციის გარეშე კონსპირაციული ბრძოლის წარმატებისა არ სწამდა. ბოლშევიკებმა მისი თაოსნობით განავითარეს კონცეფცია, რომლის მიხედვით სოციალიზმისათვის ბრძოლაში მთავარია პარტიამ აიღოს ძალაუფლება, დაამყაროს საკუთარი დიქტატურა, დათრგუნოს წინააღმდეგობა და რაც შეესება ეკონომიკას, მათი ხელმძღვანელობით ერთიც შეიქმნება და მეორეც.

რუსეთის სოციალ-დემიკრატიული პარტიის მენშევიკური ნაწილი გ. პლეხანოვის მეთაურობით ძირითადად იზიარებდა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მიერ აღიარებული მარქსისტულ პრინციპებს და ამიტომ შეცდომად მიიჩნევდა 1905 წლის რევოლუციის პროცესში პროლეტარული ლოზუნგებისათვის ბრძოლას. ისინი ასევე ნაადრევად მიიჩნევდნენ 1917 წელს სოციალისტურ რევოლუციაზე ოცნებას.

ბოლშევიკებს საპირისპირო პოზიცია ეკავათ. ვ. ლენინი პარტიას იმ მოდერნიზებული მარქსისტული იდეებით აიარაღებდა, რომელიც ძალაუფლებისათვის ბრძოლაში გამოსადეგად მიაჩნდა. ბრძოლისას ყველა მეთოდი გამართლებულად წარმოედგინა და კომპრომისებს გაორიცხავდა. მან ოსტატურად ისარგებლა მასების თეორიული გაუთვითცნობიერებით და რიტორიკული მანიპულაციებით შეარყია კ. მარქსის საყვარელი მოწაფეების კარლ კაუცკის და ედუარდ ბერნშტეინის ავტორიტეტები. მეორე ინტერნაციონალის ბელადების ავტორიტეტების დაკნინებით კი საკუთარი ავტორიტეტი წამოსწია. კ. კაუცკის მან იმპერიალიზმის (მონოპოლისტური კაპიტალიზმის) არაკაპიტალისტურ წყობილებად წარმოდგენა დასდო ბრალად და ეს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ღალატად შეაფასა. ე. ბერნშტეინთან საქმე უფრო კომიკური იყო. ე. ბერნშტეინი თავისუფლების, მომავლის, განვითარების შესახებ მსჯელობისას აკეთებდა დასკვნას, რომ სვლა უკეთესობისაკენ, თავისუფლებისაკენ აბსოლუტურია, მუდმივია და ამ გზაზე ყოველი საფეხური იქნება ფარდობითი, რადგან აბსოლუტურ პროგრესს, რომლის იქით წინსვლა

შეუძლებელია, კაცობრიობა ვერასოდეს მიაღწევს. ვ.ლენონმა მაშინვე ისროლა დასკვნა: ხედავთ, ბერნშტეინის აზრით მოძრაობა ყველაფერია, საბოლოო მიზანი კი არაფერი. აი, ოპორტუნიზმი. როგორ შეიძლება შედეგი, მიზანი არაფერი იყოს, როცა ჩვენ სოციალიზმისათვის, სოციალისტური თავისუფლებისა და მომავლისათვის ვიბრძვით. რა თქმა უნდა ეს ორი მაგალითი მთელ იდეურ ბრძოლას ვერ ამოწურავს, მაგრამ ასეთი მიზანი არცაა დასახული.

ვ. ლენინი ხალხოსნობის პოზიციიდან აღიქვამდა არა მხოლოდ თეორიას, არამედ პრაქტიკასაც. როცა ექსპლოატაციის წინააღმდეგ მასების დარაზმვაზე და ბრძოლაზე ზრუნავდა, იგი არ ივიწყებდა ხალხოსნური ტერორისტული მოძრაობის მეთოდებსაც. ბოლშევიკურ პარტიის ჰყავდა თავისი შეიარაღებული ტერორისტული ჯგუფები, რომლებიც აუეთქებდნენ, ძარცვავდნენ, კლავდნენ. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობაში მრავლად იყვნენ ყოფილი ტერორისტები. ამ მხრივ ქართველ ბოლშევიკებსაც ჰქონდათ მდიდარი გამოცდილება და დიდი გავლენა.

ზოგადსაკაცობრიო იდეალების დაყვანამ კლასობრივი ბრძოლის მიზნებამდე, განაპირობა ის რომ ბოლშევიკური პარტიის მიზანი (სოციალიზმი) გამოცხადდა საზოგადოებრივი პროგრესის უმაღლეს და უკანასკნელ საფეხურად. მარქსიზმის თანახმად კაპიტალიზმი არის წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების დამფუძნებელი ბოლო წარმოების წესი, ბოლო ფორმაცია. კერძო საკუთრება ისტორიულად ქმნის მონათფლობელურ, ფეოდალურ და კაპიტალისტურ ფორმაციებს. თავისი განვითარების მეექვსე საფეხურზე კაპიტალიზმი ახორციელებს კერძო საკუთრების ლიკვიდაციას კერძო საკუთრების ფარგლებში (სახელმწიფო საკუთრების დამკვიდრების ფორმით) და განაპირობებს წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივ საკუთრებაზე დაფუძნებული ფორმაციის წარმოშობას. ამ ფორმაციით იწყება საზოდაგოებრივ საკუთრებაზე დაფუძნებული ფორმაციების მომავალი. ეს მომავალი უსასრულოა. მიზანი აბსოლუტური კეთილდღეობის საზოგადოების შექმნაა, მაგრამ აბსოლუტური მიუღწეველია. მოძრაობა აბსოლუტურისაკენ აბსოლუტურია, ყოველი მიღწეული ფარდობითი.

ბოლშევიკებმა კომუნისტური ფორმაცია კაცობრიობის წინსვლის აბსოლუტურ იდეალს გაუთანაბრეს. ამ იდეალის მიღწევა კი უახლოესი მომავლის საქმედ წარმოადგინეს. იმპერიალისტური კაპიტალიზმის ანალიზის დროს კ. კაუცკი და სოციალ-დემოკრატიის სხვა თეორეტიკოსები მივიდნენ დასკვნამდე, რომ იმპერიალისტური კაპიტალიზმი არაა საბოლოო საფეხური და მომავალში ულტრაიმპერიალისტურ სტადიაში

გადაიზრდება. ვ. ლენინმა ეს აბსურდად გამოაცხადა და დაასკვნა, რომ იმპერიალიზმი კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი საფეხურია. აქედან გამომდინარე კაპიტალიზმის კომუნიზმით (სოციალიზმით) შეცვლა უკვე უახლოესი მომავალი საქმე უნდა გამხდარიყო, როგორც ევროპაში, ისევე რუსეთში.

ვ. ლენინის თვალსაზრისი, ბოლშევიკების (კომუნისტების) მიერ იმდენად მეცნიერულად იქნა აღიარებული, რომ დიდი ხნის მანძილზე მოითხოვდნენ, ერთი მხრივ დაეჩქარებინათ კაპიტალიზმის ლპობა, დასწეოდნენ და გაესწროთ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისათვის და მეორე მხრივ უკვირდათ ამ მიზნების მიუღწეველობა.

მარქსიზმსა და ლენინიზმს შორის ფარდობითობის ყველა საკითხს დიდი შრომა სჭირდება გარკვევისათვის. შევეხოთ მხოლოდ კიდევ ერთს, — ეროვნულ საკითხს. რამდენადაც ჩვენთვის ეროვნებათშორისი ურთიერთობის პრობლემა ძალზე მტკივნეულია, მას ოდნავ მეტი ყურადღება დავუთმოთ.

კაცობრიობის ისტორიაში მრავალი იმპერია იყო და დაიშალა. მას ბევრი რეგრესული შედეგი ჰქონია. მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ სახელმწიფოს მრავალეროვნულობა მისი ჩამორჩენულობის მაჩვენებელია. ვ. ლენინი პრინციპულად ეთანხმებოდა კ. კაიცკის ამ დასკვნას. ევროპის სოციალ-დემოკრატიული აზროვნების ეს მნიშვნელოვანი დებულება ვ. ლენინისათვის მისაღები იყო, მაგრამ არა იმ გაგებით, რომ რუსეთის იმპერიის ეროვნულ სახელმწიფოებად დაშლისათვის, ერთა თვითგამორკვევისათვის შეეწყო ხელი, არა, პირიქით, რათა დაეჩქარებინა სხვა ერთა გარუსების, ასიმილაციის პროცესი.

მარქსისტული თეორია გამორიცხავდა ერთი ერის მიერ მეორე ერის იძულებითი გაბედნიერების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, თეორია, მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნას შესაძლებლად არ თვლიდა. ვ. ლენინი პირიქით. საკითხისადმი მიდგომა ასეთია: ევროპის ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა აღიარეს ერთა თვითგამორკვევის უფლება. ასეთ დროს, რუსეთის ბოლშევიკური პარტია ამ ლოზუნგზე უარს ვერ იტყვის. ლოზუნგს პარტია აღიარებს იმ პირობით, თუ არარუსი სოციალ-დემოკრატები წინასწარ განაცხადებენ რუსეთის შემადგენლობაში დარჩენის სურვილს. ეს აუცილებელია, რადგან რუსისოციალისტების მიზანი უნდა ყოფილიყო არა ცალკეულ სახელმწიფოებად არსებობა, არამედ ერების შერწყმა.პროლეტარების საბრძოლველად შეერთების მარქსისტული ლოზუნგი, ვ. ლენინმა ერების შერწყმის დონემდე ასწია და ამით შემოქმედებითად განავითარა თეორია.

იმდენად მტკიცედ სწამდა ერების შერწყმის აუცილებლობა, რომ როდესაც ს. შაუმიანმა (ერთგულმა თანამებრძოლმა) სასომხეთის სასარგებლო აზრი გამოთქვა, ბელადმა იგი (რუსი მარქსისტი) გამოლანძღა „სომხური საქათმის" დაცვისათვის.

ბოლშევიკების მიზანი მცირე ერების რუს ერთან შერწყმა იყო, მაგრამ რა გზით, რა პრინციპზე?

პოლიტიკური აზროვნება სახელმწიფოს კონფედერაციულ, ფედერაციულ, ცენტრალიზებულ გაერთიანებას ცნობს.

კონფედერაცია დროებით, არამყარ გაერთიანებად ითვლებოდა. იქ ცენტრის გადაწყვეტილება წევრისათვის სავალდებულო არაა.

ფედერაციის წევრები ერთიანდებიან თანაბარი უფლებამოსილების პრინციპით (ერთი წევრი, — ერთი ხმა) და მორიგეობით ასრულებენ ხელმძღვანელის ფუნქციას.

ავტონომია ერთნაირი სახელმწიფოს ნაწილია თვითმართველობის უფლებით. თვითმმართველობის დონეს განსაზღვრავს ცენტრი. არის ეროვნულ-ტერიტორიული, ეროვნულ-კულტურული, ადმინისტრაციული ავტონომია.

ცენტალიზმი მრავალეროვან სახელმწიფოში, მცირე ერების შემზღუდავია.

ცენტრალიზმი შეიძლება იყოს ბიუროკრატიული და დემოკრატიული. ბიუროკრატიული ცენტრალიზმი ხელისუფლებას ყოფს ორ ნაწილად: აღმასრულებელი და საკანონდებლო. საკანონდებლო უშვებს არჩევნებს, აღმასრულებელი დანიშვნას. ორივე ნაწილში ანაზღაურება და პრივილეგიები მატულობს თანამდებობისა და პასუხისმგებლობის მიხედვით.

ვ. ლენინს მიუღებლად მიაჩნდა, როგორც კონფედერაციული გაერთიანება რუსეთის იმპერიის ფარგლებში, ასევე ფედერაციული. მისი აზრით ფედერაციული გაერთიანება უნდა შეექმნათ დიდ ერებს. რაც შეეხება პატარა ერებს, მათი ასიმილაცია უნდა დაჩქარებულიყო, ისინი დიდ ერებს უნდა შერწყმოდნენ. იდეა ასე უნდა განხორციელებულიყო: პარტია სიტყვით აღიარებდა ერთა თვითგამორკვევის პრინციპს. სინამდვილეში, არათუ თვითგამორკვევა, არამედ ეროვნული კულტურის წინააღმდეგ უნდა ებრძოლა, ინტერნაციონალური კულტურის სასარგებლოდ. პარტია უნდა ყოფილიყო ეროვნული კულტურის და ეროვნული ენის წინააღმდეგი. არსი შემდეგია: მრავალეროვან სახელმწიფოში ოფიციალურად არც ერთ ენას უპირატესობა არ მიენიჭებოდა, მაგრამ ყოველდღიური ცხოვრება აიძულებდა პატარა ერებს, შეესწავლათ უმრავლესობის ენა. ამ მხრივ საქართველოში მეფისნაცვალ ვორონცოვის რუსიფიკატორული მოქნილი

პოლიტიკა სანიმუშო უნდა გამხდარიყო. პატარა ერებს არ სჭირდებათ არც ეროვნული ენა, არც კულტურა და შესაბამისად, არც სკოლა იქნება ეროვნული, — ასეთი იყო ვ. ლენინის დასკვნა. ამას ემატება სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ზედმეტობა და სახელმწიფოებრივი საზღვრის მოშლის აუცილებლობა. მისი აზრით ბოლშევიკები უნდა მიესწრაფოდნენ სახელმწიფო საზღვრების სრულ მოშლა-მოსპობას. რაც წარმატებით განხორციელდა მოგვიანებით საქართველოს მაგალითზე.

ვ. ლენინი მრავალენოვანი რუსეთის იმპერიისათვის, დროებით, სანამ პატარა ერების დიდთან „შერწყმა-შედუღება", „დაფქვა" მოხდებოდა, შესაძლებლად მიიჩნევდა ცენტრალიზაციის პრინციპის განხორციელებას, სადაც მცირე ერებს ექნებოდათ არა ნაციონალური, არა კულტურული, არამედ ადმინისტრაციული ავტონომია. რაც პრაქტიკულად განხორციელდა კიდეც 1922 წ. საბჭოთა კავშირის შექმნის პროცესში. მაგრამ ეს უკვე თეორია კი არა პრაქტიკაა.

თქმა იმისა, რომ ვ. ლენინი საერთოდ არ ცნობდა და არც ერთ საკითხში, თეორიულად მაინც, არ ეთანხმებოდა მარქსიზმს, არ შეიძლება. ბევრ საქმეში იყო სიტყვით თანხმობა, მაგრამ მოქმედებით უარყოფდა. ბევრ და პრინციპულ საკითხებში სიტყვით თანხმობასაც არ ჰქონია ადგილი. ძირითადში მარქსიზმი იყო დროშა, ფარი, ლოზუნგი, რასაც მოსდევდა წმინდა პრაგმატული ხასიათის, ზოგჯერ უაზრო და კომიკური გადაწყვეტილებები. ამის აღნიშვნა მით უფრო საჭიროა, რომ ფეოდალურ რუსეთში, პრაქტიკულად კაპიტალიზმის გვერდის ავლით, სოციალიმზე გადასვლა წარმოდგენითაც კი არ შეიძლება, ხოლო ის ცდა, რაც საბჭოთა კავშირში განხორციელდა, სისხლის ოკეანის მიუხედავად მარცხიანი გამოდგა.

რაც შეეხება საქართველოს, სოციალისტური განვითარების პერსპექტივები კიდევ უფრო ნაკლები იყო. აქ ეროვნული ჭარბობდა სოციალურ სატკივარს და მხოლოდ ეროვნულის სრული დათრგუნვის შემთხვევაში შეიძლებოდა სოციალური პრობლემების წინ წამოწევა.

ზოგიერთ ჩამოთვლილ საკითხზე მარქსიზმის და ვ. ლენინის თვალსაზრისებს შორის სხვაობამ უნდა დაგვანახოს მათი შეუთავსებლობა. ერთია მარქსიზმი, სულ სხვა — ვ. ლენინი და შემდეგ ლენინიზმის სახით ცნობილი პარტიული პოზიცია.

9.3. ოქტომბრის რევოლუცია

1917 წ. ოქტომბრის მოვლენების შესახებ რაც არ უნდა ითქვას, როგორც დადებითად ან უარყოფითად არ უნდა შეფასდეს იგი, ერთი უმთავრესის აღნიშვნა აუცილებელია: მან განსაზღვრა საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარება მთელი საუკუნის მანძილზე. სოციალ-პოლიტიკური მოვლენები რუსეთის იმპერიაში, საჭოთა კავშირის შექმნა, სოციალისტური ბანაკის ჩამოყალიბება, მსოფლიოს გათიშვა ორ დაპირისპირებულ მხარედ და ხანგრძლივი ცივი ომი მათ შორის, მსოფლიო კოლონიური სისტემის რღვევა და სხვა, სათავეს ოქტომბრის მოვლენებიდან იღებს. ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ მკვლევარები მის შესახებ მრავლად და მათ შორის ურთიერთგამომრიცხავ თვალსაზრისს გამოთქვამენ.

სოციალისტური ქვეყნების იდეოლოგთა თვალსაზრისი შეჯერებული იყო და ერთხმად დადებითად აფასებდნენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობას. მათ ძირითადში ეთანხმებოდნენ სოციალისტური, კომუნისტური პარტიები და არა მხოლოდ ისინი, რომ ოქტომბერმა სათავე დაუდო ახალ, ექსპლოატაციისაფან თავისუფალ, კაცობრიობისთვის ბედნიერების მომტან წყობილებას. შეფასების ყველა ძირითადი დებულების ჩამოთვლაც კი შეუძლებელია.

მეორე მხრივ იყვნენ ე.წ. ბურჟუაზიული და რევიზიონისტური თვალსაზრისის მქონე მკვლევარები. მათი ძირითადი შეფასებები ასეთია: 1. რუსეთის იმპერია იმდენად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, რომ იქ 1905 წ. ბურჟუაზიულმა რევოლუციამ კი ვერ მიაღწია მიზანს. 1917 წ. რევოლუცია იყო დაწყებულის დამთავრება. სოციალისტური ელემენტები იქ ისევე იყო, როგორც იაკობინელების დროს საფრანგეთში; 2. რამდენადაც რუსეთში 1917 წ. თებერვლიდან მიმდინარეობდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, იგი სოციალისტურ შინაარსს ვერ შეიძენდა. ის კომუნისტური ღონისძიებები, რაც 1921 წლამდე გატარდა იყო ვ. ლენინის ბლანკისტური, სუბიექტური გადაწყვეტილებები და ამიტომ ისინი მალევე გაუქმდა. (უკლებლივ ყველა თანამდებობის პირის არჩევითობა, პრივილეგიების მოსპობა, უმაღლეს ხელმძღვანელთა ხელფასების ჩვეულებრივ მუშის ხელფასთან გათანაბრდება, მემკვიდრეობის უფლების ლიკვიდაცია, მშრომელთათვის გადასახადების გაუქმება, უფასო კომუნალური მომსახურება, უფასო საბინაო პირობების შექმნა, უფასო განათლება, ფულის მოსპობა და ა.შ.); 3. ოქტომბრის რევოლუცია მისაბაძია ჩამორჩენის ქვეყნებისათვის, ცივილიზებულ სამყაროს არ გამოადგება; 4. ოქტომბრის რევოლუცია დაიწყო როგორც სოციალისტური, მაგრამ ქვეყნის ჩა-

მორჩენილობის გავლენით გადაგვარდა ბურჟუაზიულად და შედეგად საზოგადოებამ მიიღო არა სოციალური სახელმწიფო, არამედ პარტიის დიქტატურა და კაპიტალისტური წყობა; 5. ოქტომბერში რევოლუცია კი არ მოხდა, არამედ სამხედრო გადატრიალება, რომელმაც თებერვლის რევოლუციის მიზნები შეასრულა. ვ. ლენინმა კი გადატრიალება მოახდინა პირადი ძალაუფლების დამყარების მიზნით.

თვალსაზრისები ურთიერთსაპირისპიროა, დასკვნები მრავალი. ვნახოთ როგორ განხორციელდა იგი. მკვლევართა საერთო თვალსაზრისის თანახმად 1905წ. ბურჟუაზიულმა რევოლუციამ მიზანს ვერ მიაღწია. ვ. ლენინი ეთანხმება ასეთ დასკვნას და მისი მომავალში განმეორების აუცილებლობაზე მიუთითებს. ამავე დროს გამოთქვამს აზრს ამ რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის სასარგებლოდ. მთელ საქმიანობას იგი ამ მიზნისათვის მზადებას უქვემდებარებს. რევოლუციის დაწყება იგვიანებს. 1916 წ. ბოლოს და 1917 წ. იანვარში სასოწარკვეთილი აღნიშნავს, ჩვენ უფროსი თაობა რევოლუციას ვეღარ მოვესწრებით. მკვლევარები აქედან გამომდინარე ასკვნიან: 1916 წ. დეკემბრიდან მოყოლებული რუს არისტოკრატთა სალონებში (ჟანდარმერიის მონაცემებით) მუდმივი განსჯა იყო; მალე მეფე ნიკოლოზი იძულებული გახდება გადადგეს, ვინ შეცვლის მას? უფრო მეტი, 1917 წ. 23 თებერვალს პეტერბურგში შედგა ოპოზიციურ პარტიათა წარმომადგენლობითი შეხვედრა იმ მიზნით, რომ მომავალი დროებითი კოალიციური მთავრობა აერჩიათ. ბოლშევიკებმა მონაწილეობაზე უარი განაცხადეს იმ მოტივით, რომ არავითარი გამოსვლა, მეფის ჩამოგდება, რევოლუცია მოსალოდნელი არაა. მკვლევარები ასკვნიან: თუ ვ. ლენინი რევოლუციის ასეთი გენიაა, თუ თორმეტი წელი პარტიას ამისთვის ამზადებდა, როგორ ვერ მიხვდა თვითონ და ვერ მიხვდნენ მისი თანამებრძოლები ორი დღით ადრე, როგორი რევოლუციური სიტუაცია იყო და რა იყო მოსალოდნელი.

ასე თუ ისე თებერვლის რევოლუციამ უბოლშევიკოდ გაიმარჯვა, მეფე გადადგა, არჩეული იქნა დროებითი მთავრობა. დროებითმა მთავრობამ ციხეებიდან გამოუშვა ყველა რევოლუციონერი და როცა ცნობილ ბოლშევიკთა გარკვეულმა რაოდენობამ პეტერბურგში მოიყარა თავი, აღმოჩნდა, რომ რევოლუციაში მონაწილეობით ყველამ რაღაცა მიიღო ბოლშევიკების გარდა. დაისვა საკითხი შემდგომი მოქმედების გზის შესახებ. აზრი გაიყო. ერთნი დროებით მთავრობასთან კომპრომისს მოითხოვდნენ. მეორენი საშუალო პოზიციას ირჩევდნენ. საკმაო ხნის შინაგანი დისკუსიების შემდეგ ვ. ლენინის პოზიციამ გაიმარჯვა. იგი მოითხოვდა დროებითი მთავრობის დამხობას და ძალაუფლების ახლად

შექმნილ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებისათვის გადაცემას. ტაქტიკური სელა სწორი იყო. დროებითი მთავრობა დაგვიანებულ ბოლშევიკებს პირველხარისხოვან თანამდებობას არ დაუთმობდა. თუ მთავრობის ნაცვლად ძალაუფლებას საბჭოები აიღებდნენ, იქ განაწილება თავიდან უნდა მომხდარიყო. თან დროებით მთავრობაში მყოფი პარტიები, მთავრობის დამხობის შემთხვევაში ძალაუფლებას ეთიშებოდნენ და ძირითადი ძალა ამ ლოზუნგისათვის მებრძოლი პარტია ხდებოდა.

ვ. ლენინის ლოზუნგმა, მთელი ძალაუფლება საბჭოებს, აამოძრავა რუსეთის მასშტაბით არსებულ საბჭოებში მყოფი ძალები. 1917 წ. მაისისათვის დაპირისპირება დროებით მთავრობასა და საბჭოებს შორის უკვე გამოკვეთილად ორხელისუფლებიანობის იერს იძენს. დროებითი მთავრობა ეყრდნობა ძველ სახელისუფლებო სტრუქტურებს და ცდილობს ევოლუციური გზით წაიყვანოს ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ მიმავალი საზოგადოება. განუვითარებელ რუსეთში მსოფლიო ომმა სრული გაპარტახება გამოიწვია. შიმშილით და ომით გაწამებული საზოგადოება ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ სწრაფად დაისახოს გამოსავალი. ბოლშევიკები მუშათა და ჯარისკაცების საბჭოებს ასეთ პერსპექტივას უსახავენ. საბჭოები, პეტროგრადის საბჭოს სახით და ხელმძღვანელობით, მოლაპარაკებას მართავენ ბოლშევიკებთან. მთავრობა ნებაყოფლობით ძალაუფლებას არ თმობს და შეტევაზე გადადის ივლისის დასაწყისში. ვ. ლენინი იმალება რაზლივში. ბოლოს მოხდა შეთანხმება: ბოლშევიკები თავის რიგებში იღებენ პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე ლ. ტროცკის და მის ჯგუფს ე.წ. „მეჟრაიონელებს". საბჭოები ბოლშევიკებს აძლევენ თანამდებობებს, მიმდინარეობს ე.წ. საბჭოების ბოლშევიზაცია. ბოლშევიკები საბჭოებთან კავშირში უკვე ის ძალაა, რომელსაც ძალაუფლების მოპოვება შეუძლია. შესაბამისად ბოლშევიკები უკვე ლენინ-ტროცკის ხელმძღვანელობით იწყებენ აჯანყებისათვის სამზადისს.

თავის მხრივ მთავრობაც მიმართავს რიგ ღონისძიებებს. მთავარი ამ მხრივ არის დამფუძნებული კრების მოწვევა, რომელიც მაისში იქნა არჩეული. დამფუძნებელმა კრებამ უნდა განსაზღვროს სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირითადი საკითხები. კრების იდეის პოპულარობა დიდია და ყოველი მებრძოლი ძალა იძულებულია მას ანგარიში გაუწიოს. თვით ბოლშევიკებს შორისაც არიან ლიდერები, რომლებიც გარკვეული მოსაზრებებით მხარს უჭერენ აჯანყების და ძალაუფლების აღების საკითხის გადავადებას დამფუძნებელი კრების მოწვევამდე.

ბოლშევიკური პარტიის ლიდერებს შორის ვ. ლენინი პირველი იყო მუდამ. ეს არ ნიშნავს, რომ არ იყო ჩუმი წინააღმდეგობა და ბრძოლა

პირველობისათვის სხვა ლიდერებს შორის. იყვნენ გამოკვეთილი, პოპულარული პიროვნებები და იყვნენ დროებით ჩრდილში მდგომები, რომლებიც თავის რიგს უცდიდნენ. იმის გამო, რომ წლების მანძილზე ბოლშევიკური პარტია იდევნებოდა, თეორეტიკოსი ლიდერების უმრავლესობა და თვით ვ. ლენინი საზღვარგარეთ იმალებოდნენ. რუსეთის სინამდვილე სასტიკი იყო და მხოლოდ ძლიერებს შეეძლოთ მისი გაძლება. პარტიის პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის ვ. ლენინი წლების მანძილზე ზრდიდა და აწინაურებდა პრაქტიკოს რევოლუციონერებს. ბელადი განათლებულ და ამბიციურ თეორეტიკოსებს, უცოდინრობის გამო მასზე მინდობილ პრაქტიკოსებს ამჯობინებდა. ვ. ლენინი კონკურენციის გარეშე იყო, მის გვერდით ყოფნისთვის თავს არავინ ზოგავდა. ლ. ტროცკის და მის ერთგულთა პარტიაში მოსვლამ სიტუაცია დაძაბა.

ვითარება ასეთი შეიქმნა. თუ ბოლშევიკები დამფუძნებელი კრების მოწვევამდე აიღებდნენ ძალაუფლებას, მაშინ თეორეტიკოსთა ჯგუფს აღზევების შესაძლებლობა ეკარგებოდა, რადგან ვ. ლენინის შემდეგ გამოჩნდა ლ. ტროცკი, საბჭოების ხელმძღვანელი. მისი ხასიათიდან გამომდინარე, იყო ვარაუდი, რომ არავის გაახარებდა. რათა აჯანყება გადაევადებინათ და საბჭოებისათვის (ტროცკისათვის) გზა მოეჭრათ ზინოვიევმა და კამენევმა მზადების საკითხი გაახმაურეს და რომ არა მთავრობის უნიათობა მიზანსაც მიაღწევდნენ.

1917 წ. ზაფხული ვ. ლენინმა რაზლივში ნაყოფიერად გამოიყენა. ღრმად გაიცნობიერა მარქსიზმის თვალსაზრისი სახელმწიფოსა და რევოლუციის შესახებ. აჯანყების წარმატების ძირითადი პრინციპები, რომელიც მან ცალკე წერილში წარმოადგინა, თავის დროზე ფ. ენგელსმა ჩამოაყალიბა. ვ. ლენინმა მართებულად განსაზღვრა: თუ მიიღე გადაწყვეტილება, თუ დაიწყე აჯანყება, აღარ უნდა შეყოვნდე. მოცდა და თავდაცვა წაგების ტოლფასია. მით უფრო, რომ მოწინააღმდეგემ უკვე იცის ამის შესახებ. მოწინააღმდეგე (მთავრობა) უნდა დაემხოს, სანამ ძალების მოკრებას მოახერხებს. მაგრამ როდის?

ლ. ტროცკი პარტიის წინაშე აყენებს ძალაუფლების აღების შესანიშნავ შესაძლებლობას. 25 იქტომბერს დანიშნულია სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობა. ტროცკის ვარაუდია: ის, როგორც საბჭოების ხელმძღვანელი, გახსნის ყრილობას და გამოაცხადებს ძალაუფლების აღების საკითხს. საბჭოები, ბოლშევიკები უკვე ფლობენ ისეთ შეიარაღებულ ძალას, რომ მთავრობა წინააღმდეგობას ვერ გასწევს. ძალაუფლებას აიღებენ უომრად, რევოლუცია გაიმარჯვებს მშვიდობიანი გზით.

ასეთი რეალური შესაძლებლობა ძალზე მიმზიდველია. უკეთესი რა

უნდა პარტიას, უსისხლოდ ძალაუფლება მის ხელში გადადის. თითქმის ყველაფერი კარგია, მაგრამ... შევხედოთ საკითხს ვ. ლენინის და მისი ერთგული თანამებრძოლების პოზიციიდან. რამდენი წლის წვალება, დევნა, კატორღები, გაქცევა, ემიგრაცია, შიმშილი, დამცირება და ა.შ. გადაიტანეს იმის გულისთვის, რომ ძალაუფლებას მოიპოვებდნენ ხალხის სახელით და მათი ბედნიერებისათვის. მიზანი ხომ ყველა გაჭირვებულის, დამონებულის, განძარცულის განთავისუფლება იყო. ამის გულისათვის მიდიოდნენ ყოველგვარ განსაცდელზე. ახლა? თუ ტროცკი გამოაცხადებს ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლას, თვითონ ჩაუდგება პროცესებს სათავეში, მაშინ ვინაა ლენინი, ვინ არიან მისი თანამებრძოლები, ვისია პატივი, ძალაუფლება და სახელი? ცხადია ვინც ხელმძღვანელობს ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, ვინც მოიპოვებს ხელმძღვანელობას, რევოლუციის ბელადიც ისაა. ეს მოხდება 25 ოქტომბერს. ამ საქმის გადადება არ შეიძლება, სათუოა, მთავრობა გონს მოდის და ძალას იკრებს.

ვ. ლენინი ჭკვიანი პიროვნებაა. იგი არა მხოლოდ ცოდნით და გამოცდილებითაა აღჭურვილი. კარგი ორგანიზატორია, პრინციპული, პოპულარული. პარტიაში პირველი ავტორიტეტია და ბელადი. რა არის საჭირო, რომ არ გახდეს მეორე, მესამე და ა.შ. რატომ უნდა დაუთმოს „იუდუშკა ტროცკის" გამარჯვების ნაყოფი. ეს რომ არ მოხდეს საჭიროა დაასწროს საბჭოების ყრილობის გახსნას. 25 ოქტომბერს დილის 10 საათზე ძალაუფლება თუ მის ხელთ არ იქნა, ტროცკი აჯობებს. რა ქნან ბოლშევიკებმა აჯანყდნენ 20, 21, 22, 23 ოქტომბერს და ეს პროცესი 25 ოქტომბრამდე გაჭიმონ? ისინი ხომ საბჭოებისათვის ძალაუფლების გადაცემისათვის იბრძვიან. ლოზუნგზე უარს ვეღარ იტყვიან. მაშ რა? ყველაზე ლოგიკურია აჯანყება 24 ოქტომბერს საღამოთი. დროებითი მთავრობის დამხობის შემთხვევაში, საბჭოების ყრილობას და ტროცკის უკვე ძალაუფლებით ხელში შეხვდებიან, თუ მთავრობა ვერ დაამხეს, საბჭოების ძალაუფლებისათვის მებრძოლთა ავანგარდში მაინც არიან. დიახ. 23 ოქტომბერს აჯანყება ადრეა, 25 გვიანი. გამოთვლა მომენტისა არც თუ ისე რთულია.

ის ვინც წაიკითხავს ჯონ რიდის წიგნს „10 დღე, რომელმაც შეძრა სამყარო" ნახავს, როგორ წარიმართა მოვლენები, როგორ აიღეს საბჭოებმა ძალაუფლება, რა აქტიურია ტროცკი და როგორ არა ჩანს ლენინი. დაკვირვებული მკითხველი მიხვდება ძალაუფლებისათვის ბრძოლის ბევრ აშკარა და ფარულ მოტივს. ვ. ლენინის ჩანაფიქრი მარტივი იყო, როგორც ყველაფერი გენიალური. 1917 წ. 25 ოქტომბერს, საბჭოების

ყრილობის გახსნის მომენტისათვის მთავრობა დამხობილია, ძალაუფლება ბოლშევიკების ხელთაა. ტროცკი იძულებულია მიჰყვეს დინებას და გამოაცხადოს ძალაუფლების მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ხელში გადასვლა. იქმნება რევოლუციური მთავრობა, რომელსაც ვ. ლენინი უდგება სათავეში. ახლა მასზეა დამოკიდებული საით წავა ქვეყნის განვითარება.

მარქსისტული მოძღვრება რუსეთისათვის ყოველგვარ რევოლუციას და სხვაგვარ განვითარებას, თუ არა ბურჟუაზიული გამორიცხავდა, რაც შეეხება რევოლუციის ვარიანტებს, გამოთვლა ასეთი იყო: 1. კაპიტალისტური განვითარების უმაღლეს საფეხურზე მყოფ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუცია დაიწყება ძალაუფლების ხელში აღებით და გაგრძელდება სანამ სოციალიზმი არ დამკვიდრდება. ე.ი. რევოლუციას ექნება პერმანენტული (განუწყვეტელი) ხასიათი; 2. სოციალისტური რევოლუცია დაიწყება ერთ ქვეყანაში, შემდეგ გავრცელდება სხვა მოწინავე ქვეყნებში და საბოლოოდ რამდენიმე ქვეყანაში მაინც მეტ-ნაკლებად ერთდროულად გაიმარჯვებს. ე.ი. რევოლუციას ექნება პერმანენტული ხასიათი; 3. რევოლუცია შეიძლება დაიწყოს როგორც ბურჟუაზიული და მან ბიძგი მისცეს მოწინავე ქვეყნებში სოციალისტურ რევოლუციას. სოციალისტური რევოლუციის ქვეყნები მიეხმარებიან ბურჟუაზიული რევოლუციის ქვეყანას და ეს უკანასკნელი, განვითარების დამატებითი საფეხურების გავლის შემდეგ, ბოლოს მიაღწევს სოციალიზმს. ე.ი. რევოლუციას ექნება პერმანენტული ხასიათი.

ვ. ლენინი ათეული წლის მანძილზე ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმმა მოწინავე ქვეყნებში და რუსეთშიც კი, მიაღწია განვითარების ისეთ მაღალ დონეს, როდესაც სოციალიზმზე გადასვლა შესაძლებელიცაა და აუცილებელიც. 1917 წ. ოქტომბრის შემდეგ პრაქტიკულად დაისვა საკითხი რევოლუციური წინსვლის გზის შესახებ. პარტიის ბელადებს შორის აზრი გაიყო: 1. ვ. ლენინი მისთვის კარგად ცნობილი მიზეზების გამო, მოითხოვდა მსოფლიო ომიდან დაუყოვნებლივ გამოსვლას და გერმანიასთან ზავის დადებას; 2. ლ. ტროცკი, რევოლუციის პერმანენტულობიდან გამომდინარე მიიჩნევდა, რომ გერმანიასთან ზავის დადება იქნებოდა გერმანიის და ევროპის პროლეტარიატის ღალატი, გერმანიაში რევოლუციის შემაფერხებელი ფაქტორი და ამიტომ მოითხოვდა თუ გერმანიასთან ომს არ გააგრძელებდნენ, ზავი მაინც არ შეეკრათ. აქედან ლოზუნგი: არც ომი და არც ზავი; 3. რადიკალური რევოლუციური პოზიცია ეკავა ნ. ბუხარინს და მის მომხრეებს. რევოლუციის პერმანენტულობიდან გამომდინარე, იგი მოთხოვდა მის გავრცელებას ევროპის

ქვეყნებზე. მიაჩნდა, რომ თუ რევოლუციური რუსეთი მსოფლიო რევოლუ-ციურ პროცესს არ უბიძგებდა, თუ რევოლუციური ევროპა რუსეთს არ დაეხმარებოდა, სოციალიზმის მომავალი სათუო იყო. თავდაცვა წაგების ტოლფასია რევოლუციების დროს.

1917წ. დეკემბრიდან მოყოლებული, სამი თვის მანძილზე საკითხი გადაუწყვეტი იყო, რადგან ამ სამ ლიდერს შორის კომპრომისი ვერ მოინახა. უმრავლესობა ნ. ბუხარინის პოზიციას იზიარებდა. ვ. ლენინი გამოუვალ მდგომარეობაში იყო. გერმანიასთან ზავის დაუდებლობას შეიძლება მისთვის ცუდი სამსახური გაეწია. ასე გაგრძელდა სანამ საქმეში არ ჩაერია ი. სტალინი, რომელიც პრაქტიკოსებშიც კი პრაქტიკოსი იყო. მან საჭირო მომენტში უმეტესობა მოაპოვებინა ბელადს. მან ასევე საჭირო მომენტში პარტიიდან გარიცხვისაგან იხსნა ზინოვიევი და კამენევი, რომელთა პოზიციას გარკვეული გავლენა ჰქონდა პარტიულ მასებზე. მისი მცდელობით, ცნობილი ბრესტის ზავი გერმანიასთან დაიდო და სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობას) მიეცა საშუალება რევოლუციური გარდაქმნებისათვის მიეხედა.

ბოლშევიკური პარტიის მიერ ძალაუფლების მოპოვებით სათავე უნდა მისცემოდა დიად გარდაქმნებს. მოსახლეობის პროცენტზე ნაკლებს დანარჩენთა ან დათრგუნვა ან სოციალისტური გარდაქმნა უნდა უზრუნველეყო. ცხადია ეს დიდი ძალადობის და დიდი სისხლის გარეშე ვერ მოხდებოდა.

9.4. სამხედრო კომუნიზმი და ახალი ეკონომიკური პოლიტიკა

1917 წლის 25 ოქტომბრის აჯანყებას, ვ. ლენინის რწმენით, საფუძველი უნდა ჩაეყარა სოციალიზმზე და კომუნიზმზე გადასვლისათვის. საწყის პერიოდში, საბჭოთა მთავრობამ, განახორციელა სწრაფი და მკვეთრი ღონისძიებები, რათა არსებული ეკონომიკური პოტენციალი საკუთარ გამგებლობაში მოექცია. ცოტა მოგვიანებით ამ პერიოდს კაპიტალზე „გვარდიული შეტევა" ეწოდა. მცირედ ბურჟუაზიულ, ფეოდალურ რუსეთის იმპერიაში, კონკრეტულ-ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე, საჭირო იყო ეკონომიკური პოლიტიკის ხშირი და გაბედული ცვლა.

თუ ყოველი რევოლუციის პირველი ამოცანა ძველის მსხვრევაა, რუსეთი ამ კანონზომიერებას ვერ აცდებოდა. იმედის მომცემ ლოზუნგებით

მოსული საბჭოთა მთავრობა სწრაფად არღვევდა იმპერიულ ბიუროკრატიულ სისტემას და ე.წ. „ტრიუმფალური მსვლელობით" ამკვიდრებდა იმპერიულ-ბიუროკრატიულს, რადგან გაუნათლებელ ბნელ ქვეყანაში, ახალი მთავრობა, ძველ აპატარს უნდა დაყრდნობოდა, საკუთარი კადრების არ არსებობის გამო. ძველი კი მხოლოდ ბიუროკრატიული იყო. მართვის ძველი კადრებით ახალი საქმის კეთება შეგნებულობაზე დაყრდნობით ვერ განხორციელდებოდა, საჭირო ხდებოდა მკაცრი იძულება. იძულება იყო ის ბერკეტი, რომლის გამოყენებით, საბჭოთა მთავრობამ მოკლე დროში შეძლო ე.წ. „სამხედრო კომუნიზმის" პრინციპების შემოღება. მწვავე სამოქალაქო ომის მოგება და უცხოური ინტერვენციის მოგერიება, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე (ცნობილ ნეპ-ზე) გადასვლა.

საბჭოთა კავშირის ისტორიის ამ პერიოდის შესახებ მკვლევარებს ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება აქვთ გამოთქმული. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ სამხედრო კომუნიზმი იყო ჭეშმარიტი მარქსისტული პრინციპების დამკვიდრების ცდა, მეორენი ამ ღონისძიებებს იძულებითს, გარემოებით განპირობებულს უწოდებდნენ, მესამენი მიიჩნევენ, რომ მსგავსი გადაწყვეტილებები სხვა მეომარ სახელმწიფოებშიც ხორციელდებოდა და მათში სოციალისტური არაფერი არ არის. ისეთი ღონისძიებანი, როგორიცაა პროდუქტების წარმოება-განაწილებაზე მონოპოლია, ფასების რეგულირება, შრომის საყოველთაო ვალდებულება, წარმოების მონოპოლია და გეგმიურობის ელემენტების დანერგვა, იმ პერიოდში და შემდეგაც, ვითარებიდან გამომდინარე ბევრ კაპიტალისტურ სახელმწიფოში განხორციელებულა, სოციალიზმზე ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე.

რაც შეეხება ნეპ-ს (ახალი ეკონომიკური პოლიტიკა), მის შესახებ არაა აზრთა ერთიანობა. ერთნი ფიქრობენ, რომ ეს იყო მარქსიზმიდან უკან დახევა, სოციალისტური რევოლუციის უდღეობის აღიარება. მეორეთა აზრით იგი წმინდა რუსული მოვლენაა და საერთო კანონზომიერების ელემენტების დანახვა მასში გამორიცხულია. მესამეთა მტკიცებით გაწერის მეთოდის შეცვლა გადასახადების დაწესებით, ფულად-სასაქონლო ურთიერთობების შემოღება სოციალიზმის მშენებლობის ის ძირითადი გზაა, რომელსაც ვერც ერთი ქვეყანა ვერ აცდება. თვით ნეპ-ს ხანგრძლივობა ზოგიერთის აზრით გრძელდებოდა 1921-1922 წლებში, სხვების ფიქრით 1929 წლამდე, ზოგი ვადას 1932 წლამდე, 1936 წლამდე, 1938 წლამდე სწევდა და ზოგი სოციალიზმის დასასრულამდე ვარაუდობდა. რაც შეეხემა თეორიულ და პრაქტიკულ ნეპ-ს შორის ფარდობითობას, ეს საკითხი ლიტერატურაში არც განხილულა.

სამხედრო კომუნიზმისა და ნეპი-ს შესახებ ზოგადი წარმოდგენის ქონა აუცილებელია, რათა გაგებული იქნეს სოციალიზმის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების ბუნება, დადგინდეს საერთო და განმასხვავებელი მარქსიზმსა და ლენინიზმს, ლენინიზმს და სტალინიზმს შორის, რათა წარმოდგენა ჩამოაყალიბდეს საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების ნამდვილი ბუნების შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლების პირველივე ღონისძიებები ითვალისწინებდნენ ეკონომიკური სიმძლავრეების კონცენტრირებას. ეს მით უფრო აუცილებელი და რთული შესასრულებელი იყო, რომ ბოლშევიკებს არც მართვის ცოდნა ჰქონდათ და არ შესაბამისი კადრი არსებობდა. მთავრობა იძულებული იყო ანგარიში გაეწია ცოდნით, გამოცდილებით, ეკონომიკური სიძლიერით მასზე მაღლა მდგომი კადრებისათვის, მიეცა მათთვის მაღალი ხელფასი და მათი დახმარებით ქვეყნის მმართველობა განეხორციელებინა. თუ ადრე სხვაობა ხელფასების მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის იყო ფარდობა 1:20-თან, საბჭოთა მთავრობამ დააწესა 1:5-თან და უმაღლეს ხელფასს ე.წ. ბურჟუაზიული სპეციალისტები ღებულობდნენ.

მარქსიზმი სოციალიზმის პრინციპებს შორის სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებასაც ასახელებდა. უნდა აღმოიფხვრას აზრი იმის შესახებ, თითქოს ხელმძღვანელი, ბელადი, წინამძღოლი უკეთესი ცხოვრების ღირსია ვიდრე რიგითი მუშა, — იყო ასეთი დასკვნა. ვ.ლენინმა მთავრობის წევრებს დაუწესა ქვეყნად მოქმედი მინიმალური ხელფასი, ოჯახის უმუშევარ წევრზე ხელფასის 20%-ის დანამატით. მარქსიზმი სოციალიზმზე გადასვლას კაპიტალისტური განვითარების უმაღლესი ეტაპიდან ვარაუდობდა, როცა ქვეყნად სიმდიდრის განაწილება იქნებოდა შესაძლებელი. ვ. ლენინმა მინიმალური ხელფასები დაუწესა მთავრობის წევრებს მოკაპიტალისტებულ ფეოდალურ ქვეყანაში, სადაც მხოლოდ სიღატაკის განაწილება იყო შესაძლებელი. ამიტომ ეს ღონიძიება თავიდანვე განწირული იყო ჩაშლისათვის. ფართოდაა ცნობილი, რომ ლ. ტროცკი რკინიგზაზე ბრონირებული მატარებლით გადაადგილდებოდა, მას თან ფუფუნება და დროსტარება სდევდა. საპირისპიროს აკეთებდა ი. სტალინი, რომელიც მკაცრად იცავდა განაწესს. უმეტესობა მაინც კარგ ცხოვრებას ამჯობინებდა შიმშილს და სიღატაკეს. სხვანირად წარმოუდგენელია ცხოვრება ქვეყანაში, სადაც ბოლშევიკების ბელადი, მთავრობის მეთაური ვ. ლენინი იძულებული იყო „სახელმწიფო საჭიროებისათვის" უკრაინიდან რამდენიმე ქვაბი ეთხოვა, სადაც მარილისათვის თანახმა იყო ალყა შემოერტყა საბადოსათვის, დაეხოცა მშიერი მშრომელები და მარილი მაინც გაეტანა, სადაც იძულებული იყო დიდი სასჯელი ეპატიებინა

ს. ორჯონიკიძისათვის, იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი ინესა არმანდს და მის ვაჟს ჩრდილოეთ კავკასიაში დაასვენებდა და ა.შ. შემაზრზენია იმ სიტუაციის წარმოდგენა, რომელიც რუსეთის სინამდვილეს, სოციალიზმის მშენებლობის თავისებურებებს ასახავდა. ვ. ლენინის წერილებში და დეპეშებში უამრავი ფაქტობრივი მასალაა თავმოყრილი.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველსავე თვეებში ექსპლოატატორთა ექსპროპრიაციამ გარკვეული სიმძლავრეები მოაქცია სახელმწიფო საკუთრებაში. 1918 წ. გაზაფხულზე დაისვა საკითხი ნაციონალიზაციის ტემპის შენელებისა და არსებულ საშუალებებზე აღრიცხვისა და კონტროლის დაწესების შესახებ. უკონტროლობა ხაზინის ქურდობის გამომწვევია და ამიტომ მას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. ვ. ლენინი მიიჩნევდა, რომ მკაცრი აღრიცხვა და კონტროლი ის კაპიტალისტური ღონისძიებებია, ურომლისოდაც სოციალისტურ მეთოდზე, მუშათა მიერ წარმოებისა და განაწილების რეგურილებაზე გადასვლა შეუძლებელია. აღრიცხვა-კონტროლის გატარებასთან იყო დაკავშირებული მეორე ღონისძიებაც: საწყის ეტაპზე საბჭოთა მთავრობა კონტრიბუციის მეთოდს მიმართავდა. ეს იყო დაკანონებული ყაჩაღობა. ვითარება მოითხოვდა გადასახადების სისტემის დანერგვას. აქედან მოხდება სოციალიზმზე გადასვლა ანუ საგადასახადო სისტემის ლიკვიდაცია. მარქსიზმის მიხედვით სოციალისტურ საზოგადოებაში, მშრომელთა ქვეყანაში, უნდა ყოფილიყო იაფი მმართველობა და მშრომელებს მის შესანახად გადასახადები არ უნდა გადაეხადათ. სოციალიზმი და გადასახადები შეუთავსებელი ცნებებია — იყო დასკვნა. ვ. ლენინმა განსაზღვრა სოციალიზმზე გადასვლის სხვა ამოცანებიც. ის, რომ კაპიტალიზმი თავის წიაღში ახორციელებს მიწის ნაციონალიზაციას, წარმოების საშუალებათა გასახელმწიფოებრიობას, წარმოების გეგმიურად ორგანიზებას, ცნობილი იყო თეორიიდან და ამის გარკვეული პრაქტიკაც არსებობდა. რამდენადაც, თეორიულად, მხოლოდ ასეთი კაპიტალიზმიდან შეიძლება სოციალიზმზე გადასვლა, ამდენად ვ. ლენინმა განსაზღვრა შესაბამისი ღონისძიებანი. პირველ რიგში ეს ფულად-სასაქონლო სისტემას შეეხებოდა. მარქსიზმი აფრთხილებდა: არაფერი არაა იმაზე დიდი სისულელე, ვიდრე ივარაუდო ფულისა და გაცვლის პირობებში სოციალისტური წესრიგის დამყარება. აქედან გამომდინარე საინტერესოა, რომ ვ. ლენინმა ფულად-სასაქონლო ურთიერთობების მოსპობა და პროდუქტწარმოებისა და პროდუქტგაცვლის ურთიერთობით შეცვლა დაისახა მიზნად. რამდენადაც რჩება გაცვლა (ფულზე), ამდენად სოციალიზმზე საუბარი სისულელეა, — აცხადებდა ბელადი. უფრო საინტერესოა, რომ საბჭოთა კავშირში

ყოველთვის იყო ფულად-სასაქონლო ურთიერთობა და ეს სოციალიზმის აუცილებელ პირობად და ვ. ლენინის დიდ დამსახურებად ითვლებოდა. სინამდვილეში მან დასვა საკითხი ვაჭრობის, აღებ-მიცემობის ცენტრალიზებული განაწილებით შეცვლის შესახებ. ფული თანდათანობით მუშათა მომხმარებლურ-საბიუჯეტო წიგნაკებით უნდა შეცვლილიყო. ვ. ლენინმა სოციალიზმზე გადასვლის აუცილებელ პირობად მწარმოებელ-მომხმარებელ კომუნათა ქსელის შექმნა აღიარა. იგი ასევე დაეთანხმა მარქსიზმს იმაში, რომ სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი უნდა იყოს დროის ეკონომია, სამუშაო დროს შემცირება, მისი რაციონალური განაწილებისა და მოხმარების გზით. ვ. ლენინი მიიჩნევდა, რომ შესაძლებელია მშრომელთა ერთდროული მონაწილეობა შრომაში და მართვაში. 6 საათი ყოველ დღე ფიზიკური შრომა და 4 საათი მართვაში მონაწილეობა. ეს მით უფრო, რომ შეიმჩნეოდა საბჭოების მუშაკთა გაბიუროკრატება და ბელადების, ხელმძღვანელების მისწრაფება არ ეთქვათ არაფერი უარი ხელმძღვანელობისათვის, ერთდროულად ოც საქმეს დასჭიდებოდნენ და არც ერთი ბოლომდე არ მიეყვანათ.

ვ. ლენინის ეს სამოქმედო მონახაზი მიზნად სოციალიზმისაკენ სვლას ისახავდა. ღონისძიებანი მართლაც მრავალმხრივი და არაორდინალური იყო. ცუდად იყო მხოლოდ შესაძლებლობები გათვალისწინებული. წარმოსადგენადაც კი ძნელია რა დონის ქვეყანაში ოცნებობდნენ სოციალიზმზე. 1918 წლისათვის ქვეყანაში წარმოება ხუთჯერ შემცირდა, მსოფლიო ომამდე არსებულ დონესთან შედარებით. ამას ემატება მასობრივი შიმშილობა, სამოქალაქო ომი და უცხოეთის ქვეყნების მხრივ ინტერვენცია. თუ 1916 წ. მოკავშირენი (ინგლის-საფრანგეთი), რუსეთს უთმობდენენ დაპყრობილ ტერიტორიებს თურქეთში, ბოსფორ-დარდანელის სრუტეებს, თურქეთის ევროპულ ნაწილს, იმას რასაც გერმანია ავსტრია-უნგრეთის ხარჯზე მოიპოვებდა, ახალ, 1918 წ. მოკავშირები მოწინააღმდეგეებთან ერთად ცდილობდნენ მის დანაწევრებას. ამას ერთვოდა მძიმე სამოქალაქო ომი და ცხადია ქვეყანა ექსტრემალურ სიტუაციაში იმყოფებოდა.

2.09.1918 წ. საბჭოთა რესპუბლიკა სამხედრო ბანაკად გამოცხადდა, შეიქმნა თავდაცვის საბჭო ვ.ლენინის ხელმძღვანელობით. დაიწყო ყველა საშუალების მკაცრი ცენტრალიზაცია, ყველაფერი დაემორჩილა ფრონტის ინტერესებს. იქმნებოდა ღატაკთა კომიტეტები და მუშათა რაზმები შიმშილისა და ნგრევის შესაჩერებლად. 16-დან 50 წლამდე მოქალაქეებისათვის შრომის წიგნაკები იქნა შემოღებული. სამუშაო ძალას იძულებით ანაწილებდნენ და გარკვეულ ობიექტებზე ამაგრებდნენ. მათ ბაზაზე ყალიბდებოდა შრომითი არმიები, განსაკუთრებით სოფლად

სამუშაოდ. დაიწყეს სოფლად კომუნების შექმნა, ქალაქის მოსახლეობის კოოპერირება. მოქალაქეთა თანაბრად დაკმაყოფილების მიზნით იწყება საბინაო ფონდის გადანაწილება. ცენტრალიზებული წესით მიმდინარეობს სურსათის განაწილება. ქვეითდება ფულის მნიშვნელობა, იხურება ბანკები, გაუქმდა სახელმწიფო ბანკი, შემოღებულია სასურსათო გაწერა გადასახადის ნაცვლად, რაც იმას იწვევს, რომ შეძლებულ გლეხებს ძალით ართმევენ პროდუქტს. მუშები ხელფასის ნაცვლად ღებულობენ სურსათს. უქმდება საგადასახადო სისტემა. მუშები ღებულობენ ცნობას გამომუშავებული საათების ოდენობაზე და ამ ცნობის მიხედვით ურიგდებათ პროდუქტები. ფულად-სასაქონლო სისტემა ადგილს უთმობს პროდუქტების წარმოებასა და განაწილებას. იკრძალება ყოველგვარი კერძო ვაჭრობა. მიმდინარეობს ხელფასების დაახლოება, მაქსიმალური ხელფასი სახელმწიფოში მხოლოდ სამჯერ სჭარბობს მინიმალურს. ყველაფრის დამაგვირგვინებელია მემკვიდრეობის უფლების ლიკვიდაცია. იგულისხმება, რომ თუ ადამიანი მემკვიდრეობით ვერაფერს მიიღებს და არც სხვაზე გადაცემის უფლება ექნება, ის სიმდიდრის დაგროვებაზე არ იფიქრებს.

ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც გატარებული იქნა 1921 წლამდე ცნობილია სამხედრო კომუნიზმის სახელწოდებით. რიგი ღონისძიებებისა მართლაც ატარებდა სოციალისტურ დანიშნულებას, მაგრამ უმრავლესი განპირობებული იყო შექმნილი კონკრეტულ-ისტორიული პირობებით. მარქსიზმი მართლაც მიიჩნევდა, რომ სოციალიზმის დროს ფულად-სასაქონლო ურთიერთობები არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მიაჩნდა, რომ სოციალიზმი ნაადრევი და შეუსრულებელი მისწრაფება იქნებოდა, სანამ ქვეყნის წარმოებით ურთიერთობათა ფუნქციონირება შეიძლება ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა სახით. რუსეთში ასეთი ურთიერთობანი კი მოსპეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ამოიწურა მათი არსებობის შესაძლებლობა, არამედ სასტიკი იძულების გზით, სამხედრო გზით და ამიტომ მოჩვენებით და დროებით. როგორც კი საბჭოთა რესპუბლიკამ მოიგერია გარეშე და შიდა მტრები, დაიწყო გაჭირვებული მოსახლეობის (ძირითადად გლეხობის) აჯანყებები საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ. ხელისუფლების მცდელობა, სისხლში ჩაეხშო გლეხთა მოძრაობა სასურველ შედეგს არ იძლეოდა და მაშინ გადაწყდა გადასულიყვნენ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე (ნეპ-ზე).

1921 წ. გაზაფხულიდან იწყება ნეპ-ზე გადასვლა. გადაწყვეტილება მტკივნეული იყო ბოლშევიკებისათვის, რომლებიც ცხოვრებამ დაამარცხა. ეს იყო მკვეთრი შემობრუნება, აქცენტის სტრატეგიიდან ტაქტიკურ ამოცანებზე გადატანა. იგი ითვალისწინებდა: წვრილი საკუთრების დენაციო-

ნალიზაციას; უცხოური კონცესიების შემოღებას; საზღვარგარეთის კაპიტალის მოზიდვას მეურნეობის აღორძინების მიზნით; მსოფლიო კაპიტალისტურ ბაზართან ნაწილობრივ მიერთებას; წვრილი კერძო საკუთრების აღიარებას; წვრილ საწარმოებში მუშათა ექსპლუატაციის დაშვებას; ფულის შემოღებას, რასაც მისდევდა ყიდვა-გაყიდვა, სპეკულაცია და ა.შ.; პაი-ს სისტემის (მოწილეობის სისტემის) დაშვებას და კაპიტალისტური კოოპერაციის აღორძინებას; სამეურნეო ცხოვრებაში კაპიტალისტური მეთოდების დაშვებას სახელმწიფო კაპიტალიზმის ჩარჩოებში; საგადასახადო სისტემის კვლავ შემოღებას და სასურსათო გაწერის მოსპობას, რაც ნიშნავდა გლეხური პოლიტიკის პრიორიტეტების აღიარებას.

ვ. ლენინი, ახორციელებდა რა ნეპ-ის პოლიტიკას, აღიარებდა, რომ ყოველივე ის, რაც სდება პატრიარქალურ რუსეთში, არ იქნებოდა საჭირო მაღალგანვითარებულ ქვეყანაში. კაპიტალიზმის უმაღლესი ეტაპიდან სოციალიზმზე გადასვლას რამდენიმე წელი დასჭირდება, მაშინ როცა რუსეთის სინამდვილე არავინ უწყის რას მოითხოვს მომავალში, რუსეთი ხომ წვრილგლეხური ქვეყანაა. ასეთი იყო ბელადის დასკვნა.

თუ სამხედრო კომუნიზმის ღონისძიებანი, ნაციონალიზაცია, მკაცრი აღრიცხვა-კონტროლი, გეგმიურობა თავისი არსით კაპიტალიზმს არ უარყოფდნენ, მაგრამ სრულყოფდნენ, ნეპ-ის ღონისძიებანი ამ მიღწევიდანაც უკანდახევა იყო. ამიტომაა რომ ბელადი ნეპ-ს დროებით უკანდახევად მიიჩნევდა და მწუხარებით აღნიშნავდა: რა ვქნათ, გვინდოდა ბევრი სასიკეთო, მაგრამ ფული, აღებ-მიცემობა, ჩვენზე ძლიერი აღმოჩნდა. იგი ერთი მხრივ მიუთითებდა, რომ ფულად-სასაქონლო ურთიერთობა, ვაჭრობის თავისუფლება, ეს ერთეულთა გამდიდრების თავისუფლებაა და ბოლშევიკები უმჯობესია საფლავში ჩაწვებიან, მაგრამ ამას არ დაუშვებენ, მეორე მხრივ კი იძულებული იყო სულ უფრო სრული მოცულობით შემოეღო ძველებური ურთიერთობანი. მას იმედად ისლა რჩებოდა, რომ ძალაუფლება ბოლშევიკების (კომუნისტების) ხელთაა და როგორც კი ეკონომიკა აღორძინდება კვლავ მოისპობა ფულის ბატონობა. ნეპ-ის არსი მას იმაში მიაჩნდა, რომ საბჭოთა მთავრობამ დაუშვა წვრილმწარმოებელთა მხრივ ვაჭრობის თავისუფლება და მეორე, რომ მთავრობა წარმოებაში იყენებდა იმ მეთოდებს, რაც სახელმწიფო კაპიტალიზმისთვისაა დამახასიათებელი.

ვ. ლენინი ფიქრობდა, რომ ნეპ-ი იარსებებდა ცოტა ხნით. სახალხო მეურნეობის აღორძინების შემდეგ კვლავ განახორციელებდნენ ღონისძიებებს, რომლებიც ფულად-სასაქონლო ურთიერთობებს მოსპობდნენ. უკვე 1922 წელს იგი მოითხოვდა ძალთა გადაჯგუფებას ნეპ-ის სამეურნეო შედეგების შენარჩუნების პირობებში, მისი ღონისძიებების გაუქმების მიზნით.

შეძლო თუ არა საბჭოთა მთავრობამ ბელადის ანდერძის შესრულება, ააშენა თუ არა სოციალიზმი და რა სახით, მოსპო თუ არა ექსპლოატაცია და ჩაგვრა, მათ შორის ეროვნული, რატომ დაირღვა საბჭოთა კავშირი და თითოეული რესპუბლიკა რატომ მიუერთდა მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემას, რა არის დღევანდელობა და რა მომავალი განვითარების ტენდენციები, ყოველივე ამის გარკვევა უნდა მოხდეს რეალური სოციალიზმის (საბჭოთა კავშირის, პირველ რიგში) პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების შესწავლის გზით.

9.5.სსრკ შექმნა

საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევამ რადიკალურად შეცვალა რუსეთის და იმპერიაში შემავალი ერების ცხოვრების ნირი. სამოქალაქო ომის დამთავრებისა და უცხო ქვეყნების ინტერვენციის მოგერიების შემდეგ. გამარჯვებულმა საბჭოთა მთავრობამ ყოფილ კოლონიებსაც მიხედა და დიდი ძალისხმევის შემდეგ სოციალისტურ რევოლუციას ყველგან გაამარჯვებინა. იმპერიის საზღვრებში დაბრუნების საფრთხე მხოლოდ პოლონეთმა და ფინეთმა აიცილეს. ფინეთთან მიმართებაში ვ. ლენინის დამთმობლობამ მოხსნა რევოლუციური საფრთხე. მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის მომხრე საბჭოთა მთავრობამ პოლონეთში შეჭრა კი განახორციელა, მაგრამ მარცხი განიცადა, და იძულებული გახდა რევოლუციის ექსპორტზე ხელი აიღო.

დღის წესრიგში დადგა რუსეთის იმპერიის ტერიტორიებზე მცხოვრები იძულებით სოციალისტი ერების შეკავშირება-შერწყმის საკითხი. რა გზას უნდა დასდგომოდა საბჭოთა მთავრობა?

მარქსიზმი ამ პრობლემის მოგვარებისას ვ. ლენინს ვერ გამოადგებოდა. პირიქით, ბურჟუაზიული რევოლუციების ლოზუნგი, ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, მარქსიზმმა გაამაგრა დასკვნით, რომ თუ რომელიმე ქვეყნის მშრომელები აიღებენ ძალაუფლებას და მოინდომებენ ეს ბედნიერება სხვა ერებსაც მოახვიონ თავს, ამით ისინი საკუთარ გამარჯვებას ძირს გამოუთხრიან. მეორე ინტერნაციონალის ბელადები ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფოს მრავალეროვნულობა მისი ჩამორჩენილობის მანიშნებელია. ამ დასკვნას ვ.ლენინიც ეთანხმებოდა, ოღონდ რევოლუციამდე.

1917-1921 წწ. საბჭოთა ხელისუფლებამ მოახერხა და არა მხოლოდ

თავი დაიცვა, არამედ ყოფილი კოლონიებიც შემოიერთა, გაასაბჭოვა და ერთიან სოციალისტურ შარაგზას გაუყენა. ყველაზე გვიან საქართველოს გასაბჭოება მოხერხდა.

რუსეთის იმპერიაში შემავალი ერებისათვის ეროვნული თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის საკითხს მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ვიდრე სოციალურს. რუსეთის სოციალურ-დემოკრატიული პარტია და მისი მხარდამჭერები, ამიტომ, სოციალურ მოწინაღმდეგეებზე უმეტესად ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ძალებს მტრობდნენ და ტერორისტული მეთოდებით თავიდან იცილებდნენ. იმპერიაში შემავალ ერებს შორის ქართველობას საკუთარი სახელმწიფოებრიობის ოთხიათასწლიანი გამოცდილება ჰქონდა. ერი არასოდეს არ შერიგებია მის დაკარგვას. მისი უპირველესი მოთხოვნა და თხოვნა იყო ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომიის მიღება. ეს საკითხი იმპერიის ხელმძღვანელობაში პერიოდულად განხილვის საგანი ხდებოდა. XXს. დასაწყისში დადებითი ვითარება შეიქმნა. იმპერიის სამეფო კარი საქართველოს ავტონომიისაკენ იხრებოდა. მეორე მხრივ, რუსეთ-თურქეთის არაერთგზის ომების დროს საქართველო თანდათანობით იბრუნებდა დაკარგულ მიწებს. მსოფლიო ომის დროს რუსეთის გამარჯვებებმა კავკასიის ფრონტზე ძველი ტერიტორიების მთლიანად შემოერთება რეალური გახადეს. რომ არა ოქტომბრის აჯანყება და რუსეთის ომიდან გამოსვლა – მიზანი მიღწეული იქნებოდა.

საქართველოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის და რუსეთს საქართველოსათვის. ამასთან, ეს დამოკიდებულება გაორებული ხასიათისა იყო. საქართველო მიილტვოდა დიდ მეზობელთან მოკავშირეობისაკენ. რუსეთის მმართველობამ ამით ისარგებლა და მოტყუებით დაიახლოვა, შეიკავშირა, შემდეგ კი კოლონიად აქცია პატარა მეზობელი. საქართველოში მეფობის გაუქმება, სახელმწიფოებრიობის მოსპობა, დიდი დანაშაული იყო. ეს რუსეთის მმართველობამ კარგად უწყობა და გარკვეული გაგებითაც პასუხობდა. ამავე დროს, სტრატეგიული მდებარეობა იმპერიას აიძულებდა საქართველო მტკიცე საყრდენად გამოეყენებინა სამხრეთით წინსვლის საქმეში. დამოუკიდებლობის წართმევის ბოროტების პარალელულად, რუსეთმა დადებითი სამუშაოც ჩაატარა, სამეფოებად და სამთავროებად დაყოფა მოსპო და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება დაიწყო არა ქართველებისათვის, თავისთვის, მაგრამ ერთი მეორეს ემთხვეოდა.

რუსეთთან შეერთებამდე საქართველო პატარა, დანაწევრებული, მაგრამ მაინც ძლიერი და პერსპექტიული ქვეყანა იყო. ჯერ ერთი, სპარსეთი და თურქეთი აღარ წარმოედგენდნენ უწინდებურად მძლავრ იმპერიებს.

მეორე, კავკასიაში მხოლოდ ქართველობას ჰქონდა სახელმწიფოებრიობა შენარჩუნებული და ანგარიშ გასაწევ ძალას წარმოადგენდა. მესამე, ქართველობა ამიერკავკასიის მოსახლეობის ნახევარს შეადგენდა. (მიახლოებითი აღწერით 780000 მაცხოვრებელი. ისინი სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის 47% შეადგენდნენ). გათურქებული ალბანელები (ახლანდელი აზერბაიჯანელები) ამ მოსახლეობის 26% არ აღემატებოდნენ და თან 15 ურთიერთ დაპირისპირებულ სახანოდ იყოფოდნენ. სომხეთის წილი 16%-ს არ აღემატებოდა (მხედველობაშია ე.წ. ერევნის სახანოს მცხოვრებნი). მეოთხე, ქართველებს შორის არასოდეს არ გამქრალა ცენტრისკენული ძალები და ერეკლე II მეფობაში რამდენიმე მცდელობა იყო გაერთიანებისა. მეხუთე, ევროპა უკვე აქტიურად იყო დაინტერესებული ახლო აღმოსავლეთის და მათ შორის კავკასიის პრობლემებით.

საქართველომ დამოუკიდებლობა მიიღო და დემოკრატიული რესპუბლიკა შექმნა იმპერიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შედეგად. 26.05.1918 წ. დამოუკიდებლობის აქტი უფრო გარემოებით განპირობებული ღონისძიება იყო, ვიდრე ქართველ სოციალ-დემოკრატთა თუ სხვა ძალების შეურიგებელი ბრძოლისა. კონკრეტულ-ისტორიულმა პირობებმა ხელი შეუწყეს და დემოკრატიულმა რესპუბლიკამ კონტროლი დაამყარა ისეთ ისტორიულ საზღვრებამდე, როგორც ჩრდილოეთით მდინარე ნიკოფსუხოა (მდ. მცირე ხაზარეთის), აღმოსავლეთით საინგილო (ჩათვლით), სამხრეთით ლორე, ალავერდი, სანოინი (სანაინი) და თურქეთის შემადგენლობაში მოქცეული ტერიტორიების ჩათვლით.

რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური ძალები უდიდესი გაჭირვების დროსაც კი არ უშვებდნენ მხედველობიდან საქართველოს ხელახალი დაპყრობის აუცილებლობას. ყველას კარგად ესმოდა მისი სტრატეგიული მნიშვნელობა. მოგვიანებით (1929 წ.) ს. კიროვმა საიდუმლო მოხსენებაში კარგად ჩამოაყალიბა საქართველოს მნიშვნელობა ბაქოს ნავთობსადენთან, კავკასიის პრობლემებთან და თვით თურქულ-არაბულ სამყაროსთან მიმართებაში. იმპერიის მესვეურებს და მათ მტრებს, — ბოლშევიკებს, ამ საკითხის ერთნაირი გაგება ჰქონდათ. ამიტომ იყო, რომ ცნობილი მონარქისტი გენერალი ა.დენიკინი, 1919 წ. ვიდრე მოსკოვზე გაილაშქრებოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ, ჯერ საქართველოს დაესხა თავს და წაგლიჯა ტერიტორიები მდინარე ფსოუმდე. ამიტომ იყო, რომ ვ. ლენინი დაულალავად შთააგონებდა ს. ორჯონიკიძეს და ს. კიროვს, რომლებიც ჩრდილოკავკასიაში მოქმედებდნენ დაძმობილდებოდნენ მთის მაცხოვრებლებს, შეპირებოდნენ ყველაფერს, თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, რასაც გნებავთ, ოღონდ ისინი საქართველოს საწინააღმდეგოდ განეწყოთ. 7.05.1920

წ. დადებული რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება ბელადს სერიოზულად არ მიუღია. იგი მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს უცდიდა.

18.06.1920 წ. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო დაგენილება მუდმივმოქმედი კოლეგიის შექმნის შესახებ. კოლეგიის უფლება-მოსილებაში ჯერ კიდევ დამოუკიდებელი საქართველოს პრობლემების გადაწყვეტა შედიოდა. პარტია არ ცნობდა საქართველოს პარტორგანიზაციის დამოუკიდებლობას. დამოუკიდებელი ქვეყნის ორგანიზაციას თავის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა. იგივე მდგომარეობა იყო მთელი ქვეყნის მიმართ.

საბჭოთა მთავრობა სიტყვით აღიარებდა ეროვნული თვითგამორკვევის უფლებას, საქმით მხოლოდ დაპყრობას ცდილობდა. ასერხებდა კიდეც. აზერბაიჯანში წითელი არმიის ძალებით რევოლუციის მოხდენის შემდეგ, ჯერი საქართველოზე მიდგა, მაგრამ საერთაშორისო ვითარების გამწვავებამ პროცესი გადაავადა. არც სასომხეთში იყო რევოლუციური სიტუაცია, მაგრამ სომხეთ-თურქეთის შეთანხმებამ აიძულა რუსეთი რამდენიმე დღეში სიტუაციაც შეექმნა და რევოლუციასაც გაემარჯვა. რჩებოდა საქართველო.

ვ. ლენინი საქართველოსადმი უფრო ფრთხილ პოლიტიკას ადგა, თან საომარ სამზადისს აჩქარებდა. იგი საქმეს ისე წარმოაჩენდა, თითქოს საქართველო ემუქრებოდა აგრესიით რუსეთს და არა პირიქით. საქართველოდან მომდინარე ვითომ საფრთხით შეშფოთებული ბელადი მოითხოვდა აზერბაიჯანში დამატებით 7 დივიზიის გადაყვანას. ისე გამოდიოდა, რომ საქართველო ერთდროულად რუსეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის დაპყრობისათვის ემზადებოდა და საჭირო იყო აგრესორთან საბრძოლველად მოკავშირეთა მოძებნა. ასეთად საბჭოთა რუსეთს თურქეთი ესახებოდა. შედგა კიდეც შეთანხმება მათ შორის.

ვ. ლენინის ინიციატივით 26.01.1921 წ. პარტიის ცკ-ს პლენუმზე სპეციალურად განიხილეს საქართველოსთან კავშირის გაწყვეტისა და ომის დაწყების საკითხი. დაადგინეს ჯარების საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა. ამავე დროს ბელადმა დაამუშავა მოქმედების სამი ვარიანტი: 1) საქართველო-სომხეთის ომის შემდეგ, საზავო ხელშეკრულებით გამოყვეს ოცი კილომერტი სიგანის ზონა, რომელიც არც სომხეთს და არც საქართველოს არ უნდა კუთვნებოდა. ეს იყო ლორე-ალავერდი-სანაინის მიმდებარე ტერიტორიები. აქ სომხები პირველად ერეკლე მეორემ ჩამოასახლა რათა ალავერდის სპილენძის საბადოების ბაზაზე ზარბაზნები დაემზადებინა. მეფის რუსეთმა შემდეგ ამ და სხვა ტერიტორიებზე მასობრივად ჩამოასახლა სომხები და ამით ყველაზე ურჩ ვასალ

საქართველოს ყველაზე ერთგული ვასალი სომხების სახით მოქიშპედ გაუჩინა.

ქართული საისტორიო წყაროების თანახმად, უძველესი დროიდან მოყოლებული იბერებსა და სომხების წინაპრებს, შემდეგ ქართველებსა და სომხებს შორის საზღვარი მდინარე არაქსზე გადიოდა. ჯერ კიდევ ფარნავაზის დროს (IV ს.ძვ.წ.) საზღვრად არაქსია მოხსენიებული. ამიტომაც, დავით აღმაშენებელმა, როცა სასომხეთი გაათავისუფლა, ის ყმადნაფიც ქვეყნად კია არ გამოაცხადა, არამედ შეიერთა, როგორც მისი მამული. სამხრეთიდან მტრებისგან დევნილი სომხობა საუკუნეების მანძილზე მოიწევდა დევნილების სახით და სახლდება იბერიულ-ქალდეულ-ქართულ მიწაზე. განსაკუთრებით დაჩქარდა ეს პროცესი XIX საუკუნეში, რუსეთის ხელშეწყობით (ამ პროცესების შესახებ ფუნდამენტალური გამოკვლევა აქვს ცნობილ მეცნიერს დ. ანუჩინს. დაინტერესებული მკითხველი ბევრს გაიგებს მისი წიგნიდან. რუსეთის მიერ მომზადებული სომხური ნაღმი ვ. ლენინის გათვლით უნდა აფეთქებულიყო 1921 წელს. საბაბი ასე ჩამოყალიბდა: საქართველო-სომხეთს შორის დათქმულ ნეიტრალურ ზონაში მცხოვრებლებს გაჟღლეტა ემუქრებათ თეთრგვარდიელების მხრივ და მათი უსაფრთოების დაცვის მიზნით საჭიროა საქართველოს დედაქალაქ თბილისის დაკავება წითელი არმიის მიერ; 2)კავკასიაში შექმნილი იყო რთული ვითარება. მოსალოდნელი იყო მისი კატასტროფაში გადაზრდა და ასეთ შემთხვევაში საქართველოს დალუპვა ელოდა. ვ. ლენინი გეგმავდა მდგომარეობის განმუხტვას, თბილისის წითელი არმიის ძალების დაკავებით. დეტალები დაკავების შემდეგ დაზუსტდებოდა; 3)მესამე ვარიანტი ითვალისწინებდა საქართველოში პროლეტარული რევოლუციის დაწყებას საბჭოთა წყობილების დამყარების მიზნით. არა ჰქონდა მნიშვნელობა იმ რეალობას, რომ საქართველოში მრეწველობა არ იყო განვითარებული და არც პროლეტარიატი არსებობდა. სასომხეთშიც არ იყო პროლეტარიატი, მაგრამ პროლეტარულმა რევოლუციამ წითელი არმიის დახმარებით მაინც გაიმარჯვა. წითელი არმია ახლაც მზად იყო საქართველოს არ არსებული პროლეტარიატის დასახმარებლად და თბილისის დასაკავებლად.

ვ. ლენინის მიერ გათვლილ ვარიანტებს შორის მესამე აღმოჩნდა მისაღები. 1921 წლის 12 თებერვალს ბორჩალოს მაზრის არ არსებულმა „სამრეწველო პროპეტარიატმა" დაიწყო სოციალისტური რევოლუცია. აზერბაიჯანის მიმდებარე სოფლებში რევოლუციის დაწყება ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა საზღვართან კონცენტრირებულ წითელ არმიას. აქედან თბილისისაკენ მიმავალი გზა ბორჩალოს ტოტით დასახლებულ

სოფლებზე გადიოდა და ცხადი იყო, რომ რუსულ მმართველობას მიჩვეული არაქართველი გლეხობა საქართველოსათვის თავს არ დადებდა. სწორედ ამ „რევოლუციონერმა“ გლეხ-პროლეტარებმა 16 თებერვალს „შექმნეს“ რევოლუციური კომიტეტი და დახმარება სთხოვეს უკვე შემოსულ წითელ არმიას. 15 თებერვალს (ამ ფიქტიურ თხოვნამდე ერთი დღით ადრე) XI არმიის სამხედრო საბჭოს უკვე ჰქონდა ბრძანება ცენტრიდან, რომლის თანახმად საქართველოს დაპყრობა უნდა გაემარ\-თლებინათ, როგორც ნეიტრალური ზონის აჯანყებულ პროლეტართა დაცვა თეთრგვარდიელებისგან. ანგარიშში არ იყო მიღებული ის, რომ ტრადიციად ქცეული, ბრძოლა თეთრგვარდიული საფრთხის წინააღმდეგ, ახლა დამოუკიდებელ საქართველოს ეხებოდა და თბილისი არ იყო თეთრგვარდიული ქალაქი. მოხდა, როგორც მგლისა და კრავის არაკი გვასწავლის და შედეგად, რუსეთმა და თურქეთმა საქართველო გაინაწილეს. რუსეთი, უთმობდა რა თურქეთს საქართველოს მიწებს, დარწმუნებული იყო, რომ ამით თურქეთში სოციალისტურ რევოლუციას სტიმულს აძლევდა.

ვ. ლენინი არა მხოლოდ თვითონ იყო დარწმუნებული ეროვნებისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების პრობლემატიკის საკუთარ ღრმა და უცოდველ ცოდნაში, არამედ სხვასაც ამ ბაზაზე ასწავლიდა და ავაჟ-კაცებდა. მის გამორჩეულ თანამოაზრეთა შორის იყო ცნობილი ს. ორჯონიკიძე. მან (მისი ბიოგრაფების მტკიცებით) 15 წლის ასაკში, რამდენიმე თვე ქუთაისის ციხეში გაატარა და აქ ღრმად დაეუფლა მარქსიზმს. შემდეგ გაიარა ლენინური სკოლა და ღრმად თეორიულად განსწავლულ მარქსისტ-ლენინელად ჩამოყალიბდა. თანამოაზრეს ღრმად სწამდა, რომ სოციალისტური რევოლუცია მთელ მსოფლიოს მოედება, ყველას გააბედნიერებს და ძმებად აქცევს. მოისპობა ეროვნული სახელმ-წიფოები, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საზღვრები, ეროვნული სკოლა, ეროვნული კულტურა და ა.შ. ყოველივეს შეცვლის ინტერნაციონალური სამშობლო, ინტერნაციონალური ენა (დასაწყისისთვის რუსული), ინტერნაციონალური კულტურა და ა.შ. თუ ყველაფერი ეროვნული უნდა შეიცვალოს ინტერნაციონალურით, მაშინ სისულელეა რაიმე ეროვნულისათვის თავის გადადება, როგორც ამას ქართველები სჩადიან და ა.შ.

ასეთი იდეებით შეიარაღებული მოძღვარი ვ.ლენინი, ასეთი იდეებით განსწავლულ მოწაფეს ს. ორჯონიკიძეს, უკვე 18 აპრილს 1921 წლისა, ტელეგრამით უცხადებს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შერწყმის დაჩ-ქარების აუცილებლობის შესახებ. საქმე ეხება ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას, სადაც გამოირიცხება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მისწრაფებანი.

ფედერაციაში საერთო იქნება საზღვარი, საერთო რუსული ჯარი, საერთო რუსული ფული, რუსული ენა და ა.შ. ამ გამჟღავნებული პოლიტიკის არსზე საიდუმლო მოხსენებაში ს.კიროვი აღნიშნავდა, რომ რუსეთისათვის ყოველთვის უფრო მომგებიანი იყო ერთმმართველობაში ჰყოლოდა ბაქობათუმის რეგიონი. რატომ უნდა დაეჭირა საქმე საბჭოთა სახელმწიფო ხელმძღვანელობას ცალკე აზერბაიჯანთან, ცალკე სომხეთთან და ცალკე საქართველოსთან, როცა უფრო მოსახერხებელია ერთი ბრძანებით სამივეს დათანხმება. მით უფრო, რომ ერთად მყოფ ამ სამეულს ურთიერთსაწინააღმდეგო ნაბიჯებსაც გადაადგმევინებ. ვთქვათ თუ საქართველო-სომხეთს შორის არსებულ ნეიტრალურ ზონას, რომელიც გასაბჭოებამდე (1920წ.) სომხეთმა საქართველოს ტერიტორიად სცნო, წაგლეჯავ საქართველოს და მიაკუთვნებ სომხეთს. მათ შორის ხომ დავა არ დაილეკა? მოდავეებს კი შუამავალი სჭირდებათ.

ვ. ლენინმა საქართველოს გასაბჭოებით ამიერკავკასია მოაქცია საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში და მაშინვე დაიწყო ზრუნვა მათი გაერთიანებისათვის. ეს მოდელი შემდეგ საბჭოთა კავშირის შექმნის დროსაც გამოდგა სასარგებლო. უფრო სწორედ, სხვა მოდელი ბელადისათვის მიუღებელი აღმოჩნდა.

ვ. ლენინის მრავალენოვანი სახელმწიფოს კონფედერაციის პრინციპზე აგება შესაძლებლად მიაჩნდა შვეიცარიისათვის, მაგრამ რუსეთის სინამდვილისაგან ისეთ შორეულ მოვლენად, რომ ამ პრინციპის განხილვისათვის დრო არ დაუკარგავს. ცხადი იყო, რომ იმპერია (არა აქვს მნიშვნელობა, რომ ეს საბჭოთა სოციალისტური სახელწოდებისა იყო) კონფედერაციის პრინციპს ვერ იგუებდა.

ვ. ლენინს არც ფედერაცია მიაჩნდა მისაღებ პრინციპად. ფედერაცია თავისი არსით გულისხმობდა ერთა თვითგამორკვევას, დაპყრობილი ერების თავისუფლების აღიარებას. ნიშნავდა ველიკორუსული შოვინიზმის უკუგდებას და „ტუზემეც“ ერებთან გათანაბრებას. ბელადს „ტუზემცები“ სჭირდებოდა მასალად და არა პარტნიორებად. მას სანიმუშოდ მიაჩნდა ამერიკა, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩასული ადამიანები სწრაფად ერწყმოდნენ დამხვდურებს და ამერიკელდებოდნენ. რუსეთის იმპერიაში მცირერიცხოვანი მოსახლეობის ერები თავიანთ სამშობლოში ცხოვრობდენ და ეს ართულებდა მათი რუსეთთან „შერწყმა-შედუღების“ წმინდა საქმეს. ფედერაციის პრინციპი ამ ერებს რუსებთან ათანაბრებდა და ასიმილაციის პროცესს ჩაშლით ემუქრებოდა. ბელადისათვის ამიტომ, ფედერაციული გართიანება ცენტრალიზებული რუსეთის იმპერიაში რეგრესულ ნაბიჯად მიაჩნდა და აცხადებდა, რომ ჭეშმარიტმა მარქსისტებმა

ფედერაციის ცნება თავიანთი მოთხოვნებიდან საერთოდ უნდა გამორიცხონ.

ვ. ლენინი რუსეთის საბჭოთა იმპერიის აგების პრინციპად არც ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას მიიჩნევდა მისაღებად. იმპერია გასაბჭოებამდე აგებული იყო ბიუროკრატიული ცენტრალიზმის პრინციპით. შემავალი ერები მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ თვითმმართველობას. მათი ტერიტორიები ისე იყო დაყოფილი გუბერნიებად, მაზრებად, უეზდებად, რომ არც ერთ მათგანს საკუთარი საზღვრები არა სცოდნოდა და ყოველ ადმინისტრაციულ ერეთეულში რაც შეიძლება მეტი ეროვნების წარმომადგენლები მოხვედრილიყვნენ. ასეთ დროს მათ შორის შუღლის ჩამოგდება ადვილდებოდა და შუღლი თავის მხრივ ამართლებდა რუსული ადმინისტრაციის ყოლას. ეს საქმე იმდენად კარგად იყო აწყობილი, რომ ბევრგან, სადაც ერთი ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობდენენ, იძულებით უსახლებდნენ სხვა ეროვნების ადამიანებს, შემდეგ ამ უმცირესობას უქმნიდნენ შედარებით შელავათიან პირობებს და ამ გზით საერთო გათიშულობის მდგომარეობამდე მიჰყავდა. ვთქვათ, ოსებს რუსებმა ჩრდილო კავკასიაში სამშობლოს დიდი ნაწილი წაართვეს და რუსებით დაასახლეს. ოსები გადმორეკეს საქართველოში, მიმოფანტეს, ძირითადი ნაწილი ჯავის რაიონში დაასახლეს, 1842 წ. „ოკრუგი" შეუქმნეს და ერთიან ქართულ მოსახლეობას სამაჩაბლოში მტერი გაუჩინეს. საქართველოში რუსების მხარდაჭერით მონუსხულმა ოსებმა მალე დაივიწყეს ვინ და როგორ გამოაძევა ისინი სამშობლოდან და ძირითად მიზნად ქართველებთან პრივილეგიების მოპოვება დაისახეს, რაც ცოტა ხნის წინ საქართველოდან გამოყოფის მოთხოვნით დაგვირგვინდა. ასეთი რამ, რომ საბჭოთა იმპერიაში არ მომხდარიყო, რომ გამოერიცხათ ცალკეული ერების ყოველგვარი პრეტენზია ვ. ლენინი მოითხოვდა „ნაციონალური ავტონომიის ქადაგების" აკრძალვას.

რჩებოდა მხოლოდ მკაცრი ცენტრალიზაცია. ვ ლენინს მოსწონდა ცენტრალიზმი, რომელიც დააკმაყოფილებდა ყველა ერისა და ეროვნების მისწრაფებას. ბელადის აზრით მცირე სახელმწიფოების, ეროვნული გაერთიანებების არსებობა შუასაუკუნოებრივი დაქსაქსულობაა, პარტია კი დიდ, ცენტრალიზებულ სახელმწიფოს შექმნას უნდა მიესწრაფოდეს, რადგან სხვანაირად მსოფლიო სოციალისტური ფედერაციული სახელმწიფო ვერ შეიქმნება. ამასთან მსოფლიო ფედერაციულ გაერთიანებას შექმნიან დიდი ერები, რაც შეეხება პატარა ერებს, ისინი საოლქო ავტონომიით უნდა დაკმაყოფილდნენ. მათი თავისუფლების მაქსიმუმი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების უფლებებია.

ასეთი თეორიულ-მეცნიერული მონაპოვარით შეიარაღებულმა

ბოლშევიკურმა პარტიამ ჩვეული სიმტკიცით და ბელადისადმი ერთგულებით ბოჰკიდა ხელი გასაბჭოებული ერების გაერთიანების საქმეს. პროცესი ისე წარმართეს, რომ თვითონ არარუსი ერები უნდა გამოსულიყვნენ ამ მჭიდრო გაერთიანების ინიციატორები. არსებული „სამოკავშირეო ხელშეკრულებით“ გაერთიანება პარტიის ხელმძღვანელობას აღარ აკმაყოფილებდა. 1922წ. დაისვა დამპყრობლის (რუსეთის) და დაპყრობილების (უკრაინა, ბელორუსია, ამიერკავკასიის რესპუბლიკები) უფრო მჭიდრო გაერთიანების საკითხი.

ვ. ლენინი აღიარებდა, რომ „პუტიკი“ შოვინიზმითაა ნაკვები, მაგრამ მასზე უარესი შოვინისტია გარუსებული უცხოელი (როგორებსაც თვითონ და პარტიის ბელადთა უმრავლესობა განეკუთვნებოდნენ). ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში, მოუთმენელი იყო, რომ თუნდაც ფორმალურად, ყოფილ კოლონიებს შეძლებოდათ მონოპოლიისათვის სიტყვის თქმა. სწორედ შოვინიზმით ნაკვები საბჭოთა რუსეთი იყო ამიერკავკასიის გასაბჭოების, შემდეგ კი ერთი მთავრობით, ერთი ენით, ერთი ჯარით შეკავშირების ინიციატორი. ყველა საბჭოთა რესპუბლიკის გაერთიანების საკითხი კი 1922 წ. დაისვა.

რესპუბლიკათა მტკიცე გაერთიანებების საბაბად იქცა უკრაინის საჩივარი რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ. უკრაინელები ჩიოდნენ, რომ მათ არათუ დამოუკიდებლობა, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობის ნასახიც კი არ გააჩნდათ. ბოლშევიკური (უკვე კომუნისტურად მონათლული) პარტიის პოლიტბიურო იძულებული გახდა 11.05.1922წ. მიეღო სპეციალური დაგენილება. რა დადგენილება იქნებოდა, ძნელი არაა შესაფასებლად, რუსეთის მთავრობის ხელმძღვანელობა ხომ იგივე პოლიტბიუროს ხელმძღვანელობა იყო. უკრაინის „ინციდენტთან“ დაკავშირებით შექმნეს კომისია მ. ფრუნზეს ხელმძღვანელობით. კომისიამ საკითხი „შეისწავლა“. შედეგი 10 აგვისტოს მოისმენს. პარარელულად, როგორც ი.სტალინი აღნიშნავდა, ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა „ინიციატივა იკისრეს“ და დასვეს საერთოდ ყველა საბჭოთა რესპუბლიკის გაერთიანების საკითხი.

ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ იმ პერიოდისათვის ყველა რესპუბლიკა გამოდიოდა გაერთიანების მოთხოვნით, რუსეთის გარდა. საბჭოთა რუსეთს, ვ. ლენინს, კომუნისტურ (ბოლშევიკურ) პარტიას ძალით გასაბჭოებული რესპუბლიკები იქით გაერთიანებას „აძალებდნენ“. თამაშდებოდა ფარსი, რომლის ბადალი მსოფლიომ ჯერ არ იცოდა. 11 აგვისტოს პოლიტბიურომ, ამ თხოვნით „იძულებულმა“, შექმნა სპეციალური კომისია, გაერთიანების პროექტის დასამუშავებლად. კომისიაში შეიყვანეს მეორე რანგის ხელმძღვანელები და სათავეში ჩაუყენეს ი. სტალინი.

პოლიტბიუროს წევრებმა და ეროვნების საკითხის თეორეტიკოსმა ვ.ლენინმა კომისიისაგან ოფიციალურად გამიჯვნა აირჩიეს. მიზეზი ის იყო, რომ ჯერ ერთი, ვ.ლენინისაგან ყველამ იცოდა, ყველა რესპუბლიკა რუსეთის შემადგენლობაში უნდა შესულიყო საოლქო-ადმინისტრაციული ავტონომიის უფლებით; ი. სტალინი და კომისია სხვას ვერაფერს დაწერდნენ. მეორე, ის რომ პოლიტბიუროს და ვ. ლენინის თანხმობის გარეშე კომისიის პროექტი განსახილველად რესპუბლიკებს არ გადაეცემოდათ.

ი. სტალინის ხელმძღვანელობით და ვ. ლენინთან ინტენსიური კონსულტაციების ვითარებაში, რესპუბლიკათა გაერთიანების პროექტი მომზადდა და კომისიის განხილვის საგანი გახდა 23 და 24 სექტემბერს. პროექტი ითვალისწინებდა საბჭოთა რესპუბლიკის რუსეთის შემადგენლობაში „ფორმალურ" შესვლას. ვერავინ გაბედა საწინააღმდეგოდ ხმის ამოღება საქართველოს წარმომადგენელ ბ. მდივანის გარდა. ვ. ლენინის წერილიდან ლ. კამენევისადმი 26.09.1922 წ. ირკვევა, რომ მან კარგად იცოდა კომისიის მთელი მუშაობა და „დამოუკიდებლობაში ეჭვმიტანილ" ბ. მდივანსაც ესაუბრა. საბოლოო ანგარიშით, რათა განხეთქილება თავიდან აეცილებინათ, გაერთიანების პროექტი, რომლის ავტორობა ი. სტალინს დაბრალდა, უარყვეს და ვ. ლენინმა თვითონ მოჰკიდა ხელი. მან პირადად შეიმუშავა ახალი პროექტი, რომლის მიხედვით საბჭოთა რესპუბლიკები რუსეთის შემადგენლობაში „ფორმალურად" კი არ უნდა შესულიყო, არამედ რუსეთთან „ფორმალურად" უნდა გაერთიანებულიყვნენ.

რა იცვლებოდა ამით საბჭოთა რესპუბლიკებისათვის?

ვ. ლენინის პროექტის მიხედვით: 1. ყველა საბჭოთა რესპუბლიკა რუსეთთან ერთად „ფორმალურ" ფედერაციულ კავშირს შეკრავდა, სადაც სინამდვილეში მკაცრი ცენტრალიზაცია იქნებოდა; 2. ამ „ფორმალურად" ფედერაციული კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებად ხდებოდა რუსეთის ხელმძღვანელი ორგანოები; 3. კავშირისა და რესპუბლიკათა ფუნქციების გამიჯვნისას რესპუბლიკებს რჩებოდათ საოლქო-ადმინისტრაციული მართვის უფლება; 4. გაერთიანებას არ ეწოდებოდა საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული კავშირი. ფედერაციის ხსენება თავიდანვე ვეტო დადებული იყო. მხოლოდ ერთხელ 1923 წ. თებერვალში მას ი. სტალინმა უწოდა ფედერაციული გაერთიანება და ისეთი რისხვა დაიმსახურა, რომ მსგავსი აღარ გაუმეორებია; 5. რუსეთის უმაღლესი საბჭო გარდაიქმნებოდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ-ს) უმაღლეს ერთპალატიან საბჭოდ (რესპუბლიკათა უკმაყოფილების საფუძველზე 1923წ. ი. სტალინმა დაასაბუთა ეროვნებათა საბჭოს პალატის დაარსების აუცილებლობა); 6. საბჭოთა რესპუბლიკების კომუნისტური პარტიები

უნდა გაერთიანებულიყვნენ რუსეთის კომუნისტური პარტიის შემადგენლობაში საოლქო კომიტეტების უფლებით. ცხადია, ეს პროექტი, დაწუნებული პროექტისაგან ფორმალურად განსხვავდებოდა ტერმინოლოგიით. შინაარსი უცვლელი რჩებოდა.

ამიტომ იყო, რომ ვ. ლენინი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაფუძნების დღეს, 30.12.1922 წ., იმ დროს, როცა საზეიმოდ წყვეტდნენ დაფუძნების ფორმალურ საკითხებს, კარნახობდა: იგი ხაზს უსვამდა ამ კავშირის ნამდვილ არსს, — ავტონომიზაციას და თავს, როგორც ამ ფარსის ავტორი, დამნაშავედ გრძნობდა.

საბჭოთა კავშირის შექმნის საზეიმო სხდომას 2215 დელეგატი ესწრებოდა. აქედან 1667 ჰქონდა გადამწყვეტი ხმის უფლება. ამასთან რესპუბლიკების წარმომადგენლობა ასეთი იყო: ბელორუსიას ჰყავდა 23 დელეგატი, ამიერკავკასიის ფედერაციას (სამ რესპუბლიკას) — 73, უკრაინას — 354 დელეგატი, ხოლო რუსეთს 1217. ხმების ასეთი „თანასწორობის" პირობებში გასაგებია ვის მიერ უნდა დაარსებულიყო საბჭოთა კავშირი.

ნათელია თუ რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ძალით გასაბჭოებული (საქართველოში არც ერთი საბჭო არ არსებობდა. ისინი შექმნეს გასაბჭოების შემდეგ), ძალით გასოციალისტურებული, ფორმალურად მოკავშირე რესპუბლიკები. დესპოტური მმართველობის პირობებში თვით რესპუბლიკები იქმნებოდნენ და უქმდებოდნენ ცენტრის ნებასურვილის მიხედვით. ასე გაუქმდა კარელია-ფინეთის მოკავშირე რესპუბლიკა, ყირიმელ თათართა, გერმანელთა და სხვათა ავტონომიები, ასე შეიქმნა ნახიჭევანის, ყარაბაღის, აჭარის, აფხაზეთის და სხვათა ავტონომიები, ასე გადადიოდა ერთი ერის მიწები მეორე ერის კუთვნილებაში და ა.შ.

საბჭოთა კავშირში ყველაფერი განსაზღვრული იყო ცენტრიდან, ყველაფერს ცენტრი აკონტროლებდა. ეროვნებათშორისო ურთიერთობის სფეროში არსებობდნენ სპეციალური სამეცნიერო კომისიები (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტთან, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიასთან, ისტორიის ინსტიტუტთან). კომისიები დეტალურად და მაღალპროფესიულ დონეზე სწავლობდნენ საბჭოთა ერების, ეროვნებების, ეთნიკური ჯგუფების მდგომარეობას, ურთიერთმიმართებას, დაახლოებისა და დაპირისპირების შესაძლებლობებს და ა.შ. მათი დასკვნები მიდიოდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კონიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებასთან არსებულ კომისიაში. აქედან, შეჯერებული ვარიანტი გადაეცემოდა განყოფილებას, შემდეგ ცკ-ს მდივანს იდეოლოგიის ხაზით და მისი მეშვეობით პარტიულ უმაღლეს ელიტას.

9. 6.რეალური სოციალიზმის პოლიტიკური სისტემა

საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა იქ არსებული ძირითადი სოციალური ჯგუფების ურთიერთობათა გამოხატულებაა. იმის მიხედვით თუ რა კლასები, რა ძირითადი სოციალური ჯგუფები არსებობენ, როგორიცაა მათი მდგომარეობა, მათი ძალთა თანაფარდობა, განვითარების პირობები და მიმართულება, შეიძლება მსჯელობა მთლიანად წყობილებაზე, მის ხასიათზე, პროგრესულობაზე. თავის მხრივ სოციალ-პოლიტიკური სტრუქტურა ადექვატურ ასახვას პოვებს პოლიტიკუ-სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში.

იმის მიხედვით, თუ როგორ იყო შეფასებული ესა თუ ის სოციალური ჯგუფი, მკვლევარებს ხშირად ურთიერთსაპირისპირო დასკვნები გამოჰქონდათ. ევროპისა და ამერიკის წამყვანი სპეციალისტები ვერ ამჩნევდნენ არსებით სხვაობას რეალურ კაპიტალიზმსა და რეალურ სოციალიზმს შორის და მრავლად ქმნიდნენ კონცეფციებს სოციალური სტრატიფიკაციის, ორი სისტემის კონვერგენციის, სოციალური მობილობის შესახებ. ერთნი მიუთითებდნენ, რომ რეალური სოციალიზმის სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა არსებითად კაპიტალიზმის უმაღლესი ეტაპის გამოხატულებაა. მეორენი ამტკიცებდნენ, რომ სოციალიზმის დროს ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრებისაგან ჩამოყალიბდა ახალი კლასი, — თანამდებობის ბურჟუაზია. შესაბამისად, ფულის ბურჟუა შეცვალა თანამდებობის ბურჟუამ, ადრე საკუთრების ოდენობა განსაზღვრავდა კაპიტალისტთა სიდიდეს, ახლა თანამდებობის სიმდიდრე. რეალური სოციალისტური საზოგადოება შეგდება ორი კლასისაგან, — მბრძანებელი ელიტა და შემსრულებელ-მომსახურე მასა.

საბჭოთა კავშირში ისევე, როგორც სხვა სოციალისტურ ქვეყნებში დასავლეთის მეცნიერთა ნააზრევს ცილისწამებას უწოდებდნენ და საპირისპირო თვალსაზრისს ავითარებდნენ. მათი აზრით რეალური სოციალიზმი კლასობრივი საზოგადოებაა, მაგრამ არა ანტაგონისტური.

ჯერ ერთი, რეპოლუციის საწყის ეტაპზე, პოლიტიკური ბატონობის შეცვლის პროცესში, მიმდინარეობს ექსპლოატატორი კლასების, მემამულეებისა და კაპიტალისტების ლიკვიდაცია. მეორე, წვრილბურჟუაზიულ-კერძომესაკუთრულ ელემენტებს (გლეხები, ხელოსნები, ინტელიგენციის ნაწილი) ერთმევათ მშრომელთა ექსლოატაციის საშუალება, მათში ინერგება ახალი შრომითი დისციპლინა. თვით პროლეტარიატი (მუშაკთა კლასი) და გლეხობა იცვლიან ბუნებას, დაჩაგრული კლასებიდან ისინი გაბატონებულ ძალად გადაიქცევიან. მათგან გამოიყოფა ახალი სოციალური

ფენა — ინტელიგენცია, რომელიც საერთო ინტერესებს ემსახურება. საზოგადოების სოციალ-პოლიტიკური წყობის ამ ცვლილებას თან სდევს ქალაქსა და სოფელს, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის წინააღმდეგობის მოსპობა.

კომუნისტ-მკვლევართა ასეთი პოზიცია იყო გამაგრებული არსებული იდეოლოგიის მიერ. მასობრივი პოლიტიკური აღზრდისა და პროპაგანდის საშუალებანი თავს არ ზოგავდნენ სოციალისტური წყობილების ქებადიდებაში. ის ბუნებრივი პროცესი, რაც საზოგადოებრივ განვითარებას თან სდევს თავისებურად იყო გაგებული მკვლევართა მიერ.

პირველ რიგში ეს ეხება ცხოვრების დონეს. სამრეწველო-ტექნიკური პროგრესი იწვევს სოფლის მოდერნიზაციას, მზარდი რაოდენობით გამოიყენება ტექნიკური სიახლენი, ინერგება კულტურულ-საყოფაცხოვრებო ტექნიკა, იშლება არსებითი ზღვარი სოფელსა და ქალაქის ცხოვრების დონესა და ხასიათს შორის. ეს სოციალისტური ქვეყნების მკვლევართა მიერ მიეწერებოდა სოციალიზმის ბუნებას. მიჩნეული იყო, რომ ამ გზით სოციალიზმს სოფელი აჰყავს ქალაქის დონემდე, გადაილახება წინააღმდეგობა მათ შორის, თუმცა არსებითი სხვაობა დროებით კვლავ რჩება.

მეორე რიგში, მიაჩნდათ, რომ გეგმაზომიერად ხდება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის წინააღმდეგობის დაძლევა, რომ სოციალიზმი შრომას ხდის სავალდებულოს, ამით ამცირებს სამუშაო დროს ხანგრძლივობას, ზრდის თავისუფალ დროს, რითაც ფიზიკური შრომის მუშაკებს საშუალებას უქმნის მიაღწიონ წარმატებებს სულიერი ცხოვრების სფეროში. ფიზიკური შრომა იძენს გონებრივი შრომის ელემენტებს.

თქმა არ უნდა, საზოგადოებრივი პროგრესი ცვლის ქალაქისა და სოფლის ცხოვრებას, გარკვეულ წილად აახლოებს მათ, ათანაბრებს მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების მოხმარების შესაძლებლობას. ასევე მიმდინარეობს გონებრივი და ფიზიკური შრომის დაახლოება. ბევრ შემთხვევაში ძნელდება იმის განსაზღვრა სად მთავრდება ფიზიკური და იწყება გონებრივი შრომა. ეს ხდება არა რეალური სოციალიზმის ბუნებიდან გამომდინარე, არამედ საერთო პროგრესის გავლენით. ეს პროცესი, რომ მხოლოდ სოციალიზმს ახასიათებდეს, მაშინ იგივე არ უნდა ხდებოდეს მთელ მსოფლიოში. იდეოლოგიური ასპექტით რეალურის ასახვა არ ცვლის თვით რეალურის ხასიათს.

ქალაქისა და სოფლის ცხოვრების დაახლოება, სოფლად დაქირავებული შრომის ფართე გამოყენება, ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა ყოვლისმომცველობა, არ ცვლის და არც აუქმებს გარკვეულ არსებით სხვაობას და წინააღმდეგობას მათ შორის. გლეხობის დიდი ნაწილის

დაქირავებულ მუშებად გარდასახვა, არ სპობს გლეხობას, მის წვრილ მესაკუთრულ ბუნებას, მის განსხვავებულობას. იგივე ითქმის ფიზიკური და გონებრივი შრომის შესახებ. მათი დაახლოება, მათ შორის გარკვეული ზღვარის წაშლა არ ნიშნავს საერთოდ ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის სხვაობისა და დაპირისპირების წაშლას.

მეორე მხრივ, გარკვევას საჭიროებს მუშათა კლასის (პროლეტარიატის) კუთვნილებითი შემადგენლობა. მცდარია თვალსაზრისი, რომლის მიხედვით პროლეტარის ცნებაში მხოლოდ ფიზიკური შრომის მუშაკი უნდა იგულისხმებოდეს. მაქსიზმისათვის პროლეტარია (მუშაა) ყველა, ვინც საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვით ცხოვრობს. სამუშაო ძალა არაა მხოლოდ ფიზიკური შრომის უნარი. იგი უფრო მეტად უკვე გონებრივი შრომის უნარია. მუშაა ყველა ვინც იძულებულია ყოველდღიურად გააქირაოს ეს უნარი და აღებული ხელფასით იარსებოს. საზოგადოებისათვის, არა აქვს მნიშვნელობა ადამიანი ფიზიკურ საქმიანობას ეწევა თუ გონებრივს. თუ ის ამას ფულის გულისთვის აკეთებს, ის დაქირავებული მუშაა. სხვაობა საზოგადოებისთვის არ არის. ვთქვათ ადამიანი ღებავს კედელს თუ კედელზე ხატავს. არ შეიძლება მღებავი მუშად მივიჩნიოთ, დამხატავი კი ინტელიგენტად. თუ ის ღებავს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, თავისი შინაგანი მოწოდებით ის ინტელიგენტია, თუ ხატავს დაკვეთით ხელოსანი. ადამიანმა ასევე შეკვეთით შეიძლება ლექსი დაწეროს, შეიძლება განცხადება შეადგინოს, არსებითი ამ შემთხვევაში ისაა, ყოველივე კეთდება გასამრჯელოსათვის თუ არა. ამდენად, პროლეტარიატში, მუშათა კლასში, მოიაზრება არა მხოლოდ ფიზიკური შრომის ადამიანი, ან გარკვეული პროფესიის ადამიანი, არამედ ის, ვინც თავის უნარს ყიდის ფულზე. ამ მხრივ საბჭოთა კავშირში მუშათა კლასი არა მხოლოდ წარმოადგენდა საზოგადოების უმრავლესობას, არამედ რჩება კიდეც ასეთად.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კვალობაზე ფიზიკური შრომის მუშათა რაოდენობა მართლაც მცირდება, მაგრამ სანაცვლოდ იზრდება გონებრივი შრომის მუშათა რიცხვი. რაც უფრო სწრაფია პროგრესი, მით მძლავრია ეს პროცესი. ეს თავის მხრივ იწვევს კლასის შინაგანი სტრუქტურის ცვლას, მაგრამ არა კლასის გაქრობას. გონებრივი შრომის მწარმოებლურ შრომად გადაქცევა სხვა არაფერია თუ არა ე.წ. ინტელიგენციის ჭეშმარიტი სახის დემონსტრირება. საბჭოთა კავშირში მიღებული დაყოფა მუშათა კლასი, გლეხთა კლასი, ფენა ინტელიგენცია სხვა არაფერია თუ არა იდეოლოგიური ზემოქმედების მეთოდი. გონებრივი შრომის მუშაკთა ინტელიგენციის კატეგორიაში გაერთიანება იმდენ

გაუგებრობას ბადებდა, რომ ბოლომდე არავინ იცოდა, რა ნიშნებით უნდა გაერჩია ინტელიგენტი არაინტელიგენტისგან. თუ ყველა ვინც უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა ან არ დაამთავრა, მაგრამ გონებრივ შრომას ეწეა — ინტელიგენტად იქნა მიჩნეული, მაშინ უნდა დავეთანხმოთ, რომ მუშათა კლასმა თავისი ისტორიული როლი ამოწურა და იგი გაქრობის გზაზეა.

ცხოვრება საწინააღმდეგოს ადასტურებს. მატერიალური დოვლათის წარმოების სფეროში ძირითად ძალას დაქირავებული მუშები შეადგენენ. თანამედროვე საწარმოებში ეს კვალიფიციური სპეციალისტები ინჟინრების და მეცნიერ მუშაკთა დონეზე არიან. თავის მხრივ საინჟინრო-ტექნიკური და მეცნიერ მუშაკთა შრომა კვალიფიციური მუშის შრომას წარმოადგენს. ვის უნდა მიეკუთვნონ ისინი ან რა პრინციპით უნდა იქნან განსხვავებულები თუ ერთნიც და მეორენიც გვერდი-გვერდ შრომობენ ერთნაირი ხელფასის გულისათვის. რა გამართლება უნდა ჰქონდეს მტკიცებას, რომ ის ვინც მეტად შრომობს ფიზიკურად მუშაა, ხოლო ვინც მეტად გონებრივად — ინტელიგენტი? შესაბამისად ერთი ითვლება მუშად და შესაბამისად წარმოების საშუალებათა მესაკუთრედ, სოციალიზმის დროს გაბატონებული, წამყვანი კლასის წარმომადგენლად, ხოლო მეორე წარმოების საშუალებათა ფლობას მოკლებულ ინტელიგენციის ფენის წევრად. სადაა მტკიცება და რა ლოგიკაზე დაყრდნობით, ერთიც და მეორეც მიდიან საწარმოში (ფაბრიკა, ქარხანა, ლაბორატორია და ა.შ.), ერთსაც და მეორესაც ქირაობენ გარკვეული პირობებით, ერთსაც და მეორესაც გააგდებენ სამსახურიდან უფროსის სურვილით. რაში გამოიხატება ან სხვაობა მათ შორის ან ერთის წამყვანი როლი და პრივილეგირებულობა მეორის მიმართ. უფრო უპრიანია და ლოგიკური დასკვნა: ვისი ბედიც ხელფასზეა დამოკიდებული რეალური სოციალიზმის დროს ერთიან მუშათა კლასს შეადგენს.

ერთიანი მუშათა კლასის შემადგენლობაში უნდა მოიაზრებოდეს გლეხობის დიდი ნაწილი. ის ფაქტი, რომ გლეხი წერილმესაკუთრული ბუნების მატარებელია არაა იმის განმსაზღვრელი, რომ იგი ამავე დროს მესაკუთრეა — თუ გლეხს აქვს მიწის ნაჭერი, რომელიც მას და მის ოჯახს ვერ კვებავს, თუ იძულებულია გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა, რათა იარსებოს, იგი თავისი მდგომარეობით მუშაა. გაორებული ბუნება მიწის მესაკუთრისა და დაქირავებული მუშისა მას მუშაზე უარეს მდგომარეობაში ამყოფებს. გლეხი ისაა, ვინც მიჯაჭვულია მიწას, ამუშავებს და ამ მოსავლით ცხოვრობს. თუ იგი მოწყდა მიწას, იძულებული გახდა გაყიდოს სამუშაო ძალა, მიექირაოს გნებავთ სხვა გლეხს, ის უკვე

დაქირავებულ მუშად გადაიქცევა. საბჭოთა კავშირში გლეხთა უმეტესობა მუშაობდა მეურნეობებში, ღებულობდა ხელფასს როგორც ქალაქის მაცხოვრებელი და ისინი გლეხებად ვეღარ მოიაზრებოდნენ შრომის ხასიათიდან გამომდინარე, თუმცა შეიძლება მიწის პატარა ნაკვეთსაც ფლობდნენ ე.წ. პირადი მეურნეობის სახით. გლეხებად, კატეგორიის პირდაპირი გაგებით ვერ მოიაზრებოდნენ ისინიც, ვინც იძულებული იყო მიეტოვებინა ოჯახი და სამუშაო ქალაქში ეძებნა. მიწის ნაკვეთი, რომელიც მას პირადი მეურნეობის სახით რჩებოდა, არ იყო მისი ცხოვრების ხასიათის განმსაზღვრელი. მიწას და კარ-მიდამოს ასეთები წყდებოდნენ იმის გამო, რომ ქალაქებში აღებული ხელფასი იქ ცხოვრების პირობებს ვერ უკმაყოფილებდა. ასეთი ელემენტების გლეხებად ჩათვლა არ შეიძლებოდა, ისინი ერთიანი მუშათა კლასის შემადგენლობაში უნდა იგულისხმებოდნენ.

საბჭოთა კავშირში მრავლად იყვნენ მომსახურეობის სფეროს მუშაკები. მოსახლეობის რომელ სოციალურ ჯგუფს შეიძლება მათი მიკუთვნება? დაქსაქსული, არა კონცენტრირებულები და არაორგანიზებულები, ისინი თავის სამუშაოს ასრულებდნენ გარკვეული ანაზღაურების საფასურად. მათი მიჩნევა ფიზიკური შრომის მუშებად ისევე არ შეიძლება, როგორც ვერ მივიჩნევთ გონებრივი შრომის მუშაკებად. თავიანთი მდგომარეობით ისინი მატერიალურად შეიძლება რიგ შემთხვევაში ფიზიკური შრომის მუშებზე მეტად უზრუნველყოფილნი იყვნენ, მაგრამ ასევე მეტად დაუცველნი. ფორმით თუ გარკვეულლად განსხვავდებოდნენ ფაბრიკა-ქარხნის მუშაკებისაგან, შინაარსობრივად სხვაობა არ იყო. ისინი ისევე იყვნენ იძულებულნი გასულიყვნენ შრომის ბირჟაზე და გაეყიდათ საკუთარი უნარი, როგორც ყველა სხვა. ამიტომ, თუმცა სამრეწველო მუშებად ისინი ვერ ჩაითვლებიან, მაგრამ ერთიანი მუშათა კლასის შემადგენლობაში უაჭველად მოიაზრებიან.

საბჭოთა კავშირში ყოველი სოციალური ჯგუფი პირდაპირ (მუშათა კლასი) თუ არაპირდაპირ (კოლმეურნე გლეხობა) სახელმწიფოსაგან დაქირავებული სამუშაო ძალას წარმოადგენდა. მუშას უშუალოდ საწარმოს ხელმძღვანელი ქირაობდა, რომელიც დაქირავების მომენტში სახელმწიფოს წარმომადგენელი იყო. თავის მხრივ საწარმოს ხელმძღვანელი გამოდიოდა დამქირავებლად და დაქირავებულად, რადგან მასაც ვიღაცა (რეგიონალური ხელმძღვანელობა, სამინისტრო, სამმართველო) ქირაობდა სახელმწიფოს სახელით. ასეთი იერარქია ადიოდა სახელმწიფო ხელმძღვანელობის უმაღლეს დონემდე. იყო სურათი, როცა საბჭოთა კავშირის ყოველი მომუშავე სუბიექტი სახელმწიფოს დაქირავებულ

მუშაკს წარმოადგენდა. ეს ქმნიდა ილუზიას, რომ ყველა დაქირავებულია, ყველა ერთნაირ მდგომარეობაშია და ამდენად მოსპობილია ცნობილი კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ღაყოფა წარმოების საშუალებათა მფლობელებად და მათგან დაქირავებულ მუშებად. რამდენადაც ყველა დაქირავებულია, ყველა ამ მხრივ თანაბარ მდგომარეობაშია და შესაბამისად მოსპობილია საზოგადოების დაყოფა ექსპლოატატორებად. სოციალიზმი ექსპლოატაციისგან თავისუფალი წყობილებაა. სოციალისტური ქვეყნების იდეოლოგიურ-მეცნიერთაგან განსხვავებით, კაპიტალისტური სამყაროს მკვლევარები ამტკიცებენ რეალურ სოციალისტურ საზოგადოებაში კლასობრივი ანტაგონიზმის არსებობას. მათი მტკიცებით, არსებული სოციალიზმი, თეორიული სოციალიზმისაგან განსხვავებით არ ქმნის სოციალისტური ერთგვაროვნების შესაძლებლობას. ისინი მიუთითებენ ისეთი კლასების არსებობაზე, როგორც მათი განმარტებით არის პარტიულ-იტელიგენტური ხელმძღვანელი ზედაფენა. საშუალო რგოლის ხელმძღვანელები და პარტიული მუშაკები წარმოედგინათ საშუალო შეძლების კლასად. ამას გარდა ასახელებენ დაბალი შეძლების კლასებს, მუშებს და გლეხებს. ამ მკვლევართა ნაშრომებში მრავლადაა მასალა იმის დასადასტურებლად, რომ კლასობრივი ზღვარი სოციალისტურ ქვეყნებში სულ უფრო შესამჩნევი ხდება. იმის გამო, რომ ამ ქვეყნებში ზღვარი მაღალ და დაბალ ხელფასებს შორის ბევრად აღემატება შესაბამის ზღვარს კაპიტალისტურ ქვეყნებში, კლასობრივი სხვაობაც უფრო საგრძნობია. ვთქვათ ნიდერლანდებში ხელფასის მაქსიმუმი მხოლოდ ხუთჯერ აღემატება მინიმალურს. საბჭოთა კავშირში არავინ იცოდა რეალური განსხვავება.

სახელმწიფო მოხელეებს, როგორც გაბატონებულ კლასს ემატებოდა ე.წ. ნეგატიურ მოვლენათა მატარებელი კლასი, რომელიც რეალურად კერძო მესაკუთრეების კლასს ქმნიდა. ეს ორი კლასი ზღუდავდა თავის რიგებში მუშათა და გლეხთა წარმომადგენლების შეღწევას და ფაქტობრივად ურთიერთშერწყმის გზით მიდიოდა.

საბჭოთა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ შემადგენლობას შესაბამისი ასახვა ჰქონდა მართვის პოლიტიკურ სისტემაში. სახელმწიფოში ყოველთვის არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც არეგულირებენ სოციალ-ეკონომიკურ და იდეურ-პოლიტიკურ ურთიერთობებს. მთლიანობაში ისინი ქმნიდნენ პოლიტიკურ სისტემას. სისტემა წარმართავს ადამიანთა შრომით, პოლიტიკურ, იდეურ, კულტურულ საქმიანობას. პოლიტიკური სისტემის ქმედითუნარიანობაზეა დამოკიდებული ქვეყნის დაცვა, საგარეო და საშიანაო საქმიანობის ეფექტურობა. პოლიტიკური სისტემა ახდენს ქვეყნის შინაგანი შესაძლებლობების კონცენტრირებას, განსაზღვრავს

ფუნქციონირების წარმატებას, მსოფლიო პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ხარისხს.

პოლიტიკური სისტემის ზემოქმედება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე შეიძლება იყოს პროგრესული ხასიათის (როცა აჩქარებს განვითარებას) ან რეგრესული (როცა ანელებს წინსვლას ან იწვევს უკუსვლას).

რეალური სოციალიზმის პოლიტიკურ სისტემას დასავლეთის მეცნიერები, ე.წ. ბურჟუაზიული იდეოლოგები, ტოტალიტარული (ყოვლისმომცველი ჩაგვრის, ტერორისტული ხასიათის) მმართველობას უწოდებდნენ. იგი საკუთარ მოსახლეობას ჩაგრავს და ატყუებს პოლიტიკური ტერორიზმისა და აღვირახსნილი პროპაგანდის მეშვეობით. ასეთ სისტემას ისინი ცივილიზებული, დემოკრატიული (მრავალპარტიული) დასავლეთისათვის მიუღებლად მიიჩნევდნენ.

რეალური სოციალიზმის პოლიტიკური სისტემა, რომლის ეტალონად საბჭოთა კავშირში არსებული სისტემა მიაჩნდათ, თანდათანობით ყალიბდებოდა, ცვლილებას განიცდიდა, სრულყოფილი ხდებოდა და ძლიერდებოდა ათეულობით წლების მანძილზე. სისტემა თავისში აერთიანებდა პირველ რიგში პარტიულ-სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს. მისი წარმოშობა კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის ხელისუფლებაში მოსვლასთანაა დაკავშირებული და არსებობის მანძილზე ამ პრინციპისათვის არც ულალატია. ამას ემატებოდა პროფკავშირული, კოოპერაციული, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მაგრამ ყველაზე მრავალრიცხოვანი მაინც ე.წ. შრომითი კოლექტივები იყო. შრომით კოლექტივში ერთნაირად იყო განივთებული პოლიტიკური და ეკონომიკური ფუნქციები. თვითეული შრომითი კოლექტივი, როგორც ორგანიზმის უჯრედი შეიცავდა სისტემისათვის დამახასიათებელ ყველა ატრიბუტს. როგორც სახელმწიფო, კოლექტივში წამყვანი როლი პარტიულ უჯრედს ეკისრებოდა. ასე ქვევიდან ზევით იყო აკინძული სისტემა და მკაცრად ცენტრალიზებული იმართებოდა ზევიდან ქვევით.

მიჩნეული იყო, რომ პოლიტიკური სისტემა პირველ ყოვლისა საზოგადოების ყველაზე მოწინავე, შეგნებული, ორგანიზებული, ბუნებით სოციალისტური იდეების მატარებელი მუშათა კლასის ინტერესებს გამოხატავდა. ეს არ გამორიცხავდა გლეხობისა და ინტელიგენციის მისწრაფებების ასახვას. რამდენადაც გონებრივი შრომის მუშები ინტელიგენტებად იწოდებოდნენ, იგულისხმებოდა, რომ პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლესი ხელმძღვანელობაც ინტელიგენციის ნაწილია. რა დროს და რა ყაიდის ინტელიგენტები მართავდნენ მშრომელთა სახელით საბჭოთა კავშირს, საყოველთაოდ ცნობილი ისტორიაა. მიაჩდნათ, რომ

მუშათა კლასის პარტია (კომუნისტური პარტია) სრულად ასახავს გლეხობისა და ინტელიგენციის ინტერესებს და ამ მხრივ მუშებსა და გლეხებს (ქალაქსა და სოფელს), მუშებსა და ინტელიგენციას შორის (ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკებს შორის) არავითარი აზრთა სხვაობა, არავითარი წინააღმდეგობა არ შეიძლება იყოს.

რეალური სოციალიზმის პოლიტიკურ სისტემაში წამყვან, წარმმართველ ბირთვს კომუნისტური პარტია წარმოადგენდა. რევოლუციამდე იგი ითვლებოდა მშრომელთა და ჩაგრულთა პოლიტიკური ორგანიზების უმაღლეს ფორმად. ამ მხრივ, ლენინიზმი ესიტყვებოდა და იმეორებდა მარქსიზმს. სხვაობა მხოლოდ ისაა, რომ მარქსიზმი კომუნისტური პარტიის ყოლის საჭიროებას ხედავდა იმ მომენტამდე, როცა მშრომელები ძალაუფლებას მოიპოვებდნენ. ამის შემდეგ პარტიის არსებობას აზრი უნდა დაკარგვოდა. მისი მაორგანიზებელი და წარმმართველი ფუნქცია მშრომელთა სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას, პროლეტარიატის დიქტატურას უნდა ეტვირთა. ვ. ლენინმა უარყო ეს მარქსისტული დებულება და პარტიის აუცილებლობა სრული კომუნიზმის აშენებამდე მიიჩნია საჭიროდ. რამდენადაც საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობაც კი არ დასრულებულა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის ამოწურვის შესახებ მსჯელობაც გამოირიცხებოდა.

უფრო მეტი, იმავე ვ. ლენინის ინიციატივით შეიქმნა ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირი, რომლის ძირითადი დანიშნულება იყო მოზარდებში კომუნისტური პროპაგანდა, მოზარდთა დარაზმვა პარტიის ამოცანების შესასრულებლად. მოგვიანებით კომკავშირს დაემატა პიონერთა და ე.წ. ოქტომბრელთა ორგანიზაციები. ამოცანა ის იყო, რომ მცირე წლოვანებიდან მოყოლებული ყოველი ადამიანი ჰყოლოდათ მუდმივ პოლიტიკურ ხელმძღვანელობის ქვეშ, ჩაენერგათ პატარებისათვის, რომ ყველაფერი რაც პარტიის ხელმძღვანელობით და ლენინის სახელით კეთდება, მათი კეთილდღეობისთვისაა საჭირო, რომ უკეთესი წყობა, უკეთესი ცხოვრება ჯერ არ ყოფილა და შესაბამისად ყოველი ადამიანი ვალდებულია თავი გადასდოს ამ ამოცანების შესასრულებლად.

ყოველი პოლიტიკური სისტემის ძირითად ორგანიზაციას სახელმწიფო წარმოადგენს. მისი მეშვეობით ხდებოდა პარტიული გადაწყვეტილებების რეალიზება. სახელმწიფო უძღვებოდა სამეურნეო-საფინანსო და იდეურ-კულტურული ცხოვრების პროცესებს. გადაწყვეტილებებს ღებულობდა პარტია. პრაქტიკულ ყოველდღიურ სამუშაოს ასრულებდა სახელმწიფო. იყო პერიოდი საბჭოთა ისტორიაში, როცა პარტიული და სახელმწიფო უმაღლესი ხელმძღვანელობა სრულდებოდა ერთი პიროვნების მიერ. ასე

იყო ვ. ლენინის, ი. სტალინის, ნ ხრუშჩოვის დროს. პარტიული და სახელმწიყო ხელმძღვანელობის საბოლოო გაყოფა მხოლოდ 1964 წ. ლ. ბრეჟნევის ინიციატივით მოხდა. არც გაერთიანებას და გაყოფას ხელმძღვანელობის ამ ორი ხაზისა არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა, რადგან ყველაფერს ყოველთვის განსაზღვრავდა კომუნისტური პარტია, რომლის წევრები უეჭველად უნდა ყოფილიყვნენ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა და მონაწილეობა თანაბრად ვრცელდებოდა აგრეთვე პროფესიულ კავშირებზე, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე. ყოველი სახის კოოპერაციული გაერთიანებანი, ეს იქნებოდა სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, საამშენებლო, სავაჭრო თუ საზოგადოებრივი სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაციები, როგორც წესი იმართებოდნენ პარტიის მიერ, მათში პარტიული კადრების მონაწილეობით. ეს ორგანიზაციები საკუთარ საქმიანობას პარტიის პოზიციებიდან აფასებდნენ, მის საერთო პოლიტიკას ატარებდნენ და მხოლოდ ამ ფონზე შეეძლოთ სპეციალური, პროფესიული საქმიანობის შესრულება. საბოლოო ანგარიშით, ნებისმიერი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, შრომითი კოლექტივი, ყველა ასაკის ადამიანი, მათი საქმიანობა მოქცეული იყო პარტიული პოლიტიკის, მისი კონტროლის ორბიტაში, წარიმართებოდა პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულების ჩარჩოებში და ამდენად წარმოადგენდა პოლიტიკური სისტემის შემადგენელ ელემენტს. ასეთი მდგომარეობა არ ეწინააღმდეგებოდა ამ ორგანიზაციათა საწესდებო ვალდებულებებს, რადგან თვით წესდება და პროგრამა უეჭველად განისაზღვრებოდა პარტიის პოლიტიკით. არ დაიშვებოდა ორგანიზაცია, რომლის წესდება და პროგრამა ხელს არ უწყობდა პარტიის ამოცანების შესრულებისათვის დარაზმულობას.

9.7.პოლიტიკური სისტემის დემოკრატიულობა

მოაზროვნეთა მიერ დღევანდელი მსოფლიო საზოგადოებრიობა დაყოფილია დემოკრატიულობის პრინციპით. შესაბამისად მიჩნეული იყო, რომ დასავლეთ ევროპის, ჩრდილო ამერიკის, ავსტრალიის სახელმწიფოები არიან ჭეშმარიტი დემოკრატიის შემქმნელები და ადამინთა უფლებების განუყრელი დამცველი. საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები ითვლებოდნენ ტოტალიტარული მმართველობის სახელმწიფოებად. ამტკიცებდნენ, რომ ამ სახელმწიფოებში დამყარებულია

კომუნისტური და მუშათა პარტიების დიქტატურა, ყველაფერი აზომილ-აწონილია და განსაზღვრული მმართველი ცენტრის მიერ და ადამიანები სხვისი ნების შემსრულებელ მონა-მორჩილ არსებებად არიან ქცეულნი. საყოველთაოდ იყო აღიარებული სხვაობა და დაპირისპირება ამ ორ სისტემას შორის. დანარჩენი მსოფლიო გაყოფილი იყო ამ ორი მოქიშპე ბანაკის გავლენის სფეროდ და იმის მიხედვით თუ სად, რომელ ბანაკს ჰქონდა გავლენა და მიბაძვა, მესამე სამყარო გაყოფილი იყო კაპიტალის-ტური (დემოკრატიული) და სოციალისტური (ტოტალიტარული) ორიენტაციის ქვეყნებად. ამასთან არა იშვიათად, ადგილი ჰქონდა ამ ქვეყნების მიერ ორიენტაციის ცვლას, იმის მიხედვით ვინ მოვიდოდა ხელისუფლების სათავეში და რა მიაჩნდა მას მომგებიანად.

დიდი ხნის მანძილზე მსოფლიოში ცივი ომი არ წყდებოდა კაპი-ტალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებს შორის. ადგილი ჰქონდა შეჯახებებსაც, მაგრამ არა უშუალოდ, არამედ რომელიმე ორიენტაციისა-თვის მებრძოლი ქვეყნის ტერიტორიაზე. ე.წ. დემოკრატიასა და ტო-ტალიტარიზმს შორის უშუალო ომი გამოირიცხებოდა მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების წყლობით. საკონტინენტთაშორისო რაკეტებისა და წყალბად-ნეიტრონის ბომბების ეპოქაში ომი ისევე სახიფათო იყო მსხვერპლისათვის, როგორც აგრესორისათვის და პირუკუ. თავის დროზე დიდმა მოაზროვნე იმანუილ კანტმა იწინასწარმეტყველა მსოფლიო ზავის გარდუვალობა. ეს ეპოქა დამდგარი იყო. ე.წ. დემოკრატიისა და ტოტა-ლიტარიზმის მეტოქეობაში გარკვეულ საშუალო პოზიციას იჭერდნენ საფრანგეთი (ტოტალიტარიზმს იყენებდა და სიმპათიით უყურებდა) და ჩინეთი (მიაჩნდა, რომ აშშ და სსრკ ქარალდის ვეფხვებია, რომლებიც ერთი მეორეს ულრენენ, მაგრამ ვერ უკბენენ). ეს ორი ქვეყანა ცდილობდა არა მხილოდ საკუთარი გზა მოეძებნა, არამედ არსებული დემოკრატიული და ტოტალიტარული სისტემის საერთო ნიშნებიც წარმოეჩინა.

ე.წ. დემოკრატიული ქვეყნების სამყარო თავს იწონებდა იმით, რომ იქ დიდი პომპეზურობით ტარდებოდა არჩევნები, ადამიანები თავისუფლად გამოხატავდნენ აზრს, ეწყობოდა დემონსტრაციები, მსვლელობები და ა.შ. კაპიტალისტურ ქვეყნებში, აღნიშნავდნენ მისი აპოლოგეტები, მოქალაქემ იცის რისი უფლება აქვს სახელმწიფოს მის მიმართ (იმდენად მცირეა ეს მოთხოვნები), მაგრამ არ იცის რა უფლებები აქვს მას (იმდენად ფართეა მისი მოთხოვნები და შესაძლებლობები). ტოტალიტარულ ქვეყ-ნებში პირიქით, მოქალაქემ იცის რისი უფლება აქვს მას და არ იცის რა უფლება აქვს მასზე სახელმწიფოს. სახელმწიფოს ყველაფრის უფლება აქვს. მათი მტკიცებით, სოციალისტური დემოკრატია ნიშნავს სახელმწიფოს

მიერ შრომითი კოლექტივების ფსიქოლოგიურ-პოლიტიკურ იძულებას და კოლექტივების მიერ ცალკეულ წევრებზე ეკონომიკურ და მორალურ ძალადატანებას. ე.წ. დემოკრატიული ცენტრალიზმი არის პიროვნების დამოუკიდებლობის, მოქმედების თავისუფლების, აქტიურობის შეზღუდვა, წინასწარ განსაზღვრა სახელმწიფოს მიერ, სახელმწიფო ხელმძღვანელი ელიტის ინტერესებიდან გამომდინარე.

საბჭოთა წყობილების არსებობის მანძილზე არ დალეულა სალანძღავი და სასაყვედურო ბურჟუაზიულ დემოკრატ იდეოლოგთა და სოციალ-ისტ ტოტალიტარულ პროპაგანდისტებს შორის. ყველა ხერხი და ყველა მეთოდი იყო გამოყენებული ამ შეურიგებელ ბრძოლაში. მეტოქენი არა მხოლოდ განმასხვავებელ ნიშნებს გამოყოფდნენ, არამედ იმ საერთოსაც, რაც ამ ორი სისტემის სახელმწიფოებს ახასიათებდა. აკრიკიტიკებდნენ რა მოპირისპირეს, ერთნიც და მეორენიც თავგამოდებით ამტკიცებდნენ საკუთარი წყობილების, სახელმწიფო სისტემის დემოკრატიულობას. ცალ-ცალკე ორივე მხარეს ისეთი ლოგიკური მსჯელობა ჰქონდა, ისეთი დასაბუთება, რომ მსმენელი უეჭველად დარწმუნდებოდა მათ სიმართლეში. მაგრამ ერთ საკითხში ორი ჭეშმარიტება იქნებოდა? და საერთოდ რას ნიშნავს დემოკრატია?

დემოკრატია-ხალხის თვითმმართველობაა.

სად, რომელ ქვეყანაში იყო განხორციელებული ხალხის თვითმმართვე-ლობა? რა ნიშნები ახასიათებს თვითმმართველობას? მხოლოდ ამ კითხვაზე პასუხი, ამ ნიშნებში გარკვევა მოგვცემს პასუხს თუ რა არის დემოკრატია და მისი მიყენებით ნებისმიერი ქვეყნის წყობილებასთან გაგვარკვევს, არის იქ დემოკრატია თუ არა, თუ ხო, რა დონის და ხასიათის. ცივილიზებული სამყაროს ორგანიზაციულ ფორმას სახელმწიფო წარ-მოადგენს. სახელმწიფოს ხელშია კონცენტრირებული საზოგადოების ყველა შესაძლებლობა. სახელმწიფო აერთიანებს საზოგადოების ძალის-ხმევას და წარმართავს მისთვის გლობალური პრობლემების გადასაჭ-რელად. შესაბამისად, როგორიცაა სახელმწიფო ორგანიზაცია, ისე წარიმართება საზოგადოებრივი ცხოვრება და პირუკუ. სახელმწიფოს ადექვატურობას საზოგადოებრივ ინტერესებთან, განვითარების კანონზომი-ერებასთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, მას შეუძლია დააჩქაროს, გაყინოს ან უკან დასწიოს ქვეყნის განვითარება. ნებისმიერი სახელმწიფოს მოღვაწეობაში ამიტომ არის დაჩქარებული წინსვლის, უძრაობის და ჩავარდნის პერიოდი. კაპიტალიზმსა და რეალურ სოციალიზმს შორის იდეოლოგიურ ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოს შესახებ გამოთქმული კრიტიკული დებულებების უარყოფას. მარქსიზმი

მშრომელთა სოციალისტურ სახელმწიფოს პროლეტარიატის დიქტატურას უწოდებდა. დიქტატურა თეორიულად გაგებული იყო, როგორც ექსპლოატატორული ელემენტების დათრგუნვის იარაღი. არა აქვს მნიშვნელობა არის დემოკრატიული რესპუბლიკა, მონარქისტული რესპუბლიკა, საპრეზიდენტო მმართველობის, საპარლამენტო მმართველობის, ფედერაციული გაერთიანება, კონფედერაციული რესპუბლიკა თუ ხსვა, ყველა გამოხატავს გაბატონებული სოციალური ჯგუფის ინტერესებს და მშრომელებს უწილადებს მდიდრების ნასუფრალს.

თავის მხრივ ბურჟუაზიული მეცნიერები ხაზს უსვამდნენ დიქტატურის და დემოკრატიის ცნებების შეუთავსებლობას. რეალური სოციალისტური სახელმწიფოები, მათი მტკიცებით, გამოდიან ხალხის სახელით და სინამდვილეში ახორციელებდნენ მმართველი ფენების ინტერესებს. თუ საერთოდ სახელმწიფო კლასობრივი ბატონობის ორგანოა, მაშინ სოციალისტური სახელმწიფო გამონაკლისი ვერ იქნება. მით უმეტეს თუ თვით კომუნისტები აღიარებენ მის დიქტატურულ ბუნებას, რაც კანონით შეუზღუდავ მმართველობას ნიშნავს. სიყალბეა აზრი სოციალისტური სახელმწიფოს დემოკრატიულობის, უპირატესობათა შესახებ. რადგან სინამდვილეში ყველაფერს განსაზღვრავს და განაგებს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რომელიც იმავე დროს სახელმწიფო მოხელესაც წარმოადგენს.

საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურა არ უარყოფდა სოციალისტური სახელმწიფოს კლასობრივ ხასიათს. საკითხი ისე იყო წარმოდგნილი, რომ ასეთი ტიპის სახელმწიფო თავიდანვე ნახევრად სახელმწიფოა. იგი სახელმწიფოა ანუ კლასობრივი ბატონობისა და ჩაგვრის იარაღია ბურჟუაზიასთან მიმართებაში. მშრომელებთან (მუშები, გლეხები) მიმართებაში ის არაა სახელმწიფო, არის მხოლოდ მეურნეობის გაძღოლისა და დაცვის ორგანო. პროლეტარიატის დიქტატურა დიქტატურაა ბურჟუაზიასთან მიმართებაში და დემოკრატია – მშრომელების მიმართ. ამასთან, პროლეტარიატის დიქტატურა მოქმედებს სანამ არსებობს ექსპლოატატორული ელემენტები. მათი მოსპობის კვალობაზე პროლეტარიატის დიქტატურა იცვლის ფუნქციებს, კარგავს დათრგუნვის, ძალდატანების ხასიათს და საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაიზრდება. ამის შემდეგ მისი დანიშნულებაა მშრომელთა მონაპოვრის დაცვა, წესრიგის უზრუნველყოფა და მეურნეობის გაძღოლა იმავე მშრომელების საკეთილდღეოდ. ამ კონცეფციის თანახმად სოციალისტური სახელმწიფოს ძირითად ფუნქციებს წარმოადგენდა სამეურნეო-ორგანიზატორული, პოლიტიკურ-დამცველობითი და კულტურულ-აღმზრდელობითი მოღვაწეობა. სამეურ-

ნეო-ორგანიზატორული ფუნქციების შესრულების პროცესში სახელმწიფო ხელმძღვანელობს ეკონომიკურ ცხოვრებას, ადგენს შემდგომი განვითარების გეგმებს, მშრომელებს რაზმავს მის შესასრულებლად, აკონტროლებს შესრულებას, უზრუნველყოფს წარმოების ეფექტიანობას და ხარისხს, ზრდის საწარმოო ძალებს, ანაწილებს ეროვნულ პროდუქტს, ხელმძღვანელობს გაფართოებული კვლავწარმოების შეუფერხებელ მოქმედებას. კულტურულ-აღმზრდელობითი მოღვაწეობის ხაზით განსაზღვრავს ახალი თაობის აღზრდის მიმართულებას და ხარისხს, აგვარებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს, აუმჯობესებს კომუნალურ მომსახურებას, ზრდის სოციალურ უზრუნველყოფის დონეს, სრულყოფს საზოგადოების სულიერ განვითარებას. პოლიტიკურ-დამცველობითი ფუნქციები ითვალისწინებენ სოციალური საკუთრების, მართლწესრიგის, მოქალაქეთა უფლებების დაცვას და მთლიანობაში ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. ამ ხაზით სახელმწიფო საშინაო ფუნქციები ორ ნაწილად დაიყო: საჯარო ხელისუფლება (სახელმწიფოს პოლიტიკურ-სამართლებრივი დაცვის ორგანოები, ჯარი, უშიშროება, სამართალდაცვა) და სამოქალაქო ხელისუფლება (საზოგადოების ეკონომიკურ-კულტურული ფუნქციონირების უზრუნველყოფა). სოციალიზმის იდეოლოგები ამტკიცებდნენ, რომ თანდათანობით საჯარო ხელისუფლება მოისპობა და დარჩება ეკონომიკური-კულტურული.

სოციალისტური იდეოლოგიის კრიტიკოსთა აზრით, ის, რაც ამ სისტემის შიგნით რეალურად ხდებოდა იმის საპირისპიროა, რასაც თეორიულად ამტკიცებენ. ე.წ. კონვენგერციის თეორიის შემქმნელები დ. ბელი, დ. გელბრეიტი, ზ. ბზეჟინსკი, ფ. ხენსონი, ვ. რეპკე, გ. გროსმანი და სხვები, მიუთითებდნენ იმ ფაქტზე, რომ სოციალისტური სახელმწიფო, მმართველი ზედაფენის ინტერესებს ემსახურება და არ დაუშვებს ამ ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებებს. იგი, თავის დანიშნულებით სულაც არ განსხვავდება კაპიტალისტურისაგან და ის, რასაც აცხადებენ კომუნისტური მკვლევარები, სხვა არაფერია, თუ არა ხალხის მოტყუებისა და მორჩილებაში ყოლის მცდელობა.

ე.წ. ბურჟუაზიულ მკვლევართა ამ აზრს გარკვეულწილად იზიარებდნენ სოციალისტური საზოგადოების გარკვეული ფენები. შესაბამისად, ყოველთვის იყო მცდელობა, ამა თუ იმ ფორმით, ცალკეულ პრინციპებთან დამოკიდებულებაში მაინც კრიტიკულად აესახათ რეალური ვითარება, არსებული წყობილების არსი გაეაზრებინათ ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. ზოგი მოაზროვნისათვის საერთოდ მიღებული იყო ყოველგვარი უკლასო საზოგადოების შესახებ მსჯელობა, ზოგს კომუნიზმი წარმოედგინა, როგორც

საზოგადოების მზარდი ყოველგვარი მოთხოვნილებების უფასო სრული დაკმაყოფილება, ფიზიკური და გონებრივი შრომას შორის, სოფელსა და ქალაქს შორის განსხვავებულობის სრული წაშლა, "შრომასა" და "მოხმარება"ზე ყოველგვარი აღრიცხვა-კონტროლის მოსპობა და ა.შ. ასეთი აზრების გავრცელება უეჭველად ბადებდა ეჭვს მისი განხორციელების შესაძლებლობაზე და იწვევდა პესიმიზმს. სინამდვილე კი სხვა რამეს ამტკიცებს.

სახელმწიფოს კვდომის იდეა მარქსიზმის გამონაგონი როდია. უტოპისტ-კომუნისტები არაერთგზის ამტკიცებდნენ ამ გარდუვალობას. ასევე ლოგიკურია დასკვნა, რომ თუ სახელმწიფო წარმოიშობა კლასების წარმოშობასთან ერთად, არის კლასობრივი ბატონობის იარაღი, მაშინ კლასობრივი ბატონობის მოსპობით მან უნდა დაკარგოს ბატონობის ფუნქცია, ხოლო კლასების, გაქრობით მის არსებობას უნდა დაესვას წერტილი. მარქსისტულ თეორიაში მოცემულია პროცესის გარდუვალობის დასაბუთების ცდა, რომელსაც შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ დაეთანხმო ან არა.

მარქსიზმის თანახმად სოციალისტური სახელმწიფოს გადაზრდა კომუნისტურ თვითმმართველობად ხანგრძლივი და თანდათანობითი პროცესია. იგი გუსისხმობს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური და იდეურ-პოლიტიკური პირობების მომწიფებას.

პირველ რიგში აუცილებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. საწარმოო ძალების განვითარება იმ დონემდე, რომ შესაძლებელი იყოს ადამიანთა სასიცოცხლო მოთხოვნილებების ნორმალური და უფასო დაკმაყოფილება. ამავე პერიოდში უნდა მოხდეს ქალაქისა და სოფლის ცხოვრების ხასიათის დაახლოება იმდენად, რომ არ ჰქონდეს ადგილი არსებით სხვაობას მათ შორის. ამ ხაზით საჭირო იქნება მუშათა და გლეხთა არა მხოლოდ საყოფაცხოვრებო, არამედ საწარმოო მოღვაწეობის ხასიათის დაახლოებაც. ასევე გადაილახება არსებითი სხვაობა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის. ყოველივე აღნიშნული მოამზადებს პირობებს იმისათვის, რათა ზედმეტი გახდეს სახელმწიფოს პოლიტიკური ჩარევა საზოგადოებრივ ცხოვრების პროცესში.

სახელმწიფოს კვდომის მატერიალური პირობების შექმნა არის საკითხის ერთი მხარე. არანაკლები მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი კულტურის შესაბამის ამაღლებას. იგი გულისხმობს კომუნისტური შეგნებულობის დამკვიდრებას წარმოებისა და ყოფაცხოვრების სფეროებში.

სახელმწიფოს კვდომის ეკონომიკური და კულტურული პირობების მომზადება ერთბაშად არ ხდება, მაგრამ არც გაუთავებელ პროცესს წარმოადგენს, როგორც ეს ბევრს წარმოუდგენია. ესაა დიალექტიკური განვითარება, როდესაც წინსვლა მით უფრო სწარფია, რაც მეტია პრაქტი-

კული ღონისძიებანი. თუ მხოლოდ მსჯელობაა და პრაქტიკული ნაბიჯები არ ჩანს, მაშინ ყოველივე წმინდა დემაგოგიად გადაიქცევა და გამოიწვევს რწმენის მასობრივ დაკარგვას. ამიტომ საჭიროა თეორიისა და პრაქტიკის სწორი შეხამება.

სახელმწიფოს კედომას, მარქსისტული თეორია დემოკრატიის კედომას უკავშირებს. სახელმწიფოს დემოკრატულობაზე შეიძლება მსჯელობა საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიმართ. სანამ სახელმწიფო არ მოიცავს საზოგადოების ყოველი სოციალური ჯგუფის ინტერესებს იგი ინარჩუნებს პოლიტიკურ იძულებას გარკვეული ელემენტების წინააღმდეგ. როდესაც სახელმწიფო ასახავს მთლიანად საზოგადოების ინტერესებს, მაშინ დემოკრატია გავრცელდება ყველაზე და იგი ისევე გახდება ზედმეტი. როგორც სახელმწიფო. სახელმწიფოს კედომა, მისი გადაზრდა თვითმმართველობად არის დემოკრატიის კედომის პროცესი.

სახელმწიფოს გადაზრდა თვითმმართველობაში ნიშნავს ყოველგვარი ცენტრალური მმართველობის მოსპობას. მხედველობაში არის საჯარო ხელისუფლება ანუ პოლიტიკური მმართველობა. რაც შეეხება სამეურნეო ხელმძღვანელობას. საგნების მმართველობას, იგი ყოველთვის იქნება და უფრო დახვეწილი, სრულყოფილი მეთოდებითა და ფორმებით განხორციელდება.

შრომისა და მოხმარების აღრიცხვა და კონტროლი, სამეურნეო ბუღალტერია კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე იქნება დაყენებული.

კომუნისტური თვითმმართველობა არ ნიშნავს აგრეთვე, რომ საერთოდ აღარ ექნება ადგილი მართლწესრიგის დარღვევას. ცალკეული შემთხვევები რა თქმა უნდა არ გამოირიცხება, მაგრამ მთლიანობაში კომუნისტურად ორგანიზებული საზოგადოება ადვილად შეძლებს მათ აღკვეთას.

სახელმწიფოს დემოკრატიულობის ასეთი მარქსისტული გაგება მთელ ნაზრევს და გარკვეულ დასაბუთებულობას შეიცავს. იგი პრინციპულად განსხვავდება იმ პრაქტიკისაგან, რასაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში.

დემოკრატია ანუ ხალხის თვითმმართველობა არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ყოველგვარი მმართველობის, საზოგადოების ყოველგვარი პოლიტიკური თუ ეკონომიკური გაერთიანების უარყოფა. ისტორია გვასწავლის, რომ ადამიანები ყოველთვის იყვნენ გაერთიანებული ამა თუ იმ ფორმით, ყოველთვის ჰქონდათ გარკვეული სახის მმართველობა და თვითმმართველობა. საზოგადოების მასშტაბით დღემდე მაინც ისტორია იცნობს პოლიტიკურ მმართველობას. ამოცანა, იმაშია რომ პოლიტიკური მმართველობა შეიცვალის პოლიტიკური თვითმმართველობით. თვით-

მმართველობა თავის მხრივ არ ნიშნავს ყოველგვარი ორგანიზებული, ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის უარყოფას.

პოლიტიკურ მმართველობასა და თვითმმართველობას შორის არა მხოლოდ სიტყვიერი, არამედ ღრმად პრინციპული შინაარსობრივი სხვაობაცაა. პირველ რიგში იგი გამოიხატება მმართველობის სიიაფეში. თუ პოლიტიკური მმართველობა გულისხმობს და მოითხოვს სპეციალური გადასახადების არსებობას მმართველი ინსტიტუტების შესანახად, თვითმმართველობის დროს სამოქალაქო საზოგადოება ამ ხარკისაგან თავისუფალია. არ შეიძლება დემოკრატიული ეწოდოს მმართველობის სიტემას, რომლის შენახვა მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას. მეორე რიგში სხვაობა გამოიხატება მართვის სისტემის აგების პრინციპში. პოლიტიკური მართვის ისტორიულად ცნობილი პრინციპი ბიუროკრატიული ცენტრალიზმია. ამის დროს სახელმწიფო ხელისუფლება გაყოფილია ორ ნაწილად: საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. ასეთი დაყოფისას იქმნება საშუალება საკანონდებლო სფეროში დაშვებული იქნეს დემოკრატიის ისეთი ხერხები, როგორიცაა საჯაროობა, არჩევნების გამჭვირვალობა, არჩევის თავისუფლება. ერთი სიტყვით, გათამაშდეს დემოკრატიულობის კომედია. საკანონდებლო ხელისუფლებას ენიჭება ფართე უფლებამოსილება, რათა გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, იმ ნაწილზე, რომელიც რეალურად ხელმძღვანელობს ქვეყნის მთელ ცხოვრებას. ხელისუფლების ამ ორ ნაწილს შორის ძალთა თანაფარდობა აშკარად მეღავნდება საკანონდებლო ორგანოების წარმომადგენელთა მისწრაფებაში, დაიკავონ მაღალი თანამდებობა აღმასრულებელ ორგანოებში, ან ხელი შეუწყონ სასურველ პირს ამ საქმეში. პოლიტიკური მმართველობის თანამდებობრივი წინსვლის კვალობაზე, რაც უფრო მაღალია თანამდებობა, მით მეტია პასუხისმგებლობა და მეტია პირდაპირი და არაპირდაპირი ხაზის შემოსავალი. ეს კი აიძულებს თანამდებობის პირს გააკეთოს ყველაფერი, გაყიდოს ყველაფერი (ოჯახის წევრების ჩათვლითაც კი) ოღონდ შეინარჩუნოს მდგომარეობა ან ოდნავ მაინც წაიწიოს წინ. საზოგადოება, სადაც ყველაფერი ყიდვა-გაყიდვის საგანია, დემოკრატიულობას ვერ დაიჩემებს. საზოგადოება სადაც მცირე ნაწილი ბევრად უკეთესად ცხოვრობს, ვიღრე უმრავლესობა, დემოკრატიული ვერ იქნება, რადგან ბევრად უკეთესად ცხოვრება მხოლოდ უმრავლესობის ხარჯზე შეიძლება. საზოგადოება, სადაც მასობრივი უმუშევრობაა, სადაც ადამიანები იძულებულნი არიან გაიქცნენ საზღვარგარეთ, რათა შიმშილს თავი დააღწიონ, დემოკრატიული ვერ იქნება, რადგან დემოკრატია სამოქალაქო თვითმმართველობაა და არა პოლიტიკური და ეკონომიკური იძულება.

9.8. რეალური სოციალიზმის ეკონომიკური სისტემა

ათეულობით წლების მანძილზე მკვლევარებს შორის იყო აზრთა შეურიგებლობა სოციალიზმის რეალური ბუნების, კაპიტალიზმთან მისი პრაქტიკული და მოჩვენებითი განსხვავების შესახებ.

ერთი მხრივ, სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა პარტიების იდეოლოგები ქება არ იშურებდნენ სოციალიზმის ეკონომიკური სისტემის სამართლიანობაზე, მის ჰარმონიულ ფუნქციონირებაზე, უპირატესობებზე კაპიტალიზმის ეკონომიკურ სისტემასთან შედარებით.

მეორე მხრივ, მკვლევართა გარკვეული ნაწილი არსებით სხვაობას ვერ ხედავდა ამ ორ სისტემას შორის. ზოგი მათ იდენტურ მოვლენებად მიიჩნევდა.

ისეთი ცნობილი ეკონომისტ-მეცნიერები, როგორც ლ. მიზესი, ფ. ხაიეკი, მ. ვებერი, ლ. რობინსონია მიიჩნევდნენ, რომ ამ ორ სისტემას შორის, მიუხედავად დიდი მსგავსებისა, მაინც არის სხვაობა. კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა ბაზრის კანონებით ვითარდება და ეკონომიკურ კანონზომიერებას ექვემდებარება. სხვაა სოციალისტური ეკონომიკური სისტემა, მას პოლიტიკური ნება წარმართავს და არაფერი საერთო ეკონომიკის მოთხოვნებთან არა აქვს. ტოტალიტარული ეკონომიკა ეყრდნობა და წარმოშობს ბიუროკრატიას, არღვევს ღირებულებისა და ფასწარმოქმნის კანონებს, რაზეც მათი იდეოლოგი კ. მარქსი მიუთითებდა. ამ სფეროში კანონზომიერება ხელმძღვანელობის სუბიექტივიზმით იცვლება.

საკითხის ირგვლივ კონცეფციები მრავალია და რაც მთავარია ყოველ მათვანს თავისი თვალსაზრისი ჭეშმარიტი ჰგონია.

თავის დროზე კ. მარქსი ეკონომიკურ სისტემას აფასებდა იმის მიხედვით, თუ როგორ, რანაირად მოიპოვებდნენ ადამიანები ცხოვრების საშუალებებს, რა ხასიათის ურთიერთობები მყარდება მათ შორის შრომის პროცესში, როგორი დამოკიდებულება აქვთ მშრომელებს წარმოების საშუალებებისადმი, როგორია თვით შრომის პროცესი, რა სტიმულებია, როგორია წარმოებული სიმდიდრის განაწილების წესი, რა ხასიათისაა გაცვლა, როგორია მოხმარების პროცესი. კ. მარქსი გამორიცხავდა წარმოების პროცესის გამარტივების ცდას, როგორც მხოლოდ ბუნებაზე ზემოქმედებას სასურველი შედეგის მიღების მიზნით.

ეკონომიკური სისტემის ბუნებას, წარმოების საშუალებებზე საკუთრების ხასიათი განსაზღვრავდა. საკუთრება წარმოადგენს წარმოების რაციონალური ორგანიზაციის საფუძველს.

საბჭოთა კავშირში წარმოების ნივთიერი ობიექტები, ფაბრიკა-ქარხნების

სახით და შრომის საგნები, სათბობი ენერგეტიკის, ნედლეულის სახით ოფიციალურად, კონსტიტუციური კანონმდებლობის საფუძველზე, საერთო-სახალხო საკუთრებად იყო გამოცხადებული. პრაქტიკულად ეს სახელმწიფო საკუთრებაში იყო და სახელმწიფოს მეტად არავის შეეძლო რაიმე პრეტენზია ჰქონოდა.

წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრება თეორიულად მართლაც შეიძლება საერთო-სახალხო საკუთრების გამოვლენის ფორმა იყოს. იგი ასევე შეიძლება კაპიტალისტურ სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდეს. ასეთ შემთხვევაში, ეკონომიკური სისტემის ხასიათის გარკვევა, საჭიროებს წარმოების სუბიქტური ფაქტორის, სამუშაო ძალის სახით, ორგანიზაციის, მისი წარმოების ნივთიერ საშუალებებთან დაკავშირების ჭეშმარიტი ბუნების ცოდნას.

თეორიის თანახმად, როცა წარმოების პროცესის მონაწილე იმავე დროს წარმოების საშუალებათა მფლობელია, როგორც უნდა იყოს სოციალიზმის დროს, მაშინ სამუშაო ძალა უშუალოდ უკავშირდება საშუალებებს და მათ შორის არ დგება დამქირავებელი. ეს მდგომარეობა ადამიანს აქცევს თავისუფალი ასოციაციის წევრად, მასში ქრება შრომის იძულებითი ხასიათის შეგრძნება. ასეთ მწარმოებლებში, როგორც მესაკუთრეში, ყალიბდება მესაკუთრისათვის დამახასიათებელი რაციონალიზმი, შრომის ნაყოფიერებისა და ხარისხის გაუმჯობესებისადმი მიდრეკილება.

სახელმწიფო კაპიტალიზმის დროს, ფორმალურად ისევ, როგორც სოციალიზმის დროს, წარმოების საშუალებანი, სახელმწიფო საკუთრებაა. გარეგნული მსგავსება ვერ დაფარავს იმ ფაქტს, რომ საწარმოში მუშაკი მიდის არა როგორც მესაკუთრე, არამედ, როგორც მესაკუთრის მიერ დაქირავებული, აქედან გამომდინარე შედეგებით.

რეალური სოციალიზმის დროს და ასე იყო არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საწარმოსა და მუშაკს შორის ხდებოდა შეთანხმება წარმოების პროცესში უშუალო მონაწილეობის შესახებ. ამასთან საწარმოს ხელმძღვანელობა გამოდიოდა როგორც დამქირავებელი, მესაკუთრისაგან, სახელმწიფოსაგან ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც განსაზღვრავდა რა პირობებით დაიქირავებდა ამა თუ იმ მუშაკს. მუშაკი იყო უუფლებო. მას შეეძლო მიეღო მონაწილეობა წარმოების პროცესში გარკვეული ანაზღაურების საფასურად. მუშაკი საწარმოში მიდიოდა არა როგორც მესაკუთრე, არამედ, როგორც დაქირავებული სამუშაო ძალა. ამიტომ მუშაკი ეკონომიკურად იყო იძულებული გაეყიდა თავისი უნარი, არ იყო დაინტერესებული შრომის ნაყოფიერების და ხარისხის გაუმჯობესებაში. ეკონომიკური სისტემა

მუშაკთა შეგნებულ ორგანიზებას კი არ ემყარებოდა, არამედ ეკონომიკურ იძულებას.

დამქირავებელი გამოდიოდა სახელმწიფოს სახელით. ამ პოზიციიდან არჩევდა სასურველი ღირებულების სამუშაო ძალას. ამავე დროს თვითონ შეიძლება არც ყოფილიყო დაინტერესებული წარმოების ეფექტურობით. საბჭოთა სისტემა ისე იყო მოწყობილი, რომ გარეგნულად ყველა სახელმწიფოს (ოფიციალურად საზოგადოების) დაქირავებულ მუშაკს წარმოადგენდა. თითოეული დაქირავებული იყო ზემდგომი დაქირავებული პირის მიერ და დაინტერესებული მის კეთილგანწყობაში. ქვემდგომი დაქირავებულის ბედი დამოკიდებული იყო არა მისი სამუშაო ძალის სახმარ ღირებულებაზე, არამედ ზემდგომის კეთილგანწყობაზე. თუ საბაზრო კანონებზე დაფუძნებულ საზოგადოებაში მუშაკისადმი ინტერესი დამოკიდებულია მის უნარზე — შექმნას, ის, რაც საზოგადოებას უეჭველად სჭირდება, საბჭოთა ეკონომიკური სისტემა ამ დაინტერესებას პირადი დაინტერესებით ცვლიდა. ის ამბავი, რომ ყველაფერი იყო სახელმწიფოს საკუთრება, ყველა დაქირავებულს ათავისუფლებდა მესაკუთრის გრძნობისაგან და მისწრაფება ხდებოდა არა მეტი კომპეტენციის, მეტი უნარის გამოვლენა, რათა მისი ღირებულება ამაღლებულიყო, მეტი ხელფასის მიღების მიზნით, არამედ ზემდგომი თანამდებობის პირის, მისი პირადი დამქირავებლის სურვილების შესრულება.

ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო ახდენდა წარმოების რეგულირებას, განსაზღვრავდა წარმოებით ურთიერთობათა პარამეტრებს, აწესებდა სამუშაო დღის ხანგრძლივობას, სახელფასო განაკვეთების ნუსხას და ხელფასის ოდენობას, გასაყიდი საქონლის ფასს და ა.შ. საწარმოო ძალთა ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა განსაზღვრავდა სახელმწიფოსადმი მშრომელების დაქირავებულობის ფორმას. ამას ემატებოდა ის ფაქტორი, რომ შრომა არ იყო გააზრებული სასიცოცხლო მოთხოვნილება. რეალურად ადგილი ჰქონდა შრომის საყოველთაო ვალდებულებას (ეკონომიკური და პოლიტიკური იძულება), სახელმწიფოს მხრივ კონტროლს შრომის ოდენობაზე და შედეგებზე. ჩამოყალიბებული იყო ურთიერთობის ფორმა, როცა ადამიანი არა მხოლოდ დაქირავებულია სახელმწიფოს მიერ, არამედ იძულებულია იმუშაოს მის სასარგებლოდ დამქირავებლის პირობებით. ასეთმა ფორმით და შინაარსით მსგავსებამ წარმოშვა მტკიცება სოციალიზმის ეკონომიკური სისტემის სახელმწიფო კაპიტალიზმის სისტემასთან ერთტიპიურობის შესახებ.

ასეთ დროს, სისტემის ბუნების გარკვევა შესაძლებელია შექმნილი პროდუქტის განაწილების პრინციპის მიხედვით. ამ პრინციპის არსმა

უნდა გვიკარნახოს, განაწილება ხდება სახელმწიფოს თუ ხალხის (მშრომელების) სასარგებლოდ.

დადგენილია, რომ საწარმოში მისული (დაქირავებული) მუშაკის სამუშაო ძალას აქვს სახმარი ღირებულება. უამისოდ მუშაკს არავინ დაიქირავებს. წარმოების პროცესში სამუშაო ძალის ხარჯვით იქმნება ახალი ღირებულება გარკვეული სახის საქონლის სახით. სახელმწიფოს მასშტაბით გაერთიანებული ახალი ღირებულება შეადგენს ერთიან საზოგადოებრივ პროდუქტს. ეს საზოგადოებრივი პროდუქტი ორ ნაწილად იყოფა: 1. ერთიანი საზოგადოებრივი პროდუქტის შესაქმნელად გარკვეული ხარჯების აღსადგენი რაოდენობა და 2. ე.წ. წმინდა პროდუქტები, ანუ ეროვნული შემოსავალი. გასაგებია, რომ ნაწილი ხმარდება წარმოებას, რათა არ შეფერხდეს ახალი ღირებულების შექმნის უწყვეტი პროცესი ანუ კვლავ წარმოება. წმინდა პროდუქტი თავის მხრივ ორ ნაწილად იყოფა: 1. აუცილებელი პროდუქტი და 2. ზედმეტი პროდუქტი. აუცილებელი პროდუქტი აკმაყოფილებს სამუშაო ძალის ხარჯებს. ზედმეტი პროდუქტი (საქონელი, ღირებულება) შეიძლება მოხმარდეს წარმოების გაფართოების, რეზერვების შექმნის, და სხვა სფეროებს მესაკუთრის მიზანმიმართულების მიხედვით. კერძო კაპიტალისტურ საწარმოში მთელ კვლავწარმოების და განაწილების პროცესს მესაკუთრე მეწარმე ან მის მიერ დაქირავებული მენეჯერი განსაზღვრავს. როგორც სოციალისტურ ქვეყნებში იყო კერძო მეწარმეთა სექტორი და სახელმწიფო სექტორი. საბჭოთა კავშირში მხოლოდ სახელმწიფო სექტორი. ცხადია, რომ სახელმწიფო სექტორში სახელმწიფო განსაზღვრავდა საქონელწარმოების მოცულობას, განაწილებას, არასაწარმოო სფეროს ფონდებს და ა.შ. შესაბამისად, სახელმწიფო, მისი უმაღლესი დაქირავებული მუშაკების სახით, განაგებდა ზედმეტი ღირებულების ბედს. იმის მიხედვით თუ როგორ იქმნებოდა ერთიანი პროდუქტი, ნაწილდებოდა იგი, როგორ ხმარდებოდა ადამიანთა საერთო და ინდივიდუალურ ინტერესებს, შეიძლება ვიმსჯელოთ სოციალიზმის ეკონომიკური სისტემის ბუნებაზე.

საბჭოთა კავშირში მოქმედებდა განაწილების ორი პრინციპი, თუმცა ოფიციალურად აღიარებული და კონსტიტუციურად დაკანონებული იყო ერთი. ეს იყო შრომის მიხედვით განაწილების პრინციპი. ლამაზად ჟღერდა: თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს შრომის მიხედვით. განაწილების მეორე პრინციპზე საერთო მსჯელობა არ შეიძლებოდა, თუმცა იგი ფართედ იყო გამოყენებული და მკაცრად რეგლამენტირებული. ეს იყო თანამდებობის ან სხვანაირად პასუხისმგებლობის მიხედვით განაწილება. თუ მუშებს ხელფასი ეძლეოდათ შრომის მიხედვით, დადგენი-

ლი ნორმების ფარგლებში, თანამდებობის პირებს ხელფასები ეძლეოდათ არა შრომის, არამედ თანამდებობის მიხედვით. რაც უფრო მაღალი იყო თანამდებობა, ითვლებოდა, რომ მეტი იყო პასუხისმგებლობა და მაღალი იყო ხელფასი. ამას ემატებოდა სხვა ეკონომიკური პრივილეგიები, რომლებიც საერთო ჯამში ხელფასსაც ბევრს ამეტებდა.

თანამდებობის მიხედვით ხელფასებისა და პრივილეგიების განაწილება, საზოგადოებას მკვეთრად განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებად ჰყოფდა იმის და მიუხედავად, რომ ფორმალურად ყველა სახელმწიფოს დაქირავებულ მუშაკს წარმოადგენდა. მაღალი თანამდებობის პირებისათვის განაწილების ასეთი პრინციპი ზედმეტი ღირებულების ანუ სხვისი შრომის მითვისების შენიღბულ წყაროს წარმოადგენდა და მას არ შეიძლება რაიმე სოციალისტური ბუნება ჰქონოდა.

9.9.ეკონომიკური სისტემის საფუძველი

ყოფილი სოციალისტური ქვეყნების და პირველ რიგში საბჭოთა კავშირის ისტორიული პრაქტიკა ეკონომიკური სისტემის საფუძვლის, — საკუთრების ძირითადი ფორმის შესახებ, მუდამ იწვევდა აზრთა დაპირისპირებას ე.წ. სოციალისტურ და ბურჟუაზიულ მეცნიერებს შორის.

სოციალისტური აზროვნების მკვლევარებს მიაჩნდათ, რომ ყველაფრის განმსაზღვრელია საკუთრების ხასიათი. ის, რომ სოციალისტური წარმოება ფულად-სასაქონლო ხასიათის მატარებელია არაა გადამწყვეტი მნიშვნელობის. მართალია ფაბრიკა-ქარხნებში, მეურნეობებში, კოოპერატივებში პროდუქტები (საგნები) იწარმოება გაყიდვისათვის და ამდენად იგი საქონელს წარმოადგენს, მაგრამ ეს არაა არსებითი დამახასიათებელი, რადგან სამუშაო ძალა საქონელს არ წარმოადგენს ანუ მშრომელი არაა იძულებული მიექირავოს სახელმწიფოს, გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა რათა იარსებოს. მშრომელი იმ შემთხვევაში იქნებოდა იძულებული გაეყიდა სამუშაო ძალა, როგორც საქონელი, თუ წარმოების საშუალებანი სახელმწიფოს კერძო საკუთრება იქნებოდა და არა უშუალოდ ხალხისა. არსებული კონსტიტუცია ცნობდა მხოლოდ საზოგადოებრივ ანუ ხალხის საკუთრებას. ის, რომ სახელმწიფო განაგებს ყველაფერს, არაფერს ნიშნავს, რადგან განაგებს ხალხის სახელით, ხალხის ინტერესებისათვის. თვითონ სახელმწიფო თავისი აპარატით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანე-

ლობით მთლიანად ხალხის სამსახურშია, ამდენად, რაკი კონსტიტუციის თანახმად სახელმწიფო საკუთრება კი არა, სახალხო საკუთრებაა, ამიტომ მშრომელთა სამუშაო ძალა საქონლად არ ჩაითვლება. მშრომელები თვითონ არიან მესაკუთრეები. ესაა სოციალიზმის უპირატესობა კაპიტალიზმთან.

სოციალისტ და კომუნისტ მკვლევართაგან განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდათ ე.წ. ბურჟუაზიულ მეცნიერებს. მათი ამოსავალი იყო ფლობის და განკარგვის საკითხი. საკუთრება შეიძლება არსებობდეს როგორც ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა, ფლობს თუ არა ადამიანი რაიმე საგანს, მიწას, ტყეს და ა.შ. ან როგორც იურიდიული ურთიერთობა, ვთქვათ, ვის აქვს ფლობის უფლება.ამას ემატება თვალსაზრისი, რომ საზოგადოება უნდა დაიყოს არა მხოლოდ საკუთრების უფლების მიხედვით, არამედ იმის თანახმად, თუ ვის აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება და ვინაა ვალდებული მორჩილად შეასრულოს სხვისი გადაწყვეტილება. ცნობილი სოციოლოგის ჯონ ბელის ეს აზრი არ იქნა გაზიარებული ყველა მკვლევარის მიერ, თუმცა მასში გარკვეული ლოგიკა აღიარეს. აქედან გამომდინარე დაიყო სოციალისტური საკუთრება სხვადასხვა ფორმებად. სულ სოციალისტურ ქვეყნებში შვიდი მოდელი დააფიქსირეს. ამავე დროს იყვნენ ისეთი მკვლევარებიც, რომლებიც საკუთრების ფორმათა სხვადასხვაობას უარყოფდნენ და მიაჩნდათ, რომ არის ერთი, — საეხლმწიფო საკუთრება.

აზრთა სხვადასხვაობა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებითაა მოსალოდნელი. რეალური სოციალიზმის ეკონომიკური სისტემის საფუძველთან დაკავშირებით, როგორი დასკვნაა მართებული? ამ პასუხზეა დამოკიდებული, მივიჩნევთ იქ არსებულ ურთიერთობებს სოციალისტურად თუ კაპიტალისტურად.

პირველი რაც საკითხის გარკვევისას უნდა დადგინდეს, ესაა ურთიერთობათა მიმართება. ადამიანები რა თქმა უნდა ფლობენ და განკარგავენ ბუნების საგნებს, მაგრამ საკუთრებითი თვალსაზრისით ამას საგნისათვის მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ადამიანისათვის. ადამიანებს შორის ურთიერთობა სწორედ იმაზეა აგებული თუ ვინ ფლობს, რას ფლობს, როგორ ფლობს. ნებისმიერი წყობილების ანატომია ფლობის და განკარგვის, საკუთრების ხასიათის მიხედვით აიგება და გაიგება.

საზოგადოება, რომ კლასებად (დიდი სოციალურ-პოლიტიკურ ჯგუფებად) არის დაყოფილი მათ შორის არა მხოლოდ არსებითი სხვაობას, არამედ წინააღმდეგობასაც აქვს ადგილი, იცოდნენ და აღწერდნენ XVIII საუკუნის ფრანგი ისტორიკოსები. მარქსამდელი ბურჟუაზიული მეცნიერები

მიუთითებდნენ იმ ფაქტზე, რომ მას შემდეგ რაც თემური წყობილება ირღვევა და აღმოცენდებიან კლასები, კაცობრიობის მთელი ისტორია სავსეა ბრძოლით მდიდრებსა და ღარიბებს შორის, პატრიციებსა და პლებეებს, მონათფლობელებსა და მონებს შორის და ა.შ. მეცნიერები კლასების აღმოცენებასა და მათ ურთიერთობებს კერძო საკუთრების ბატონობას უკავშირებდნენ და მიაჩნდათ, რომ თუ არ მოისპო კერძო საკუთრება და საზოგადოებრივი საკუთრება არ დამყარდა, ყოველთვის ადგილი ექნება კლასთა ბრძოლას. ამ მხრივ მარქსიზმს ახალი არაფერი გამოუგონია. მან მხოლოდ ისტორიულად და ეკონომიკურად სცადა იმის დასაბუთება, რომ კაპიტალიზმი უკანასკნელი წყობილებაა, რომელიც წარმოების საშუალებეზე კერძო საკუთრებას ეფუძნება, იგი თავის განვითარებით ამზადებს ნიადაგს საზოგადოებრივ საკუთრებაზე გადასასვლელად და სოციალიზმი (კომუნიზმი) იქნება პირველი წყობილება, რომელიც საზოგადოებრივ საკუთრებას დაეფუძნება.

სოციალისტური ქვეყნების მკვლევარებს მიაჩნდათ, რომ არსებული სოციალიზმი და პირველ რიგში საბჭოთა სოციალიზმი წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების განხორციელების საუკეთესო მეთოდია. ისინი დაუღალავად მიუთითებდნენ კონსტიტუციაზე, იდეურ-პროპაგანდისტულ ლიტერატურაზე და აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა კავშირში კერძო საკუთრება მოსპობილია, მხოლოდ საზოგადოებრივი საკუთრება არსებობს სამი ფორმით: 1. პირველ რიგში საკუთრება ქალაქად წარმოების საშუალებაზე. არ იყვნენ რა ფაბრიკა-ქარხნების კერძო მფლობელები, მიჩნეული იყო, რომ ეს არის საერთო-სახალხო საკუთრება, სახელმწიფო საკუთრების ფორმით; 2. მიწა ყველაზე უტყუარი და დიდი სიმდიდრე ასევე გამოცხადებული იყო საერთო-სახალხო ანუ სახელმწიფო საკუთრებად. სოფლად ორგანიზებულ მეურნეობებს და კოლმეურნეობებს მიწა სარგებლობაში ეძლეოდათ და არა საკუთრებაში. სახელმწიფოს თავისი შეხედულებების მიხედვით მისი წართმევაც შეეძლო და სხვისათვის გადაცემაც; 3. სოციალისტური საკუთრების განსაკუთრებულ ფორმად იყო მიჩნეული მოხმარების საგნებზე საკუთრება. მას ეწოდებოდა ინდივიდუალური, პირადი საკუთრება, მაგრამ არა კერძო. ამრიგად იყო საერთო-სახალხო საკუთრების ორი ფორმა და შესაბამისად ორი კლასი მუშათა კლასი და კოლმეურნე გლეხობა. მათ გარდა იყო კიდევ ძალზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი ადამიანებისა, რომელთაც ინტელიგენციის ფენა ეწოდებოდა. კლასად არ ითვლებოდა, რადგან რაიმე განსაკუთრებულ წარმოების საშუალებებს არ ფლობდა. ხო და თუ წარმოების საშუალებებს არ ფლობდა, ოფიციალური იდეოლოგიის

თანახმად, კლასიც არ იყო. ამავე დროს უნდა მიეთითოს, რომ ე.წ. ინტელიგენციაზე, მის როლზე იწერებოდა ასეულობით შრომები, მაგრამ გარკვეული მაინც არ იყო, ვინ შეიძლებოდა ჩათვლილიყო ინტელიგენტად და ვინ არა, რა სხვაობა იყო ინტელიგენტს (გონებრივი შრომის მუშასა) და ჩვეულებრივ მუშას შორის.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმის ხაზგასმას, რომ რამდენადაც კონსტიტუციურად დამკვიდრებულია საზოგადოებრივი ანუ სახელმწიფო საკუთრება, ამდენად წარმოების საშუალებანი არ წარმოადგენენ კაპიტალს, რომელიც გაუცხოებულია მშრომელებისაგან, არ უპირისპირდებიან და არ ჩაგრავენ მათ. ამით, მათი მტკიცებით, მოსპობილი იყო საზოგადოების დაყოფა მესაკუთრეებად და დაქირავებულ მშრომელებად. იდეოლოგიური მტკიცების პირამიდის მწვერვალი იყო ამხანაგობითი მიმართვა. უბრალო მუშა, ინტელიგენტი თუ გლეხი მხოლოდ ამხანაგოთი მიმართავდა, თუმცა გაურკვეველი რჩებოდა როგორი ამხანაგობა ჰქონდათ მბრძანებელს და ქვეშევრდომს, მაძღარს და მშიერს, მქონებელს და უქონებელს.

თეორიულად „ასაბუთებდნენ“ სოციალისტური იდეოლოგები, რომ საბჭოთა კავშირში არსებული სახელმწიფო საკუთრება საზოგადოებრივი საკუთრების საუკეთესო ფორმაა. მათი მტკიცებით, ყოველი საწარმო იქ მომუშავე კოლექტივის საკუთრებად რომ გამოცხადებულიყო, ეს ქვეყნის მასშტაბით წარმოების ანარქიას გამოიწვევდა, თუმცა საზოგადოებრივ საკუთრებას ნათელ დემონსტრირებას გაუკეთებდა. წარმოების ანარქია, მათი აზრით აღმოაცენებდა კონკურენციულ ბრძოლას, ამ ბრძოლაში გამარჯვებული კოლექტივები გამდიდრდებოდნენ, დანარჩენები გაკოტრდებოდნენ. ამიტომ მიაჩნდათ მართებულად სახელმწიფო საკუთრების დამყარება, სადაც ყველა ერთიანი გეგმის მიხედვით იმუშავებდა და განაწილების კონტროლის გზით არც არავინ გამდიდრდებოდა და არც გაღატაკდებოდა. კარგი მშრომელის შრომის შედეგის ცუდზე გადანაწილებით საზოგადოება თანაბარი შეძლების მშრომელებისაგან იქნებოდა შემდგარი.

საკუთრების ასეთი გაერთიანება შესაძლებლად ჩათვალეს მრეწველობის სფეროში, მაგრამ შეუძლებლად-სოფლად. გლეხურ ქვეყანაში მიჩნეული იქნა, რომ კერძო მესაკუთრულ ჩვევებს იოლად ვერ შეელეოდნენ, სოფლის კომუნებს ვერ შექმნიდნენ და ამიტომ მოძებნეს საშუალო ფორმა, რომელიც სოციალისტურიც იქნებოდა და გლეხსაც დააკმაყოფილებდა. რადგან მიწა სახელმწიფო საკუთრებად ცხადდებოდა, ფიქრობდნენ, რომ გლეხური მეურნეობა კერძო საკუთრების ხასიათის მატარებელი ვერ იქნებოდა.

რეალური სოციალიზმის ეკონომიკური სისტემა სახელმწიფო საკუთრებას ეფუძნებოდა. მხოლოდ სახელმწიფოს ჰქონდა უფლებამოსილება გაეთვალისწინებინა საზოგადოებრივი მოთხოვნები, ეკონომიკის შესაძლებლობანი, განევითარებინა წარმოების საშუალებანი საკუთარი შეხედულებების მიხედვით, დაემყარებინა სასურველი (თეორიულად მაინც) პროპორცია წარმოების დარგებსა ცალკეულ საწარმოთა შორის, განესაზღვრა ქვეყნის ყველა საჭიროება, დაეცვა საშინაო ბაზარი და ა.შ. არა მხოლოდ რიგით მშრომელებს, არამედ ქვემო და საშუალო რგოლის ხელმძღვანელებსაც კი ის დარჩენოდათ, რომ ბრმად მიეღოთ ზევიდან წამოსული დირექტივები და ძალა არ დაეშურებინათ მათ შესასრულებლად.

რათა სასურველი მიზანი მიღწეულიყო სახელმწიფო ქვეყნის მეურნეობას ყოფდა ტერიტორიულ-დარგობრივი პრინციპით. საბჭოთა კავშირში ყველაზე უფრო მსხვილი საწარმოები, სტრატეგიული ობიექტები საკავშირო სამინისტროს გამგებლობაში იყო გადასული. შედარებით ნაკლებმნიშვნელოვან საწარმოებს კავშირში შემავალი ცალკეული რესპუბლიკები განაგებდნენ. უმნიშვნელო, მოცულობითა და მნიშვნელობით, საწარმოები ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს ექვემდებარებოდნენ. მთავარი იყო, რომ სახელმწიფო მართვის სტრუქტურებს სრულად მოეცვათ ყველა მიმართულების ყველა ობიექტი. მიჩნეული იყო, რომ ამით საკუთრებას კი არ ყოფდნენ მართვის სტრუქტურებში, არამედ გეგმიურ და მიზანმიმართულ განვითარებას ახორციელებენ.

სრულიად ლოგიკური ცნება, რომ საკუთრება და მმართველობა არაა ერთი და იგივე, სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გაგებული იყო თავისებურად და გამართლებული იმით, რომ ისინი ხალხის ინტერესებს ემსახურებიან. კონსტიტუციით ხომ საკუთრება საერთო-სახალხო იყო. სახელმწიფო, ხალხის წარმომადგენელი, მისი ინტერესების მსახური მათივე მტკიცებით, მფლობელობას არ ახორციელებდა. მისდევდა მხოლოდ მმართველობას. ამავე დროს, არა მესაკუთრე არამედ მმართველი, მუდმივი მფლობელობის და გამოყენების უფლებას აძლევდა საწარმოთა კოლექტივებს, კოლექტივები ამასთან თავისი შეხედულების მიხედვით კი არ მოქმედებდნენ, არამედ სახელმწიფოსაგან განსაზღვრული მიმართულებით და ოდენობით. თვით საწარმოების ხელმძღვანელობა ინიშნებოდა სახელმწიფოს მიერ. საწარმოს დირექტორი ითვლებოდა სახელმწიფოს წარმომადგენლად და ეს განსაზღვრავდა კიდეც მისი საქმიანობის ხასიათს. საწარმოთა დირექტორები (ცალკეული გამონაკლისების გარდა) ემორჩილებოდნენ იმათ ვინც ისინი დანიშნა, ვინც მათგან მოითხოვს. ისინი მშრომელთა ინტერესებს კი არ გამოხატავდნენ, არამედ ზემდგომ ორგა-

ნოთა ობიექტური თუ სუბიექტური გადაწყვეტილების შემსრულებელნი იყვნენ. ზემდგომი ორგანოს მიერ დასახული გეგმა თუ ცალკეული დირექტივა საწარმოსათვის კანონს წარმოადგენდა. მხოლოდ სახელწიფო განსაზღვრავდა სამუშაო დღის, ხელფასის, სამუშაო ნორმის, მოგების, განაწილების და სხვა პრინციპს.

თუ გავითვალისწინებთ ფაქტს, რომ მიწაზე, წარმოების საშუალებებზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე ხელი არც ერთ მშრომელს არასოდეს არ მიუწვდებოდა, რომ ყოველივე იყო პოლიტიკური სისტემის გამგეობაში, მაშინ რა ნიშნებით უნდა დადგინდეს, როგორი საკუთრება იყო ეკონომიკური სისტემის საფუძველი, საერთო-სახალხო თუ სახელმწიფო? კონსტიტუციური აღიარება საერთო-სახალხო საკუთრების არსებობის შესახებ იყო სიტყვიერი გამართლება რეალურად არსებული სახელმწიფო საკუთრებისა. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში სხვადასხვა ოდენობით კერძო-ინდივიდუალური და კერძო-კოლექტიური საკუთრების სექტორები ოფიციალურად არსებობდნენ სახელმწიფო საკუთრების გვერდით. ყველაზე სრულად სახელმწიფო საკუთრება დამკვიდრებული იყო საბჭოთა კავშირში. აქ ყველაფერი სახელმწიფოს ეკუთვნოდა და ყველაფერს სახელმწიფო განაგებდა.

დასადგენია ერთი საკითხი: სახელმწიფო საკუთრება თეორიულად შეიძლება იყოს საერთო-სახალხო საკუთრების ფორმა და შეიძლება კოლექტიური-კაპიტალისტური საკუთრება. საკუთრება მიწაზე, ფაბრიკა-ქარხნებზე, საზოგადოებრივ დაწესებულებებზე და ა.შ. შეიძლება ატარებდეს როგორც ერთ, ისე მეორე შინაარსს.

რომელი იყო რეალურად? ისტორიულად დადგენილია, რომ მიწის ნაციონალიზაცია, მასზე კერძო-ინდივიდუალური საკუთრების მოსპობა ყოველთვის იყო ბურჟუაზიული რევოლუციების სანუკვარი ლოზუნგი. ბურჟუაზია საუკუნეების მანძილზე შეზღუდული იყო და გარკვეულად დაჩაგრული მიწაზე ფეოდალური საკუთრების არსებობის გამო. მსხვილი ფეოდალები მის მამულებზე გადაადგილების გამო ვაჭრებს როგორც წესი გადასახადს ახდევინებდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ სპეციალურად აგებდნენ ხიდებს და ხიდზე გავლის ბაჟს ცალკე ახდევინებდნენ. მეწარმეებს მუშა ხელის შოვნა უჭირდათ, რადგან ფეოდალები ყმა გლეხებს ქალაქში საშოვარზე მხოლოდ ზამთრობით უშვებდნენ. ზარალდებოდნენ გლეხებიც და მეწარმეებიც. ამიტომ ბატონყმობის გაუქმება, მიწის ნაციონალიზაცია ის ღონისძიება იყო, რომელიც კაპიტალისტურ წარმოებას, აღებ-მიცემობას, ბარიერებს მოუხსნიდა. ბურჟუაზია რევოლუციების დროს ხშირად აყენებდა მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნას,

მაგრამ გაორებული ბუნების გამო იგი ბოლომდე ვერ მიჰყავდა. ჯერ ერთი იმის გამო, რომ მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობას არ მოჰყოლოდა საერთოდ კერძო საკუთრების საწინააღმდეგო გამოსვლები. მეორე ის, რომ ბურჟუაზია სამრეწველო წარმოებისა და ვაჭრობის გარდა, მიწასაც იძენდა და კერძო მესაკუთრეც ხდებოდა.

ევროპის ბურჟუაზიული რევოლუციების სანუკვარი ლოზუნგი მიწის ნაციონალიზაციის შესახებ, რეალურად განსახორციელებელი აღმოჩნდა რუსეთის იმპერიაში. ნაციონალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორი იყო პირველ რიგში ის, რომ რუსი გლეხობა თემურ წყობილებას მიჩვეული იყო საუკუნეების მანძილზე. მეორე ფაქტორს გლეხური სოციალიზმის იდეების პოპულარობა წარმოადგენდა. მესამე იყო ბოლშევიკური პარტიის ნება შერწყმული ხალხსნურ ფსიქოლოგიასთან, რომელიც კარგად ერგებოდა მარქსისტულ თვალსაზრისს სოციალისტური რევოლუციის პროცესში მიწის ნაციონალიზაციის აუცილებლობის შესახებ. მიწის ნაციონალიზაციაზე უარის თქმა, რევოლუციის არასოციალისტურობის ტოლფასი იყო. ამიტომ საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთი პირველი ღონისძიება მიწის საერთო-სახალხო საკუთრებად გამოცხადება იყო. მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნა, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ლოზუნგი, 1917 წ. თებერვლის რევოლუციას უნდა განეხორციელებინა. კონკრეტული ისტორიული ვითარების გამო საკითხის გადაწყვეტა ვერ მოხერხდა და იგი მომავლის საზრუნავი გახდა. საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიწის ნაციონალიზაციის შესახებ დეკრეტის გამოცემა ამ ღონისძიებას ჯერ კიდევ არ ანიჭებდა სოციალისტურ შინაარსს. იგი შეიძლება დარჩენილიყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ღონისძიებად. ყოველივე დამოკიდებული იყო კონკრეტულ ვითრებაზე და პირველ რიგში პოლიტიკური სისტემის ხასიათზე.

ოქტომბრის მოვლენების შემდეგ, საბჭოთა მთავრობამ დაიწყო მსხვილი ფაბრიკა-ქარხნების, ბანკების, კომუნიკაციების და სხვა საშუალებათა ნაციონალიზაცია. რუსეთის იმპერიაში ჯერ რა მრეწველობა, რა შესაძლებლობანი იყო, ეს მონაპოვარიც მსოფლიო ომის დროს მნიშვნელოვნად განადგურდა, მაგრამ რაც გადარჩა, მასაც მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა. მრეწველობის, ბანკების და სხვათა ნაციონალიზაცია აუცილებელი იყო, რათა ქვეყანას არსებობა შეენარჩუნებინა. ნაციონალიზაციის პროცესი ჯერ კიდევ არ მოასწავებდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ფარგლებიდან გასვლას. მარქსიზმი „კაპიტალი"-ს პირველ ტომში და „ანტიდიურინგი"-ს მესამე ნაწილში დეტალურად განიხილავს კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე წარმოების საშუალებათა გასახელმწიფოებრიობის გარდუვალობის საკითხს. მიჩნეულია, რომ კაპიტალიზმი თავისი

განვითარების შინაგანი კანონზომიერებიდან გამომდინარე უეჭველად მიდის წარმოების საშუალებათა სახელმწიფო საკუთრებად გადაცემის აუცილებლობამდე. ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში გასახელმწიფოებრიობის პროცესი ცვალებადი წარმატებით საწარმოებს. არსად, არავის ეჭვქვეშ არ დაუყენებია ამ პროცესების ბურჟუაზიული ხასიათი, თუმცა პროპაგანდისტური მიზნით მას ზოგჯერ სოციალიზმადაც ნათლავდნენ. ასე გაჩნდა ტერმინები: შვედური სოციალიზმი, სკანდინავიური, ევრო, ფრანგული სოციალიზმი და ა.შ. წარმოების საშუალებათა ნაციონალიზაცია და მიწის სახელმწიფო საკუთრება, რომ სოციალიზმი იყოს, მაშინ არა მხოლოდ აფრიკული ან აზიური სოციალიზმის არსებობა უნდა გვეღიარებინა, არამედ ეგვიპტური, სპარსული, ძველ ბერძნული და ა.შ. თუ რუსეთის იმპერიაში მიმდინარე გასახელმწიფოებრიობის პროცესი სხვა ქვეყნებისა და საუკუნეების მსგავსი მოვლენებისაგან რაიმე მნიშვნელოვანით განსხვავდებოდა ეს იყო: 1. იძულება; 2. სწრაფი ტემპები; 3. სამოქალაქო ომისა და მსოფლიო ომის პირობები; 4. სახელმწიფო საკუთრებისა და მართვის განხორციელება იმავე სპეციალისტებისა და კადრების მეშვეობით, რომლებიც მანამდე საწინააღმდეგოს ამკვიდრებდნენ; 5. მოქმედება სოციალიზმის სახელით.

უტოპიური და რეალური სოციალიზმის მკვლევარები არაორაზროვნად მიუთითებდნენ, რომ მიწის ნაციონალიზაციის და წარმოების საშუალოებათა გასახელმწიფოებრიობის გარდა ბურჟუაზიის სანუკვარ ოცნებას წარმოების გეგმიურობის დამკვიდრება წარმოადგენს. არც ერთმა კაპიტალისტმა არ იცის ბაზრის მოთხოვნილება, წარმოებული საქონლის ოდენობა, არ იცის მის მიერ დამზადებული ნაწარმი გაიყიდება თუ არა, მოიგებს თუ წააგებს. ეს იწვევს მწარმოებელთა მდგომარეობის არასტაბილურობას. ჭარბი რაოდენობის საქონლის მოზღვავების შემთხვევაში მწარმოებელი და გამსაღებელი შეიძლება გაკოტრდნენ. ქვეყნის მასშტაბით ადგილი აქვს წარმოების ანარქიას. თავისუფალი ბაზარი ზოგს საშუალებას აძლევს გამდიდრდეს, უმეტესობა კი ზარალდება ან კოტრდება და ეს მაშინ, როცა თვითეულ კაპიტალისტს საწარმოში იდეალური წესრიგი აქვს, გამოზომილია ყოველი წუთი და ხურდა ფულიც კი, წარმოებათა გეგმიურობა უმაღლეს დონეზეა. ცალკეულ საწარმოებში გეგმიურობა ეჯახება ქვეყნის მასშტაბით ანარქიას და ქაოსს. ჭარბწარმოების თუ ნაკლებწარმოების დროს ადამიანები ზარალდებიან, ბაზარს მოიცავს კრიზისი. კაპიტალისტთა სანუკვარი ოცნებაა ჰქონდეს თავისი ნედლეულის წყარო, გასაღების ბაზარი და აწარმოებდეს რამდენსაც დაუკვეთავენ — ნედლეულის წყაროს რაციონალური განაწილება, წარმოებაში რაციონალური მოხმარება,

მზა პროდუქტის გასაღების გარანტირებული ბაზარი, — ნებისმიერი კაპიტალისტის სანუკვარი ოცნებაა. ამავე დროს ეს ქვეყნის მასშტაბით გეგმიურობას ნიშნავს. კაპიტალისტური წყობილების პირველ ფაზაში ეს ოცნება აუხდენელია, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე თანდათანობით ხორციელდება. სახელმწიფო იძულებულია ჩაერიოს კვლავწარმოების პროცესებში და მძიმე კრიზისების თავიდან აცილების მიზნით დაარეგულიროს მონოპოლიათა ურთიერთობა. ამავე დროს იქმნება დარგები და ტექნიკა, რომლის დამკვეთი და შემძენი მხოლოდ სახელმწიფო შეიძლება იყოს. მიმდინარეობს სახელმწიფოსა და კერძო მონოპოლიების შერწყმა.

ყოველი ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ერთი დასკვნა: რეალური სოციალიზმის დროს, ეკონომიკური სისტემის საფუძველი იყო კერძო სახელმწიფო საკუთრება წარმოების საშუალებებზე. ფართედ რეკლამირებული თვალსაზრისი საზოგადოებრივი საკუთრების შესახებ საზოგადოების მოტყუების მცდელობა იყო. ეს ნათლად გამოჩნდა სოციალისტური სისტემა რღვევის შედეგებში: ვის ხელში აღმოჩნდა ეროვნული სიმდიდრე.

9.10.რეალური სოციალიზმის წინააღმდეგობათა ხასიათი

რეალური სოციალიზმის ბუნების შეფასება არ იქნება სრული თუ არ იქნება გამორკვეული სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობათა ხასიათი და მასთან დაკავშირებული წინააღმდეგობათა სისტემა. საბჭოთა პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა გაორებული ერთის პრობლემას, რომელიც ცნობილი იყო დაპირისპირებულთა ერთობისა და ბრძოლის კანონის სახელწოდებით. საკვლევის პოლიტიკური ღირებულება განაპირობებდა აზრთა შეურიგებლობას მკვლევართა შორის. წინააღმდეგობრივი თვალსაზრისი ჰქონდათ არა მხოლოდ ე.წ. ბურჟუაზიულ და კომუნისტურ მეცნიერებს, არამედ უკანასკნელთა შორისაც არ იყო ერთიანობა. საბჭოთა კავშირში, ადრეულ პერიოდში, პრიორიტეტულად ითვლებოდა დებულება, სოციალიზმის გამარჯვებათა კვალობაზე წინააღმდეგობათა გამწვავების შესახებ. ცოტა მოგვიანებით იგი არარსებითი წინააღმდეგობების შესახებ კონცეფციამ შეცვალა, შემდეგ კი უკონფლიქტო განვითარების თვალსაზრისმა.

საზოგადოებრივი ცნობიერების მართვის მკაცრი ცენტრალიზაციის პირობებში ხელმძღვანელი ელიტის გადაწყვეტილებები ცვლიდა მეცნი-

ერული კვლევის არა მხოლოდ შედეგებს, არამედ აუცილებლობასაც. სახელმწიფოს ყოველი ახალი ხელმძღვანელის ყოველი ნათქვამი უმაღლეს მეცნიერულ მიღწევად საღდებოდა. ყოველთვის მართალი იყო კომუნისტური პარტიების მხოლოდ უკანასკნელი ყრილობის ან პლენიმის გადაწყვეტილება. საწინააღმდეგო თვალსაზრისი იდევნებოდა. ვითარებაში, როცა პოლიტიკა განსაზღვრავდა მეცნიერებას და არა პირიქით, ობიექტური მკვლევარი უეჭველად ანტისოციალისტური ელემენტი ხდებოდა.

თვით სოციალიზმის არსი და საზღვრები იყო გაურკვეველი.

კრიტერიუმი: სოციალისტია (კომუნისტია) ის ვიც ზრუნავს საერთო კეთილდღეობაზე და თავისთვის უკანასკნელ რიგში ღებულობს მას — თავიდანვე მყარად იყო დავიწყებული.

მარქსიზმისათვის სოციალიზმი და კომუნიზმი იდენტური ცნებებია. ვ.ლენინმა 1917წ. მოახდინა მათი დაშორიშორება, როცა დაასკვნა, რომ სოციალისტური რევოლუცია კაცობრიობას კომუნიზმამდე მიიყვანს. ი. სტალინის დროს ჩამოყალიბდა შეხედულება: სოციალისტური რევოლუციით იწყება პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალი პერიოდი. გარდამავალი პერიოდის მანძილზე შენდება სოციალიზმი. გამარჯვებული სოციალიზმიდან საზოგადოება გადავა კომუნიზმში. ამ სქემას ლ. ბრეჟნევის დროს დაემატა განვითარებული სოციალიზმის იდეა. ასეთმა შემოქმედებითმა ინიციატივამ წარმოშვა სურვილი, მოეგონებინათ მომწიფებული, დასრულებული და სხვა სახის სოციალიზმის ეტაპის აუცილებლობა და ა.შ. საქართველოს კომპარტიის მეთაურმა ე.შევარდნაძემ 1981 წ. ყრილობაზე წამოაყენა ნოვატორული დებულება, რომლის თანახმად განვითარებული სოციალიზმის მშენებლობა დამთავრებულად ცხადდებოდა და იწყებოდა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ახალი ეტაპი. საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ ამ კომიკურ ინიციატივას მოსკოვმა მხარი არ აუბა. საკუთარი ბოლშევიკობით გაამაყებული რესპუბლიკური რანგის ლიდერი საბჭოთა კავშირის ლიდერებმა არ გაიტოლეს.

არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში იყო გაშლილი ამ რანგის მეცნიერული კვლევა. განვითარებული სოციალიზმის იდეა პირველად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერების მიერ იყო წამოყენებული. ბოლოს ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ სოციალიზმი ცალკე ფორმაციაა, კომუნიზმი ცალკე. მათ მიღწევად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ორი გერმანული სახელმწიფოს და ორი გერმანელი ერის ჩამოყალიბების იდეა. იგივე მეორდებოდა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მიმართებით. ერთი წყობილების ქვეყანას ხან სოციალისტურად ნათლავდნენ, ხან არა, იმის მიხედვით თუ ვინ იყო ხელმძღვანელი და ვისთან რა ურთიერთობა

ჰქონდა. ვთქვათ იუგოსლავია 1949 წლამდე სოციალისტურად ითვლებოდა, აქედან 1956 წლამდე ფაშისტურ-კაპიტალისტურად, შემდეგ კვლავ სოციალისტურად. ამ ხნის მანძილზე იქ არც წყობილება შეცვლილა და არც ხელმძღვანელი.

ბუნებასა და საზოგადოებაში არ არის მოვლენა გაორების გარეშე. ყოველ საგანს, პროცესს ახლავს შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობანი. ასევე შეიძლება მსჯელობა სოციალიზმის წინააღმდეგობების შესახებ. სოციალიზმის წინააღმდეგობათა შესახებ მრავალი კუთხით შეიძლება საუბარი. მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრს ავითარებს, რომ უმთავრესია წარმოების საშუალებების საკუთრებასთან დაკავშირებული წინააღმდეგობანი.

ამ მხრივ საყურადღებო დებულებას მარქსიზმი გვთავაზობს. მარქსიზმის მიხედვით ყოველი წყობილების საიდუმლოება მიწასთან დამოკიდებულებაში მეღავნდება, როგორიცაა მიწის ფლობის, მიწასთან ურთიერთობის ხასიათი, ისეთივე ბუნებისაა წყობილება.

რეალური სოციალიზმის დროს მიწასთან დამოკიდებულებაში ადგილი ჰქონდა გაორებას, გასამებას და ურთიერთგამომრიცხავ მიდგომას. სოციალიზმის ყველაზე დაფარული და აშკარა წინააღმდეგობაც მასთანაა დაკავშირებული. ის რაც ახასიათებდა მიწასთან ურთიერთობის წინააღმდეგობას, ვრცელდებოდა საერთოდ წარმოების საშუალებებთან ურთიერთობაზე და საბოლოოდ ქმნიდა წყობილების წინააღმდეგობათა სისტემას.

რეალური სოციალიზმის ქვეყნებში არსებული წყობილება ერთ კანონზომიერებას ექვემდებარებოდა, მაგრამ ჰქონდა თავისი სპეციფიკაც. ეტალონად, როგორც წესი, საბჭოთა კავშირი ითვლებოდა. ამიტომ მიზანშეწონილია აღნიშნული საკითხები მასთან დამოკიდებულებაში იქნეს განხილული.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ე.წ. სოციალისტურ ქვეყნებს ჰქონდათ საერთო. ესაა ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა განუხრელი ბატონობა, აქედან გამომდინარე შედეგებით. მყარად იყო დავიწყებული მარქსისტული პრინციპული მნიშვნელობის მქონე შეფასება ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა და სოციალიზმის ფარდობის შესახებ. მარქსიზმი ამბობს: საზოგადოებრივი ცხოვრება თუ შეიძლება ფულად-სასაქონლო ურთიერთობებზე აიგოს, სოციალიზმი გამორიცხულია. ვ. ლენინი და ბოლშევიკური პარტია ამიტომ ცდილობდნენ 1921 წლამდე მოესპოთ ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა სისტემა, ამიტომ ახორციელებდნენ ე.წ. სამხედრო კომუნიზმის შემადგენელ ღონისძიებებს. განუვითარებელ ქვეყანაში ამ პოლიტიკამ სრული მარცხი განიცადა. ვ. ლენინი, ახალ ეკონომიკურ

პოლიტიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, აღიარებდა რომ „რუბლი" უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლება.

მკვლევარებს ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ ეს ფაქტი. აკრიტიკებდნენ რა საბჭოთა წყობილებას, მიუთითებდნენ, რომ ბაზარი (ფულად-სასაქონლო ურთიერთობა) და გეგმიურობა ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია, რომ გეგმების მიხედვით ქვეყანა ვერ განვითარდებოდა. განსაკუთრებით პოპულარული იყო მტკიცება, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში არ არსებობს აბსოლუტური ბაზარი, რომ იქ გეგმიურობა შემოღებულია მისაღები მოცულობით, ასევე არ არსებობს აბსოლუტური გეგმიურობა სოციალიზმის დროს, იქ ბაზარი დიდი მოცულობითაა დაშვებული, რომ ადგილი აქვს გეგმების არა მხოლოდ შესწორებას, არამედ შეუსრულებლობასაც და ეს ბადებს ნაკლებწარმოების კრიზისებს. გამართლდა მარქსისტული დასკვნა, რომ სანამ წარმოება შეიძლება ორგანიზებული იქნას ფულად-სასაქონლო ურთიერთობის ფორმით, მანამდე სხვა ურთიერთობა ვერ დამკვიდრდება.

საბჭოთა კავშირში დროებით დაშვებული ფულად-სასაქონლო ურთიერთობის ფორმა, საბოლოოდ მწყობრ სისტემად ჩამოყალიბდა და მას სოციალიზმის ეკონომიკური სისტემა უწოდეს. მიჩნეული იყო, რომ პოლიტიკური ძალაუფლება, ეკონომიკური შესაძლებლობები კომუნისტური პარტიის ხელთაა და ეს განაპირობებს საკუთრებისა და ეკონომიკურ ურთიერთობათა სოციალისტურ ხასიათს. ეს იგივეა, ხელისუფლების სათავეში თუ ფილოსოფოსი მივა, ქვეყანა ფილოსოფიური ხდება, თუ პოეტი მივა — პოეტური, თუ მხატვარი — მხატვრული და ა.შ.

დაბეჯითებითი ცდა იყო ემტკიცებინათ, რომ თუმცა ცალკეული საწარმოს ნაწარმი საქონელია, ქვეყნის მოცულობით ის საქონელი არაა, ის პროდუქტია ე.ი. ყიდვა-გაყიდვის საგანი არაა. არ ითვალისწინებდნენ იმ უბრალო ფაქტორს, რომ რეალურ სოციალისტურ სამყაროში ყოველი საწარმო პროდუქტს აწარმოებდა არა საკუთარი მოხმარებისთვის, არამედ სხვისთვის, ბაზრისთვის. ბაზრისთვის ნაწარმოები პროდუქტი საქონელია. ხოლო, თუ საქონლის მიმოქცევა, გნებავთ პროდუქტების გაცვლა, ფულის მეშვეობით ხდება, ეს უკვე ფულად-სასაქონლო ურთიერთობაა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის აპოლოგეტები თავგამოდებით ამტკიცებდნენ, რომ რეალური სოციალიზმის პირობებში ფულად-სასაქონლო ურთიერთობები არ შეიცავენ ისეთ უარყოფით შედეგებს, როგორიც იყო დამახასიათებელი კაპიტალისტური ქვეყნების ფულად-სასაქონლო ურთიერთობებისათვის. ამის საფუძველს, მათი მტკიცებით, ქმნიდა ის ვითარება, რომ საბჭოთა კავშირში არ იყო

კერძო-ინდივიდუალური საკუთრება წარმოების საშუალებებზე, იყო გეგმიურობა, რომელიც ბაზრისათვის დამახასიათებელ გაურკვევლობას მოხსნიდა და ა.შ.

კომუნისტ მკვლევართა აზრით, სასაქონლო წარმოებისათვის დამახასიათებელი ღირებულების კანონიც სხვანაირად მოქმედებდა სოციალიზმის პირობებში. ღირებულების კანონის სოციალისტური გამოყენება თუმცა არღვევდა მოქმედების ლოგიკურ ჩარჩოს, მაგრამ პარტიის „ბრძნული" ხელმძღვანელობის წყალობით უფრო მეტი ეფექტი მოჰქონდათ საწარმოთა ტექნიკური აღჭურვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლების და სხვათა სახით. ის ფაქტი, რომ არ ხდებოდა ზარალიანი საწარმოების გაკოტრება, სახელმწიფო, ბიუჯეტის ხარჯზე უზრუნველყოფდა მათ ფუნქციონირებას, ითვლებოდა ღირებულების კანონის სოციალისტურად გამოყენების ნიმუშად. თითქოს კაპიტალისტურ ქვეყნებში არ ჰქონდა ადგილი ტექნიკურ-მეცნიერულ ძიებას, ექსპერიმენტებს, ზარალის გადაფარვას.

თავისებური შეფასება ეძლეოდა როგორც საქონელბრუნვას, ასევე ფულის მიმოქცევასაც. აღიარებული იყო, რომ ფული ინარჩუნებდა მისთვის დამახასიათებელ ყველა ფუნქციას, მაგრამ უარყოფითი შედეგების გარეშე. კერძოდ, თუ კაპიტალიზმის დროს ადგილი ჰქონდა ერთის გამდიდრებას სხვათა ხარჯზე, სოციალიზმი ექსპლოატაციას გამორიცხავდა, არ დაუშვებდა ცალკეულ პირთა გამდიდრებას, პრივილეგირებული კლასის ჩამოყალიბებას. მიჩნეული იყო, რომ მაღალი თანამდებობის პირთა პრივილეგიები, შეუზღუდავი პოლიტიკურ-სამართლებრივი უფლებები და ეკონომიკური შესაძლებლობანი მშრომელთა ხარჯზე კი არ იყო, არამედ, მშრომელთა ინტერესების დაცვის მიზნით შექმნილი აუცილებლობა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმის დასაბუთებას, თითქოს სოციალიზმის დროს დაქირავებული შრომის სისტემა არ მოქმედებდა, თითქოს, რაკი კონსტიტუციურად წარმოების საშუალებები მშრომელთა საკუთრებად იყო გამოცხადებული, რეალურად მუშა დაქირავებული კი არა, მესაკუთრე უნდა ყოფილიყო. დამადასტურებელ მანიშნებლად მიაჩნდათ ის, რომ ფორმით ყოველი მოქალაქე, პარტიისა და მთავრობის მეთაურთა ჩათვლით, სახელმწიფო სამსახურში ე.ი. საერთო-სახალხო საქმეთა სამსახურში მყოფად ითვლებოდა და ხელფასს ღებულობდა. ანგარიშში არ იყო მიღებული ის რეალობა, რომ ხელმძღვანელი ელიტა მაღალ ხელფასებთან ერთად იმდენი პრივილეგიით სარგებლობდა, რომ მილიონერს კი არა მილიარდერს შეშურდებოდა ასეთი დაქირავებული მუშაკის ბედი.

თავის მხრივ ბურჟუაზიული მეცნიერები ვერ ხედავდნენ არსებით

სხვაობას კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების მუშებს შორის. ორივე სისტემაში მუშები ერთნაირად შრომობენ, იღლებიან, იღებენ ხელფასს, განიცდიან ექსპლოატაციას-ასკვნიდნენ ისინი.

ორი სისტემის შერწყმის მომხრე მეცნიერები მიუთითებდნენ მარქსიზმის იმ დებულებაზე, რომლის მიხედვით ფულად-სასაქონლო ურთიერთობის დროს ადგილი აქვს შრომის გაუცხოებას. არსი: ადამიანი სამუშაოზე ქმნის რაღაცა საგანს და ამისათვის ღებულობს გარკვეულ ანაზღაურებას. საჭიროების დროს მიდის ბაზარზე (მაღაზია, სუპერმარკეტი და ა.შ.) და უნდა ეს საგანი შეიძინოს. იგი იძულებულია იმაზე ბევრად მეტი გადაიხადოს, ვიდრე გაკეთებაში გადაუხადეს. მისთვის ეს მძიმეა ფინანსურად და მორალურად. მის მიერ შექმნილი საგანი (საქონელი) მას ჩაგრავს, ექსპლოატაციას უწევს, როგორც დაპირისპირებული ძალა. ხდება გაუცხოება ადამიანსა და მის მიერ შექმნილ საგანს შორის. ასეთი გაუცხოება თანაბარი ძალით წარმოიქმნება კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებში. მაშ რა სხვაობაა მათ შორის? არავითარი. ვინ უწევს მუშათა კლასს ექსპლოატაციას? ცხადია პარტიულ-სამთავრობო ელიტა. ასეთივე მდგომარეობაა სხვა პარამეტრებთან მიმართებაშიც. ორივე წყობილების დროს მოქმედებს პრინციპი: ვინც არ მუშაობს ის არ ჭამს. ორგანვეა მმართველი პრივილეგირებული ზედა ფენა. უფრო მეტი. საბჭოთა კავშირში უფრო დიდი სხვაობაა ხელფასების მაქსიმუმსა და მინიმუმს შორის ვიდრე საფრანგეთში, ბელგიაში და ა.შ.

ფულად-სასაქონლო ურთიერთობებს ე.წ. დემოკრატიული და ტოტალიტარული მართვის ქვეყნებში ბევრი საერთო ჰქონდა, რაც არ გამორიცხავდა განმასხვავებელი ნიშნების არსებობას. რეალური სოციალიზმის უდავო უპირატესობას წარმოადგენდა შრომის უფლების დაცულობა. მოტივაცია ასეთი იყო: სოციალიზმის დროს არსებობს საზოგადოებრივი საკუთრება წარმოების საშუალებებზე. თუ ადამიანები ერთნაირი უფლებით ფლობენ სიმდიდრეს, ასევე უნდა იზრუნონ მის დასაცავად და გასამრავლებლად. თუ ვინმე არ შრომობს, მაშინ საიდან არსებობს? ამიტომ ყველამ უნდა იშრომოს. ის გარანტირებული უნდა იყოს, რომ ვერ გააგდებენ სამსახურიდან, რომ ყოველთვის მოძებნის სამუშაოს, არ დარჩება უმუშევარი. უმუშევარს ყოველთვის მოძებნიან და დასჯიან, სამუშაოსაგან თავის არიდების მცდელობისათვის.

ე.წ. დემოკრატიის ქვეყნებში შრომის ასეთი პირობები არ არსებობს. უმუშევრობის მაღალი თუ დაბალი დონე ადამიანს სოციალურად დაუცველს ხდის. ის იძულებულია მიეკაჭვოს კაპიტალისტს, იქცეს მის დაქირავებულ მონად, რათა სამუშაო შეინარჩუნოს.

ამ მდგომარეობას აქვს მეორე მხარე. დემოკრატიის ქვეყნებში სამუშაო ძალას აქვს გარკვეული ღირებულება. ადამიანს შეუძლია აირჩიოს ნაკლები ბოროტება. მრავალ კაპიტალისტთა შორის, მიექირაოს მისთვის შედარებით მისაღებს, სამუშაო ძალა გაყიდოს შედარებით მისაღებ პირობებში. რეალური სოციალიზმის დროს ადამიანს არჩევანის გაკეთება არ შეეძლო. ყველაფერი იყო სახელმწიფო საკუთრება, სახელმწიფო იყო ერთადერთი დამქირავებელი და როგორც მონოპოლისტი ყველა პირობების წინასწარ განმსაზღვრელი. შრომის საყოველთაო ვალდებულება, რაც რეალური სოციალიზმის უპირატესობას წარმოადგენდა, საბოლოო ანგარიშით ნიშნავდა ზედმეტი შრომის შესრულების აუცილებლობას.

ერთი მხრივ ზედმეტი შრომა ბუნებრივი აუცილებლობაა. ადამიანები, რომ მხოლოდ იმდენს ქმნიდნენ რასაც თვითონვე მოიხმარენ, ანუ ასრულებდნენ მხოლოდ აუცილებელ შრომას, მაშინ გამოირიცხებოდა არა მხოლოდ წინსვლა, გაფართოებული კვლავწარმოება, არამედ, დროთა განმავლობაში, წარმოების საშუალებათა ცვეთის კვალობაზე, წარმოებაც. ზედმეტი შრომა არ უნდა იყოს ერთი ადამიანის გამდიდრებისა და სხვათა გაღატაკების წყარო. ამაშია მეორე მხარის არსებითობა.

რეალური სოციალიზმის დროს ზედმეტი სამუშაო დროის მანძილზე იქმნებოდა ზედმეტი ღირებულება, რომლის უმეტეს ნაწილს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობა ითვალისწინებდა მაღალი გასამრჯელოს, პრივილეგიების, შეუზღუდავი ხარჯვის უფლების სახით.

ამრიგად, სოციალისტური ურთიერთობანი არა მხოლოდ ფორმით იყო ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა მსგავსების მატარებელი, არამედ შინაარსითაც დაქირავებული შრომის სისტემას წარმოადგენდა. საზოგადოების ერთი ნაწილი საზოგადოების სახელით ფლობდა წარმოების საშუალებებს, წარმართავდა საზოგადოების სახელით და ითვისებდა საზოგადოების სახელით. არსით ეს ურთიერთობანი არ განსხვავდებოდა კაპიტალისტურისაგან, რომელსაც ყოველგვარი უარყოფითი ეპითეტებით ამკობდა იგივე მცირე ნაწილი საზოგადოებისა.

რეალურ სოციალიზმს ახასიათებდა ბუნებრივი განვითარების კანონების შეცვლა მკაცრი ცენტრალიზაციითა და ზევიდან ბრძანებებით. ხელმძღვანელობის ყოველგვარი პრინციპები დამუშავებული და ფართედ რეკლამირებულ ფიქციად იყო ქცეული და დაქვემდებარებული ბიუროკრატიული ელიტისადმი.

მკვლევართა გარკვეულ ნაწილს მიაჩნდა, რომ ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის პრინციპები ორივე სისტემის დროს სწორად ესმით, მაგრამ ორგანვე ბიუროკრატიზმი აფერხებს მათ მოქმედებას. ბიუროკრა-

ტიზმი ინდუსტრიული საზოგადოების საერთო ნაკლია. მისი გადალახვა შეიძლება მომავალი პოსტინდუსტრიული საზოგადოების დროს, როდესაც ბიუროკრატ მოხელეებს ელექტრონულ-კომპიუტერული ტექნიკა შეცვლის და ადამიანურ შრომას რობოტები.

რეალობა იმის მაჩვენებელია, რომ თანამედროვე საზოგადოების მართვა ვერ განხორციელდება, თუ არ მოქმედებენ ხელმძღვანელობის სისტემები, რომლებიც ადექვატურად უნდა ასახავდნენ ობიექტურ კანონზომიერებას. მართვა მოითხოვს საზოგადოებრივი ინტერესების დროულ დადგენას, წარმოების შესაძლებლობების განსაზღვრას, შემთხვევითობათა დროულ გადალახვას, შეფერხებათა მოხსნას რაც უეჭველად ახლავს ფულად-სასაქონლო ურთიერთობებს.

მართვა ადამიანთა კოლექტივების ჯგუფების ხელმძღვანელობაა. სოციალისტურ წყობილებაში კონსტიტუციურად მშრომელები ითვლებოდნენ მმართველობის სუბიექტებად და თვითონვე იყვნენ მართვის ობიექტები. ასეთი მდგომარეობა თითქოს თვითმმართველობის არსებობაზე მიუთითებდა. მით უმეტეს, რომ მმართველობის ორგანიზაცია მკაცრად იყო განსაზღვრული იმავე კონსტიტუციით. ხელმძღვანელს მხოლოდ მისი დარღვევის შემთხვევაში შეეძლო სუბიექტივიზმის, ვოლუნტარიზმის, ბიუროკრატიზმის, კარიერიზმის გზას დასდგომოდა.

ხელმძღვანელობა გულისხმობდა ისეთი ძირითადი ფუნქციების შესრულებას, როგორიცაა გადაწყვეტილების მიღება, საქმის ორგანიზება, შესრულების რეგულირება, აღრიცხვა-კონტროლი. ცენტრალიზაციის გაძლიერებით ყველაფერი იცვლებოდა და რჩებოდა წმინდა ადმინისტრირება, სადაც შემსრულებელი დაქირავებული მონის მდგომარეობაში იყო ჩაყენებული. გამოირიცხებოდა ადგილობრივი ინიციატივა, თვითმმართველობის შეხამება მმართველობასთან. იმის სურვილი, რომ თვითმმართველობის გაფართოებას ანარქია და შემთხვევითობა არ გამოეცოცხლებინა, ძლიერდებოდა ცენტრალიზაცია, რაც ბიუროკრატიზმსა და ფორმალიზმს ამკვიდრებდა.

თქმა არ უნდა, მმართველობა გულისხმობდა ობიექტურობის პრინციპის დაცვას. ობიექტურ კანონთა ცოდნა,მათი მოთხოვნების გათვალისწინებით მოქმედება აუცილებლობას წარმოადგენდა. საბჭოთა ხელმძღვანელები თავს ყველა საქმის მცოდნედ ითვლიდნენ, ყველაფერს ერთდროულად ეჭიდებოდნენ და არაფერი ბოლომდე არ მიჰყავდათ, გარდა სუბიექტური სურვილისა.

კანონზომიერება ხელმძღვანელობისა, როგორც წესი, მრავალ შესაძლებლობას ითვალისწინებს, ბევრჯერ წინააღმდეგობრივ ფაქტებსაც

ეხება და კონკრეტულ პირობებში მიმდინარეობს. პირობების იგნორირება შეიძლება მცდარი გადაწყვეტილების საფუძველი გახდეს. ხელმძღვანელობა უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტულ შესაძლებლობას და ღებულობდეს კონკრეტულ გადაწყვეტილებას. კონკრეტულობა ხელმძღვანელობის პრინციპია.

რაციონალიზმი ადამიანის იმანენტურია. ყოველი ადამიანი ცდილობს სამუშაო ძალა რაციონალურად ხარჯოს და მეტი ეფექტურობით. ეს ბევრადაა დამოკიდებული გადაწყვეტის ოპტიმალურობაზე. ოპტიმალურობა და ეფექტურობა ხელმძღვანელობის აუცილებელი პრინციპია. ისევე, როგორც მოქმედების სისტემატურობა და მიდგომის კომპლექსურობა, უნარი, მიძებნოს მთავარი გადასაწყვეტი საკითხი და მეორეხარისხოვანი, რათა ძალთა მობილიზება მოხდეს საჭირო მიმართულებით და საჭირო დროს.

საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელობას გამობრძმედილი პარტიული მუშაკები შეადგენდნენ. თვითოეული მათგანი ათეულობით წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ქვეყნის რომელიმე ტერიტორიულ-დარგობრივ კომპლექსს და საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა მიმართულების, ყველა დარგის დიდ მცოდნედ ითვლებოდა. მათ იცოდნენ ყველაფერი და არაფერი. ჯერ კიდევ ვ. ლენინი აღნიშნავდა ასეთთა შესახებ. ის ამბობდა: მოინტელიგენტო ადამიანებს, რომელიც ბიუროკრატიზმის წნეხგამოვლილები არიან, აქვთ ორი დაავადება: 1. ერთდროულად ეჭიდებიან ოც საქმეს და არც ერთი ბოლომდე არ მიჰყავთ; 2. გრძელი მოხსენებით გამოსვლა, მათ საქმის გაკეთება ჰქონიათ და ამის იქით აღარ მიდიან. ამიტომ იყო იგი ინტელიგენციის შეუბრალებელი კრიტიკოსი და მტერი. ასეთებით იყო დაკომპლექტებული საბჭოთა პარტიულ-სახელმწიფო აპარატი.

საბჭოთა კავშირში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობა,მიუხედავად კაპიტალისტურის ერთტიპიურობისა, რიგი თავისებურებებით ხასიათდებოდა. პირველ რიგში უნდა მიეთითოს განვითარების ძალზე დაბალ დონეზე. იმის და მიუხედავად, რომ ი.სტალინის ჯოჯოხეთური ძალისხმევით განხორციელდა ინდუსტრიალიზაცია, შეიქმნა მძიმე მრეწველობა, მოხდა სოფლის მეურნეობის გამსხვილება და ნაწილობრივ ინდუსტრიულ ბაზაზე გადაყვანა, ქვეყანა საერთო განვითარების დონით მაინც ბევრად ჩამორჩებოდა მოწინავე სახელმწიფოებს. ლოზუნგი: დავეწიოთ და გავასწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, თავისი ვარიანტებით, საბჭოთა ხელმძღვანელობის მუდმივ ზღაპრად რჩებოდა.

1927 წლიდან მოყოლებული, როცა ომის საფრთხე უშუალოდ იგრძნეს საბჭოთა კავშირში ხელოვნურად იყო დაჩქარებული მძიმე მრეწველობის ზრდის ტემპები და კიდევ უფრო მეტად იმ დარგებისა, რომელთაც თავდაცვის საშუალებათა წარმოება ევალებოდათ. ამ დროიდან მოყოლებული, გაფართოებულ კვლავწარმოებას სამხედრო ძლიერების ზრდა ჰქონდა მიზნად. მოხმარების საგნები, იწარმოებოდა არა საკმარისი ოდენობით, დაბალი ხარისხის, მაგრამ მონოპოლიურად მაღალ ფასებში საღდებოდა.

სახეზე იყო იმ დასკვნების რეალიზაცია, რომლებსაც ფ. ენგელსი აყალიბებდა, როცა წარმოების საშუალებათა კაპიტალისტურ გასახელმწიფოებრიობაზე მსჯელობდა. იგი საკმაოდ დეტალურად და არაორაზროვნად აღნიშნავდა კაპიტალისტური განვითარების უმაღლეს ეტაპზე მიწის ნაციონალიზაციის, წარმოების საშუალებათა გასახელმწიფოებრიობის, წარმოების გეგმიური განვითარების გარდაუვალობას.

პირველი არის მიწის ნაციონალიზაცია. რამდენადაც მიწაზე საკუთრების ხასიათში არის დაფარული წყობილების წინააღმდეგობრივი ხასიათი. ვნახოთ როგორ იქნა მოწყობილი ეს საკითხი საბჭოთა კავშირში. მიწა გამოცხადებული იყო სახელმწიფო საკუთრებად. ამავე დროს, მისი უდიდესი ნაწილი სამუდამო სარგებლობაში ჰქონდათ მიცემული კოლმეურნეობებს, კოოპერატიულ გაერთიანებებს. რას ნიშნავდა ეს? იმას, რომ მაცხოვრებლებს, გლეხებს მიწა ეძლეოდათ სარგებლობაში და არა საკუთრებაში. სახელმწიფოს უფლება ჰქონდა ნებისმიერი საჭიროების დროს ერთისთვის წაერთმია სარგებლობის უფლება და მიეცა მეორისათვის. გლეხი ფლობდა და არა ფლობდა მიწას, ის იყო და არ იყო გლეხი. გლეხი იყო ფორმით, დაქირავებული მუშა შინაარსით. ლოზუნგი: მიწა გლეხებს, იყო საბჭოთა მთავრობის და კომუნისტური პარტიის დიდი სიცრუე. გლეხი, საბჭოთა პერიოდში, იყო მიწაზე იძულებით მიჯაჭვული დაქირავებული მონა, რომელიც ე.წ. შრომადღეების მიხედვით ღებულობდა საარსებო მინიმუმს. ეს იყო დაქირავებული შრომის სისტემის ერთი შემადგენელი.

მეორე ნაწილი, რომლის მიხედვით სახელმწიფო კაპიტალიზმი გამოირჩევა წყობილების წინამორბედი ეტაპებისაგან, არის წარმოების საშუალებათა (საწარმოების) გასახელმწიფოებრიობა. ფარიკა-ქარხნების კერძო მეწარმეთა საკუთრებიდან სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევა არის კაპიტალისტური ღონისძიება, განხორციელებული იმავე კაპიტალისტების ინტერესებიდან გამომდინარე. წარმოების საშუალებების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემით კაპიტალისტთა კლასი არ ისპობა, იგი სახეს იცვლის და ფულის ბურჟუაზიიდან თანამდებობის ბურჟუაზიად

გადაიქცევა. თუ ადრე ეტაპზე კაპიტალისტი ფლობდა ქარხანას, ფაბრიკას, ბანკს, მაღაზიას და ა.შ., სახელმწიფო კაპიტალიზმის დროს ის იქნება თანამდებობის პირი და ანაზღაურებას მიიღებს თანამდებობის ანუ პასუხისმგებლობის მიხედვით. ამავე დროს ის დაცული იქნება კონკურენციულ ბრძოლაში გაკოტრებისაგან. მისი მდგომარეობა ამით მყარდება.

მესამე ნიშანია წარმოების გეგმიურობა. გეგმიურობა, რაციონალიზმი კაპიტალიზმის დამახასიათებელია. არც ერთი კაპიტალისტი არ აწარმოებს მკაცრი გეგმიურობის გარეშე, თუმცა მან არ იცის ქვეყნის თუ მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნილების დონე. როცა ყველაფერი სახელმწიფო საკუთრება გახდება, მთავრობა შეეცდება წარმოება, განაწილება, მოხმარება ერთიან გეგმას დაუქვემდებაროს. გეგმებს მიიღებენ, მაგრამ ცალკეული თანამდებობის პირის დაუინტერესებლობის გამო მას ან არ შეასრულებენ, ან შეასრულებენ დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით. უფრო მეტი, შეეცდებიან გამოუშვან დაბალი ხარისხის საქონელი და გაყიდონ მონოპოლიურად მაღალ ფასებში. შეძლებენ კიდეც, რადგან ადგილი ექნება სახელმწიფო მონოპოლიას. დაქირავებული მუშები იძულებულნი იქნებიან შეიძინონ ასეთი საქონელი.

ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ ამ სამი ნიშნის განხორციელება კაპიტალისტური განვითარების შინაგანი კანონზომიერებით, არის იმის მაუწყებელი, რომ ქვეყანა მომწიფდა კომუნიზმზე გადასასვლელად. თანანდებობის ბურჟუაზია ამ გადასვლას ყოველმხრივ შეეწინააღმდეგება და შეეცდება დაქირავებულ მშრომელებს წაართვას ყველა უფლება, გარდა ერთისა, — პერიოდულად გაითამაშონ არჩევნების კომედია. კომედია, რადგან მშრომელებმა უნდა აირჩიონ არა მათი ინტერესების დამცველები, არამედ ისინი, ვინც უახლესი რამდენიმე წლის მანძილზე გაუწევს მათ ექსპლოატაციას. საზოგადოება აშკარად გაიყოფა ორ ნაწილად. ექსპლოატატორებად, არჩეული თუ დანიშნული თანამდებობის ბურჟუაზია და ერთიან მუშათა კლასად (ფიზიკური და გონებრივი შრომის დაქირავებული მშრომელები). ისინი, ვისი ბედიც ხელფასზე არაა დამოკიდებული და ისინი, ვისაც მწირი ხელფასის გარდა არაფერი გააჩნიათ.

თვით კომუნიზმი ფ. ენგელსს ესმოდა როგორც სასიცოცხლო მოთხოვნილებათა უფასო დაკმაყოფილება ანუ ბინის, ჩასაცმელისა და საჭმელის უფასოდ მიღების უფლება.

ყოველი წყობილების დახასიათება მრავალი ნიშნით შეიძლება, მაგრამ ბუნების დადგენა საბოლოო ანგარიშით განაწილების წესის გაგებით შეიძლება. იმის, მიხედვით, ვინ ცხოვრობს მდიდრულად, ცხადი ხდება ვის სასარგებლოდაა განაწილებული მატერიალური დოვლათი.

რეალური სოციალიზმის პირობებში არ იყო რა დაცული მოთხოვნა-მიწოდების პროპორცია, განაწილება ხდებოდა ზევიდან ბრძანების-ანუ შიშველი ადმინისტრირების მეთოდით. რამდენადაც ბატონობდა ფულად-სასაქონლო ურთიერთობა, ამდენად განაწილებაც კაპიტალისტური პრინციპით უნდა მომხდარიყო ე.ი. შრომის მიხედვით. კომუნისტ მკვლევარებს ხშირ შემთხვევაში მიაჩნდათ, რომ შრომის მიხედვით განაწილება სოციალიზმის მონაპოვარია, მაგრამ ცდებოდნენ, პრინციპი კაპიტალისტურია. თავის მხრივ სოციალიზმის მოწინააღმდეგე მეცნიერები აცხადებდნენ, რომ გაურკვეველია, თუ მშრომელებს ეკუთვნით წარმოების საშუალებანი, თუ ისინი არიან მესაკუთრეები, ხოლო პარტიისა და მთავრობის მეთაურები, მათი მომსახურენი, მაშინ როგორ ხდება, რომ მომსახურეები ბევრად უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე ბატონები.

კომუნისტი მკვლევარები ე.წ. ბურჟუაზიულ სამყაროს უკიჟინებდნენ, რომ იქ მართალია მუშები შრომის მიხედვით ღებულობენ ხელფასს, მაგრამ არის მეორე პრინციპიც. კაპიტალისტები შემოსავალს ღებულობენ კაპიტალის სიდიდის მიხედვით. სანაცვლოდ ბურჟუაზიული მკვლევრები მიუთითებდნენ საბჭოთა კავშირში დამკვიდრებულ განაწილების ორ პრინციპზე. მუშებისათვის განაწილება შრომის მიხედვით, ხელმძღვანელობისათვის თანამდებობის ანუ პასუხისმგებლობის მიხედვით. საბოლოოდ მათ მიაჩნდათ, რომ განაწილების პრინციპი ე.წ. დემოკრატიული და ტოტალიტარული ქვეყნების ბანაკებში იდენტურია.

საბჭოთა კავშირში კონსტიტუცია აწესებდა განაწილების ერთი პრინციპს,— შრომის მიხედვით განაწილებას. შრომის მიხედვით განაწილების აუცილებლობაზე ჯერ კიდევ განმანათლებლები და სოციალისტ-უტოპისტები მიუთითებდნენ. ისინი მიიჩნევდნენ, რომ მოთხოვნილების მიხედვით განაწილება ძნელად მიიღწევა და აუცილებელი იქნება გარკვეული დროის განმავლობაში განაწილების კაპიტალისტური პრინციპის გამოყენება. ამასთან მიაჩნდათ, რომ თუ კაპიტალისტურ საზოგადოებაში შრომის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით განაწილებაში მონაწილეობდნენ მხოლოდ მუშები, სოციალიზმის დროს მონაწილეობა საზოგადოების უკლებლივ ყველა ფენამ უნდა მიიღოს. განაწილების სხვა პრინციპი სოციალიზმის დროს არ უნდა გამოეყენებინათ.

კაპიტალისტურ სამყაროში შრომის მიხედვით ხელფასს ღებულობენ მხოლოდ მუშები (გონებრივი და ფიზიკური შრომის მუშაკები). კაპიტალისტები ღებულობენ კაპიტალის ოდენობის მიხედვით. სახელმწიფო სექტორში მას ემატება განაწილება თანამდებობის ანუ პასუხისმგებლობის მიხედვით.

თეორიულად სოციალიზმის დროს უნდა მოსპობილიყო განაწილება კაპიტალის და თანამდებობის (პასუხისმგებლობის) მიხედვით და დარჩენილიყო მხოლოდ შრომის მიხედვით განაწილების პრინციპი. მიჩნეული იყო, რომ მხოლოდ შრომის მიხედვით განაწილებაა, სრულიად სამართლიანი. ასეთ დროს საზოგადოების ყოველი წევრი ხელფასის სახით ღებულობს იმდენს, რა პროპორციის შრომაც აქვს გაწეული, ხელფასის ფორმები შეიძლება სხვადასხვანაირი ყოფილიყო (სანარდო, — როცა შრომა შექმნილი პროდუქტის რაოდენობა — ხარისხის მიხედვითაა დაანგარიშებული; დროითი, — როცა დროშია გაანგარიშებული), მაგრამ ეს საკითხი არსს ვერ შეცვლიდა. აღნიშნავდნენ იმასაც, რომ შრომის მიხედვით განაწილება არსით სამართლიანია, თუმცა შედეგად შეიძლება უსამართლობა გამოიწვიოს. მაგალითად, თუ ორი ერთნაირი მონაცემის მუშაკი ერთნაირ ხელფასს ღებულობს ერთ საქმეში, — ეს სამართლიანია. მაგრამ თუ ერთს ოჯახი ყავს შესანახი, მეორეს კი არა, მაშინ მეორე ბევრად შეძლებული აღმოჩნდება. ეს კი უსამართლობაა. აქედან საზოგადოება უნდა გადავიდეს განაწილების უსამართლო პრინციპზე — მოთხოვნილების მიხედვით. შედეგად ეს სამართლიანობამდე მიგვიყვანს, რადგან ყველა დაკმაყოფილებული იქნება. ამიტომ, მიაჩნდათ მოაზროვნეებს, საზოგადოებამ უნდა დაიწყოს შრომის მიხედვით განაწილების პრინციპით და გადაზარდოს ის მოთხოვნილების მიხედვით განაწილების პრინციპში.

უკვე დღეს ე.წ. დემოკრატიის ბევრ ქვეყანაში შექმნილია ის პირობა, რომ სასიცოცხლო მოთხოვნილებანი ადამიანებს მეტ-ნაკლები თანაბრობით დაუკმაყოფილდეს. ბევრგანაა გახსნილი უსახლკაროთა სასტუმროები, უფასო სასადილოები, მეორადი ტანსაცმლის პუნქტები. ყოველივე მიანიშნებს, რომ ბინით, ჩასაცმლით, საჭმელით უფასო დაკმაყოფილება მალე აუცილებლობა გახდება. ეს კი აღარ იქნება კაპიტალიზმი თავისი კლასიკური გაგებით. თანამედროვე პირობებში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესები სხვა რაიმესთან ერთად ამ საკითხსაც შეეხება.

სულ სხვა მდგომარეობა იყო რუსეთის იმპერიაში 1917 წლამდე და საბჭოთა კავშირში 1922 წლის შემდეგ. რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუცია სოციალისტური ლოზუნგებით განხორციელდა. ბურჟუაზია იმდენად სუსტი იყო რაოდენობრივად და ეკონომიურად, რომ დამოუკიდებლად ფეოდალიზმის ხუნდების დამსხვრევა არ შეეძლო. ის იძულებული იყო მცირერიცხოვან, მაგრამ ორგანიზებულ მუშათა კლასს, მეამბოხე გლეხობას და არსებულით ყველა უკმაყოფილო ელემენტს დაყრდნობოდა. საქმე იქამდე იყო მისული, რომ რადიკალური ცვლილებების

აუცილებლობას იმპერატორის ოჯახშიც გრძნობდნენ და რომ არა მსოფლიო ომი, ალბათ რეფორმებიც არ დაიგვიანებდა.

ევროპაში უძლიერეს ძალად სოციალ-დემოკრატია ჩამოყალიბდა. ზომიერი სოციალისტური მოთხოვნები დაბალ ფენებს აღაფრთოვანებდა და არც ლიბერალურ ბურჟუაზიას აფრთხობდა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას (მისი მემარცხენე ფრთის-ბოლშევიკების რადიკალიზმის მიუხედავად) ევროპის სოციალ-დემოკრატიის შემადგენელ რაზმად მიიჩნევდნენ და გარკვეულად ეხმარებოდნენ კიდეც. იყვნენ რა კ. მარქსის საყვარელი მოწაფეები კ. კაუცკი და ე. ბერშტეინი კარგად იცნობდნენ მასწავლებლის იდეებს. ისინი მიიჩნევდნენ, რომ გერმანია-ინგლის-საფრანგეთში სოციალური რევოლუცია ძალზე ნაადრევია, ხოლო ბურჟუაზიული რევოლუციები გავლილი ეტაპი. რაც შეეხება რუსეთის იმპერიას, იმდენად ჩამორჩენილია, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებაც კი სათუოა. გ.პლეხანოვი (უპირველესი რუსი მარქსისტი) და მისი თანამოაზროვნე (ე.წ. მენშევიკები) ეთანხმებოდნენ ევროპელ მარქსისტებს და მხოლოდ რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დემოკრატიულობისათვის იბრძოდნენ.

განსხვავებულ პოზიციებზე იდგნენ რუსი ნაროდნიკობის ტრადიციებზე აღზრდილი ბოლშევიკები, ესერები, ანარქისტები. მათთვის მთავარი იყო მეფის ხელისუფლების დამხობა, საკუთარი ძალაუფლების დამყარება და მიაჩნდათ, რომ დანარჩენს იოლად მიაღწევდნენ. ომითა და შიმშილით განაწამები ხალხი იოლად ითვისებდა მათ ლოზუნგებს. 1917 წ. ოქტომბრის სამხედრო გადატრიალება ამ ლოზუნგების ქვეშ მოხდა. ძალაუფლება აიღეს მყვირალა სოციალისტებმა. 1918-1920 წლებში მათ ბევრი სოციალისტური მიმართულების ღონისძიებანი განახორციელეს და ხელი შეუწყეს სოციალისტური ტერმინოლოგიის გაბატონებას. რაკი თავს კომუნისტებს უწოდებდნენ, მათ მიერ განხორციელებული ყოველი გარდაქმნა, ყოველი ღონისძიება სოციალისტურად იყო მონათლული. თვით ტერორიც კი სოციალისტური იყო, რომ არაფერი ითქვას მათ მიერ შექმნილ მართვის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაზე. ან რა უნდა ეკეთებინათ სხვა, ადამიანებს, რომლებიც თავგამოდებით მოითხოვდნენ ბურჟუაზიული რკინიგზის ლიანდაგების აყრა და სანაცვლოდ წითელი, სოციალისტური ლიანდაგების დაგებას.

როცა საუბარია ამა თუ იმ ქვეყანაში განხორციელებულ პროგრესზე, ბევრ რაიმეს ექცევა ყურადღება. პირველ რიგში ეკონომიკა, პოლიტიკური წყობა, ტექნიკური პროგრესი, დემოკრატიულობა და სხვა. სავალალოდ უყურადღებოდ რჩება ისეთი უმთავრესი მახასიათებელი, როგორიცაა

კულტურა. მხედველობაშია არა მხოლოდ ხელოვნება, ლიტერატურა და ა.შ., არამედ პირველ რიგში შრომის კულტურა, წარმოებისა და წარმოების ურთიერთობათა კულტურა. ამ მხრივაც რუსეთის იმპერია ბევრად ჩამორჩებოდა ევროპის ქვეყნებს. თვით იმპერიის შემადგენლობაში არ იყო ერთგვაროვნება. ერთი მხრივ იყო კულტურისა და განათლების ცენტრები, მეორე მხრივ დამწერლობის არქონა და სრული უკულტურობა. ასეთ ქვეყანაში არათუ სოციალიზმი და მისი პრინციპები, კაპიტალიზმიც იძულებით დასამყარებელი ხდებოდა. შეიქმნა ვითარება, როცა საბჭოთა მთავრობა აცხადებდა სოციალისტური პრინციპების ერთგულებას და ცდილობდა მის დანერგვას თუნდაც მკაცრი იძულებით, ეკონომიკური ინტერესები კი მოითხოვდნენ ელემენტარული წარმოებისა და სოფლის მეურნეობის აღორძინებას. ის ვინც თავგადაკლული ზიზღით ახსენებს ი. სტალინის მმართველობის პერიოდს და მის ღონისძიებებს, ვერ მოიაზრებს სხვა პროგრამას, რომელიც ქვეყანას იმ შედეგს მოუტანდა რაც იქნა მიღწეული 10-15 წლის მანძილზე. ძნელი წარმოსადგენია უფრო დიდი უაზრობა, ვიდრე ნახევრად ველურ რუსეთში სოციალიზმის დამკვიდრების მცდელობა იყო. ვ. ლენინი აღნიშნავდა, რომ გარკვეული გეოგრაფიულ-ეკონომიკური დასახლებების იქით უზარმაზარი ქვეყანა ველური იყო. ამ ველურ სივრცეში და საზოგადოებაში სოციალური თანასწორობის იდეის დამკვიდრება სისასტიკეს გულისხმობდა, ხოლო იდეის რეალიზაცია გამორიცხული იყო.

1936 წელს, საბჭოთა კავშირში, გამოაცხადეს სოციალიზმის გამარჯვების შესახებ. ნიშნავდა თუ არა ეს სოციალიზმის აშენებას? ამ პერიოდისათვის მოსპეს სოციალისტური იდეის მოწინააღმდეგეთა ძლიერება, მაგრამ სოციალიზმი რეალურად ვერ შექმნეს, რადგან არ იყო ამისი არც ეკონომიკური და არც კულტურული წინამძღვრები. სამხედრო კომუნიზმის წლებში სცადეს განაწილების სოციალისტური პრინციპის დამკვიდრება, — შრომის მიხედვით. დაიწყეს ხელფასების მინიმუმისა და მაქსიმუმის დაახლოება და ა.შ. 1921 წლიდან იძულებულნი გახდნენ შრომის მიხედვით განაწილების პარალელურად შემოეღოთ ე.წ. ბურჟუაზიული სპეციალისტებისათვის ძალზე მაღალი ანაზღაურების პრინციპი. რამდენადაც სხვა სპეციალისტები ბოლშევიკებს არ ყავდათ, ბურჟუაზიულმა ელემენტებმა გადაფარეს ყველა დარგი. არც ბოლშევიკები იყვნენ კარგი ცხოვრების მოძულენი და თანდათანობით დამკვიდრდა თანამდებობისა და პასუხისმგებლობის მიხედვით განაწილების წესი. მუშა ღებულობდა ხელფასს შრომის მიხედვით, თანამდებობის პირი პასუხისმგებლობის მიხედვით. მოხდა ისე, რომ ეს გადასვლაც სოციალის-

ტურად ალიარეს და დამკვიდრდა: იდეოლოგია სოციალისტური, განაწილება კაპიტალისტური. საბჭოთა კავშირში იყო არა მხოლოდ ფულად-სასაქონლო ურთიერთობები კაპიტალისტური ხასიათისა, არამედ განაწილების პრინციპიც კაპიტალისტური. იდეოლოგია სოციალისტური, წყობილება კაპიტალისტური. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობამ ან არ იცოდა ან არ ეჯერა ან მყარად დაივიწყა კ. მარქსის შეგონება: წყობილება არ შეიძლება იმაზე მეტი იყოს, ვიდრე არის ეკონომიკა და კულტურა ქვეყნისა.

საბჭოთა კავშირში იყო კიდევ ერთი შინაგანი წინააღმდეგობა, რომლის განხილვის გარეშე შეუძლებელია რეალური სოციალიზმის ბუნების გაგება. საკითხი ეხება ეკონომიკური განვითარების დონეს. 1917 წელს ქვეყანა იყო სრულიად განუვითარებელი კაპიტალისტურად თუ არ ჩავთვლით ცალკეულ პატარა სამრეწველო ცენტრებს. იმ დროს, როცა ევროპა მთლიანად კაპიტალისტური გზით ვითარდებოდა, რუსეთის იმპერიაში ხუთი ცენტრი თუ ჩაითვლებოდა კაპიტალისტურ ყაიდაზე გადასულად. იმ დროისათვის ევროპას გავლილი ჰქონდა მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციის, მანუფაქტურული წარმოების, მანქანური წარმოების სამი ეტაპი (კაპიტალისტური განვითარების ფაზა) და შედიოდა მონოპოლისტური კაპიტალიზმის ფაზაში და მის პირველ ეტაპს ავითარებდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ევროპის ქვეყნებს ჰქონდათ კაპიტალისტური თანაცხოვრების ხანგრძლივი ისტორია. რაც მთავარია, ეს ქვეყნები ეკონომიკურ-კულტურული განვითარების აუცილებლობით გადადიოდნენ ეტაპიდან ეტაპზე და ჰარმონიულად ავითარებდნენ ცხოვრების ამ ორ მხარეს. რუსეთს ერთიც აკლდა და მეორეც. ის რაც რეალური სოციალიზმის პირობებში იქნა მიღებული, იყო სახელმწიფო კაპიტალიზმის სისტემის შექმნა. საბოლოოდ გამოიკვეთა სურათი: ქვეყანას ჰქონდა დამახინჯებული სოციალისტური იდეოლოგია, სახელმწიფო კაპიტალიზმის წყობილება და კაპიტალიზმის მანქანური წარმოების ეტაპისათვის შესაფერისი სამრეწველო განვითარება. წინააღმდეგობა იყო არა მხოლოდ იდეოლოგიასა და წყობილებას შორის, არამედ წყობილებასა (ურთიერთობათა სისტემასა) და სამრეწველო-ეკონომიკური (კაპიტალისტური) განვითარების დონეს შორისაც. ეს შინაგანი წინააღმდეგობანი აფერხებდნენ ქვეყნის წინსვლას, იწვევდნენ ნაკლებწარმოების ეკონომიკურ კრიზისებს და საბოლოო ანგარიშით მისი მოდერნიზაციის აუცილებლობა მოამწიფეს. საჭირო გახდა წყობილება და იდეოლოგია შესაბამისობაში მოეყვანათ სამრეწველო-ეკონომიკური განვითარების დონესთან.

რეალური სოციალიზმი მრავალ წინააღმდეგობათა ერთობაა. წინააღმდეგობანი თუმცა ერთიან სისტემას ქმნიან, მათ შორის მაინც გამოარჩევენ არსებითს და არა არსებითს, შინაგანს და არა შინაგანს, დროებითს და მუდმივ წინააღმდეგობას. მათი სიმრავლე უკვე გულისხმობს მთავარი წინააღმდეგობის არსებობას. თუ დავეთანხმებით აზრს, რომ ყველა წყობილებას თავისი ერთი წარმოების წესი, ერთი ძირითადი კანონი ჰქონდა, მაშინ უნდა ვალიაროთ ასევე იქნება რეალურ სოციალიზმთან მიმართებაში.

საბჭოთა კავშირში მიჩნეული იყო, რომ საზოგადოებრივ მზარდ მოთხოვნილებასა და დაკმაყოფილების არსებულ დონეს შორის არსებული წინააღმდეგობაა ძირითადი. ასეთი თვალსაზრისის მქონე მკვლევარები არ ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ მოთხოვნილება ყოველთვის უსწრებდა და გაუსწრებს წარმოების დონით განსაზღვრულ დაკმაყოფილებას, რომ ეს ზოგადსაკაცობრიო ხასიათის წინააღმდეგობაა და მხოლოდ რეალურ სოციალიზმს არ ახასიათებს. ლოგიკურია დასკვნა, რომ საზოგადოება ახლის ძიებას და წარმოებას იწყებს იმდენად და მაშინ, რამდენადაც და როცა ჩნდება მოთხოვნილება ამა თუ იმ საგანზე. რაზეც მოთხოვნილება არაა იმით ადამიანი არ ინტერესდება, იმის შექმნაზე საუბარიც კი ზედმეტია.

მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი რეალური სოციალიზმის ძირითად წინააღმდეგობად მიიჩნევდა წარმოებით ურთიერთობათა ფორმის ჩამორჩენას მწარმოებლურ ძალთა ხასიათისაგან. ეს დასკვნა განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო პერიოდში იყო პოპულარული. მკვლევარები არ უწევდნენ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ ეს წინააღმდეგობაც ზოგადი ხასიათისაა და ის რეალური სოციალიზმის ძირითად წინააღმდეგობად ვერ ჩაითვლებოდა, კიდეც რომ ჰქონოდა ადგილი. რეალურად ამით სურდათ გაემართლებინათ ე.წ. გარდაქმნის აუცილებლობა. სინამდვილეში სურათი საპირისპირო იყო. საბჭოთა კავშირში იყო სახელმწიფო კაპიტალიზმის სისტემა, მაშინ, როცა სახელმწიფო-ეკონომიკური განვითარების დონე კაპიტალიზმის შედარებით დაბალ, მონოპოლისტურ ეტაპს შეესაბამებოდა. წარმოებითი ურთიერთობანი საწარმოო ძალებთან წინააღმდეგობაში იყვნენ არა ჩამორჩენის, არამედ წინსწრების გამო. საწარმოო ძალები მოითხოვდნენ მონოპოლიათა აღმოცენებას, ამ ეტაპის გავლას, რასაც შემდეგ მოჰყვება სახელმწიფო-მონოპოლისტური ეტაპი და ამის შემდეგ მივა ყოფილი საბჭოთა კავშირის და მათ შორის საქართველოს განვითარება სახელმწიფო კაპიტალიზმის ეტაპამდე. საბჭოთა კავშირს არ გაუვლია განვითარების ის ეტაპები, რაც დანარჩენმა ევროპამ გაიარა,

როგორც ბუნებრივი განვითარების ეტაპები. ყოფილ რუსეთის იმპერიაში ძალდატანებით, განვითარების აუცილებელი ეტაპების გამოტოვებით სცადეს ნახტომის გაკეთება და საბოლოოდ მარცხი განიცადეს.

რეალური სოციალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა ორგანულად უკავშირდება წყობილების ძირითად ეკონომიკურ კანონს და წარმოების მიზანს. საბჭოთა სისტემა რომ წარმოების საშუალებების საზოგადოებრივ საკუთრებაზე ყოფილიყო დაფუძნებული, მაშინ ძირითადი კანონი დროის ეკონომია ანუ თავისუფალი დროის მაქსიმალური ზრდა იქნებოდა. ამ შემთხვევაში კი იყო პირიქით. ადამიანის ცხოვრება მაქსიმალურად იყო გადაქცეული სამუშაო დროდ. პიროვნებას არ რჩებოდა დრო და ენერგია საკუთარ შესაძლებლობათა გამოსავლენად, ყოველმხრივი განვითარების მისაღებად.

საქმე იმაშია, რომ სამუშაო დროდ შეცდომით თელიან მხოლოდ იმ საათებს, რომელსაც ადამიანი სამსახურში ატარებს, დგას დაზგასთან, წერს, აშენებს და ა.შ. სინამდვილეში სამუშაო დრო ბევრად უფრო ფართე ცნებაა. იგი მოიცავს არა მხოლოდ სამუშაოზე ყოფნის საათებს, არამედ იმასაც რაც სამსახურში წასვლა-მოსვლაზე იხარჯება, იმასაც რაც სჭირდება დახარჯული სამუშაო ძალის აღდგენას (საკვების მოპოვება, ჭამა, ძილი, სპეციალიზაციის ამაღლება და ა.შ.). თუ ამას გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ ადამიანის შეგნებული ცხოვრება მაქსიმალურადაა გადაქცეული სამუშაო დროთ. მას აღარ რჩება დრო და ენერგია ყოველმხრივი განვითარებისათვის. არა და ყოველმხრივ განვითარებული ადამიანია თავისუფალი. თავისუფლება კი მიზანია. სხვანაირად ყოველი ადამიანი მსოფლიო პიროვნებად ვერ გარდაიქმნება. ადამიანის მსოფლიო პიროვნებად გარდაქმნაც დიდი პრობლემაა და ეს უკვე კარგა ხნის დაწყებული პროცესია. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები ყოველ ადამიანს ითრევს გარდაქმნის ამ პროცესში, აძლევს რა ინფორმაციას და აინტერესებს მსოფლიო მოვლენებით, აძლევს რა საშუალებას მოხვდეს მსოფლიოს მრავალ კუთხეში შეითვისოს და მიიღოს მსოფლიო საზოგადოებრიობის მიღწევები.

პრობლემები ბევრია. რეალობაა, რომ საბჭოთა წყობილების დროს მშრომელები მოკლებულნი იყვნენ უმთავრეს სიკეთეს. ისინი იძულებულნი იყვნენ მაქსიმუმი გაეღოთ, რათა ცხოვრების მინიმალური პირობები შეექმნათ. ზედმეტი ღირებულება, რომელსაც მილიონობით ადამიანი ქმნიდა იყო წარმოების მიზანი და ძირითადი კანონი. კონსტიტუციურად წარმოების საშუალებებზე იყო საზოგადოებრივი საკუთრება, მაგრამ რეალურად ზედმეტი ღირებულების დიდი ნაწილი მიჰქონდა არამწარ-

მოებელ პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელობას. ფორმალურად ისინიც სახელმწიფოს დაქირავებული მუშაკებს წარმოადგენდნენ, რეალურად კი იმდენი პრივილეგიები ჰქონდათ, რომ ხელფასები არც სჭირდებოდათ. მაგალითისათვის: კომუნისტური პარტიის ლიდერი მ. სუსლოვის ვაჟმა აფრიკაში ნადირობისას ზედმეტი სპილო მოკლა. საბჭოთა მთავრობამ ჯარიმის სახით მილიონზე მეტი გადაიხადა, ოღონდ მ. სუსლოვის შვილი ეხსნა. რომელი ხელფასიდან აანაზღაურებდა იგი ამ დანაკლისს? მუშის, გლეხის, ინტელიგენტის შვილს ასეთსავე შეღავათზე ხელი მიუწვდებოდა?

საზოგადოებრივი განვითარების ზოგადი კანონზომიერება ერთნაირად მოქმედებს ნებისმიერ პერიოდში. მის თანახმად წყობილების ძირითადი წინააღმდეგობა ჩადებულია წარმოების ხასიათსა და მითვისების ადექვატურ ფორმას შორის დამოკიდებულებაში. თუ წარმოებას ყოველთვის საზოგადოებრივი ხასიათი აქვს, იგივე არ ითქმის მითვისების ფორმაზე. რეალური სოციალიზმის დროს წარმოების საზოგადოებრივ ხასიათს მითვისების სახელწიფო (ელიტარული) ფორმა შეესაბამებოდა. მწარმოებელი განაწილებაში მონაწილეობდა შრომის მიხედვით, მიმთვისებელი თანამდებობის (პასუხისმგებლობის) მიხედვით. ამაში იყო რეალური სოციალიზმის ძირითადი სიმახინჯე. ეს აძლევდა საშუალებას ხელმძღვანელ ელიტას მოეხდინათ ზედმეტი ღირებულების განაწილება საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე. რეალობა ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ ერთი მხრივ იყო საზოგადოების დიდი უმრავლესობა, ერთიანი მუშათა კლასი, ისინი, ვისი ბედიც ხელფასზე იყო დამოკიდებული და მეორე მხრივ პრივილეგირებული არამწარმოებელი უმცირესობა, ვისი ბედიც ხელფასზე არ იყო დამოკიდებული. ასეთი დაყოფა მიუთითებდა იმაზე, რომ საბჭოთა კავშირში იყო არა სოციალისტური, არამედ სახელმწიფო კაპიტალიზმის ურთიერთობანი.

9. 11.რეალური სოციალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა (საქართველოს მაგალითზე)

კაცობრიობის გადასაწყვეტ პრობლემათა შორის ერებისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხი ურთულესი და უმწვავესია. ისტორიული წარსული მისი გარკვევისა და დარეგულირების უწყვეტი ცდაა. პრაქტიკას ყოველთვის ახლდა თეორიული წარმოდგენის მრავალგზისი ანალიზი. და მაინც, არც მეცნიერებას გააჩნია ზუსტი პასუხი და

არც ცხოვრებას მიუღწევია ეროვნული თავისუფლებისა და ერთა თანასწორებისათვის.

თეორიული გააზრების უკმარისობა ვერ ანელებს პრაქტიკულ სიმწვავეესა და ვერ გამორიცხავს პერიოდულ ფეთქებად ხასიათს. ერები ვერ დაელოდებიან სუბიექტურ-ობიექტურ სიტყვიერ დისპუტთა საბოლოო შედეგს. არსებობისა და განვითარების ინტერესთა პრაქტიკაა განმსაზღვრელი ფაქტორი.

არასოდეს არ შეწყვეტილა დაპყრობილ ერთა განმათავისუფლებელი მოძრაობა. ბრძოლის შეწყვეტა, არსებობის დასასრულს უდებდა სათავეს. ამიტომ ბრძოლა იყო აბსოლუტური, შეგუება ფარდობითი. მთლიან პროცესში იყო ბრძოლის გამძაფრების ან შენელების, წინსვლის ან უკუსვლის პერიოდი, რაც ურთიერთობათა ხასიათს არ ცვლიდა. ეროვნებათშორისო ურთიერთობების თანამედროვე პერიოდი პირველი ნიშნით ხასიათდება. ეს მოითხოვს პრობლემატიკის კვლევის ინტენსიფიკაციას. თეორიული აზრი შესაბამისობაში უნდა იყოს პრაქტიკულ მოთხოვნებთან.

იმპერიების მსხვრევის, კოლონიალური ურთიერთობების რღვევის გლობალური პროცესი ყოველ რეგიონში საერთოსთან ერთად რიგი სპეციფიკურობითაც ხასიათდება. პრობლემატიკის ცოდნა ორივეს მოიცავს და აუცილებელს ხდის ანალიზ-სინთეზს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში ამიტომ საჭიროებს ტიპოლოგიურ თავისებურებათა გააზრებას.

ტოტალიტარული რეჟიმის ქვეყნებში აღიარება ჰქონდა ეროვნებათშორისი ურთიერთობების ლენინურ თეორიას. ამ საფუძველზე მიმღინარეობდა ყველა პრობლემის კვლევა. დავიწყებული იყო არა მხოლოდ ადრინდელი მეცნიერული ნააზრევი, არამედ უარიყოფოდა თანამედროვე მსოფლიოში მიღებული დასკვნების მნიშვნელობაც. თუ ვინმე გაბედავდა მათ განხილვას, მხოლოდ კრიტიკული შეფასების რაკურსით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული ლენინური პრინციპების პრაქტიკის პოზიტიურ ფონზე წარმოდგენას. საპირისპირო თვალსაზრისის მკვლევარი იდევნებოდა, ნაშრომის არსებობა კი უცნობი რჩებოდა საზოგადოებისათვის. პირველი მიმართულების მკვლევართა ტიტულატურა და ნაშრომთა ჩამოთვლა მრავალ ტომს შეავსებს. მსგავსი ლიტერატურა ფართედ ვრცელდებოდა საბჭოთა იმპერიის ბოლო დღეებამდე, ხოლო მეორე მიმართულების ნაშრომების გამოცემა იკრძალებოდა.

ამჟამად დაწყებული ეტაპი მძლავრ სტიმულს მისცემს ეროვნებათშორის ურთიერთობათა პრობლემატიკის ობიექტურ შესწავლას. იგი უეჭველად შეეხება ლენინური მოძღვრების რეალურ ავ-კარგიანობას,

საჭირო გახდება მისი განხილვა სხვა თეორიებთან, პრაქტიკასთან, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილებასთან მიმართებაში. ეს მით უფრო საშურია, რომ ბევრ რეგიონში მოძრაობაში მოვლენ ერები, რომელთა სტატუსი დღემდე გარკვეულად ითვლებოდა. მათთვის სხვათა გამოცდილება თეორიული ბაზა და პრაქტიკული ორიენტირი უნდა იყოს. საქართველოში მიმდინარე პროცესებს ამ ხაზით შეიძლება ფართე მნიშვნელობა მიენიჭოს.

ერთი შეხედვით ნაადრევია საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაუმთავრებელი პროცესების ტიპოლოგიურ თავისებურებებზე მსჯელობა. მეორე მხრივ, გაუმართლებელია უმოქმედობა. მისაღებია კვლევა მრავალი მიმართებით, რათა დაჩქარდეს საქართველოს გამოცდილების ანალიზი და მსოფლიო ცოდნასთან სინთეზი.

პრობლემის გაცნობიერება პირველ რიგში მოითხოვს ერის უფლების ცოდნა-აღიარებას.

10. ერის უფლება

ერის უფლების გაგება სუბიექტური-ობიექტურია. ეს განაპირობებს პრაქტიკის წინააღმდეგობრიობას და წინააღმდეგობათა დაძლევის სირთულეს. მრავალი ათასწლეული დასჭირდა კაცობრიობას, სანამ 1960 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის XV სესიაზე, აფრიკა-აზიის 43 ქვეყნის ინიციატივით, მიიღებდა დეკლარაციას ყველა ქვეყნის და ხალხისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. ამით, მსოფლიოს პროგრესულმა ძალებმა ერის უფლებად აღიარა დამოუკიდებლად არსებობა. პრაქტიკულად მხოლოდ 1991 წელს მოხერხდა დამცირებული ქვეყნის პრესტიჟის დაცვა. ამ შემთხვევაში ბევრი კითხვა — რა განსაზღვრავდა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საერთო მოქმედებას: დაპყრობილი კუვეიტის გამოხსნის, განთავისუფლების სურვილი თუ ერაყის ძლიერებისათვის ზღვარის დადების აუცილებლობა. სასიამოვნოა ვიფიქროთ, რომ როგორც თეორიულ-პოლიტიკური გადაწყვეტილება, ასევე პრაქტიკულ-სამხედრო მოქმედება ერის უფლებათა დაცვას ისახავდა მიზნად.

სინამდვილეში მდგომარეობა უფრო რთულია. მას შემდეგ რაც საერთაშორისო სამართალმა ჩამოყალიბება დაიწყო, ეროვნებათშორისი ურთიერთობების ეს საკვანძო პრობლემა განხილვის ობიექტი ხდება და მეტ-ნაკლებად დასაბუთებას პოულობს. ამის, მიუხედავად, არც ერთ დეკრეტში, ქარტიაში, შეთანხმებაში არ ასახულა იმ სისრულით, რაც სიმართლის მაძიებელ ერს დააკმაყოფილებდა. აღნიშნული თანაბრად ეხება, როგორც საფრანგეთის დიდი რევოლუციის ქარტიას, ასევე 1948 წელს გაეროს მიერ მიღებული ადამიანის უფლებათა ქარტიას, 1975 წელს ჰელსინკის ხელშეკრულების საბოლოო დოკუმენტს და ა.შ. შედეგი ყველგან ერთია: ყოველი დოკუმენტი გულისხმობდა პიროვნების უფლებებს, სახელმწიფოთა ურთიერთობების სამართლებრივ ასპექტს და ამ გზით, ირიბად ვრცელდებოდა ერის უფლებაზე. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ საჭიროებს დიდ ყურადღებას.

ეროვნებათშორის ურთიერთობებში პრაქტიკულად ყოველთვის ხორციელდებოდა ძლიერის ნება. საბოლოო ანგარიშით ძლიერი ყოველთვის აღწევდა სასურველ შედეგს და მის აღიარება-დაკანონებას. სუსტი ერის უფლება, დღემდე მაინც, გათელილი იყო.

ამ ხვედრს ვერ ასცდა საქართველო.

მრავალათასეული წლების ბრძოლით და ტანჯვით მიაღწია კაცობრიობამ, რომ თეორიულად განეხილათ ერის უფლება — თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელი არსებობის პრობლემა. უფრო გაძნელდა გარანტიების

მიღება, რომ სუსტთათვის ხელაღებით აღარ წაერთმიათ ნანატრი თავისუფლება. ევროპაში ბურჟუაზიული რევოლუციების ერთ დიდ შედეგს ძლიერი ერების თვითგამორკვევა სხვათა თვითგამორკვევის უფლების აღიარება წარმოადგენდა.

დასავლეთ ევროპის ეს მონაპოვარი ძნელად მისაღები აღმოჩნდა სხვათათვის. ის, რაც აღიარეს მეტროპოლიათა მიმართებაში, არ ეხებოდა კოლონიებს, ხოლო ავსტრიისა და რუსეთის იმპერიებმა უკუაგდეს ეს იდეა. XX საუკუნის დამდეგს, იზრდება აქ ინტერესი ერის უფლების საკითხისადმი. განხილვისას განსაკუთრებულ აქტიურობას სოციალისტები იჩენდნენ.

ეროვნებათშორისი ურთიერთობების საკითხს იხილავდნენ სოციალისტები ნანტში, შტუდგარტში, ბაზელში მეორე ინტერნაციონალის პარტიების კონგრესის დროს. ერის უფლებათა რაობას სამხედრო-პატრიოტული პოზიციებიდან ზომავდნენ ლიბკნეხტი, ბებელი, ჟორესი, გედი, კანდერკელდე და სხვები. ჩაგრული ერებისათვის კულტურულ ავტონომიას იმეტებდნენ შპრინგერი, ადლერი, ბაუერი და ა.შ. საბოლოო ანგარიშით, არა თუ ერის უფლებები ვერ დაიცვეს, თეორიულადაც ვერ ამაღლდნენ მის გაგებამდე დიდი მოღვაწე სოციალისტები.

რუსეთის იმპერიის ფარგლებში მომწყვდეული ერებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რუს სოციალისტთა თვალსაზრისს. სამწუხაროდ, არც ისინი წასულან შორს ერის უფლებათა გაგება-დაცვის საქმეში. ყოველ საკითხზე ათასი აზრი ჰქონდათ მათ, მაგრამ ერის უფლების შესახებ ჰარმონია სუფევდა: არავითარი თვითგამორკვევა, იმპერია ერთიანია და უცვლელი.

საქართველოში ათწლეულების მანძილზე ითვლებოდა სოციალისტთა ბოლშევიკური ნაწილის ნაზრევი ყველაზე ჰუმანურად, მეცნიერულად და მისაღებად. ამიტომ იყო იგი კრიტიკაშეუხებელი საბჭოთა იდეოლოგიის ქვაკუთხედი. თაობები აღიზარდნენ ამ პრინციპებზე. ათასობით ტიტულოვანი „მეცნიერი" სწავლობდა და ერებს ასწავლიდა ყველაზე სამართლიან ლენინურ მოძღვრებას ერის უფლებათა შესახებ.

რამდენადაც ქართველი ერი, საქართველოს მოსახლეობა ამ მოძღვრების ორბიტაში ითვლიდა „ბედნიერებას", საჭიროა ერთხელ მაინც სიმართლის თქმა. ოფიციალურად მოძღვრების ძირითად პრინციპებად მიჩნეული იყო: ერთა თვითგამორკვევა გამოყოფამდე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე; სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა სრული თანასწორუფლებიანობა; არავითარი პრივილეგია არც ერთ ენას; ფორმით ეროვნული და შინაარსით ინტერნაციონალური კულტურის განვითარება.

ეს პრინციპები, 1903 წელს რსდმპ II ყრილობიდან და პარტიის

პირველი პროგრამიდან მოყოლებული, ყოველთვის გაუგებრობის, ეჭვის, ბრძოლის საგანი იყო.

არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა პრინციპში ნაგულისხმევ აზრს.

ლენინიზმით გაბედნიერებულ ქვეყნაში ამ საკითხზე ვ.ი. ლენინის დასკვნების მიხედვით უნდა იყოს მსჯელობა.

მოძღვრების ამოსავალი დებულება ამბობს: რამდენადაც დასავლეთ ევროპამ აღიარა და ძირითადად განახორციელა ერთა თვითგამორკვევის უფლება, ამდენად იგი რუს სოციალისტთა პროგრამაში უნდა აისახოს. ამავე დროს, უფლება გულისხმობს რა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, იგი პროგრამაში აისახება ფორმალურად. რუსი სოციალისტები, პროპაგანდისტური მიზნით, მით უფრო მტკიცედ მოითხოვენ ამ უფლების აღიარებას, რაც უფრო მეტი იქნება არარუს სოციალისტთა მტკიცება რუსეთიდან გამოყოფის აბსურდულობის შესახებ (ვ.ი. ლენინი, თხზ, ტ.22, გვ.43, ტ.39, გვ.770, ტ.22, გვ.174, ტ.39, ტ.39, გვ.793, ტ.22, გვ.177; ტ.39, გვ.792, ტ.20, გვ.503, 559, 516, 519; ტ.6, გვ.564, ტ.20, გვ.556-7).

მოძღვრების თანახმად სოციალისტების მიზანია არა არსებული დიდი ქვეყნების დაყოფა წვრილ სახელმწიფოებად, არამედ არსებული ერების დაახლოება და შერწყმა. (ტ.22, გვ.178, 431; ტ.20, გვ.25). ამდენად ერების თვითგამორკვევის უფლება ამ მიზანს უნდა დაექვემდებაროს (ტ.6, გვ.564, 404; ტ.22, გვ.179). შესაბამისად არარუსი სოციალისტები ფორმალურად თვითგამორკვევას უნდა უჭერდნენ მხარს, ფაქტობრივად კი შერწყმას და შეერთებას (ტ.22, გვ 442). ამ გზით არარუსმა „ტუზემეცმა" რევოლუციონერმა თავი რუს სოციალისტად უნდა იგრძნოს და შეეშვას ეროვნული „საქათმეების" დაცვას. (ტ.53, გვ.190; ტ.48, გვ.202 რუს. გამოც.)

ერის თვითგამორკვევის უფლება ლენინიზმს მიაჩნია იმ სამწუხარო გამონაკლისად, რომელიც დაშვებული უნდა იქნეს ფორმალურად, რეალურად ერთიანია, ცენტრალიზებული დიდი სახელმწიფოსათვის ბრძოლის გზაზე (ტ.19, გვ.598). მიზნის მიღწევისას უკუგდებული იქნება პატარა ერების ყოველგვარი უფლება ერთიანი კლასობრივი ამოცანების სასარგებლოდ (ტ.20, გვ.505).

ლენინური მოძღვრებისა და პრაქტიკის თანახმად სოციალიზმს უნდა გაემარჯვა მსოფლიო მასშტაბით. მას მოჰყვებოდა მსოფლიო სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა (ტ.20, გვ.39, ტ.25, გვ.97, ტ.27, გვ.438 რუს., გამ.V.). ფედერაციული იქნებოდა მხოლოდ დიდი ქვეყნების კავშირი. ცალკეულად აღებული დიდი ქვეყანა და მათ შორის რუსეთის იმპერია აიგებოდა მტკიცე ცენტრალიზმის პრინციპზე. ფედერაცია ამ შემთხვევაში გამოირიცხებოდა ან მიიღებოდა, როგორც

ცენტრალიზმზე გარდამავალი დაბალი საფეხური (ტ.27, გვ.170, 238, ტ.21, გვ.114, ტ.6, გვ.403, ტ.22, გვ.177, ტ.20, გვ.39-40, 38).

მოძღვრების მტკიცებით რუსეთის მომავალ სოციალისტურ იმპერიაში უნდა გატარებულიყო ისეთივე დაჩქარებული ასიმილატორული პოლიტიკა, როგორსაც მეფის რუსეთი (მთავარმმართებელი მ. ვორონცოვი) ატარებდა კავკასიაში. ამ პროცესის ხელშეწყობის მიზნით არარუს ერებს არ მიეცემოდათ სახელმწიფოებრიობა: ისინი საოლქო ავტონომიის უფლებით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ. ამავე დროს თავიდანვე ხელი უნდა აელოთ ეროვნულ-პოლიტიკურ საზღვრებზე. ყოველი ეროვნული ერთეულის საოლქო ავტონომია ისე უნდა მოეწყოთ, რომ არავის არ სცოდნოდა ვისი მიწა ვის ფარგლებშია მოხვედრილი. თავიდანვე უნდა აკრძალულიყო ეროვნული კულტურა. არარუს ერებს საერთო ინტერნაციონალური კულტურა უნდა განევითარებინათ. უარი უნდა ეთქვათ ასევე ეროვნული სკოლების შექმნაზე, რადგან ეს გააძლიერებდა „წმინდა კრელიკალიზმს". დასასრულ, უარი უნდა ეთქვათ რომელიმე ენის პრიორიტეტზე. რუსული არ უნდა გამოეცხადებინათ სახელმწიფო ენად, რადგან ეს გამოიწვევდა ეროვნულ ტერიტორიებზე ცალკეულ ერთა მსგავს სურვილს. პირიქით კი რუსული ენა მოგებული იქნებოდა. ლოზუნგი: არავითარი პრივილეგია არც ერთ ენას, შედეგად იწვევდა რუსული ენის საყოველთაო უმტკივნეულო გავრცელებას. ამრიგად, სახელმწიფო ორგანიზაციის, ენის, საზღვრების, ეროვნული სკოლის, კულტურის გარეშე დარჩენილი ერების დაჩქარებულად „შეედუღაბებოდნენ" დიდ რუს ერს (ტ.19, გვ.418-419, ტ.20, გვ11, 70, 7, 34, 6, 10, 426, 33, 26, ტ.39, გვ.773, ტ.22, გკ.410, ტ.20, გვ.25, ტ.27, გკ.439, 460, რუს. V გამ).

ერების თვითგამორკვევის უფლების ასეთი გაგება, ცხადია. პრაქტიკული განხორციელების დროს გარკვეულ მოდიფიკაციას განიცდიდა. განიცდიდა კიდეც. და მაინც 1922 წლის 30 დეკემბერს შექმნილი გაერთიანება მისივე ბელადის განცხადებით სხვა არა იყო რა, თუ არა ავტონომიზაციის დამკვიდრება (ტ. 36, გვ.688). ამასთან, ეს იყო არა ეროვნულ-პოლიტიკური ან ეროვნულ-კულტურული, არამედ საოლქო-ტერიტორიული ავტონომიზაცია. ერთად-ერთი რაც მოხერხდა გაკეთებულიყო ცალკეული ერების უფლების დაცვის მიზნით, იყო კავშირიდან რესპუბლიკათა გასვლის შესაძლებლობის ფორმალური აღიარება. ეს მუხლი, მიღებული ი. სტალინის მოთხოვნით, რა თქმა უნდა, ვერ წაადგებოდა ერთა თვითგამორკვევის საქმეს. იყო კიდევ მცდელობა. 1923 წელს უმაღლეს საბჭოში დაუშვეს ეროვნებათა პალატა. ისიც ი. სტალინის ინიციატივით. მართალია ამ ორგანოს არც უფლება ჰქონია რაიმე და ვერც ვერაფერს მიაღწევდა, მაგრამ ფორმალურად მაინც დაცული იყო. და ბოლოს კიდევ ერთი

მომენტი. არსებობის მანძილზე საბჭოთა კავშირს მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ი. სტალინმა უწოდა ფედერაციული გაერთიანება. ეტყობა ეს მახასიათებელი იმდენად მკრეხელურად გაისმა ახალი იმპერიის მესვეურთათვის, შესაბამისად ისეთი შენიშვნა გაკეთდა, რომ შემდგომ არავის აღარ გაუბედია მისი გამეორება. მხოლოდ გარდაქმნის პერიოდში, როდესაც იმპერიის რღვევა აშკარა გახდა, გაახსენდათ, რომ რესპუბლიკათა კავშირი ფედერაციად იყო მონათლული.

ერის უფლებათა ასეთმა გაგებამ განაპირობა არა მხოლოდ დაპყრობილ ერთა, არამედ თვით რუსი ერის სრული უუფლებობა და სწრაფი დეგრადაცია. იქმნებოდა და უქმდებოდა რესპუბლიკები, ავტონომიები, ოლქები, ისჯებოდნენ ან პრივილეგიებს იპოვებდნენ ცალკეული ერები, ცალკეული პერეგრინ-ლიდერთა გუნება-განწყობის მიხედვით. შეიქმნა და ბოლო წლებამდე ფუნქციონირებდა მექანიზმი, რომელიც სწავლობდა ცალკეულ ერთა აღრევის, ერთა შორის შუღლის გამოწვევის, პროვოკაციების მეთოდების, ფორმებისა და მსგავს საკითხებს.

ერის უფლებათა დაცვის ლენინური თეორია და პრაქტიკა ემყარებოდა დაუფარავ ძალადობას და მათ ერთიან საბჭოთა ხალხად ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად. ასეთ პირობებში ურჩ ერებს ელოდათ სამხედრო, პოლიტიკური, დემოგრაფიული, კულტურული გენოციდი. ერების აყრა-გადასახლება, რეპრესიები, ტერორი, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. წინააღმდეგობის ან პროტესტის სულ მცირე გამოვლენაც კი სასტიკად ისჯებოდა. ყოველივე კეთდებოდა ერთა თვითგამორკვევის სიტყვიერი აღიარების პირობებში.

რამდენადაც ქართველი ერი ლენინური პოლიტიკის ორბიტაში იყო მოქცეული, დაუფარავად სწარმოებდა მისი გადაგვარება-მოსპობისათვის უმაღლესი ზრუნვა. ამიტომ იქნა სისხლში ჩახშობილი 1922 და 1924 წლების ამბოხის ცდა. ამიტომ განიცადა საქართველომ დემოგრაფიული ანექსია. რეპრესირებულთა პროცენტული მონაცემებით ამიტომ უნდა ყოფილიყო ქართველობა უპირველესი. თუნდაც ასეთი ფაქტი რად ღირს: დაახლოებით 250 ათას სომეხ ლტოლვილს რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიიდან ერეკებოდა და ეს სრულიადაც არ იყო ნაციონალიზმი რუსების მხრიდან. აზერბაიჯანმა უარი განაცხადა მათ მიღებაზე და ესეც ინტერნაციონალიზმს წარმოადგენდა. უფრო მეტი, სომხეთმა თქვა უარი დევნილ თანამემამულეთა მიღებაზე. ესეც გასაგები სომხური პატრიოტიზმი იყო. ხოლო როდესაც საქართველომ დააპირა უარის თქმა, ეს ქართულ „ნაციონალ-უკლონიზმად“ იქნა აღქმული და შესაბამისი ლონისძიებანიც გატარდა. რაზე მიუთითებს ასეთი სტატისტიკა, თუ არა

ქართველი ერის თვითგამორკვევის დათრგუნვის მცდელობაზე: 1921 წელთან შედარებით 1939 წლისათვის სომხების რაოდენობა საქართველოში ორმაგდება, ცოტა უფრო მაღალი ტემპი აქვს ე.წ. აზერბაიჯანელთა რაოდენობრივ ზრდას, თითქმის სამმაგი ხდება ბერძნული მოსახლეობა, ორმაგდება ოსების რიცხვი. ყოველგვარ ზღვარს აჭარბებს სლავური მოსახლეობის ზრდის შესაძლებლობა. 1926 წელს საქართველოში იყო 36 ათასი რუსი, 1939 წელს მათი რიცხვი 307 ათასამდე ადის.

ქართველი ერი საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში არა მხოლოდ თვითგამორკვევის პრინციპს ვერ განახორციელებდა, არამედ საერთოდ ყოველგვარ უფლებას მოკლებული აღმოჩნდა. გარეგნულად შენარჩუნებული იყო ერის არსებობის წესი (ეროვნული ენა) და ფორმა (სახელმწიფო ორგანიზაცია). რესპუბლიკა სახელმწიფოს წარმოადგენდა, მოკლებულს სახელმწიფოს ძირითად მახასიათებელს. რესპუბლიკას მართავდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა რუსეთის საოლქო კომიტეტის მდივნის უფლებები. იყო მინისტრთა საბჭო საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის უფლებით და ა.შ. კიდევ უარესი. რუსეთში საოლქო კომიტეტში რუსები იყვნენ. საქართველოში კი საოლქო კომიტეტის უფლებების შეზღუდვის მიზნით პარტიის ცკ მეორე მდივანი 1957 წლიდან მოყოლებული უეჭველად რუსი უნდა ყოფილიყო.

ასეთ სახელმწიფოში უუფლებო იყო არა მხოლდ ქართველი ერი, არამედ მის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეროვნების ადამიანებიც. ამავე დროს, ამ უუფლებო მასაში, ცენტრალური ხელისუფლება ყოველთვის გამოყოფდა ამა თუ იმ ნაწილს, უქმნიდა ხელშემწყობ პირობებს, უპირისპირდება დანარჩენ უმრავლესობას. ესეც ერთა თვითგამორკვევის ლენინური გაგების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა. ამ პროცესს იმპერიის ხელმძღვანელობა ეროვნული პოლიტიკის ქვაკუთხედად მიიჩნევდა და საკმაოდ დიდ წარმატებასაც აღწევდა. ცნობილია ვ.ი. ლენინის დეპეშები, წერილები სადაც იგი დაუფარავად მოუწოდებდა ს. ორჯონიკიძეს და ს. კიროვს მოეტყუებინათა ადგილობრივი „ტუზემეცი" მოსახლეობა, დაპირებოდნენ მათ ყოველგვარ პრივილეგიებს, ავტონომიებს, დამოუკიდებლობას, ოღონდ კი საბჭოთა ხელისუფლების მომხრეებად ექციათ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა იგი კავკასიელთა მიმართ (ტ.44, გვ.310, ტ.53, გვ.104-105, რუს. გამ., ტ.44, გვ.306, ტ.27, გვ.256, რუს გამ).

საქართველოსთან მიმართებაში იმპერიის ხელმძღვანელობა ოსტატურად იყენებდა ტომობრიობის, კუთხურობის, ეთნიკური კუთვნილების სრულიად გასაგებ გრძნობას. ამ მხრივ გამონაკლისს არც ერთი ერის ელემენტთა მიმართ არ უშვებდა. ცნობილია საქთველოს ტერიტორიაზე მცხოვრები

სომხების, ბორჩალოელების (ე.წ. აზერბაიჯანელების), ოსებისა და სხვათა პრეტენზიები. ეროვნული თვითგამორკვევის ლენინური მეთოდების ერთგული იმპერიული ხელმძღვანელობა ადრევე დაპირდა ყოველგვარ პრივილეგიას ყველას, ვინც დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ იბრძოდა. ამიტომ იყო უაღრესად მონდომებული საბჭოური პროვოკაციები აფხაზეთში, ქართლში, ჰერეთში, სამცხე-ჯავახეთში. შედეგმაც არ დააყოვნა. რესპუბლიკის ტერიტორიათა ნაწილი მოექცა უცხო სახელმწიფოთა შემადგენლობაში, ნაწილზე აღმოცენდა ოდიოზური ავტონომიები, ხოლო დანარჩენმა არაქართულმა ელემენტმა მიიღო კულტურული ავტონომიის ისეთი პირობები, როგორიც არ ჰქონდათ მათ თანამოძმეებს საკუთარ რესპუბლიკებშიც კი. ყოველივე კეთდებოდა არა ერების სიყვარულით, არამედ ქართველი ერის წინააღმდეგობის გატეხვის მიზნით.

საბჭოთა იმპერიის ხელმძღვანელობისაგან სხვაგვარი მოქმედება გამორიცხებოდა. საქმე იმაშია, რომ რუსეთში წარმოებული მთელი რევოლუციური ბრძოლების კვინტესენცია იმპერიის ტერიტორიული მთლიანობის ლოზუნგით მიმდინარეობდა. რუსი ერის უმრავლესობა, მისი ეროვნული თვითშეგნება ისე იყო მიმართული, რომ მხარს დაუჭერდა ნებისმიერ ხელისუფლებას, რომელიც იმპერიის მოდერნიზაციისა და ტერიტორიული ერთიანობისათვის იბრძოლებდა. საბჭოთა ხელმძღვანელობაში, სადაც თეორეტიკოს ხელმძღვანელთა უმრავლესობა ებრაელობა იყო, ხოლო პრაქტიკოს ხელმძღვანელთა შორის ბევრი კავკასიელი, თავიდანვე ყველაზე აუცილებელ საკითხს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა წარმოადგენდა. მსჯელობა სოციალიზმის შესახებ იყო ფარი, რომლის მეშვეობით უნდა გაებრიყვებინათ მრავალი და მრავალი ერი. თვით ვ.ი. ლენინი აღიარებდა, რომ 1917-1921 წწ. სოციალისტური ექსპერიმენტი დამარცხდა და ამის შედეგად ჩამოყალიბდა შენიღბული და დამახინჯებული ფულად-სასაქონლო ურთიერთობა. საბჭოთა კავშირში 1921 წლიდან იყო სახელმწიფო კაპიტალიზმი დამკვიდრებული არამეცნიერულ-ტექნიკური, კულტურულ-ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებით, არამედ ძალდატანების წესით. ამიტომაც იქცა, იგი რეგრესის საფუძვლად. საბჭოური არსებობის გაორებული ხასიათი მხოლოდ ძალაზე, მძლავრ შოვინიზმზე, ერთა აღრევაზე, ფარულ ურთიერთდაპირისპირებაზე და მოტყუებაზე იყო დაფუძნებული.

საქართველოში ეს პოლიტიკა მით უფრო მეტად მახინჯი თავისებურებებით ხორციელდებოდა, რაც უფრო თვალსაჩინო იყო კუთხის ფასი იმპერიისათვის. ამიტომ იდევნებოდა ყოველივე ქართული, მიმდინარეობდა ერის სოციალური და კუთხური კუთვნილების ნიშნებით გარჩევა. ამიტომ ხელოვნურად მწვავდებოდა ეროვნული საკითხი რესპუბლიკის

სხვადასხვა კუთხეში. ერი მუდმივად უნდა ყოფილიყო დაპირისპირების მდგომარეობაში, რათა ყოველთვის საჭირო გამხდარიყო მხსნელად იმპერიული ცენტრის „მზრუნველი“ ჩარევა. როდის, რომელი ეთნიური ელემენტი, რა მოტივით აუმხედრდებოდა ქართველ ერს, წინასწარ დაგეგმილი იყო ე. ბაგრამოვის, გ. ტრაპენზიკოვის, ი. ლისოვცევის ლ. არუთინოვის მსგავსი მეცნიერ-სპეციალისტთა მიერ.

იმპერიული ცენტრის მხრივ მხარდაჭერა სრულიადაც არ ნიშნავდა ამ ეთნიკური ჯგუფების დაცვას. პირიქით. პოლიტიკა მიზნად ისახავდა მუდმივი დაძაბულობის შენარჩუნებას ორივე მოქიშპე მხარის მორჩილებაში მოყვანის, მათი შემოქმედებითი პოტენციალის დაძაბუნების, ეროვნული წინააღმდეგობის გატეხვის მიზნით.

ათეული წლების მანძილზე ასეთ ვითარებაში „მოღვაწეობის“ შემდეგ კნინდებოდა ინტელექტი, შემართება, წინააღმდეგობის შესაძლებლობა. ამას ემატებოდა ყოველი უმნიშვნელო საკითხის გასაიდუმლოების წესი. ამ გზით კრიტიკულად მოაზროვნე მასა, ისევე როგორც ერის უმრავლესობა სრული დეზინფორმაციისა და შიშის ვითარებაში ცხოვრობდა და მოკლებული იყო სასიცოცხლო პროცესებზე აქტიური ზემოქმედების შესაძლებლობას. ჭეშმარიტად: არაა ერი თავისუფალი პიროვნების თავისუფლების გარეშე და პირუკუ.

იმპერიული ზეწოლის წყალობით გარკვეულად შეიცვალა ჩაგრულ ერთა დამოკიდებულება არა მხოლოდ მჩაგვრელთადმი, არამედ ჩაგრულთადმიც. ერთი მხრივ გაჩნდა ძალადობისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობის, მიმტევებლობის „ნაციონალური“ გრძნობა, ხოლო მეორე მხრივ, მოპოვებულის შემომტკიცების, მეტის გამოძალვის „ინტერნაციონალური“ სურვილი. პირველი ნიშანი ახასიათებდა საკუთარ, ისტორიულ ტერიტორიებზე ლოკალიზებულ ერებს. მეორე, ისტორიული საზღვრების მიღმა განფენილ ერებს. რამდენადაც ფართე ასპარეზი ექმნებოდა შერეული ქორწინების, მიგრაციის, ასიმილაციის პროცესებს, ლოგიკურია, რომ მძლავრობდა მეორე ნიშნის მეხოტბე მკვლევართა ნაზრევი. სანაცვლოდ აკრძალული იყო ასეთი: „უფლება არსებობისა და ხელუხლებლობისა, თანასწორება სრული და სამართლიანი, უფლება რომელიმე ფორმის სახელმწიფოს დაარსებისა, უფლება საზოგადოებათა საზოგადოების წინაშე სამართლის პოვნისა და თანასწორი, სამართლიანი ვალდებულება მის წინაშე – აი ერის უფლება.[1]“ ერის უფლებაა – იყოს თავისუფალი.

---

1. მ. წერეთელი, ერი და კაცობრიობა (სოციოლოგიური ანალიზი). თბ., 1990, გვ. 194.

10.1. ეროვნული უფლებები საქართველოში

კავკასიაში მცხოვრებ ერებს ათასწლეულის მანძილზე ჰქონდათ მკვეთრად განსაზღვრული ეროვნულ-ტერიტორიული სიერცე და ეს ბევრად განაპირობებდა შედარებით მშვიდობიან თანაარსებობას. ამა თუ იმ ეთნოსის ელემენტების მთლიანობის პრინციპის აღიარება ხელს უწყობდა შემწყნარებლურ დამოკიდებულებას ხიზნებისადმი. ადათ-წესებით, ზნე-ჩვეულებებით, ტრადიციებით იყო იგი განმტკიცებული. თვით რელიგიური ფაქტორიც კი ვერ ლახავდა მის სიმყარეს. ამიტომ იყო გაგებით აღქმული ქართველი ერის მიერ ის ცალკეული პრივილეგიები, რაც მუსულმან მოსახლეობას ებოძა დავით აღმაშენებლის მიერ. ასეთ საფუძველზე შენდებოდა ეროვნულ ინტერესთა დაცვის სისტემა საქართველოში.

ჭეშმარიტებას მოკლებულია მტკიცება, თითქოს საქართველოში უცხო ელემენტთა დამკვიდრებას ყოველთვის მშვიდობიანი, კეთილმოსურნე ვითარება ხვდებოდა. ცალკეული ინდივიდების დასახლებას ალბად ასეც აღიქვამდნენ, მაგრამ უცხო ტომელთა კომპაქტური დასახლებები საქართველოს ტერიტორიაზე ყოველთვის ძალადობასა და იძულებას გულისხმობდა. ეს დებულება თანაბრად შეეხება ყველა მოსულს ნიკოფსიიდან კახამდე და ალთა-ბალთიდან სპერამდე. ამ გზით დამკვიდრდნენ ლეკნი ჰერეთში, ოვსნი დვალეთში და შიდა ქართლში, აფსუანი აფხაზეთში, ბორჩალონი დებედას ხეობაში. მხოლოდ სომხები და ბერძნები იყვნენ მოწვეულნი ერეკლე მეორეს მიერ ლორე-ალავერდის რეგიონში, ხოლო შემდეგ ასევე ქართველი ერის ნების უკითხავად, 1829 წლიდან მოყოლებული კომპაქტურად დასახლებული ჯავახეთისა და აფხაზეთის რეგიონში. რაც შეეხება საქართველოს სლავიანურ მოსახლეობას, რუსეთის მთავრობა, დამპყრობისა და ძლიერის უფლებით, ზრდიდა მის რაოდენობას საჭიროების მიხედვით.

საქართველოს ისტორია და დემოგრაფიული სტატისტიკა მოწმობს იმ ფაქტს, რომ სხვა ერების ელემენტების სიმრავლე განსაკუთრებულად მატულობს რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოქცევის შემდეგ. ეს გამოწვეული იყო ქართველთა მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის უუნარობით მისი სრული დათრგუნვის პროცესში. ამიტომ იყო, რომ დღევანდელ საზღვრებში აღებული საქართველოს მოსახლეობაში 1801 წელს ქართველთა რაოდენობა თუ 79,4% აღწევდა, 1917 წლისათვის ეს მონაცემი 67,2% შემცირდა. ასევე შემცირდა ქართველთა ხვედრითი

წილი ამიერკავკასიის მოცულობით. 1801 წელს იყო 43%, ხოლო საუკუნის შემდეგ 28,8%. მონაცემი აშკარად მიუთითებს საქართველოს ხვედრითი წილის შემცირებაზე როგორც ამიერკავკასიის, ასევე საკუთრივ საქართველოს მოცულობით.

როგორია საქართველოში არაქართველთა დემოგრაფიული სურათი?

1801 წლისათვის საქართველოში სომხებისა და გასომხებული ქართული წარმომავლობის მოსახლეობის ოდენობა 47 აღასს აღწევს და მოსახლეობის 6% შეადგენს, ბორჩალოელთა რიცხვი (მათ 1935 წლიდან აზერბაიჯანელები ეწოდებათ) 30 ათასიანი ანუ 3,8%. ოვსთა რაოდენობა 29,3 ათასია რაც 3,7% აღწევს. ებრაელთა რიცხვი 3,3% ათასია, რაც 0,4% უახლოვდება. ბერძენი სულ 500 – 0,1% ფარგლებში.

ცალკე განხილვას საჭიროებს აფსუათა პრობლემა. აქ დიდი ძალისხმევის კვლევაა ჩასატარებელი, რათა საბოლოოდ გაირკვეს ისტორიული წარმომავლობის, საქართველოში დამკვიდრების, აფხაზთა და აფსუათა ცნებების თანაფარდობის, ქრისტიანობა-წარმართობა-მუსულმანობის მონაცვლეობის, გეოგრაფიულ განფენილობში ცვლილების, ქართველობის, აფხაზობის, აფსუობის თანაფარდობის საკითხები და ა.შ. ამ შემთხვევაში არსებითია ის, რომ მათი ოდენობა ადიოდა 52 ათასამდე და მოსახელობის 6,6% შეადგენდა.

საქართველოში იმ დროს არ აღირიცხებოდა არც ერთი სლავიანური მოსახლე.

თუ დაახლოებით ერთი საუკუნის მანძილზე საქართველოში ქართველთა ხვედრითი წილი დავიდა 67,2%, ოციან-ოცდაათიანი წლებისათვის ეს მონაცემები კიდევ იფრო დაბალია – 61,4%. 1979 წლის მონაცემებით ქართველთა ოდენობა აღწევს 68,8%, აფსუათა – 1,7%, სომხების – 9%, ოსების – 3,2%, ბორჩალოელები – 5,1%, ბერძნები – 1,9%, ებრაელები – 0,6%, სლავიანები – 8,3%.

მოსახლეობის საერთო რაოდენობას თუ გადავხედავთ აღმოჩნდება, რომ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცევის შემდეგ საქართველოში: აფსუათა ოდენობა 52 ათასით გაიზარდა 95852 ადამიანამდე, სომხებისა – 47 ათასიდან 437211, ბორჩალოელთა (აზერბაიჯანელთა) – 30 ათასიდან 307556,3 ოვსთა – 29,3 ათასიდან 164055, ბერძენთა ერთეულიდან 100324, ებრაელთა – 3,3 ათასიდან 24646, ამას დაემატა 6206 ასირიელი, 4099 თათარი, 33331 ქურთი, 8595 ბელორუსი, 52443 უკრაინელი, 341172 რუსი და სხვა ერების ორმოცი ათასამდე წარმომადგენელი.

სხვადასხვა სახის მრავალფეროვანი მონაცემების მოტანა სიძნელეს არ წარმოადგენს. გეოგრაფიული, სოციალური, ეკონომიური, კულტურული

სფეროს ამსახველი კრებულები, მოხსენებები, სტატისტიკური მდგომარეობის ამსახველი მასალა უხვადაა. მათი თუნდაც ზერელე გაცნობა ადასტურებს ერთ ფაქტს: ამა თუ იმ ერის ან ერის ნაწილის დემოგრაფიული ზრდა პირდაპირ კავშირშია სხვა სახის მონაცემებთან. საქართველოში სომხების, ბერძნების, ოსების და სხვათა დემოგრაფიული სწრაფი ზრდა გამოირიცხებოდა, რომ არ ყოფილიყო სოციალურ-ეკონომიკური და იდეურ-კულტურული განვითარების შესაბამისი პირობები.

არის დემოგრაფიული ცვლილებების მიგრაციული ფაქტორიც: ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ საქართველოში არაქართველთა რაოდენობივი ზრდა პირველ რიგში სწორედ ამ გზით ხორციელდებოდა. მაგალითად შეიძლება დასახლდეს ასეთი: მხოლოდ ხუთი წლის მანძილზე, 1897-1902 წლებში დაახლოებით სამოცი ათასამდე სომეხი იქნა ჩამოსახლებული საქართველოში. ცხადია ბუნებრივი მატების გზით სომეხთა რაოდენობა საუკუნის მანძილზე ვერ გაათმაგებოდა. იგივე ითქმის სხვა ერების ელემენტებზე. და მაინც, რომ არა ხელსაყრელი პირობები, ქართველებთან შედარებით პრივილეგირებული მდგომარეობა, არაქართველთა ზრდის ტემპები ასეთი მაღალი ვერ იქნებოდა.

ზედმეტია იმის თქმა, რომ გეოგრაფიულ-კლიმეტური პირობებით, ირიგაციის შესაძლებლობით, მატერიალური კეთილდღეობის ზრდის წყაროებით საქართველოს მთიანეთი ახლოს ვერ მივა იმ რეგიონებთან, რომელიც დღეს უკავია სხვა ერების კომპაქტურად განლაგებულ მოსახლეობას. საქართველოს მთიანი მხარე დაცლილია მოსახლეობისაგან. ეს თანაბრად ეხება თუშეთს, ხევსურეთს, ფშავს, ხევს, მთიულეთს, რაჭას. კლიმატის სისასტიკე და მიწის სიმცირეა ძირითადი მიზეზი. მთაში ოჯახის შექმნა-გამოკვება დიდი პრობლემაა. დემოგრაფიული ზრდის ინტერესებმა განაპირობა შუასაუკუნეების საქართველოს მთიანეთის განთავისუფლება გადასახადებისაგან. სულ სხვა მდგომარეობაა ოსებით, ბორჩალოელებით, სომხებით დასახლებულ რეგიონებში. ორ და სამ მოსავალს ღებულობენ აქ წლის მანძილზე. მატერიალური პრობლემის დაკმაყოფილების მაღალი შესაძლებლობა ხელს უწყობს დემოგრაფიული ზრდის დაჩქარებას.

ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს ემატება კულტურულ-საგანმანათლებლო პირობების მაღალი დონე. საქართველოში მცხოვრებ ყველა ერის ელემენტებს აქვთ მშობლიურ ენაზე განათლების (მათ შორის უმაღლესი) შესაძლებლობა, მათთვის უზრუნველყოფილია ლიტერატურულ-კულტურული შემოქმედების ყველა პირობა. მონაცემები განსაცვიფრებელია.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში მცხოვრები სხვა ერების

ელემენტთა კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში უგულვებელყოფილი იყო ქართული ენა, იდევნებოდნენ ქართველი სპეციალისტები, ქართველობა მიჩნეული იყო მეორეხარისხოვან მოსახლეობად. საწარმოო და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები ძირითადად მიმართული იყო იმ რესპუბლიკისა და ერისაკენ, რომლის ნაწილადაც რაიონის მოსახლეობა თვლიდა თავს.

დაფიქსირებულია სომხურენოვანი მოსახლეობის დაქვემდებარება სომხეთის რესპუბლიკის მხრივ მიღებული გადაწყვეტილებისადმი. ეს მაშინ, როდესაც საქართველოს მთავრობის უმეტესი მითითებანი იქ არ სრულდება. ამასთან ფართედ ვრცელდება დეზინფორმაციული ვერსია საქართველოში მცხოვრებ სომეხთა და სომხეთის სომხობის ურთიერთ გაუცხოების შესახებ. მაგალითისათვის საარქივო ძიებანი ზედმეტია. საკმარისია იმის გახსენება თუ როგორ თავმდაბლად სთხოვდნენ საქართველოს ხელმძღვანელები სომხეთის მთავრობას, მოეხდინათ ზეგავლენა ჯავახეთში, თბილისში, აფხაზეთში მცხოვრებ სომხებზე 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის დროს.

საპირისპიროდ იმის გახსენებაც საჭიროა, რომ არა მხოლოდ შუა სასომხეთში, არამედ ლორე-ალავერდი-სანოინოს რეგიონშიც (ეს ტერიტორიები საბჭოთა პერიოდში გადაეცა საქართველოსაგან სომხეთს) საერთოდ არ აღინიშნება ქართული ელემენტი. თუ ვინმე იყო, — ასიმილირებულია.

არა ნაკლებ დამაფიქრებელი სურათი იქნა დაფიქსირებული აზერბაიჯანელი (ბორჩალოელი) მოსახლეობის რაიონებში. უკანასკნელ პერიოდამდე ნადგურდებოდა ქართული კუთვნილების კულტურის ძეგლები. ყოველწლიურად ასეულობით მოლა შემოდიოდა აზერბაიჯანის მხრიდან. მათ მიერ ჩატარებულ ლოცვა-აგიტაციებს ესწრებოდა ყველა მუსულმანი რაიკომის პირველი მდივანიდან მოყოლებული სულ მცირე ჩინოვნიკამდე. არაერთგზისაა დაფიქსირებული დაუფარავი მოწოდებანი გამრავლებისაკენ, რათა ამ გზით დაეპყროთ ქართული მიწები. აზერბაიჯანულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები მხოლოდ აზერბაიჯანელების მიერ ტარდებოდა და აზერბაიჯანულად. ბიბლიოთეკებში არ იყო ლიტერატურა ქართულ ენაზე, ყველა დონეზე დემონსტრირებული იყო მხოლოდ აზერბაიჯანის ხელმძღვანელთა პორტრეტები და სხვა.

სულ სხვა სურათი აღინიშნებოდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეულ ქართულ მიწაზე. ზაქათალა-ბელაქანი-კახის რაიონებში მცხოვრებ ბევრ ქართველს ძალით აღებინებდნენ მუსლიმანობას, შემდეგ კი, როგორც მუსლიმანს, ეროვნებად აზერბაიჯანელს უწერდნენ. საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კახის ცენტრში ქართველებს

აუჩეხეს ბაღ-ვენახები, დაუნგრიეს საცხოვრისი, ააშენეს იქ უსახური „მაღლივი“ ბინები და იქ მოწვეული აზერბაიჯანელები ჩაასახლეს. ცნობილია ისიც, რომ როდესაც ქართველთა მდგომარეობით შეწუხებულმა ე. შევარდნაძემ გ. ალიევს მიაწვდინა ხმა, ამ უკანასკნელმა დახმარების ნაცვლად კახის რაიკომის მდივან მუსაევს უბრძანა დაეჩქარებინა ქართველების ასიმილაცია. ასევე შეიძლებოდა იმის გახსენება, თუ როგორ ალპობდნენ საქართველოდან გაგზავნილ სასკოლო სახელმძღვანელოებს ბაქოში, ოღონდ კი ე.წ. საინგილოს ქართველ ბავშვებს არ მიელოთ.

აზერბაიჯანის საზღვრებში მოქცეული ქართული რაიონების ქართველების მდგომარეობას სრულებითაც ვერ ამსუბუქებდა ის, რომ მათი დამაქცევარი დაღესტნელი ლეკები მათზე ადრე და მათზე უხეში ფორმებით მოაქციეს აზერბაიჯანელებად.

გამოწვლილვით იქნა შესწავლილი საქართველოში მაცხოვრებელი ოსების მდგომარეობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ე.წ. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს. სანიმუშო სურათი დაიხატა ოსი ეროვნების მოსახლეობისათვის. ქართველობის არაერთგზისი ღალატისათვის ლენინური მზრუნველობით ნაბოძები ავტონომია ფაქტობრივად დამოუკიდებელ მინისახელმწიფოდ იყო ქცეული. ყველა შემოსავლიანი, გავლენიანი თანამდებობა ოსებს, ყველა კარგი საცხოვრისი, სკოლა, სბავშვო ბაღი ოსებს, ყველაფერი უკეთესი და პირველ რიგში ოსებს. ოსური უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რადიოგადაცემები, პრესა და ა.შ. ქართველობა და ქართული საუბარი მორიდების საგნად იყო ქცეული. არც იმაღლებიდა, რომ ქართლს გორამდე და მცხეთამდე ოსურ მიწებად მიიჩნევდნენ. განსაკუთრებულ სიამაყეს იწვევდა როქის გვირაბით ოსურ სამშობლოსთან დაკავშირება.

ობიექტურობისათვის უნდა ითქვას, რომ ცხოვრების (და არა თანამდებობრივი წინსვლის) შედარებით თანაბარი პირობები ჰქონდათ იმ ქართველებს, რომელნიც ისტორიული ოსეთის ტერიტორიაზე მოხვდნენ. უფრო მეტი, ვლადიკავკაზში (ყოფილი ორჯონიკიძე) ერთადერთი არარუსული სკოლა ქართული იყო.

შესწავლილი იქნა აფხაზეთში დამკვიდრებული ეროვნებათშორისი ურთიერთობაც. გაკეთდა დაწვრილებითი ანალიზი.

აფხაზეთში ეროვნებათშორისი მდგომარეობა აფსუათა აშკარა პრივილეგიებზე ღაღადებდა. მოსახლეობის 17%-ს ეკუთვნოდა ყველა და ყველაფერი და ანგარიშვალდებული არ იყო არავისთან საქართველოში. დიდი წარმატებით იქნა რეალიზებული სამოცდაათიანი წლების ბოლოს მიღებული შეღავათები. მოსახლეობის ამ ნაწილს ჰქონდა ძალაუფლება,

მატერიალური კეთილდღეობა, სულიერი განვითარების ხელშემწყობი ატმოსფერო. იგრძნობოდა ყველაფერში გამარჯვებულის ხელწერა. თუ დაეჯერება ზოგიერთი მათგანის აზრს ყველაზე დიდი საწუხარი იყო მათ გვარებში ჩაქსოვილი აშკარად ქართული ძირები (ვთქვათ გულია, ძიძარია და ა.შ.).

აფხაზეთის პრობლემა ცალკე განხილვას მოითხოვს, მაგრამ რა უნდა ეწოდოს მდგომარეობას, როდესაც საქართველოში, ქართველს ქართულად საუბარი არა მხოლოდ ერიდებოდა, არამედ ეშინოდა კიდეც. და ეს მაშინ, როცა ქართველობა იყო რეგიონის 48%. სხვა ყველაფერს რომ თავი დანებდეს, რად ღირს თუნდაც ის მაგალითი, რომ ქართველებს სოხუმის ცენტრში წაგლიჯეს შესანიშნავი სკოლა, რათა იქ გაეხსნათ თავისი, სადაც კონტიგენტის უკმარისობის გამო მოსწავლეები შორეული სოფლებიდან ავტობუსებით ჩამოყავდათ.

საქართველოში არაქართველთა ეროვნული უფლებების საკითხზე მსჯელობა (საგნობრივი და პრაქტიკულ ხასიათის) აუცილებელია და საშური. ამ პრობლემას მრავალი ასპექტი გააჩნია. ამ შემთხვევაში მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა ხშირად ღებულობდა შემუშავებული რეკომენდაციების საწინააღმგედო გადაწყვეტილებებს. რიგ შემთხვევაში ალბად ამანაც განაპირობა მდგომარეობის ისეთი დაძაბვა და განმუხტვის ისეთი ფორმები როგორიც იხილა საზოგადოებამ უკანასკნელი წლების მანძილზე.

მოკლე დასკვის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არ იყო არც ერთი ერის წარმომადგენელთა არც ერთი ოდნავ მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომელსაც არ ჰქონდა ფართე ეროვნულ-კულტურული ავტონომია, ხოლო რაც შეეხება აფსუათა და ოვსებს, მათი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა საქართველოსაგან, ბევრად აღემატებოდა საქართველოს პოლიტიკურ სტატუსს ყოფილ საბჭოთა კავშირში.

არაქართველთა აღზევება ქართველებზე საქართველოში იმდენად მაღალი იყო, რომ ადამიანი, რომელიც ღრმად არაა ჩახედული ამ მოვლენებში, შეუძლებლად მიიჩნევს მის რეალურობას.

რა უწყობდა ხელს ასეთ მდგომარეობას?

ერთი შეხედვით საქართველოში შექმნილი ვითარება არ ჩანდა ტრაგიკულად და არ იწვევდა ერის შეშფოთებას. ინფორმაციული ვაკუუმი ყოველდღიური ცხოვრების პირობებისათვის მუდმივი დაძაბული ბრძოლის ვითარებაში ადუნებდა ერის ყურადღებას. ამას ემატება იდეოლოგიური ზემოქმედების შტამპების გავლენა. კიდე უფრო სამწუხაროა, რომ რეს-პუბლიკის ხელმძღვანელობა იძულებული იყო ეთამაშა ხელმძღვანელის

როლი, მაშინ როდესაც ძალაუნებურად კლოუნის მდგომარეობაში იყო და იმპერიის ცენტრის შიშით ვერაფერს წყვეტდა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ვერც კი ამჟღავნებდა საქმის ფაქტობრივ მდგომარეობას.

თავის მხრივ იმპერიის ცენტრი, დიდი წარმატებით აგრძელებდა დასახულ მიზანს. საქართველოს მიმართ პოლიტიკა თავიდანვე სწორედ წარიმართა და არც საბჭოთა ხელმძღვანელობას შეუცვლია ბევრი რამ. საქმე იმაშია, რომ 1801 წლისათვის, როდესაც რუსეთი უშუალოდ შეუდგა კავკასიის დაპყრობას, ჭეშმარიტი სახელმწიფოებრიობა არც თურქებს (აზერბაიჯანელებს) ჰქონდათ და არც სომხებს. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თხუთმეტამდე ურთიერთდაპირისპირებული სახანო იყო. ერევნის სახანო (სომხეთი), დიდხანს წარმოადგენდა ერეკლე II საყმოს. ყველაზე ძლიერ სახელმწიფოებად აღმოსავლეთ საქართველოს და იმერეთის სამეფოები ითვლებოდა. მეფის რუსეთმა ამიტომ წარმართა მთავარი დარტყმა ქართველი ერის წინააღმდეგ. წინააღმდეგობაც ყველაზე მეტი საქართველომ გაუწია.

საბჭოთა იმპერიის ჩამოყალიბებისა და არსებობის დროსაც მეტ წინააღმდეგობას საქართველო წარმოადგენდა. ამიტომ გახდა აუცილებელი ქართველი ერის წინააღმდეგ ყველა საშუალებისა და ყველა მეზობლის გამოყენება. ამიტომ მიიღო არაქართველმა პრივილეგიები საქართველოში.

1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანის გასაბჭოების ისტორია ნათელყოფს, რომ წინააღმდეგობა და წინააღმდეგობის მოძრაობა ფაქტობრივად არ ყოფილა. ამიტომ აცხადებდა სიამაყით ს.ორჯონიკიძე: ჩვენ ისე წარვმართეთ საქმე, რომ ბაქო და აზერბაიჯანი ერთ დღეში გავაწითლეთო. პრაქტიკულად ასევე სწრაფი და უმტკივნეულო იყო იმავე წლის 29 ნოემბრის ერევნის და სასომხეთის ანექსიის პროცესიც. ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად ამას ხელს უწყობდა ეროვნებათშორისი ურთიერთობების ხასიათიც. ხალხის განწყობაზე არ შეიძლება დადებითად არ ემოქმედა იმას, რომ სწორედ რუსეთმა მოსპო 15 სახანოს ურთიერთმტრობა, შექმნა ერთიანი ენობრივი, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური სივრცე და განაპირობა 1918 წელს პირველი აზერბაიჯანული სახელმწიფოს შექმნა. ასევე სომხებს არ შეეძლოთ იმის დავიწყება, რომ რუსეთმა მოსპო ერევნის სახანო და ამით სომხების დაქვემდებარება მეზობლებისადმი. რუსეთმა იხსნა სომეხი ერი სრული განადგურებისაგან, მიუჩინა მათ იმპერიაში საუკეთესო ადგილი, ასპარეზი მისცა უხიფათო განვითარებისათვის.

განსხვავებული ვითარება იყო საქართველოსთან მიმართებაში. მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ იმას, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტი

დაჭირდა მთლიანად საქართველოს დაპყრობას. საკმარისია იმის გახსენებაც, რომ ქართველები არასოდეს არ წყვეტდნენ ბრძოლას თავისუფლებისათვის (1802 წლიდან იყო აჯანყებები, შეთქმულებანი, წინააღმდეგობის მოძრაობა, თუნდაც ავტონომიის მოთხოვნა სახელმწიფო სათათბიროში). 1920 წლის აპრილის ბოლოს მარცხით დამთავრდა საქართველოს დაპყრობის გეგმა. 1921 წელს 11 თებერვალიდან 17 მარტამდე გაგრძელდა უთანასწორო ბრძოლა ერთი მხრივ საქართველოს ნეიტრალურ დემოკრატიულ რესპუბლიკას და მეორე მხრივ რუსეთ-თურქეთ-აზერბაიჯან-სომხურ-ოვსურ-აფსუათა შეიარაღებულ ძალებს შორის. მოკავშირეებმა დამარცხებული გაძარცვეს არა მხოლოდ ტერიტორიულად. საქართველოს ტერიტორიის მესამედს მათ მიაყოლეს მისი ფინანსურ-მატერიალური შესაძლებლობები. ცნობილია, რომ აზერბაიჯანის ხელმძღვანელთა თხოვნით დატოვეს წითელი არმიის დამკვრელი ნაწილები საქართველოს საჯიჯგნად. საქართველოს სახელმწიფო ბანკი გადააქციეს ე.წ. ამიერკავკასიის ფედერაციის ერთიან ბანკად. საქართველოს უცხოური კონცესიები დაუქვემდებარეს რსფსრ ინტერესებს და ა.შ.

საბჭოთა რუსეთმა ყველა მოკავშირეს დაუფასა ღვაწლი. დაუფასა საქართველოსა და ქართველი ერის ხარჯზე. არაქართველი ერების წარმომადგენელთა საერთო პრივილეგია საქართველოში სრულიად ეხამებოდა როგორც მათ მისწრაფებებს, ისე იმპერიულ პრინციპს — გათიშე და იბატონე.

თავის მხრივ რუსეთის დახმარებით გალაღებულ ერებს კარგად ესმოდათ მათი პრივილეგიების წყაროსა და ხასიათის მეობა. ამიტომ აქტიურობდნენ ანტიქართული პოლიტიკის ავანგარდში.

მსოფლიო მეცნიერულ-პოლიტიკური თვალსაზრისი არამკვიდრი ერის ელემენტებისათვის კულტურულ ავტონომიას აწესებს. ასეთივე უფლება უნდა ჰქონოდათ საქართველოში მცხოვრებ არაქართველი ერების ელემენტებს. იმპერიული ძალების თანადგომა არ უნდა გადაქცეულიყო მათთვის კულტურული ავტონომიის საზღვრების დარღვევის საფუძველი, მათი პოლიტიკა არ უნდა ყოფილიყო იმპერიული აგრესიის ავანგარდში ყოფნა.

10.2. ერის ვალდებულება

უკვდავ-უბერებელი არაფერია. კაცობრიობის ისტორიამ იცის ძველი და ახალგაზრდა ერები. ყველა ერის, ხალხის, ტომის ცხოვრება არც არასოდეს იქნება გამოკვლეული. ცხადი მხოლოდ ერთია: რიგი ერები იყვნენ და აღარ არიან, რიგი ერები ახლა ყალიბდებიან. დღეს მხოლოდ ხალხია ამერიკელი, ავსტრალიერი, კანადელი, ბრაზილიელი და ა.შ. დროთა ვითარებაში მათგან უეჭველად ჩამოყალიბდებიან შესაბამისი სახელწოდების ერები. კიდევ უფრო ხელშესახები მაგალითია აზერბაიჯანი. ისტორიულ ალბანებთან შერეული თურქული წარმომავლობის ხალხი, რომლებსაც მხოლოდ 1935 წლიდან ჩაუწერეს ეროვნება აზერბაიჯანელი, დღეს ერის სტატუსით გამოდის.

არიან აგრეთვე ახალგაზრდა ერები. მათი ისტორია კაცობრიობის უახლოეს წარსულს განეკუთვნება. საქართველოს ჩრდილოელი მეზობელი გამოდგება მაგალითად.

არიან მსოფლიოში გაბნეული ძველი და საშუალო ასაკის ერები. მათი ისტორია კაცობრიობას დადგენილი აქვს დასაწყისიდან დღემდე. მაგალითისათვის შეიძლება ქართველთა უახლოესი მეზობელი სომეხი ერი დასახელდეს. მეცნიერებისათვის (პირველ რიგში სომეხი მკვლევარებისათვის) გარკვეულად ითვლება ის, რომ ძველი წელთაღრიცხვით მეექვსე საუკუნეში კიმერიელებისა და ტაბალ-მუშეს ტომების შერწყმა-შერევამ დაუდო სამანი სომეხი ერის არსებობას.

მსოფლიო მეცნიერება ცდილობს ახსნას ბევრი უძველესი კულტურისა და მისი მატარებელი ერების საიდუმლო. ეგვიპტელები, ფინიკიელები, შუმერები და ა.შ. ვინ იყვნენ, რას წარმოადგენდნენ, როგორ გაქრნენ. კითხვა ბევრია.

არიან ერები, რომელთა წარმომავლობა და წარსული ჯერხანობით მაინც ბურუსითაა მოცული. მათ რიგს განეკუთვნება ქართველი ერი. ვინ იტყვის უტყუარად სად დაირწა, როდის დაირწა მისი აკვანი, ვისი განაყარი ძმაა და ვისი მემკვიდრე, რა კავშირი ჰქონდა უძველეს ცივილიზაციასთან და რა წილი მიუძღვის მის დაფუძნებაში, ვის რა წასტაცა და ვის უძღვნა,რა გზებით ვიდოდა და სადამდე. ის ჰიპოთეზები,მიხვედრები, თეორიები, ის დადგენილი რაც ისტორიაა, ვერ ხსნის ბოლომდე, ვერ ჩადის ძირისძირობამდე, ვერ აკმაყოფიულებს ერის მოთხოვნას შეიცნოს და შეიმეცნოს თავი.

ყველაფერთან ერთად ისმის ლოგიკური კითხვა: ერებიდან ვინც დაიღუპა, რად დაიღუპა და ვინც გადარჩა, როგორ გადარჩა. როგორიც

არ უნდა იყოს პასუხი, ერთი რამ ცხადია: ერი ცოცხლობს სანამ იბრძვის. ვინც ბრძოლას წყვეტს, ის იღუპება. თუ ერის მიზანი თავისუფლებაა, მისი მიღწევის გზა უეჭველად ბრძოლაა.

თავისუფლება ყოველივე არსებულის უფლებაა, მაგრამ მის რეალიზაციას ყველა ვერ უძლებს.

თავისუფლება ერისა სამი ასპექტისაა. თავისუფლება სამყაროსთან (გნებავთ საკუთარ მიწასთან) მიმართებაში, სხვა ერებთან ურთიერთობაში და საკუთარ მესთან და მე-ში.

თავისუფლების მიღწევა ბრძოლას გულისხმობს, შეუსელებელს და შეუწყვეტელს.

გარდასულ ერთაგან განსხვავებით ბრძოლის ჟინმა, ბრძოლისუნარიანობამ გადაარჩინა ქართველობა. ხატოვნად კი არა, სიმართლითაა ნათქვამი: საქართველოს ისტორია ბრძოლების ისტორიაა.

თავისუფლებისათვის პერმანენტულმა ბრძოლამ გამოატარა ქართველი ერი საუკუნეთა მსხვრევის პროცესში. ბრძოლამ ახლებურად მომართა მისი გენეტიკური კოდი და ამიტომ გადარჩა ბევრ თანასწორთა შორის.

არასოდეს დაკარგულა ერში რწმენა და შემართება, არ მოდუნებულა ვალდებულების გრძნობა: ერი ვალდებულია იბრძოლოს, რათა იყოს თავისუფალი.

ბუნებრივია, რომ ვერც საბჭოთა იმპერიამ, ხალხთა ამ ულტრა-თანამედროვე საპყრობილემ ვერ მოგრიხა ქართველი ერის ნებისყოფის წნელი. არ იყო და არ ეწერა.

უკანასკნელ პერიოდში, ე.წ. გაზვიადებული სოციალიზმის პირობები (1989-1991 წწ) გაიშალა ფსევდო ქართველი პატრიოტული მსჯელობა იმის შესახებ, თითქოს ქართველი ერის ბრძოლა საბჭოთა იმპერიისაგან გამოსახსნელად დაიწყო 1957 წელს და გადაიარა ერთი კაცის მხრებზე. იქამდე მივიდა ზოგიერთი ვაი ავტორიტეტთა თვითგიპნოზური კადნიერება, რომ ერს შებედეს: შენ სამარეში იწექი და მიწასაც მოგაყრიდი, მაგრამ უმადლოდე ერთ ზვიად დევგმირს, რომელმაც მადლი დაგდო წამოგაყენა და თავისუფლებისაკენ წაგიყვანა. სწორედ ამაზე ითქმის: ნეტარ არიან მორწმუნენი...

ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას გააჩნია შინაგანი კანონზომიერება, რომელიც ვერანაირად ვერ გამოიჭრება აღნიშნულ ავტორიტეტთა სურვილის სქემით. მისი ძირითადი მექანიზმი ასეთია: განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპი იწყება დაპყრობის დღიდან. ერი, ქვეყანა არ წყვეტს ბრძოლას იგი შეიძლება წარიმართოს იარაღით, სიტყვით, აზრით, მშვიდობიანი საშუალებით, ინტენსიურად,

მოჩვენებითი უმოქმედობით, არათანაბრად და ა.შ. ბრძოლის პროცესში შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი წარმატებები და დიდი მარცხი, პატარა წინსვლა და დიდი უკუსვლა, ზეაღმავალი და ქვეძიძავალი განვითარება, ნახტომები და ჩავარდნები და სხვ. არსებითია, რომ შინაგანად ერი არ ეგუება დაპყრობილის, დამცირებულის, გაძარცულის მდგომარეობას და ყველა ხერხით, ყველა საშუალებით ცდილობს შინაგანი მე-ს გადარჩენა-გაძლიერებას გარეგნული მორჩილების ვითარებაში.

ერი, რომელიც შეეგუება ბედს, შეეთვისება დამპყრობელს, შევა მასთან ალიანსში იწყებს სწრაფ ასიმილაციას და მისი ბედი ამ მომენტიდან გადაწყვეტილია.

განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპი, როგორც წესი, შედარებით ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივია. თავის მხრივ იგი შეიძლება სამ ძირითად პერიოდად დაიყოს: პირველი პერიოდი დაპყრობის პროცესისადმი წინააღმდეგობის ფაქტობრივი გაგრძელებაა და როგორც წესი იმავე მეთოდებს მიმართავს, როგორც დაპყრობა მიმდინარეობდა. ამ პერიოდის უძლურება ავალდებულებს ერს, იფიქროს ბრძოლის ტაქტიკის შეცვლაზე. დგება მეორე, გარდამავალი პერიოდი. ეს პერიოდი ყველაზე მეტად ჩანს, როგორც ბედთან შეგუება. სინამდვილეში ერი თანდათან იმუშავებს ახალ ფორმებს და როცა მას აამოქმედებს, დგება მესამე პერიოდი. ამ პერიოდის დროს ერი აკეთებს საყოველთაო დასკვნას ბრძოლის აუცილებლობისა და ხერხების შესახებ და პარალელურად ადგილი აქვს ცალკეულ პრაქტიკულ ქმედებას. მთლიანობაში, პირველი ეტაპი არის ერში საყოველთაო წინააღმდეგობის აზრის გამომუშავება და შესაბამისი ბრძოლის დაწყება.

პირველი ეტაპი ყოველთვის ხანგრძლივია. ეს ერის ბუნების შინაგანი მექანიზმის სირთულით აიხსნება. ასე მაგალითად: ცალკეული ადამიანი სწრაფად აზროვნებს და რაიმე საკითხთან კავშირში უმალ იღებს გადაწყვეტილებას. ზოგჯერ ბოლომდე თქმაც არაა საჭირო. ადამიანი შინაგანად მზადაა და სწრაფად რეაგირებს დადებითად ან უარყოფითად. ერთან მიმართებაში საკითხი უზომოდ რთულდება. ერი, ათასები, მილიონები და ზოგ შემთხვევაში ასეულობით მილიონებია. ამასთან, თვითოეულ ინდივიდს მისთვის დამახასიათებელი მიკროკლიმატი, მიკროგეოგრაფია, მიკროისტორია, მიკროეკონომიკა, მიკრო აქვს ყველაფერი. ინდივიდუალურია სააზროვნო და საბრძოლო. ერთმანეთს ერწყმის სოციალურ-ეკონომიკური, იდეურ-კულტურული, ყოფა-ცხოვრებითი ინდივიდუალური პრობლემები. შესაბამისია მასში საერთო ეროვნულის ასახვა. განუზომლად დიდი დრო არის საჭირო, რომ ერის შემადგენელმა ასეთმა ინდივიდებმა

საერთო დასკვნა გააკეთონ, საერთო პოზიციაზე დადგნენ, საერთო ბრძოლა დაიწყონ.

პიროვნება, როგორც წესი სწრაფად აზროვნებს და სიჩქარეში შეიძლება ხშირად შეცდეს. ერი ნელა აზროვნებს, ძნელად იღებას გადაწყვეტილებას, მაგრამ არ ცდება. ერი შეიძლება შეაცდინონ თუ მის აზროვნებას, გადაწყვეტილებას რაიმე მეთოდით დააჩქარებენ. პიროვნების შეცდომა ტრაგედიაა სხვებისთვის, ერის შეცდომა მისთვის.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპი შედარებით ხანმოკლეა და განსაზღვრული პირველი ეტაპის ხასიათით. მისთვის დამახასიათებელია აზროვნების სფეროში: პირველ ეტაპზე შემუშავებული საყოველთაო-სახალხო უკმაყოფილება და ბრძოლის აუცილებლობის დასკვნა არაა ერთმნიშვნელოვანი. ერის სხვადასხვა ჯგუფებს სხვადასხვა-ნაირად ესახებათ მიზნის მიღწევა. აქვთ შესაბამისი დასაბუთება. ამ ნიადაგზე აღმოცენდება მრავალი პოლიტიკური თეორია განთავისუფლების გზებისა და საშუალებების შესახებ. იწყება იდეური ბრძოლა არა მხოლოდ მეტროპოლიასთან, არამედ, უფორ მეტად ერთი-მეორეს შორის.

აქ კიდევ ერთი კანონზომიერება მოქმედებს. ადამიანი, რომელიც წლების მანძილზე ვიწრო სპეციალობით შრომობს და აზროვნებს, პროფესიულად ცალმხრივი ხდება, ავადდება. ადამიანი რომელიც წლების მანძილზე ფიქრობს ერის გამოხსნის ფორმებზე და მეთოდებზე, ასევე ავადდება იმ აზრით, რომ მხოლოდ მან იცის ჭეშმარიტი გზა.

რამდენადაც ყოველთვის არსებობს შესაძლებლობათა სიმრავლე, ამდენად ობიექტურად შეუძლებელია მეორე ეტაპზე თეორიათა სიმრავლის თავიდან აცილება. რამდენადაც ჭეშმარიტების მიღწევის, შესაძლებლობათა აუცილებლობად ქცევის პროცესი გამორიცხავს ყველა დაუსაბუთებელ ვარიანტს, ამდენად თეორიათა უმრავლესობა უტოპიად იქცევა. უფრო სწორედ, მას თავიდანვე უტოპიური ხასიათი აქვს.

პრაქტიკის სფეროში, პირველი ეტაპისათვის დამახასიათებელი ცალკეული ექსცესებიდან, ცალკეული ორგანიზაციებიდან მეორე ეტაპზე ყალიბდებიან პოლიტიკური პარტიები და იწყება პოლიტიკური ბრძოლა, როგორც ყოველგვარი საზოგადოებრივი შეუთავსებლობის უმაღლესი ფორმა. ამასთან, თეორიათა სიმრავლეს უეჭველად შეესაბამება პარტიების სიმრავლე.

ამ პროცესს ხელს უწყობს ერთი საერთო კანონზომიერება, რომელიც შემდეგი არსისაა: საზოგადოება, როგორც წესი იყოფა სამ ძირითად კატეგორიად. პირველ კატეგორიას განეკუთვნება ერის, ხალხის ის დიდი უმრავლესობა, რომელიც გარკვეული აზრით პოლიტიკურად

ინერტულია, ნეიტრალურია, დაკავებულია ყოველდღიური საზრუნავით და თანახმაა ბევრ რამეზე თუ ის მას არ შეეხება, ცხოვრებას არ გაუუარესებს. მოხერხებული მთავრობა ყოველთვის ოსტატურად იყენებს ფართე მასების ასეთ განწყობას. რამდენადაც ეს უმრავლესობა ბევრ რამეზე აპრიორი თანახმაა, იგი სრულიად იმსახურებს ისეთ მთავრობას, როგორიც ყავს. არის მეორე კატეგორია, მცირერიცხოვანი, მაგრამ კრიტიკულად მოაზროვნე და მებრძოლი. იგი ვერ ეგუება ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრას და ყოველთვის ცდილობს რაიმე მოიმოქმედოს. განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ ეტაპზე სწორედ ამ კატეგორიის ადამიანთა მხრებზე გადადის ბრძოლის სიმძიმე. სანაცვლოდ ისინი ყოველთვის ადამიანურად იმდენად თავისუფალნი არიან, რამდენადაც ქედს არ უხრიან არსებულ მდგომარეობას. მესამე კატეგორია განსაკუთრებულია, ხალხის ის ნაწილია, რომელიც ყველგან და ყველაფერში გამორჩენას ელის. მათ შეუძლიათ იფიქრონ ერთი, ილაპარაკონ მეორე და აკეთონ მესამე. სწორედ ასეთნი ქმნიან პერეგრინთა ფენას (პერეგრინი — ადამიანი, რომელიც სხვებს მოუწოდებს პატიოსნებისაკენ, რწმენისაკენ, მორალური პრინციპების დაცვისაკენ, თვითონ კი სჩადის ყოველივე საწინააღმდეგოს. ადრინდელი ქრისტიანობის ერთი — ოდიოზური პერსონის — პერეგრინის მიხედვით). განსაკუთრებით საშიშია პერეგრინობა პოლიტიკური ცხოვრების სფეროში. პერეგრინებს გამახვილებული აქვთ ინტუიცია და შესანიშნავად გრძნობენ, როდის ვის დაუჭირონ მხარი, როდის ვის ულალატონ, რამდენი იყვირონ და რაზე.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპი გულისხმობს მასობრიობას. მრავალ თეორიას, მრავალ პარტიას მრავალი ადამიანი ქმნის და უფრო მეტი ესაჭიროება. პერეგრინთა კატეგორია უმალ ებმება ამ კატეგორიაში. აღმავლობის დროს ისინი ყველაზე მეტს ყვირიან მიტინგებზე, ფუსფუსებენ, ქმნიან ერთგულ მებრძოლთა ორეოლს. სანაცვლოდ, მარცხის შემთხვევაში ეს გმირები პირველნი სტოვებენ ასპარეზს და თან ყოველთვის, ყოველი შემთხვევაში მზად აქვთ ალიბი საკუთარი პოზიციის გასამართლებლად.

ამავე დროს პერიგრინთა პოლიტიკურ მოღვაწეობას დადებითი მომენტიც გააჩნია. თავიანთი გამორჩეული ხმაურით, ლოზუნგებით, ამაღლებული გამოსვლებით ისინი აღვიძებენ და საბრძოლოდ განაწყობენ საზოგადოების პირველ კატეგორიას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ინტელექტუალური ძალების ამოქმედება.

განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპზე თეორიათა, პარტიათა, ლიდერთა სიმრავლე გარდაუვალია. სწორედ მათ შორის კონკურენციის

პროცესში იხვეწება ბრძოლის მეთოდები და ფორმები, მოძრაობა ღვინდება, იკვეთება ერთადერთი ჭეშმარიტი გზის კონტირები, ასპარეზზე გამოდიან ინტელექტუალური ლიდერ-პოლიტიკოსები. ეტაპის ბოლოს ყალიბდება ლიდერთა სხვადასხვა კატეგორია: ლიდერი თეორეტიკოსები, ლიდერი პრაქტიკოსები, ლიდერი აგიტატორები. თვითოეულ კატეგორიაში არის შიდა დაყოფა, მაგრამ ძირითადად ეს სამი ტიპია. ოპტიმალურია და განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის ყველაზე უკეთესი თუ რომელიმე ლიდერი არის თეორეტიკოსიც და პრაქტიკოსიც ერთდროულად. ასეთ შემთხვევაში ბრძოლის პროცესი სწორად წარიმართება და დაჩქარებული ტემპებით.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ლიდერს, ძალუძს სამი სახის ზემოქმედება მოახდინოს მოვლენებზე: თუ ის სწორად გებულობს ბრძოლის კანონზომიერებას, შეუძლია დააჩქაროს პროცესები. თუ ლიდერი ვერ ერკვევა კანონზომიერებაში, არ არის თეორეტიკოსი, მას შეუძლია შეაფერხოს ან არასწორი გზით წაიყვანოს მოძრაობა. თუ ლიდერი არა მხოლოდ ვერ ერკვევა კანონზომიერებაში, არამედ პრაქტიკოსიც არაა, მაშინ შეიძლება დროებით შეაჩეროს ან უკანაც კი დაწიოს მოძრაობა. მაგრამ ვერცერთ შემთხვევაში, ვერც ერთი ლიდერი ვერ შეძლებს პროგრესის საბოლოო შეჩერებას. ცხოვრებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას აქვს შინაგანი კანონზომიერება და იგი საბოლოო ანგარიშით მიიკვლევს გზას ობიექტური აუცილებლობის ძალით.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპი ამზადებს საფუძველს იმისათვის, რათა: 1. მრავალ თეორიათა შორის გამოიკვეთოს ის ჭეშმარიტი, რომლის რეალიზაცია განახორციელებს სტრატეგიულ მიზანს; 2. ბრძოლამ მიიღო ორგანიზებული ხასიათი. მეორე ეტაპისათვის დამახასიათებელი უტოპიური თეორიები და პრაქტიკული მოძრაობის სტიქიური ხასიათი უნდა შეცვალოს მესამე ეტაპისათის იმანენტურმა დასაბუთებულმა კონცეფციამ და მაღალორგანიზებულმა ბრძოლამ.

განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე ეტაპი ყველაზე მძაფრია და გადამწყვეტი. ამ ეტაპზე უნდა იქნას მიღწეული თავისუფლება, უნდა განისაზღვროს მომავალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმა, მართვის ინსტიტუტების ურთიერთობათა ხასიათი, დემოკრატიულობის ხარისხი და ა.შ. ამავე დროს, ეს ეტაპი გარკვეულად სათავეს უდებს გადასვლას ერთი მდგომარეობიდან მეორეში. მოსალოდნელია რყევები, კოლიზიები და ა.შ. პერიოდის სირთულე მოითხოვს და პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში, სადაც რადიკალური ცვლილებები განხორციელებულა, ხელისუფლების სათავეში აყენებს მტკიცე მმართველობის მომხრე

ლიდერებს. როგორც წესი ეს ლიდერები ასრულებენ ყველაზე მძიმე და უმადურ სამუშაოს, რომლის შემდეგ ადგილს უთმობენ ზომიერებს. უმრავლეს შემთხვევაში ადგილის მონაცვლეობა ფიზიკური ანგარიშსწორების მეთოდებით ხორციელდება.

ფილოსოფოსნი ბრძანებდნენ: ყოველი ახალი, დავიწყებული ძველიაო. ძველია განმათავისუფლებელი მოძრაობის ეს კანონზომიერებაც, ამასთან სპეციფიკის გარდა, იგი ძირითადად ერთნაირია როგორც ეროვნულ ურთიერთობათა, ასევე სოციალურ ურთიერთობათა სფეროში. ბუნებრივია ყოველ ეპოქაში, ყოველ ქვეყანაში კანონზომიერება რიგი თავისებურებებით ხასიათდება,მაგრამ ძირითადი სქემა,დღემდე მაინც,ერთტიპურად მუშაობდა.

საინტერესოა, როგორ წარიმართა ამ მხრივ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ქართველებისა და საქართველოში?

თუ ადამიანი ერწმუნება იმ ანალიტიკოსებს, რომლებმაც მიატოვეს ლექსთმთხზველობა, მეზღაპრეობა და პოლიტიკის სფეროში გადაერთვნენ (რაც თავისთავად არც შეუძლებელია და არც საძრახისი, თუ ჯერ კარგად შეისწავლი შესაბამისი სფეროს დარგებს და შემდეგ იტყვი სათქმელს), საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ორმოცდაათიანი წლებიდან დაიწყო, მაგრამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ საბოლოოდ მსოფლიოს გარდაქმნა გამოიწვია. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1989 წლის 9 აპრილის ცნობილ გენოციდს თბილისში. ამ ფაქტმა, თურმე, განაპირობა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განთავისუფლება და თვით საბჭოთა იმპერიის უპირობო რღვევა.

თუ უფრო სერიოზულად იქნება მოძრაობის ისტორია განხილული, აღმოჩნდება, რომ 1921 წლის 11 თებერვალი-17 მარტის ომით არ დასრულებულა ქართველი ერის ბრძოლა თავისუფლებისათვის. ამ პერიოდიდან მოყოლებული, მან მხოლოდ სხვა ფორმები შეიძინა და სხვა მეთოდებით გაგრძელდა.

საქართველოში იმდენად მძლავრი იყო წინააღმდეგობა დამპყრობელისადმი, იმდენად აშკარა ბრძოლის პარტიზანული მეთოდებით გაგრძელდა, რომ უკვე 1921 წლის მარტის პირველ ნახევარში საქართველოს რევკომი იმუშავებს პოზიციას, თბილისში რუსი წარმომადგენლების გამოგზავნილ მიზანშეუწონლობის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით ფ. მახარაძემ ფრთხილად აცნობა მოსკოვს შექმნილი სიტუაცია. შესაბამისად, რსფსრ მცირე სახკომსაბჭომ 14 მარტს მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში ყოველგვარი მივლინებების შეწყვეტის სასარგებლოდ. ამავე საკითხთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამდა ვ.ი. ლენინიც (ტ.45, გვ.67).

დამპყრობს წინააღმდეგობას უწევდა არა მხოლოდ ხალხი, რომელმაც ჯერ კიდევ 1922 წელს სცადა ამბოხების გზით თავდახსნა, არამედ თვით ის ბოლშევიკი ქართველებიც, რომლებიც მიხვდნენ ჩადენილი შეცდომის დანაშაულებრივ ხასიათს. ცნობილია, რომ როდესაც 1922 წელს 23 და 24 სექტემბერს სსრკ შექმნის პროექტის შემდგენელმა კომისიამ ი.სტალინის ხელმძღვანელობით იმსჯელა რესპუბლიკათა გაერთიანების საკითხზე, ერთადერთი ვინც წინააღმდეგ გაილაშქრა, იყო ბ. მდივანი. უფრო ადრე 15 სექტემბერს კომპარტიის საქართველოს ორგანიზაციის ცკ პლენუმმა ასევე უარყოფითი პოზიცია დაიკავა ამ საკითხისადმი. ალბათ ამიტომ იყო, რომ ვ. ლენინი 26 სექტემბერს ლ. კამენევისადმი მიწერილ წერილში ბ. მდივანს ლანძღავს, როგორც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ეჭვმიტანილს. ასევე ცნობილია ფ. მახარაძის მონანიების სიტყვები, წარმოთქმული 1924 წელს, რომლის თანახმად ისინი (ქართველი ბოლშევიკები) მოატყუეს და საქართველომ თავისუფლების ნაცვლად სრული უუფლებობა მიიღო.

თუ ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ზედაფენა მიხვდა და გარკვეული წინააღმდეგობა გაუწია საართველოს ამიერკავკასიის ფედერაციაში ჩართვისა და მისი მეშვეობით იმპერიულ სტრუქტურებში მოქცევის პროცესს, გასაგებია რა განწყობა უნდა ყოფილიყო საერთოდ მოსახლეობაში და რაოდენ მაღალი უნდა ყოფილიყო განმათავისუფლებელი მებრძოლი სული. სამწუხაროდ საქართველოს ისტორია ამ კუთხით სრულებითაც არაა გამოკვლეული. ის რაც ცნობილია 1924 წლის აჯანყების შესახებ, კიდევ საჭიროებს კვლევასა და განზოგადებას. იმ წლების პარტიზანული ბრძოლების ისტორია კი საერთოდ გამოუკვლეველია. ამ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ ოციანი წლების შეიარაღებულ წინააღმდეგობას არ შეეძლო ფიზიკური განთავისუფლება მოეტანა, მაგრამ არც უკვალოდ ჩაუვლია. ეს ბრძოლა აფხიზლებდა და წინააღმდეგობისათვის განაწყობდა ერს. ამიტომ, ნიადაგს მოკლებული არაა ვარაუდი, რომ ოცდაათიანი წლების რეპრესირებულთა შორის მრავლად იყვნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილენი. ყოველ შემთხვევაში დადასტურებულია ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციები ომამდელ და ომის შემდგომდროინდელ თბილისში. უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომელთა დარბევა, პოლიტიკური გადასახლებები ამის ნათელი დასტურია. ოციანი წლების დასასრულიდან საქართველოში შეიარაღებული წინააღმდეგობა წყდება, მაგრამ ცალკეულ ექსცესებს და არალეგალური ორგანიზაციების მოქმედებას კვლავ აქვს ადგილი. რა სამუშაოს ასრულებდნენ ისინი, რა პოლიტიკურ-ორგანიზაციული თუ ეროვნულ-მორალური

დატვირთვა ჰქონდათ, ჯერ კიდევ საკითხავია, მაგრამ ფაქტია, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობა არც ერთ მონაკვეთში არ შეწყვეტილა.

ამ თვალთახედვით გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ლ. ბერიას დასჯას. ერთი შეხედვით ამ ფაქტში ძნელია ეროვნული მომენტის გამოყოფა, მაგრამ ვინც იმ დროს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კლიმატს აკვირდებოდა, შეამჩნევდა მასში ჩადებულ ანტიქართულ სულიკვეთებას. ასევე ი. სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკის ანტიქართული მიმართულება გახდა 1956 წლის 5-9 მარტის მოვლენების წარმმართველი.

მარტის დღეების პროცესები დიდ ანალიზს საჭიროებენ. ობიექტური განხილვის შემთხვევაში არ შეიძლება არ გამოჩნდეს ორი ძირითადი შტრიხი. პირველია პიროვნული თავისუფლების საკითხი. ამბების თვითმხილველისათვის, აქტიური მონაწილისათვის, შემდეგ გარკვეული დრო შიშით მაცხოვრებლისათვის ძნელი არაა გაიხსენოს ის დღეები, რით დაიწყო და როგორ დასრულდა. საქართველოს სინამდვილეში ეს იყო პირველი შემთხვევა ათწლეულების შემდეგ, როდესაც შეიძლებოდა ათასებს თავისუფლად ემსჯელათ და კრიტიკული აზრი გამოეთქვათ. ეს იყო პიროვნული თავისუფლების პირველი სიო. მეორე, რისი უარყოფა გამორიცხულია, ესაა ეროვნულობა. კრემლის და პირადად ნ. ხრუშჩოვის გაღიზიანება, შიში, სიძულვილი ქართველებისადმი დაუფარავად ჩანდა. შესაბამისად ი. სტალინის ქართველობის დაცვის საფარქვეშ მომიტინგენი ქართულ მეობას აღვიძებდნენ და იცავდნენ. ესაა არსებითი. ისე მოვლენების შეფასება მრავალი ასპექტით შეიძლება. თუნდაც ის, რომ ეს იყო პირველი დიდი აქცია მიმართული მსოფლიო იმპერიის რღვევის ხაზით. ეს იყო სოციალისტური იმპერიის ნგრევის დასაწყისი, რომელსაც შემდეგ მოჰყვა უნგრეთის, ნოეოჩერკასის, ჩეხოსლოვაკიის ამბები და ა.შ.

მარტის მოვლენებმა სტიმული მისცა ქართველი ერის მასობრივ გამოფხიზლებასა და ამოძრავებას. იმ პერიოდში ფართედ გახმაურდა ზ. გამსახურდიას ანტისაბჭოთა მოღვაწეობა. 1957 წელს მისმა დაპატიმრებამ, და არა ნახელავმა, აალაპარაკა თბილისი და საქართველო. სულმნათ კონსტანტინე გამსახურდიას ავტორიტეტი, მისი პოპულარობა უფრო იყო ეს, ვიდრე მისი ვაჟის ნამოქმედარის შედეგი. სანაცვლოდ, რა ფასად გაათავისუფლეს დაკავებული, ჯერ კიდევ დიდი საიდუმლოა.

ქართველი ერის ამოძრავებამ აიძულა იმპერიული ცენტრი, აემოქმედებინა საამისოდ დიდი ხნით ადრე ჩადებული ნაღმი. ათწლეულის მიწურულს ამიტომ გამწვავდა ეროვნებათშორისი ვითარება აფხაზეთის რეგიონში. მაშინ დაირხა ხმა (და როგორც ჩანს არც თუ მთლად უსაფუძვლოდ) ქართველი ერის გასახლების გეგმის არსებობის შესახებ.

1964 წელს ჩაისახა არალეგალური ჯგუფი თბილისის უნივერსიტეტში. წლების მანძილზე იაკობ (კობა) ჩაგელიშვილის ჯგუფი – კონსპირაციულ საქმიანობას ეწეოდა.

სამოცდაათიანი წლების შუა პერიოდში განმათავისუფლებელი ბრძოლის ინიციატივა გადადის ზ. გამსახურდიას ჯგუფის ხელში. ის რაც ამ ჯგუფმა შეძლო და რა შედეგებით, შედარებით ფართედაა ცნობილი. დღევანდელ პირობებში გახმაურდა ასევე ჟვანიას აქტების მოტივაცია, სახეშცვლილი ელფერი მიეცა 1978 წლის 14 აპრილის აქციას და სხვა.

განმათავისუფლებელი მოძრაობის უფერული მიმოხილვაც კი ვერ აუვლის გვერდს ქართველი შემოქმედი ინტელიგენციის როლს. დღეს-დღეობით შეუფასებელია ის რაც მ. მაჭავარიანის პოეზიამ, ა. ბაქრაძის საჯარო ლექციებმა შეასრულა ერის კონსოლიდაციის, მისი საბრძოლო სულის ამაღლების საქმეში. სამწუხაროდ შესაბამისი ხასიათის მასალა ჯერ კიდევ მოსაძიებელია და შესასწავლი. ამიტომ მხოლოდ ერთი რაიმეს მტკიცება შეიძლება უცილობლად: ქართველი ერის განმათავისუფლებელი მოძრაობა არ შეწყვეტილა არც ერთ მომენტში, იგი ძალას იკრებდა, სულ უფრო ფართე და მიზანდასახული ხდებოდა და ამ გზით მზადდებოდა ნიადაგი მასობრივი სტიქიური მოძრაობის დაწყებისათვის. ამ საქმეში მონაწილეობდა ყოველი შეგნებული ქართველი, თვითეული აკეთებდა მისთვის შესაძლებელს და საერთო აზრი, საერთო ქმედება ძალას იკრებდა, შეუპოვარი ხდებოდა, თავისუფლებას აახლოებდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპი საქართველოში 1988 წლის შუა პერიოდისათვის დასრულდა. მისი ლოგიკური შედეგი იუო ნიადაგის მომზადება პოლიტიკური კონცეფციების შესაქმნელად და პარტიების დასაფუძნებლად. თუ არა ეს ხანგრძლივი მოსამზადებელი ეტაპი საქართველოში დაახლოებით ორი წლის მანძილზე ასზე მეტი პარტია, კავშირი, საზოგადოება, ორგანიზაცია ვერ აღმოცენდებოდა, ვერ ჰპოვებდა დანიშნულების რეალიზებას.

პირველი ეტაპისაგან განსხვავებით მეორე ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა. მართალია საერთოდ საზოგადოებრივი განვითარებისათვის დამახასიათებელია ტემპების დაჩქარება, მაგრამ ისეთი სისწრაფე რაც მან საბჭოთა იმპერიაში შეიძინა, მაინც გამორჩეულია. ამ დაჩქარებას ბევრ დადებითთან ერთად ახლდა თავისი უარყოფითი. თქმა არ უნდა, რაც უფრო სწრაფად ემხობოდა ძალმომრეობა, რაც უფრო ხანმოკლეა ხალხის ტანჯვა, მით უკეთესია. მეორე მხრივ ეს ბადებს პოზიტიური ძალების მოუმწიფებლობის რეციდივს.

მეორე ეტაპის ხანმოკლეობა განპირობებული იყო არა იმდენად განმათავისუფლებელი მოძრაობის სიძლიერით. რამდენადაც იმპერიულ ძალთა ხელმძღვანელობის პოზიციით. ეს კი, თავის მხრივ, საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის მკვეთრი ცვლის შედეგი იყო.

საბჭოთა სისტემა, დაქირავებული მონობის ურთიერთობაზე დამყარებული, ცდილობდა სახელმწიფო კაპიტალიზმის მოდელი გაეთამაშა ქვეყანაში, სადაც შესაბამისი არც ეკონომიკური პოტენციალი იყო და არც წარმოების კულტურა. შესაბამისად, მას მხოლოდ განსაკუთრებული ღონისძიებების პირობებში შეეძლო არსებობა. პირველი ეტაპის განსაკუთრებულ ღონისძიებათა თეორიული დამუშავების პატივი ვ. ლენინსა და ნ. ბუხარინს ეკუთვნით. პრაქტიკულად პროგრამა ი. სტალინმა განახორციელა. შედეგად, საკუთარი ხალხის არაადამიანური ძარცვის გზით შესაძლებელი გახდა გარკვეული ინდუსტრიული ბაზის შექმნა და მომავალი მსოფლიო ტერიტორიული განაწილებისათვის მომზადება. ყოველ შემთხვევაში ინგლისელი და ფრანგი მეცნიერები, როდესაც 1937 წელს გერმანიისა საბჭოთა კავშირის შესაძლებლობებს ადარებდნენ, საბოლოო უპირატესობას უკანასკნელს აკუთვნებდნენ. 1937 წლის შემდეგ ევროპის ოკუპაციამ გააორმაგა გერმანიის შანსები და მან აშკარა უპირატესობა მიიღო. იგივე ვერ შეძლო საბჭოთა კავშირმა.

მოკავშირეთა დახმარებით მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებამ საბჭოთა კავშირს აღმოსავლეთ ევროპის სიმდიდრის კარი ფართედ გაუღო. ნაძარცვმა და რეპარაციებმა შესაძლებელი გახადა მატერიალური და ინტელექტუალური პოტენციალის სწრაფი ამაღლება. მონაპოვარი ათწლეულობით ასაზრდოებდა იმპერიას. მან შესაძლებელი გახადა მიღწეული ყოფილიყო სამხედრო ძალთა თანაფარდობა დასავლეთის დემოკრატიულ და აღმოსავლეთის ტოტალიტარულ სისტემებს შორის. ერთი პერიოდი აღმოსავლეთის უპირატესობაც კი გამოიკვეთა. სამოცდაათიანი წლების დასასრულს გაძნელდა თანაფადობის შენარჩუნება. საკუთარი ეკონომიკის არაეფექტურობის გამო იმპერიამ ახალი შემოსავლის წყაროს ძიება დაიწყო. პერსპექტიული ჩანდა ირანის ხელში ჩაგდება და მისი მეშვეობით ახლო აღმოსავლეთში მონოპოლიური მდგომარეობის მიღწევა. შექმნილმა ვითარებამ საქმის დაწყება შეაფერხა და ბოლოს პერეგრინთა არჩევანი ავღანეთზე შეჩერდა. საბედნიეროდ იმპერიამ იქ უფრო მეტი დაკარგა, ვიდრე მოიპოვა.

პარალელურად მწვავდებოდა ურთიერთობა დასავლეთთან. 1976 წლიდან მოყოლებული, დასავლეთი განიარაღებაზე მოლაპარაკების წარმატების საწინდრად მოითხოვდა ჰელსინკის შეთანხმების დაცვას, პიროვნების

თავისუფლების (და ამდენად ერთა თავისუფლების) დაშვებას. ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა 1979 წლის 14 დეკემბერს დასავლეთის გადაწყვეტილებას ახალი ხარისხის შეიარაღების შესახებ და 1983 წლის 14 ნოემბრიდან ამ შეიარაღების განლაგებას ევროპის ქვეყნებში.

ცხადი გახდა, რომ სხვათა მიწების დაპყრობა-ძარცვა აღარ მოხერხდება, ისევე, როგორც ვერ გაგრძელდებოდა შეიარაღებაში შეჯიბრი უსახსრობის გამო. რჩებოდა ერთი — საპატიო კაპიტულაცია. ამას ემატებოდა საკუთარი მეურნეობის ისეთი მოდერნიზაციის აუცილებლობა, რომელიც სხვათა ძარცვაზე არ იქნებოდა დაფუძნებული და საკუთარ შესაძლებლობასთან შესაბამისობაში მოვიდოდა. ყოველივემ განაპირობა გარდაქმნის აუცილებლობა, აქედან გამომდინარე დადებითი და უარყოფითი შედეგები.

საბჭოთა იმპერიის რღვევა იყო არა იმდენად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგი, რამდენადაც საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის მკვეთრი ცვლილებით გამოწვეული აუცილებლობა. გარდაქმნის კონსტრუქტორ-ტრიუმვირატის (ა. იაკოვლევი, მ. გორბაჩოვი, ე. შევარდნაძე) დამსახურებაა, რომ სწორედ გაიგეს ეპოქის მოთხოვნა და არა მხოლოდ არ შეაფერხეს პროგრესი, არამედ გარკვეულად დააჩქარეს კიდეც.

საწინააღმდეგო თვალსაზრისის ადამიანმა უნდა გაითვალისწინოს ის ვითარება, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას არც მთლიანად იმპერიაში და არც საქართველოში გარკვეულ დრომდე არ ჰქონდა დიდი პერსპექტივა. ბრძოლა მეტად უთანასწორო იყო.

1968 და 1969 წლებში კ. ჩაგელიშვილის ჯგუფთან შეხვედრებზე ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ გამოთქმული თვალსაზრისი ძალისმიერი მეთოდებით ბრძოლის წარმოების შესახებ, მეტისმეტად უპერსპექტივო ჩანდა. მოხსენდა მაშინ მას სოციალური და ეროვნული მოძრაობის დიალექტიკის შესახებ. ამ უთანხმოებამ გამოიწვია პოზიციათა დაშორიშორება.

საქართველოს ჰელსინკის ხელშეკრულების ხელშემწყობი ჯგუფის მოღვაწეობაც არ იყო მასშტაბური და ფართე პერსპექტივების მქონე. უფრო მეტი, რომ არა ბატონ ზვიადის დაპატიმრება-აღსარება, რომ არა მისი პოზიციის „მამხილებელი" სტატიები მაშინდელ გაზეთში, საზოგადოება ვერ გააცნობიერებდა რა ხდებოდა და რისთვის. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ჯგუფის მოღვაწობას, ისევე როგორც განმათავისუფლებელ მოძრაობას, დიდი ნათელი პერსპექტივა განვითარების პირველი ეტაპის მანძილზე არა ჰქონდა. ძალზე უთანაბრო იყო მებრძოლი და იმპერიული

ძალთა შესაძლებლობები. იმპერიის ხელმძღვანელობას არა მხოლოდ მაშინ შეეძლო არსებული მდგომარეობის გახანგრძლივება, არამედ უფრო მოგვიანებითაც, როდესაც საქართველომ უკვე გამოაცხადა დამოუკიდებლობის აღდგენა. 1991 წლის აგვისტოს მოვლენები ამის თვალნათლივი დადასტურებაა.

იმპერიის კრახი პირველ ყოვლისა მისი ლიდერებისათვის იყო ცხადზე უცხადესი. ამიტომ არა მხოლოდ არ გადაავადეს მრავალთა სიცოცხლის და საერთაშორისო ურთიერთობათა გამწვავების ფასად ეს ლოგიკური შედეგი, არამედ შეეცადნენ კიდეც მშვიდობიან ფორმებში წარემართათ იგი. ნიშანდობლივი ფაქტია: 1989 წ. ზაფხულში მ. გორბაჩოვმა აგრძნობინა ქართველებს, რომ იცის მათი პოზიცია, პატივს სცემს, მაგრამ მოითხოვს გარკვეულ მოთმინებას.

მოვლენები საქართველოში 1988 წლის მეორე ნახევრიდან მოყოლებული დიდი სისწრაფით განვითარდა. იქმნებოდა პარტიები, ტარდებოდა საინფორმაციო მიტინგები, ორატორულ ხელოვნებას ეუფლებოდნენ ახალი ლიდერები. წლის ბოლოს მათ შორის ყველაზე პოპულარული გახდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გ. ჭანტურია. მისი მოკლე, ემოციურად დატვირთული გამოსვლები ღრმად იბეჭდებოდა თავისუფლებასა და სიმართლეს მოწყურებულ ადამიანებში. ნოემბრის თვეში პირველი მასობრივი შიმშილობის აქციამ, იმ დროს ჩატარებული მიტინგების ეფექტმა გ. ჭანტურია ერთბაშად გამოარჩია მეორე ეტაპის ლიდერებს შორის.

არა და ლიდერობაზე ძალზე ბევრს ჰქონდათ პრეტენზია. ეს ის დრო იყო, როცა ადამიანს უშიშრად შეეძლო ბევრი აზრის გამომზეურება. მასობრივი რეპრესიების პერიოდი განვლილი იყო.

როგორი მონაცემების ადამიანი შეიძლება გამხდარიყო ლიდერი?

ოცდაათიანი წლების მონობა გამოვლილი თაობა ამ როლს ვერ ითავებდა. ნაკლებად შეეძლო ეს ომის შემდგომ რეპრესიებით დაშინებულ თაობას. პოლიტიკურ სიფრთხილესთან ერთად დამამუხრუჭებლად მოქმედებდა ასაკობრივი კონსერვატიზმი. სრულიად ჭეშმარიტია აზრი, რომ ასაკთან ერთად ადამიანი კონსერვატორი ხდება, რომ ადამიანი არა მხოლოდ ფიზიკურად მწიფდება 25-30 წლის ასაკში, არამედ გონებრივადაც, რომ ამ დროს მას ჯერ კიდევ მოსდევს ახალგაზრდული სითამამე და სწორედ ამ ასაკის თაობამ უნდა იტვირთოს არა მხოლოდ ბრძოლის ხელმძღვანელობა, არამედ სახელმწიფოებრივი მართვისაც. გამონაკლისები ორივე მიმართებით გამორიცხული არაა.

მიტინგებზე გამოსვლას ცოდნა-მონდომებასთან ერთად სჭირდება ახალგაზრდული სითამამე, გარკვეული თავხედობის ხიბლი. ყველაფერთან

ერთად მოქმედებს დროის ფაქტორიც. უფროსი ასაკის ადამიანები ჩაბმულნი დაქირავებული მონობის სისტემაში ისე იოლად ვერ უკუაგდებენ ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფის საქმეს. მართალი იყო მარქსიზმი, როდესაც ამტკიცებდა: შრომით გათანგული ფართო მასა თეორიას ვერ გამოიმუშავებს, პროფესიონალმა რევოლუციონერებმა თავისუფლებმა მატერიალური საზრუნავისაგან უნდა შეუქმნან ხალხს თეორიები.

საქართველოს სინამდვილეში ამ მიმართებით კანონზომიერებიდან გადახრას ადგილი არ ჰქონდა. ლიდერთა ჯგუფი დაკომპლექტდა ძირითადად იმ ადამიანებისაგან, რომლებიც ყველა კომპონენტით აკმაყოფილებდნენ მოთხოვნებს.

იყო აგრეთვე ორი სახის გამონაკლისი: უფროსი ასაკის ლიდერები: ა. ბაქრაძე, ნ. ნათაძე, ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა და მოძრაობის სწრაფი აღმავლობის პირობებში მიტმასნილი მყვირალა ლიდერები, რომელთა უმეტესობა დიდხანს ვერ ძლებდა ყურადღების ცენტრში.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაღვინებაში, მის მომწიფებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა 1989 წლის აპრილის ტრაგიკულმა მოვლენებმა. მის შესახებ ბევრი დაიწერა, ამიტომ აქ მხოლოდ ერთი უნდა აღინიშნოს: აპრილის გენოციდის მსოფლიო რეზონანსმა, მაშინდელმა საკავშირო-რესპუბლიკურმა და კერძო გამოძიებამ, ინფორმაციულმა სიჭარბემ, ერთი მხრივ, განაიარაღა იმპერიული და რესპუბლიკის რეაქციული ძალები და მეორე მხრივ, ხელი შეუწყო ერის დარაზმვას და თანდათანობით მოამწიფა სიტუაცია, როდესაც საქართველოს შეეძლო პირველს გაერღვია ხალხთა საპყრობილის საზღვრები.

იმავე პეროდში, იყო მცდელობა, — საქართველოს კომპარტია, რომელიც ყოველთვის სკკპ საოლქო კომიტეტის უფლებით მოქმედებდა, გამოყოფდა საკავშირო დიქტატურულ ორგანოს, გადაქცეულიყო ჭეშმარიტად რესპუბლიკურ პარტიად, ჩადგომოდა სათავეში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ნაკლები ტანჯვით, ხანმოკლე ვადაში მიღწეულიყო თავისუფლება. საქმე იმაშია, რომ არსებობის, გამოცდილების, რიცხოვნების, ორგანიზებულობის, ცოდნის მახასიათებლებით არც ერთ სხვა პარტიას, არც ერთ პოლიტიკურ გაერთიანებას არ შეეძლო მოეცვა, დაერაზმა და გაეყოლებინა მთელი მოსახლეობა. არსებული ვითარების ძალით კომპარტია თავის 380 ათასი წევრით დაახლოებით ათასჯერ აღემატებოდა თვითოეულ პარტიას, იყო ერთად-ერთი რომელიც აერთიანებდა საქართველოში მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას, ჰქონდა გავლენა და შესაძლებლობა. სამწუხაროდ, არც პარტიულმა ხელმძღვანელობამ, არც მსხვილმა

ორგანიზაციებმა ყურად არ იღეს საღი ხმა და დაიკარგა ის სიტუაცია, რომელიც ობიექტური მოვლენების ძალით შეიქმნა 1989 წლის დეკემბერში.

წლის მიწურულს კულმინაციას მიაღწია ე.წ. სოციალისტური სამყაროს საერთო კრიზისმა. უპირველეს ყოვლისა იგი აისახა იმპერიის ცენტრში. სკკპ ცკ პლენუმზე გენერალური მდივანი მ. გორბაჩოვი ძლივს გადაურჩა გადაყენებას. მნიშვნელოვნად მოირყა მისი პოზიციები. მეორე მხრივ ქვეყანაში იწყება მასობრივი სოციალური კოლიზიები. განსაკუთრებით საშიში ხასიათი მიიღო მეშახტეთა გაფიცვებმა. პარალელურად იმსხვრეოდა იმპერიის შორეული ბასტიონები. აღმოსავლეთ ევროპის კოლონიები აცხადებდნენ თავის სრულ დამოუკიდებლობას. იგივე მზადდებოდა ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკათა მხრიდან.

ასეთ ვითარებაში, მოსკოვში მუშაობდა ყოფილი სსრკ უმაღლესი საბჭოს მეორე ყრილობა. საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა იმდენად კონფლიქტური იყო, რომ უმაღლესი საბჭოს თავჯდომარე მ. გორბაჩოვი ხშირად აცხადებდა, რომ მათ არ იციან რა ხდება რუმინეთში, რა ხდება ქვეყნის შიგნით. ლიტველმა დეპუტატებმა იგი სიცრუეში ამხილეს, ხოლო რუსი დეპუტატი დაემუქრა მას ნ. ჩაუშესკუს ბედის გაზიარებით.

იმ დღეებში უმაღლესი საბჭოს ყრილობა იხილავდა თბილისში აპრილის ტრაგედიის გამოძიების შედეგებს. ამ მომენტისათვის მსოფლიო საზოგადოებრიობა ერთსახად საქართველოს, ქართველი ერის მხარესაა. იმპერიული ძალები დემორალიზებული იყო. საკითხის განხილვის დროს ა. სობჩაკის კომისიის დასკვნასთან ერთად სამხედრო პროკურორ კატუსევის გამოსვლამ, მისმა ანტიქართულმა დაუფარავმა შოვინიზმმა დეტონატორის როლი შეასრულა, ყრილობის დეპუტატთა კორპუსი შუა გაიყო სიმართლის დამცველად და შოვინისტებად. ქართულმა დეპუტაციამ და მასთან ერთად სიმართლის დამცველმა, მათ შორის სკკპ პოლიტბიუროს წევრთა ნაწილმა, პროტესტის ნიშნად მიატოვა სხდომათა დარბაზი. სიტუაცია ნათელი იყო: ქართველ ერს არა მხოლოდ ჩაგრავენ, არამედ ცილსაც სწამებენ, მის ღირსებას ფეხქვეშ თელავენ. მას აქვს მორალური უფლებაც უარი თქვას ასეთ „თანასწორთა კავშირზე“.

სამწუხაროდ, საქართველოში მაშინ არ იყო პოლიტიკური ძალა, რომელიც გამოიყენებდა შექმნილ ხელსაყრელ სიტუაციას და დააჩქარებდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარტიები სუსტნი და მოუმზადებელნი იყვნენ, კომპარტიამ ეს არ მოინდომა ხელმძღვანელობის უნიათობის გამო. კომპარტიამ დაკარგა შანსი, ყოფილიყო ერთხელ მაინც ეროვნული მეობის დამცველი, მისმა

პირველმა მდივანმა, — ერის საყვარელი შვილი, საქართველომ — მიეღწია დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის 1989 წლის დეკემბერში.

აქვე გასახსენებელია ისიც, რომ ლიტვის კომპარტიამ ა. ბრაზაუსკასის ხელმძღვანელობით შედარებით გვიან იზრუნა სკკპ შემადგენლობიდან გამოსვლისათვის, სწრაფად მიაღწია მიზანს და ბევრად განაპირობა ლიტვის უსისხლო, ნაკლებდანაკარგებიანი განთავისუფლება იმპერიის მეურვეობისაგან.

1990 წლის იანვარში დადგა სიტუაცია ანალიზის და ტაქტიკური ხაზის მოდიფიკაციის საკითხი. კომპარტიამ ძალზე დაგვიანებით სცადა ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნება, მაგრამ ისეთი სიფრთხილით, შიშით, ზიგზაგებით, რომ ეს უფრო მეტად აუცხოებდა მას არა მხოლოდ ხალხისაგან, არამედ თვით პარტიული მასისაგანაც. მდგომარეობიდან გამოსავლის ძიებისას დაკარგული იქნა უკანასკნელი იმედი და დაიწყო მისი რაოდენობრივი დაუძლურება. რადიკალურად განწყობილმა პოლიტიკურმა პარტიებმა შეიმუშავეს ეროვნული ფორუმის შექმნისა და მისი მეშვეობით ეროვნული კონგრესის არჩევნების ჩატარების იდეა.

რთული სიტუაციიდან გამოსავლის ძიებისას გადაწყვეტილი იქნა უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩატარება. ეს ის პერიოდია, როდესაც კომპარტია ჯერ კიდევ მმართველი ძალაა, მაგრამ გრძნობს აგონიის მოახლოებას და ცდილობს არსებობის გახანგრძლივებას. მეორე მხრივ განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმული პოლიტიკური პარტიები აღმავლობის გზაზე არიან, მაგრამ არა ისე ძლიერები, რომ ანგარიში არ გაუწიონ მოპირდაპირე მხარეს.

25 მარტისათვის არჩევნების დანიშვნა ერთგვარად კომპრომისულ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა, რომელიც იმავდროულად პარტიათა ძლიერების, პოპულარობის, ტაქტიკური სიმწიფის სასინჯ ქვად უნდა ქცეულიყო.

მარტის არჩევნებისადმი დამოკიდებულების საკითხს გარკვეულწილად განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა პოლიტიკური აზროვნების გამოცდას წარმოადგენდა. სამწუხაროდ ბევრმა არასწორი შეფასება მისცა სიტუაციას და ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს. არ იქნა გათვალისწინებული მოსახლეობის განწყობა: ხალხი დაიღალა კომპარტიის უსასრულო სიცრუით, ფუჭი დაპირებებით და სიამოვნებით აირჩევდა ნებისმიერ ძალას, რომელიც ამ პარტიას დაუპირისპირდებოდა.

სრულიად მართებული პოზიცია დაიკავა სახალხო ფრონტმა, მიიღო რა გადაწყვეტილება არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. სახალხო ფრონტის მიერ წამოყენებული კანდიდატების სიის გაცნობა სარწმუნოს

ხდიდა ეროვნულ-პატრიოტული უზენაესი საბჭოს არჩევის შესაძლებლობას. ყველაფერი მეტყველებდა იმაზე, რომ არჩევნების ჩატარების შემთხვევაში სახალხო ფრონტი გაიმარჯვებდა და მოხდებოდა ხელისუფლების შეცვლა.

არჩევნებში სახალხო ფრონტის გამარჯვების რეალური პერსპექტივა მძიმე მდგომარეობაში აყენებდა ეროვნულ ფორუმში გაერთიანებულ პარტიებს. თუ უზენაეს საბჭოში სახალხო ფრონტი შეძლებდა წამყვანი პოზიციის დაკავებას, შექმნიდა ეროვნულ მთავრობას და ა.შ. სხვა პარტიათა ლიდერები მომავალ არჩევნებამდე მაინც იქნებოდნენ მოკლებულნი აქტიური პოლიტიკური ხელმძღვანელობის შესაძლებლობას. ისინი მეორეხარისხოვან პოლიტიკურ მოღვაწეობას უნდა დასჯერებოდნენ. ლიდერებისათვის, რომელთაც ირწმუნეს საკუთარი ძალა, არც თუ იოლი იყო ასპარეზის დათმობა. მეორე მხრივ, მათ არ ჰქონდათ ძალა განეხორციელებინათ არჩევნების რეალური ბოიკოტი და ჩაეშალათ მთელი ეს პროცესი.

ეროვნული ფორუმის პარტიებს მხსნელად მათი უპირველესი პოლიტიკური მოწინააღმდეგე — კომპარტია მოევლინა. კომპარტიის ხელმძღვანელობა იყო რა იმავდროულად უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელობა, წარმოადგენდა ძალას, რომელსაც შეეძლო ჩაეშალა არჩევნების დაწყებული პროცესი.

არჩევნების დანიშვნის დროს კომპარტიის ლიდერებს იმედი ჰქონდათ, რომ შეძლებდნენ სიტუაციის კონტროლს, არჩევნებს ძველებური მეთოდით ჩაატარებდნენ და კიდევ ერთი საარჩევნო ვადით იქნებოდნენ ქვეყნის ბატონ-პატრონნი. მალე დარწმუნდნენ ისინი ვარაუდის სიმცდარეში. ჯერ ერთი, ხალხი აღარ იყო ის პასიური მასა, რომლისათვის ყველაფერი სულერთია. მეორე, სახალხო ფრონტი არ დაუშვებდა არჩევნების აშკარა გაყალბებას. მესამე, ხალხი ხმას მისცემდა ნებისმიერ კანდიდატს, პარტიას, ძალას, რომელიც კომპარტიას დაუპირისპირდებოდა. კომპარტიის ხელმძღვანელობის წინაშე დაისვა საკითხი: რა გზით შეიძლება ძალაუფლების შენარჩუნება. ერთად-ერთი გამოსავალი არჩევნების ჩაშლა იყო. ისარგებლა რა ეროვნული ფორმის ხმაურიანი, მაგრამ უძლური პოზიციით არჩევნების ბოიკოტის შესახებ. კომპარტიის ხელმძღვანელობამ თავისთვის სწორი არჩევანი გააკეთა: იმ ეტაპზე უშუალო საფრთხე სახალხო ფრონტის მხრიდან მოდიოდა. ეს ორგანიზაცია მზად იყო რამდენიმე დღეში აელო ძალაუფლება. ეროვნული ფორუმის პერსპექტივები კი სათუო ჩანდა. როდის შეძლებდნენ ფორუმის მონაწილე პარტიები ეროვნული კონგრესის არჩევას, რა მოხდებოდა, ეს შორეული მომავლის საქმედ ჩანდა. არადა სწორედ ეს

პარტიები უცხადებდნენ ბოიკოტს მარტის არჩევნებს. ამ საქმეში კომპარტიისა და ფორუმის პარტიებისა და მათი ლიდერების მისწრაფება ემთხვეოდა. ამით ისარგებლა კომპარტიის ხელმძღვანელობამ, ჩაშალა მარტის არჩევნები და თან პასუხისმგებლობა ფორუმის პარტიებს დააკისრა.

მოუმწიფებელი პოლიტიკოსების სიამაყე არჩევნების ჩაშლით, ძვირად დაუჯდა ქართველ ერს. დაიკარგა დამოუკიდებლობისაკენ სვლის კიდევ ერთი სასურველი სიტუაცია. ის, რაც მიღწეული იქნა ბალტიისპირა რესპუბლიკებში, გაურკვეველი დროით გადავადდა საქართველოში. კომპარტიამ შეინარჩუნა ბატონობა, იმპერიამ რესპუბლიკა, ფორუმის პარტიების ლიდერებმა პირველობისათვის ბრძოლის შანსი, საქართველომ მონობა.

აპრილში აუცილებელი გახდა არჩევნებთან დაკავშირებული მოვლენების ანალიზი და შესაბამისი დასკვნები. კომპარტიამ დროებით შვება მიიღო და გაამკაცრა პოზიცია. სახალხო ფრონტმა ირწმუნა დაკავებული კურსის სისწორე და აღარ იზრუნა ტაქტიკური სიახლეების ძიებისათვის შეცვლილი სიტუაციის შესაბამისად. ფორუმის პარტიათა ლიდერების უმრავლესობამ მარტის არჩევნების ბოიკოტი შეცდომით საკუთარ აქტივს მიათვალა და კონსერვატიზმის ნიშნების გამოვლენა დაიწყო.

სანაცვლოდ, სიტუაციას ალღო აუღო საქართველოს ჰელსინკის კავშირის ხელმძღვანელობამ გაკეთდა დასკვნა ფორუმიდან გამოსვლისა და მომავალი უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების სასარგებლოდ. ეს იყო ხელისუფლებაში მისვლის უმოკლესი და უმტკივნეულო გზა. მარტის შესაძლებლობის დაკარგვით გაკოტრებას გადარჩენილ პოლიტიკურ გაერთიანებას და მის ლიდერს ბედთან თამაშის გაგრძელება აღარ სურდათ. ამავე დროს, ფორუმიდან გამოსვლის პროცესი ისე იქნა შესრულებული, რომ ერთბაშად მოიკვეთა ბევრი პოტენციური კონკურენტი ხელისუფლებისათვის ბრძოლის მომავალ პერიპეტიებში. თუ ნათქვამს დაემატება ჰელსინკის კავშირის მიერ მარტის არჩევენების ბოიკოტის გამართლება, მაშინ ცხადი ხდება, რომ ამ პარტიამ სახალხო ფრონტის პოლიტიკური ხაზის სისწორე არ აღიარა და ამით უკანასკნელს პოლიტიკური ავტორიტეტის ამაღლების საშუალება არ მისცა.

1990 წლის ზაფხულისა და შემოდგომის მოვლენებმა დაადასტურეს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის გზით ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების ხელისუფლების სათავეში მოსვლის ობიექტური შესაძლებლობა. 28 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებით, უზენაეს საბჭოში ორგანიზებით, ეროვნული მთავრობის შექმნით დასრულდა განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპი და დაიწყო მესამე. ამ უკანასკნელი ეტაპის ძირითადი მახასიათებელია მრავალ კონცეფციათა შორის ოპტიმა-

ლურის გამარჯვება და სტიქიური მოძრაობის ნაცვლად ოგრანიზებული ბრძოლის წარმოება. საქართველოს სინამდვილეში გარდამავალი პერიოდის გამოცხადება და ეროვნული საკანონდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სახით ორგანიზება იყო მესამე ეტაპის დადგომის მაუწყებელი.

აღსრულდა კიდევ ერთი კანონზომიერება, დადასტურდა საზოგადოებრივი ცხოვრების კანონების მართლზომიერება. ეროვნული და სოციალური მოძრაობის კანონზომიერების მიხედვით მეორე ეტაპის ლიდერებს შორის უნდა გაემარჯვა იმას, რომელიც იქნებოდა უკეთესი ორგანიზატორ-აგიტატორი მოქმედ თეორეტიკოსებს შორის ან უარეს შემთხვევაში, რომელიც შეძლებდა თავის რომელიმე ნაკლის კომპენსირებას შესაბამისი კომპეტენციის პირთა დარაზმვით. ასეთი აღმოჩნდა ჰელსინკის კავშირისა და ილია მართლის საზოგადოების ხელმძღვანელი ბატონი ზვიად გამსახურდია. რამდენადაც ეროვნულ მოძრაობას არ აღმოაჩნდა თეორეტიკოსი, მისი ადგილი აგიტატორმა დაიკავა.

საზოგადოებრივ ცხოვრების სხვა კანონზომიერებანიც, არ იქნა გათვალისწინებული ხელისუფლებაში მისული ეროვნული ძალების მიერ. ჯერ ერთი ის, რომ ძველის მსხვრევისა და ახლის შექმნის გარდამავალი პერიოდი უეჭველად მოითხოვს მტკიცე ხელწერის ლიდერს და ამარჯვებინებს კიდეც. მეორე, რომ მტკიცე ლიდერი, როგორც წესი მიელტვის პირადი ძალაუფლების განმტკიცებას და ამყარებს პიროვნულ დიქტატურას. გამარჯვების შემთხვევაში ქვეყანა ღებულობს შეუზღუდავ მმართველს, სხვა შემთხვევაში ასეთ მმართველს თავიდან იშორებენ. მესამე, მეორე ეტაპის ხელისუფლებში მოსულმა ლიდერებმა ადგილი უნდა დაუთმონ კაბინეტებში გამოზრდილ ლიდერებს. მყვირალა, აგიტატორი ლიდერები უნდა შეცვალონ მმართველობის ხელოვნებას დაუფლებულმა ლიდერებმა. და რაც უფრო დროულად მით უკეთესი.

საქართველოს სინამდვილეში განმათავისუფლებელო მოძრაობის მეორე ეტაპი იმდენად სწრაფად წარიმართა, რომ მესამე ეტაპისათვის დამახასიათებელმა თეორეტიკოს-ლიდერებმა აქტიური პოზიციის დაკავება ვერ მოასწრეს. იმპერიის რღვევამ და არა განმათავისუფლებელი მოძრაობის სიძლიერემ დააჩქარა მოვლენები და არა თუ ლიდერთა ცელა ვერ მოესწრო, არამედ მოქმედი მიტინგების ლიდერთა გარდაქმნაც კი შეუძლებელი გახდა. ამიტომ იყო, რომ მთელი 1991 წელი მართვისა და მოქმედების სამიტინგო-საგიტაციო წესით წარიმართა.

რამდენადაც მეორე ეტაპის ლიდერთა ხელწერაა ნგრევა, ეს პროცესი მესამე ეტაპზეც გაგრძელდა. შემოქმედებისათვის თითქოს არ რჩებოდა დრო და ენერგია. შეცდომას შეცდომა მოსდევდა და იშლებოდა ზღვარი

შეცდომასა და დანაშაულს შორის. ცხინვალში თითქმის მოგვარებული საქმის სელასალი აშლა უაზროდ, ეროვნული კონგრესის ძალებისათვის ინიციატივის წართმევის მიზნით, თვით ბლოკადის გამოცხადება აპრილში, რუსეთში შეთქმულთა მხარის დაჭერა; საკუთარი ქმედების დაფარვის მიზნით მშვიდობიანი მიტინგის სისხლიანი დარბევა; პარტიზანული საკადრო პოლიტიკა; სოციალურ-ეკონომიკურ პროცესთა სრული უმართაობა ცხადყოფდა არსებულ ხელისუფალთა მოუმწიფებლობას. მეორე მხრივ შესანიშნავად იქნა გამოყენებული ის საერთო-ეროვნული აღტკინება, რასაც ადგილი ჰქონდა თავისუფლების მოპოვების რეალური შესაძლებლობის შექმნის და კომუნისტთა პარპაშის ალაგმვის ნიადაგზე. სრულიად სწორედ იქნა გათვლილი, რომ ქართველი ერის პოლიტიკური დარაზმულობის პირობებში არაქართველი მოსახლეობა ვერ დაიკავებდა აშკარად მტრულ პოზიციას, ვერ გამოამჟღავნებდა ხშირ შემთხვევაში ფარულ განწყობილებას და ხმას მისცემდა რეფერუნდუმის დროს დამოუკიდებლობის საკითხს. ასევე კარგად იქნა გაანგარიშებული საპრეზიდენტო არჩევნების დრო. აპრილში გამოცხადებული დამოუკიდებლობის შემდეგ სწრაფად უნდა მომხდარიყო საპრეზიდენტო არჩევნები, სანამ ხალხი ჯერ კიდევ ამაღლებული გრძნობით იყო მოცული. გარდამავალი სოციალურ-ეკონომიკური სიძნელეების პირობებში შედეგი სათუო გახდებოდა.

ამავე დროს, დაშვებული იქნა ერთი საბედისწერო შეცდომა. პრეზიდენტმა ხელოვნურად გამოაცოცხლა, გააერთიანა და დარაზმა ყველა არსებული ოპოზიციური ძალა. მიზანი იყო ყველა მოწინააღმდეგის ერთბაშად მოკვეთა. დავიწყებული იქნა პრინციპი: გათიშე და იბატონე. შედეგი ძალზე საკალალო აღმოჩნდა ერისათვის და რესპუბლიკისათვის. კანონზომიერი მოვლენა-მოძრაობის ლიდერ-აგიტატორთა შეცვლა მესამე ეტაპის ლიდერებით ვერ განხორციელდა. მეორე ეტაპის შესაფერისი ლიდერები ისევ ამავე ტიპის ლიდერებით შეიცვალა.

10.3. ეროვნული ვალდებულებანი საქართველოში

მასობრივ-პოლიტიკური მოძრაობა მხოლოდ ქართველი ერის ბრძოლით არ შემოიფარგლება. მასში ჩაბმული აღმოჩნდა პრაქტიკულად ყველა ეროვნების კომპაქტური მოსახლეობის საქართველოში. ამასთან ყოველ მათგანს თავისი მიზნები და ბრძოლის ტაქტიკა ჰქონდათ.

მართალია სხვა ერების საქართველოში მოსახლე ელემენტების ბრძო-

ლას საქართველოს გახლეჩისა და დაუფლებისათვის საკმაოდ დიდი წარსული გააჩნია (სწორედ ამის შედეგია საქართველოს მოქცევა დღევანდელ ჩარჩოებში), მაგრამ განსაკუთრებული სიმწვავე ამ პროცესმა ბოლო წლებში შეიძინა. სკკპ პოლიტიკამ 1988 წლიდან მოყოლებული დააჩქარა სიღრმისეულად მომზადებული მოვლენები: სკკპ XIX კონფერენციის შემდეგ იმპერიის რღვევა ამიტომ ღებულობს შეუქცევად ხასიათს.

საქართველოს გახლეჩისათის ყველაზე შეუპოვრად, აშკარად და აგრესიულად აფსუათა პრივილეგირებული ნაწილი იბრძოდა. ჯერ მეფის რუსეთის პირობებში, შემდეგ კი საბჭოთა მმართველობის წლებში მიღებული შეღავათები განაპირობებდა მათ შეურიგებლობას ქართველების მიმართ. თავის მხრივ ქართველების სრული უუფლებობა მათ სამშობლოში ქმნიდა სეპარატისტული მოძრაობის კეთილისმყოფელ ატმოსფეროს. ამიტომ არაერთგზის გამწვავებულა ეროვნული ურთიერთობანი აფხაზეთში. ნ. ხრუშჩოვის იმპერატორობიდან მოყოლებული ყოველ ათწლეულში ერთხელ მაინც ხორციელდებოდა ლაშქრობა საქართველოს წინააღმდეგ, ხოლო 1989 წლის ლიხნის თავყრილობის შემდეგ აფსუათა სეპარატისტული ორგანიზაცია საერთოდ აღარ ექვემდებარებოდა რესპუბლიკის სამთავრობო ღონისძიებებს.

თავდაპირველად სეპარატისტული მოძრაობა მიზნად ისახავდა საქართველოსაგან გამოყოფას და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას. ამ შემთხვევაში დავიწყებული იყო ის ფაქტი, რომ სწორედ რისეთის კოლონიალური პოლიტიკის შედეგად გაპარტახდა და განახევრდა აფხაზეთის ტერიტორია და მოსახლეობა. დავიწყებას მიეცა ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოსახლეობის ორი მესამედი იძულებული გახდა რუსეთის შევიწროებისაგან საშველი საზღვარგარეთ ეძია. დავიწყებული იქნა ისიც, რომ საბჭოთა პერიოდის რეპრესიები იგეგმებოდა და ხორციელდებოდა იმპერიის საერთო მოცულობით, და არა ქართველების მიერ აფსუათა წინააღმდეგ. უფრო მეტი. დავიწყებული იქნა რომ აფხაზეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი ჯერ დენიკინმა ჩამოაჭრა საქართველოს, ხოლო შემდეგ ვ.ი. ლენინმა დაადასტურა 1920 წელს. არც იმის გახსენება სურდა ვინმეს, რომ რსფსრ შემადგენლობაში მოქცეული აფხაზეთის ნაწილი აბსოლუტურად ათვისებული იქნა რუსეთის მიერ და მთლიან აფხაზეთს იგივე მომავალი ელოდა საქართველოდან გამოყოფის შემთხვევაში. აფხაზეთის რუსეთთან შეერთების, როგორც აფსუათა ქართველებისაგან გამიჯვნის მოთხოვნა ბოლოს 1978 წელს იქნა წამოყენებული. იმ პერიოდში სეპარატისტული მოძრაობის დიდი მიღწევა იყო რესპუბლიკის ღონისძიებებზე ვეტოს დადებისა და მათი ფაქტობრივი იგნონირების უფლების მოპოვება.

აფსუათა წარმატებას ძალზე დიდი შედეგი მოჰყვა კავკასიის მთლიანი მოსახლეობის ცხოვრებაში. იმპერიის ცენტრი ესწრაფება საქართველოს

გახლეჩას, ქართველი ერის დაძაბუნებას, მის ჩართვას აფსუათა წინააღმდეგ ბრძოლაში და ამდენად ანტიიმპერიალისტური განწყობისა და მოძრაობის შენელებას ქართველი ერის მხრივ. ცენტრის უშუალო ძალიხმევით გაიმარჯვა სეპარატიზმმა.

ამის შემდეგ თანდათანობით ხდება აფსუათა სტრატეგიული მიზანდასახულობის მოდიფიკაცია. თუ ადრე ისინი თანახმანი იყვნენ რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე, ამის შემდეგ სიტუაცია იცვლება: მათი აზრით, საქართველოს მთავრობისაგან დამოუკიდებლობა პრაქტიკულად მიღწეულია. შესაბამისად იქმნება ყველასაგან დამოუკიდებლობის პერსპექტივა. რუსეთის შემადგენლობაში მოხვედრა ნიშნავს აფსუათა და საერთოდ აფხაზეთის მთელი მოსახლეობის ძალზე სწრაფ და სრულ ასიმილაციას. ამდენად, მიზანშეწონილი აღარაა რსფსრ შემადგენლობაში შესვლის ლოზუნგი. ეს ლოზუნგი კარგი იყო არა საერთოდ, არამედ, მხოლოდ საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში. ამიერიდან საჭიროა აფხაზეთის სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. შესაბამისად საჭიროა ისეთი მოკავშირეების მოძებნა, რომელთა მოსალოდნელ დაპყრობით ამბიციებს შეიძლება გაუმკლავდეს და რომელნიც აქეთ უნდა იყვნენ დამოკიდებულნი აფსუათა ნებაზე. ასეთი მოკავშირეები დროთა ვითარებაში მიოძებნა.

კავკასიის მრავალრიცხოვან წვრილ ერთა იმპერიის შემადგენლობაში „ბედნიერი" ყოფნა იმდენად მოჩვენებითი იყო, რამდენადაც წინააღმდეგობრივი. თვითოეული მათგანი მხოლოდ სასურველ მომენტს უცდიდა, რათა თუ ვერ დაუსხლტებოდა იმპერიის ჭანგებს, ცოტა შვება მაინც მიეღო ეროვნული განვითარებისათვის. აფსუათა აშკარა გამარჯვებამ მათ ოცნებას რეალობის მომენტი შემატა. მით უმეტეს, რომ აფსუა ეთნოსი სხვა არაფერია თუ არა ადიღეური წარმოშობის ტომი მოხვედრილი განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ გარემოში და აღზევებული ფრიად. სწორედ მასთან კავშირში, მისი შემდგომი ბრძოლის არეალში გამოისახა კავკასიის მცირერიცხოვან ერთა მომავალი. ამიტომ, სრულიადაც არაა გასაკვირი, რომ 1981-1983 წლებიდან მოყოლებული აშკარა ხდება სურვილი-შეიქმნას კავკასიის მთის ხალხების ფედერაციული ან კონფედერაციული გაერთიანება. ამასთან ამ გაერთიანებაში ყოველ ამ ერთაგანს აქვს თავისი განსაკუთრებული შორს მიმავალი მიზნები.

აფსუათა მიზანი ნათელია. იგი პირობითად ორ ნაწილად უნდა დაიყოს: 1. რამდენადაც თავისუფალი განვითარების მხრივ მათ მიაღწიეს ყველაზე დიდ წარმატებას და კავკასიაში პატარა ერთა ბრძოლის ლიდერებს წარმოადგენდნენ და რამდენადაც აფხაზეთს უკავია ყველაზე მომგებიანი მდგომარეობა (აქვს ზღვაზე გასასვლელი), ამდენად მომავალ გაერთიანებაში ისინი წამყვან (პრივილეგირებულ) მდგომარეობას დაიკავებენ და ბევრად

განსაზღვრავენ განვითარების ხაზს; 2. რამდენადაც ქართველებმა მათ აფხაზები უწოდეს და აქედან გამომდინარე მსოფლიო აფხაზებად იცნობს, ლოგიკურია რომ აფხაზებს აფხაზეთის ფლობის პრეტენზია ჰქონდეთ. აფხაზეთი კი საკმაოდ რთული ცნებაა. არის ისტორიული, არის თანამედროვე. იქიდან გამომდინარე, რომ ერთ პერიოდში აფხაზეთის სამეფო დიდ ტერიტორიებს მოიცავდა, შეიძლება კიდევაც დაისვას დიდი აფხაზეთის აღორძინების საკითხი.

საქართველოს სინამდვილეში კავკასიური კავშირის არეალში ხვდება შიდა ქართლის ტერიტორიაზე კომპაქტურად მაცხოვრებელი ოვსთა მოსახლეობა.

ოვსთა ისტორიული ბედის საკითხი მხოლოდ ფორმით განსხვავდება რუსეთის იმპერიის პრესის ქვეშ მოყოლილი ხალხების მდგომარეობისაგან. თანაც მისი უსასტიკესი სახით.

დღეს თქმა იმისა, რომ ქართველთა და ოვსთა ურთიერთობა ყოველთვის მეგობრული იყო, ისევე არ შეიძლება, როგორც საწინააღმდეგოსი. ამ მიმართებით სრულიად საკმარისია მიეთითოს დვალეთის მიტაცებისა და სრული ასიმილაციის ფაქტზე. და მაინც ერთ ბედში მოხვედრის პირობებში ქართველობა ყოველთვის გაგებით ეკიდებოდა ოვსთა დიდ ტრაგედიას.

მეფის რუსეთმა ოვსნი აიძულა მიეტოვებინათ ისტორიული საშობლო და ბედი მეზობელ საქართველოში ეძიათ-რუსეთი ამით ერთი მხრივ ათავისუფლებდა საუცხოო ტერიტორიებს რუსი კოლონისტებისათვის და მეორე მხრივ, ქართველობას უსახლებდა პოტენციურ მოწინააღმდეგეს.

ბუნებრივია საშობლო დაკარგული ხალხი პირველ რიგში მის უკან დაბრუნებაზე ოცნებობდა. ასეთი იყო ოვსთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შინაარსი XIX საუკუნის მანძილზე. ქართველობა ამ ბრძოლაში ერთსახად უჭერდა მხარს ჩაგრულ ხალხს. სიტუაცია იცვლება მიზნის მიღწევის შეუძლებლობის გაცნობიერების კვალობაზე.

საბჭოთა იმპერიისათვის საქართველოს დაპყრობის საქმეში გაწეული დახმარების საფასურად 1922 წლის 20 აპრილს დაფუძნებული იქნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ეს იყო ოვსთა დიდი გამარჯვება. მართალია აფსუათა სამსახური უფრო მეტად დაფასდა, მაგრამ სამშობლოშეჭირვებული ხალხისათვის ავტონომიაც სანუკვარი მიღწევა გახლდათ. მით უმეტეს, რომ ავტონომიის ფარგლებში მოექცა შიდა ქართლის ის ტერიტორიები, რომელთა დაპყრობას ისინი სხვა გზით ვერ შეძლებდნენ.

ამრიგად, ოვსთა შექმნეს ორი სახელმწიფოებრივი გაერთიანება. ავტონომიური რესპუბლიკა რსფსრ შემადგენლობაში მოქცეულ ისტორიულ საშობლოს ნიადაგზე და ავტონომიური ოლქი ჯერ კიდევ დაუპყრობელ

საქართველოს ტერიტორიაზე. ლოგიკურია, რომ ერის წინაშე თავიდანვე დაისახა ამ ორი ერთეულის გაერთიანების საკითხი.

ჭკვიანმა ადამიანებმა თავიდანვე სწორედ იმსჯელეს. გაერთიანების შემთხვევაში თუ დიდი ოვსეთი რუსეთის შემადგენლობაში მოექცეოდა, ერს დაჩქარებული ასიმილაცია არ ასცდებოდა. სხვა შედეგი იყო მოსალოდნელი თუ ეს გაერთიანება საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მოექცეოდა. რუსების მხარდაჭერით თუ დაუპყრობელი მიწები წაგლიჯეს საქართველოს, მომავალში გაერთიანებული ოვსეთი უფრო მეტს მიაღწევდა. ამიტომ იყო, რომ უკვე 1925 წელს დაისვა ოვსთა გაერთიანებისა და გაერთიანებული რესპუბლიკის საქართველოსთან მიერთების საკითხი. საბოლოო ანგარიშით, მაშინ იგი დადებითად ვერ გადაწყდა.

თეორიულად ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის გაერთიანების, შემდეგ ამ გაერთიანების ბედის ვარიანტები ყოველთვის აქტუალური იყო ოსი ერის პატრიოტულად განწყობილი ნაწილისათვის.

საბჭოთა იმპერიის პირობებში გაძლიერებულმა ინტერნაციონალიზაციის პროცესებმა მოაჩლუნგეს ისტორიული ოვსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოვსთა ეროვნული სული, დააძაბუნეს ეროვნული ხორცი და რომ არა ოვსური შეძახილები საქართველოს მიწა-წყლიდან ალბად არ ასცდებოდათ დიდ რუს ერთან „შედუღება“ (როგორც უწოდებდა ასეთ პროცესს ვ.ი. ლენინი).

ისტორიულ სამშობლოში ოვსებს არ მიეცათ ეროვნული სახელმწიფოს რეალურად შექმნის, ეროვნული ენის დამკვიდრების, ეროვნული საზღვრების დადგენის, ეროვნული სკოლის ჩამოყალიბების, ეროვნული კულტურის განვითარების შესაძლებლობა. დიდი რუსი ძმა ყველაფერი საკუთარით უზრუნველყოფდა „ტუზემეც“ ოვსებს (ტუზემეცი-ვ.ი. ლენინის საყვარელი გამოთქმაა არარუს ერთა დახასიათების დროს).

საწინააღმდეგო სურათი წარმოსდგა საქართველოში. თვითონაც სრულიად უუფლებო. მრავალგზის „ეგზეკუციაქმნილ“ ქართველ ერს წართმეული ჰქონდა საკუთარი მეს, ტერიტორიის, კულტურის დაცვის უფლებაც, საშუალებაც და ა.შ. იმპერიის ცენტრის წახალისებით ოვსთ შეეძლოთ დაუსჯელად გაეშალათ აქ ეროვნული მეობის მშენებლობა. მრავალათეული წელი ამ მხრივ ნაყოფიერად იქნა გამოყენებული.

თავისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში არ არსებობს მიჯნა, რომლის გადაბიჯების სურვილი ერს არ ექნება. რამდენადაც ისტორიული სამშობლოში ოვსებს წართმეული ჰქონდათ ყოველგვარი უფლება, იმდენადვე ეძლეოდათ იგი საქართველოში. ამან განაპირობა ოვსური სულის, დიდი ოვსეთის შექმნისათვის ბრძოლის ცენტრის გადმონაცვლება საქართველოში. ამიტომ

ველარ იტანდნენ რაიმე ქართულს ქსნის საერისთაოს დაპყრობილი მიწების ახალი მეპატრონეები.

ბრძოლა ყოველივე ქართულის წინააღმდეგ ახალ ეტაპში შევიდა 1978 წელს აფსუათა მიერ მოპოვებული დიადი გამარჯვების შემდეგ. პირველი ნაბიჯი რაც ახალ ისტორიულ ვითარებაში გადაიდგა, იყო ალიანსი აფსუათა სეპარატისტულ ნაწილთან. 1981-1983 წლებში ასეთი კავშირი სრულიად ხელშესახებ ფორმას იძენს. მესამე იყო დიდი ოსების ახალი ჰორიზონტების თეორიული დამუშავება. თუ ადრე ფართე გასაქანი ჰქონდა ორ ვარიანტს, — დიდი ოსეთის შესახებ რსფსრ ან საქართველოს შემადგენლობაში, ახლა გაჩნდა უკეთესი პერსპექტივა: დიდი ოსეთი აფხაზეთთან, ადიღეასთან, ყაბრდო-ბალყარეთთან და მთის სხვა წვრილ ხალხებთან ერთად, გარკვეულ ისტორიულ პირობებში, ქმნის გარკვეულ ფედერაციას ან კონფედერაციას. მცირერიცხოვანი მოსახლეობის ამ ერთეულებთან შედარებით ოსთა რიცხვი მართლაც მნიშვნელოვანია. მოსახლეობის რაოდენობის წყალობით დიდი ოსეთი იკავებს გაბატონებულ მდგომარეობას გაერთიანებაში და თავისი მიზნების შესაბამისად წარმართავს მის საქმიანობას. უფრო მეტი. პერსპექტივების გათვლის დროს ოს თეორეტიკოსთა შორის გამოთქმულია აფსუებთან საერთო ეკონომიკური ძირის დასაბუთების, ამ ხაზით მათი მომავალი შერწყმის შესაძლებლობის იდეა. შერწყმის შემთხვევაში შედეგის სასურველობა თეორეტიკოსთა ეჭვს არასოდეს იწვევდა.

ჭეშმარიტების საზომი პრაქტიკაა. პრაქტიკულად კი ყოველმა ერმა თავისი ჭეშმარიტი უნდა ჰპოვოს. ამ ძიებამ მიიყვანა საქართველოს ოსი მოსახლეობის ნაწილი დაპყრობილი მიწების რესპუბლიკისაგან სრულიად ჩამოცილების მცდელობამდე. ამ საქმეში საკუთარი უძლურების კომპენსაციას ისინი რუსი ჯარის ძლევამოსილებაში ხედავენ. ამიტომაა დღეს ბრძოლა დაპყრობილი მიწების რსფსრ შემადგენლობაში გადაცემის მოთხოვნით. ეს მათი ბრძოლის პირველი ეტაპია.

თავის მხრივ რუსეთის იმპერიას (არა აქვს მნიშვნელობა მას ჰქვია სსრკ, სნგ, რსფსრ, უბრალოდ რუსეთი თუ სხვა რამ), არ ემეტება რა საქართველო დასაკარგად, ცდილობს ქართველ-ოსთა ბრძოლაში გამშველებლის როლი შეასრულოს და ამ გზით ორივე თავის არეალში ამყოფოს.

თუ დაახლოებით ერთტიპიურია აფსუათა და ოსთა ბრძოლა ქართველ ერის წინააღმდეგ,ასევე ერთტიპიურია ბორჩალოელთა და სომეხთა პოზიცია.

საინტერესო ფაქტია. საქართველოში ჩამოსახლებული ბორჩალოს ტომი სანამ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული სახანოები მოსახლეობისაგან გარკვეულ გაუცხოებას გრძნობდა, ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოს

პოლიტიკას. თანდათანობით მეფის რუსეთის ლონისძიებათა წყალობით გაუცხოება შემცირდა, ხოლო საბჭოთა პერიოდში თითქმის გაქრა. აზერბაიჯანელის ცნების დამკვიდრებამ ბორჩალოელები მეზობელი რესპუბლიკის ორიენტაციის დამცველებად აქცია. დღეს უკვე აღარ აცნობიერებენ ამ რეგიონში ისტორიული წარმომავლობის, რელიგიური და ყოფითი სხვაობის საკითხს. უფრო მეტი. თუმცა არიან საქართველოს ამ „აზერბაიჯანელებს" შორის შიიტებიც, სუნიტებიც, მიურიდებიც, მაგრამ უკვე ახალი ეროვნული სძალავს მათ რელიგიურობას. ამავე დროს არ გამორიცხება ეს უკანასკნელი ფაქტორი. სწორედ ამ ხაზით არიან ისინი ჩართულნი საერთო-მუსლიმანურ ალიანსში. პან-ისლამიზმი და პან-თურქიზმი ამ რეგიონში სწორედ აზერბაიჯანის ტერიტორიისა და მოსახლეობის გავლით აღწევდა. რაღაცა დიადთან, ამაღლებულთან წილხვედრობა ბადებს მათში სიამაყისა და სიამაყის ობიექტისადმი ერთგულების, მისი სამსახურის აუცილებლობის ტენდენციას. იგივე ფაქტორი იწვევს ქართული ორგანიზმისაგან მათ გაუცხოებას. თუ თავის დროზე ურთიერთობა იმდენად ლოკალური იყო, რომ ერეკლე მეორე ეხვეწებოდა კიდეც ბორჩალოელებს არ მიეტოვებინათ საქართველო, თანდათანობით საქართველოდან წასვლის სურვილი მათ საქართველოს სამხრეთ ნაწილის დაპყრობის აზრით შეეცვალათ. ის მოვლენები, რაც გარდაბან-შარნეულ-ბოლნის-დმანისის რაიონებში გათამაშდა, 1989 წ. ზაფხულში, სხვა არა იყო რა, თუ არა ქართული მიწების პან-თურქიზმის სამსახურში ჩაყენების სურვილი. მართალია პირდაპირი იერიშით მათ ვერ შეძლეს ამ რეგიონის დედა სამშობლოსაგან ჩამოცილება, მაგრამ არც ის პოზიციები დაუთმიათ, რაც მცოცავი აგრესიის შედეგად მოიპოვეს. მიწების მიტაცების, შესყიდვის გზით, სწრაფი დემოგრაფიული ზრდის პირობებში (დაახლოებით ექვსი შვილი ყოველ შექმნილ ოჯახზე, მაშინ როდესაც ქართველებში ეს მონაცემი ოთხჯერ ნაკლებია) მათ შეძლეს ფაქტობრივად დემოგრაფიული ანექსიის განხორციელება. ამ ნიადაგზე დაისვა საკითხი ამ რეგიონში ბორჩალოს ავტონომიის შექმნის ან მიწების აზერბაიჯანის რესპუბლიკისათვის მიერთების შესახებ. რეგიონში აშკარა ბრძოლის ეტაპი დამთავრდა, მცოცავი აგრესია გრძელდება.

ოდნავ სახეშეცვლილი გამოიყურება სომხური აგრესია საქართველოში. აქ მხედველობაშია არა ის საუკეთესო რაიონები, რომლებიც იმპერიის შემწეობით გაითავისა სომხობამ. მხედველობაშია რეგიონი სადაც სომხური მოსახლეობა დიდ უმრავლესობას შეადგენს და რომლის სასომხეთისათვის მიერთებისათვის იღწვის დიდი ხანია. სომეხი ერის და არა მხოლოდ საქართველოში მცხოვრები სომხების ინტერესთა წრე საიდუმლოს არ წარმოადგენს. ერევანში მრავალჯერ გამოუციათ დიდი ტირაჟებით ე.წ. ისტორიული რუქები, სადაც საქართველო ან მისი ნაწილი სომხეთის

კუთვნილ ტერიტორიებადაა გამოცხადებული. ამასთან სომხების აგრესიული მისწრაფებების არეალი სხვადასხვაა.

დღესაც არაა განელებული აზრი იმის შესახებ, რომ თბილისი სომხებმა ააშენეს, სომხური ქალაქია და სასომხეთს უნდა ეკუთვნოდეს. დაახლოებით ასეთივე პრეტენზიებია გორის მიმართ. არის ვარიანტი, რომლის მიხედვით სომხეთ-საქართველოს ტერიტორიული საზღვარი სწორედ ამ ქალაქების მიჯნაზე უნდა გადიოდეს. არის მეორე ვარიანტი, რომელიც ახალქალაქ-ახალციხის რეგიონით იფარგლება. ამასთან ეს უკანასკნელი ორსახოვანია. ერთი ითვალისწინებს ამ რეგიონის სასომხეთისათვის მიერთებას, მეორე — აქ საქართველოს შემადგენლობაში შემავალი ავტონომიის შექმნას, ანუ ოვსური მოდელის განმეორებას. არსებობს ვარიანტი, რომელიც უპირატესობას ახალქალაქ-ახალციხე-ბათუმის მიმართულებას ანიჭებს. გასაგებია ამ გზით სასომხეთი ზღვაზე გასასვლელს ღებულობს. არის აგრეთვე ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს შავი ზღვის პირეთში სომხური მოსახლეობის სწრაფ ზრდას, აქ დემოგრაფიული ანექსიის განხორციელებას.

შესაძლებლობათა ვარიანტები არა მხოლოდ თეორიულადაა გათვლილი. ამ მიმართებით სისტემატური პრაქტიკული საქმიანობაა გაშლილი.

ობიექტურობა მოითხოვს მიეთითოს საქართველოში მცხოვრებ არაქართველი ერების ელემენტთა ეროვნების კანონზომიერებაზე, ეროვნულობა (ჯანსაღი ნაციონალიზმი) დადებითად ახასიათებს ყოველ ადამიანს. რად ვარგა კაცი მხოლოდ კუჭზე ფიქრობდეს და საკუთარი ერის ძლიერებისათვის არ იღვწოდეს.

სწორედ ასე უნდა იქნეს შეფასებული საქართველოს ტერიტორიების მიტაცების ყოველი ფაქტი და მიმტაცებელთა პოზიცია.

ბორჩალოელები და სომხები ცდილობენ მცოცავი აგრესიის განხორციელებას. ისინი უპირატესობას ბრძოლის მშვიდობიან ფორმებს ანიჭებენ. სანაცვლოდ ნაკლებ თვალსაჩინოა მათი ზრახვები და მყარი — მოპოვებული წარმატება.

ბრძოლა მისი ფორმებისა და მეთოდების მიხედვით კი არ უნდა შეფასდეს არამედ ძირითადი ხასიათისა და მიზანმიმართულების მიხედვით.

საქართველოში, ქართველების წინააღმდეგ მებრძოლი ყოველი ერის ელემენტებს ჰყავდათ თანამომმენი და აქვთ ისტორიული სამშობლო რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. ამავე დროს ისინი იბრძვიან არა ეროვნული ან პიროვნული უფლებებისათვის სახელმწიფოს საზღვრებში, არამედ ამ სახელმწიფოს გარკვეული მიწების სხვა ქვეყნებისათვის გადაცემის მიზნით. ამდენად, მათი ბრძოლა, მიუხედავად ისტერიული პროპაგანდისტური კამპანიისა, შეფასებათა არა როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, არამედ, როგორც, აგრესია.

11. მოქმედების დიალექტიკა

საქართველოს ისტორიის გეოგრაფია ცხადყოფს, რომ ქვეყნის შემადგენლობაში არაა არც ერთი გოჯი მიწა, რომელიც მეზობლებისაგან იქნებოდა მიტაცებული. პირიქით. არაა მეზობელი, რომლის სახელმწიფო საზღვრები არ გაფართოვებულა საქართველოს ხარჯზე. რამდენნადაც საქართველოს დღევანდელ ფარგლებში არ შედის სხვა ერის ტერიტორია, ამდენად უნდა ჩაითვალოს, რომ არ არსებობს დაპყრობილი არა მხოლოდ მიწა, არამედ მასზე მაცხოვრებელი ხალხიც, რომელიც იბრძოლებდა დამპყრობელი ქართველი ერის წინააღმდეგ. ამ ხაზით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ შეიძლება არსებობდეს.

განსხვავებულ მდგომარეობაშია ქართველი ერი და მთლიანად საქართველო. მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი საბჭოთა იმპერია დაიშალა, 1991 წელს 9-11 დეკემბერს მის არსებობას დაესვა ისტორიული წერტილი, საქართველო ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება თავისუფალ ქვეყნად. მის ტერიტორიაზე კვლავ გაბატონებულ ძალას წარმოადგენენ ყოფილი იმპერიის, ამჟამად რუსეთი შეიარაღებული შენაერთები. რუსი მხედართმთავარი ა.ვ. სუვოროვი აცხადებდა: ტერიტორია დაპყრობილად არ ჩაითვლება, სანამ იქ რუსის ჯარისკაცი არ დაბიჯებს. ზუსტად საპირისპიროდ, ქვეყანა თავისუფლად არ ჩაითვლება, სანამ იქ უცხო ქვეყნის ჯარისკაცი დაბიჯებს. საქართველოში კი ჯერაც ბევრს განსაზღვრავს რუსეთის ყველა სახეობის შეიარაღებული ძალები. ამდენად ქართველი ერის განმთავისუფლებელი მოძრაობა გრძელდება.

რა პერსპექტივები აქვს ამ ბრძოლას?

პასუხი უეჭველად საჭიროებს მოკლე ანალიზს.

დღეს საკმაოდ მრავალხმოვანი მსჯელობაა სოციალისტური წყობილების უდღეურობის, კომუნიზმის უტოპიურობის, კომუნისტების არაადამიანურობის, უკან კაპიტალიზმისაკენ დაბრუნების აუცილებლობის შესახებ და ა.შ. აზრთა მრავალგვარობის მიუხედავად საკითხის გარკვევა სინამდვილისაგან შორსაა.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა იმპერიაში არ ყოფილა არავითარი სოციალიზმი და არც შეიძლებოდა ამგვარის არსებობა. მეორე ის, რომ სოციალიზმი და კომუნიზმი იდენტური ცნებებია ურთიერთ დაშორებული ვ.ი. ლენინისა და ბოლშევიკების მიერ. მესამე არსებითია, რომ კომუნისტთა მმართველობა იმპერიაში არასოდეს ყოფილა (კომუნისტი თავისი შინაარსით არის ადამიანი, რომელიც იღწვის საერთო კეთილდღეობისათვის და უკანასკნელ რიგში ღებულობს მას თავისთვის). ასეთი ყაიდის ხელმძღვანელები არსად არასოდეს არ ყოფილან.

რაც შეეხება საბჭოთა იმპერიის სოციალისტურობას ან კომუნისტუ-

რობას: ევროპაში გავრცელებული სოციალისტური თეორიის, მათ შორის მარქსისტული თეორიის მიხედვით სოციალიზმი შეუძლებოდა დამკვიდრებულიყო, როგორც კაპიტალისტური განვითარების შეგედი და მხოლოდ უკანასკნელის შესაძლებლობათა ამოწურვის შემდეგ.

კაპიტალისტური პროგრესის ისტორიული ტენდენციის საკითხი განსაკუთრებით მისი უმაღლესი საფეხურის შესახებ სხვადასხვანაირადაა შეფასებული მკვლევართა მიერ. რომ არაფერი ითქვას ადრეულ თვალსაზრისებზე — სახელმწიფო სოციალიზმი, სახელმწიფო კაპიტალიზმი, ულტრაიმპერიალიზმი და ა.შ. საკმარისია მიეთითოს კონვერგენციის თეორიის სხვადასხვა ვარიანტების არსებობაზე. თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებული შეხედულებები ახალი ინდუსტრიული საზოგადოების, ტექნოტრონული ერის შესახებ თვალნათლივ ახასიათებენ კაპიტალისტური წინსვლის პერსპექტივებს. ერთი სიტყვით, ყველა ღრმა მკვლევარი მიიჩნევს, რომ კაპიტალიზმმა უნდა მიაღწიოს რაღაც უმაღლეს საფეხურს საიდანაც რაღაც ახალზე, უფრო მაღალზე გადასვლა უფრო ბუნებრივი იქნება.

კაპიტალიზმი გადის განვითარების ექვს საფეხურს, მეექვსე, სახელმწიფო კაპიტალიზმი არის მომავალი ახალის პირობების სრული მომზადება. მეექვსე საფეხურის გავლის შემდეგ კაპიტალიზმის დაღუპვა და უფრო პროგრესულის დამკვიდრება თანაბრად გარდაუვალია.

გამოირიცხება კაპიტალიზმის უფრო ადრეული საფეხურებიდან ახალზე გადასვლის შესაძლებლობა. ადრეული საფეხურებიდან გადასვლის დაწყება ნიშნავს სილატაკის (და არა სიმდიდრე) თანაბარ განაწილებას. ასეთი განაწილების დროს ხელახლა აღმოცენდება ის წყობილება, რომლის გადალახვასაც საზოგადოება ცდილობს.

1917 წლის ოქტომბერის სამხედრო გადატრიალება მოხდა იმ დროს, როდესაც ევროპაში კაპიტალისტური განვითარების მეოთხე საფეხური იყო, ხოლო რუსეთის იმპერიაში ფეხს მესამე — მანქანური წარმოება იკიდებდა. ლოგიკურია დასკვნა, რომ თუ დღევანდელი მოწინავე ქვეყნები კაპიტალისტური პროგრესის მხოლოდ მეხუთე საფეხურზე არიან და მიუხედავად მსჯელობისა შვედური, ფრანგული, სკანდინავიური სოციალიზმის შესახებ, სინამდვილეში ამდაგვარი პრინციპებისაგან ძალზე შორს დგანან; სასაცილო იყო სერიოზული მსჯელობა რუსეთში მისი განხორციელების შესახებ.

რუსეთის იმპერიაში ნამდვილი კაპიტალიზმი XIX საუკუნის ბოლოს იწყებს განვითარებას. 1917 წელს მსჯელობა შეიძლება მისი ფეოდალური მარწუხებისაგან გათავისუფლების შესახებ. ოქტომბრის გადატრიალებას, მიუხედავად 1921 წლამდე ჩატარებული იაკობინური ექსპერიმენტებისა, სხვა რა შეეძლო თუ არა კაპიტალიზმისათვის გასაქანის მიცემა. ამავე დროს იყო წმინდა რუსული თავისებურებანი. მათში ძირითადია: ტრადიცი-

ული დესპოტიზმი, დიდმპყრობელური შოვინიზმი და გლეხური სოციალიზ-მი (მისი ლენინური ვარიანტი). ყოველივეს შედეგად 1921 წლიდან საბჭოთა იმპერია ჩამოყალიბდა, როგორც განსაკუთრებულობათა კონგლომერატი: საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური შესაძლებლობანი არ სცილდებოდა კაპიტალისტური განვითარების მესამე საფეხურს, სისტემა გარკვეული გადახრებით მიუახლოვდა სახელმწიფო კაპიტალიზმის საფეხურს, იდეოლოგიად დამკვიდრდა გლეხური სოციალიზმის ლენინური თეორია. შედეგად საზოგადოებამ მიიღო დაქირავებული მონობის სისტემა, რომელსაც სოციალიზმს, განვითარებულ სოციალიზმს, კომუნიზმის პირველ ფაზას უწოდებდნენ.

სახელმწიფო კაპიტალიზმი თანამედროვე კაცობრიობის უახლოესი მომავალია და პროგრესის კიდევ ერთი გამოვლენა იქნება. საბჭოთა იმპერიაში ეს სისტემა ძალდატანების წესით და მახინჯი ფორმით განხორციელდა. შესაბამისად მისი არსებობა იძულებაზე იყო დაფუძნებული. ამ სისტემის შიგნით ეკონომიკური და ყოფითი ურთიერთობანი მოწყვეტილი აღმოჩნდა ეკონომიკურ შესაძლებლობებს. ურთიერთობათა ხასიათი თავის მხრივ ბევრად ჩამორჩებოდა საზოგადოებრივ იდეურ ღირებულებათა პრინციპებს. მათში მრავლად იყო სოციალისტური ულერადობის დასკვნები რაც მთლიანად წყობილების სოციალისტურობის ელფერს ქმნიდა. საბოლოოდ საბჭოთა იმპერიაში მოხდა პიროვნების და საზოგადოების გაორება. ადამიანი ისმენდა ერთი მიმართების პრინციპს, ცხოვრებაში ხედავდა საწინააღმდეგოს და იძულებული ხდებოდა ემოქმედა საკუთარი შეხედულებების საპირისპიროდ.

წინააღმდეგობა მატერიალურ-ტექნიკურ შესაძლებლობებსა და ეკონომიკურ ურთიერთობათა დონეს შორის გადაულახავ ზღვარად დგებოდა და განაპირობებდა წყობილების დაღუპვის გარდაუვალობას. ერთგვარი წინსვლისა და პროგრესის მომენტები, რომელიც თან ახლდა წყობილების გენეზისს, თანდათანობით გაუფერულდა და გაქრა. არსებობა ეფუძნებოდა ტოტალური შეიარაღებისა და მსოფლიო ომში კატასტროფით საკუთარი ერების დაშინების მეთოდს. სწორედ ამ ორმა ფაქტორმა განაპირობა საბჭოთა წყობილების დაღუპვის ობიექტური გარდაუვალობა. ჯერ ერთი წინააღმდეგობამ შეიძინა ანტაგონისტური ხასიათი. მეორე, მსოფლიოში არსებულ ძალთა თანაფარდობაში მოხდა არსებითი ცვლილება. ყოფილ საბჭოთა სივრცეში, დღეს ობიექტურად მიმდინარეობს სახელმწიფო კაპიტალიზმიდან (სახელმწიფო დაქირავებული მონობის სისტემიდან) მონოპოლისტურ საფეხურზე უკუსვლის პროცესი. ცვლილება მიმდინა-რეობს ერთი წყობილების ფარგლებში.

ტერმინოლოგიური ცვლილებებით ხშირად ცდილობენ სასურველი ეფექტის მიღებას. ასეა ამ შემთხვევაშიც, სადაო არაა, რომ კაპიტალიზმის

საფუძველია ფულად-სასაქონლო ურთიერთობანი. ეს ურთიერთობანი გაბატონებული იყო საბჭოთა იმპერიაში მოყოლებული 1921 წლიდან. ამ ურთიერთობათა ფარგლებში მიმდინარეობს გარდაქმნები დღეს. ტერმინოლოგიური სიახლე - ბაზრის ურთიერთობანი, თავისუფალი მეწარმეობა, თავისუფალი ინიციატივა და ა.შ., არ მოასწავებს თვისობრიობის შეცვლას. არსებითად აქ ხდება საკუთრების ფორმის შეცვლა და არა შინაარსისა. ადრე სახელმწიფო გამოდიოდა ერთადერთ კერძო მესაკუთრედ, ყველა სხვა სახელმწიფოს დაქირავებული მონა იყო. ახლა კერძო მესაკუთრეთა წრე იწყებს გაფართოებას. შესაბამისად, უმრავლესობა იქნება უმცირესობის მიერ დაქირავებული. ორივე შემთხვევაში კერძო საკუთრებაა საფუძველთა საფუძველი.

ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და მათ შორის საქართველოში ობიექტურად აუცილებელია ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და ეკონომიკურ ურთიერთობათა შორის წარმოქმნილი წინააღმდეგობის დაძლევა. რამდენადაც შესაძლებლობანი მონოპოლისტური კაპიტალიზმის დონისაა, ურთიერთობანი ამავე ფორმას უნდა ატარებდეს. აქედან გამომდინარე, საკუთრების სახელმწიფო ფორმა ბევრ რამეში უნდა შეიცვალოს კერძო-ინდივიდუალური და კერძო-ჯგუფური საკუთრებით.

საკუთრების ფორმების მსოფლიო-ისტორიული გამოცდილება მიუთითებს კერძო საკუთრების კერძო საკუთრების ფარგლებში განსაზოგადოების ტენდენციაზე. ამ ტენდენციის თანახმად კაპიტალიზმის დროს კერძო საკუთრება მოძრაობს კერძო-ინდივიდუალური საკუთრებიდან კერძო-ჯგუფური საკუთრების გავლით კერძო-სახელმწიფოებრივისაკენ. დღეს მოწინავე ქვეყნებში სხვადასხვა პროპორციით ერწყმის კერძო-ჯგუფური და კერძო-სახელმწიფო საკუთრება. ამასთან უკანასკნელი ფორმა, როგორც შედარებით მაღალი, მათთვის მომავლის პერსპექტივას წარმოადგენს.

საქართველოს დღეს წარმატებით არსებობისათვის, წარმოების განვითარებისათვის სჭირდება კერძო-ჯგუფური საკუთრების დამკვიდრება. ეს უნდა იყოს საკუთრების ძირითადი ფორმა. მაგრამ, განვითარების სტრატეგიის მოთხოვნებიდან გამომდინარე, არ შეიძლება არ იქნეს შენარჩუნებული კერძო-სახელმწიფო საკუთრების ფორმაც. კერძო საკუთრების ამ ორ ფორმას შორის თანაფარდობა სხვადასხვა მოწინავე ქვეყანაში განსხვავებულია. ავსტრიაში მაგალითად წარმოების 53% სახელმწიფო სექტორზე მოდის, 47% კი კერძო-ჯგუფურს და კერძო-ინდივიდუალურს განეკუთვნება. გერმანიაში ეს მონაცემი შესაბამისად არის 48% და 52%. საქართველოსთვის, როგორც ბევრად უფრო სუსტად განვითარებული ქვეყნისათვის, მომავლის ამოცანების გათვალისწინებით პერსპექტიული იქნებოდა სახელმწიფო-კერძო საკუთრების ხვედრითი წონის განსაზღვრა 40-45% ფარგლებში. აქეთკენ

უნდა წარიმართოს ქვეყნის ეკონომიკის რევოლუციური (თავისი ტემპებით) რეფორმირების პოლიტიკა.

შედარებით გასაგები, მარტივი და ამავე დროს ყველაზე რთული მიწის საკითხია. ამ დარგში, როგორც არსად, საჭიროა ბუნებრივი ისტორიული გამოცდილების გაზიარება, ყველა იმ თავისებურებათა გათვალისწინება, რაც საქართველოს გააჩნია. მხედველობაშია საერთოდ სავარგული ფართობების ოდენობის, მოსახლეობის სიმჭიდროვის, ეროვნული, სოციალური, კულტურული მეობის, კლიმატური, ტექნიკური აღჭურვის პირობების გათვლა და ა.შ. ერთი რამ თავიდანვე ცხადია. პირველი რადიკალური ნაბიჯი ამ მიმართებით არის მიწის უფასო, ხოლო ნორმის ზევით გამოსყიდვის წესით გადაცემა ყველასთვის ვინც მის დამუშავებას მოისურვებს. მიწის კერძო საკუთრება არ გამორიცხავს მფლობელთა ნებაყოფლობითი კოოპერირების შესაძლებლობას. ასევე არ უნდა გამოირიცხოს მიწის განსაზღვრულ ფართობზე სახელმწიფო საკუთრების შენარჩუნება, სახელმწიფო მეურნეობების სახით და ა.შ.

ნებისმიერ სახელმწიფოებრივ მმართველობით აპარატს აქვს ორი დიდი ნაკლი: 1. ერთდროულად ცდილობს უამრავი საკითხის გადაწყვეტას და სინამდვილეში არც ერთი არ მიჰყავს ბოლომდე; 2. კარგი მოხსენება, ბრძანება, გადაწყვეტილება მიაჩნია გაკეთებულ საქმედ. თუ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა შეძლებს ამ ნაკლის გადალახვას და პრაქტიკულად ბოლომდე ოპერატიულად მიიყვანს მიწის განკერძოების საქმეს, მოსახლეობა მოკლე ხანში იგრძნობს გარკვეულ შვებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩინოვნიკური აპარატის ბიუროკრატიული მეთოდები არარაობამდე დაიყვანენ საერთო კრიზისიდან გამოსვლის ყველა მცდელობას.

დღეს საქართველოში ბევრს მსჯელობენ დემოკრატიული წყობილების შექმნის აუცილებლობაზე. ამდენი პოლიტიკოსი და დემოკრატი ერთად არასოდეს ყოფილა. გრძლად და სერიოზულად მსჯელობენ დემოკრატიაზე, ბევრს ბრალს სდებენ მისი ძირითადი მოთხოვნების უგულებელყოფაში, ქვეყანას უხსნიან დემოკრატიის შინაარსს, მაგრამ სამწუხაროდ საკითხზე ზერელე წარმოდგენის დონეზე.

ან იქნებ იმდენად რთულია დემოკრატიის არსის გაგება, რომ არა თუ განხორციელებას, არამედ გაგებასაც ვერ ახერხებენ? დღეს დემოკრატიულობად მიჩნეულია სიტყვის თავისუფლება, მიტინგების, დემონსტრაციების, სხვათა ზოგჯერ განქიქების, ტელეეკრანზე გამოჩენის, მმართველობის დაუსჯელი ლანძღვის უფლება და ა.შ. თქმა არ უნდა დემოკრატია სიტყვის თავისუფლებას მოიცავს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი პატარა ელემენტია.

დემოკრატია ნიშნავს ხალხის თვითმმართველობას.

თვითმმართველობა მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს.

შესაბამისად სახელმწიფოს აგების დემოკრატიული პრინციპი მოიცავს ამ მხარეებს. დემოკრატია თეორიულად ნიშნავს, რომ სახელმწიფოში:

1. არ არის თანამდებობა, რომელიც არჩევითობას არ ექვემდებარება;

2. არ არის თანამდებობის პირი, რომელიც არაა ანგარიშვალდებული ამომრჩეველთა წინაშე;

3. სანამ თანამდებობის პირს ენდობიან, — ემორჩილებიან მის გადაწყვეტილებებს;

4. უმაღლესი თანამდებობის პირნი ღებულობენ საშუალო ხელფასს;

5. წარმომადგენლობით ორგანოებში მონაწილეობისათვის ანაზღაურებას არ ღებულობენ;

6. თანამდებობის პირთათვის მოსპობილია ყოველგვარი პრივილეგიები.

როგორც ჩანს დემოკრატიის ეს შინაარსი, რომელიც შემუშავებულია ძველი სბერძნეთის, რომის, დასავლეთ ევროპის და პირველ რიგში საფრანგეთის გამოცდილების ნიადაგზე, არც ისე რთულია გასაგებად და არც ისე უსაგნო, რომ საზოგადოებისათვის მისი ახსნა გაძნელდეს. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ამ პუნქტების მიყენება ნებისმიერი სახელმწიფოსთვის და თვით დაადგენს, რამდენად დემოკრატიულია ესა თუ ის საზოგადოება.

მკაცრი ობიექტურობის შემთხვევაში ძნელი არაა იმის გაგება, რომ ჭეშმარიტი დემოკრატია პრაქტიკული რეალიზაციისაგან ჯერ კიდევ შორსაა. ამიტომ მსჯელობა შეიძლება დემოკრატიულობის ფარდობით ხარისხზე.

საქართველოს წინსვლა თავისუფლებისაკენ, ორ ძირითად მომენტს გულისხმობს: პიროვნული თავისუფლება და ეროვნული დამოუკიდებლობა.

თუ ეროვნული დამოუკიდებლობა არ შეიცავს პიროვნულ თავისუფლებას იგი ძირითად არსს კარგავს. პიროვნული თავისუფლება კი წყობილების დემოკრატიული ხარისხით გაიზომება. ქართველი ერის და საქართველოს მოსახლეობის უახლესი მომავალი უეჭველად უნდა მიესწრაფოდეს დემოკრატიულობის დამკვიდრებას. ეს აუცილებელია არა მხოლოდ ბუნებრივ-ისტორიული პირობებიდან გამომდინარე, არამედ აგრეთვე, ეროვნებათშორისი ურთიერთობის მართებული დარეგულირების ინტერესებიდანაც.

თქმა არ უნდა, თუ ჭეშმარიტი დემოკრატია არ არსებობს აღიარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში, მით იფრო გართულებულია მისი დამკვიდრება ყოფილ ტოტალიტარული მმართველობის რესპუბლიკაში. და მაინც, საქართველოს ხელეწიფება თუნდაც ევროპის დონეზე მიუახლოვდეს დემოკრატიას.

ამ ხაზით უახლოესი მომავლის ამოცანები უნდა მოიცავდეს:

1. მხოლოდ მაჟორიტარული სისტემით პარლამენტის არჩევა;

2. პარლამენტის მიერ მთავრობის არჩევა (და არა მხოლოდ ფორმალური დამტკიცება);

3. ორჯერ ზედიზედ არჩევის უფლების გამორიცხვა;

4. უფლებას, რათა მოქალაქეს შეეძლოს რიგითი სასამართლოს მეშვეობით მოსთხოვოს პასუხი ნებისმიერი თანამდებობის პირს;

5. უმაღლეს თანამდებობის პირთა ხელფასის დაყვანა ისე, რომ ხელფასის მინიმუმთან მან შეადგინოს ფარდობა 5:1 ან 3:1,

6. ყოველგვარი პრივილეგიების გაუქმება;

7. დეპუტატობისათვის თანხის გაცემის აკრძალვა;

გასაგებია, რომ კერძო მეწარმეობის პირობებში წარმოიქმნება შეძლებულთა ფენა, მაგრამ იგივე არ უნდა გავრცელდეს სახელმწიფო მართვის სფეროზე. ვთქვათ, ბელგიაშიც ბევრია მილიონერი, მაგრამ არა სახელმწიფო მმართველობის სფეროში მონაწილეობით მიღებული შემოსავლის გზით.

საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მმართველობის აპარატის მკვეთრ (2/3 ან 3/4) შემცირებას.

ბიუროკრატიულო მარწუხებისაგან განთავისუფლებული, მატერიალურად წელგამართული საქართველო არის სულიერი ღირებულებების განვითარების საუკეთესო პირობა. ამ მხრივ რაიმე განსაკუთრებული ღონისძიებანი, თუ არა თავისუფალი განვითარების მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების შექმნა, — საჭირო არ არის.

კერძო-ინდივიდუალურ, კერძო-ჯგუფურ და კერძო-სახელმწიფოებრივ საკუთრებაზე დაფუძნებული წარმოება ერთი მხრივ, და მართვის სისტემის აგება დემოკრატიულ პრინციპზე მეორესი, არის ის გადამწყვეტი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ინტერესების ჰარმონიზაციას. დაინტერესების გარეშე კი არაა პროგრესი.

ეროვნული თავისუფლებისაკენ მიმავალი სტრატეგიული გზა ტაქტიკური მოქმედების მრავალი საფეხურისაგან შედგება. როგორი იქნება ეს საფეხურები, რამდენად მძიმე გადასალახავად, რამდენად დინამიური მსვლელობაში, — დამოკიდებულია ერის ნების აკუმულირების ხარისხზე. ერის მთლიანობის გარეშე არ იქნება ქვეყნის მთლიანობა, არ იქნება თავისუფლების ის მიზანი, რომლისკენაც ისწრაფვის. არა და დღეს განმათავისუფლებელი მოძრაობის, საერთო პროგრესის ძირითადი ბარიერი ამ ფაქტორთანაა დაკავშირებული.

საერთაშორისო ვითარება, საქართველოს საერთო ადგილი ამ ურთიერთობებში, მის ხელშეუხებლობის გარანტიასაც შექმნის და უცხო ძალის ზედამხედველობისაგანაც გათავისუფლებს. ეს არ ნიშნავს მის წინააღმდეგ აგრესიული ზრახვების უკუგდებას, მაგრამ ამ ზრახვების მოთოკვა შეიძლება თუ ერი იქნება კონსოლიდირებული. ეს კი თვით ერზე, მის პოლიტიკურ კულტურაზე, პოლიტიკურ აზროვნებაზეა დამოკიდებული.